ჯემალ ქირია

ბელეტრისტიკა

ტომი 1

მე, როლინგანი...

(ავტობიოგრაფიული რომანი)

თბილისი 2006
გამომცემლობა „საარი“

ავტობიოგრაფიული რომანი „მე როსინანტი...“ გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“ (I ნაწილი -1993 წელს, II - 1998 წელს). ამასთან, რომანის I ნაწილი მცირე ტირაჟით 1997 წელს გამოსცა გამომცემლობა „მერანმა“.

უნდა ითქვას, რომ ძნელია საკუთარ თავზე მიუკერძოებელი ლაპარაკი. ადამიანები თავიანთ ქმედებათა განსჯისას მოვლენებს ძალაუნებურად თავისთვის სასარგებლო რაკურსით შეაბრუნებენ. და მაინც, ამ წიგნის მთავარი ღირსება მის გულწრფელობაშია.

ქრონოლოგიურად სხვებზე გვიან დაწერილი ეს ტექსტი დაინტერესებულ მკითხველს გზას გაუხსნის იმ ბელეტრისტიკული ნაწერებისაკენ, შემდგომ წიგნებში რომ დაისტამბება.

წიგნი 1

მირაჟი

ერთი სიტყვით, ჩვენი კაბალიერო ისე გაიტაცა წიგნების კითხვამ, რომ მთელ დღესა და ღამეს კითხვაში ატარებდა. ხოლო ამას ის მოჰყვა, რომ უძილობითა და ბევრი კითხვით მთლად გამოტვინდა და გაგიჟდა

სერვანტესი, დონ კიხოტი

© ჯემალ ქირია - მე, როსინანტი...
საავტორო უფლებები დაცულია

რედაქტორი: ნათელა წერეთელი
ტექნიკური რედაქტორი: ირინა მარკოზაშვილი

გამომცემლობა „სარი"
ISBN 99940-29-96-7

1

უხეირო კვიცად დავიბადე და იმთავითვე უნდა მცოდნოდა, ერთი გაძვალტყავებული ჯაგლაგი რომ გავიზრდებოდი. ცუდ დროს გავჩნდი, სამყოფი თივა ჩემზე ძლიერთაც ვერ ეშოვათ და მე ვინ მომაშავებდა. ჩემი ტოლები ფაფარაშლილნი ჭიხვინით დაქროდნენ აქეთ-იქით, მე კი, მოწყენილი და ჩიჩვირჩამოშვებული, მზეს მივეფიცხებოდი და ოცნებათა ბურანში ჩავეშვებოდი... წარმოსახვაში ყველაზე სწრაფიც ვიყავი, ღონიერიც და საზრიანიც... ისე ღრმად შევტოპავდი ხოლმე, წარმოსახული უფრო რეალური მეჩვენებოდა, ვიდრე სინამდვილე. თანაც აქ წიგნიც წამომეშველა. წითელქუდებითა და ნაცარქექიებით დავიწყე და შიგ ისე სწრაფად და საფუძვლიანად შევიჭერი, ჩემს სამყაროში ერთბაშად შემოვიდნენ და ნაცნობ-მეგობრების ადგილები დაინაწილეს რობინზონმა და გულივერმა, ტარტარენმა და ულენშპიგელმა, გარგანტუამ და პანტაგრუელმა, ტომ სოიერმა და ჰეკ ფინმა, სმოკ ბელიუმ და კაპიტანმა აქაბმა, გრანტმა და ნემომ, ჟაკ პაგანელმა და მისტერ შერლოკმა... რომელი ერთი ჩამოვთვალო? მას შემდეგ მუდამ ჩემს გვერდით იდგნენ ჩემი სიყმაწვილის მეგობრები ნესტანი და ტარიელი, რომეო და ჯულიეტა, პოლი და ვირჟინი, ტრისტანი და იზოლდა, პრინცი ჰამლეტი და მეფე ლირი, ავთანდილი და თინათინი... მოკლედ, კითხვა ისე შევიყვარე, დღე და ღამეს ვასწორებდი. ერთ სქელტანიან წიგნს რომ ჩავათავებდი, მეორეზე გადავჭენდებოდი, დღისით სხვა არაფერი მახსოვდა, ღამითაც, ელნათურა თუ არ ენთო, ჭრაქის ან მთვარის შუქზე ვკითხულობდი. უძილობა დამჩემდა, მაგრამ ესეც ბედის საჩუქრად მე-

ჩვენებოდა, რადგან მეტი დრო მრჩებოდა წასაკითხად და საოცნებოდ. გაგიხარია, წიგნის კითხვა კარგი იყოს, მაგრამ თურმე საშიშიც ყოფილა. წიგნი ადამიანის სულს ამდიდრებს, მაგრამ მისი დამონებაც შეუძლია. წიგნი დენთივითაა, თუ იცი, როგორ მოიხმარო, ხომ დიდად სასარგებლოა, თუ არადა, შეიძლება ხელებში აგიფეთქდეს და დაგაბრმაოს... უამრავი წითელყდიანი, ოქროთი მოვარაყებული წიგნი წამიკითხავს, ერთადერთი ჭეშმარიტების პრეტენზიით დაწერილი, ცრუ ათვლის წერტილს დაყრდნობილი, რის მეოხებითაც ყოველნაირი აბდაუბდა მწყობრ სისტემად მოგეჩვენებოდა და ამ სისტემამ ჩემს ტვინში ის ადგილი დაიჭირა, სადაც განგებას ნამდვილი ცოდნა უნდა მოეთავსებინა. ამიტომ ის, რაც ცოდნა მეგონა, ცრუცოდნა ყოფილა, რაც მარადიული ჭეშმარიტება მეგონა, ჭეშმარიტების მხოლოდ ერთი, მცირე წახნაგი ყოფილა... ჭეშმარიტება, რასაც კაცობრიობა მისხალ-მისხალ აგროვებს, წიგნის ზღვაში ისე ჩაკარგულა, როგორც მარგალიტი წყლისპირა კენჭოვანში...

„დონ კიხოტიც“ სიყმაწვილეში წავიკითხე და სახელოვანი იდალგოს ფათერაკებზე გულიანად ვიხითხითე. უბირი ვიყავი და ვერ ვხვდებოდი, რომ ყველანი ცოტათი დონ კიხოტები ვართ, ცოტათი როსინანტები და არცთუ იშვიათად სანჩოს ვირები. ჩვენ, წიგნით დაავადებულნი, ჩვენში დავატარებთ დონ კიხოტს, ვიღვწით სიკეთისათვის, ვაშენებთ ბროლის კოშკებს, ოღონდ იმ კოშკებს ეშმაკები ეპატრონებიან.

ჩემო ესპანელო ძმობილო!.. ნუთუ ამაოა ჩვენი წადილი ბოროტების დამარცხებისა? ნუთუ ხმალამოღებულნი ტყუილუბრალოდ ვებრძოდით ქარის წისქვილებს და მათში განსხეულებულ ბოროტ დემონებს?.. ჩვენ ვერ დავამარცხეთ დევები და ქაჯები, მაგრამ იქ, სადაც ჩვენმა ხმალმა გაიწკრიალა, ბოროტება შეკრთა და ნაბიჯით მაინც დაიხია.

იცინეთ, იცინეთ უწიგნურნო!.. მე, უღონო, გაძვალტყავებული როსინანტი გადავლახავ სივრცეებს და ჩემს მხედარს დონ კიხოტს იქ მივიყვან, სადაც ხმალია საჭირო, სადაც სიკეთემ უნდა იზეიმოს და ბოროტება უნდა დამიწდეს...

წინ, კაბალიერო, საქმე ულევია!

2

უფალმა ყოველი ჩვენთაგანი გააჩინა მსგავსად ხატისა თვისისა, ამიტომაც ვართ ყველანი სამყაროს ცენტრი და მისი დამამშვენებელნი. კაცი რომ იფიქრებს, უფლის ნებით, ეს რა საოცრება გავჩენილვარო, ცხადია, უკანაც მიიხედავს და იმის ძიებას შეუდგება, ვისი გორისაა, რომელი გზა გამოიარა, რანაირად მოევლინა ამ ლამაზ ქვეყნიერებას. მე თუ ვინმე მკითხავს, მადლიერი შთამომავალი თავის წინაპართა რიგს თვით ადამსა და ევამდე უნდა ჩაჰყვეს. მაშინ ეს გენეალოგიური ხე კი არა, საკაცობრიო ისტორია იქნებოდა. ჩვენი თვალსაწიერი, სამწუხაროდ, ასე შორს ვერ ჩავა. ნამდვილმა გვარიშვილებმა ადრე საკუთარი წარმომავლობა დავითისა და თამარის დრომდე მაინც იცოდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც სულიერის პრიმატი სოციალურით შეიცვალა, მეხსიერება დაგვიქვეითდა და ახლომხედველნი გავხდით. ამიტომაა, რომ ჩემი თვალსაწიერი აგერ ორ თაობაზე ჩერდება.

ბაბუაჩემი კორსია დიდინეძში ცხოვრობდა, ქირიების საძმოში. მისი ბოხოხიანი სურათი შემორჩა. მსხვილნიკაპიანი კაცი ყოფილა, მშვიდი, გამრჯე, უთქმელი... ბებიაჩემზე – მეშე ჩახაიაზე ბევრი არაფერი ვიცი. მის მშობლებს სესია და ელისო რქმევიათ, ძმები ჰყოლია – ჯიბა, ბახვა და გუდუ, დებიც – ჯოლო და ტერე. თურმე ადრე მიიცვალა, სამი პატარა დარჩენია... ბიძაჩემი გუგუა ოთხი წლისა მომკვდარა. ლუბა მამიდას კი სიკვდილი მაშინ მიეწია, ორი ვაჟიშვილის გაზრდას რომ შეუდგა... დარჩა მამაჩემი სამსონი, რომელსაც, ეტყობა, დიდად არ ეპიტნავა დედინაცვლის – ეფროს გამოჩენა.

დედაჩემი ივდენი, გერა და მინცა ღურწკაიების ოჯახში დაიბადა, სოფელ კახათში. დიდი ოჯახი ჰქონდათ, ოთხი ვაჟი და სამი ქალიშვილი გაზარდეს – კრემენტო, ტარასი, ბაჯუ, ღუტა, ოლია, დედაჩემი და ცხუტა...

ამდენი სახელი ჩამოვთვალე და დღეს ამათგან, დედაჩემის გარდა, არავინ დარჩა (წიგნის ამ გამოცემის დროს არც დედაა

ცოცხალი)... თითო ცხოვრება თითო ტრაგიკული რომანია, რომელთაც ვერავინ დაწერს. ამ უბრალო ბიოგრაფიებში ნათლად ჩანს ტრაგედია ჟამისა...

რა მოკლე და ჩქარია წუთისოფელი. მე რომ შორეული წარსული მგონია, იგი დედაჩემის ბავშვობაა... ბაბუები ადრე დამეხოცნენ, მინცას და ეფროს ყმაწვილქალობა ვერა და ვერ წარმომიდგენია.

მინცა ბებია სოფლიდან გვესტუმრა. ჩამრგვალებული, ფაფუკი დედაბერი იყო. საჩუქრები ჩამოგვიტანა, წითელი კვერცხები, ხაჭაპურები... და-ძმებს სულუგუნისაგან დაწნული ჯაჭვი, რომელზეც სულუგუნისავე ბოქლომი ეკიდა. მე კიდევ სულუგუნისაგან გაკეთებული თხა შემხვდა. იმ თხას კარგა ხანს დავარბენინებდი. ჭუჭყისაგან მთლად გაშავდა. სუნი და გემო ისეთი ჰქონდა, ნერწყვი მომდიოდა. ცოტცოტობით ვწიწკნიდი და ბოლოს მთლად შემომეჭამა.

მერე ჩვენ, მე და მინცა ბებია, სოფელში წავედით. ფეხით ვიარეთ ჯერ მოხრეშილ შარაზე, შემდეგ ჯოღეჯიანის ფართო მინდორი გადავკვეთეთ, რკინიგზის ლიანდაგზე გადავედით, ინგირის მეურნეობის დასახლება და ჩაის პლანტაციები უკან მოვიტოვეთ... მთელი გზა მეტუტუნებოდა. რა არ იცოდა, ბებიაქალობა, — სამოცი ჩვილი ამიყვანიაო, წამლობა, — სამოცნაირი ბალახიდან ვაკეთებო, — ყაჩაღებისა და ჯადოქრების ამბები...

საღამოხანს მივადექით ფართო, მწვანე ეზოს. დაბალ, ოთხთვალიან ოდას რიკულებიანი აივანი გასდევდა. ცალკე იდგა სამზადი, რომელიც შუაცეცხლისაგან ერთიანად გამჭვარტლულიყო. ბებია აქ ცხოვრობდა უმცროს ვაჟთან ბაჯუ ბიძიასთან და ეპრა ბიცოლასთან...

ბაჯუ პატარა, ენერგიული კაცი იყო, ხელთ მუდამ თოხი ეჭირა. ეპრა ბიცოლაც წუთით არ ისვენებდა. წყევლა იცოდა, მეხს ჩამოიყვანდა, მაგრამ არ მახსოვს, მე დავეწყევლე. ოთხ პატარას ზრდიდნენ იმ დროს, ერთიც მერე გააჩინეს.

სამზადში ვსადილობდით ხოლმე. ღომის კარდალი ლარჭაზე ეკიდა. ლობიოს ქოთანი ცეცხლისპირას იდგა და პუტპუტებდა. მოშუშულ ღომს ჩოგნით პირდაპირ სუფთა ტაბლაზე დაატყეპებდნენ. თეფშები მხოლოდ ლობიოსთვის ან ხორცის კერძისათვის კმაროდა. ნასადილევს გარეცხილ ტაბლას თავდაღმა შემოდგამდნენ საგანგებო ხარიხაზე. ძალიან არ ციოდა, მაგრამ გვიანობამდე შუაცეცხლთან ვთბებოდით და დასაძინებლად ოდაში წასვლა გვეზარებოდა.

ბებია ფერხთით მიწვენდა, ოდის უკანა ოთახში. თვითონ მშვიდად ფშვინავდა, მე კი ვუსმენდი ღამეულ ხმებს. ფანჯარასთან მომდგარი ხეხილის ბაღი უცნაური ბგერებით იყო დასახლებული, უჩინარი არსებები, ავი და კეთილი სულები დაბორიალობდნენ, ფოთლებს აშარიშურებდნენ, ჩუმად უსტვენდნენ, ფანჯარაში ცნობისმოყვარედ იცქირებოდნენ.

ადამიანი ნელა მიიწევს სიბერისაკენ, მერე უცბად მოტყდება... მინცა ბებია თანდათან დაპატარავდა, ღონე მოაკლდა. ხანგრძლივი სიცოცხლე გამოუყვია მისთვის უფალს. ოჯახი ზუგდიდში რომ გადმოსახლდა, დედაბერიც თან წამოიყვანეს, იმას კი სულ თავისი ეზო-კარი ახსოვდა. იმ ეზოში თექვსმეტი წლისა შევედიო, სად რა ეთესა, ზეპირად ვიციო... ქალის სამშობლო მისი ოჯახია!.. მინცა ბებია ბოლომდე დაატარებდა უკვე არარსებული ეზო-კარის სიყვარულს.

ოთხმოცდაათს რომ გადასცილდა, მეხსიერება დაუქვეითდა, შვილიშვილები ერთმანეთში აერია, შვილებიც ავიწყდებოდა. ანაკლიაში ვიღაც ქალს ვიცნობო, ის ქალი კი მისი უფროსი ქალიშვილი იყო. უბეში კაპიკიან კამფეტებს მალავდა და პატარებს ჩუქნიდა.

ერთ დღეს, უკვე ოთხმოცდათექვსმეტისა, ლოგინში ჩაწვა, კედლისკენ მიბრუნდა და ბედნიერად დაიძინა.

გასვენების დროს მისი შვილიშვილები სახლიდან ჭიშკრამდე ვერ ვეტეოდით.

ბავშვები მინცა ბებიას „შხუს“ (მსხვილს) ვეძახდით, ამით ვანსხვავებდით ეფროსაგან, რომელიც „ჭიფე“, ესე იგი მჭლე იყო... მართლაც ეშმაკის მაშხალასა ჰგავდა მამაჩემის დედინაცვალი. წელგამართული ქალი იყო, სიბერეშიც ჯარისკაცივით დააბიჯებდა, თან მუდამ მომცრო წალდს დაატარებდა.

მისი, ალბათ, ყაჩაღებსაც ეშინოდათ. ჩემი უფროსი ძმა – შოთიკო არ უყვარდა, მამას ჰგავდა და ალბათ იმიტომ, თანაც ეს ჩემი ძამიკო კვერცხებს პარავდა. ქათამი ვერ მოასწრებდა აკაკანებას, კვერცხი უკვე აღარ იყო, უმალ ყლაპავდა. საშუალო ძმა მუნტულია შეიყვარა და ეზოც ანდერძით იმას დაუტოვა...

ერთი თვე დავყავი მასთან. პირველი კლასი მომთავრებული მქონდა და არდადეგებზე ჩამიყვანეს. პატარა, ფიცრულ ქოხში ვცხოვრობდით. პაწია აივანი ჰქონდა იმ ქოხს, ერთი ოთახი და უკან მიდგმული სამზადი.

ეფრო ბებიას მუდამ ძველმანები ეცვა. ხანდახან იჯდა და ზურგს იფხანდა. თამბაქოსაგან ხმა ჩახრინწოდა, ხშირად ახველებდა და ხროტინებდა. იქნებ არც იყო ისეთი ხნიერი, როგორიც მეჩვენებოდა.

თავს ჩინებულად ვგრძნობდი. დღედაღამ ბიჭბუჭებში დავნავარდობდი. ბაღჩა-ბაღებში ხილს, საზამთროსა და ნესვს ვიპარავდით. ტყე-ღრეში დავხეტიალობდით. ხან ომობანას ვთამაშობდით, ხან სახლობანას. თხმელის ტოტებისაგან სახლაკს ავაშენებდით და მე ან ვიღაცის „მამიკო“ ვიყავი, ანდა სულაც „ქმარიკო“.

დაღამდება და კუნაპეტი სიბნელე ჩამოწვება, როცა უხილავი ყორეებიდან უცხო თვალები გითვალთვალებენ და ელოდებიან, როდის მოგიდუნდება სიფხიზლე. მე კი ამ დროს ტაშტით ცივ წყალს დამიდგამენ ფეხის დასაბანად. კოღო მეტაკება საშინელი წუილით და წვივზე მკბენს.

კოკისპირული წვიმა დამამახსოვრდა. გრიალით ჩამოვიდა მძიმე ღრუბლებიდან. ყველგან ნაკადულები გაჩნდა და ბიჭები ღეროებისაგან წისქვილებს ვაწყობდით. დრიმი ბიძიასთან უზარმაზარ მსხალს ტოტი მოასკდა და ეზოში იმდენი მსხალი ჩამოხვავდა, ურემს აავსებდა...

ეჰ, თამაში სჯობდა თურმე სწავლას, სკოლისაკენ გული სულაც არ მიმიწევდა.

ეფრო ბებია კი იმ ზაფხულის შემდეგ მხოლოდ ერთხელ ვნახე, როცა დედა გამითხოვდა და მარწმუნებდა, დედა დაივიწყე, ჩვენ გაგრზდითო...

მომდევნო წელს ის აღარ იყო. ამ დროს მესამე კლასში ვიყავი, ქობულეთის სატყეო სანატორიუმში ვსწავლობდი, გვიან გავიგე მისი გარდაცვალება.

მაშინ სიკვდილი მთლად სიკვდილი როდი მეგონა, ეს უფრო შორეულ ქვეყანაში გამგზავრებას ჰგავდა, თითქოს შეიძლება ადამიანს დაშორდე და მერე ოდესმე, სადღაც შეხვდე...

თუმცა, ვინ იცის, იქნებ ასეცაა!

3

ქართულ სუფრაზე მშობლების სადღეგრძელოს ხშირად მათი დედმამისშვილებისას მიაყოლებენ. მამაჩემის დედმამისშვილებს, ცხადია, არ მოვსწრებივარ, დედის ძმები და დები კი ჩემი უახლესი გარემოცვა გახლდათ.

მინცა ბებიას შვიდეულიდან, ამაზე ზემოთ ვთქვი, ახლა აღარავინ დარჩა. ბაჯუ ბიძია, აჰა, ახლახან მიიცვალა. ეპრა ბიცოლაც რამდენიმე წლის წინ კიბომ იმსხვერპლა... შრომასა და ჯაფაში დაღლილი ბაჯუ ბოლოს ლოგინად ჩავარდა. იწვა თავისთვის და ყოველ შემომსვლელს სიცილით ხვდებოდა. სიკვდილამდე ერთი წლით ადრე უთქვამს, ათიოდე წელს ხომ კიდევ გავძლებო. აბა, რაა იგი სიცოცხლე, მთელი დღე იწვე და ჩუმად იხითხითო, მაგრამ ადამიანს სიკვდილი მაინც არ ეჩქარება.

ყველაზე ადრე ღუტა დაიკარგა. უწვერული ჭაბუკი წაიყვანეს ფრონტზე და იქიდან იწერებოდა გრძელ უსტარებს, სადაც სასკოლო რვეულის ყვითელი ფურცლის ორივე გვერდი მოკითხვებს ეჭირა... „სალამი დაიკო ეპრაქს... უპ. ყოვლისა ხელთ ვიღებ ფანქარს და გითვლი შორიდან მხურვალე და ძმურ სალამს. დაიკო, როგორ გიკითხოთ, ხო კარგად. რა საკითხია კარგად იქნებით, მაგრამ კითხვა მაინც ჩვეულებაა. მეც მოგიწოდებ პირველად ჯანმრთელობას რაც მთავარია ადამიანის ცხოვრებას გისურვებ, იმ იდების და მიზან-ამოცანების 100 %-ით განხორციელებას. იმუშავე ნაყოფიერად და იცხოვრე კულტურულად...“ „აწი მოვყვები ჩემს ამბავს. ჩემი ამბავი ასეთია. მე მაქამდი ვიყავი ჩხუბში და ეხლა კი წამომიყვანეს უკან შორს

და სკოლაში ვართ ყველა საშუალოდამთავრებულები და ესენ 2 წილი ქართველები ვართ და 1 ნაწილი რუსები, უზბეკები ე.ი. სხვა ეროვნება. აქანე ჩვენ დავრჩებით პირველ იანვრამდე. 1 იანვარს გვიშვებენ ლეიტენანტად. მოკლეთ არა მიშავს, ჯარში ვიქნები, მაგრამ ცოცხლად რო გადავრჩე, ამის შანსები კი მაქვს...“ ესღა დარჩა... ორი-სამი ასეთი წერილი... ჩემი არსებობისა არაფერი იცოდა და ისე დაიკარგა, ვერც გაიგო.

დაიხოცნენ ოლღა დეიდა და ისაკი ბიძია. საფლავის ქვაზე ისაკი ბიძიას მოკლე თარიღი უწერია. მე კი მეგონა, ღრმა მოხუცი იყო. ერთხელ ცხენზე შემომისვა და სოფელ-სოფელ მატარა. ეფრო ბებიას გავუარეთ. ამოგვეგება, მომეფერა, თან შეუწყრა, ბავშვს ცხენის გავაზე რა უნდა, წინ დაისვიო. მართლაც ამგვარი მოგზაურობის შემდეგ ფეხის გამართვა გამიჭირდა. შეღამებულს მივაღწიეთ ანაკლიამდე, ცხენიდან ჩამომსვეს, მე კი მუხლები არ მეღუნებოდა... მაშინ ჯერაც სკოლაში არ ვიყავი, დრო ულევი მქონდა და დიდხანს დავრჩი ოლღა დეიდასთან. ახლაც ყურში ჩამესმის მისი მუდამ ალერსიანი, ღულუნა ხმა... ბევრი შვილი ჰყავდათ. საქონელიც ბევრი უდიოდათ. სულ კამეჩის რძე და ყველი ჰქონდათ... მერე კი კოლმეურნეობის წესმა და რიგმა დააჩიავა, სიკვდილმაც ხელი დარია და ძალიან გაუჭირდათ. ოლღა დეიდას უმძიმესი გაჭირვების ჟამსაც ულევი ჰქონდა სითბო და სინაზე... ისაკი ბიძიაც მოსიყვარულე კაცი იყო, ზღაპრის მოუბარი. ვისხედით ბუხრის პირას, კარდალში სიმინდი და კვახი იხარშებოდა, ის კი აუღელვებლად ყვებოდა წითელი და შავი კაცის ზღაპარს... გარეთ, ბნელში ამ დროს მკვდარი სულები უსტვენდნენ და შიშისაგან სამზადიდან ოდაში ვერ გავდიოდი... მოკვდა ისაკი ბიძია. ის რომ კვდებოდა, მეორე ოთახში კიბოთი კვდებოდა მისი ოცდაათიოდე წლის ვაჟიშვილი ვალიკო, ოთხი შვილის მამა... დასწრებაზე იყვნენ, წამებს ითვლიდნენ... მწარეა ეს წუთისოფელი, სიცოცხლე სიკვდილთანაა წილნაყარი და ჩვენ ალბათ რაღაც ზღაპრეთში ვვარსებობთ, სულის ხიდები ვართ, ჩვენით მარადი სული ერთი ფორმიდან მეორეში გადადის... ოლღა დეიდა შვილიშვილებსაც მოესწრო, მაგრამ ისეთი სიბერით იცხოვრა,

როცა ქალი საერთოდ არ იხდის შავებს...

დაიხოცნენ ცხუტა დეიდა და ვალიკო ბიძია... ხშირად ვსტუმრობდი მათთან კახათში... დეიდაშვილებს ახლაც ახსოვთ ჩემი ზღაპრები. ეჭვიანი ცხუტა დეიდა და მექალთანე, ღალატიანი ბიძია მუდამ ჩხუბობდნენ. ერთ ღამეს სიმთვრალეში გათავდა ვალიკო... ცხუტამ ბევრი იჯახირა, იავადმყოფა, იწუწუნა, შვილები დაზარდა, შვილიშვილებსაც მოესწრო და ისიც გათავდა.

დაიღუპა ტარასი ბიძია. გვიან დაქვრივებული, ძლივს დაჩანჩალებდა, თავის წილ სიკვდილს ელოდა, მანქანამ კი გადაუარა.

დაიღუპა კრემენტო ბიძიაც... ფოტოსაქმე იცოდა. პირველად მის სახლში, პატარა, ღარიბულ ოდაში ვნახე პატეფონი. სვამდა, რაკი მძიმე ტვირთი აჰკიდა ცხოვრებამ, ლამაზი და შეურაცხადი ცოლი ვეღარ დაუბრუნა პატრონს, შერჩა... ტრაგიკული, ძალადობრივი სიკვდილი ერგო...

სწორედ პარადოქსია არსებობისა! მკაცრი ცხოვრება კლავდა ყველას, ვისაც შეეძლო ეშრომა, ეღვაწა, ოჯახისათვის მოევლო, სიყვარულით ზრდიდა შვილებს, ჰქონდა მომავლის იმედი... არავინ გადარჩა, ლოლას გარდა!

მახსოვს, ლოლა ბიცოლამ მოგვაკითხა. ზღურბლიდანვე აქაქანდა. გამწლეულია, მაღალი, თმები წმინდად გადაუვარცხნია... ლაპარაკობს, ჩხუბობს, ვიღაცას ემუქრება... დედაჩემი უყვავებს, ცდილობს დააწყნაროს. მე კი პატარა ვარ და მეშინია. არ ვიცი, რატომ ჩხუბობს, ან ვის ემუქრება... ავახშმებენ, მერე ცალკე ოთახში ლოგინს უშლიან, აძინებენ. სახლში სიწყნარეა, ყველას სძინავს. მე ძილი მიტყდება. იმ ოთახში შეიძლება ლოლა ბიცოლა წამოდგეს, ნაჯახი მონახოს, ყველას თავები დაგვაყრევინოს და პასუხსაც ვერავინ მოსთხოვს... დრო ნელა მიზოზინებს, თანდათან ბურანში ვიძირები და უცებ ხმაური მესმის... ლოლა წამომდგარა, წინ და უკან გამწარებული დააბიჯებს და ვიღაცას სიკვდილით ემუქრება... ასეა დილამდე, დილით მცირე ხნით დამშვიდდება, დანაყრდება და თავის გზას გაუტევს...

ამას წინათ ვესტუმრე ბიძაშვილის ოჯახს. მრავალი წელია,

არ ვყოფილვარ. ვიფიქრე, ლოლა ბიცოლა თუა ცოცხალი მეთქი. ვხედავ, აგერ, ღობეზე გადმომდგარა... თითქოს არც შეცვლილა, ცოტათი დამჭკნარა, მაგრამ სახეზე სიწყნარე აფენია. უმალ მიცნო, დარბაისლურად მომიკითხა...

4

მამა იდეალად წარმომესახა. ჩვენს კედელზე ეკიდა დედაჩემისა და მამაჩემის გადიდებული სურათი. უკვე სოლიდური ასაკი ეტყობოდათ. სოფელში დაიბადნენ ჩემი უფროსი და – ბიციკო (ლამარა) და ძმები – შოთიკო და მუნტულია (პალიკო). მე მეოთხე ვიყავი და უკვე ქალაქში გადმოსახლების შემდეგ გავჩნდი. იქ, სოფლად გათამაშდა კლასიკური დრამა დედინაცვლისა და გერისა და ქალაქშიც ამიტომ გადმოვბარგდით.

დამახასიათებელი სცენა: მამა ბრუნდება სათოხარიდან. დედა ტაბლაზე სადილს უშლის, — მჭადი, ლობიო, მწნილი... სულუგუნი მოიტანეო, მამა უბრძანებს. დედამთილის ნებართვის გარეშე დედა ვერ ბედავს. მამა თვითონ ამოიღებს სულუგუნს „დერგიდან“ და ჩამოჭრის. შემოდის ეფრო, მწყრალად შეხედავს, ყველის უმისოდ არ ინებოთ, კნიაზებო, მჭადისა და ლობიოს მირთმევაო... მამა უხმოდ აიტაცებს ტაბლას და ეზოში ისვრის. ჭურჭლის ნამსხვრევებსა და საჭმლის ნარჩენებს ქათმები მიესევიან. ყანიდან ბრუნდება კორსია ბაბუა, ხმას არ იღებს, ჯორკოზე ჩამოჯდება, ხელები ძირს ჩამოუშვია. იმ დღეს ოჯახში არავინ სადილობს...

ალბათ ამიტომ აჩქარდა კორსია ბაბუა, მჭმუნვარედ გაემგზავრა გაღმა. მამამ დედინაცვალს შეატოვა ეზო და ქოხი, ოთხთვალიანი ოდა-სახლი კი ზუგდიდს გადმოიტანა. მაშინ ეს განაპირა ქუჩა იყო, მგონი კოსიორისა, მერე ენგელსად გადაკეთდა. ამას წინათ, ძმათა უაზრო ომში უნებლიედ დაღუპულ გელა ნიჟარაძის სახელი დაურქმევიათ... პირველი სახლები შენდებოდა იმ დროს – ცანავებისა, აფაქიძისა, ქირიებისა, ჯოგო კუკასი...

ჩემებმაც აღმართეს აგურის სვეტები, ოთხი თვალი მეორე

სართულის სიმაღლეზე შემოდგეს. ბუხარი ჩააყოლეს. ყავრით გადახურეს.

მამამ ვენახი და ხილი ჩაყარა. მე დავიბადე და ომიც დაიწყო...

რამდენიმე წერილი შემრჩა:

„სალამი ივდე! როგორ ხართ, ხომ კარგად, იყავით სულ მუდამ... მომიკითხე ბავშვები: ბიციკო, შოთიკო, პალიკო და ჯემალი... ბიციკო, თუ ჩემი ხარ, იწავლე კარგად თუ არა ჩემი არ იქნები, იცოდე. შოთიკო, შენც დაიწყე სწავლა ანბანის და ანგარიშის. ბიციკო, შენ ასწავლე მაგას და თუ ისწავლი, შოთიკო, ჩემი იქნები თუ არა არ იქნები. ივდე, მომიკითხე ყველა, ძმები, მეზობლები და ბოვშვები. მომიკითხე: პართე, ლიზიკო, იპოლიტე, შურა, ცუცუ და ხუტა. მომიკითხე ტარასი, ოლია, პაშა და თამარა. მომიკითხე ბაჯგუს ოჯახი, კრემენტოს ოჯახი, ისაკის ოჯახი, ვალიკოს ოჯახი, მიშა ბიგვას ოჯახი. მინდა სუყველა დავწერო თვითეულად, მაგრამ დრო არა მაქვს და არ ეწყინოს ვინმეს. ივდე, რას შობი? შენ იცი თუ მარჯვედ იქნები, თუ არა მომავალში ბოვშვები შიმშილით მოგიკვდება, ისთეა საქმე. რამეფრად მოაწყვე საქმე, შეაწუხე ყველა, ვინც ჩვენები არის...“

„ივდე, ჩემი ამბავი ასეთია. მე აწი თქვენ რომ დაგინახავთ, ამის იმედი არა მაქვს, ლატარიაზეა ჩემი საქმე. ივდე, თუ გადავრჩი, ის იქნება, თუ არადა, შენ იცი, არ დაკარგო ბოვშვები, გაყიდე ყველაფერი და წადი ისთევლე სოფელში, თუ არა შენ არ შეგიძლია აქ ქალაქში ცხოვრება და როცა კარგად ვერ მოუვლი ბოვშვებს, მაშინ ისინი ჯიბგირები გახდებიან და ტყუილად დაგეკარგება შრომა...“

„მე როსტოვში სამ დღეს ვიყავი ფრონტზე. დავრჩი ცოცხალი და მიკვირს. მერე უკან დაგვაბრუნეს. პირველ მარტში 1200 კაცი გადაგვიყვანეს. რვა დღეს გზაზე ვიყავით და მოვედით მოსკოვში. ახლა კიდო გვეუბნებიან, თხუთმეტი დღის გზა გვაქვსო. ზოგიერთი ამბობს, ჩვენი მიმართულება იქნება ლენინგრადშიო, ზოგი ციმბირის მხარეზე, ზოგი აქ წაგვიყვანენ ფრონტშიო და სინამდვილე არ ვიცით. ივდე, ჩვენში სხვა რა ამბავია, ძალიან სიძვირეა. აქ ღირს კვერცხი ერთი ცალი 24 მან.

სალა კილო 1000 მან. პური კილო 150, ფქვილი 2000 მან. ასეთი ამბავია ოჭკუმალზე, ძალამი გაჭირებარე, რძღელი ვარე მითინი...“

„პართე და იპოლიტე, თქვენ იცით, როგორ დახმარებას გაუწევთ ჩემს ოჯახს. ცხადია, დღეს ყველას თავისი თავი უჭირს, მაგრამ ყველაზე მეტი გაჭირვებული არის ჩემი ოჯახი. მე მეშინია შიმშილით მოკვდეს ბოვშვები მაგაზე. სხვა აბა მეც ვიცი ჩემი ბოვშვები აწი პროფესორი არ იქნებიან...“

იმ დროს მე, პატარას, მეგონა, მამაჩემი ჩვეულებრივი ადამიანი არ იყო, მას არ შეიძლებოდა ჰქონოდა შიმშილისა და სიცივის შეგრძნება... იგი გოლიათი იყო და ხელდახელ ებრძოდა ჰიტლერს, იქ კავკასიონის თეთრი მთების მიღმა... ის ჩემთვის მარადის ცოცხალი დარჩა და ჩემს გულში მისი ადგილი სხვამ ვერასოდეს დაიკავა.

საკმაოდ გვიან, ოცდათორმეტი წლის ასაკში, როცა ჟურნალ „ცისკარში“ დავბეჭდე ნაწყვეტები რომანიდან „ამბავი არამხუტისა“, ავიღე 300 მანეთი ჰონორარი, რაც საკმაოდ სოლიდურ თანხად მომეჩვენა, და გავემგზავრე იქ, საიდანაც მამის ბოლო წერილები მოდიოდა.

ეს იყო სმოლენსკი.

მივაკითხე საოლქო სამხედრო კომისარიატს. შემიყვანეს სამუზეუმო დარბაზში, სადაც ელაგა სქელტანიანი წიგნები, რაიონების მიხედვით ჩამოწერილი დაღუპულ მეომერთა გვარებით. იმ სიებს ჩავყევი და უგრას რაიონის სიაში მამაჩემის სახელს წავაწყდი.

ჩავედი უგრაში, აქაც კომისარიატს მივაკითხე და ბარათი მიჩვენეს, ზედ მამაჩემის სახელი და ჩვენი მისამართი ეწერა.

ტაიგის სიღრმეში ვიპოვე სოფელი ვსხოდი. აქ, სოფლის ცენტრში პარკია. იმ პარკში დგას ჯარისკაცის ვერცხლისფერი ქანდაკება. ეს საძმო საფლავია და სხვა 7500 ჯარისკაცს შორის მამაჩემიც განისვენებს...

უფალო, შეიწყალე შორეულ ცივ ქვეყანაში დაღუპული ეული სული!

5

თავდაპირველად პატარა ცხოველი ვიყავი. ვცხოვრობდი სამყაროს ცენტრში, თავზე ცის გუმბათი მეხურა, ერთი მხრივ კავკასიონის თოვლიანი ქედები წამომართულიყო, სხვა მხრიდან კი სივრცეს ოდა-სახლები და ეზოები მიფარავდა... ჩემი ჭიხვინი ამ ქუჩასა და ირგვლივ შემოწყობილ ეზო-კარებს არ სცილდებოდა...

უფრო ნათელი ამინდი მახსოვს, თაკარა მზე აცხუნებს ციდან, ფოთლები ხასხასებს, მდელო გრილია... ამ დროს ჩრდილი სიამოვნებას გგვრის, თუმცა არც მზის მწველი სხივები გაწუხებს...

ხანდახან კოკისპირული წამოვა, შხუილით ჩამოეშვება, ფოთლებში თქრიალი გააქვს, ქუჩები ნაკადულებად იქცევა... სახლს აწვიმს. ჭერზე აქა-იქ წვეთები ჩამოეკიდება, იატაკსა და მაგიდაზე რაკარუკს იწყებს და ჯამ-ჭურჭელს ვუდგამთ, რათა გადავარჩინოთ ჩვენი ღარიბული ხაბაკ-ხუბაკი...

დიდთოვლიანი ზამთარი მახსოვს. გარეთ გასასვლელად თბილი ტანისამოსი არა გვაქვს და ბუხართან მიყუჟულები ვთბებით. შოთიკო რაგვს აწყობს, ბეღურების მოსანადირებლად. მე კი მეცოდებიან და ვერა ვჭამ...

ხშირად ბავშვები მარტონი ვრჩებით, რაკი დედა საშოვარზეა გამგზავრებული. მუცელი ხერხემალზე გვაქვს აკრული, შიმშილს ძლივს ვუმკლავდებით... ზაფხულობით და შემოდგომით ცოტათი ბაღ-ბოსტანი გვშველის. წინ ვენახი გვაქვს. ღობის გასწვრივ ორი ძირი ქვიშნა ბალი დგას, ქუჩის პირას ზამთრის მსხალი და ვაშლი. უკანა ეზოში ატმებია, ხურმა, კარალიოკი, ზღმარტლი, ლეღვი და ორი ძირი ველური ბალი. აქეთა მხრიდან ეზო მაყვლითაა შემოღობილი და შავად მბზინვარე, მსხვილ-მსხვილ მაყვალს ისხამს. კუთხეში, ძნელად მისასვლელ ადგილას კომში გადმოყუდებულა...

ერთხელ კინაღამ ხანძარი გავაჩინე. მეზობლისაგან ცეცხლის დასანთებად ნაკვერჩხლები წამოვიღე. ალბათ გზაში და მივარდა. ქარი იყო და გაღვივდა. შემთხვევით გამოვედი. ვხე-

დავ, პირდაპირ აივანზე ალი ამოდის. მეზობლის ქალი სონია, ღმერთმა აცხონოს, სარეცხს რეცხავდა. გამოიქცა, სათლით საპნიანი წყალი წამოიღო და დაათქლიშინა, ჩააქრო.

მეორეჯერ უარესი დაგვემართა. ელექტროსინათლე გამორთულია. ჩვენ ოთხივენი ბუხრისპირას მჭიდროდ ვსხედვართ. კარდალში კვახი იხარშება. ცეცხლი სუსტად ხრჩოლავს. ფეხებთან კოჭობი გვიდგას. შიგ ნავთი ასხია. ჩემმა დაიამ იფიქრა, ცოტას მივასხურებ და ცეცხლი გაჩაღდებაო. იფეთქა, მაგრამ რა იფეთქა, ალი ჭერამდე ავარდა. არც მახსოვს, როგორ მოვცოცხეთ... მეზობელმა, ვალიკო იზორიამ გადაგვარჩინა, მოვარდა და სველი ტილოთი ჩააქრო...

იმდროინდელ მოგონებებში ყველაზე მშვენიერი გრძელი, მშვიდი საღამოები და კაკაჩა, მთვარიანი ღამეებია. პატარები თამაშით არ ვიღლებოდით. დავკუნტრუშებდით... მგელობანაო, დაჭერობანაო, კლასობანაო, დამალობანაო... ვინ ჩამოთვლის, რას არ მოიგონებს ბავშვის გონება. ორ ნაბიჯზე, ჩხოუშიას პირას წყაროზე ჩარბენა მთელ მოგზაურობას უდრის. მეზობელი ქუჩა მეზობელი სამყაროა... კუჩხობონზე კიბოს დასაჭერად წასვლა უცხო პლანეტის მონახულებაა...

იმ კუჩხობონში, მარჩხ წყალში, თევზის მოწამვლის დროს დაიღუპა ალიოშა ჯიქია. ჩემთვის ეს იყო პირველი მსხვერპლი, პირველი მიცვალებული... ვნახე და შემზარა, შიში დამეუფლა...

გავიცნობიერე, რა არის სევდა და სიკვდილის შიში... იმ დროიდან უკვე აღარ ვიყავი პატარა ცხოველი, სამყარო უცბად შეუცნობი და მრავალწახნაგოვანი გახდა. რაკი სიკვდილი ვიხილე, მისგან თავის დახსნის გზებიც მოვსინჯე... მთვარიან, ქათქათა ღამეში, როცა ყველაფერს ვერცხლისფერი ეფინება და სამყარო იდუმალებითაა აღსავსე, დავიჩოქე და მორცხვად შევთხოვე, არ კი ვიცოდი, ვის, მარადი სიცოცხლე... ეჰა, ჟამო როსინანტის კვიცობისა, იქნებ გისმინა მთვარემ, მთვარეში განსხეულებულმა წმინდა გიორგიმ და მართლაც მოგანიჭა მარადი არსებობა, მაგრამ ცოცხალს აღარ ძალგიძს ამისი შემოწმება. მარადი სიცოცხლე თუ იმას ნიშნავს, რომ შევინარჩუნოთ ერთადერთი ამჟამინდელი ჰიპოსტასი, უცვლელობა, ბოდიშს მოვიხ-

დი და ვიტყვი, უმეცარი ვიყავი, უფალო, და იმიტომ გთხოვე-მეთქი...

სევდა, სიკვდილ-სიცოცხლეზე ფიქრი განასხვავებს ადამიანს ცხოველისაგან. იმ წუთიდან იწყებს მისი გონება სხვა ჰორიზონტების მოხილვას, ახალი სივრცეების აღმოჩენას, ახალი გზების ძიებას... მაშინ ებადება სურვილი შემოქმედებისა... იქნებ ძალზე მარტივია ის საწყისი ფორმა შემოქმედებისა, იქნებ ღიმილის მომგვრელი და სასაცილოც კია, მაგრამ მთიდან სუსტი კენჭის დაგორებასაც შეუძლია მოზრდილი ზვავი გამოიწვიოს. არადა ისეც ხდება, ის კენჭი ჩაჩხაკუნდება ხევში და კვლავ გაყუჩდება, ძილში ჩაიძირება... ყველასა აქვს შემოქმედის მუხტი, ყველას სულში იელვებს წამი, მაგრამ ზოგის სულში ალი აინთება და ხანძარი აგუგუნდება, ზოგის სულში უცბად ჩაქრება, ან შავი კვამლი ხრჩოლავს და სარგებელი არაფერი მოაქვს...

მეც ვთხზავდი ლექსებს... წელიწადის ოთხ დროზე, ოღონდ არა ჩემი სიტყვებით, არამედ სახელმძღვანელოებიდან ამოკითხული მარტივი ტრაფარეტებით... აგრეთვე ბელადებზე, უფრო სამ ბელადზე, რომელთა სახელებს მუდამ ყურში ჩამძახოდნენ და ჩემს გონებაში ის ადგილი ეჭირათ, რაც ქრისტეს კუთვნილება უნდა ყოფილიყო... რაკი დიდი ლენინი ერქვა, ცხადია, ჩვენს ორსართულიან ოდაზე დიდი მეგონა... დიდი სტალინი კავკასიის მთებზე მიჯაჭვულ ამირანზე ნაკლები გმირი რანაირად იქნებოდა... რაც შეეხება მესამეს, „ვერაგი მტერი მოიგერია, იყოს დღეგრძელი ჩვენი ბერია!“ (თუმცა ეს სტრიქონი ჩემი არ გახლავთ!)...

მოკლე და უსუსური აღმოჩნდა ეს გატაცება... არც გატაცება ჰქვია ამას, რაკი დაწყებისთანავე ჩაკვდა...

6

დილით გვიან გამომეღვიძა. „ზალაში“ მეძინა. დარაბები მიხურული არ იყო და ფანჯრიდან ოთახში მზის სხივი იღვრებოდა. ჩამიჩუმი არ ისმოდა. ამისათვის ყურადღება არ მიმიქცევია. და-ძმები სოფელში იყვნენ, არდადეგებზე, დედა კი სადმე

მეზობლებში გადავიდოდა... მოკლე შარვალი წუთში ჩავიცვი, მაისური ისედაც მეცვა, ფეხშიშველა დავტანტალებდი.

იმ დროს გვერდით ოთახში მდგმურები გვეყენა, ცოლ-ქმარი და ჩვილი ბავშვი. კარი გაიღო და გაფაშფაშებული დიასახლისი შემოვიდა. ზედმეტად ხალისიანი მომეჩვენა. თეფშით მანანის ფაფა შემომიტანა. ლობიოსა და თევზეულს ვერ ვიტანდი, ფაფეულებს კი სიამოვნებით მივირთმევდი, რა თქმა უნდა, თუ ვინმე გამიმასპინძლდებოდა.

ვისაუზმე და აივანზე გავედი. აივნის რიკულებზე ვენახი იყო გასული, თეთრი ყურძენი ესხა. ჩვენი ქუჩა შემაღლებულია. სივრცე დაბლა, ჩხოუშიას ნაპირისაკენ ეშვება. მდინარის გაღმა მხარე კი კვლავ მაღლდება და ქალაქის ცენტრი ჩანს.

„ნეტა დედა სად არის? – გავიფიქრე. – ალბათ ტარასი ბიძიასთან გადავიდა!“

კიბეზე ჩავირბინე და ქუჩაში გავედი. მიმოვიხედე. ქუჩა ცარიელი იყო. წავედი ტარასი ბიძიას სახლისაკენ.

ერთგან, ვხედავ, სევერიანე გადმოყუდებულა ღობეზე, მებონია. ჰოდა, ეს ჩემი მეზობელი უხეიროდ იღმიჭება და მეძახის:

— გაგითხოვდა, ბიჭო, დედა?

ზაფრა მეცა, შეურაცხყოფისაგან სული შემიგუბდა, მერე ცრემლი წამსკდა და დავიჭაჭყანე:

— ვეტყვი მე დედას, ეგრე რომ მეუბნები!

ფეხს ძალა დავატანე. არ უჩანდა ხუმრობას კაი პირი... შევვარდი ტარასი ბიძიასთან. იგი ჩეროში დამხვდა, ბოლთასა სცემდა და ხელისგულს შუბლზე იტკაცუნებდა.

— შეგვარცხვინა, შვილო, დედაშენმა, თავი მოგვჭრა!

ვერაფერი გავიგე, მაგრამ გაბმით ავღრიალდი. გამოვარდა ოლღა ბიცოლა, დამიყვავა, ტკბილ-ტკბილი სიტყვები მითხრა, არ კი მახსოვს რა... მაგიდასთან დამსვა, სადილი გამომიტანა. რა მესადილებოდა!

გავბრუნდი შინ... გზაშიც მეტირებოდა და შინაც. ბოლომდე ვერ გავიგე, ისეთი რა უბედურება დამატყდა თავს... ხან ერთი მეზობელი მეფერებოდა, საჭმელი შემოჰქონდა, ხან მეორე...

მომდევნო დღეს და-ძმანი ჩამოვიდნენ. გული მომეცა. ეფრო ბებიაც გამოჩნდა. ჩვენსა არ შემოსულა. იპოლიტე ბიძიას სახლში გაჩერდა, მამაჩემის ბიძაშვილისა. იქ დამიბარეს.

მომეფერა, დამიყვავა. ხმა თითქოს უფრო ჩახრინწოდა. მითხრეს, რად გინდა ეგეთი დედიკო, ვინ ოხერსა და მუდრეგს წაჰყვაო... იქით არ მიიხედო, აგერა ვართ მამის ნათესავები, არ მოგაკლებთ არაფერს, ჩვენ თვითონ გაგზრდითო. გაბუსული ვიჯექი, ხანდახან თავს ვუქნევდი, თუმცა არ მესმოდა, რა ფიცსა და აღთქმას ვდებდი.

ასე გავიდა თითქმის ერთი კვირა. ჩემი და-ძმებიც გულიანად ამბობდნენ, დედასთან არც წავალთ და არც შინ შემოვუშვებთო. მაგრამ ერთ დღეს ყველაფერი შეიცვალა, ჩემმა დამ ყურში ჩამჩურჩულა, კომბინატის გზაზე ამა და ამ სახლში დედა დგას მდგმურადო.

უკანა ეზოთი გადავედი, იქ ჩიქოვანების სახლში დავდიოდი ხოლმე ტოლ-სწორებთან სათამაშოდ. ახლაც ეს მოკლე გზა ვარჩიე. მოვნახე ის სახლი. დედაჩემს და მამინაცვალს მეორე სართულის ერთი ოთახი ეჭირათ. დედამ რომ დამინახა, ჩამეხუტა და ტირილი მორთო. თურმე, რაც გათხოვდა, დღენიადაგ ტიროდა, ჩვენ ვენატრებოდით. წამში დამავიწყდა ნათესავების ჩიჩინი. ცხადია, სადაც დედა იქნებოდა, მეც იქ უნდა ვყოფილიყავი. დიდიდიდი რვა წლის ბიჭი ვიყავი და უდედოდ გამიჭირდებოდა.

ცოტა ხანს ამ ბინაში ვიცხოვრეთ მე, დედამ, მამინაცვალმა და ახალმა ნახევარძმამ. ისიც ჩემი ტოლი იყო, დედა ცოცხალი ჰყავდა და, ბუნებრივია, ლეკვივით იღრინებოდა.

მალე დაც მოვიდა, უფროსი ძმაც. გადავწყვიტეთ, ყველანი შინ დავბრუნებულიყავით და მამისეულ სახლში გვეცხოვრა.

ასე შეიქმნა მრავალსულოვანი ოჯახი. ჩვენ, მამაჩემის შვილები ოთხნი ვიყავით. მამინაცვალმაც გოგო-ბიჭი მოიყოლია. მერე ერთიც გაჩნდა, ნაბოლარა გოგო... ჩვენს სახლში სტუმარი არ ილეოდა და საკმაოდ ხმაურიანი ცხოვრება გვქონდა.

ეგაა, მამის ნათესავები დაგვემდურნენ, ზურგი გვაქციეს.

მამინაცვალი ცუდი ზნის კაცი არ იყო, უყვარდა სტუმარი, ტაშ-ფანდური, ტრაბახი, ცხენი და ჩოხა-ახალუხი. ქალაქის

გუნდში მღეროდა კრიმანჭულს, ფუქსავატობა ხელს უშლიდა ცხოვრება რიგიანად მოეწყო.

გერები პატივით ვექცეოდით, მაგრამ დაფიცებული გვქონდა, ჩვენს ჭიშკარზე სამსონის სახელი აღარ გაქრებოდა და სერიოზული კონფლიქტი მაშინ მოხდა, როცა ერთი ხელისდადება ფირნიშის მოხსნა მოინდომეს. ისიც ალბათ თავმოყვარეობის გამო, კაცი თავს ოჯახის უფროსად თვლიდა და ჭიშკარზე წინამორბედის სახელი ერცხვინებოდა...

კონფლიქტი არ გაღრმავებულა, მამინაცვალმა და დედამ მეზობელ ქუჩაზე ნაკვეთი შეიძინეს, შიგ ერთი ფიცრული ქოხი იდგა და იმაში გადავიდნენ... მამის სახლში ჩემი საშულო ძმა პალიკო, იგივე მუნტულია დარჩა, ჩვენს შორის ყველაზე ადრე, თხუთმეტი წლისა დაქორწინდა, ოთხი შვილის გაზრდაც მოასწრო და ორმოცდარვა წლისა მიწაში ჩავიდა...

7

ხომ იცით, სახელგანთქმული კაბალიერო რამ დაღუპა? წიგნმა და მოწყენილობამ... წიგნებს, ცხადია, მხოლოდ რაინდულს კითხულობდა. რაც შეეხება მოწყენილობას, წარმოიდგინეთ, მზით გადახრუკული კასტილიის ველები, მტვრიანი გზები, კირით შეთეთრებული, უსახური სახლები... მეღორე დულსინეებით და ჩასუქებული სანჩოებით დასახლებული სოფლები, სადაც ბულბულის ყეფაზე უფრო ვირის ყროყინი ისმის... რა თქმა უნდა, ადგები კაცი, თავზე ჩაჩქანს დაიხურავ, შეჯდები როსინანტზე და წახვალ თავგადასავლების საძებრად...

მე რამ გადამრია?.. წიგნებმა და მოწყენილობამ... რაც შეეხება წიგნებს, ეს ცოდვით სავსენი, ისე იყო გაჯერებული ჩვენს ბედნიერ და მშიერ ცხოვრებაზე, ცრემლებით – იმათ მაძღარ და ჩაგრულ ყოფაზე, რომ ჩემი კეთილი გული მსოფლიო სატკივარით აღივსო... ეს ისეთი დაავადებაა, როცა შესაძლებელია, იქვე კუთხეში მიმჯდარი მათხოვარი ვერ შეამჩნიო, მაგრამ ცრემლი ღვარო შენს წარმოსახვაში დაბადებული ვინმე ჰოტენტოტის უბედური ცხოვრების გამო. თუ ადამიანი სევდისთვისაა

გაჩენილი, დედამიწის ყველა გრძედსა და განედზე ყოფა ერთნაირად მოსაწყენია, ხოლო თავგადასავლები და საოცარი ფათერაკები ყოველთვის სხვაგან ხდება, იმ ჰორიზონტებს მიღმა, იქ, სადაც ჩვენ არა ვართ და ვერც ვერასოდეს ვაღწევთ...

ასეთი სულისკვეთება რომ გამიჩნდა, უპირველეს ყოვლისა, საომრად არ წავსულვარ. დავტაცე ხელი საწერკალამს, მელანში ამოვავლე და სასკოლო რვეულის ფურცელზე ამოვიყვანე მსხვილი ასოებით „ქეთევანი და ნოშრევანი“. ეს უკანასკნელი გასაგებია! ცოტა ხნით ადრე „სურამის ციხე“ წავიკითხე, თანაც ჩემს ირგვლივ ნოშრევანი არავის ერქვა და წიგნის გმირისათვის ზედგამოჭრილი მომეჩვენა. რაც შეეხება ქეთევანს, ოჰო, ასე ერქვა ჩემს გულისვარდს... არა პირველს და არა უკანასკნელს!.. იმ დროს ხომ, სახელგანთქმული იდალგოსაგან განსხვავებით, დიდი ერთგულებით არ გამოვირჩეოდი და ჩემი გულისვარდები ერთმანეთს წამდაუწუმ ენაცვლებოდნენ.

სულ პირველი მეზობლის გოგონა იყო, ერთი ჩაპუტკუნებული, თეთრბაფთიანი არსება. იმათ ეზოში ცხვირის შეყოფას ვერ ვბედავდი, რაკი ჩემი სიმაღლის ინდაურები მეტად აგრესიულად მხვდებოდნენ. უფრო იმიტომ მომწონდა, მეტად ქათქათა ჩანდა, მე კი პირდაუბანელი, მოკლე ტრუსის ამარა, ქუჩაში სირბილისაგან გაზინთული, ცხვირმოუხოცავი, ჭიშკრიდან ვაშტერდებოდი... ცოტა ხანი და გულში ღალატის ისარმა გაიარა. ჩვენს სახლში ებრაელები რომ მდგმურად იდგნენ, იმათ უმცროსთან, თავცეცხლა გოგოსთან ვთამაშობდი და ერთიორჯერ „ცოლიკოც“ კი დავუძახე.

სკოლაში რომ შემიყვანეს, იმდენი ხატულა გოგო დამხვდა, არჩევანი ვერ გავაკეთე.

მესამე კლასში ქობულეთს წამიყვანეს, ბავშვთა სანატორიუმში და იქ შედგა დრამა-სამკუთხედი. მე მიყვარდა ქეთევანი, მაგრამ მან ამაზე არაფერი იცოდა. მე ვუყვარდი რუსუდანს, მაგრამ ჩემი გული ხომ უკვე დაკავებული იყო. ამ მდიდარ გამოცდილებას წყალში ხომ არ გადავყრიდი და ამიტომაც პირველი რომანის მთავარი პერსონაჟი მაინცდამაინც ქეთევანი უნდა ყოფილიყო... დიახ, მეოთხეკლასელი ვიყავი და

სასიყვარულო რომანს ვწერდი. სამწუხაროდ, ჩემს თავში ჯერაც არ დალაგებულიყო ის დომხალი, რაც შეზავდა „მამელუკის“, „რობინზონ კრუზოს“, „კოლხეთის ცისკარის“ და ასე შემდეგ წაკითხვისაგან. ამიტომაც რომანში გვერდიგვერდ თანაარსებობდა მონებად გაყიდვა, აფრიკაში მოგზაურობა, რევოლუცია, კოლექტივიზაცია, გლეხი და თავადი... მთვარიან ღამეს ერთმანეთს ხვდებიან ქეთევანი და ნოშრევანი. შეყვარებულები ბაგეებით ერთმანეთს ეკონებიან. ცხადია, ნოშრევანი ეს მე ვარ, ეს ჩემი ფსევდონიმია და ვკოცნი ქეთევანს, რომელსაც ახლა, ამ წუთას, საქართველოს რომელიღაც კუთხეში გემრიელად სძინავს და სიზმრადაც ვერ ხედავს, რომ კოცნიან.

მეოთხეკლასელის ასაკი ისეთია, როცა დღე ძალიან გრძელია, თვე ხომ თითქმის საუკუნეა. თუ გინდა, რომ არ მოგწყინდეს, მუდამ ახალი რამ უნდა მოიგონო, ერთ რამეზე დიდხანს ვერ შეჩერდები და რაკი ქაღალდზე კალმის ტარება ვისწავლე, ათიოდე სხვა მოთხრობაც გამოვაცხე... მათი პერსონაჟები აღმოცენდნენ წიგნების სამყაროდან, სახლობდნენ დედამიწის სხვადასხვა კუთხეში, წარმოსახვით შექმნილ, ეფემერულ სამყაროში, რომელსაც, რა თქმა უნდა, მოსაწყენ სინამდვილესთან არაფერი ჰქონდა საერთო.

ერთ დღეს ყველაფერი ეს საერთო რვეულში ფანქრით ჩავაწიკწიკე და გავუგზავნე „საბლიტგამს“.

8

უკვე მეხუთეკლასელი ვიყავი. მანამდე ქალთა და ვაჟთა სკოლები ცალ-ცალკე არსებობდნენ. ჩვენი ქუჩის ბოლოს III საშუალო სკოლაა, ის იყო ქალთა სკოლა, ოღონდ ოთხი კლასის ჩათვლით ბიჭებსაც ასწავლიდნენ. ოთხი კლასი მეც აქ დავამთავრე. ჩვენ გვასწავლიდა შესანიშნავი პიროვნება, თბილი და მოსიყვარულე ქალბატონი ქსენია სამუშია. რუსულს გვასწავლიდა პაშა ჯოლოგუა, ფიცხი, მაგრამ სამართლიანი პედაგოგი. იმ დროს იგი ლენინის ორდენით დააჯილდოვეს. ჩემს ირგვლის მორუსულე არავინ ცხოვრობდა და ალბათ მისი და

რუსული წიგნების დამსახურებაა, რომ ეს ენა არც მახსოვს როდის ავითვისე. მოკლედ, დავამთავრე ოთხი კლასი და გადამიყვანეს ვაჟთა სკოლაში, ქალაქის სტადიონის გვერდით.

ერთხელ ჩემი უფროსი ძმა შოთიკო მობრუნდა სკოლიდან და ამბავი მოიტანა, სტალინს ტვინში სისხლი ჩაექცაო. ამისი დაჯერება ძნელი იყო. სტალინი ხომ უკვდავთა სიაში ეწერა და ჩვეულებრივი ადამიანივით, აბა, რანაირად უნდა მომკვდარიყო.

ნაშუადღევის ცვლაში ვიყავი და სკოლისაკენ მოვკურცხლე. ვხედავ, ყველა აბნეულია. მასწავლებლები თვალაცრემლებულნი დაბორიალებენ. ბავშვებიც წყნარად მიმოდიან. არ ისმის ჩვეულებრივი მხიარული ჟრიამული. კლასში შეგვიყვანეს და მასწავლებელმა გამოგვიცხადა, დღეს სწავლა არ გვექნებაო.

ბულვარს მივაშურე. იქ, მუსიკალური სკოლის აივანზე რეპროდუქტორი გამოედგათ. შეწუხებული ხალხი ჯგუფად იდგა და უსმენდა. ბერია ლაპარაკობდა. წყვეტილ-წყვეტილად, შესვენებებით ალაგებდა სიტყვებს. შინაარსი არც დამამახსოვრდა. კაცები ჩუმ-ჩუმად, მოკრძალებით თუ იტყოდნენ: „რა გვეშველება!“ „ომი გარდაუვალია!“„ამბობენ, ამერიკის გემები უკვე მოემართებიანო!“ „ამ გაზაფხულზე თავს უნდა დაგვესხან!“ სტალინი ერთადერთ ფარად მიაჩნდათ, ამერიკისაგან რომ გვიცავდა, უსტალინოდ კი მტერს ვერ გავუმკლავდებოდით.

შინ მივბრუნდი. ობლობის გრძნობა დამეუფლა, თითქოს მარტოდმარტო შევრჩი სამყაროს და საშიშროება მოელიდა ჩემს ქალაქს, ქვეყანას, სოციალიზმს... მე კი ვერაფერს ვუშველიდი... დონ კიხოტი აფაჩუნდა ჩემს არსებაში. გადავწყვიტე თავი გადამედო და გმირობა ჩამედინა. თუმცა ეს გადაწყვეტილება უშუალოდ ბელადის სიკვდილის ფაქტიდან არ გამომდინარეობდა, მაგრამ ჩემში აღძრული უთქმელი ლტოლვა დროით დაემთხვა ჯერ კიდევ უხილავი, მაგრამ კარს მომდგარი სულიერი კრიზისის ეპოქას...

9

კორეელი და-ძმა, თურქი ბიჭუნა აღა, ზანგი ბიჭი ჯიმი და მსგავსნი მათნი იმ ჩემი ოპუსების გმირები გახდნენ. მსოფლიო დაავადებული იყო, მის ყოველ კუთხე-კუნჭულში ადამიანები იტანჯებოდნენ და შველას ითხოვდნენ. მე ხომ უკვე მეხუთეკლასელი ვიყავი. ეს ისეთი ასაკია, როცა კაცმა საგმირო საქმეებზე უნდა იფიქროს... ჩემი ოცნების ლარი ხან აქედან მივუზომე ჩემს მწირ ცოდნას, ხან იქიდან, და ბოლოს თურქეთი ავირჩიე.

რატომ მაინცდამაინც თურქეთი? ჯერ ერთი, ახლოს იყო, მეორეც, გაჭირვებული იყო, მესამეც, იქ ქართულად მოუბარნიც ცხოვრობდნენ და ლაზებთან მეგრულიც ხომ გაჭრიდა... თანაც პარმენ ლორიას „ნაირას“ თუ ვერწმუნებით, თურქეთის მცხოვრებნი დღე და ღამე იმის ოცნებაში არიან, როგორმე გადმოიპარონ ჩვენს ბედნიერ ქვეყანაში და სოციალიზმის სიამტკბილობა იგემონ... თვითონ ნაირაც ისე იოლად გადმოვიდა საზღვარზე, ადგა და მუხლებამდე წყალი გამოტოპა... მთავარი იყო იქამდე ჩამეღწია, მერე ღამეს დაველოდებოდი და საზღვარს გადავლახავდი. თავდაპირველად, რა თქმა უნდა, ტყეში დავიმალებოდი, არსენა-ბიჭივით სახელს გავითქვამდი, მდიდარს წავართმევდი, ღარიბებს დავურიგებდი. გლეხები სიხარულით გამოიქცეოდნენ და ჩემს რაზმში იმდენს შევკრებდი, ვილაიეთებს ერთიმეორის მიყოლებით გავათავისუფლებდი, ბოლოს კი ანკარას შემოვარტყამდი ალყას... ყველაფერი ეს მოხდებოდა ყვავილების ზღვაში და ტაშის გრიალში, რაკი სიკვდილი არავისი მეწადა, მტრისიც კი...

ეს ყველაფერი, ათასნაირი ჭრელი ფერებით შეზავებული, სხვადასხვანაირი ფანტასტიკური დეტალებით დახუნძლული, ისევ და ისევ ბრუნდებოდა ჩემს წარმოსახვაში, სანამ ზღაპრის სიუჟეტი რეალურს არ დაემსგავსა... ალბათ მართლაც ასე იქმნება მხატვრული ნაწარმოებიც. ავტორის პირველი გაფიქრება იქნებ უსაგნო და რაღაც ფოფინაა, მაგრამ თანდათან სხეულს შეიძენს და ბოლოს მოგონილი სამყარო მწერლისთვის შეიძლება უფრო რეალური აღმოჩნდეს, ვიდრე თვით რეალობა.

ჩუმად დავიწყე მზადება. შოთიკოს ჯიბის საათი ჰქონდა, კარგა ხნის გაჩერებული, სიდარბაისლისათვის ჩავიდე ჯიბეში... მამინაცვალი იარაღის ტრფიალი იყო, ცხენ-უნაგირზე გიჟდებოდა. საბედნიეროდ, ამჯერად არც იარაღი ჰქონდა და ცხენიც არ ება თავლაში. ერთადერთი, კარგად გალესილი მონადირის დანა ედო უჯრაში და ის წავიღე... ბუნებრივია, შორი გზით მავალს დანაც დამჭირდებოდა და საათიც, თუნდაც ის სულაც არ წიკწიკებდეს... მერე ძაკუს მათარას დავადგი თვალი. ეს ძაკუ, გვარად ჭურღულია, ოთხმოცს გადაცილებული დედაბერი, მეზობლად ცხოვრობდა. ფეხი მოტეხილი ჰქონდა და ყავარჯნით ძლივს დადიოდა. ვეხმარებოდი ხოლმე საოჯახო საქმეებში და საჭმლის გაკეთების დროს ხელს წავუკრავდი, ხილს დავუკრეფდი, ზღაპრებს ვუყვებოდი და ამით ვართობდი. რა დასამალია და ხშირად მისი ღამის ქოთანიც დამქონდა საპირფარეშოში. თვითონ ღონე არ ჰყოფნიდა და რა მექნა... ჰოდა, დედაბერს ძველი მათარა ჰქონდა და მისგან ვინათხოვრე, ველად გაჭრილისათვის ზედგამოჭრილი იყო. გული ერთ რამეზე მეთანაღრებოდა, იმსისქე წიგნი რომ გამოვაცხე და თბილისში გავაგზავნე. თუ მე თურქეთში გადავიკარგებოდი, იმ წიგნის ბედ-იღბალს ვინღა გამაგებინებდა.

გადავწყვიტე, გზად თბილის-ქალაქს ვწვეოდი.

გაზაფხულის სიგრილე განელებული არ იყო და პერანგზე მამინაცვლის დაბამბული ჯუბა გადავიცვი. სახელოები ავიკაპიწე, კალთებს კი, ცხადია, ვერ დავუმოკლებდი.

დარიანი საღამო შევარჩიე. ჩემს მეგობარს, გიგლა ჯანაშიას გეგმა ადრევე გავუმხილე. სანდო ძმაკაცი იყო, არ გამცემდა. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ თუ მოვინდომებდი, თურქეთს მართლაც გადავატრიალებდი... თხილის ქარხანას რომ ვეძახით, იქ, რკინიგზის გადასასვლელთან დავადექი გზას... ადრეც, არ მახსოვს, რა ასაკისა ვიყავი, ამ გზით ვიარე. მინდოდა თბილისამდე ჩასვლა, მაგრამ გზაში შემომაღამდა, შემეშინდა და ცაცხვის გადასარბენამდე რომ მივაღწიე, მოგზაურობის ჟინი გამინელდა, ტრასაზე გავედი და უკან, ზუგდიდისაკენ მიმავალ

მანქანას გამოვყევი... მაშინ დიადი იდეა ჯერ კიდევ არ მაწუხებდა. ახლა სულ სხვა რამე მიმერეკებოდა და ღამის ჩრდილები ვერ შემაშინებდნენ.

მანძილი ინგირამდე არც ისე შორია, მაგრამ შინიდან ხომ შეღამებულზე გავედი, ამიტომაც ბინდი მალევე ჩამოწვა. მარტოსული მოგზაურისათვის ყველაზე მძიმე განცდა ძილის პირია. დილიდან მავალს წინ ნათელი და მზიანი დღე ელოდება. საღამოს კი იდუმალი ღამე მოჰყვება. სივრცე თანდათან მუქდება. ლიანდაგის გასწვრივ ეზოები ჩამწკრივებულა. ჭიშკრებთან ნახირი მიმდგარა. ყოველი საქონელი თავის ბოსელს ეძებს. დედები ეძახიან პატარებს, ვახშმად იხმობენ. ესენი უდარდელად თამაშობენ. იციან, რაც არ უნდა გაიხანგრძლივონ რბენა-ყიჟინა, საჭმელი და ლოგინი ელოდებათ... მე კი მივდივარ და არც კი ვიცი, მომდევნო მოსახვევთან რა დამხვდება.

აგერ ვიღაცა დგას და მითვალთვალებს. ნაბიჯს ვანელებ, ნელა ვუახლოვდები, გასაქცევად მზადა ვარ... თურმე ხარიხაზე სამარქაფო რელსები აწყვია. წინ ურჩხული დაიგრაგნა, შავი, საზარელი პირი მოაღო. გული ძალუმად მიბრაგუნებს. ნელა ვუახლოვდები... ეკალბარდებით ახუნძლული ბუჩქია...

ცოტაც და ნათურების რიგი ჩამწკრივდა... მალე იქ ვიქნები, რკინიგზის სადგურზე... მგზავრები მატარებელს ელოდებიან და მეც უშიშრად ვგრძნობ თავს.

რკინიგზის ზუგდიდის შტო მთავარ მაგისტრალს უერთდება. დაგადუგით ჩაივლის მატარებელი, ფარებს აბრდღვიალებს. ხმაურით გარბიან ვაგონები. განათებულ ფანჯრებში თბილად, მყუდროდ მოყუჩებულან მგზავრები... მე გარეთ, ბნელში ვდგავარ და მცივა.

მატარებელი უკვე წავიდა, რელსებს კი კვლავაც რაკარუკი გააქვს...

აგერ სადგურიც!.. სიბნელეს გამოვექეცი და განათებულ ბაქანზე აღმოვჩნდი...

10

გარეთ საკმაოდ ცივა, დაბამბული ჯუბა არაფერს მშველის.

მოსაცდელი დარბაზი მგზავრებითაა სავსე, ამიტომაც აქ შედარებით თბილა.

თავისუფალ ადგილს ვეძებ. რამდენიმე სვანი ჩამომჯდარა ხალვათად. მეც ჩავეკვეხე. დაღლილი ვარ, თვლემა მერევა.

უხეშად მანჯღრევენ. თავზე ბეჭებგანიერი, სქელი მილიციელი მადგას.

— ვისთანა ხარ?

დაბნეული ვიყურები აქეთ-იქით. ტყუილის თქმა მიჭირს. გვერდით მჯდომი სვანი პასუხობს:

— ჩემთანაა!

მილიციელი გვშორდება. სვანი კი მუსაიფს მიწყებს. მატარებლის მოლოდინი გრძელ, მოსაწყენ წუთებად იწელება, ამიტომ თუ ერთობა.

ჯიბიდან საათს ვაძრობ. მართალია, არ მუშაობს, გასაკეთებელია, მაგრამ მაინც საათია. სვანი ხელში შეათამაშებს, ყურთან მიიტანს. არ მუშაობს! ეს ის დროა, როცა საათი ძვირი ღირს და არ იშოვება. მერე აღმოჩნდა, რომ ეს საათი ჩვენი ოჯახის საკუთრება არცაა, პარმენ მასწავლებლისაა, ჩემმა ძმამ შოთიკომ წამოიღო გასაკეთებლად. ჩხირკედელაობა ეხერხებოდა და იმიტომ. მე არც მაინტერესებს, სხვისია თუ ძმისია, ჯიბეში კაპიკი ფული არა მაქვს, უფულოდ კი მსოფლიო რევოლუციას ვერ განახორციელებ. სვანი ჯიბეში იდებს საათს, მე კი თუმნიანს მაძლევს... მაგარი ვაჭარი ვარ! სხვა, ჩემზე მარიფათიანი, ხუთ თუმნად გაყიდდა.

ისმის გრიალი. მატარებელი ჩამოდგა. გარეთ გავედი. მოსკოვისაა, ყველა კარი დაგმანულია, გაღებას არავინ აპირებს. ავუყვები ვაგონებს, სანამ რამეს მოვისაზრებ, მატარებელი ადგილიდან იძვრის და გარბის.

დარბაზში ვბრუნდები, იმ სვანს დანას ვუჩვენებ. ჯიბეში იდებს, თან სამმანეთიანს მაწვდის. მებოდიშება, მეტი არც მე

მაქვსო (ეს დანა პატრონს შვიდ თუმნად უყიდია). ახლა მდიდარი ვარ, ცამეტი მანეთი მაქვს.

დავიღალე. ზურგი ამტკივდა. წამოწოლა ისე მინდა, გაძლება მიჭირს. ხან სახელურს გადავეყუდები, ხან საკუთარ მუხლებზე ჩამოვეყუნცები. როგორც კი ჩავთვლემ, თავზე მილიციელი წამომადგება. სკამის ზურგზე გასაღებს დააკაკუნებს.

— ნუ გძინავთ, სასტუმრო არ გეგონოთ!

ხანდახან ვავიწყდები, თავზე დამადგება და კითხულობს:

— ვისთანაა ეს ბავშვი?

— ჩემთანაა! – უმეორებს სვანი.

დარბაზი თანდათან ცარიელდება, ზოგი მანქანაზე ადის და მიდის, ბილეთიანები იშვიათ მატარებელში სხდებიან.

მე ბილეთს ვინ მომაშავებს. მალე გათენდება. დარბაზშიც ცივა, მაკანკალებს... ჩემი ლოგინი მენატრება. ვინ იცის, დედა-ჩემი რა დღეშია! მან უკვე გამომიტირა! მეზობლები მთელ ქალაქში მეძებენ, ნათესავ-მეგობრები არ დაუტოვებიათ. მილიციაც ფეხზე დამდგარა. ბოტანიკური ბაღის აუზში იჩხრიკებიან, შიგ ხომ არ ჩაიხრჩოო. ჰეკ ფინს რომ ეძებდნენ მისურის წყლებში, ისე. ვერავინ მიხვდა, აგერ ხუთიოდე კილომეტრზე, სადგურ ინგირში მოვეძებნეთ, თორემ ყურით მიმათრევდნენ შინ.

გამთენიისას, ალბათ, მილიციელსაც დავავიწყდი და ჩამეძინა. სიცივემ და სკამის ფიცარმა გამაღვიძა. ძლივს გავიზმორე. მაგრად ვიყავი დაბეგვილი.

ბაქანზე გავედი. მზის სხივები გაწოლილიყო და ყველაფერს მეწამული დასდებოდა.

ჩქარი ნაბიჯით გავიარ-გამოვიარე, გავთბი.

მზე ამოვიდა. უფრო და უფრო დათბა. ონკანთან პირი დავიბანე, პერანგის კალთით შევიმშრალე. კიოსკში ღვეზელი შევიძინე. სადგურისპირა ბაზარში მაწონი ვიყიდე. ნახევარი იქვე ამოვლოკე, ნახევარი მათარაში ჩავისხი...

ნაცნობ რუსის ბიჭს გადავეყარე, საირმის ქუჩიდან. საით გაგიწევიაო, მკითხა. არ იცოდა, რომ გამოპარული ვიყავი. თბილისისკენ-მეთქი. ხუმრობაში ჩამითვალა... ზუგდიდში ჩაუტანია ამბავი, ჯემალი ვნახე, თბილისში მიემგზავრებოდაო. ჩემებმა აქედან გაიგეს, სად გადავიკარგე.

მოულოდნელად გრძელი მატარებელი ჩამოდგა, მგონი, სოხუმისა.

ბოლო ვაგონთან ვიდექი. დამავიწყდა მეთქვა, წიგნი მქონდა თან წამოღებული, „რამაიანა“. ჩემში ხომ დონ კიხოტი იჯდა და უწიგნოდ რანაირად გავძლებდი. ვაგონის ახალგაზრდა გამცილებელმა მკითხა, ეს რა წიგნიაო. მეც ვუთხარი, რა წიგნიც იყო.

ფურცლავს, თან მეკითხება, სად მიდიხარო. თბილისში-მეთქი. ეტყობა, წიგნი არ ეთმობა. ალბათ ამიტომ მითხრა, ამოდი თუ მოდიხარო.

ავედი და იქვე, ბოლო ტამბურში, კედელზე მიმაგრებული სკამი ჩამოვწიე და დავჯექი. გამცილებელმა სხვებიც ამოუშვა, ახლო სადგურებზე მიმავალნი. ჩემს გარდა, ყველას ფულს ახდევინებდა, ჩემთვის კი არაფერი უთხოვია, რადგან ჩემი წიგნით ერთობოდა.

საოცარი იყო ეს მოგზაურობა!.. გამცილებელი ქაქანებდა, დამგზავრებულ ქალებს თავს აწონებდა. „რამაიანასი“ მას არაფერი ეჩერჩეტებოდა, მაგრამ მივხვდი, წიგნი დავკარგე. სამაგიეროდ ცნობისმოყვარეობას სრულად ვიკმაყოფილებდი. ბოლო ვაგონის ტამბურში მოგზაურობა პატარა საქმე ხომ არ არის! უკანა კარის შუშიდან ვრცელი ხედი გარბის. ზიხარ შენთვის და ნაირნაირ პეიზაჟებს ათვალიერებ.

ახლა იოლია მგზავრობა. ათასჯერ გავიარე ამ გზაზე. პირველი მგზავრობა კი სულ სხვაა. ამ დროს ყველაფერი საინტერესოა. გზისპირა ეკალბარდები და ველური ბროწეული, სოფლები და ქალაქები, გზები და ხიდები... შორეული მთები და მღელვარე მდინარეები... რევიზორის შიში ყოველ გადასარბენზე და სიხარული იმის გამო, რომ რევიზორმა ბოლო ტამბურისათვის ვერ მოიცალა.

ასე გადავიგრიალეთ სამეგრელო და იმერეთი. მატარებელმა თავი შერგო რიკოთის გვირაბში. ამსიგრძე გვირაბის გავლა ხომ მთლად ზღაპარია. თუმცა კედლებზე მბჟუტავი ნათურების გარდა ვერაფერს დაინახავ, მაგრამ მთავარი ის კი არაა, რასაც დაინახავ, მთავარი ისაა, რას წარმოიდგენ.

აგერ ხაშურში ჩავაღწიეთ. გამცილებელი მეუბნება, არიქა, რევიზორები მოდიან და დაგიჭერენო. იძულებული ვარ, ჩამოვხტე. ირგვლივ კი მხოლოდ და მხოლოდ ლიანდაგები და სხვადასხვანაირი მატარებლებია. ზოგი გაჰკივის, ზოგი ქშინავს, ზოგი უბრალოდ ორთქლს უშვებს...

11

ვხედავ, იქვე, მეზობელი ლიანდაგიდან ზოზინით დაიძრა გრძელზე-გრძელი საბარგო მატარებელი..

ბევრი არ მიფიქრია, დაველოდე ბაქნიან ვაგონს და საფეხურს ავეკიდე.

ღია ბაქანს ჩამოსაწევი სკამი აქვს გამცილებლისათვის და იმაზე მოვიჭუჭკე. მზიანი დღე იყო, სასიამოვნო ნიავი ქაქანებდა. ამ სიამოვნებას ანელებდა შიმშილი, წყურვილი და შიში, რომ გამცილებელნი შემამჩნევენ და ვაგონიდან ჩამომათრევენ.

მატარებელმა აუჩქარა სვლას და მალე მთელი სისწრაფით გაიჭრა ფართო ველებზე.

ხან ერთ მხარეს გადავეყუდები, ხან მეორეს... მთელი ხმით ვმღერი:

„დიდავოი, ნა-ნა, დიდავოი, ნა-ნი-ნა...“ ჩემს ამ ჭიხვინს ჩემს გარდა ვერავინ გაიგონებდა და რა მენაღვლებოდა.

სულ სხვანაირი ყოფილა ქართლის ველები. ფართოდ გაშლილი სანახები უფრო ღია ფერებითაა შეღებილი. გარს შემოჯარული შორეული მთებიც სადა ფარდაგივითაა.

ორ საათში ჩავგრიალდი გორში. მატარებელმა სვლა შეანელა. ვინმემ არ შემამჩნიოს-მეთქი და საპირისპირო მხარეს ჩამოვხტი, ვაგონების ქვეშ გავძვერი და ქალაქში გავედი.

ოთხი-ხუთი საათი მაინც იქნებოდა. საკმაოდ დაცხა. გეზი გორის ციხისაკენ ავიღე. სტალინი ახლახან მიიცვალა და რანაირად შემეძლო გორში ისე გამევლო, არ მენახა სახლი, რომელიც ჩემს სასკოლო სახელმძღვანელოშიც ეხატა.

აგერ ფართო მოედანი. მაღალ კვარცხლბეკზე სტალინის რუხი ქანდაკება დგას. სკვერის ბოლოს კი მარმარილოს გალიაში ჩამწყვდეული პატარა ქოხი ვნახე. დიდის ამბით შემოვუარე გარს, შევიხედე ორ ღარიბულ ოთახში და გავიფიქრე: მსოფლიო ბელადიც რომ გავხდე, ჩემს ორსართულიან, ხის ფარღალალა სახლს მარმარილოს გალიაში არ ჩავამწყვდევ-მეთქი. მაინცდამაინც არ მეეჭვებოდა, რომ მადლიერი კაცობრიობა ასეც მოინდომებდა.

პატარა ქოხმახებში ვიწრო ქუჩა გავიარე, ბილიკს წავაწყდი და იმით მთლად დედაციხეზე ავედი, იქიდან გადავხედე ქალაქს.

ამასობაში მოსაღამოვდა, აგრილდა და გუნება გამიფუჭდა. წინ ღამე მელოდა, წასასვლელი კი არსად მქონდა... სადგურისაკენ მივბრუნდი. უკვე ბინდდებოდა, პერონზე რომ გავედი, და ზედ ცხვირწინ საბარგო მატარებელი აიძრა.

გამოცდილება უკვე მქონდა. შორიდან შევამჩნიე ბაქნიანი ვაგონი და საფეხურს შევახტი. სკამზე მოვკალათდი. ამასობაში მატარებელი გორს გასცილდა.

სივრცე თანდათან ბინდით აივსო, აკიაფდა შორეული სოფლების ელნათურები.

ტაატით მიიზლაზნებოდა ჩემი მატარებელი, ცივი ნიავი უბერავდა, სიბნელესა და სიცივეს შიშიც ერწყმოდა.

ახლა უკვე სხვანაირ სიმღერას ვმღეროდი. სიმღერას კი არა, მოთქმას უფრო ჰგავდა: „ვითოჟირი წანერ ვორდი, ნა...“ ასაკსაც უხდებოდა და მარტოობის წუხილსაც. ჩემი პატრონი არავინ იყო, მარტო შევრჩი ბნელ სივრცეს და ეს გაუგებარი მატარებელი მიმაქროლებდა გაუგებარი მხარისაკენ. რა იოლია წარმოსახვაში ბროლის სასახლეების აშენება და რა ძნელია საკუთარი ხელით თუნდაც ალიზის ქოხის აგება.

გვიან ღამე ჩავაღწიე თბილისი-ქალაქში. ცა ვარსკვლავებით გაიჭედა და ძირსაც, მთის კალთებზე უამრავი ვარსკვლავი აციმციმდა. დიდი ქალაქის ღამე ჯერ არ მენახა, ოღონდ ამ მირიად ნათურაში ერთიც არ იყო, მე რომ მომიხმობდა და სითბოს მიწილადებდა.

გავიარე დიდუბე და მატარებელი ნელა, აუჩქარებლად შევიდა სატვირთო სადგურში. ირგვლივ მთვლემარე ვეშაპებივით გაწოლილიყო საბარგო შემადგენლობები და არ ვიცოდი,

საით წავსულიყავი.

ჩამოვხტი. ლიანდაგის გასწვრივ მორღვეული ღობე დავინახე. ღობის მიღმა შეშის შტაბელები ეწყო... ძაღლმა შემომყეფა. საყარაულო ჯიხური იდგა, იქიდან შუქი იღვრებოდა.

— რომელი ხარ? – ხნიერი კაცი გამოვიდა.

სიცრუე არ მიყვარს, სიმართლეს ვამჯობინებ, მაგრამ ვინმეს რომ ვუთხრა, შინიდან იმიტომ წამოვედი, თურქეთში გადავიპარო და რევოლუცია მოვახდინო-მეთქი, ხომ საგიჟეთში მიკრეს თავი. ამიტომ ზომიერ სიმართლეს ვამბობ ხოლმე, ტყუილს მცირე დოზით შევურევ. ვიცი, უფროსების გული მოგებულია, თუ ვიტყვი, რომ სწავლისათვის ვგიჟდები, იმიტომ წამოვედი, სადღაც უნდა ვისწავლო და კაცი უნდა გამოვიდე-მეთქი. ეს ისეთი არგუმენტია, ვისაც გინდა განაიარაღებს... უმრავლესობას სწავლა ეზარება, სწავლამოწადინებული კი ყველას უყვარს.

მეც არ დავაყოვნე, ღამის დარაჯს ჩავუკაკლე, ზუგდიდიდან ჩამოვედი, გზას ავცდი, ისე, სწავლას ვაპირებ და იმიტომ ვარ აქ-მეთქი. კი მყავს ქალაქში ნათესავები, მაგრამ ამ შუაღამეს სად ვეძებო-მეთქი. დარჩი აქაო, დიდსულოვნად შემომთავაზა. ჯიხურში ელექტროღუმელი ჩაერთო და თბილოდა. ხმელი ლავაშითა და წყლით გამიმასპინძლდა. ბევრი არ მიბოდიშია, მონდომებით შევუდექი ლოღნას. მერე მივწექი ხის საწოლზე. ფიცარზე არაფერი ეფინა, მაგრამ ისე ვიყავი დაღლილი, ისე გავთბი, მკვდარივით ჩამეძინა. დილით ღია კარიდან შემოსულმა სინათლემ გამომაღვიძა.

თავი გარეთ გავყავი. მეორე, შემცვლელი დარაჯი მოსულიყო და მასლაათობდნენ. გამომკითხეს. ტყუილი და მართალი კვლავ ზომიერად შევაზავე და თავი ისე შევაბრალე, არც მიხსენებია, უფულო რომ ვიყავი, მაგრამ ერთმა ოცდახუთმანეთიანი მაჩუქა, მეორემ – თუმნიანი, თანაც დამარიგეს, თუ ნათესავი ვერ იპოვე, ქუჩაში ნუ დარჩები, მეორე ღამეც ჩვენთან გაათიეო. გამოვემშვიდობე, გარღვეულ მესერში გავძვერი და ქუჩაში აღმოვჩნდი...

12

რა უნდა გააკეთოს პატარა ბიჭმა, როცა ის სიცოცხლეში პირველად მარტოდმარტო ჩამოეხეტება დედაქალაქში? რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ტრამვაის ჩამოეკიდოს და ისეირნოს აღმა-დაღმა. თანაც თუ ენა აბია, გზის გამოკითხვა არ ეზარება, თან წიგნებიდან იცის, რომ თბილისში არსებობს ზოოპარკი, ცირკი, მთაწმინდა, რუსთაველი, მუზეუმი და ასე შემდეგ, მაშინ მთლად უგზოუკვლოდ არ დაიკარგება.

ცხელოდა, მაგრამ ჩემს დაბამბულ ჯუბას ვერ შეველეოდი და შიგ ვიხარშებოდი.

ჯერ იყო და, სადგურის მოედანზე რომ ტრამვაი გახრიგინდა, იმას შევახტი. კონდუქტორმა უმალ ფული მომთხოვა. აღარ გამჭირვებია, ოღონდ იმ ტრამვაიმ იქით არ წამიყვანა, საითკენაც მინდოდა. თანაც მე წესიერად ვიხდიდი ამ კაპიკებს, თბილისელი ბიჭ-ბუჭები კი კიბეზე იყვნენ ახუნძლულნი. ერთხელ ბედი მეც ვცადე, მალაკნების ბაზართან სახელურს ჩამოვეკონწიალე, კონდუქტორმა კი, იმ უღვთომ, ჭიტლაყი მკრა და ჩამომაგდო. ირგვლივ დედაკაცები ავიშვიშდნენ, შვილო, რას შვები, ტრამვაის არ ჩაუვარდეო. მაშინ გამახსენდა პროპაგანდისტული, ცრემლიანი წერილები იმის თაობაზე, თუ როგორ მოაჭრა ჩემისთანა ბიჭუნას ტრამვაიმ ფეხები.

სიდინჯეს მოვუხმე და კითხვა-კითხვით მივაგენი მარჯანიშვილის ქუჩას, ამ ქუჩაზე კი „საბლიტგამის“ გამომცემლობას. მაშინ ასე ერქვა დღევანდელ „ნაკადულს“. ჩვეულებრივ ამ შენობის კარს დარაჯი არ უყენია. იმ დღეს კი ვიღაც უსაქმური მორიგეობდა. თავი შევყავი თუ არა, თითი მრისხანედ დამიქნია, დაიკარგე აქედან, შე მაწანწალაო... ალბათ მართლაც ვგავდი მაწანწალას, განსაკუთრებით გაზინთული ჯუბის გამო, მაგრამ იმ ასაკში ვიყავი, როცა არც ჰეკლბერი ფინი დაგიდევდათ კარგ ჩაცმულობას, მე კი სულაც ფეხებზე მეკიდა, რანაირად მეცვა და ამ ჩემი ჩაცმულობით მიმიღებდნენ თუ არა მაღალ საზოგადოებაში.

შევბრუნდი და ფეხით ავუყევი გზას რუსთაველის პროს-

პექტისაკენ. სადღაც გაზიანი წყალი დავლიე, ღვეზელი შევსანსლე. ასეთი დიდი შენობები ზუგდიდში, ცხადია, არა გვაქვს, მაგრამ მაინცდამაინც ლენჩივით პირდაღებულს არ მივლია. ამ შენობათა უმრავლესობა ხომ ფოტოზე მენახა. გაზეთებში წამდაუწუმ იბეჭდებოდა ასეთი ფოტოები, დახეთ, როგორ დავამშვენეთ ქალაქი, რა სახლები ავაშენეთო.

ჩავისეირნე რუსთაველზე და ისტორიულ მუზეუმს მივადექი. მანამადე რამდენჯერმე ვყოფილვარ ზუგდიდის მუზეუმში. ნაპოლეონის ნიღაბი ვნახე, დადიანების ჯამ-ჭურჭელი და, რაც ყველაზე საინტერესოდ მეჩვენებოდა, ორთავიანი ხბოს ფიტული. ამიტომ აქაც გვერდი ვერ ავუარე, თუმცა ვერ გამიგია, ჩემისთანა მაწანწალა რანაირად შეუშვეს. ცოტათი ცივი და უცხო მომეჩვენა მისი ფართო დარბაზები. მუხლებიც დამეღალა, ამდენი სიარულისაგან ფეხები მიბჟუოდა. როცა გამოვდიოდი, მეკარემ მითხრა, ამ ბილეთით გვერდით, ზოოლოგიურ განყოფილებაშიც შეხვალო.

ეს კი მართლაც მომეწონა. ბავშვებს ხომ ყველაფერზე უფრო ცხოველები მოსწონთ. თვითონაც ბუნების შვილები სიახლოვეს გრძნობენ ბუნებასთან, ცოცხალ სამყაროსთან. მერე ადამიანს ჭკუა ემატება და შორდება ბუნებას, თავის პირველსაწყისს. ბოლოს შეიძლება გადაავიწყდეს, რომ თვითონაც მაიმუნის ჯოგთან ერთად ჩამოვიდა ხიდან...

სანახაობა მართლაც თვალწარმტაცი იყო. საქართველოს ყველა კუთხის ფრინველი და ცხოველი ბუნებრივ ლანდშაფტში იყო მოთავსებული. ერთგან კი ის სახელგანთქმული უსურიის ვეფხვი იღრინებოდა, მრისხანედ აბრიალებდა თვალებს... სამწუხაროდ, შემდგომ „ინტერნაციონალურ მეგობრობას“ შეეწირა ეს განყოფილება და არ ვიცი, სად წაიღეს ის ექსპონატები.

გარეთ რომ გამოვედი, ისევ გაზიანი წყლით გავიჭყიპე და ყველა ბავშვისათვის სანატრელ გზას დავადექი. დარწმუნებული ვარ, ყოველ პატარას მოუნდება ერთხელ მაინც ფუნიკულიორის ტრამვაიზე ასეირნება...

მთაწმინდიდან მთელი ქალაქი ჩანდა. რა თქმა უნდა, მას შემდეგ თბილისი საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ მე ხომ მანამდე არ მენახა ამ სიდიდის ქალაქი და, სხვათა შორის, დიდრონ შენობებზე უფრო იმან გამაოცა, რომ ეს მილეთის ხალხი პატარ-პატარა სახლუკებში, ვიწრო ქუჩებსა და ხლართებში ცხოვრობდა...

მოკლედ, სანამ დღის სინათლე იყო, ჩემს გემოზე ვიხეტიალე, კარგი ექსკურსია გამომივიდა, მაგრამ მოსაღამოვდა და ისევ დამიბრუნდა სადარდებელი, რაც ქუჩაში მარტოდ დარჩენილ ბავშვს არ ასცდება.

რა მექნა, ისევ სადგურისაკენ გავუტიე, კვლავ შეშის დარაჯებს მივაკითხე. დიდი ამბით ჩავაბარე ანგარიში, ვიღაც-ვიღაცები ვნახე და ხვალ დამიბარეს-მეთქი. ეს უწყინარი ტყუილი საქმეს არ აფუჭებდა და სინდისის ქენჯნას დიდად არ შევუწუხებივარ...

13

დილით კვლავ გამოვემშვიდობე ჩემს კეთილ მასპინძლებს და გავეშურე. სად, თუ მიხვდებით?.. რა თქმა უნდა, ზოოპარკში.

მაშინ სადგურიდან ვაკისაკენ ტრამვაი მიდიოდა და მეც იმას გავყევი.

ცირკის შენობაც ადრევე მენახა სურათზე, ასბინიანი სახლის ფოტოც იყო ჩემს სახელმძღვანელოში.

ჩამოვუარე ვოლიერებს. ახლა იქ უკვე ჩემი შვილები დამყავს. დღევანდელი და იმდროინდელი ზოოპარკი დიდად განსხვავდება. მაშინ ბევრად უკეთესი იყო. სპილოც ჰყავდათ, მახრჩობელა გველიც და ათასი სხვა რამეც. ცხოველებს არც საჭმელი აკლდა, არც მოვლა და არც არავინ აწყენინებდა.

ზოოპარკიდან რომ გამოვედი, ვხედავ, ცირკის კიბეზე ხალხი ადის. ამ შემთხვევას ხელიდან ხომ არ გავუშვებდი. ბოლოს და ბოლოს თურქეთიც მოიცდიდა და მისი რევოლუციაც.

ბილეთი რომ ავიღე, ზედ ნაყინიც მივაყოლე. საერთოდ, შინიდან გამოქცეულ პატარებს ნაყინისა და გაზიანი წყლის გარდა სხვა არაფერი სჭირდებათ.

საცირკო წარმოდგენა მეხსიერებაში არ დამრჩა. ალბათ სხვა დროსა და სხვაგან ნანახი წარმოდგენები ერთმანეთს დაეფინა და ვეღარ ვარკვევ, როდის რა ვნახე.

შუადღეზე გავთავისუფლდი ამ ფრიად მნიშვნელოვანი საქმეებისაგან და მაშინღა მომაგონდა, რომ ერთხელაც უნდა მეცადა ბედი და ჩემი თხზულებები მომეკითხა.

გზა გავიკითხე და კვლავ მარჯანიშვილზე ამოვყავი თავი. კარი შევაღე, დარაჯი არსადაა. ავცუნცულდი კიბეზე. ვხედავ, დერეფნის დასაწყისშივე აწერია: „საბლიტგამი“. იქვე კედლის გაზეთიც ჰკიდია, შიგ კარიკატურაა.

მივაჩერდი კარიკატურას. ამ დროს გვერდით გამხდარი კაცი გაჩერდა.

— ვის ეძებ, ბიჭი?

დავიმორცხვე, ძლივს რაღაც წავილუღლუღე.

— რა გქვია? – კვლავ დამეკითხა უცნობი.

სახელი და გვარი მოვახსენე.

— ო! – წამოიძახა კაცმა. – მე კი პოლიო აბრამია ვარ!

ეს სახელი გამეგონა. ცოტა ხნით ადრე ზედიზედ წავიკითხე „ახალგაზრდა გვარდია“, „ალიტეტი მთებში მიდის“ და „მოსკოვიდან დაშორებით“, რომელიღაც მათგანის ტიტულზე ეწერა „თარგმნა პოლიო აბრამიამო“ (სიტყვა „ტიტული“, ცხადია, არ ვიცოდი).

გიცნობთ-მეთქი, რომ ვუთხარი, გაიხარა, ხელი მტაცა და დერეფნის სიღრმეში წამიყვანა. მოზრდილ დარბაზში შევედით. საწერ მაგიდებს სხვადასხვა ასაკის ქალბატონები უსხდნენ. ყველამ ჩვენსკენ მოიხედა. ბატონმა პოლიომ საზეიმო კილოთი გამოაცხადა:

— ჩვენი სტუმარია... – მან ჩემი სახელი და გვარი დაასახელა.

ატყდა ერთი ტკარცალი და ვაი-ვიში. გაოგნებული ვიხედებოდი აქეთ-იქით. ზოგი იძახდა, ეს რა პატარა ყოფილაო. ზოგმა იკითხა, ამისი ხელნაწერი სად არისო. ვიღაცამ თქვა, ამან და ამან წაიღოო, თან ცნობილი საბავშვო მწერალი ქალი დაასახელა... დამსვეს სკამზე, დამაყარეს კითხვები, მეც შეძლებისდაგვარად ვპასუხობდი.

საიდანღაც დეპეშა დააძვრეს, ბიჭი დაგვეკარგა და თქვენთან ხომ არ ჩამოსულაო. არც გავწითლებულვარ, ისე ავუხსენი, დაბრუნება შემაგვიანდა და ალბათ ღელავენ-მეთქი. რა ვუყოთო, მკითხეს, პასუხი გავუგზავნოთ თუ არაო. დღესვე უკან ვბრუნდები და პასუხი რა საჭიროა-მეთქი.

წიგნებს თუ კითხულობო. თავი დავუქნიე. ქაღალდი გადამიშალეს. ზედ ჩამოწერილი იყო იმ წლის წიგნების სია. აღმოჩნდა, რომ რამდენიმეს გარდა, სულ წაკითხული მქონია. ის წაუკითხავი წიგნები იქვე მომიძებნეს და მაჩუქეს. ერთზე მეუბნებიან, ეს ქალი ამ წიგნის რედაქტორიაო. მე კი ვერ გავიგე ამ სიტყვის მნიშვნელობა. ავტორი ვიცოდი, რაც იყო, რედაქტორი – არა.

ახალგაზრდა ქალბატონი მეკითხება:

— შენი გმირები რომ კოცნაობენ, ვინ გასწავლა?

რა უნდა მეთქვა?

— ცხადია, წიგნებმა! – სხვა ქალმა მოუჭრა.

მოკლედ, დიდის ამბით გამომაცილეს, თუმცა ჩემი ნაწერების თაობაზე ვერაფერი გავიგე, იმას მაინც მივხვდი, ჯობდა, არ მეკითხა...

14

ჩემი მისია თბილისში დასრულებულად ჩავთვალე.

ცენტრალურ ვაგზალზე მილიციას მოვერიდე და ამიტომ როგორღაც დიდუბემდე ჩავაღწიე.

ახლა იმაზე დავიწყე ფიქრი, რომელი გზა ამერჩია თურქეთში წასასვლელად. ან ბათუმში უნდა ჩავსულიყავი, ან ბორჯომში და იქიდან სამხრეთისაკენ ფეხით მევლო. ცხადია, წარმოდგენაც არ მქონდა, რომ საზღვართან კი არა, სასაზღვრო რაიონთანაც არავინ მიმიშვებდა.

სანამ ტვინს ვიჭყლეტდი, ბორჯომის შემადგენლობა ჩამოდგა. არიქა, უნდა მივუსწრო-მეთქი, სალაროს ვეცი. რაც ფული დამრჩენოდა, იმაზე დავხარჯე. შემოვბრუნდი და პირკატა მეცა. ბორჯომის მატარებელი მეორე ლიანდაგზე დგას, პირველზე კი, ჩემს მხარეს, თბილისისაკენ საბარგო მოძრაობს. სანამ ეს გაივლიდა, ის უკვე დაიძრა და დამტოვა ხახამშრალი.

მივუბრუნდი სალაროს. მოლარე აჯაჯღანდა, ბუქი დააყენა. შევეხვეწე და ბილეთი ბათუმის მატარებელზე გადამიცვა-

ლა. ოღონდ ბათუმამდე ფული არ მეყოფოდა და სანამდეც გაწვდებოდა, იქამდე გამომიწერა.

ამასობაში დაღამდა კიდეც და ბათუმის მატარებელი ჩამოდგა. ვაგონი საერთო იყო, მგზავრებით გაჭედილი. ადგილი ყველგან დაკავებული აღმოჩნდა და მესამე თაროზე ავძვერი. აქ ისე ცხელოდა, სუნთქვა ჭირდა. ოფლი ღვარად დამდინდა, მაგრამ ისე ღრმად ჩამეძინა, ბათუმში ჩასვლა არც გამიგია. გამყოლმა თაროზე რომ დააკაკუნა, მაშინღა დავაჭყიტე თვალები.

თაკარა მზე ანათებდა. გაქათქათებულმა ქალაქმა თვალი მომჭრა. ძალიან მომეწონა, მაგრამ არ ვიცოდი, საით წავსულიყავი. აღმადაღმა ვიხეტიალე. აქ ცხოვრობდა ცაცა, ზემოთ რომ დედაბერი ვახსენე, ძაკუ ჭურღულია, იმისი ქალიშვილი. ვიფიქრე, კარზე მივადგები, შემიფარებს-მეთქი. მართლაც მოვძებნე ორსართულიანი სახლი. შიდა ეზოდან კიბე მეორე სართულზე ადიოდა. აქ ეჭირა ერთი ოთახი. ეზოს ყოველი მხრიდან აივნები გადმოჰყურებდა და ყველა ოჯახი ერთმანეთის თვალწინ ცხოვრობდა.

სამწუხაროდ, ბინა დაკეტილი დამხვდა. ზუგდიდშია წასული, დედასთანო, მეზობლებმა მითხრეს.

მივაშურე ზღვის პირს, მოვკალათდი პლაჟის ხრეშზე და მზეს მივეფიცხე. გავყურებდი ზღვის ლივლივა ზედაპირს, ვუსმენდი თოლიების ყეფას, უგემურად ვღეჭავდი გამხმარ ორცხობილას და უცბად ძილმა წამძლია. არ მახსოვს, რამდენ ხანს მეძინა... თვალი რომ გავახილე, წამოდგომა გამიჭირდა. მზე საშინლად აცხუნებდა და ოფლის ღვარში ვცურავდი.

ძლივს ავბობღდი, წავლასლასდი. თანდათან ოფლი შემაშრა, ძალა დამიბრუნდა, თუმცა ფეხები მიბჟუოდა.

ჩანაფიქრზე ხელი არ ამიღია, მაგრამ დღეს უკვე გვიანი იყო და არც ის ვიცოდი, რა მიმართულებით მევლო.

უსაქმოდ ვიყიალე საღამომდე. ქალაქის ქუჩები თანდათან დაცარიელდა. ქუჩის ნათურები აკაშკაშდნენ, ადამიანები თავიანთ მყუდრო ბინებში შეიხიზნენ და დავრჩი ქუჩაში მარტოდმარტო.

დღის სიცხე ღამის სიგრილემ შეცვალა.

პატრული გამოჩნდა. ოფიცერი მაჩერებს, ქუჩაში რას აკეთებო.

თავი მოვისაწყლე, ნათესავთან ჩამოვედი, ის კი თურმე გამგზავრებულა, ხვალამდე არ იქნება-მეთქი. სახელიც სწორი ვთქვი და მისამართიც. სიცრუეში თუ მართალი გაერევა, ამით იგი დამაჯერებელი ხდება.

შეწუხდნენ. წამოდი, მილიციაში გაგათევინებთ ღამეს და დილით გამოგიშვებთო.

წავყევი. განყოფილება იქვე იყო, ორ ნაბიჯზე. მორიგესთან მიმიყვანეს. აუხსნეს, ქუჩაშია დარჩენილი, ცოდვაა, აქ იყოს და დილით გაუშვიო. იმანაც, რა მენაღვლებაო, და უკანა ოთახში შემიშვა. აქ გრძელი სკამის გარდა არაფერი იდგა და იმაზე წამოვწექი. რა დამაძინებდა. ხან წამოვგორდებოდი მაგარ ფიცარზე, ხან წამოვჯდებოდი. ვიღაც უსაქმურებიც შემოაგდეს, ყაყანებდნენ, თავს ისაწყლებდნენ. მე ჩუმად ვიყავი, ხმას არავის ვცემდი.

დილით მორიგე გამოიცვალა. ახალმა ამიჩემა, რამეზე მაინც იქნებოდი დაკავებული, თორემ ღამის გასათევად მილიციაში ვინ მიჰყავთ, სასტუმრო ხომ არ არისო. ძლივს დავაჯერე და გამომიშვა...

15

თუ სადმე წამსვლელი ვიყავი, გზას ადრევე უნდა დავდგომოდი. გეგმა რამდენადაც მარტივი, იმდენად ჩურჩუტული იყო. როგორმე უნდა მიმეღწია საზღვრისპირა სოფელ სარფამდე, იქ ღამეს დაველოდებოდი და პარმენ ლორიას გმირივით წყალმარჩხს ფეხით გადავტოპავდი.

ვინმესთვის რომ მეკითხა, სარფი საითკენაა, ქეჩოში წამავლებდა ხელს. ამიტომ არც არავისთვის მიკითხავს, დავადექი ქუჩებს სამხრეთისაკენ, ბოლოს და ბოლოს ერთი რომელიმე ხომ გამიყვანდა ქალაქიდან.

ვხედავ, ავტობუსი დგას, ცხვირი სამხრეთისაკენ მიუქცევია. შიგ ოფიცრები და რუსის ფაშფაშა დედაკაცები სხდებიამ. ბევრი არ მიჭოჭმანია, მეც ავძვერი.

წავიდა ავტობუსი, ქალაქიდან გაძვრა, ხიდი გადაიარა,

დიდხანს იტრიალა აქეთ-იქით და ბოლოს, ვერც გავიგე, რა ერქვა, ისეთ სოფელში ჩამომსვა.

ჩვეულებრივი, ჩვენებური სოფლის ორღობეში მივდივარ. აქედან და იქიდან ტრიფოლიატის მაღალი ღობეებია, იმათ მიღმა კი ოდები და მწვანე ეზოები. არც გზაზე მხვდება ვინმე, არც არავის ვუკაკუნებ კარზე. მივდივარ ჩემთვის.

უცებ გზა პირდაპირ წავიდა. ხეებს მიღმა სიცარიელე გამოჩნდა. თურმე ჩემდაუნებურად აღმოვჩნდი სამხედრო აეროდრომზე. ტრიალ მინდორზე მანქანები თვითმფრინავებს მიათრევენ. ვდგავარ და პირდაღებული გავყურებ. თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, სამხედროები შემეფეთნენ. ერთმა ოფიცერმა მკაცრად დამიძახა.

— აბა, აითესე აქედან, აქ არ შეძლება!

კამათს ხომ არ დავუწყებდი, შევტრიალდი და მოვუსვი.

ორიენტაცია რომ არ დამკარგვოდა, ზღვისკენ გავწიე. ზღვა, ცხადია, ჩემგან დასავლეთითაა, იქით, საითკენაც მზე იხრება და საიდანაც წყლის მშვიდი ტყლაშუნი ისმის.

ცოტაც და ზღვა გამოჩნდა.

ახლა ნაპირს გავყევი სამხრეთისაკენ. ხმელეთის მხრივ თხმელნარია, ამიტომ ვერც მე ვხედავ რამეს, ვერც მე მხედავენ.

მოულოდნელად წინიდან მოისმა რუსულუ „ურა“ და ავტომატის კაკანი. ჯარისკაცების ჯაჭვი გაშლილა, ნაპირიდან ზღვისკენ მორბიან, „ურას“ ღრიალებენ და ისვრიან.

დროა დავიმალო, მაგრამ თუ ავცუნდრუკდები, ყურადღებას უფრო მივიპყრობ.

იქვე, წყლის პირას, გადაბრუნებულ ნავს უკირკიტებს ორი ჯარისკაცი, ფსკერზე კუპრს უსვამენ.

ერთმა ინტერესით შემომხედა.

— საით გაგიწევია, ვაჟკაცო?

— სოფელში მივდივარ!

— საითკენაა შენი სოფელი?

— იქითკენ! – სამხრეთ-აღმოსავლეთით ამოზიდული მთებისკენ გავიქნიე თავი.

— ჰო-ო! – გაწელა ჯარისკაცმა და მივხვდი, რომ მარცხი

მომივიდა. – აბა, აქეთ წამოდი!

უკან მივიხედე, ვერსად გავიქცევი. მწირი თხმელნარი და ეკალბარდები შორსაა და ვერც დავიმალები. ამიტომ დამორჩილება ვარჩიე.

— ხომ ხედავ, რომ ისვრიან! – მეგობრულად მეუბნება ჯარისკაცი. – შენ კი აქ დაეხეტები. მოგხვდება ტყვია და მორჩა!

რა დიდი მიხვედრა უნდა, რომ ჩემთვისაც „მორჩა“ გზის გაგრძელება და თურქეთის რევოლუცია!

ასე დამიმთავრდა პირველი ლაშქრობა...

ბევრი რომ არ გავაგრძელო, მომცრო სახლში შემიყვანეს. იქ სულ ოფიცრები ისხდნენ. ერთმა, შემელოტებულმა, მკითხა:

— „პოლკის შვილობილი“ წაგიკითხავს?

თავი დავუქნიე, წაკითხულიც მქონდა და კინოც ვნახე.

— ჰოდა, მე ვარ პოლკის შვილობილი!

მერე განკარგულება გასცა, ჯარისკაცური ბორშჩი და კატლეტები მომიტანეს.

ნასადილევს ერთი ჯარისკაცი მაახლეს, აქა და აქ მიიყვანე და ჩააბარეო.

მომყვება და ტრაბახობს:

— ჩვენ ისეთი მაგრები ვართ, ჭიანჭველაც კი არ გამოგვეპარება, მიწის ქვეშ რა არის, ისიც ვიცით!

— აბა, ამ მიწის ქვეშ რა არის? – შევეკითხე.

— რა და ნავთობი! – ეგრევე მოხია.

— აქ რომ ნავთობი იყოს, ბაქოდან არავინ გადმოქაჩავდა! – ნიშნის მოგებით ვუპასუხე. ეგღა მაკლდა, ამას მოვეტყუებინე.

ისეთი ლაქლაქა ვინმე იყო, რომ მომენდომებინა, წუთში ავეთესებოდი, მაგრამ პატიოსნად გამაფრთხილა, შენ რომ გამექცე, სასჯელი არ ამცდებაო და შემეცოდა...

16

ბათუმში წამიყვანეს. ლამაზი სახლის მეორე სართულზე ავედით. ხალიჩებით მოფენილ კაბინეტში ორი მელოტი ძია დამხვდა. ერთმა გამომკითხა. ისეთი სულელი როდი ვიყავი, თურქეთში მივდიოდი-მეთქი, რომ გამემხილა. მეორე კაცი აყვირდა. სამშობლოს რომ გამოადგე, შინ უნდა იჯდე და გულმოდგინედ სწავლობდე, შენ კი დაწანწალებ აქეთ-იქითო. ბოლოს თავი დამანებეს, სხვა ოთახში გამიყვანეს და იქ ის ჩემი ნაცნობი ცაცა დამხვდა. ტანმსხვილი, მსუქანი ქალი იყო, მთვარესავით ლამაზი პირისახე ჰქონდა. ერთი შვილი ჰყავდა, იმ დროს ჯარში მსახურობდა. გადამკოცნა, თან შეშინებული ჩანდა... ხელი მოაწერინეს რაღაც ქაღალდზე და ჩემი თავი ჩააბარეს.

წამიყვანა თავისთან, გამხადა, დამბანა. რაც გაირეცხებოდა, გამირეცხა. დაბამბული ჯუბა კი თოკზე გადაკიდა. მზემ რომ მოაჭირა, სიცხისაგან შეწუხებული ტილები გარეთ გამოცვივდნენ, სასეირო ეგ იყო. სადღაც გზაზე ავიკიდე, თუმცა იმ დროს ეს არავის გააკვირვებდა.

ამ ხნის მანძილზე, პირველად ჩავწექი თბილ და სუფთა ლოგინში, პირველად ვჭამე ოჯახური სადილი.

ცაცა პიონერთა კულტურის პარკში მუშაობდა მოლარედ და თან მატარებდა. დავსეირნობდი, სამკითხველოში ვკითხულობდი. მახსოვს კინოში „თემური და მისი რაზმი“ გადიოდა... ერთხელ პიონერული აღლუმი მოაწყვეს, პარკი აივსო წითელყელსახვევიანი გოგო-ბიჭებით. უკრავდა სასულე ორკესტრი, ჭიდაობდნენ, ფარიკაობდნენ, ცეკვავდნენ... ტბაზე პიონერული გემი დაცურავდა...

ჩემი დიასახლისი ხანდახან შინ მტოვებდა და მაშინ ეზოს ბავშვებთან ვთამაშობდი. ზღვაც ახლოს იყო, საბანაოდ დავდიოდით. ცურვა მაინცდამაინც არ მეხერხებოდა, ნაპირთან ვჭყუმპალაობდი.

ერთი დედაბერი დამიახლოვდა, სახელი გადამავიწყდა. მოხუცებს უყვართ ხოლმე უპატრონო ბავშვები. ცაცასთან

მეგობრობდა, შინ გვეწვია და გამიცნო. ძლივს დააბიჯებდა, ჩამჭიდებდა ხელს და აუჩქარებლად ჩამასეირნებდა. გზად ფოსტაში გავივლიდით, იქ თავისი პატარა ყუთი ჰქონდა და გასაღებით აღებდა. ამოიღებდა გაზეთებს და გზას გავაგრძელებდით. პატარა, ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდა, ზედ ტროტუარის პირას. შესასვლელს სურო ეხვია, ორ ფანჯარას გისოსი ეკეთა. შემიყვანდა, დამსვამდა, მურაბიან ჩაის დამალევინებდა.

ნამეტანი ნიჭიერი ბავშვი ხარ და არ უნდა დაიკარგოო, ჩამჩიჩინებდა, მთავრობა ვალდებულია ასეთ ბავშვებს მოუაროსო. მოდი, ლავრენტი ბერიას მივწეროთ, ყურადღება მოგაქციოს, სადმე სასწავლებლად გაგამწესოსო. იმდენი მეტუტუნა, წერილი დამაწერინა. თავისი ხელით კონვერტში ჩადო და ფოსტაში წაიღო. კეთილი და გულუბრყვილო დედაბერი იყო, ეგონა, ქვეყანა სულ კეთილი ადამიანებით არის დასახლებული და სხვა არაფერი აქვთ საქმე, გარდა წყალობის ჩამორიგებისა.

სწორედ რომ ჩემი წერილისათვის ცხელოდა ბერიას! გულუბრყვილოთა მსგავსი წერილები, ალბათ, მილიონი იწერება და მათ წასაკითხად არავის სცალია.

ერთ დღეს ეზოში გატაცებით ვთამაშობდი, ჭიშკრისაკენ გავქანდი და დედას შევეფეთე.

ჩანთა გაუვარდა, ხელები უსუსურად გაასავსავა და ამოიკვნესა:

— ეს რა გამიკეთე, შვილო!

შემრცხვა, ჩავეხუტე და თავის გასამართლებლად შარი ჩემს უფროს დას მოვდე:

— აბა, რომ მიწყრებოდა!

17

— აგორებულ ქვას ხავსი არ მოედება! – მითხრა კარის მეზობელმა ილია ჯიქიამ.

— არ მჭირდება მე ხავსი, ილია ბიძია! – მივაძახე.

არადა, მართალი იყო ის კაცი. „ხავსზე“, ესე იგი ფულზე და ქონებაზე არასოდეს მიფიქრია, მუდამ მზესავით გაბრწყინებული ხვალეს იმედით ვიყავი. კაცმა, თუ მას რეალობის

გრძნობა დაკარგული არა აქვს, ადრევე უნდა იზრუნოს, რომ თავისი მატერიალური ყოფა მოიწესრიგოს. მაშინ თავში ჩაქუჩით ჩაგვიჭედეს, მატერიალურზე ფიქრი უზნეობაა და ვინც ყველაზე მეტად გვმოძღვრავდა, თვითონ, ცხადია, ქონში ცურავდა. ღატაკი კაცისათვის ცხოვრების დინება, სამწუხაროდ, აღუსრულებელ ოცნებათა ჯაჭვად ჩამომწკრივდება. ჩემნაირის მოტყუება იოლია. კაცისათვის, ვის სულშიც დონ კიხოტი ზის, რეალობა არაფერია, წარმოსახული კი ყველაფერი...

ასეა თუ ისე, ოდისეადან დაბრუნების შემდეგ, ქუჩისა და, ალბათ, ქალაქის გამორჩეული ბავშვი გავხდი. ახლა პატარები ევროპასა და ამერიკას ეწვევიან, მაშინ კი ორღობიდან ქალაქის ბოლოს წასვლაც მთელი ამბავი იყო. თანაც მე უბრალოდ როდი წავედი, მე გავიქეცი... რას გავექეცი? – იკითხეს ალბათ მაღალ კაბინეტებში. ამ ბავშვს მატერიალურად უჭირს, ასეთი დასკვნა გამოიტანეს, რაც არც თუ შორს იყო ჭეშმარიტებისაგან, რადგან ხშირად მესმოდა, ამ ბავშვს კარაქი სჭირდებაო...

მიმიყვანეს რაიკომის მდივანთან. რაიკომი იმ დროს დადიანების სასახლეში იყო მოთავსებული. მდივნის კაბინეტი კი სულთანისას ჰგავდა. მდივნად მაშინ გმირი იჯდა, ჩილაჩავა. მახსოვს, ადრე, სკოლაში შეხვედრა მოვუწყვეთ. თავისი საბრძოლო გმირობის ამბავი მოგვიყვა. მე კი ამის თაობაზე მოთხრობა გავაშანშალე, სადაც ისეთ გმირთა გმირად გამოვიყვანე, ალბათ თავადაც არ დაესიზმრებოდა. თუმცაღა ის ფურცლები არავისთვის მიჩვენებია... მდივანმა ამხედ-დამხედა, თავგადასავლებისაგან დაღლილი და დალეულიაო, დაასკვნა და მკითხა, სადმე დასასვენებლად ხომ არ წახვალო. უარს რატომ ვიტყოდი. დარეკა სადაც საჭირო იყო და სურამის საგზური გამიშანსეს.

როგორც მოგზაურობაში ჭიპმოჭრილს შეეფერება, მარტო გავემგზავრე, ჯერ ხაშურამდე, იქიდან კი საგარეუბნო მატარებლით სურამამდე. კითხვა-კითხვით მივაგენი საბავშვო სანატორიუმს, ზედ სურამულას პირას იყო. დირექტორი ერთი პატარა, ჩიტივით მსუბუქი, მოხუცი ქალი ბრძანდებოდა. თავდაპირველად არ მიმიღო. საგზურს საექიმო ცნობაც ჭირდებაო. ღამის ძიძამ, დეიდა ვარამ შინ წამიყვანა და სანამ ჩემი უფროსი ძმა

ზუგდიდიდან ცნობას ჩამომიტანდა, თავის ოჯახში მაცხოვრა. სხვათა შორის, სულ ახლახან ვინახულე კეთილი დეიდა ვარა. დაბერებულიყო, ავადმყოფობდა. ვერ გამიხსენა, მაგრამ მაინც გაუხარდა. ამას წინათ კი გავიგე, გარდაცვლილა. ძალიან მეწყინა...

სანატორიუმის დირექტორს კი რატომღაც ისე მოვეწონე, იმ ორთვიან საგზურს კიდევ ორთვიანი დამიმატა. მერე ზუგდიდიდან ერთთვიანიც გამომიგზავნეს და სრული ხუთი თვე გავატარე სახელმწიფო კმაყოფაზე. ზაფხულში ჩავედი და თოვლიან ზამთარში მოვბრუნდი... ფერიც მომემატა, წონაც და ღონეც, თუმცა ხუთ თვეში მთლად კაჟანდევად ვერ გადავიქცეოდი. სურამში გატარებული დღეები სავსე იყო ჩვეულებრივი ბავშვური სიხარულითა და წყენით, რაზეც ან ბევრი უნდა დაწერო, ან არაფერი... თამაში, „ღონისძიებები“, ჩურჩუტული სიყვარული... სანამ სამი სეზონი მოვილიე, ბავშვების სამი ნაკადი შეიცვალა და ყოველ ახალ ცვლასთან ერთად ჩემი გატაცების საგანიც იცვლებოდა... ერთს, ჩემზე გაცილებით უფროს გოგონას წერილიც კი მივწერე, იმან პასუხი გამომიგზავნა, კიდევ კარგი, ეს წერილი დედიკოს არ უნახავს, თორემ სირცხვილით დავიწვებოდიო. ახალი სიყვარულის დაბადება ტკბილიცაა და მწარეც. ის ხომ ყოველთვის ერთადერთი და საბოლოოა... ასე მეგონა, მაგრამ სურამიდან დაბრუნების შემდეგ ჩემი დულსინეების თვით სახელებიც დამავიწყდა. თუმცა მეხსიერებამ შემოინახა პატარა ანგელოზების მშვენიერი სახეები... სიყვარულის ეს მსუბუქი გაელვება, ნაზი და ფოფინა, ჯერაც გაუთვითცნობიერებული და ბიწისაგან თავისუფალი, სულს განწმენდს, სიკეთით ავსებს, ბოროტისაგან ათავისუფლებს...

18

იმ დროს ბევრი რამ მაინტერესებდა, მაგრამ პატრონი არა მყავდა, ვინც ავისა და კარგის გარჩევას შემაძლებინებდა, თუმცა, ვინმე რომც გამოჩენილიყო, ალბათ ვერ დამიმორჩილებდა, მე ჩემი გზები უნდა მეძებნა... ჩვენი ქუჩა პედაგოგების ქუჩად ითვლებოდა. მასწავლებლები დიდი პატივით იყვნენ გარე-

მოსილნი. შევსწრებივარ ქალების მსჯელობას, პედაგოგი გოგოა, ნოქარს რანაირად წაყვებაო... ჩემს გვერდით ცხოვრობდა იპოლიტე ბიძია, მათემატიკის მასწავლებელი. ყველანი ამბობდნენ, მეტად ნიჭიერი მათემატიკოსიაო. ბარე რამდენიმე წიგნი წამიკითხავს ცნობილ მათემატიკოსებზე (მიყვარს წიგნები ნიჭიერ ადამიანებზე), აღვფრთოვანებულვარ მათი გენიალურობით, მაგრამ ფორმულათა ანაბანა ვერასოდეს ავითვისე... დეიდა თამარი კარგი ქიმიკოსი იყო, მაგრამ ყველაფერზე მისაუბრია მასთან, მისი საოჯახო ბიბლიოთეკიდან უამრავი წიგნი წამომიღია წასაკითხად, მაგრამ ქიმიისა არა გამეგებოდა რა... გრიშა ბიძიასთან მასლაათი მიყვარდა, მკაცრი, მოუსყიდველი კაცი იყო, გეოგრაფიას გვასწავლიდა, მაგრამ ჩვენი საუბრები გეოგრაფიას არასოდეს ეხებოდა. გეოგრაფიის სახელმძღვანელოები, ყველა კლასისა, ადრევე წავიკითხე, რაკი დღენიადაგ მოგზაურობაზე ვფიქრობდი, ჩვენს ბიბლიოთეკებში კი ქვეყანათმცოდნეობის წიგნები მწირად გვქონდა... შესანიშნავი ისტორიკოსი იყო ოლია გვათუა. თავდაპირველად თურმე ჩემი შვილად აყვანა უნდოდა, მაგრამ დედამ არ დამთმო. მასთან ისტორიაზე არასოდეს მილაპარაკია. მე ხომ მუდამ იმ ქვეყნის ისტორიასა და გეოგრაფიას ვეძებდი, რომლის დაპყრობასაც მაგ დროისთვის ვაპირებდი... ფიზიკას ასწავლიდა პარმენ ბიძია, ერთხელ სეისმური სადგური მიჩვენა, მუზეუმის სარდაფში ჰქონდათ მოწყობილი. ფიზიკა იმ დონეზე მესმოდა, რომ ფორმულები არ დამჭირვებოდა... იყო კიდევ ერთი ზუსტი მეცნიერება, გატაცებით რომ დავეწაფე – ასტრონომია, ოღონდ ამასაც ისე ვეუფლებოდი, როგორც ხალხურ ზღაპარს, რადგან ნაირნაირი პოპულარული წიგნები ფორმულების გარეშეც მშვენივრად იკითხებოდა... წავაწყდი წიგნებს ციოლკოვსკიზე, ცანდერზე. მეტად მომხიბლველი იყო შორეული ნაირფერი სამყაროების წარმოდგენა. ჩემს ახურებულ გონებას მეტი რა სჭირდებოდა და კოსმოსით იმ დროს გავხდი ავად, როცა ამაზე ჩემს ირგვლივ ხმას არავინ იღებდა, ხოლო ინტერესი სწორედ მას შემდეგ გამინელდა, როცა პირველი გაფრენები მოხდა და რომანტიკული ხიბლი მოეხსნა. წარმოსახვაში შემეძლო დღენიადაგ მეხატა კოსმოსის სურათები, პლანეტათა პეიზაჟები. მე მუდამ კოსმიური ხომალდის კაპიტანი ვიყავი და ხან მთვარეზე აღმოვჩნდებოდი, ხან პლანეტებზე, ანდა მთლად ალფა კენტავრზე... იქნებ ცივილიზაცია ისე სწრაფად წასულიყო წინ, რომ მეც მოვსწრებოდი ვარსკვლავთშორის გაფრენებს.

სხვა რამ აპარატი კოსმოსში სამოგზაუროდ მე არ გამაჩნდა, გარდა კალმისა და მაშინ დავიწყე სქელტანიანი ფანტასტიკური რომანის თხზვა...

ახალგაზრდა ქართველი კონსტრუქტორი ჩადის თბილისში, ცოლად ირთავს ქართველ გოგონას და იწყებს ფოტონის რაკეტის აგებას. ეს ფოტონის რაკეტა მრავალი წელი თანა მდევდა. თვითონაც გამუდმებით ვხატავდი სიგარისმაგვარ რაკეტას, ორივე მხრივ ფრთებივით რომ შლის უზარმაზარ სანიავებლებს, რომლებიც მუდამ მზისკენაა მიმართული და ფოტონების მეოხებით სხივურ ენერგიას ელექტრონულად აქცევს. ერთხელ, ეს იყო მოგვიანებით, ისიც კი მოვინდომე, დამეანგარიშებინა, რამდენი „კილო“ ელექტრონი დასჭირდებოდა რაკეტის გაფრენას და, რაკი ელემენტარული მათემატიკისა არა გამეგებოდა რა, მარტივი არითმეტიკით დავიწყე ანგარიში, მაგრამ დასაწყისშივე რვეულის ფურცელი ნულებით რომ გამეჭედა, თავი დავანებე... ერთხელაც, მაშინ უკვე ციმბირში ვიყავი, ჩემი დახატული ფოტონის რაკეტის „პროექტი“ რუსულ ჟურნალ „პიონერს“ გავუგზავნე, იქიდან კი წერილი მომივიდა, რას მიქარავ, რაკეტების აგება, მით უფრო ფოტონისა, სათამაშო ხომ არა გგონიაო, რის გამოც ამ ჟურნალს კარგა ხნით გავებუტე... ასეა თუ ისე, ჩემმა ახალგაზრდა კონსტრუქტორმა ჩემზე იოლად დაძლია წინააღმდეგობა და თბილისის კოსმოდრომზე მალე გაჩნდა ფოტონის რაკეტა. შედგა ათკაციანი ეკიპაჟი, რომელშიც სხვადასხვა ერთა შვილები გაერთიანდნენ (ჩვენ ხომ ისეთი ინტერნაციონალისტები ვიყავით, საკუთარი თავი ძლივსღა გვახსოვდა!).

სტარტი! პირველი გაფრენა მთვარისაკენ! რა თქმა უნდა, მთლად უყურადღებოდ არც ჩემი ახალგაზრდა წყვილის ამურული იწილო-ბიწილო გამომრჩენია და მთვარეზე გაფრენილი

ეკიპაჟის წევრთა შორის ერთი ახალიც აღმოჩნდა. გზაში დაიბადა ქართველი ვაჟკაცი, რომელსაც არაქართული სახელი სელენა დაანათლეს, მთვარის პატივსაცემად, ცხადია... ფოტონის ხომალდი წვიმების ზღვაში დაეშვა. ეკიპაჟი ყველგანმავალზე გადაჯდა და დაიწყეს მოგზაურობა მთვარის გარშემო, ოღონდ მერიდიანის გაყოლებით, ჯერ ჩრდილოეთი პოლუსისაკენ, მერე მთვარის უხილავ მხარეზე, სამხრეთი პოლუსისაკენ, იქიდან კვლავ წვიმების ზღვისაკენ... მთვარის ხილული ნახევარსფეროს რუქა შესწავლილი მქონდა, ვიცოდი, სად რა ზღვა, ოკეანე, მთა და კრატერია... უხილავი ნახევარსფერო კი ისეთივე ვიგულისხმე და მეტი არაფერი.

ამნაირმა მოგზაურობამ ეკიპაჟი ოდნავადაც არ დაღალა. პირიქით, უსაზღვრო იყო მათი ენთუზიაზმი. ხელსაყრელი მომენტის ხელიდან გაშვება უჭკუობა იქნებოდა, რადგან ზუსტად იმ დროს დაემთხვა მარსის დიდი დაპირისპირება, წითელი პლანეტა მინიმალურ მანძილზე მოუახლოვდა დედამიწას. ამიტომ ფოტონის რაკეტა მთვარიდან მარსზე გაფრინდა... რაკი პატარა ქართველ სელენას უკვე კიჭები ამოუვიდა, დრო იყო მისთვის მეგობრის გამოძებნისა და ეკიპაჟის კიდევ ერთმა წყვილმა გააჩინა გოგონა, რომელსაც კოსმოსელა დაარქვეს. მარსზე რაც ამათ გადახდათ, მიახლოებით შეიძლება ამოვიკითხოთ ალექსეი ტოლსტოის „აელიტაში“. ახალი წაკითხული მქონდა და ზედმეტად ორიგინალური სამყაროს მოგონება არ დამჭირვებია. მარსი დავასახლე ორნაირი ადამიანებით, წითლებითა და ლურჯებით. ისინი ერთმანეთს ებრძოდნენ. წითლები ვინც იქნებოდნენ, ამას ახსნაც არ სჭირდება. ლურჯები კი ნაღდად გაქსუებულ ბურჟუებსა ჰგავდნენ და დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ ეკიპაჟმა კისრისტეხით მოკურცხლა მარსიდან... სამწუხაროდ, დედამიწა ამ დროს მზის მეორე მხარეს ტრიალებდა, ფოტონის რაკეტა მის ორბიტას ასცდა და პირდაპირ ვენერისაკენ აიღო გეზი.

ახლა კი ვიცით, რომ დილის ვარსკვლავის ზედაპირზე ცხელი ქარაშოტი და უდაბნოა, მაშინ კი ჩემს ეკიპაჟს ვრცელი ოკეანეები და უღრანი ჯუნგლები დავახვედრე, სადაც ცხოვრობდნენ დედამიწაზე უკვე გადაშენებული რეპტილიები, ნაირნაირი დინოზავრები, პლეზიოზავრები, ბრონტოზავრები, პტეროდაქტილები და სხვანი და სხვანი, მაიმუნ-ადამიანებიც და ტიტლიკანა პირველყოფილი ტომებიც, რომელთაც ადრევე შევხვდი კონან დოილის „დაკარგულ ქვეყანაში“ და პოპულარულ წიგნებში, გეოლოგიურ ეპოქებზე რომ ყვებიან.

ეს ყველაფერი ხომ კარგი, მაგრამ ხომალდი არაა გათვლილი ვენერიდან დედამიწაზე დასაბრუნებლად. ის ვერ დაძლევს მზის მიზიდულობას და იძულებულია მერკურზე გადაინაცვლოს... უდაბური, ცხელი მერკური, რომლის მზიან მხარეს გამდნარი მეტალების მდინარეები მიედინება და ტბები ბუყბუყებს, ღამის მხარეს კი მარადი და უკუნი ყინულეთია... ეს არის ჰადესი, ჯოჯოხეთი, აქ მხოლოდ სიკვდილი სუფევს, მაგრამ მამაცი მოგზაურები გამოსავალს იპოვიან.

აგერ, მერკურის ორბიტას გადაკვეთს ასტეროიდი ჰერმესი. ხომალდი გადაფრინდება მასზე. ჰერმესი მიექანება მზისაკენ. ისე ახლოს ჩაუქროლებს, პროტუბერანცები წვერით ეხებიან კიდეც. მზეს მთლიანად უჭირავს მთელი ცარგვალი. ხომალდის გარსაცავი სანთელივით დნება და იღვენთება. დაცვის სისტემა, ჰა და ჰა, ვერ გაუძლებს... საბედნიეროდ, ჰერმესი უჩქარებს სვლას და შორს გატყორცნილი ლოდივით სწრაფად შორდება მომაკვდინებელ მნათობს. გადაჭრის ჯერ მერკურის, მერე ვენერას ორბიტას, უახლოვდება დედამიწას, ოღონდ ფოტონის რაკეტა მწყობრიდან გამოსულია და ჰერმესიდან აფრენა უკვე არ ძალუძს.

არ ინერვიულოთ! ათი წელი გავიდა საქართველოდან გაფრენის დღიდან, ახლობლებმა გამოიტირეს ჩვენი გმირები. ისინი დაღუპული ეგონათ და უცებ რადიოცნობა მოვიდა, ეკიპაჟი ცოცხალია. დედამიწაზე ამ დროისათვის ფოტონის რაკეტების მთელი ფლოტილია აშენდა. რამდენიმე ხომალდი მიფრინავს ჰერმესთან შესახვედრად და გმირული ეკიპაჟის ჩამოსაყვანად.

ფინალი: კოსმოდრომზე ახალი ვარსკვლავთშორისი პლაზმური ხომალდი დგას, ალფა კენტავრისკენ გასაფრენად ემზადება. ეკიპაჟის წევრებია შეყვარებული წყვილი – სელენა და

კოსმოსელა...

აი, ასეთი იყო სიუჟეტი, თუმცა ცოდვა გამხელილი ჯობს, დაწერით იმდენი დავწერე, ეკიპაჟი ვენერას ჯუნგლებში დამეკარგა, დანარჩენი ამბები წარმოსახვაში ჩამრჩა. ეს წარმოსახვა ხომ უფრო ფერადოვანი და შთამბეჭდავი იყო, ვიდრე სიტყვები, რადგან განცდილის ქაღალდზე გადატანის ოსტატობა უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე მაშინ მეგონა.

ჩემმა კოსმოსურმა გატაცებებმა კარგა ხანს გასტანა... ჩემში ხომ დონ კიხოტი ცხოვრობდა და არც ის დამვიწყებია, უსტარი მიმეწერა ციოლკოვსკის სახელობის ჩემთვის უცნობი ორგანიზაციისათვის, სადაც ვიფიცებოდი, ვიცი, სადღაც საიდუმლოდ კოსმონავტებს ამზადებთ, ჩამწერეთ იმ სიაში და თუ დავიღუპე, პრეტენზია არ მექნება-მეთქი. თბილი პასუხი მივიღე, ჩვენო მეგობარო და თანამზრახველო, თანაგიგრძნობთ, მაგრამ ეს ჩვენ არ გვეხება, ჩვენ მარტო ცოდნას ვავრცელებთ, მეცნიერულსა და პოპულარულსო...

კიდევ კარგი!

19

ზევით დეიდა თამარი ვახსენე, ქიმიის მასწავლებელი. მისი ოჯახი საკმაოდ წიგნიერი იყო. და-ძმებს ხელში მუდამ გაზეთი და წიგნი ეჭირათ. ერთი ძმა – შალვა ღურწკაია დიდად განათლებული პიროვნება ყოფილა, ომში დაიღუპა. შინმოუსვლელ კაცს, ბუნებრივია, აქებენ, მის ირგვლივ ლეგენდებისა და მითების ორეოლი იქმნება, მაგრამ ამ შემთხვევაში მართლაც არაორდინალურ პიროვნებაზე ვლაპარაკობ. მისი კარადა და საწერი მაგიდის უჯრები გამოტენილი იყო ნარჩევი წიგნებითა და სქელტანიანი ჟურნალებით ევროპის სხვადასხვა ენაზე. ლამაზი კალიგრაფიით შევსებული საერთო რვეულებიც მინახავს. სულ ახლახან, დეიდა თამარმა, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, მიჩვენა პატარა ხელნაწერი წიგნაკი. ლამაზი ყდაც და სათაურიც ავტორის მიერ იყო დასურათხატებული. ტექსტი კი წარმოადგენდა სასიყვარულო რომანის პირველ

თავს. მისი ლიტერატურული ღირსებების შეფასებისაგან თავს შევიკავებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს იყო ოცდაათიანი წლების ბოლოს ნააზრევი გულუბრყვილო სოცრეალიზმის პრინციპით დაწერილი ტექსტი. თუმცა კალმის ეს ცდა ჩემს თვალში ამ პიროვნებას ოდნავადაც არ ამცრობს... მის ბიბლიოთეკაში ერთხელ შემხვდა ჩემთვის სრულიად უცნობი ავტორის წიგნი „არსენა მარაბდელი“. მანამდე არსენაზე, გარდა ხალხური ლექსისა, პიესაც მქონდა წაკითხული. აქ კი ვხედავ სქელტანიან რომანს, რომლის გარეკანზე (თურმე გუდიაშვილისეული) მხედარი ახატია. დეიდა თამარმა მირჩია, წაიკითხე, მაგრამ არავის აჩვენო, თორემ იქნებ დაგვიჭირონ კიდეცო... ასე გავიცანი პირველად მიხეილ ჯავახიშვილი.

იმავე კარადაში აღმოვაჩინე ესპანური ენის სახელმძღვანელო (ამ კარადას კარგად ეტყობოდა ესპანეთის სამოქალაქო ომის გამოძახილი). სკოლაში ინგლისურს მასწავლიდნენ, აქ კი ერთი შეხედვით მარტივი და კეთილხმოვანი ენა აღმოვაჩინე. მასში იყო რაღაც მშობლიური, შინაურული, ნაცნობი, ენა დონ კიხოტისა... იმ დღის შემდეგ ჩემი ცხოვრების ნაწილი გახდა ესპანურენოვანი სამყარო, მისი ისტორია, გეოგრაფია, ლიტერატურა, ცეკვა და სიმღერა... სახელმწიფოები და ადამიანები...

განზე გადავდე ჩემი კოსმოსური ოდისეა, ავიღე ახალი საერთო რვეული და დავიწყე ახალი სათავგადასავლო ეპოპეა. ოდესღაც ერთ თხელ ბროშურაში ამოვიკითხე, რომ კორტესის არმიის მამაცმა ჯარისკაცმა ხუან დე სალამანკმა ხმალი იშიშვლა და წინ გაიჭრა... ჩემს ფანტაზიას მეტი არაფერი სჭირდებოდა.

ხუან დე სალამანკს შეუყვარდა ებრაელი გოგონა (გახსოვთ, ალბათ, ფოიხტვანგერის „ესპანური ბალადის“ დასაწყისი – „როდესაც მეფე ალფონსოს შეუყვარდა ებრაელი ქალი რახილი...“). ფხიზელმა ინკვიზიციამ დაიწყო თავისი ინტრიგები. სენიორმა ხუანმა შეყვარებული გადამალა, თვითონ კი იძულებული გახდა ახალ ინდოეთში, ამერიგოს ქვეყანაში გამგზავრებულიყო. კუბის საგენერალგუბერნატოროში ახალ ექსპედიციას აწყობდნენ და სენიორმა ხუანმა თავისი მახვილი შესთავაზა სენიორ ფერნანდო კორტესს... გაშალეს აფრები და

გასცურეს დასავლეთისაკენ... დაიწყო მექსიკის დაპყრობა... ამ-ბავი ტენოჩტიტლანის კედლებამდე მივიყვანე, იმპერატორი მონტესუმაც გამოვაჩინე... მოსაყოლი იმდენი აღმოჩნდა, ერთი და ორი წელიწადიც არ მეყოფოდა... მექსიკის დაპყრობის შემ-დეგ სენიორ სალამანკი ალბათ ბილბაოს ექსპედიციაში მიიღებ-და მონაწილეობას, გადალახავდა პანამას და პირველი იხილავ-და წყნარ ოკეანეს... მერე ფრანსისკო პისაროს ექსპედიციაში ჩაეწერებოდა და პერუსაც აიღებდნენ... ესპანეთში დაბრუ-ნებული შეირთავდა თავის შეყვარებულს... ისევ ინტრიგები და იძულებული გახდებოდა კვლავ გადახვეწილიყო. ვასკო და გამასთან ერთად გაემგზავრებოდა ინდოეთს... იქიდან მალაე-ლებთან ერთად გადავიდოდა ინდოჩინეთში, იქიდან ჩინეთში, ჩინეთიდან ციმბირის მარხილის გზით რუსეთში ჩამოვიდოდა, ივანე მრისხანეს კარზე, იქიდან ლონდონს გაემგზავრებოდა და ამჯერად სამუდამოდ დარჩებოდა სატრფოსთან.

ჩემი მწირი ცოდნა ამ ამბებს რას გაწვდებოდა, მაგრამ დონ კიხოტისათვის შეუძლებელი არაფერია. ოღონდ ხელს მიშლი-და ერთი რამ: საბოლოოდ ვერ გადამეწყვიტა, რისთვის უნდა მიმეძღვნა ჩემი ძვირფასი სიცოცხლე. თუ კოსმოსს მივაპყრობ-დი მზერას, უმალ ჩემს ფანტასტიკურ კოსმოსურ ოდისეას მივუბრუნდებოდი, თუ ქვეყნიერების გაბედნიერების პრობ-ლემა შემძრავდა, მაშინ მიწაზე დავეშვებოდი, ესე იგი მე-16 საუკუნეში და სენიორ სალამანკთან ერთად გავცურავდი ცხელი ზღვების ტალღებში...

ეს ყველაფერი ხომ ქაღალდზე ხდებოდა, საჭირო კი იყო რეალური მოქმედება... მეშინოდა, დავბერდები და ვერაფერს მოვასწრებ-მეთქი... ბოლოს და ბოლოს სიყმაწვილეში ჩადენი-ლი გმირობაა ნამდვილი, თორემ ზრდასრული ადამიანი ისე-დაც გმირი უნდა იყოს.

20

დედაჩემი სკოლის ბუფეტში მუშაობდა. დღის ნავაჭრი, დაახლოებით სამას მანეთამდე, რა თქმა უნდა, იმდროინდელი კურსით, ქაღალდში შეკრა და სალაროში ჩასაბარებლად გამა-ტანა... სალარო დაკეტილი დამხვდა...

ზამთარი იყო, მაგრამ ზუგდიდში მშრალი, მზიანი ამინდი იდგა. არ ციოდა. ფეხზე თხელი წინდები და რეზინის გადაჭრილი ჩექმა მეცვა. ზევიდან, პერანგზე საკმაოდ თხელი და შელახუ-ლი ბამბურა. იმ დღეებში გულს სევდა მიხრავდა, არც წასაკ-ითხი მეგულებოდა რაიმე, ფანტაზიების სამყაროში ცხოვრე-ბაც მომწყინდა, ვერავინ და ვერაფერი მართობდა.

ბიბლიოთეკაში შევიარე. „კაპიტან გრანტის შვილები“ დამ-ახვედრეს. რამდენი ხანია ველოდებოდი და ძლივს შემხვდა.

უცებ ჩემს წინ ავტობუსი ჩამოდგა, ზუგდიდი-სოხუმი. წუთით არ დავფიქრებულვარ, ეგრევე ავედი და სავარძელში მოვკალათ-დი (ახლა ჩემს თავს ვეკითხები, ჩემმა შვილმა ასე რომ გამიკეთოს, როგორ მოვიქცევი-მეთქი, მაგრამ პასუხი ვერ გამიცია).

ამ მხარეს პირველად მივემგზავრებოდი და ცნობისმოყვა-რეობით ვიჭყიტებოდი, ვათვალიერებდი სამურზაყანოს ლამაზ გზისპირებს. თან გონებაში ათასნაირ მომხიბლველ გეგმებს ვაწყობდი. გავემგზავრები მოსკოვში, დავათვალიერებ, მერე დასავლეთისაკენ გავწევ, ბრესტში გადავიპარები, იქიდან ვარ-შავაში ჩავალ. იქ სტუდენტთა და ახალგაზრდათა მსოფლიო ფესტივალია მოსალოდნელი. დავუახლოვდები ლათინური ამე-რიკიდან ჩამოსულ გოგო-ბიჭებს, თან წავყვები. ესპანური ანა-ბანა მესმის, იქ სწრაფად ვისწავლი და დავიწყებ რევოლუციურ მოღვაწეობას... რა თქმა უნდა, კონტინენტის ტანჯული ხალხე-ბი მხარში ამომიდგებიან, დავამხობ მთავრობებს და ყველას გა-ვაერთიანებ ერთ უზარმაზარ ფედერაციაში... წარმოსახვით ვაშენებდი ქალაქებს, გამყავდა რკინიგზები და ასე შემდეგ. მერე კი, იმპერიალიზმის ბასტიონს ამერიკის შეერთებულ შტატებს შევუტევ... მოკლედ, დღევანდელი კურსის ოცდაათი მანეთით მივდიოდი კაპიტალიზმისაგან მსოფლიოს გასათავისუფლებლად.

ეგაა, ავტობუსით ასე შორს მანამდე არ მემგზავრა. მაყანყალა ამ ჯღანმა ავტობუსმა, მაყანყალა და გული ცუდად გამიხდა. არც მახსოვს, როგორ ჩავედი, ფული როგორ გადავიხადე, ბუჩქებში მივიმალე და გულიც ამერია... მოთავებული ვიყავი, თავი ამტკივდა. შევლასლასდი მოსაცდელში და წამოვწექი, ჩამეძინა. სიცივემ გამომაღვიძა, წამოვიწიე... დარბაზში მილიციელი მიმოდიოდა, გასაღებების ასხმულათი სკამის ზურგს ურახუნებდა... უსაქმურობისაგან ერთობოდა, რა!

გავერიდე. ნახევრად ჩაბნელებული, ხალხმრავალი და მაინც უკაცური დარბაზები, ბაქანი, სადგურისწინა მოედანი... ბუფეტში თბილა, ვყიდულობ ლიმონათს, პურსა და ძეხვს... მადა არა მაქვს, მაინც ვკიკნი...

ღამე, მარტოობა, უცხო სადგური... გაჭიანურებული, მოსაწყენი სიზმარეთი.

დილის ხუთ საათზე აიძრა მოსკოვის მატარებელი. ბილეთი ჯიბეში მაქვს, კუპეს ზედა თაროზე ვწევარ. თბილა, მყუდროდა ვარ, მოთენთილს მძინავს.

თვალი გავახილე. ფანჯრიდან ლურჯი ზღვა ჩანს, სუფთა საგაზაფხულო ამინდი დგას. კამკამა ცა და ჰაერია. მატარებელი კი ისე მიირწევა, თითქოს არც არსად ეჩქარება.

აგერ სოჭი... ვაგზლის კოშკის საათი დამამახსოვრდა.

ტყიანი მთები და გორაკები არმავირის გზაზე.

მერე თოვლიანი, უსასრულო და უკიდეგანო ველები, აქაიქ გაფანტული სოფლებით.

თეთრი ქოხები... ერთფეროვანი თეთრი გარემო, რომელსაც იშვიათ ლაქებად ემჩნევა გზები, გაყინული მდინარეები.

გარეთ ყინავს, კუპეში კი თბილა... მე ჩემს თაროზე ვარ წამოწოლილი და ვკითხულობ „კაპიტან გრანტის შვილებს“... რუსეთის ფართო ველებს ესადაგება პატაგონიის ვრცელი ტრამალები.

ღამე, დღე და აი, საღამოც... გადავჭერით ტყიანი გარეუბნები, გარემოს შეეტყო დიდი ქალაქის სუნთქვა და მატარებელი მოსკოვში შევიდა...

21

კურსკის ვაგზალი... უზარმაზარ დარბაზებში ტევა არ არის. მოსაცდელებში, საბილეთო დარბაზებში, გადასასვლელებში აურაცხელი ბოხჩებიანი, ჩემოდნიანი, ყუთებიანი კაცები და ქალები ერთიერთმანეთზე სხედან, წვანან, ჭამენ, სძინავთ, ლაქლაქებენ... ყველა ზამთრის პირობაზეა ჩაცმული... ქურქები, თექის ჩექმები, ვის როგორ შეუძლია, ისე ჩათბუნებულა... შენობაში მარტო ბილეთიანებს უშვებენ. მილიცია ფხიზლად ადევნებს თვალს, ვინმე არ შემოეხეტოს ღამის გასათევად. არავინ მოგერიდება, ჩაგავლებენ საყელოში ხელს და კინწისკვრით გისვრიან ყინვაში.

მილიციელის შიშით ვერსად გავჩერებულვარ, ვერ ვიძინებ. ოდნავ ჩამთვლემს და სიცივე მაღვიძებს. თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებ, ვინმე არ მომეპაროს, არ გამომიჭიროს. ბოლომდე მაინც ვერ დავუძვერი, მილიციელმა მტაცა ხელი. ბილეთი ვუჩვენე, აი, შუაღამეს ჩამოვედი, დილამდე ვერსად წავალ-მეთქი. ვისთან ჩამოხვედიო. აქ ბიძაჩემი ცხოვრობს, ოღონდ ღამებნელში ვერ მოვძებნი-მეთქი, შემეშვა...

უთენია, მეტრო რომ გაიხსნა, კვლავ ჩამოიარეს მილიციელებმა, ვინც მიემგზავრებით, გაემგზავრეთ, ვინც ჩამოსულები ხართ, მეტრო გახსნილია და ბედს ეწიეთო. ჩემს სიცოცხლეში პირველად ჩავედი მეტროში.

მიწისქვეშა დარბაზების ზიზილ-პიპილები მომეწონა-მეთქი რომ ვთქვა, რა გასაკვირია. ისედაც აკვნიდან ჩამჩიჩინებდნენ, მოსკოვის მეტროზე უკეთესი მსოფლიოში არსად არისო. ახლა კი ვიცი, რაც უფრო გაღატაკებულია ქვეყანა, მით უფრო ხელგაშლილია მისი მთავრობა, როცა უნდა თვალში მტვერი შემოგაყაროს. მეტროში ყველაზე მეტად სითბო მომეწონა. მეტრო რომ არ არსებულიყო, ზუგდიდური ზამთრის პირობაზე ეკიპირებული რუსულ ყინვას ცოცხალი ვერ გადავურჩებოდი.

რევოლუციის მოედანზე ამოვედი. აქედან კრემლის ვარსკვლავები ჩანდა და გზის გაკითხვა არ დამჭირვებია. წითელი

მოედანი მეპატარავა. რა თქმა უნდა, ლამაზი იყო, მაგრამ ციოდა და თანაც დღე ისე მოქურუშებულიყო, ყველაფერს თითქოს ბინდი ეფინა. წითელი აგურის შენობების სახურავებს ყვავების ლაშქარი დაჰყრანტალებდა. ამდენი ყვავი ერთად ჩხოუშიას სანახებშიც არ მინახავს. თავი რაღაცნაირად დაკარგულად ვიგრძენი და „გუმში“ შევედი. კარებში, გვერდების ჭაურებიდან ცხელი ჰაერი უბერავდა და თოშს მაცლიდა. სხვა რა ჩარა იყო, უკაპიკო მყიდველის კვალობაზე აღმა-დაღმა დავდიოდი, თვალს წყალს ვალევინებდი და ვთბებოდი, ბოლოს მომბეზრდა და გარეთ გავაღწიე. გავიარ-გამოვიარე და ლენინის მუზეუმს წავაწყდი. აბა, მე რა რევოლუციონერი ვიქნებოდი, თუ აქ არ შევეხეტებოდი... სხვათა შორის, კარგა დიდი ხნის შემდეგ, როცა ჩემი თაობის თვალში დისკრედიტირებული აღმოჩნდა რევოლუციის მოღვაწეთა მთელი ლაშქარი, ლენინის ხატებას ლაქა არ აჩნდა. ჩემს პირველ პუბლიცისტურ ბროშურაში, რომელიც 77-ში დაისტამბა, საბჭოეთის არც ერთი პოლიტიკური მოღვაწე დასახელებულიც არა მყავს, მაგრამ რამდენჯერმე მომყავს ლენინის ციტატა. მაშინაც ხომ უნდა მცოდნოდა, რომ მზეზეცაა ლაქები... მერე და მერე მთლად გამოვფხიზლდით და მივხვდით, ჩვენი საუკუნის უბედურებანი თუ ერთი კაცის კისერზე საერთოდ შეიძლება ჩამოიკიდოს, მაშინ უპირველესად ამ მონგოლური პროფილის ადამიანის კისერზეა.

სანამ მე მუზეუმის ვრცელ დარბაზებში დავდიოდი და ერთხელაც ვრწმუნდებოდი, რომ ლენინს უყვარდა ბავშვები, ლენინი უყვარს პატარებს, წითელ მოედანზე, იმ ყინვასა და სიცივეში, მავზოლეუმთან ტრადიციული რიგი იდგა... იმ რიგში ნაღდად ვერ ჩავდგებოდი, თუნდაც სიცივის გამო და იმიტომაც, რომ მკვდრის ნახვას ვერ ვიტანდი, თუგინდ ლენინი ყოფილიყო.

ამასობაში დაღამდა კიდეც. მეტროში ჩავედი და მინსკის ვაგზალზე ამოვედი.

შევისწავლე ბილეთების ნიხრი. აღმოჩნდა, რომ ფული მინსკამდე მეყოფოდა, ბრესტამდე ნაღდად არა.

ავიღე ბილეთი მინსკამდე და ზედა თაროზე წამოვწექი.

ვაგონში ცხელოდა, ოფლს მასხამდა. გარედან კი რუსული ყინვა ფანჯრებზე ბროლის სურათებს ხატავდა.

ჩამეძინა. გამყოლის ხმამ გამომაღვიძა – „მინსკი, აბა, მინსკიო!“ მოვუყრუე, ვითომც ღრმა ძილით ჩამეძინა. მატარებელი დაიძრა და მეც გამიყოლია. მერე მართლაც ჩამეძინა, თანაც ისე ღრმად, რომ ვერც გავიგე როდის გათენდა და ბრესტში როდის აღმოვჩნდი.

ვიღაცამ ფეხში ხელი წამავლო, შემაჯანჯღარა.

დაფეთებულმა თავი წამოვწიე.

— გაიღვიძე, ყმაწვილო, ჩამოვედით! – ამომძახა გამყოლმა და გამშორდა.

ვაგონი ცარიელი იყო, ჩემს გარდა ყველა გაქრა.

ჩამოვედი თოვლიან ბაქანზე, ვაგზლის ფრონტონზე ეწერა „ბრესტი“.

22

ქალაქი არც დამამახსოვრდა... შიშველი ხეები, ჭუჭყიანი თოვლი, ქოხმახები. ყინავს, მშია, ჯიბეში ხურდაღა მიყრია, სამშაურიანი და ორ-შაურიანი. პურის მაღაზიაში შევდივარ. შავი პურის ნაჭერი ჩამომიჭრეს და ესაა... უგემურად ვძიძგნი, თან ვფიქრობ: ვარ თოვლიან ქალაქში. ცაზე მზე არ ჩანს. არ ვიცი საითაა აღმოსავლეთი და საითაა დასავლეთი. ჯერ ეს უნდა გავარკვიო, მერე გაყინულ მდინარე ბუგზე უნდა გადავიდე. ნაპირზე მესაზღვრეები იქნებიან, აქეთ რუსები, იქით პოლონელები... ვინ იცის, იქნებ ყინული თხელია და შეიძლება ჩატეხილიც. დღისით ვერ წავალ, დამინახავენ, ღამით შეუძლებელია, გავიყინები... მოკლედ, თვალნათლივ ვხედავ, ზღაპარმა სადაც მომიყვანა და გზის გაგრძელების მცდელობაც უაზრობაა.

გარეუბანში აღმოვჩნდი. ცივა. ძალიან მინდა სადმე შევიდე და გავთბე. ბოლოს და ბოლოს ირგვლივ ადამიანები ცხოვრობენ, მშიერ-მწყურვალს ხელს არა მკრავენ... მოდი, აი, აქ დავაკაკუნებ!.. ორსართულიან ხის სახლს მივადექი, ყური მივუგდე. ბავშვების ჟრიამული მესმის. ალბათ საბავშვო ბაღია!.. მოვშორდი, ქუჩა გადავჭერი და გადაყუნცულ ქოხთან შევჩერ-

დი. შესასვლელთან თხა აბია, ჭამს, პირს აპარპალებს... გაკვირვებით მიყურებს... თხის ნახვამ რატომღაც წამათამამა... დავაკაკუნე.

კარი უცბად გაიღო და ზღურბლზე საშუალო ასაკის დედაკაცი წამოიმართა. ამხედ-დამხედა, ხელი ხელს შემოჰკრა და გაკვირვებით წამოიძახა:

— ღმერთო ჩემო, ამას რას ვხედავ? შემოდი, შემოდი!

თავპატიჟი არ გამიდვია. გაკვირვების მიზეზი კი ჩემი რეზინის ჩექმები გახლდათ. ამ ყინვაში რეზინის ჩექმით მთელ სლავეთში ალბათ ჩემს გარდა არც არავინ დადიოდა, თანაც ყელწაჭრილი ჩექმით. შარვალიც ხომ თხელი მეცვა, მუხლები მეყინებოდა.

ქალმა ღუმელთან მიმათრია. თან კითხვებს მაყრიდა, თან საქმიანობდა. ცხელ ქურაზე ქვაბები შემოდგა. გვერდით, მშრალ ოთახშიც ცეცხლი დაანთო, შეშა ბლომად შეყარა. ცეცხლი რომ აგურგურდა, იქ დამსვა, წინ ცხელი წყლით სავსე ტაშტი დამიდგა, ჩაიმუხლა და ფეხზე თვითონ გამხადა. დანესტიანებული, თხელი წინდების დანახვაზე ივიშვიშა და წაუტირა კიდეც, ჩემი ბიჭი ორი წელია სამუშაოდ ციმბირში გადაიკარგა და ვინ იცის, იმას როგორ უჭირსო.

ამასობაში სუფრაც გააწყო... ბორშჩი, ლორი, წიწიბურა... მოკლედ, რაც კი ჰქონდა, ყველაფერი გადმოალაგა.

დედა ყველგან დედაა!.. ის ქალი ვიღაცის დედა იყო, ციმბირში წასული ბიჭისა. ობლად მოხეტიალეს ხელი რომ გამომიწოდა, შემითბო და მომეფერა, ამით ციმბირში გადახვეწილ თავის ბიჭსაც მოეფერა. არც სახელი მიკითხავს მისთვის, არც მისამართი ჩამიწერია... რამდენმა გამომიწოდა ასე ხელი და უფალი თუ გადაუხდის სიკეთის წილ.

დააკაკუნეს და ახალგაზრდა ქალი შემოვიდა, მოგვესალმა. ოფიცრის ცოლი ყოფილა. იმანაც შეიცხადა, სწრაფად გაბრუნდა და ათ წუთში გაქათქათებული, უხმარი, გრძელტოტებიანი საცვალი მომირბენინა. იქვე ჩამაცვეს. ფეხზეც რომ თეთრი ბამბაზიის ნაჭერი (პარტიანკა) შემოვიხვიე, მართლაც საფუძვლიანად გავთბი.

— ხომ იცი, რა დღეში იქნება დედაშენი? – მოფერებით მეუბნება ოფიცრის ცოლი. – ამ ყინვაში სად უნდა იხეტიალო? დაიღუპები! წავიდეთ, აგერ კომკავშირის კომიტეტში მივალთ და დაგვეხმარებიან!

არჩევანის საშუალება, ვხედავ, არა მაქვს. მართლაც სად უნდა წავიდე ამ სიცივეში, თანაც უფულოდ. ოფიცრის ცოლი ხუთმანეთიანს მჩუქნის, დიასახლისს სამმანეთიანი აღმოაჩნდა. იქნებ მთლად ბოლო ფულია, რაცა აქვს, იმას მაძლევს. ვემშვიდობები. მე და ოფიცრის ცოლი ხელიხელჩაკიდებულნი მივდივართ.

ერთი საათიც არ გასულა, მე მილიციის განყოფილებაში ვარ. კუთხეში ვზივარ... დაპატიმრებულები შემოჰყავთ. ორი დედაკაცი მოთქმით ტირის. თურმე თითო ტომარა პური უყიდიათ და ახლა სპეკულანტობას აბრალებენ. ერთი ირწმუნება, სოფელში მოსავალი არ იყო, გრამი არ დაგვირიგეს და შიმშილით ვიხოცებითო... ხომ უნდა მეკითხა მაშინ ჩემი თავისთვის, როდის დააპურებს თავის შვილებს სოციალური სისტემა, რომლის დროშის ქვეშ ვაპირებდი მსოფლიოს განთავისუფლებას.

იმ ღამეს კაცი გამაყოლეს, ჩამსვეს მატარებელში და ჩამიყვანეს ბარანოვიჩში...

23

ბავშვთა განმანაწილებელი ისეთ უბანში იყო, სოფელი გეგონებოდათ. ერთსართულიანი, კარგად ჩათბუნებული სახლი თოვლიან ეზოში იდგა. ათიოდე ჩემსავით მაწანწალა ბავშვი ჰყავდათ. თბილოდა, არა გვშიოდა. ხანდახან ეზოში თოვლს მოვხვეტავდით, ეს იყო ჩვენი სამუშაო. სხვა დროს ვთამაშობდით, უფრო ციგებით ან თხილამურებით, ან წიგნს ვკითხულობდი. კვირაში ერთხელ ხელიხელჩაკიდებულები აბანოში მივყავდით. ეს იყო და ეს!

დირექტორად ერთი ჩასუქებული ბელორუსი გვყავდა. ხანდახან დამიბარებდა, საუბარს გამიბამდა. რა გინდა ამ ცივ ქვეყანაში, მზიანი საქართველო როგორ არ გირჩევნიაო. მე რომ

ბელორუსი არ ვიყო და ბულბაზე (შემწვარ კარტოფილზე!) არ ვგიჟდებოდე, საქართველოში გადავსახლდებოდი და ყურძენს მივირთმევდიო. ისეთი კეთილი ვინმე იყო, სიკეთე თვალთაგან სულ ცრემლად გადმოსდიოდა. მე ჩოჩორივით გავჯიუტდი, გამიშვით სადმე სასწავლებელში და იქ დავრჩები-მეთქი. მრცხვენოდა ხელმოცარული დაბრუნება და ეს მალაპარაკებდა. დირექტორი კი ჭიპმოჭრილი და ბრძენი კაცი იყო, ძალას არ მატანდა, მაგრამ თითქოს მეხვეწებოდა, ერთსა და იმავეს მიმეორებდა. რა რჯიდა ამ კაცს, რა ენაღვლებოდა? საკმარისი იყო ერთი ფარატინა ქაღალდი და გამიშვებდნენ სადმე დასაკარგავში. ეტყობა, ეწადა ჩემი გადარჩენა პროლეტარის ხვედრისაგან. იმდენ ხანს მეჩიჩინა, რბილად, იუმორით, ღიმილით, ბოლოს დამიყოლია, ერთი ხანშიშესული ზემდეგი გამატანა და პირდაპირ ზუგდიდში გამამგზავრა.

მოკლედ, ამ ჩემი მეორე ოდისეათი სოციალისტური სამშობლო ვაზარალე!

ზემდეგი მთელი გზა ფხიზლად მდარაჯობდა. ვაგონ-რესტორანში ბორშჩითა და ლორით მკვებავდა. თან ტრაბახით მჭყიპავდა. ეშინოდა, გამეპარებაო, მაგრამ რუსულმა ზამთარმა ისე შემაწუხა, არსად ვაპირებდი გაქცევას.

სოჭს რომ მივაღწიეთ, გამყოლმა ტრაბახი შეწყვიტა. იდგა ფანჯარასთან, უყურებდა და ოხრავდა. პირველად იყო სამხრეთში და ადრიანი გაზაფხულის ფერთა სიუხვემ მისი მარტივი სული შეძრა.

ზუგდიდში გარიჟრაჟზე ჩავაღწიეთ. ჩემი სახლი სადგურიდან არც ისე შორსაა. ზემდეგი აქეთ-იქით იყურება, მძინარე ქუჩებს, ეზოებსა და ოდა-სახლებს ათვალიერებს და მკიცხავს, ასეთი ქვეყნიდან სად ჯანდაბაში გარბოდიო.

მართალი იყო ეს კაცი და რა მეთქმოდა!

მივადექით სახლის კარს, წამოვყარეთ მძინარენი. ატყდა ერთი ვაი-უშველებელი.

ჩემმა მამინაცვალმა სტუმრის ყადრი იცოდა. ის საბრალო ბელორუსი სამი დღე სუფრიდან არ წამომდგარა. შეჭიკჭიკებული, სულ იმას მიმეორებდა, ეს რა კაი ხალხში გიცხოვრია, რა გინდოდა, რას გამორბოდი თოვლისა და კარტოფილის ქვეყანაშიო...

24

ამასობაში სასწავლო წელი სანახევროდ მიილია. უკვე მეშვიდე კლასის მოსწავლე ვარ. მაცვია ნაცრისფერი, დაბამბული ჯუბა და „ბათინკები“, ბელორუსიიდან რომ ჩამომყვა, მახურავს ყურებიანი ქუდი. ასეთი ჯუბა ეცვა ლენინს ერთ გადასახლებისდროინდელ სურათზე და ჩემი ძმაკაცი გიგლა ჯანაშია ხუმრობით ბელადს მადარებს, თუმცა არც მე, არც იმან არ ვიცით, რომ ეს შედარება დიდად სახარბიელო არ არის. ყველაზე დიდხანს „ბათინკები“ შემრჩა. მანამ ვატარე, სანამ პირს დააღებდა. წყალი რომ შემივიდა, სიბრძნე მოვხიე: ამის სიკეთე იმაშია, წყალი კი შედის, მაგრამ უკანვე რომ გამოდის-მეთქი.

სწრაფად გაზაფხულდა. ორიოდე ნიშნის მიღება მოვასწარი და სასწავლო წელიც დამთავრდა. ჩემში ჩამჯდარი ეშმაკი ვერ ისვენებს, ზამთრის მოგზაურობის მარცხი ყინვასა და სიცივეს ბრალდება. აი, ზაფხულში რომ გავმგზავრებულიყავი, ცხადია, რაიმეს მივაღწევდი... გული ისევ მოსკოვისაკენ მიმიწევს, რაკი ყველა გზა იქიდან იწყება.

შევუჩნდი დედაჩემს, გამიშვი, ბედს ვეწევი-მეთქი. „ბედის“ უტყუარი არგუმენტი, ცხადია, სწავლა იყო. ვითომდა ჩვენი სკოლა და ღარიბი ბიბლიოთეკები არ მაკმაყოფილებდა. ეს მხოლოდ საბაბი გახლდათ, რადგან უკვე იმდენად ნასწავლი ვიყავი, გონების დასაბნელებლად მეტი არც მჭირდებოდა. დედაჩემს ჩემი სჯეროდა, იქნებ იმასაც ფიქრობდა, რომ არ გავუშვა, გაიპარება და უარეს დღეში ჩაგვაგდებსო. თანხმობა კი გამოვტაცე, მაგრამ კაპიკი ფული აღარ გვქონდა შინ. უფულობა რას დამაკავებდა, მაგრამ რაკი ლეგალურად მივდიოდი, უმჯობესი იყო, ჯიბეში ბილეთი მქონოდა. დედამ მითხრა, შენ ოღონდ ვინმეს ესესხე და ერთ თვეში მე გავისტუმრებო.

მივაკითხე ტარასი ბიძიას. შორს დაიჭირა, ფულს ვინ მომაშავებს, სადა მაქვსო. აცხონოს ღმერთმა, ცოტათი ხელმოჭერილი კაცი იყო. თუმცა დრო იდგა ისეთი, ხალხი მცირედით კმაყოფილდებოდა, ყველაზე ფულიანსაც არა ჰქონდა თავზე საყრელი.

ქუჩის ბოლოს კოსტა არნანია ცხოვრობდა. ერთ ხნობას, ჩვენთან იდგა მდგმურად და იმიტომ შევბედე. რად გინდა, შვილო, ფულიო, მკითხა. მოსკოვში მივდივარ სასწავლებლად-მეთქი. ხვალ მოდი და რამეს გაგიხერხებო, დამპირდა.

მეორე დღეს მივაკითხე. შინ შემიყვანა. მაგიდაზე ხონჩით თხილი, ჯანჯუხა და ტილისკვერი ედო. არყის პატარა ჭიქაში შინაური ნაყენი დამისხა და გზა დამილოცა.

სიმორცხვისაგან ხმას ვერ ვიღებდი, იმან კი ქაღალდში შეხვეული ფული ჯიბეში ჩამიდო და ჩემი ბოდიშნარევი ლუღლუღის პასუხად მეგობრულად მითხრა: ოღონდ შენ კაცი გახდი და მეტი მე არაფერი მინდაო.

ჩავჯექი მატარებელში და სულ დაგადუგით ჩავედი მოსკოვ-ქალაქს. ზაფხულის რუსეთი, რა თქმა უნდა, უფრო ლამაზიც იყო და ნაკლებ საშიშიც. გაყინვა მაინც არ მომელოდა... ვრცელი ველები, აქა-იქ გაბნეული ხუტორები, თეთრი „მაზანკები“, „ხატები“, მშვიდი და წყნარი მდინარეები, ოქროსფერი ხორბლისა და მზესუმზირის უსასრულო ყანები... რუსეთზე ბევრი რამ არ დამიწერია. შევეცადე ერთ მოთხრობაში – „ტრამალების სევდიანი სიმღერა“ გადმომეცა მცირედი იმ შტაბეჭდილებებიდან, ცენტრალურმა რუსეთმა ჩემზე რომ მოახდინა...

25

კვლავ მოსკოვში ვარ. თითქმის მთელი თვე! არც ჭერი მაქვს სადმე, არც დასაძინებელი ადგილი. დღისით არა მიშავს, თბილა და თავს ხალისიანად ვგრძნობ. ნაყინი და ღვეზელი, ესაა ჩემი საჭმელი. სიროფიან წყალს ვაყოლებ, სხვანაირი ქეიფი მე არ ვიცი.

სად არ დავიარები. „ვდნხ“-ზე უამრავ დროს ვხარჯავ, ყველაფერი მაინტერესებს და, სამწუხაროდ, ყველაფრისა მჯერა. განსაკუთრებით საქართველოს პავილიონს ვეღარ ვშორდები. მართალია, სხვა ქვეყნებისაკენ მივისწრაფვი, მაგრამ სამშობლო ერთადერთია და თავში რანაირი დომხალიც არ უნდა მქონდეს, ინსტინქტი მაინც შინისკენ მიხმობს... შევისწავლე მეტრო, გუმი, ცუმი, მუზეუმები... ერთხელ ცირკშიც ვიყავი და კარანდაშის მასხრობაზე ბევრი ვიცინე, ამ დროს გარეთ ბნელი და ცივი ღამე მელოდებოდა.

იმ ზაფხულს უბრალო მოქალაქენი პირველად შეუშვეს კრემლში. მეც მოვახერხე. ვდგავარ მეფე-ზარბაზანთან, წინ მოედანია, მიღმა სამთავრობო შენობებია. აგერ შავი მანქანები მოსწყდებიან კიბეს და აქეთ მოდიან. ხალხი ტაშს უკრავს. ვიცანი, მოლოტოვია, წინ იყურება, ვერც გვამჩნევს... ახლა სხვა მანქანა შორდება იმ კიბეს, ამჯერად მიქოიანია, ისიც თითქოს ვერ გვამჩნევს... სეირის მოყვარული მოქალაქენი ტროტუარის პირას დგანან და კვლავ ტაშს უკრავენ... მესამე მანქანაში ნიკიტა ხრუშჩოვია. მან შლაპა მოიხადა, დაგვიქნია, თან იცინის, გვერდით სერიოზული ბულგანინი უზის.

სხვათა შორის, ხრუშჩოვი სხვა დროსაც ვნახე. მაშინაც იცინოდა, თუმცა სასაცილოდ, თურმე, სულაც არ ჰქონია საქმე. ექსკურსიაზე მივემგზავრებოდით რიწის ტბაზე და მოსახვევთან მთავრობის მანქანების კორტეჟმა ჩაგვიარა. ერთში ხრუშჩოვი და მიქოიანი ისხდნენ. ხრუშჩოვმა აქაც შლაპა მოიხადა და დაგვიქნია. ბედნიერი სახე ჰქონდა. მიქოიანი გაუღიმარი, პირგამეხებული წინ იყურებოდა. იცოდა მელამ, სადაც იტყუებდა თავის მსხვერპლს. სწორედ რიწის ტბაზე გამოიჭირეს მაშინ ნიკიტა ხრუშჩოვი, ხელისუფლებაზე უარი ათქმევინეს.

ერთხელ, სმოლენსკის მოედანზე, საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში შევედი. მისაღებში ტელეფონებია. შეგიძლია ნებისმიერ განყოფილებაში დარეკო და თუ საჭიროდ ჩათვალეს, მიგიღებენ. ვრეკავ მაღრიბის ქვეყნების განყოფილებაში. ალჟირში ამ დროს ფიცხელი ომია და მსურს ჩემი თავი მოხალისედ შევთავაზო. ჩემი ჩურჩუტული ჩანაფიქრით, ოღონდ აქედან გავაღწიო და მე ვიცი, ალჟირში წავალ თუ ჯანდაბაში. მდივანი დაჟინებით მეკითხება, რა საკითხთან დაკავშირებით გნებავთ საუბარიო. ვხვდები, რომ მართლაც დონ კიხოტის ტვინი უნდა გქონდეს თავის ქალაში, ამათ რომ სიმართლე უთხრა და გიჟად არ ჩაგთვალონ. დავკიდე ყურმილი და გამოვედი გარეთ.

დღეები მზიანი და თბილი იყო, მაგრამ საღამოობით აგრილდებოდა ხოლმე და ვიწყებდი ღამის თევაზე ფიქრს. ქუ-

ჩები მოსეირნეებით აივსებოდა, ხალხი მიეშურებოდა თეატრებისაკენ, კინოსკენ, რესტორნებისაკენ... ხანდახან კინოში შევიდოდი, ვისვენებდი. გარეთ გვიან გამოვიდოდი და მეტროთი რომელიმე ვაგზალს მივაშურებდი, ყოველთვის სხვადასხვაში, რათა მილიციელთათვის თავი არ დამემახსოვრებინა. შენობაში შესვლა მანეთი ღირდა. შიგნით თბილოდა, თუმცა ჰაერი ოფლითა და ჭუჭყით ყარდა. დაძინებით ვინ დამაძინებდა. დასაჯდომი ადგილიც ძნელი მოსაძებნი იყო და თანაც ღამის განმავლობაში მილიციელი ათჯერ გაგაღვიძებდა, გამოგკითხავდა, ვინ ხარ და სად მიემგზავრებიო. ყოველთვის სიმართლენარევ ზღაპარს ვუყვებოდი. დილის ხუთ საათზე დამლაგებლები შემოცვივდებოდნენ სველი ტილოებითა და წყლიანი სათლებით. მომლოდინე მგზავრებს გარეთ გაგვყრიდნენ. მალე მეტროს კარებიც გაიხსნებოდა, შაურად მიწის ქვეშ ჩავეშვებოდი და მანამ ვხეტიალობდი, სანამ მოსკოვის ქუჩებში დათბებოდა.

გადავიღალე... უძილობამ გონება დამიბინდა. თავს სიზმარში ვგრძნობდი. ბაღის სკამზე ჩამოვჯდებოდი და უცებ ჩამეძინებოდა, სანამ კაკუნი არ გამაღვიძებდა. ყველგანმყოფი და ზედმეტად ფხიზელი მოსკოვის მილიცია ბაღში ძილის ნებასაც არ იძლეოდა. ქუჩაში სიარულის დროს უცებ ჩავთვლემდი და შევბარბაცდებოდი. გამოვფხიზლდებოდი და გამოწვდილ ხელებს წავაწყდებოდი, გამვლელნი მიწვდიდნენ, არ წაიქცეო... იქნებ ნასვამი ვეგონეთ, ან რა ვიცი, რას ფიქრობდნენ. აბსურდის ტრაექტორიაზე შეგდებული, მე ჩემი გზით მივეხეტებოდი.

ერთხელ მილიციას თავი ძლივს დავაღწიე. ვაგზალში გამომიჭირეს და დამკითხეს. იჭოჭმანეს, გავუშვათ თუ არაო... ბოლოს გამიშვეს... ერთი-ორი დღის შემდეგ კვლავ დამიჭირეს და ქურდებთან და მაწანწალებთან ერთად გისოსებიან მანქანაში შემაგდეს. მანქანა ტროტუარის პირას იდგა, ჩვენ გისოსებიდან ვიჭყიტებოდით და გულკეთილი გამვლელნი პაპიროსსა და ბლითებს გვაწვდიდნენ. პაპიროსს არ ვეწეოდი, არც არასოდეს მომიწევია, მაგრამ ბლითი და ორცხობილა დიახაც რომ მეგემრიელა.

კარგა ხანს გვატარეს მოსკოვის ქუჩებში. შევედით მწვანე ალაყაფის კარში. ბარანოვიჩის გამოცდილებით ვხვდებოდი,

რომ აქაც ბავშვთა განმანაწილებელში მივყავდით, ოღონდ ეს იყო უზარმაზარი დაწესებულება. მაღალი გალავნით გარშემორტყმულს, კუთხეებში კოშკურები ჰქონდა დატანებული. იმ კოშკურებში შეიარაღებული არმიელები იდგნენ. ძველი სამონასტრო კომპლექსი იყო ალბათ, შენობები ეკლესიებს მოგაგონებდათ... აი, აქ იყრიდა თავს მოსკოვში ჩამოხეტებული ყველა ბავშვი და საკმაოდ შთამბეჭდავი რაოდენობისა გროვდებოდა. რაზმებად ვიყავით დაყოფილნი. ჩვენს რაზმში ორმოცამდე ბავშვი ითვლებოდა. ის კი არ ვიცი, სულ რამდენი რაზმი იყო.

მკაცრი განრიგით ვცხოვრობდით. ვრცელ პალატებში გვეძინა. გვიკითხავდნენ ლექციებს, მწკრივში დაგვაწყობდნენ და ისე გვატარებდნენ აღმა-დაღმა. სასადილო სარდაფში იყო. კვება არ დაიწუნებოდა, მაგრამ ისე გვექცეოდნენ, როგორც პატიმრებს. განსაკუთრებით ერთი „აღმზრდელი“ ქალი გვიშრობდა სისხლს, სულ ქოფაკივით იყეფებოდა, გვლანძღავდა. ბიჭებმა ერთმანეთში მოვითათბირეთ, გვეყოფა ამდენი შეურაცხყოფა, ბოლოს და ბოლოს მართლაც დამნაშავენი ხომ არა ვართ, მოდი, გავიფიცოთ, დღეს სასადილოში რომ ჩავალთ, საჭმელს ხელი არ დავაკაროთო. ლიდერიც უმალ გამოგვიჩნდა, უკვე თექვსმეტს მიტანებული რუსი ყმაწვილი.

რიგში წესიერად დავეწყვეთ, უხმოდ მოვისმინეთ მორიგი ლანძღვა-თათხვა, ჩავედით სასადილოში, მივუსხედით მაგიდას და ხელები მუხლებზე დავიწყვეთ. აღმზრდელი ქორივით დაგვტრიალებს თავზე. ბორშჩის არომატი ცხვირში გვიღიტინებს, მერე კატლეტი და კომპოტი მოგველის, მაგრამ ჩვენ ვაჟკაცურად ვუძლებთ ცდუნებას.

რა ხდება? რაო? გაფიცვა?.. აღმზრდელი გაცოფებულია, პირდაპირ აკანკალებს, უფროსებთან გარბის. ჩამოდიან ჩინოსნები, რა გაწუხებთო, ყველაფერს გავარკვევთო, ახლა ეს გემრიელი ბორშჩი მიირთვით და მერე მოვილაპარაკოთო. ჩვენ მაინც წყნარად ვზივართ და ლუკმას პირს არ ვაკარებთ.

აგვაყენეს, ჰაერზე გვატარეს, უფრო მოშივდებათ და გატყდებიანო. „აღმზრდელი“ შაქარივით დატკბა, ჩვენი სიყვარულით პირდაპირ დნება... ცხადია, კუჭი გვეწვის, მაგრამ ჭამაზე უარს ვამბობთ.

„აღმზრდელი“ სადღაც გააქრეს, ჩვენ კლუბში შეგვრეკეს და ლექცია წაგვიკითხეს. რაზე თუ იცით? რა თქმა უნდა, სოციალიზმის სიკეთეზე... სოციალიზმი ხომ კაცობრიობის მომავალია, იგი ჰუმანური იდეებითაა აღჭურვილი. გაფიცვა ბუნებრივია ისეთ ქვეყნებში, სადაც ბურჟუა სისხლსა სწოვს მშრომელს, თორემ ჩვენთან, სადაც ყველაფერი მუშას და გლეხს ეკუთვნის, გაფიცვა ბოროტმოქმედებაა... ოჰ, ეს ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები! სიკეთის ფერადფოჩებიან ქაღალდში გახვეული შხამიანი კამფეტები... ალბათ ციხეებითა და წამებით მეტი კაცი არ განიარაღებულა, რამდენიც ამ სიცრუით. ჩვენი უცოდველი სულებისათვის ეს იყო ყველაზე ძნელად მოსაგერიებელი დარტყმა. ვინმეს რომ კონდახებით ვეცემეთ, ან კარცერში ჩავესვით, ალბათ დავიხოცებოდით და არ დავემორჩილებოდით, მაგრამ გაფიცვა ჰუმანისტური იდეების წინააღმდეგ ხელიდან იარაღს გვაცლის, დანაშაულის კომპლექსს გვიჩენს და ჩვენ გვრცხვენია... კი, პატარა დათმობაზე ისინიც წამოვიდნენ, ერთი აღმზრდელი მეორეთი შეგვიცვალეს, ისეთივე გველაძუათი... ამით ჩვენი თავმოყვარეობა ცოტათი დაინდეს. ჩვენ ჩავდივართ სასადილოში და თავდახრილები ვხვრეპთ კარგა ხნის გაციებულ წვნიანს.

მაინც საშიშნი ვართ. ჩვენი ერთად დიდხანს გაჩერება არ შეიძლება. აი, შეირჩა თბილისისკენ გამოსამგზავრებელი ბავშვების ხუთეული... ორი სამხედრო პირი მოგვყვება, შეიარაღებულნი არიან, ფხიზლად გვდარაჯობენ.

თბილისშიც არსებობს დაწესებულება მაწანწალა ბავშვებისათვის. მოსკოველები ხელწერილით გვაბარებენ თბილისელებს. აქ მოსკოვური გაქანება სადაა, ათი-თხუთმეტი ბავშვი ჰყავთ. ერთი კვირა მაყურყუტებენ, მერე თბილისელი ძია ზუგდიდში ჩამიყვანს და დედაჩემს ხელიდან ხელში გადამცემს.

მეორე დღეს დედა მეკითხება:

— მაინც რა ქენი?

— ბულგანინი ვნახე, — ეს ხომ სიმართლეა, მართლაც ვნახე, ოღონდ შორიდან, — მითხრა, სკოლა დაამთავრე და მერე ჩამოდი, მოგხედავო! – ეს კი უცოდველი სიცრუეა. არ მინდა დედაჩემს გული ვატკინო. რაში სჭირდება იმის ცოდნა, მისი

შვილი უბრალო მაწანწალა რომ იყო და ისე ექცეოდნენ, როგორც მაწანწალას შეეფერება. დედის გული სხვაა! მას თავისი შვილი გამორჩეული ჰგონია, ერთადერთი, სხვათაგან განს-ხვავებული... თუმცა ეს აზრი მთლად უსაფუძვლო არც არის. დონ კიხოტი ხომ მართლაც გამორჩეულია, მისი ჯაგლაგი, როსინანტიც ბედაურებში გამორჩეული და ერთადერთია...

ცხონებულმა მამინაცვალმა, ბუხრის პირას, რაკი ელნათურა არ ენთო და „რობინზო კრუზოს“ ცეცხლის ალის შუქზე ვკითხულობდი, წიგნი ყასიდად გამომტაცა, ვითომ ცეცხლში ჩაგიგდებო, თან განაცხადა: „ამ ბავშვისაგან ან რაიკომის მდივანი დადგება ან მეეზოვე!“ რაიკომის მდივნისა რა მოგახსენოთ, მეეზოვის მშვიდი კარიერა კი არაერთხელ მომნატრებია...

26

კარგა ხანს არსად წავსულვარ. ჩვეულებრივი სასკოლო ცხოვრება წაეწყო. ვსწავლობდი ხან ისე, ხან ასე. რაც მაინტერესებდა, ის სხვაზე უკეთ ვიცოდი, რაც არ მაინტერესებდა, იმას თავში ვერავინ ჩამჩრიდა.

წიგნები... წიგნები... წიგნები... უკაცრავად, სახელმძღვანელოები არ მიყვარდა.

მეგობრების წრე... ტოლ-სწორები... ღონე არ მყოფნიდა თამაშში გავჯიბრებოდი ტოლებს. ისინი ბურთს აგორებდნენ, მე წიგნს ჩავკირკიტებდი... ისინი ყირაზე გადადიოდნენ, მე ისევ წიგნში ვიჭყიტებოდი... ახლა კარგად მესმის, რამდენი რამ შევიძინე, ისიც – რამდენი დავკარგე... სულის ბედნიერებას თან უნდა ახლდეს სხეულის ბედნიერებაც, არსებობა მხოლოდ მაშინაა ჰარმონიული.

ისეთმა ასაკმა მოგვიკაკუნა, ჩემი ტოლები სულ შეყვარებულები არიან, გოგონებზე აქვთ ცილობა, ჭორაობენ, სექსუალურ-ჩურჩუტულ საიდუმლოებებს უმხელენ ერთმანეთს.

რამდენი რამა აქვთ თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ბიჭებს სალაპარაკო. დღე მიაქვს თამაშს, კითხვას, ცხელ-ცხელ ამბებს. რბილი საღამოები, ამ დროს ყოველი წამი სიცოცხლისა მძაფრი

სურნელებითაა სავსე. ვარსკვლავიანი ცის ქვეშ არასოდეს თავდება რეალურისა და წარმოსახულის აღრეული ზმანებანი. ყველაფერი გვაინტერესებს, სამყარო ვრცელი და მშვენიერია. ყოველი ვარსკვლავი იდუმალებაა. ყოველი ჩვენგანი ისეთივე იდუმალების მატარებელნი ვართ, როგორც შორეული ვარსკვლავები. ჩვენ ცხოვრების ზღურბლზე ვდგავართ, დიდი საქმეები მოგველის, არჩევანი ჩვენზეა, რასაც ახლა ჩავიფიქრებთ, ის განხორციელდება. გიგლას ექიმობა უნდა, სქელტანიან, ფერადილუსტრაციებიან საექიმო წიგნებს ეზიდება, თავ-ბოლოს ვერ უგებს, მაგრამ ეგ არაფერი... (მომავალში ის მშენებელ ინჟინერი გახდება!). მე პრეზიდენტობას ვეპოტინები, წარმოსახვით შევდივარ პრეზიდენტის აპარტამენტებში... სამყარო ჩვენია და როგორც გადავწყვეტთ, ისე იქნება...

სიყმაწვილის მშვენიერო ასაკო! შენ ძალგიძს ოცნების ფრთებზე აფრენა და უმაღლეს მწვერვალამდე აღწევა. შენ ჯერ კიდევ არ იცი, როგორ იძირება ადამიანი ყოფიერების ჭაობში, ჯერ გესლი ცხოვრებისა არ გიგემნია. შენს ირგვლივ ყვავილნარია, ადამიანები მხოლოდ სიკეთისთვის იღვწიან. ყოველი ადამიანი კეთილია და შეგიძლია ყველას გულუბრყვილოდ მიენდო... ჯერაც ბედნიერო!.. თვალი გაგეხილება და იმ დღიდან იწყება ნამდვილი ცხოვრება და თუ ბოლომდე შეგრჩა წმინდა გულუბრყვილობა, ოცნების უნარი, სიკეთე, მაშინ გმირი იქნები!..

დიახ, განსწავლის ის ორი წელი იყო რეალობისა და ზმანების ზღვარზე განვლილი ჟამი, როცა სიხარულიცა და ტკივილიც გამძაფრებულია, მკვეთრია, შთამბეჭდავია... გარეთ უკიდეგანო სამყაროა და ჩვენშიც სამყაროა, რადგან ადამიანის ყოველი იოგი ძალას იკრებს, მაგრდება, იგი ემზადება ცხოვრებისათვის, უჭირს ყველაფრის ჭეშმარიტების კუთხიდან აღქმა...

მე ისევ ვწერ...ამჯერად მწერლის კარიერას ვარჩევ... ვწერ, რა თქმა უნდა, რომანს... რა თქმა უნდა, ფანტასტიკურს. რეალობას რომანტიკული ხიბლი აკლია და იმიტომ... აი, ჩემი გმირი საუკუნეებს გადაახტება, ორას ორმოცი წლის შემდეგ იღვიძებს და მომავლის კომუნისტურ საზოგადოებაში ამოყოფს თავს...

შეუძლებელი არაფერია... დროში მოგზაური შეხვდება ნაილის, მომავლის ქალიშვილს და იმოგზაურებს იმ სამყაროში, სადაც უკვე განხორციელებულია ადამიანთა ყველა ოცნება... ესაა უტოპია, იდეალური საზოგადოების მოდელი, სადაც ყველა ქმნადობითაა დაკავებული და არავინ იცის, რა არის ბოროტება. აქ მარტო სიკეთე, სიყვარული და ურთიერთნდობაა გაბატონებული... გმირი მოგზაურობს დედამიწის ირგვლივ. ხედავს, როგორ აშრობენ ხმელთაშუა ზღვას, რწყავენ საჰარას, ადნობენ ანტარქტიდის ყინულეთს და ასე შემდეგ.

ვწერდი ამაებს, თავში კი ზეფანტასტიკური რამ მიღიტინებდა, მაგალითად, ბიოგრაფიული რომანი ლენინზე, თხუთმეტ ტომად... ანდა ეპოპეა, „XX საუკუნე“, თითო წელი, თითო რომანი... სულ რაღაც ასი რომანი... ახალი ბალზაკი, ზოლა...

ეჰ, ჩემო სიყმაწვილევ, ყველაზე ფანტასტიკური უტოპია იქ იქმნება, სადაც რეალური ცოდნის დეფიციტია... თვალებზე ოცნების ფარდა მეფინა და ვერანაირი რეალობა იმ ზმანებიდან ვერ გამომიყვანდა...

ცხრა კლასიც დავამთავრე, უკვე კაცი ვარ!

27

რაკი კაცი ვარ, ჩემს კაცურ გადაწყვეტილებას წინ ვინ დაუდგებოდა. მე კი გადავწყვიტე, ჩემი ბედი თვითონ გამოვჭედო. დღისით უნდა ვიმუშაო, სკოლაში საღამოს ვივლი. ცოტათი სულს მოვითქვამ, არც ოჯახისათვის იქნება ზედმეტი, შესანახი მაინც არ ვეყოლები... ჩემი მეგობრებიც დავიყოლიე. გადავიტანეთ საბუთები ინგურქაღალდკომბინატის საღამო სკოლაში. ჯუმბერი (აბრამია) და გიგლა იქ კრივზე დადიოდნენ, მაგრამ იქაურობას ბოლომდე ვერ შერჩნენ, დღის სკოლას დაუბრუნდნენ... მეც ვერ შევრჩი. გაკვეთილებს ვაცდენდი და ბოლოს სულ მივანებე თავი.

კომბინატში ადრეც ვყოფილვარ ექსკურსიაზე. ჩამოგვატარებდნენ ხოლმე ხის დასაქუცმაცებელი საამქროდან ბოლო, მზა ნაწარმის საამქრომდე, სადაც სასკოლო რვეულები იკერებოდა.

ხელობა არაფერი მქონდა და შავი სამუშაოს მეტს ვინ რას შე-

მომთავაზებდა. მართლაც, მაკულატურის საამქროში მიკრეს თავი.

საამქრო ერქვა, თორემ ეს იყო უზარმაზარი ფარდული, მაკულატურით ჭერამდე დაზვინული. ქალები პირდაპირ ქაღალდის ამ გორაზე ისხდნენ და ახარისხებდნენ, თან ყუთებში ყრიდნენ. სავსე ყუთებს დროგზე შევდგამდით და ერთი ჯაგლაგი ცხენი ამ დროგს მეზობელ საამქროში წაათრევდა. იქ ბეტონის ბუნკერში ჩავყრიდით და წყლის ძლიერი ნაკადი მაკულატურას დააქუცმაცებდა.

იმ დროს ნიკიტა ხრუშჩოვმა გადაწყვიტა ადგილებზე დაემაგრებინა მომთაბარე ბოშები. ჩვენს დროგზე ერთი ასეთი ბოშა იჯდა. სამსახურში იმ საცოდავი ჯაგლაგის ხათრით დადიოდა, თორემ ერთ ადგილას მისი გაჩერება ხრუშჩოვის განკარგულებასაც არ შეეძლო. ეს ბოშა იყო ჩემი მეწყვილე, ერთად დავათრევდით ტვირთს, მუდამ მხიარულად იღიმიჭებოდა, რუსის ფეხმძიმე ქალს ეკურკურებოდა და ცხენი ქალებზე მეტად უყვარდა.

თავისუფალ დროს, როცა ქალები ისვენებდნენ, ქაღალდის მთაში ვიქექებოდი. წიგნები ბლომად მოჰქონდათ. ერთხელ თურქულის სახელმძღვანელო შემხვდა, მაგრამ მე უკვე ლათინური ამერიკის გაბედნიერებას ვაპირებდი და აღარ დამაინტერესა. უამრავი პოლიტიკური წიგნი და ბროშურა ნადგურდებოდა და, რაც ფრიად სამწუხაროა, იმ ქაღალდების გროვიდან ბარე რამდენიმე ტომი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი წამოვიღე. მაშინ და მომდევნო წლებშიც მაღაზიებში ილიასა და აკაკის ჩამოფასებული ტომები იყიდებოდა, რაც იმდროინდელ ჩვენს დაბალ ეროვნულ თვითშეგნებას მოწმობს. სულ ახლახან დამთავრდა სტალინის ეპოქა და საბჭოთა ადამიანის ჩამოყალიბების პროცესი სწრაფად მიდიოდა.

რამდენიმე თვე ვიარე მაკულატურის საამქროში, ერთ დღეს კი გული ავიყარე და გამოვეთხოვე. ჩემს მეგობრებს გავანდე, თბილისს მივემგზავრები-მეთქი. მატარებელი რომ წავიდოდა, მხოლოდ მაშინ უნდა ეთქვათ ჩემებისათვის, რომ მე ღუზა კვლავ ავხსენი... როსინანტი თავლაში არ აპირებდა დარჩენას...

28

თბილისში ჩასვლა იოლია... მერე რაღა ვქნა? ვდგავარ რუსთაველზე, მზიანი ამინდია, თბილა... მთლად ისეთი გიჟი არა ვარ, ის არ ვიცოდე, მზე რომ ჩავა, დაღამდება, მე კი წასასვლელი კვლავ არსად მაქვს... სასტუმროები მაშინ ისედაც ცოტა იყო. გავიკითხე და კოლმეურნეთა სასტუმრო მიმასწავლეს, ყველაზე იაფი და ყველაზე ჩაოხრებული. პროლეტარების ერთგული კლასის გლეხობის ადგილი ხომ მხოლოდ ასეთ სასტუმროებშია! შმორიანი კიბეები, ბნელი დერეფნები, საერთო საპირფარეშო, საიდანაც ნესტის სუნი მთელ შენობას ედება. ჩაყვითლებული თეთრეული და ოთახები, რომლებშიც ერთბაშად ათობით კოლმეურნეს სძინავს.

ვითომ კოლმეურნეს?.. ვიღაცა გაუპარსავი ბიძიები, ღაჟღაჟა კაცები... ხვრინავენ, იქექებიან, იფხანენ... გვერდით, საწოლზე ახალგაზრდა წევს. მთელი ღამე ახველებს, იხრჩობა ხველებით... ალბათ, ჭლექიანია!.. თან მეცოდება, თან მეშინია, მეც არ გადამედოს. ხანდახან თავს წამოვწევ, დახმარება ხომ არ უნდა? იქნებ წყალი მოვურბენინო! მაგრამ სწორედ ამ დროს წყნარდება. ბალიშს ჩავეხუტები, თვალს დავხუჭავ და იმას ხელახლა აუვარდება ხველება.

დილამდე ასე ვეწამებით, ისიცა და მეც!.. დილაუთენია ვდგებით!.. გამხდარი ყმაწვილია, სახე ბაიასავით გაჰყვითლებია.

— ცუდადა ხარ?

თავი დამიქნია.

— გინდა რამე?

შემათვალიერა, გამიღიმა, მიხვდა, სოფლელი არიფი ვიყავი. თვითონ მოთავებული ნარკომანია, მე რანაირად ვუშველი.

შენობიდან ერთად გამოვდივართ. ის თბილისელია, უკვე იცის, რისთვისაც ჩამოვედი, სადმე სამუშაო უნდა ვიშოვო.

— კომკავშირელი ხარ? – მეკითხება.

— ჰო!

— მიდი ცეკაში, ვალდებულები არიან, დაგეხმარონ!.. მანეთი გაქვს?

— კი.

— ჩამასესხე!

ვაძლევ მანეთიანს. ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და მოხდენილი, თითქმის ბიჭი. ბერიკაცივით მხრებში მობუზული მშორდება, თან პირზე ხელს იფარებს, ხველების შეკავებას ცდილობს.

მაშინ უკვე ვიცოდი, რომ არასოდეს მოვწევდი, რომ არ გავლოთდებოდი, მით უფრო ნარკოტიკებს არ დავეწაფებოდი. არა იმიტომ, რომ ჯანმრთელობას ვუფრთხილდებოდი. ვინც სარაინდო საქმეებისათვისაა მოწოდებული, იმას სხეული სულის ჭურჭლად სჭირდება და წუთიერი სიამისათვის საკუთარ გვამზე ექსპერიმენტების ჩატარებას არ შეუდგება. მე ხომ დიად საქმეებს ვეჭიდებოდი, სიკეთის ქმნადობისათვის დავიბადე და არა იმიტომ, რომ ეს ცხოვრება „კაიფში“ გავლიო.

აი, ამ აზრებით დავეხეტებოდი ქალაქში. მივაგენი მაჩაბლის ქუჩას და ბერიას ყოფილი სახლის წინ ავიტუზე. შესვლაც მინდა და სითამამეც მაკლია.

კუზიანი დედაბერი გამოჩნდა, ძლივს მოხოხავს. ხელჩანთას გაჭირვებით მოათრევს, მეორე ხელში გაზეთი უჭირავს და უვარდება. ხელი შევაშველე. გაურკვეველი ეროვნებისაა, ქართული იცის, მაგრამ უფრო რუსულად მელაპარაკება.

— გეტყობა, ჩამოსული ხარ!

მიხარია, რომ ვიღაცა გამომელაპარაკა. ვუხსნი, ცეკაში უნდა შევიდე, იქნებ სადმე სამუშაო მაპოვნინონ-მეთქი. აქ ჩემი შვილი მუშაობს მდივნის მძღოლადო, ამიხსნა.

— შენ ალბათ თავშესაფარიც არ გექნება! – ხვდება. – ჩემთან წამოდი, დაგაპურებ!

უარს არ ვეუბნები. ნელა, აუჩქარებლად ჩავლიეთ მაჩაბლის ქუჩა, ენგელსს ავუყევით. მრავალი წლის შემდეგ მოვისურვე მენახა ის ადგილი, ვეღარ მივაგენი... ეზოში შევედით, ხის კიბეზე თითქმის სხვენამდე ავედით. იქ პატარა ბინა ჰქონდა, ორად-ორი ოთახი და სამზარეულო. თავისთან ხუთი-ექვსი წლის შვილიშვილი გოგონა ჰყავდა, ცხვირპაჭუა, ჭორფლიანი და ცისფერთვალება.

წვნიანი დამისხა, პური მოზომილად მომიჭრა. მურაბები

გადმომიღო... მეკითხებოდა ოჯახზე, სწავლაზე... უფროსებს ხომ ყოველთვის ჩვენი სწავლა აინტერესებთ... პატარა მზეთუნახავი ცნობისმოყვარეობით მათვალიერებდა...

საღამოს ნათესავმა გოგომ შემოირბინა. შავტუხა და გამწლეული იყო, თანაც ელამი. დედაბერმა სამმანეთიანი მისცა, სტუმარი კინოში წაიყვანე და აქეთობისას ცხელი ლავაშიც წამოიღეთო.

მოკლედ, ორ-სამ დღეს დავრჩი ჩემს კეთილ მასპინძელთან.

მეორე დღეს უფრო თამამად შევედი ცეკას შენობაში. ინსტრუქტორი მელაპარაკა. ჩემმა უბინაობამ შეაწუხა, მაგრამ რომ გაიგო, ჩვენს მძღოლთან ყოფილაო, სახე გაუნათდა, მეცა ვთხოვ, ცოტა ხნით შეგინახონ, მანამდე რამეს ვიღონებო, დამაიმედა.

არც მოვუტყუებივარ. მესამე დღეს წერილი დამახვედრა, გაემგზავრე რუსთავში, ბოსტანქალაქის ქუჩაზე ნომერ მეორე სასწავლებელია, ეს წერილი მიუტანე. გინდა, ჩაერიცხე და ხელობას გასწავლიან, გინდა ისე იცხოვრე, გაჭმევენ და ბინაც გექნებაო, სამუშაო მერე ვეძებოთო...

მატარებლით გავემგზავრე, საგარეუბნო დადიოდა. ჩემი ტოლები ბილეთს არ ყიდულობდნენ, ჩამოვეკიდებოდი კიბეზე და რუსთავში ჩავგრიალდებოდი ხოლმე. ან ფული ბილეთისათვის სად მქონდა, მაკულატურის საამქროდან გამოყოლილი კაპიკები ხომ ხელისგულზე დამადნა.

მოვნახე ბოსტანქალაქის ქუჩა და მეორე სასწავლებელიც. არ დამამადლეს, სხვა ყმაწვილებთან ერთად მიმიჩინეს დასაძინებელი ადგილი და ჩამწერეს უფასო კვებაზე. საკმაოდ ყუათიანად გვაჭმევდნენ. ერთადერთი უსიამოვნება დილაუთენია ადგომა იყო. მორიგე აღმზრდელი ჩამოივლიდა და კარებზე გასაღებების რახუნით გვაღვიძებდა, ჩვენ კი თბილი ლოგინის დატოვება გვეზარებოდა.

წესიერი დაწესებულება იყო. კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდათ და იმ ბიბლიოთეკაში ლიტერატორთა წრე იკრიბებოდა, მგონი ხელნაწერ ჟურნალსაც სცემდნენ. თუმცა მწერლად გახდომა გადამეწყვიტა, იმათ სხდომებს არ ვესწრებოდი და არც ჩემი

გეგმა გამიმხელია.

მოვნახავდი სადმე მყუდრო ადგილს და ვწერდი ჩემთვის. სახელდახელოდ გავაშანშალე მოთხრობა „მე და ნანული“, სადაც რეალობა და კოსმიური ფანტასტიკა ერთმანეთში ირეოდა. გადავათეთრე ეს ჩემი ტვინის ნაცოდვილარი და გავაქანე თბილისში. მაინცდამაინც კარგად არ ვიცოდი, სად უნდა მიმეტანა. ავდექი და ჟურნალ „პიონერს“ მივადექი.

მაშინ იქ მუშაობდა ჩვენი შესანიშნავი პოეტი ნაზი კილასონია. ჯერ კიდევ ახალგაზრდა, კოხტა ქალი იყო, ლამაზადაც ეცვა და მუქ-წითელ პომადას იცხებდა. თბილად მიმიღო, რვეული გამომართვა და ერთი კვირის შემდეგ დამიბარა.

იმ კვირას ახლო აღმოსავლეთში დაინგრა ქვეყანა. ნასერმა სუეცის არხის ნაციონალიზაცია მოახდინა, რის საპასუხოდ ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის არმიები ეგვიპტეს დაესხნენ თავს. ყოველდღიურად იბეჭდებოდა ცნობები ნგრევასა და მსხვერპლზე. განსაკუთრებით დაზარალდა პორტ-საიდი. მეც ამ ამბების შტაბეჭდილებით დავწერე ტრაგიკულ-გულისამაჩუყებელი მოთხრობა „ეგვიპტელი დედა“.

ქალბატონ ნაზისთან ასაკოვანი კაცი იჯდა, ალბათ ისიც ავტორი. მორცხვად ავიტუზე მაგიდასთან. ქალბატონმა ნაზიმ ამხედა და მითხრა:

— ნახევრად წავიკითხე ეგ შენი „მე და ნანული“ და ჯერჯერობით ნანული ვერ აღმოვაჩინე!

გავწითლდი. ნანული მართლაც მოთხრობის მეორე ნახევარში გამოჩნდებოდა, მანამდე კი სხვადასხვანაირ აბდაუბდას ვყვებოდი.

— მეორე ნახევარს ნუ წაიკითხავთ! – ვთხოვე. – უმჯობესია ეს წაიკითხოთ!

დახედა სათაურს ქალბატონმა ნაზიმ და უკმაყოფილოდ თქვა:

— რა იყო, ყველანი ამ ეგვიპტეს რომ მიცვივდით, საქართველოში არაფერი ხდება?

ასაკოვანმა კაცმა ამოიოხრა, ეტყობა, მისი მოთხრობაც ეგვიპტეზე იყო.

დავბრუნდი რუსთავში. ერთი კვირის შემდეგ კვლავ მივაკითხე. ქალბატონმა ნაზიმ შემომხედა:

— წავიკითხე! არა უშავს, მაგრამ რად გინდა ეს ეგვიპტე. ხომ ცხოვრობდი ზუგდიდში, ხომ გყავდა ტოლ-სწორები, იმათზე დაწერე რამე!

რა უნდა მეთქვა! ჩვენს პროვინციულ ყოფაში საინტერესოს ვერაფერს ვხედავდი.

ამდენ სირბილში „პიონერის“ თანამშრომელთა თანაგრძნობა დავიმსახურე. ერთი ქალბატონი მუშაობდა მბეჭდავ-მემანქანედ. მითხრა, ჩემი ძმა ჩარხმშენებელი ქარხნის დირექტორია და იმასთან მოგაწყობო.

მოვძებნე ქარხანა. დირექტორმა კარგად მიმიღო. საამქროს უფროსი მოიხმო, ჩემი თავი ჩააბარა. საამქროში მითხრეს, ჩამოსხმულ დეტალებს ზედმეტი მინადუღი თუ ექნა სადმე, ამ ჩაქუჩით ჩამოამტვრიეო. იოლზე იოლი საქმე იყო.

ისევ დირექტორთან შემიყვანეს. მილიციაში გამაგზავნა, საერთო საცხოვრებელში ადგილს გამოგიყოფთ და ჩაგწერონო.

წავედი მილიციაში, შევაფრიალე საჭირო ქაღალდები. ვიღაც მოზვერივით კაცი დამხვდა. სასაცილოდაც არ ეყო თბილისში ჩემი ჩაწერის სურვილი.

ეს უკვე მერამდენე კვირა იყო ჩემი თბილისსა და რუსთავს შორის წოწიალისა. სასწავლებლის დირექტორი პატივს არ მაკლებდა. არდადეგების დროსაც კი, როცა ყმაწვილები დაითხოვეს, ჩემსავით უპატრონო ათიოდე ყმაწვილთან ერთად ქალაქის სასადილოს მიმამაგრეს. იმ ბიჭებს ეკუთვნოდათ, მე კი არა.

მრავალი წლის შემდეგ საგანგებოდ ჩავედი რუსთავში. სასწავლებელი მოვინახულე. მითხრეს, დირექტორი უკვე ცოცხლებში აღარ არისო. ღმერთმა მისი სული აცხონოს, რაც სიკეთე მე დამმართა, ისიც საკმარისია სასუფევლის კარის შესაღებად... ჩარხმშენებელი ქარხნის დირექტორიც მკითხულობდა თურმე, რატომ არ მოვიდა ის ბიჭი, რამეს მაინც გავუხერხებდიო... მეტი მოთმინება რომ მქონოდა, ერთ-ორ მოთხრობას ალბათ მეც მოვაქიჩმაჩებდი და უმოკლესი გზით შემოვიდოდი მწერალთა ძმობაში.

მაგრამ მე სულში ხომ დონ კიხოტს დავატარებდი... ერთ დღეს გავედი სასწავლებლიდან და ჯიბეში უკაპიკოდ შევახტი აღსტაფისაკენ მიმავალ საგარეუბნო მატარებელს...

29

ამასობაში გვიანი შემოდგომა დადგა. აზერბაიჯანის ფართო სანახებში ჯერაც არ ციოდა.

აღსტაფაში დიდხან არ დავრჩენილვარ. მაღალბორტიანი, უსახურავო ვაგონების გრძელი შემადგენლობა შევარჩიე, კედელს რკინის კაუჭების საფეხურები აჰყვებოდა. დრო ვიხელთე, ირგვლივ არავინ ჭაჭანებდა და ვაგონში ზევიდან ჩავძვერი. შიგ თუჯის ზოდები ეყარა.

წამოვწექი ამ ზოდებზე. თავზევით მხოლოდ ლურჯი ცა მოჩანდა. მაღალი ბორტები პეიზაჟს მიფარავდა და ამ ცის გარდა ვერაფერს ვხედავდი. ცაზე მზის მოძრაობით მიმართულებას ვარკვევდი, მატარებელი მართლაც აღმოსავლეთისაკენ მიექანებოდა.

წამოსვლის წინ ხელს პური და კატლეტი გამოვაყოლე. ამიტომ არ მშიოდა, მზე მაცხუნებდა, ვაგონი მანანავებდა და ჩამეძინა კიდეც.

არ ვიცი, რამდენ ხანს მეძინა. როცა გამომეღვიძა, მატარებელი იდგა. ბინდდებოდა და გრილოდა.

სიგრილემ გამომაღვიძა-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ უმალ მივხვდი, გაჩერებული ვაგონის სიწყნარეში რაღაც ფხაკურობდა და იმან გამომაფხიზლა.

წამოვიწიე, მიმოვიხედე და მაღალი ბორტების კუთხეებში სამი თავი დავინახე. ერთს, შავულვაშიან კაცს თავზე მილიციელის ქუდი ეხურა. გაქცევას აზრი არ ჰქონდა, ჩავბარდი ტყვედ.

საკმაოდ დიდი სადგური იყო. მეხსიერებას ვამოწმებ და მგონი უჯარა ერქვა, თუმცა იმასაც ვფიქრობ, ერთ გამოძინებაში ასე შორს როგორ გავაღწევდი-მეთქი.

შემიყვანეს სამორიგეოში. ჩემი დამპატიმრებელი ოპერაციით ფრიად კმაყოფილი ჩანდა. დაკითხვა მკაცრად დამიწყო.

მე, რა თქმა უნდა, ინტელიგენტური ღიმილით ვპასუხობდი. აქაოდა, თბილისში ვერ ჩავეწერე და ახლა სამუშაოს საძებრად ბაქოში მივდივარ-მეთქი. თანდათან მოლბა და საუბარი შინაურულ მუსაიფში გადაიზარდა. ბაქოში მოეწყვეო, მირჩევდა, ჩვენ მაინც კავკასიელი ძმები ვართ, ერთმანეთს დავინდობთ, რუსეთში რომ წახვიდე, დაიკარგებიო. მეც თავს ვუქნევდი, ცხადია...

— წამომყევი ერთი! – შეთქმულივით თვალი ჩამიკრა და გამიძღვა.

ვაგზლის რესტორანში შემიყვანა, აგე, ეს კაცი შენი „ზემლიაკიაო“.

რესტორნის დირექტორი ქართველი აღმოჩნდა, თვალის ერთი შევლებითაც მიხვდებოდა ამას კაცი, ტიპური თბილისელი იყო.

დამსვეს კუთხის მაგიდასთან, დაუძახეს ოფიციანტს, მომართვეს პურ-მარილი, პატარა გრაფინით წითელი ღვინოც... კარგად ვივახშმე. ღვინოზე უარი ვთქვი, მაგრამ მომცრო თასი მაინც შემასვეს. მერე „ზემლიაკმა“ ჯიბეში ფული ჩამიდო.

თქვენი გვარ-სახელი მითხარით-მეთქი, ვთხოვე. ჩემი სახელი რად გინდა, შვილო, სანამ შენ კაცი გახდები, მე ცოცხალი აღარ ვიქნები, წადი, ბედს ეწიე, ცუდი საქმე არ ჩაიდინოვო, ასე მიპასუხა.

წამომიყვანა იმ აზერბაიჯანელმა მილიციელმა. პირველ ლიანდაგზე „თბილისი-ბაქოს“ მატარებელი ჩამოდგა და იმის ერთ გამყოლს ჩაუთათრულა, მერე ჩემს გასაგონად უთხრა, ამ ბიჭს ბაქოში მე ვაგზავნი, დააძინე და ფული არ გადაახდევინოო.

გამყოლმა ზედა თაროზე მიმიჩინა ადგილი. მოხერხებულად მოვეწყვე და დღის ძილს ღამის ძილი წავამატე.

დილით ბაქოში ვიყავი...

30

ბაქო სუსხით დამამახსოვრდა. კასპიის ზღვას მღვრიე ფერი გადაჰკრავდა. იქიდან ცივი ზღვაური უბერავდა. ერთი დღის მანძილზე ფეხით სანამ მივაღწევდი, ის ადგილები მოვინახულე. თვალის სასეიროც ბევრი რამ ვნახე. სულაც არ იქნებოდა ურიგო, აქ გამომეზამთრებინა, მაგრამ აგორებულ ქვასავით ვიყავი, სანამ დედამიწას არ შემოვუვლიდი და ამერიკის ნაპირებამდე არ მივგორდებოდი, ალბათ ვერაფერი შემაჩერებდა.

გზის გასაგნებად გეოგრაფიის ჩემეული ცოდნაც კმაროდა. დღის დანახარჯის შემდეგ გადავთვალე ჩემი ფული, მანძილი და შესაძლებლობა ერთმანეთს მივუსადაგე. გამოცდილებაც მქონდა, როცა ბილეთი მინსკამდე ავიღე და ბრესტამდე ჩავგრიალდი. ახლაც ასე მოვიქეცი. ბილეთი დერბენტამდე ავიღე იმ იმედით, მატარებელი მაჰაჩყალამდე და უფრო შორსაც წამიყვანდა.

უძილობა სჭირდა იმ ღამის რევიზორს. ჯერ კიდევ დერბენტამდე ჩამოუარა ვაგონებს, ეჭვიანად შემამოწმა და გამაფრთხილა, ერთ საათში დერბენტში ვიქნებითო.

დერბენტს რომ მივაღწიეთ, თავი მოვიმკვდარუნე. იმის შემდეგაც კარგა ხანს მივტორტმანობდით ზღვისპირა გზაზე.

ამ დროს ვაგონის ბოლოდან ისმის გამცილებლის ხმა:

— მოამზადეთ ბილეთები!

ზოგ მგზავრს უკვე სძნავს, ზოგიც დასაძინებლად ემზადება.

მე ტუალეტისაკენ მივდივარ, იქიდან ტამბურში გავძვრები. იმ დროს ვაგონებს შორის გადასასვლელ კარს კეტავდნენ.

ვდგავარ ტამბურში, ველოდები, როდის მოახლოვდება უბილეთო მგზავრების რისხვა, თან იმის იმედიც მაქვს, სანამ ის ჩემამდე მოაღწევს, მატარებელი სადმე გაჩერდება.

ასეც მოხდა! მატარებელი სვლას ანელებს, ჩერდება. რაღაც ჩაბნელებული გეოგრაფიული წერტილია. კარი გავაღე და ძირს ჩავხტი. სანამ დაიძვრება, სხვა კარამდე უნდა მივასწრო. იქ უკვე ბილეთები შემოწმებულია და მგზავრებში შეუმჩნევ-

ლად ჩავეკვეხები, ვერავინ გაიგებს, რომ უბილეთო ვარ.

მატარებელი დაიძრა. დარჩენას არაფრით ვაპირებ. უახლოეს კიბეს შევახტი. კარის გაღებას ვცდილობ, მაგრამ იგი მაგრადაა ჩარაზული. ამასობაში იმატებს დაგადუგი, მატარებელი ბნელ სივრცეში მიექანება. ჩავეხუტე კიბის სახელურს, ცივი ქარი ტანსაცმელს მაგლეჯს, ხელ-ფეხი მეყინება, კბილებს ვაკაწკაწებ...

რამდენ ხანს გაგრძელდება ასე, რამდენ ხანს მეყოფა ძალა, სიცივეს გავუმკლავდე.

ბედმა ისევ გამიღიმა... ისევ წუთიერი გაჩერება უკაცრიელ, ჩაბნელებულ სადგურში.

ჩამოვხტი და უკან გავრბივარ იმ კიბისკენ, სადაც ვიცი, კარი ჩარაზული არ არის... უკვე ტამბურში ვარ. ფრთხილად ვაღებ დერეფნის კარს, ტუალეტში შევდივარ... თუ გამცილებელი მნახავს, ბილეთიანი ვეგონები...

ვაგონი გაჭედილია მგზავრებით. სძინავთ. ისმის ფშვინვა, ხვრინვა, ხმადაბალი ლაპარაკი... დასაჯდომი ადგილის მოძებნაც ჭირს.

ვიღაცის ფერხთით მოვკალათდი, სახეს ბნელს ვაფარებ, გამცილებელმა თუ ჩამოიარა, ვერ უნდა მიცნოს.

ცხელა, ჰაერი დახუთულია.

ჩამთვლიმა.

მესმის:

— მაჰაჩყალა, მაჰაჩყალა!

დღეა... მგზავრები იღვიძებენ, ემზადებიან. ჩემთვის არავის სცალია. ერთი მხრიდან მწვანე გორაკები მოჩანს, მეორე მხრივ ჰორიზონტამდე მღვრიე ზღვაა გადაჭიმული.

მაჰაჩყალაში რომ ჩამოვედი, ჩემს რევიზორს პირისპირ შევეჩეხე... მიცნო... ამდენ ათას კაცში დავამახსოვრდი, მიხვდა, რომ გავაცურე. ხელი გაასავსავა, ალბათ უნდოდა ეყვირა, დავეჯარიმებინე. ისეთი ტიპი იყო, თუ ვინმეს არ დააჯარიმებდა, ცუდად გახდებოდა. ოღონდ სანამ აყვირდებოდა, მე უკვე შორს ვიყავი.

ქალაქი არ დამამახსოვრდა. ცივი ნიავი ქროდა და სადგუ-

რისპირა სასაწყობო ფარდულებს არ გავცილებივარ. ისევ სატვირთო მატარებელს ავედევნე. ამჯერად ნორმალური, ბაქნიანი ვაგონი შევარჩიე და იმით გუდერმესამდე ვიმგზავრე.

ერთხელ მილიციელმა ჩამომსვა, მაგრამ ცოტა ხანში გამიშვა და სხვა ასეთსავე მატარებელზე გადავინაცვლე.

ასტრახანისკენ მიმავალ სამგზავრო მატარებელში ავიპარე. ისე გავეშმაკდი, ერთ მხარეს თუ ჩამომსვამდნენ, მეორე მხარეს ავეკიდებოდი. ხან ტამბურში ვმგზავრობდი. ხან საერთო ვაგონში ბიძიებსა და დეიდებს შორის ჩავიმალებოდი, სანამ მორიგი რევიზია არ ჩამოივლიდა.

ბოლოს და ბოლოს ერთმა ჩამომაგდო. დიდად არ შევწუხებულვარ. ვიფიქრე, მომდევნო მატარებელს წავყვები-მეთქი. შევედი სადგურის შენობაში, განრიგი დავათვალიერე. თურმე ნუ იტყვით, ამ მიმართულებით დღე-ღამეში მარტო ერთი სამგზავრო დადის.

ამ დროს ლიანდაგზე მაზუთის ცისტერნების გრძელი რიგი ჩამომწკრივდა. ამათ ხომ ვერსაიდან მიუდგები. თუმცა ასეთ გრძელ რიგს აქა-იქ ბაქნიან ცისტერნასაც ჩააყოლებენ გამცილებლისათვის. შაშხანიანი გამცილებელი, თბილ, ბეწვიან ქურქში გახვეული, ბოლო ვაგონის ბაქანზეა მოკალათებული. მე კი სადღაც შემადგენლობის შუა წელში ვპოულობ ბაქანს და მასზე ავცოცდები.

თავიდანვე უნდა მეთქვა, მთელი ამ ოდისეას მანძილზე ისევ საზაფხულოდ, შილიფად მაცვია. თხელი შარვალი, თხელი წინდები და ნაჩვრეტიანი ფეხსაცმელი, ზევით კი ბამბურა და ეს მშველის. ესაა, ბაქნისთვის ფიცრები აუგლეჯიათ და ყოველი მხრიდან უბერავს.

ირგვლივ იტალღება უკიდეგანო სივრცეები. არსადაა არც ქალაქი, არც სოფელი, რკინიგზელთა თეთრი სახლებიც კი...

სანამ დღეა, არა მიშავს. ერთ ადგილზე ვცეკვავ, ხელებს გვერდებზე და მკერდზე ვიბათქუნებ, ვინძლო გავთბე... სივრცეს თანდათან ბინდი ეპარება... ნიავს მშრალი თოვლი მოაქვს, ბაქანში მიყრის... ჯერ ცოტაა, მერე იმდენი მომიხვეტა, ფეხებში ხრაშუნობს...

ბნელა, მოთმინება მელევა, ალბათ, ფეხები მომეყინება, ასტრახანი კი არა და არა ჩანს.

შეჰკივლა მატარებელმა, სვლა შეანელა... ტრიალ, თოვლიან ტრამალზე სადგური შემოტივტივდა, მის უკან რამდენიმე უსახური სახლია.

ბაქანი თოვლს ჩაუნამქრავს.

სადგურის შენობა გაჩახჩახებულია... იქ ალბათ თბილა... ჩამოვხტი და სითბოსკენ გავიქეცი...

31

გადავშალე რუკა და დავხედე. კასპიისპირეთის ეს ადგილი მუქი მწვანე ფერითაა შეღებილი და მოყავისფრო წინწკლები ამჩნევია, რაც ქვიშიან უდაბნოს ნიშნავს. რკინიგზის ხაზი ისარივითაა გაჭიმული კოჩუბეიდან ასტრახანამდე და მთელ ამ გზაზე ორად ორი სადგურია აღნიშნული – არტეზიანი და ულანხოლი. ერთ-ერთი მათგანი უნდა ყოფილიყო ადგილი, სადაც სითბოს მივაშურე, უფრო კი მეორე, რადგან ასტრახანამდე თურმე არც ისე შორი გზა დარჩენილიყო.

შევედი მოსაცდელ დარბაზში და კონცერტს წავაწყდი. თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის ყმაწვილები, ერთი ოცდაათიოდე მაინც, ცეკვავდნენ, მღეროდნენ, ლაზღანდარობდნენ, წიოკობდნენ... საიდანღაც ჩამოსულიყვნენ და სადღაც მიემგზავრებოდნენ... დარბაზის კედელთან ფილებით მოპირკეთებული ღუმელი ჭერამდე აღმართულიყო და იმას მივაშურე, ზურგით თბილ ფილებს მივეყრდენი.

მეამა.

მერე სკამზე დავჯექი, მუხლები დავასვენე.

გვერდით რუსი მამაკაცი იჯდა, ჭარმაგი ასაკისა, შემომხედა და ამოიხვნეშა:

— ეჰ, ახალგაზრდები, ახალგაზრდები!

გამოვესაუბრე.

ივანი მქვიაო, გული გადამიხსნა. კაცად არ ვვარგივარ და ცოლმა შინიდან გამომაგდოო. ამას დიდად არ დარდობდა, მოს-

წონდა წანწალი. ფილოსოფოსიც იყო, სულ ერთია, მეც მოვკვდები და ნიკიტა ხრუშჩოვიც, ორივეს მიწაში ჩაგვდებენ, რა მნიშვნელობა აქვს, ის რომ პირველი მდივანია და მე მაწანწალაო... მეტად გულითადად ლაპარაკობდა და შემეცოდა.

ამასობაში ახალგაზრდებს ერთი ჯანმაგარი გოგონა გამოეყო, გვერდით მომიჯდა. აქეთურიო-იქეთურიო, ლაპარაკი გამიბა, სად მიდიხარ, სად მიგეჩქარება, დარჩი ჩვენთანო. გავეანგლე, თქვენსა რომ წამოვიდე, სად უნდა ვიცხოვრო-მეთქი. ცოლად წამოგყვები და ჩემთან გაცხოვრებო. მერე რომ დაგტოვო? – შევეკითხე... თუ დამტოვებ, წახვალ და ეგ იქნებაო, შემომცინა... ყველაფერი ეიოლებათ რუსის გოგოებს, კომპლექსები არ აწუხებთ...

დილით ბრეზენტიანი სატვირთო მანქანა მოადგა სადგურს. „ჰე, გაბედე და წამოდიო!“ – კიდევ ერთხელ მთხოვა გოგონამ. ჯობდა, ალბათ, გავყოლოდი. სიმორცხვეს ვერ ვძლიე, მეგონა, ყველა ჩვენ მოგვჩერებია-მეთქი.

აცვივდნენ მანქანაზე და ქვიშის ბარხანებს მიღმა გაქრნენ.

მომშივდა. ივანსაც შიოდა. იმას კაპიკი არ ჰქონდა, მე კი მთელი სამი მანეთი და ხურდა დამრჩენოდა. იქვე, სადგურის ფლიგელში პატარა სასადილო იყო. თითო ბორშჩი შევხვრიპეთ და თითო პურის ნაჭერი შევატანეთ, რაც სულ მანეთნახევარი დამიჯდა.

გაიწელა მოსაწყენი დრო, არც მგზავრები ჩანდა, არც მცხოვრებნი, არც მატარებლები...

იჯდა ეს ჩვენი ივანი და თავის ფილოსოფიას ავითარებდა სოფლის ამაოების შესახებ.

ისევ მოგვშივდა და სადილიც მანეთნახევარი დამიჯდა.

ამასობაში სამხრეთისკენ მიმავალი მატარებელი ჩამოდგა, ივანს თბილი ქვეყნები ეზმანებოდა და ვაგონში შეიპარა.

დავრჩი სულ მარტო. მომშივდა. ჯიბეში წვრილი ხურდაღა მიჩხარუნებდა.

შევიჭყიტე სასადილოში. ოცდაათს მიტანებული ქალი მუშაობს. აქ თვითმომსახურებაა და ქალი მარტოა. მზარეულის თავი თუ გამოჩნდება ხანდახან სამზარეულოს სარკმელში.

ვიღაც მსუქანი ბიძაკაცი უკვეთავს.

— ჭიქა ჩაი და პურის ერთი ნაჭერი!

ქალი აწვდის ჭიქა ჩაის და პურის ერთ ნაჭერს, თან ფასს ეუბნება:

— თხუთმეტი კაპიკი!

ამ ვეშაპივით კაცს არა რცხვენია და მე რატომ უნდა მრცხვენოდეს-მეთქი და დახლთან ავიტუზე.

— ჭიქა ჩაი და პურის ერთი ნაჭერი!

გადავიხადე სამი შაური.

გავისეირნე აქეთ-იქით, სადგურისპირა სივრცეს გავხედე. ბარაკებს მიღმა დანამქრული ბარხანების გარდა არაფერი ჩანდა.

შემოვბრუნდი და ისევ შიმშილი ვიგრძენი.

შევედი სასადილოში და მოვითხოვე:

— ჭიქა ჩაი და პურის ერთი ნაჭერი!

სამი შაური კიდევ მრჩებოდა.

მესამედ რომ დამინახა და შეკვეთა მოისმინა, ქალმა მრისხანედ შემომიტია:

— რა ჭიქა ჩაი ამომიჩემე, ასე რანაირი ვაჭრობა მექნება!

— მეტი ფული არა მაქვს და... – წავილუღლუღე ნირშეცვლილმა.

— მერე ადამიანურად ვერ მეტყვი? დაჯექი მანდ!

შეტრიალდა და წუთში მაგიდაზე დამიწყო ბორშჩი, შნიცელი და კომპოტი, გზისპირა სასადილოების ეს ტრადიციული სამეული.

მეორე დღესაც შევრჩი იქაურობას. საუზმეზე, სადილზე და ვახშამზე ის ქალი გამოვიდოდა თავისი სასადილოდან, დარბაზში მომძებნიდა, შემათრევდა და დამანაყრებდა.

ღამით შეყოვნებულ მატარებელს შევახტი და ასტრახანისკენ გავუტიე...

32

ქალაქი თოვლის საფარქვეშ დამხვდა. წინა დღეებშიც ბლომად უთოვია. მანქანის სავალი გზები გაუწმენდიათ, ტროტუარები და სკვერები კი ყინვას შეუკრავს, მომავალ გაზაფხულამდე არაფერი ეშველება. ყოველ შემთხვევაში, ჩემი ფეხსაცმლის ლანჩას ყინვა ისე ატანდა, ფეხშიშველა სიარულს ოდნავღა სჯობდა.

გაჭირვების დროს დონ კიხოტიც გადარჩენაზე ფიქრობდა და ჭკუისათვის უნდა მომეხმო, გამოზამთრებაზე უნდა მეზრუნა. აგერ შენობას აწერია კომკავშირის საოლქო კომიტეტიო. თბილისური მაგალითი გამახსენდა და შევედი. ინსტრუქტორს ისე გაუხარდა, თითქოს ჩემს მოსვლასღა ელოდებოდა.

— მწყემსად თუ გიმუშავია?

უარის ნიშნად თავი გავაქნიე.

— არა უშავს! დოლი გვქონდა, ბატკნების მწყემსები არა გვყოფნის, დღესვე გაემგზავრე შავი მიწისკენ, კვება უფასო გექნება, სეზონის ბოლოს კოლმეურნეობა ფულითაც გადაგიხდის და ნატურითაც!

სხვა გამოსავალი არ მქონდა და დავთანმხდი.

ჩამსვეს „გაზიკში“ და თითქმის მთელი დღე მატარეს. ირგვლივ იტალღებოდა ქვიშის ბარხანები, რომლებზეც ცოცხივით გაფშეკილი ბალახი ხარობდა. თოვლს იგი ვერ აკავებდა, ან იქნებ ამ მშრალ მხარეში არც თოვდა.

მიმიყვანეს ტაფობზე. შუაში ფარეხებია. ისმის ცხვრის ბღავილი, პეტელი, ძაღლების ყეფა-გნიასი.

იქვე მიწურია. მიწისპირს სახურავი ოდნავ სცილდება. კიბეზე ჩავდივარ ფართო ოთახში. შუაში გაუთლელი ფიცრებისაგან შეჭედილი მაგიდაა, კედლის გასწვრივ კი ფიცარნაგია დაგებული და ამ ფიცარნაგზე ერთმანეთის გვერდით უნდა ვიძინოთ ერთმა ჭარმაგმა მამაკაცმა, მზარეულმა დედაკაცმა, გოგონებმა და ბიჭებმა. ბიჭებიო, ვთქვი, თორემ უმრავლესობა გოგონები იყვნენ და ახალი „საქმროს“ გამოჩენას, ბუნებრივია, ტაშით შეხვდნენ.

დილითვე შევუდექი საქმეს. მომცეს მოკლეტარიანი, გრძელი მათრახი და გამომიყვეს ასორმოცდაათი ბატკანი. ისეთი საყვარლები იყვნენ, ჩახუტება მოგინდებოდა. დაკუნტრუშებდნენ თავიანთ გემოზე. მე კი ისღა მევალებოდა, ახლო საძოვარზე გამედენა და არ გამფანტვოდა. შუადღეს ჭასთან უნდა მიმერეკა და დამერწყულებინა. ჭაში მლაშე წყალი იდგა. ჩვენთვის კი წყალი ცისტერნიან მანქანას მოჰქონდა.

სქელტანიანი წიგნები გვქონდა, ვილის ლაცისის რომანები დამამახსოვრდა. ბექობზე მზეს მივეფიცხებოდი და ვკითხულობდი. თუ ბატკნები საჭიროზე მეტად გაიშლებოდნენ, ირგვლივ შემოვურბენდი მათრახის ტყლაშუნით და ერთად შევყრიდი.

ბინდისპირზე ფარეხში მივრეკავდი და სხვები, უფრო გამოცდილები მოუვლიდნენ.

მზარეული დაგვახვედრებდა უხვ და ყუათიან ვახშამს. სანთლის შუქზე ვერთობოდით, ვის როგორ შეგვეძლო. რადიომიმღები გვქონდა და ერთხელ თბილისის ტალღა დავიჭირე. გულის ჩხვლეტა დამეწყო, თითქოს სამშობლოდან მთელი საუკუნე ვიყავი გადახვეწილი.

მერე მივეყრებოდით გვერდიგვერდ, თუმცა რა დამაძინებდა, ჩემს გვერდით ხომ გოგონა განაბულიყო და სიბნელეში ელოდა, გავბედავდი თუ არა ხელის გაწვდენას.

ზამთრის თვეებმა ისე ჩაიარა, თოვლი მეტად არ მინახავს. ღამღამობით ციოდა, დილითაც, მაგრამ მზე რომ მაღლა აიწევდა, დათბებოდა და ისე ალერსიანად შემოგვეფინებოდა პირისახეზე, თითქოს მოფერება ეწადა.

მზის ჩასვლის ჟამი მეტად ლამაზი იყო. მსგავსი რამ ჩემი გზის ბოლოს ვიხილე, ოღონდ ზღვაზე... აქ მზე ჩადიოდა დიდხანს, თანდათან ცის კიდეს მოეკიდებოდა მეწამული დაფიონი, თითქოს ტრამალებს ხანძარი ეკიდა. ნელდებოდა, რუხდებოდა ფერები, ბინდში გადადიოდა და თავზევით ისეთი გაჩახჩახებული ზეცა გადმოეფინებოდა, თითქოს მთელი ვარსკვლავეთი ერთბაშად აპირებდა ძირს ჩამოცვენას.

ადრიან გაზაფხულზე ცხვრის ფარები ჩრდილოეთისაკენ დაიძრნენ... ჩვენ, ახალგაზრდებს, სატვირთო მანქანამ მოგვაკითხა და იმით გაგვამგზავრეს.

33

დღეს აქ საზღვრები შეცვლილია. შავი მიწები მაშინ ასტრახანის ოლქისათვის იყო მიწერილი, მერე დაუბრუნეს თავის ნამდვილ პატრონს, ყალმუხეთს. რაიონი, სადაც მივემგზავრებოდით, ზედ სტალინგრადის ოლქის საზღვართანაა. სულ მახსოვდა, თითქოს რაიონს კრასნოარმეისკი ერქვა. ახლა რუკაზე ვეძებ და იმ ადგილებში ჩორნი-იარი და კაპუსტინ-იარი მხვდება... თუმცა აგერ კრასნოსელსკიცაა...

ასე იყო თუ ისე, შავი მიწების ნახევარუდაბნოები იმ დღეს ვერ გადავლახეთ. სადღაც მიწურში შეგვყარეს ისევ. იატაკზე გვეძინა. მე არც საბანი მქონდა და არც ქვეშაგები. იძულებული გავხდი ერთ ყმაწვილ გოგოს შევკედლებოდი. ისიც თბილად იყო და მეც, ოღონდ გამოძინებაზე რა მოგახსენოთ.

მეორე დღეს კვლავ ღია მანქანით გვატარეს. დილიდან საღამომდე აღარ გათავდა უკიდეგანო სივრცეები და დილიდან საღამომდე გზის გასწვრივ მოჩანდა ჯეირნების უთვალავი რემა, ტრამალები რომ თეთრად გადაეპენტათ.

მერე სოფლებში შევედით. ვიწრო ეზოები, მტვრიანი გზები, თეთრი „ხატები“, ალუბლისა და ვაშლის ხეები... სახლებს მიღმა ერთი-ორჯერ გაკრთა ვოლგის მუქი ლურჯი ზედაპირი...

სოფლამდე საღამოს ჩავაღწიეთ. აქ იყო ის კოლმეურნეობა, რომლისთვისაც ვიმუშავე.

ღამის გასათევად საბავშვო ბაღში მომათავსეს. იმდენი ხორცი ჰქონდათ, დაუნანებლად მიმასპინძლდებოდნენ. დიდხანს ვერ შევრჩი. ბუღალტერიამ ავანსად რაღაც კაპიკები გამომიწერა, შრომა-დღეებს წლის ბოლოს დავიანგარიშებთ და, რაც ნატურითა და ფულით გერგება, მერე გადაგიხდითო... მე იმის მომკითხავი არ ვიყავი და შერჩა ჩემი ვალი ფულითაც და ნატურითაც უცნობი რაიონის, უცნობი სოფლის, უცნობ კოლმეურნეობას.

აქედან დიდი მანძილი არ იყო სტალინგრადამდე. პატარა, მონჯღრეული ავტობუსით გავემგზავრე. მაშინ ქალაქს არც სახელი ჰქონდა შეცვლილი და არც ის ძეგლები არსებობდა,

ვუჩეტიჩმა რომ შეჰქმნა. არაფერი გამორჩეული მე იქ არ მინახავს. დამამახსოვრდა პლანეტარიუმი, აღმოსავლეთ გერმანიამ სტალინგრადს რომ აჩუქა. და კიდევ ერთი ვინმე სტილიაგა. ჩემს სიცოცხლეში პირველად ვნახე ახალგაზრდა, რომელსაც ეცვა არა ისე, როგორც ყველას. მთელი ქვეყანა იმ დროს ჩამუქებულ-ჩამოჩაჩული დადიოდა. არავის ესირცხვილებოდა სამუშაო კომბინეზონით, ზამთარში კი ბამბურებითა და „ვალენკებით“ ან ქირზის ჩექმებით სიარული.

გვიან ღამემდე ხეტიალს შევრჩი. მერეღა მოვინდომე ვაგზლის სასტუმროში მოწყობა. მაგრამ ადგილი არ აღმოჩნდა. და აი, რამდენიმე ჩემსავით უიღბლოსთან ერთად ვაგზლის კარებთან ვდგავარ და ველოდები, როდის გააღებენ. მომლოდინეებში გვირევია გოგო-ბიჭი. სწორედ ეს ბიჭია სტილიაგა, აცვია ისე, როგორც მხოლოდ „ნიანგში“ მინახავს. იმ დროს პრესას მეტი საქმე არაფერი ჰქონდა, ათახსირებდა და ამასხარავებდა ბურჟუაზიული გემოვნების „ეპიგონებს“. სტილიაგას ეცვა კურტაკი, ძალიან ვიწრო და დამოკლებული შარვალი, სქელლანჩიანი „ბუგები“. რაკი მთელი ქვეყანა ამ სტილს დასცინოდა, მეც ირონიულად ვათვალიერებდი ახალგაზრდას, ტაკიმასხარად მიმაჩნდა, იმას კი ალბათ მოსწონდა საყოველთაო გამორჩეულობა და იმიტომაც იცვამდა ასე.

ფული იმდენი აღმომაჩნდა, ბილეთს ეყო ნოვოსიბირსკამდე და დავადექი აღმოსავლეთის გზას.

ჯერ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ, კუიბიშევთან გადავუხვიეთ. ამდენი წლის შემდეგ მგზავრობის დეტალებს რა დამამახსოვრებდა. ერთი-ორი ფრაგმენტიღა შემრჩა... უფა რომ გავიარეთ, გარეუბანი დატბორილი ვნახე, წყალდიდობა ყოფილა... ურალის ტყიან-გორაკიანი მხარე თვალს ახარებდა... ყველანი ფანჯრებს მივცვივდით, რათა ევრაზიის საზღვარზე ობელისკისათვის თვალი შეგვევლო... დამთავრდა ტყიანი მხარე და გადაიშალა ერთფეროვანი, უკიდეგანო ტრამალები, რომლის გადალახვას ჩვენი მატარებელი არა ერთი დღე მოუნდა. შორეულ ჰორიზონტამდე ტრიალებდა დაუმუშავებელი ყამირი, სადაც ადამიანის არსებობის კვალი მხოლოდ ეს რკინიგზა იყო...

ჩავაღწიე ნოვოსიბირსკში და გამითავდა ბოლო კაპიკები...

34

იმდროინდელი ნოვოსიბირსკი დიდზე-დიდ სოფელს წარმოადგენდა. რკინიგზის სადგური კი მართლაც გამორჩეული ჰქონდა. ამბობდნენ, ვაგზლის შენობა ევროპაში უდიდესიაო (თუმცა ეს ხომ აზიაა!). რუსებს უყვართ ყველაფერი დიდი. ვრცელი ქვეყნის შვილები არიან და ეამაყებათ, თუ რაიმე ექნებათ სხვაზე გრანდიოზული. შენობა შენობად, მაგრამ ლიანდაგების სიმრავლემ მართლაც დამაბნია. ჩვეულებისამებრ სატვირთოზე ავიპარე, იმან კი მრავალი საათი მატარა და ისეთ ჩიხში შემიყვანა, უკან ძლივს გამოვაღწიე.

კვლავ ნოვოსიბირსკში აღმოვჩნდი, მაგრამ ხუთი წუთიც არ დავყოვნებულვარ, ეგრეევე შევახტი დაძრულ შემადგენლობას. ამჯერად გამიმართლა, რადგან ვერავის შევეკითხებოდი, თუ სად მიდიოდა ეს ჩემი მატარებელი.

ტრამალების მხარე უსიერი ტყეებით შეიცვალა. პეიზაჟი თითქოს ერთფეროვანია, მაგრამ თვალი არ იღლება ვრცელი ნაძვნარის, ფიჭვნარის, არყნარის ყურებით.

დეტალები წარიშალა, მაგრამ ზოგი რამ მაინც შერჩა მეხსიერებას.

პატარა, ტყისპირა სადგურები, ვერ გაიგებ, მათ უკან სოფლები და ქალაქები იმალება თუ არა.

ერთი ამ სადგურთაგანი. მომცრო დარბაზია. ქვის იატაკზე მძინავს. სკამები დაკავებული იყო, დასაჯდომი ადგილი ვერ ვიპოვე და ძირს ჩავჯექი, ძილმა თავი წამართვა და როცა გამომეღვიძა, თვალწინ მერხის ფეხი დავინახე. ოჰ, ეს მძიმე, უხეში მერხები და დარბაზების მარადი ჭუჭყის სუნი, რომელიც თითქოს ყოველ უჯრედში გამიჯდა და ვერასოდეს მოვიშორებ... შემრცხვა და წამოვიწიე.

თენდებოდა... უცებ მამაკაცი ადგა, კეპი მოიშვლიპა და მატარებლის მომლოდინე მგზავრებს ჩამოუარა. არ ვიცი, ჩემი ძილის დროს ვინ რა თქვა, რა მოითათბირეს... კაცი უხმოდ დადის, მგზავრები წვრილ ხურდას უყრიან კეპში... ასე დაიარა

მთელი დარბაზი, ხურდა მუჭში მოაგროვა და მე მაძლევს...

სიცოცხლეში კაპიკის საღირალი არ მომიპარავს!.. შიმშილით სიკვდილი მერჩია. არც მათხოვრობა შემეძლო. ბუნებით მორცხვი ვიყავი და იმიტომ... აქ კი, აგერ ხურდას მაჩეჩებენ ხელში.

ავიღე! ორი დღის უჭმელი ვიყავი, შავი პურის ნაჭერი მენატრებოდა და ავიღე...

მერე მახსოვს მზიანი თბილი დღეები... ირგვლივ კვლავ უკიდეგანო ტაიგაა. მე მოვკალათებულვარ დაბალბორტიან, ცარიელ ვაგონში. ჩემთან ერთად ვიღაც „ზაიაცი“ მოგზაურობს. არც ის მახსოვს, სად ამოვიდა, არც ის, სად ჩავიდა... თბილი ნიავი მიქაქანებს სახეზე, არც მცივა, არც მშია, წყურვილს ვითმენ... სატვირთო შემადგენლობას ორთქლმავალი მიათრევს, ხრჩოლავს, კვამლი ხანდახან ჩემს ვაგონსაც დაეფინება, მაგრამ ისეთი სუფთა ჰაერია, ეს კვამლი ვერაფერს დამაკლებს.

რომელიღაც სადგურის მილიციის ოთახში ვზივარ. მილიციელი თანაგრძნობით მიყურებს, ნაშიმშილარი ხარო, ასკვნის, ამ გზებზე ფეხებს გაჭიმავ, დიდხანს ვერ გაძლებო...

გადავრჩი... კრასნოიარსკში ჩავაღწიე...

35

ქალაქი მზიანი და თბილი დამხვდა. მაცვია საკმაოდ შელახული ტანისამოსი. თავზე თმა უხვად წამომეზარდა, წვერსაც ხომ ვერსად გავიპარსავდი.

ბოშათა ბანაკმა ჩამოიარა. დედაკაცები შემომეხვივნენ, აყაყანდნენ. რაღაცას მეკითხებიან ბოშურ ენაზე. მივხვდი, მეც ბოშა ვგონივართ. ხელები გავასავსავე, არაფერი მესმის-მეთქი. გამშორდნენ. საქართველოში საკმაოდ თეთრი ვჩანდი, აქ კი ჩემზე შავნი მხოლოდ ეს ბოშები აღმოჩნდნენ.

მივდივარ ქუჩაში და ჩემს უფულო და უნუგეშო მდგომარეობაზე ვფიქრობ. გადავწყვიტე გემი დროებით ამ ნაპირზე მივაყენო. ვიცი, სადღაც ქალაქის მიდამოებში კრასნოიარსკის ჰესის მშენებლობა მიმდინარეობს. აგერ, ცენტრში უზარმაზარი შენობა დგას და კარზე აწერია, რომ აქ ჰესის მშენებლობის

სამმართველოა. მოვძებნე კადრების განყოფილება. ხელგაშლილნი მხვდებიან, ვირის მუშა უხსენე და უარს ვინ გეტყვის.

შუახნის დედაკაცი ბარათს მივსებს და მიხსნის, თუ როგორ უნდა მოვხვდე დაბა სკიტში. მერე ჩანთაში იქექება, ხუთმანეთიანს დააძრობს და მაძლევს, გეტყობა, ფული არა გაქვსო.

მარჯვენა ნაპირზე უნდა გადავიდე. იქ საწარმოო ბაზაა და რაიმე მანქანას გავყვები. პონტონის ხიდია გადებული, სამანქანოს აშენებენ. ენისეი მღვრიე, წყალუხვი და ფართოა. წყალი იმოდენა სივრცეზე მოქოთქოთებს, დანახვად ღირს.

მოვნახე რასაც ვეძებდი. შევახტი სატვირთო მანქანას, რომელმაც სოფელ ოვსიანკამდე მიმიყვანა. ამ სოფლის თავზეა სახელგანთქმული ნაკრძალი „სტოლბები“. მთიან ტაიგაში უჩვეულო კლდეებია, ზოგი ადამიანსა ჰგავს, ზოგი ფრინველს ან ცხოველს.

ოვსიანკიდან ფეხით წავედი. სამანქანო გზა ბოლომდე გაყვანილი არ იყო, მდინარე მანაზე ხიდი შემდგომ აშენდა. ყმაწვილი ქალი დამემგზავრა. სკიტში ექთნად ვმუშაობო, მითხრა. მივდივართ და ვმასლაათობთ. მიხსნის, სკიტი იმ ადგილს იმიტომ ჰქვია, რომ იქ ბერების თავშესაფარი ყოფილა. ერთი ბერი სიყვარულისაგან გაგიჟებულა და კლდიდან ენისეიში გადავარდნილა. იმ კლდეს ახლაც „ბერის კლდე“ ჰქვიაო.

მივაღწიეთ მანამადე. შენაკადი ჰქვია, თორემ ჩვენს რიონზე ნაკლები არაა. მგზავრები თურმე მენავეს გადაჰყავდა, სამსამი მანეთი მოგვთხოვა. აქ გაცუდდა ჩემი რაინდობა, რაკი სამ მანეთზე მეტი არ მქონდა.

უკვე შეღამებულზე მივედით სკიტამდე. დასახლების ცენტრში, ზედ მდინარის გადასახედზე ცისფერი, ორსართულიანი კოტეჯები იდგა. ადრე პიონერთა ბანაკი ყოფილა. ირგვლივ, მდინარის გასწვრივ და აღმა მთებშიც დიდებული, უღრანი ტაიგა განფენილა. ხის სახლუკები, კოტეჯები, კარვები პირდაპირ ამ ტყეშია ჩამალული. ზევით, მთის თავზე შენდებოდა ძირითადი დასახლება. სახლებს, კლუბს, სკოლას, მაღაზიებს მხოლოდ და მხოლოდ მსხვილი მორებისაგან აშენებდნენ, ხე თავზესაყრელი იყო და არავის ენანებოდა.

ასე გვიან ვისთან უნდა მივსულიყავი და მილიციის ოთახს მივაგენი. ახალგაზრდა ლეიტენანტი დამხვდა. ვითარება უცბად შეაფასა. შენო, მითხრა, უპირველესად გაკრეჭა და დაბანა მოგიხდებაო. ეს მცირე ხარჯი, რაკი ჯიბეში არაფერი მიჭყაოდა, თვითონ გაიღო.

დალაქმა გამკრა-გამომკრა მაკრატელი. ხელი თმაზე რომ შემახო, თითები გაუშავდა. ორთქლმავლის კვამლით ქაშაყივით ვიყავი შებოლილი. გაგიჟდა კაცი, ეს რა ვნახეო, მაგრამ გაკრეჭით გამკრიჭა და გამპარსა.

აბანოც იქვე იყო და იქიდან რომ გამოვედი, ლეიტენანტმა ამხედ-დამხედა და გადარევს ეს ჩვენს გოგოებსო, იწინასწარმეტყველა. ირგვლივ რაც ბიჭები ტრიალებდნენ, ტყუპისცალებივით ერთმანეთსა ჰგავდნენ. მე კი სხვა ფერისა ვიყავი, გამორჩეული ხომ ყოველთვის თვალში ხვდება ადამიანს.

მიმიყვანეს ერთ კარავში. იმოდენა იყო, შიგ ოცამდე საწოლი ეტეოდა. მიმიჩინეს ადგილი და დავიძინე.

36

მოკლედ, წარმატებებს მივაღწიე, ნახევარუდაბნოში მწყემსის მიწურიდან ციმბირულ კარავში აღმოვჩნდი, გაუხდელი და დაუბანელი ძილის მაგიერ გარეცხილ თეთრეულში ჩავწექი და საერთო აბანოც სულ რაღაც კაპიკები ღირდა.

ორი ფოტოსურათი შემომრჩა იმ დროიდან. ერთზე მარტო ვარ. იაფფასიანი, უჯრედიანი პერანგი მაცვია, წვერგაუპარსავს თმები სწორად მაქვს ჩამოყრილი, სავარცხელი მაინცდამაინც არ მიყვარდა. მეორე სურათში ჩემი ბედის თანაზიარი რუსის ბიჭები დგანან. არც ერთის სახელი არ მახსოვს. ერთი, ტანმსხვილი და მორგვივით ბიჭი, წმინდა სლავური ტიპი, სმას გადაყოლილი იყო, არაყი თუ არა ჰქონდა, ოდეკოლონით ან ესენციით იჭყიპებოდა. მზიან ამინდში ჩვენი კარავი ისე ხურდებოდა, სუნთქვა ჭირდა. ერთხელ შევდივარ და ვხედავ, ეს ჩვენი მორგვი იატაკზე გულაღმა გდია, არაყისა და სიცხისაგან კვდება. დავავლე წყლით სავსე სათლს ხელი და ზედ დავათქლიშინე.

სიგრილემ სული მოუთქვა, გადაარჩინა, თუმცა ვერ მიხვდა, რა დაემართა... იმ სურათზე კიდევ ორი რუსია. ფართო შარვლები აცვიათ. სანამ სტალინგრადიდან კრასნოიარსკში გადავბარგდებოდი, მოდამ სხვა მხრიდან დაუბერა. სამარცხვინო ბოძს გაკრული სტილიაგები წარსულს ჩაბარდნენ და ვიწრო, მოსხეპილი შარვლების ნაცვლად ახლა შარვლის ტოტებში ბარე ორ მტკაველ ნაჭერს ჩააკერებენ და ისეთი ფართხუნა გამოდის, სპილოს ფეხები გეგონება. ბუგებიც ვიწრო შარვლებს მიჰყვა და მოკასინების ეპოქა იწყება... თუმცა ჩემთვის ეს ჩინური იეროგლიფებია, არც ფული მაქვს საამისო, ტვინიც სხვანაირად მიხურს და სხვა რამ მაწუხებს.

კარავთან ახლოს სახერხი ქარხანაა. თავდაპირველად აქ ვიწყებ მუშაობას, დახერხილ ფიცრებს და ნარჩენებს იქიდან აქეთ ვაწყობ, ან მანქანაზე ვტვირთავ. შავი სამუშაოს მეტი არც არაფერი მეხერხება. ასეთ საქმეზე თვეში შვიდასი მანეთი თუ გამომივა, ესე იგი დღევანდელი სამოცდაათი... პირველსავე დღეს, რაკი საჭმლის ფული არა მაქვს, ავანსს ვითხოვ და ორსამ თუმანს გამომიწერენ, მერე ისევ და ხელფასის დრო რომ მოვა, დიდი არაფერი მერგება.

მაინც ვცდილობ ცხოვრება ავაწყო. ლამაზი მხარეა ეს მიდამოები. უღრანი ტყეები მომწონს, ვრცელი და ძლიერი ენისეი, წყლის პირას გადმოყუდებული კლდეები, ბიბლიოთეკა, კინო, საცეკვაო მოედანი, სადაც ჩემი ბუნებრივი სიმორცხვე დიდ გასაქანს არ მაძლევს, ჩემზე დიდად თამამი გოგონები რომ არა... მე შეყვარებული ვარ... ერთი კვირა... ახლა სხვაზე ვარ შეყვარებული... წინა დამავიწყდა კიდეც... ცოტა ხანში ეს მეორეც დამავიწყდება და მესამე გამაგიჟებს...

დილით ადრე ვდგები, ენისეისკენ გავრბივარ. უნდა გავკაჟდე, ყოველთვის ასეთი უღონო და დალეული ხომ არ ვიქნები. ვაჟკაცურად ვიხდი და წყალში ჩავდივარ. ცურვა არ ვიცი, მღვრიე წყალში არც ფსკერი ჩანს. ღონიერი და ცივი ნაკადისა მეშინია, მაგრამ ფსკერს ფეხებით ვსინჯავ და ისე ვშორდები ნაპირს. გათოშილ წყალში ერთი-ორჯერ ჩავიყურყუმელავებ და აძაგძაგებული გამოვრბივარ. სამაგიეროდ, ტანზე რომ ჩავიცვამ, წუთში გავთბები და სასადილოსაკენ გავრბივარ.

საჭმელი აქ იაფია, მაგრამ ზოგჯერ იმის ფულიც არა მაქვს და ნისიას ვკადრულობ, მოლარე მიცნობს და მენდობა.

ცხრაზე სამუშაო იწყება და ხუთამდე ხელისგულებს ვიტყავებ.

ტანისამოსი სახელმწიფოსი მაცვია, ბათინკებიც მომცეს, რეზინის ჩექმებიც... ვიღლები და ლოგინზე გაუხდელად დავეგდები ხოლმე, აღარც კინო მინდა, აღარც გოგონები.

ცოტა ხანში ღონე მიბრუნდება და ყველაფერი მომინდება, წიგნიც, კინოც, გოგონებიც...

საშინელი, სისხლისმწოველი კოღო იცის, ძაღლებივით დაგესევიან, დაგასისხლიანებენ. კოღოს სეზონი გათავდება, ქინქლა მოედება, იმდენია, თვალის გახელა ჭირს.

მახსენდება, რომ ჯერ სკოლაც არ დამიმთავრებია, პუშკინსა და ლერმონტოვს ვიზეპირებ. ცოტა ხანს ვიარე კიდეც აქაურ სკოლაში, მაგრამ ქიმიაში ორიანი რომ მტყიპეს, მერე არც წავსულვარ.

ჩემი ინტერესი იმაზეა დამოკიდებული, თუ ტვინში რომელი ურჩხული გაიღვიძებს. თუ პრეზიდენტობა მომინდება, პოლიტიკას, გეოგრაფიას, ისტორიას მივუბრუნდები, თუ კოსმონავტობა – მაშინ ასტრონომიით, ასტროფიზიკით, მეცნიერებათა სხვადასხვა დარგებითა ვარ დაკავებული...

ხანდახან გონს მოვეგები. კარგადაც მესმის, რომ ერთიცა და მეორეც ბავშვური ზღაპარია. ერთადერთი გზა დამრჩენია, მწერალი უნდა გავხდე. უმალვე ვიწყებ მსოფლიო კლასიკოსების კითხვას, ბერძნებიდან და რომაელებიდან მოყოლებული... ისიც საკითხავია, რომელ ენაზე უნდა ვწერო. რა თქმა უნდა, ქართულზე, მაგრამ ჩემი ქართული საკმაოდ შელახულია, რუსული ჯერაც მთლად საკმარისი ვერ არის... ქართულამდე აქ ხელი არ მიმიწვდება, ვცდილობ რუსულს ჩავუღრმავდე... ვიწერ სიტყვებს, მაგალითად, თექის ჩექმას მარტო „ვალენკი“ კი არ ჰქვია, არამედ „ჩოსონკი“, „პიმი“ და ასე შემდეგ. ვწერ უსასრულოდ გრძელ და მოუმთავრებელ ფანტასტიკურ რომანს...

ჩვენმა ნორმადარმა ქალმა კეთილი თვალით შემომხედა. მითხრა, უფრო იოლი სამუშაო ხომ არ გინდაო. ძალიან ვიღლე-

ბოდი, სახსრები მტკიოდა და თუ ვინმე ღვთისნიერი მომხედავდა, უარს რად ვეტყოდი. ჩემი ქმარიო, მითხრა, გეოდეზისტთა ჯგუფის ხელმძღვანელია, მე თუ ვთხოვ, მიგიღებს, ამაზე უკეთესი ხელფასი მაინც გექნებაო. მადლობა მოვახსენე... დამიბარეს მეორე დღეს, გამესაუბრა ნორმადარის ქმარი, ახალგაზრდა, სიმპათიური ინჟინერი. იქვე გამაფორმა.

გაცილებით საინტერესო და იოლი საქმე იყო. მომავალი ქალაქის ობიექტებს ადგილებზე ვაგეგმარებდით. თავდაპირველად გრძელი ჭოკი მეჭირა, ხან აქ დავდგებოდი, ხან იქ... მერე ნიველირითა და თეოდოლიტით მარტივი აგეგმარება ვისწავლე. მთელი დღე აღმა-დაღმა დავძრწოდით. წინასწარ ვიცოდი, სად რა უნდა აშენებულიყო, სად გაივლიდა მომავალი ქუჩები და შარაგზები. ჩვენს ნაკვალევზე ძლიერი ბულდოზერები მოდიოდნენ, მშვენიერ ტყეებს მოლეწავდნენ, გაანადგურებდნენ და არც არავის ენანებოდა...

მოვიდა მოკლე და ლამაზი შემოდგომა. გამოსასვლელ დღეებში უღრანებს ვეწვეოდით, ხილისა და კენკრის საძებრად. ანდა კრასნოიარსკში გავემგზავრებოდი, თეატრში, ან მუსიკალურ ფესტივალზე... ვიღაცამ მითხრა, აქ ქართველები ცხოვრობენო. დავძებნე და ვესტუმრე. ერთი საწარმოს ხელმძღვანელი იყო, მანქანა ემსახურებოდა. ჩამსვა და მეორე ქართველთან, ექიმ პროფესორთან წამიყვანა. მშვენიერი პურ-მარილი გაშალეს, ვიქეიფეთ და გვიან ღამემდე საქართველოზე ვსაუბრობდით.

ახალმა საქმემ პირობები ცოტათი გამიუმჯობესა. კარვიდან ნორმალურ საერთო საცხოვრებელში გადავედი. აქ ერთი რუსის ყმაწვილი შემიჩნდა, გენა. ან მართლაც მოვეწონე, ანდა წესიერ პარტნიორს ეძებდა, რაკი ბინის დაქირავება უნდოდა, მარტოს კი ფული არა ჰყოფნიდა. მთის თავზე, ჯერაც ერთადერთი ქუჩის მცხოვრები გვთავაზობდა ოთახს პანსიონით. მამა დარაჯი იყო, დედა – ნოქარი, ბებია და ორიც გოგონა... ჩვენ ორნიც დავემატეთ და საკმაოდ დიდი ოჯახი გამოგვივიდა. ნორმალური კვება, სისუფთავე, თბილი ბინა თითოს ოთხასი მანეთი გვიჯდებოდა, რა თქმა უნდა, იმდროინდელი კურსით. დიასახლისის ნოქრობაც გამომადგა. ზამთრის სუნთქვა რომ ვიგრძენი, უმალ გამიჩარხა საკმაოდ სიმპათიური „მოსკვიჩკა“, მოკლე, ბეწვისსაყელოიანი თბილი ჯუბა. რაკი ოჯახის წევრივით ვიყავი, არც დღეობა-დღესასწაულებს ვაკლდებოდი, საჭიროების შემთხვევაში მხარზე „კორომისლოს“ გავიდებდი და წყაროდან წყალს ამოვიტანდი, ან შეშას დავჩეხავდი...

ზამთარი უცბად მოვიდა. უხვი თოვლი ჩამობარდნა, მკაცრი ყინვები დაიჭირა და სულ მალე ენისეი შეიკრა. სანამ პირველი ფანტელები ჩამოცვივდებოდა, მე კვლავ ვბანაობდი ცივ წყალში. მაგრამ ერთხელ სიცხე მომცა, იქაურ პატარა საავადმყოფოში ჩამამწყვდია და მერე მდინარეში აღარ ჩავსულვარ. პირველად ვხედავდი ყინულით შეკრულ უზარმაზარ სივრცეს. მერე ზედ მუშაობაც მიწევდა. მომავალ ნავსაყუდელს ვაგეგმარებდით და ყინულში ჭაურებს ვჭრიდით.

ციმბირული ყინვა იმ ზამთარმა მაგრძნობინა. მეცვა ბამბურა, დაბამბული შარვალი, თექის ჩექმები, ყურებიანი ქუდი და თბილი ხელთათმანები და მაინც, ყინვა ორმოცს რომ გადასცდებოდა, მუშაობა შეუძლებელი ხდებოდა. თეოდოლიტისა და ნიველირის დაყენებას ხომ შიშველი ხელები სჭირდებოდა, რკინა კი თითებს წვავდა. ჭოკით ხელში წყნარად დგომაც არ შეიძლებოდა, ბუქნაობა და ხელის ტყაპუნი არაფერს გშველიდა. ყოველ ნაბიჯზე კოცონს ვანთებდით და ვთბებოდით... მკაცრი, მაგრამ მშრალი ყინვა იყო და ამიტომ მისი ატანა შესაძლებელი გახლდათ. ყოველ შემთხვევაში, რაც ყინვები დაიწყო, ერთიც არ დამიხველებია.

ენისეიზე ბულდოზერებით გაასწორეს ყინულის ზედაპირი და გაიხსნა სამანქანო გზა კრასნოიარსკისაკენ.

ამასობათი გაიარა ათმა თვემ. მეწვია ჩემი მუდმივი მეგობარი – სევდა. მივხვდი, აქ ერთი დღეც ვერ გავჩერდებოდი. დავეთხოვე სამსახურს, ორ ჩემოდანში ჩავალაგე წიგნები, ხელნაწერები, ხაბაკ-ხუბაკი, გამოვემშვიდობე მასპინძლებსა და მეგობრებს, ახალ დასახლებას, რომელიც ჩემს იქ ყოფნაში სკიტიდან დივნოგორსკად გადაიქცა და ყინულის ტრასით გავემართე კრასნოიარსკისაკენ...

37

გეზი აღმოსავლეთისაკენ ავიღე. რაკი დივნოგორსკის თბილ კედლებს მოვცილდი და ციმბირის ყინულოვან მარტოობაში აღმოვჩნდი, ერთადერთ თავშესაფრად დახურული, მაგრამ თბილი ვაგონი ვიგულე და ჩვეულებისამებრ, ბილეთი იქამდე ავიღე, სანამდეც ფული მეყოფოდა. მეყო კი ხაბაროვსკამდე. რომც მყოფნოდა, ვლადივოსტოკამდე ჩემი პასპორტით ბილეთს არავინ მომცემდა, რადგან იგი დახურულ ქალაქად ითვლებოდა.

თუ შეიძლება ამ მხარეში თვალს რამე მოეწონოს, ეს არის უსიერი ტყეები, ტანკენარი ფიჭვნარები. ცხადია, თუ შენ თბილ კუპეში ზიხარ და მკაცრი ყინვა შენამდე ვერ აღწევს... თეთრი მთები, უსაზღვრო ტყეები, გაყინული მდინარეები... აქა-იქ მიკარგული სოფლები და ქალაქები... ზამთარია, ყინავს, ქალაქსაც კი ჰქვია „ზიმა“.

ანგარსკი... უკვე იგრძნობა დიდი ქალაქის სუნთქვა... ეს ირკუტსკია... ისევ მთები და უცებ თეთრი უდაბნოეთი, რომელიც ჰორიზონტის მქრქალ სილურჯეში ქრება... ეს ბაიკალია.

დღე დღეს ცვლის, ჩემი მატარებელი აღმოსავლეთისაკენ მიგუგუნებს. აქაური გზისპირეთი ისეთი ლამაზი ვერაა, თოვლიანი სივრცეების სითეთრე თვალებსა ტკენს, მოსაწყენი ხდება... ჯუჯა ხეები სიცივეს თითქოს მოუშთვია...

დაბოლოს, მატარებელმა ხაბაროვსკს მიაკივლა...

38

ჯერ კიდევ ბაიკალამდე, თბილ ვაგონში, ზემო თაროზე წამოწოლილი, კოსმიური და პოლიტიკური სიმაღლეებიდან ძირს ჩამოვეშვი და იმაზე დავიწყე ფიქრი, თუ რა კარგია განდეგილის ცხოვრება, კაცისა, რომელიც განერიდება ადამიანებს, დასახლდება სადღაც უღრანებში და ბუნების წიაღში პოვებს შვებას... ხომ შეიძლებოდა, ბაიკალის რომელიმე კუნძული შემერჩია, ძელური ქოხი ამეგო და დამეწყო ჩემი რობინზონიადა. ფიქრში ეს მეტად მომხიბლველად მეჩვენებოდა, მაგრამ ბაიკალის ყინულოვანი სივრცეების დანახვისას, თბილი ვაგონიდან ჩამოსვლა ვერ გავბედე.

ახლა, ხაბაროვსკს რომ ვუახლოვდებოდი, სხვანაირად ავაგე ბუკოლიკური რომანის სიუჟეტი. კარგი იქნებოდა, რომ ამურისპირეთის რომელიმე მიყრუებულ და ღვთითდავიწყებულ სოფელში ჩავსულიყავი ქოხ-სამკითხველოს გამგედ. ჩავთბუნდებოდი წიგნებში და მისიონერობას გავწევდი. ფანტაზიაში ყველაფერი მწყობრად და ლამაზად გამომდიოდა, ოღონდ ცხოვრება არად დაგიდევდათ ჩემს ფანტაზიებს.

ჩავედი ხაბაროვსკში. უპირველესად, ჩემოდნები ჩავაბარე შემნახველ საკანში, ყინულიან ქალაქში სად უნდა მეთრია.

დავუყევი ცივ ქუჩებს. ფეხზე ბათინკები მაცვია და თითები მეყინება. ტანზე არა მიშავს, ჩემი „მოსკვიჩკა“ კარგად მათბობს.

ხაბაროვსკი საკმაოდ დიდი ქალაქი იყო მაშინაც. აღმადაღმა ვიარე. ერთგან, გორაკიან პარკში, ბავშვები ყიჟინით ციგურაობენ. მეც კი მინდა გავერთო, გავმხიარულდე, მაგრამ უცხო ვარ, არავინ მიცნობს და ჩემი მტერი – მარტოობის მწველი გრძნობა, მუდამ თანა მდევს.

ამასობაში ნაშუადღევიც გადაგორდა და მივაგენი კიდეც მრავალსართულიან შენობას. კარებზე აწერია კულტურის სამხარეო განყოფილებაო. მდივნის მაგიდას ქალიშვილი უზის, ოცი-ოცდაორი წლისა. მობრძანდი-დაბრძანდიო. მოვუყევი ჩემი თავგადასავლების შეფერადებულ-შელამაზებული ვარიანტი. სოფლის ქოხ-სამკითხველო რომ ვახსენე, საშუალო სკოლის ატესტატი თუ გაქვსო, შემეკითხა... ცხრა კლასი მქონდა დამთავრებული, ატესტატს ვინ მომცემდა. ჯერ ერთიო, ამიხსნა, უატესტატოდ არავინ გაგიშვებსო, მეორეც, ბიბლიოთეკარის ხელფასი ჩაის დასალევადაც არ გეყოფაო... შევყევით საუბარს. ამასობაში ჩამობინდდა კიდეც. შენ გატყობ, ღამის გასათევი არ გექნებაო, მიმიხვდა. ამაღამ ჩემთან წაგიყვან, ხვალ თუ გინდა, უფროსებთან შეგიშვებ და თვითონ ელაპარაკეო. ეს რომ მითხრა, ამურული ამბები უცბად გამორიცხა,

დაქალს დაურეკა და თხოვა, ამაღამ ჩემთან დარჩიო.

ოროთახიანი ბინა ჰქონდა. ერთ ოთახში თვითონ მოთავსდნენ, მეორეში გასაშლელი საწოლი გამიშალეს და იმაზე დამაწვინეს.

ბინას მაღალი, ფილებით მოპირკეთებული, ჰოლანდიური ღუმელი ათბობდა. ნახშირი უკვე ჩამწვარიყო და წითელი ნაკვერცხლები ღვიოდა. დაწოლის წინ ღუმელს ავხედე და საჰაერო გახსნილი დავინახე. ალბათ ეშმამ მიბიძგა, უფრო უცოდინარობამ, ცხადია. ვიფიქრე, მივკეტავ, თორემ სითბო სულ გაიპარება-მეთქი. მივკეტე და ლოგინში ჩავწექი.

უმალ ჩამეძინა. იმ ღამის ძილი თურმე ბეწვის ხიდზე გასვლას ნიშნავდა და ღმერთმა დაგვიფარა. გოგოებს დროზე რომ არ ეგრძნოთ საშიშროება, დილით ვერც ერთი ვერ გავიღვიძებდით. ღრმა ბურანში ვარ და ვგრძნობ, რომ მანჯღრევენ. თვალები ძლივს გავახილე, თავი მისკდება ტკივილისაგან... პერანგისამარა წამომდგომიან, კარ-ფანჯრები დაუღიათ და შიშველს გარეთ მაგდებენ.

ბარბაცით გავედი ჰაერზე და ტანისამოსი უკვე ყინვაში ჩავიცვი. მრცხვენია ჩემი სიბრიყვისა, მასპინძლებს მზერას ვერ ვუსწორებ. წადი, გაიარე, ჟანგბადი ჩაისუნთქეო, მეუბნებიან, თვითონ კი საფეთქლებს იზელენ და კვნესიან.

კუდამოძუებული წამოვედი.

მთელი დღე გული ცუდადა მაქვს, საფეთქლებზე ჩაქუჩები მირახუნებს და ნამთვრალევივით მოთავებული დავდივარ. იძულებული ვარ რამე მაინც ვიღონო. მონანიების სიტყვით ავდივარ ჩემს მასპინძელთან. ფერდაკარგული უზის მაგიდას, საყვედურს არ მეუბნება. ნაცნობს ურეკავს ხე-ტყის ტრესტში, მოვიდესო, ჩემზე ეუბნებიან. თავხედობა არ მყოფნის, ცოტა ფული ვთხოვო, შემნახველი საკნიდან ჩემოდნების გამოსასყიდად მჭირდება.

დავემშვიდობე, დარწმუნებული ვარ, მალე ისევ შევხვდები.

ტრესტში ხნიერი კაცი მესაუბრება. ხაბაროვსკში სამუშაოს ვერ იშოვი და არც ჩაგწერენო. აქედან ოთხმოც კილომეტრზე პატარა დასახლებაა, ხორი ჰქვია, იქ ხე-ტყის კომბინატი გვაქვს და გაემგზავრეო. ვერც ამას ვეუბნები, ფული ჩამასესხოს ჩემოდნების გამოსასყიდად.

ვიფიქრე, წავალ იმ ხორში, დავიწყებ მუშაობას, მომცემენ ავანსს. ჩამოვირბენ ხაბაროვსკში, ჩემოდნებსაც გამოვისყიდი და ნაცნობ გოგონებსაც ვინახულებ-მეთქი.

შევახტი მატარებელს და ხორში ჩავედი...

39

რკინიგზა რომ უსურის შენაკადს მდინარე ხორს გადაკვეთს, იქაა პატარა ქალაქი ხორი. არაფერი რომანტიკული ასეთ დასახლებებს არ აცხია. რუსული სოფლებისაგან იმით გამოირჩევიან, რომ უფრო მეტი ქოხია ჩამომწკრივებული და ერთი დიდი ხე-ტყის საწარმოა აღმართული გაყინული მდინარის პირას, რომლის გაღმა ჯუჯა ხეები შავ ლაქებად ამჩნევია თეთრ ტრამალს.

ამხედ-დამხედეს ამ კომბინატში, მიხვდნენ, დიდი ვერაფერი ვირის მუშაა, ეს უფრო გადამფრენ ფრინველსა ჰგავსო. დროებით ჩამასახლეს თავიანთ კუთვნილ სასტუმროში და მითხრეს, იფიქრე ერთი-ორი დღე, თუ აქაურობა მოგეწონა, იმუშავებ, თუ არადა, აღმოსავლეთ-დასავლეთით გზა ხსნილიაო.

სასტუმრო ერქვა, თორემ პატარა ქოხი იყო, სულ ორი-სამი ოთახისაგან შედგებოდა და დიასახლისად იშვიათი ქოფაკი ედგა, რომელსაც პირიდან ყეფისა და ღავღავის მეტი არაფერი ამოსდიოდა.

თუმცა საქმე საყეფად რატომ არ ექნებოდა, ხედავდა კაპიკის გადამხდელი არ ვიყავი, თანაც ისიც იფიქრა, ეს აქ შიმშილით რომ ჩაძაღლდეს, პასუხი მომეთხოვებაო. ამიტომ უკვე დაძველებულ, ხმელა პურს მომიყრიდა ჯიჯღინით, თუმცა სამათხოვროდ მე ხელი არ გამიწვდენია. უმჯობესი იქნებოდა, კავკასიური სიამაყით უარი მეთქვა ამ დამამცირებელ ძღვენზე, მაგრამ კუჭი რომ წვას დაგიწყებს, ის შავი პურის დაობებული ნაფჩხვენები შოკოლადის ფილად მოგეჩვენება.

ჩემს გარდა ერთი სტუმარიც ჰყავდა. მივლინებით იყო ჩამოსული. რაკი სახელი არ მახსოვს, ივანედ მოვიხსენიებ. ამ ივანს ჩემი „მოსკვიჩკა“ მოუვიდა თვალში და შემომიცოცდა.

ნაირ-ნაირი ამბები მიამბო, ერთი-ორჯერ ლორიც მომიჭრა და მერე გულუბრყვილო სიფათით მთხოვა, ხაბაროვსკში მივდივარ, მათხოვე შენი „მოსკვიჩკა“ და ცოტა ხნით ჩემი ტყაპუჭი ატარეო. ის ტყაპუჭი დღევანდელი „დუბლიონკა“ რომაა, ის იყო. იმან რა იცოდა, მრავალი წლის შემდეგ ფასები რომ ყირაზე დადგებოდა და ამნაირ დუბლიონკებზე ხალხი გადაირეოდა. დამიტოვა ეს თავისი ტყაპუჭი, ჩაიცვა ჩემი „მოსკვიჩკა“ და მას შემდეგ აღარ მინახავს. ვიფიქრე, ეს დედაკაცი სულს ამომხდისმეთქი და ერთ საღამოს სასტუმროში აღარ დავბრუნდი.

დავრჩი რკინიგზის სადგურზე. მაღალჭერიანი მოსაცდელი ოთახი აქვს იმ სადგურს. რამდენიმე მძიმე მერხი დგას. კედელთან მაღალი ნელ-თბილი ღუმელია და ამოდენა ოთახის სიცივეს ვერ უმკლავდება.

მოსაცდელში ჩემს გარდა ერთი მაწანწალაცაა. რაღაც ჯღანები აცვია, თითქმის შემოძარცულია. მგონი კუზმა ჰქვია. დაღლილები მივეგდებით მე და კუზმა მერხებზე. სიცივისაგან აძაგძაგებულნი წამოვხტებით და ვიწყებთ ბოლთის ცემას, ან ვეფერებით ნელ-თბილ ღუმელს, ამასობაში კი გასართობად თავის თავგადასავალს მიყვება.

თურმე პატიმრად იყო იაკუტიაში და ამ შუა ზამთარში გაათავისუფლეს. გაზაფხულამდე ვერ მოითმინა და იქიდან აქამომდე ყინულოვან ტრაქტს გამოჰყვა. სანამ რკინიგზამდე გამოაღწევდა, ბარე ოთხასი კილომეტრიც გამოიარა, ხან შემთხვევითი მანქანით, ხან ფეხით... ახლა ჯიბეში კაპიკი არ უჭყაოდა და უბილეთოდ აპირებდა დასავლეთისაკენ გაღწევას

როცა გაიგო, ვლადივოსტოკისაკენ მინდოდა წასვლა, გამაფრთხილა, ხორის შემდგომ გადასარბენზე მატარებლებს ამოწმებენ და საშვის გარეშე აღარ გაგიშვებენო. უმჯობესია მანქანით გააღწიო და მერე ახვიდე მატარებელზეო.

ამ რბენა-ლაპარაკში კიდეც გათენდა, მზემაც გამოიხედა, თუმცა სითბო და შვება არ მოუტანია.

მომკიდა ხელი კუზმამ, ჩემთან წამოდიო და სასადილოში შემიძღვა.

— გოგოებს ჩემი სალამი! — თავი ღრმად დაუკრა ოფიციანტებს და ჩიტივით აჭიკჭიკდა, ასეთი და ასეთი გაჭირვება გადამხდა, ფეხით ამდენი გამოვიარე, რკინიგზამდე ძლივს ჩამოვაღწიე და უფულობის გამო შიმშილით ნუ დაგვხოცავთო.

დატრიალდნენ კეთილი ქალები. კუთხის მაგიდასთან დაგვსვეს და ბორშჩით მოპირთავებული თეფშები დაგვიდგეს წინ. მას კატლეტები და წიწიბურა მოაყოლეს, თითო ჭიქა კომპოტიც. ამაზე გემრიელად კარგა ხანია არ მეჭამა.

მადლობის საპასუხოდ კუზმას ჯიბეში სამმანეთიანი ჩაუკუჭეს და სასადილოდან გავედით.

კუზმა არც აქ გამომემშვიდობა, სამანქანო ტრასამდე გამომყვა, თვითმცლელი გააჩერა და მძღოლს შეეხვეწა:

— თუ ძმა ხარ, ეს ბიჭი ერთ გადასარბენზე გაიყვანე, ხომ იცი, მატარებლიდან ჩამოაგდებენ და ამ ყინვაში აბა სად უნდა წავიდეს!

მძღოლმა თავი დაუქნია, კუზმამ კი ჯიბიდან ის სამმანეთიანი ამოიღო და მე ჩამიკუჭა, თავისთვის შაურიანიც არ დაიტოვა.

ღმერთო, ხელი მოუმართე ასეთ ადამიანებს, რომელთა სულებში სიკეთის ცეცხლს ვერავითარი გაჭირვება ვერ ჩააქრობს!

დარჩა კუზმა ამ მოსაწყენ ხორში, მე კი თვითმცლელმა მრავალი საათი მატარა ყინულიან გზაზე, რომელიღაც სადგურთან მიმიყვანა და იქ ჩამომსვა.

იმ სამი მანეთით უახლოეს სადგურამდე ავიღე ბილეთი, რა თქმა უნდა, იმ იმედით, რომ თვით ვლადივოსტოკამდე ვერავინ ჩამომაგდებდა. საერთო ვაგონის ხალხით გაჭედილ კუპეში ვიწროდ ჩავეკვეხე და ჩავთბუნდი.

თან მივდივართ, თან ვჭორაობთ. ერთმა მითხრა, ისეთი ყინვებია, ამ ბათინკებში თითები მოგეყინებაო. ფეხები მართლაც სულ მეყინებოდა. სანაცვლოდ თექის ჩექმები შემომთავაზა და გავუცვალე.

მოკლედ, რაც დივნოგორსკში მამასისხლად შევიძინე, გზაგზა მიმოვფანტე და ისე ჩავედი ვლადივოსტოკამდე. ხაბაროვსკში დატოვებულ ნივთებს რას ვჩიოდი, ჩემი ზეფანტასტიკური რომანების ხელნაწერები შიგ ჩამრჩა და თუ გული მწერლობისაკენ გამიწევდა, ყველაფერი ნულიდან უნდა დამეწყო...

40

ვლადივოსტოკის ერთ გარეუბანს, ამურის ყურეს რომ გადაჰყურებს, „მორსკოი გოროდოკი“ ჰქვია. აქ ძირითადად ზღვაოსნებს უშენებდნენ ბინებს და ალბათ ამიტომაც შეარქვეს ასე. აი, აქ მოვეწყვე სამშენებლო სამმართველოში შავ მუშად. ჩავსახლდი ორსართულიანი საერთო საცხოვრებლის პირველ სართულზე... მეორეზე გოგონები ცხოვრობდნენ! ოთახში ექვსნი ვიყავით, ძირითადად ჩემი ასაკისა და ჩემნაირად უგზოუკვლოდ მოხეტიალენი. ამათ ჩემსავით ცაში ასვლა არა ჰქონდათ გადაწყვეტილი და ცხოვრების მიზნად არაყი და გოგონები გაეხადათ... მომცეს სამუშაო ტანისამოსი, რაც მთავარია, — ბათინკები, რადგან უკვე გამოიდარა, თოვლი სწრაფად დადნა, ამინდი ატირებას აპირებდა, მე კი ისევ ის თექის ჩექმები მეცვა...

სამუშაო მძიმე და უმადური იყო, ღონე არ მყოფნიდა. შავმა მუშამ ან რა უნდა გააკეთოს მშენებლობაზე, მიიტანე-მოიტანეს მეტი. ბეტონის ხსნარით სავსე ჯალამბარი თუ მეექვსე სართულზეა ასატანი, ჩემი უღონო თითები თავისთავად მეხსნება და ძირს მივარდება, რაც, ცხადია, პარტნიორს დიდ სიამოვნებას არ ანიჭებს. დღის ბოლოს ისე ვიღლები, ოცნებობ შინამდე მივაღწიო, ხელ-პირი დავიბანო და ლოგინზე წამოვწვე. შრომის წილ კი ისეთ ჯამაგირს მაძლევენ, ერთი ხელფასიდან მეორემდე ვერ მიმყვება. მსესხებელიც არავინაა და თვეში ისეთი დღეებიც გამოერევა, შავი პურის ნატეხი რომ სანატრელი მიხდება.

ერთადერთი გამონათება, ხელფასის დღეს რომ დასვენება მოსდევს, ისაა. შემიძლია ცენტრში გავემგზავრო, ნორმალურ კაფეში ვისადილო, კინოში კი არა, თეატრშიც შევიდე ან სანაპიროზე გავისეირნო, რეიდზე ჩამომწკრივებულ ხომალდებს გავხედო...

ბოლოს და ბოლოს ერთი ნაბიჯიღა დამრჩა ამერიკამდე, სულ რაღაც წყნარი ოკეანეა გადასალახი, აი, ამ წყლების მიღმაა იგი და მაშინ დაიწყება ჩემი ცხოვრების ახალი, რომანტიკული ნაწილი.

ოღონდაც, ფული მალევე შემომადნება ხელში და მაღალი

ოცნებებიდან ბიწიერ სურვილებამდე დავეშვები. გამოვეკეტები საერთო საცხოვრებელში, ვუყურებ გოგო-ბიჭების გაუთავებელ ღლაბუცს (ამურულ ამბებს მთლად არც მე ვაკლდები). სხვებისგან იმითღა განვსხვავდები, რომ სქელტანიან რომანებს ვკითხულობ. ხანდახან კი ახალ ფანტასტიკურ რომანს ჩავუჯდები. ამ რომანის გმირია კოსმონავტი, რომელიც ავარიის შედეგად ამაზონის ჯუნგლებში ჩამოვარდა და ახლა მარტოდმარტო აპირებს იქიდამ გამოღწევას.

გაზაფხული მაინც გაზაფხულია. ამურის ყურეში პაწაწინა აისბერგები აღარ დატივტივებს. თოლიების ალიაქოთია დღენიადაგ. გარემო მთები ამწვანდა და გორაკებზე შეფენილი ვლადივოსტოკი ღია ამფითეატრს დაემსგავსა.

მბეზრდება მძიმე და უმადური შრომა, უფულობა, უღონობა და ამ დროს სანაპიროზე ვკითხულობ პატარა განცხადებას, რომ მზადდება ექსპედიცია კამჩატკაში, გვჭირდება „სანაპიროს მატროსები“... კი ბატონო, აგერა ვარ სანაპიროს მატროსი! ეს ხომ ნაღდად ჯობია შავი მუშის ხელფასსა და ბეტონის თრაქვას...

ვეთხოვები სამშენებლო სამმართველოს და ვიწყებ სეზონურ სამუშაოს სამხედრო ტოპოგრაფიულ უწყებაში...

41

ეს მგზავრობა უკვე აღწერილი მაქვს. „დიდობანას თამაშის“ გმირი ნიკანორ ბჟალავა ვლადივოსტოკიდან კამჩატკამდე გემი „ოხოტსკით“ ვამგზავრე.

ომის დროს რკინის ამ ურჩხულზე ზარბაზნები ეყენა. წითელ კუთხეში გამოფენილი იყო მისი საბრძოლო გზის რუკა და აღწერილობა. დიდი არაფერი გმირობა ჩაუდენია. მერე იარაღი მოაცილეს და ოკეანოგრაფიულ სამსახურს გადასცეს.

„ოხოტსკიზე“ თითქმის ორმოცდაათამდე ახალგაზრდამ მოვიყარეთ თავი.

ვლადივოსტოკიდან დღისით გავედით. გემბანიდან ქალაქის ამფითეატრი მეტად შთამბეჭდავად ჩანდა. ჩავუარეთ მრის-

ხანე კრეისერებს, გიგანტურ ლაინერს „საბჭოთა კავშირს“, რომელიც, ამბობდნენ, გერმანიას წაართვესო... პეტრე დიდის ყურე უკან მოვიტოვეთ და გაშლილ ზღვაში გავედით.

პირველად მივცურავდი ასე შორს... საოცარი სანახაობაა, თავზე გადმომხობილი ლურჯი ცა და ჰორიზონტის ლურჯი წრე, რომლის ცენტრში ჩვენ მივტორტმანებთ. ნიავი უბერავს და ზღვის ლურჯ სივრცეს ტალღების თეთრი ქაფი ქერცლავს.

თოლიები კარგა ხანს მოგვყვებიან, ყრანტალებენ, ანძაზე ისვენებენ და ისევ ნაპირისკენ ბრუნდებიან.

ნაკვალევზე თეთრ ჩქერალს ვტოვებთ, იმათში დელფინები თამაშობენ, კვალზე მოგვდევენ.

თანდათან ბინდდება... ზარი რეკავს, ვახშამზე გვიხმობენ.

მადიანად მივირთმევ, გემბანზე ავდივარ და ვგრძნობ, რომ გული მერევა. ტყუილად მქონდა თავის იმედი, ზღვის ავადმყოფობა ვერ ავიცილე.

ჩავდივარ კუბრიკში, ვწვები, დაძინებას ვცდილობ... მარწევს. ზევით შემისვრის, მერე თითქოს უფსკრულში ვვარდები, საწოლი მეცლება და დაბლა მივფრინავ. ამ დროს გული თითქოს სადღაც იძირება... სანამ ბოლომდე ჩავაღწევდე, საწოლი ისევ მაღლა იწევს, ამიტაცებს, ამწევს. ასე აღმა-დაღმა მაბურთავებს და ის წუთიც დგება, გემბანზე რომ უნდა ავვარდე და მოაჯირს გადავეყუდო.

უკვე ღამეა და ვერავინ მხედავს. პროჟექტორებით განათებულ სივრცეში იხსნება უფსკრულის პირი, გემი ცხვირით შიგ ვარდება, კიჩოს ზევით ასწევს, მეორე წამს გემის ცხვირი მაღლა ასრიალდება...

ცივა. უკან, დახუთულ კუბრიკში ვბრუნდები.

დღე დღეს მისდევს. წითელ კუთხეში საზღვაო რუკა ჰკიდია, გავლებულ ხაზს ყოველდღე ფანქრით ემატება. ჩვენ იაპონიის ზღვაზე ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მივცურავთ.

გემზე საქმე არაფერი გვაქვს. დღეში სამჯერ ვჭამთ. გული კი მერევა, მაგრამ, საოცარია და მადა არ მაკლდება, ჩემს თალიას ბოლომდე მივირთმევ.

ბიბლიოთეკაში წიგნები საკმაოა და დროს არ ვკარგავ.

თითქმის ყოველდღე კინოსეანსია, ერთი და იგივე ფილმი

გადის – „ადმირალი უშაკოვი“. მეხუთეჯერ რომ ვნახე, არც უშაკოვი მინდოდა, არც კორფუს აღება მაინტერესებდა და არც ის, რომ სუვოროვი უშაკოვთან მიჩმანობას ნატრობდა.

რამდენიმე დღეში თითქოს მივეჩვიე გემის რწევას, უსიამოვნო შეგრძნება მაინც მაწუხებს, მაგრამ ვუძლებ.

ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მკვეთრად აღმოსავლეთისაკენ გადავიხარეთ.

ლაპერუზეს სრუტით გავდივართ. ჩრდილოეთის ჰორიზონტთან ლანდებად ჩანს სახალინის გორაკიანი მხარე, სამხრეთისაკენ ჰოკაიდოს ნაპირია. ზღვაში პატარა კუნძულები წამომართულა.

კაცი რომ წყალში ჩაეშვას, რამდენიმე საათში იაპონიის ნაპირებთან მიცურდება. ოღონდ მე ის კაცი არა ვარ! ცურვა ისე მეხერხება, ორ-სამ მეტრს თუ გავუძლებ...

მშვიდობით, ჰოკაიდო, შენს ნაპირებზე მე ვერასოდეს მოვხვდები!

წინ ოხოტსკის ზღვაა და გემი კვლავ ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიცურავს.

ამერიკული თვითმფრინავები გადაგვიფრენენ ხოლმე თავზევით, გვზვერავენ.

ზღვა ვრცელია და უდაბური, იშვიათად თუ გაიელვებს ჰორიზონტზე უცხო ხომალდი.

რამდენიმე დღეც და ჰორიზონტის კიდეზე, მარჯვნივ, მთათა ბუნდოვანი მოხაზულობა ჩნდება.

ეს კამჩატკაა, მისი დასავლეთი ნაპირი...

42

მთელი დღე მივცურავთ ნაპირის გასწვრივ. მოწყენილობა ჩამოვიბერტყეთ, გამოვცოცხლდით. გემის ირგვლივ ზღვაც გამოცოცხლდა. მოფრინდნენ თოლიები, ანძებზე შემოსხდნენ, თავს დაგვყრანტალებენ, ანდა გემის გასწვრივ მოგვყვებიან, ან ნაკვალევზე, მათხოვრობენ, რაიმეს თუ გადაუგდებ, ჰაერში იჭერენ.

შორიახლო ჩაგვიარა ზღვის ლომების ქარავანმა. შავი,

სლიპინა ზურგები მზის შუქზე ზიმზიმებენ, მძიმე სხეულს მაღლა ისვრიან, ტალღებს აპობენ.

მზემ დასავლეთს ცეცხლი წაუკიდა. ისეთი დაფიონი დადგა, თითქოს ნახევარ ზეცასა და ზღვის კიდეზე ხანძარი გიზგიზებსო. მერე მზის უზარმაზარი წითელი დისკო წყალში ჩაგორდა და დაღამდა.

ღუზა ჩავუშვით.

ნისლიანი დილა გათენდა, ნაპირი თითქოს გამქრალიყო.

გემბანიდან კატარღა ჩავუშვით, ტვირთი ჩავზიდეთ. ამ დღეებში ღელვას თითქოს მივეჩვიე, გული გამომიკეთდა, მაგრამ მძიმე გემი მძიმედ ქანაობდა და იოლი ასატანი იყო. კატარღას კი ტალღები ბურთივით ისროდა და ნახევარ საათში ბოლო მომიღო.

გემს მოვშორდით და ნაპირისაკენ ავიღეთ გეზი. ნისლში აქაიქ შავი მეჩეჩები ურჩხულებივით ამოჩრილა. ნისლი, ტყვიისფერი წყალი, შავი მეჩეჩები და ჩვენი კატარღის ნელი თუხთუხი – უცნაური, რომანტიკული ხიბლით სავსე დილაა. ყოველივე ამას თითქოს მე კი არ ვხედავდი, რომელიღაც სათავგადასავლო წიგნში ვკითხულობდი... მდინარე უტხოლკის შესართავს შევყევით, ნაპირის მდელოზე ტვირთი გადავიტანეთ და რამდენიმე ყმაწვილიც დავტოვეთ. სანამ უკან გავბრუნდებოდით, ზღვა გაგვექცა, წყლის დონემ სწრაფად იკლო და ზედ შესართავთან ქვიშის მეჩეჩზე გავიჭედეთ. ირგვლივ ნისლის ფარდა ეკიდა და ტალღების ჩუმი ტყლაშუნი ისმოდა... ასე გავიდა რამდენიმე საათი. კონსერვის ქილა გავხსენით და ვისადილეთ.

მერე დაიწყო ზღვის მოქცევა, წყლის დონემ აიწია, მდინარე აღმა არეკა და ტალღებმა მეჩეჩს მოგვწყვიტა, აგვატივტივა.

დავბრუნდით გემზე, კვლავ ტვირთი ავიღეთ და ნაპირისაკენ გავეშურეთ. ამჯერად სამნი უნდა გადმოვმსხდარიყავით ნისლიან ნაპირზე.

ამ ადგილას მდინარე უტხოლოკსა და მდინარე კვაჩინას შორის ხმელეთი ზღვაშია შეჭრილი. 446 მეტრი სიმაღლის გორაკია წამომართული და ორი კონცხი გაწოლილა. ჩრდილოეთის კუთხეში უტხოლოკისა, სამხრეთისაკენ კი კონცხი „იუჟნი“... აქ უნდა დავრჩენილიყავით კლდის ძირას.

კატარღამ ნაპირს ვერ მიაღწია. წყალი მარჩხი იყო და ირგვლივ უამრავი მეჩეჩი შავად ამოჩრილიყო.

რეზინის გასაბერი ნავი ჩავუშვით, ტვირთი იმაზე გადავზიდეთ და გზა ნიჩბებით გავაგრძელეთ.

აგერ, ქვიშის პლაჟიც. სასწრაფოდ გადავტვირთეთ ყუთები და ტომრები, წყალს გავარიდეთ და დაგვტოვეს. ამასობაში ნისლი დაიფანტა, სივრცე გადაიშალა. ზღვის უბეში ვყოფილვართ. ჩრდილოეთით კლდეები და ზღვაში ჩამოშვავებული უზარმაზარი ლოდები მიიგრაგნებოდა. ირგვლივ რამდენიმე კილომეტრზე წყლიდან უთვალავი მეჩეჩი და ლოდი ამოშვერილიყო. უკუქცევის დროს თითქმის მთელი უბე იცლებოდა წყლისაგან, მოქცევის დროს კვლავ ივსებოდა.

ჩვენი სამეულის მეთაური იყო ბებერი მეზღვაური იგორ კუზმიჩი. მე და ჩემი კბილა ყმაწვილი იმას ვემორჩილებოდით. რატომღაც მოვწონდი და კარგად მექცეოდა. ის ყმაწვილი კი აითვალწუნა. საცოდავს ღამით ეპარებოდა და ალბათ იმიტომ. ერთი თვის შემდეგ გაუშვა კიდეც ძირითად ბაზაში, უტხოლოკის შესართავთან და შემცვლელად სხვა ყმაწვილი გამოგვიგზავნეს.

იმ პირველ დღეს სასწრაფოდ დავდგით კარვები. ერთი, უფრო ჩათბუნებული, დასაძინებლად, ერთიც, მოღიავებული, სასადილოდ.

იგორ კუზმიჩი ჩვენი პატარა ექსპედიციის კოკიც გახლდათ, საკმაოდ გემრიელ სადილებს აკეთებდა, ოღონდ ცხიმად მუდამ სელაპის ქონს ხმარობდა და ყველაფერი თევზის სუნით ყარდა. იმ ზაფხულს კორიაკებისაგან დათვის ხორციც ვიშოვეთ, ირმისაც, ფრინველიც მოვინადირეთ, მაგრამ ყველაფერს თევზის სუნი უდიოდა და ამას ვერსად გავექცეოდი.

კარავთან კამკამა წყარო ამოდიოდა, ისეთი ცივი იყო, დალევა გაგიჭირდებოდა. მეორე მხარეს, ას ნაბიჯზე, ღელე ჩამოდიოდა. იმ ღელეს ბადით გადავხიდავდით და რამდენიმე საათში დუჟინი წითელი ხიზილალით გატიკნული მხარისტოლა ორაგულები ამოგვქონდა. რაკი მოზიდული სურსათი სამი თვე

უნდა გამოგვეზოგა, იგორ კუზმიჩი, ზუსტად ნორმით გვკვებავდა, სამაგიეროდ შემწვარი ორაგული იმდენი გვქონდა, რამდენსაც კუჭი გაუძლებდა.

პურს ძირითად ბაზაზე აცხობდნენ. ყოველ მესამე დღეს გავეშურებოდი იქითკენ, ფართო პლაჟს მივყვებოდი. ის მოფენილი იყო ტალღების მიერ მოყრილი ათასგვარი ხარახურით, უმეტესად კი შუშის ტივტივებით და ბადეების ნაგლეჯებით, რაც უფრო იაპონელ მეთევზეებს რჩებოდათ. სწორედ ამ ბადეების მრთელ ნაწილებს ვიყენებდით სათევზაოდ. ერთგან პლაჟი წყდებოდა, კლდეები ზღვასთან გადიოდა. მოქცევის დროს კლდის ძირას ტალღები გასასვლელს კეტავდა, მე კი ზედ კლდეზე გავდიოდი, არცთუ უსაფრთხო გზით, რაც სპორტულ აზარტსა და სიამოვნებას მანიჭებდა. ბაზაში ათ დღეში ერთხელ გაზეთებიც მოჰქონდათ, ცოტაოდენი წიგნიც იყო, სამი დღის მარაგ პურსაც წამოვიღებდი და უკან ვბრუნდებოდი.

წიგნები მეც მქონდა წამოღებული, უფრო ინგლისურის სახელმძღვანელოები, ამერიკაში თუ მოვხვდებოდი, ენა ხომ უნდა მცოდნოდა. კარგა ხანს ვივარჯიშე, მაგრამ ლექსიკონი არ მქონდა, ველარ დავძლიე, თანაც ტვინი ისევ გადმომიბრუნდა. მომდევნო რომანს ვწერდი და ეს სახელმძღვანელოები სანაპირო ქვიშაში ჩავმარხე.

სამუშაო არც ისე ძნელი იყო. სამ ადგილას ზღვაში დავაყენეთ ჭოკები. პირველი ნაპირთან ახლოს ეყენა, მეორე – ორას მეტრზე, ოღონდ კონცხის გრაგნილის გასწვრივ, მესამე – ნახევარ კილომეტრზე. ყოველ საათში საგანგებო ჟურნალში უნდა შეგვეტანა წყლის დონე. მოქცევის დროს პირველი ჭოკის მონაცემი კმაროდა. უკუქცევის დროს პირველი შიშვლდებოდა და მონაცემი მეორეზე უნდა აგვეღო. მერე ის მეორეც შიშვლდებოდა და მაშინ მესამემდე მივდიოდით. ასე უნდა გვეკეთებინა უწყვეტად დღისა და ღამის მანძილზე. ყოველ მეოთხე საათს კი საჭირო იყო ქარის მიმართულებისა და სიჩქარის გაზომვა, ატმოსფერული ნალექის აღრიცხვაც. ამიტომ რვა-რვა საათს ვმორიგეობდით, ღამღამობით სამიდან ორს ეძინა, ერთი კი ფხიზლობდა.

მეტად საინტერესო ადგილას ვცხოვრობდით, ცივილიზაციას თითქოს აქ ფეხი არც დაედგა. კონცხის თავთან, კლდეების

ნაპრალებში თოლიების ბაზარი იყო, დღე და ღამე ისმოდა მათი ყაშყაში, კივილი, ყეფა, წკმუტუნი, ვაი და ვუი... ზღვის სივრცეზე ხანდახან გაიწელებოდა ზღვის ლომების ჯოგი... უკუქცევის დროს, ქვაზე დაძინებული სელაპი ჩამორჩებოდა წყალს, უმწეოდ ფართხალებდა, ჩვენი ეგორ კუზმიჩი კი ნაჯახით ნადირობდა ამ უწყინარ და ლამაზ ცხოველზე, ქონს ადნობდა და ასხამდა უზარმაზარ იაპონურ ტივტივაში. ეს იყო დაახლოებით სამი ფუთის ტევადობის შუშის სფერო. ერთ ადგილას ნახვრეტის ჩატეხვა მოახერხა ბებერმა ეშმაკმა. ოღონდ მცდელობა გაუცუდდა. სეზონის ბოლოს გორაკიდან კენჭი ჩამოგორდა, შუშა გააპო და ეს ამდენი ნაჯახირევი ცხიმი ქვიშაში ჩაიღვარა. უწია საცოდავი პირუტყვების ცოდვამ!

თოლიების ბაზარი ვახსენე. კონცხზე სხვა ფრინველთ ისინი არ გააჭაჭანებდნენ, მაგრამ დანარჩენი სანაპირო ხანდახან ჭილყვავებით გადაშავდებოდა... ბაზასთან ერთადერთი კორიაკი ცხოვრობდა, ის იტყოდა ხოლმე, ან ფული რად მინდა, ან საჭმლის მარაგი. გავისვრი ჰაერში, ერთი საფანტიანი ჰილზით დუჟინ ფრინველს ჩამოვყრი, საუზმეც ის იქნება, სადილიც და ვახშამიცო.

გორაკის თავზე ხანდახან მგლის ყმუილი, ან მელიის წკავწკავი ისმოდა. ეს წუწკი მელიები ღამღამობით მოცუნცულდებოდნენ და სამზარეულოდან თევზს გვპარავდნენ. რამდენიმეჯერ დათვიც მობაჯბაჯდა. ნახვით არ მინახავს, მაგრამ დილდილობით კარვის ირგვლივ ქვიშაში ნაკვალევი ბლომად იყო. ამიტომ ღამის მორიგეობის დროს ფრთხილად ვიყავით. ერთ ხელში ბასრი ნაჯახი მეჭირა, უფრო საკუთარი თავის გასამხნევებლად, თორემ რომელი დათვის მომრევი მე ვიყავი. მეორე ხელში ისეთი ნათურა მქონდა, ას მეტრზე მინათებდა და ნაჯახზე უფრო ქმედით იარაღად მიმაჩნდა. ერთხელ, მესამე ჭოკისკენ რომ მივდიოდი, ბნელში ლოდზე რაღაც შეინძრა და წყალში მოადინა დგაფანი. რა თქმა უნდა, დათვზე ნაკლები არ მეგონა, თუმცა იქნებ სულაც სელაპი დავაფრთხე ჩემი ნათურით.

სტუდენტობის დროს ამ თემაზე მოთხრობაც კი დავწერე – „ძუ დათვი“, მივიტანე „საქართველოს ბუნებაში“, მომიწონეს კიდეც და დამიკარგეს კიდეც!

ყველაზე საინტერესო ზღვის წვრილფეხობა იყო. აქ ზაფხულის მიუხედავად საკმაოდ ციოდა. ტანზე მფრინავის ბეწვიანი კომბინეზონი მეცვა. ჩემი რვეულით და კალმით მზის გულზე უზარმაზარ ლოდზე გავწვებოდი. ზღვის უკან დახევის შემდეგ ლოდის ოღროჩოღროებში პაწია გუბურები რჩებოდა და იმ პატარა ხელისდადება გუბურაში უამრავი ჭია, ხოჭო, ზღვის ვარსკვლავი და რაგინდარა დაცოცავდა, ალბათ თავი ცალკე სახელმწიფოს მოქალაქეებად წარმოედგინათ.

ზაფხულმა აამწვანა მთის კალთები. ხევში ბოლომდე არ დამდნარა თოვლის ჯიშთი, მაგრამ ფერდობზე უამრავი ჯუჯა ფიჭვი, არყი და კენკრა ხარობდა... კედრის გირჩიდან მშვენიერი საკნატუნა ცვიოდა. ხავსზე გაწოლილ ლურჯ მოცვს იმდენი ნაყოფი ესხა, მთელი ფერდობი ცისფრად იყო დაწინწკლული. ნაყოფს პეშვით მივირთმევდი. ერთხელ იმდენი მოვაგროვე, „ღვინო“ დავაყენეთ, ოღონდ დუღილის დროს ბოთლი აგვიფეთქდა და მთელი კარავი შიგნიდან წითლად შეგვიღება.

ხანდახან აცივდებოდა, უწყვეტი წვიმები წამოვიდოდა. კარავშიც წვეთები ცვიოდა. ჩემს კომბინეზონში წყალი ვერ ატანდა. საძილე ტომარაც გარედან ბრეზენტისა მქონდა და იმათში ჩათბუნებულს, ეს წვეთები სულაც არ მაღელვებდა.

ხანმოკლე ზაფხული მალე მოთავდა. წვიმებმა მოუხშირა. ზღვის მღელვარებამ იმატა. ერთხელაც ტალღებმა კარვამდე მოაღწია. დავშალეთ და უფრო მაღლა, ფერდობზე გადავსახლდით... ადრიანი შემოდგომა აქ უკვე ზამთრის მაუწყებელია. იგორ კუზმიჩს საკმაოდ დაუგროვდა გამხმარი თევზიცა და ხიზილალაც... სელაპის ქონის ამბავი კი გაუცუდდა, მაგრამ ნაწილობრივ მოასწრო ზარალის ანაზღაურება.

ერთ დღეს თავზევით ვერტმფრენი აგუგუნდა, გაზეთები გადმოგვიყარა და მზად იყავითო, გვაცნობა.

მასალები შევკარით, მოვაწესრიგეთ. მალე ზღვის კიდეზე ჩვენი „ოხოტსკი“ წამოიმართა და ნაპირს რეზინის ნავი მოადგა... იქიდან კატარღაზე გადავბარგდით, კატარღიდან – გემზე...

გავუდექით გზას უკან, ვლადივოსტოკისაკენ. გემის წითელ კუთხეში კვლავაც „ადმირალ უშაკოვს“ გვიჩვენებდნენ...

43

კაი ორი წელი გავიდა, რაც ზუგდიდიდან წამოვედი. მთელი ამ ხნის მანძილზე ორად-ორი წერილი გავაგზავნე შინ. ჩემებმა იცოდნენ, რომ ცოცხალი ვიყავი და მეტი არაფერი. იმ ექსპედიციაში ერთი სომეხიც ერია, რომ დამინახავდა, „ზემლიაკო“, დამიძახებდა. ასეა! როცა შორსა ხარ წასული, ყველა კავკასიელი „ზემლიაკია“, ქართველი კი კრასნოიარსკის შემდეგ არავინ შემხვედრია და ისე მომენატრა შინ დაბრუნება, ახლობლების ნახვა და ქართულ-მეგრული ლაპარაკი, რომ ზურგი შევაქციე წყნარ ოკეანესაც და მის გაღმა მდებარე ამერიკასაც... კიდევ კარგი, კამჩატკაში ყოფნისას ხელფასი გვენახებოდა, ამიტომ იმდენი ავიღე, მინიმალურ ხარჯებს დამიფარავდა. უკვე თვრამეტისა გავხდი და სიცოცხლეში პირველად კაცს დავემსგავსე. ვიყიდე კოსტიუმი, რაც აქამდე არ მცმია, ტყავის ლამაზი ფეხსაცმელი და, რაც მთავარია, მატარებლის ბილეთი ვლადივოსტოკი-მოსკოვი-ინგირი.

იმ დროს მატარებელი ისე ნელა მოჩოჩავდა, ცოტაღა დააკლდა ერთ თვეს. ამ გზის აღწერას არ შევუდგები, რადგან ჩვეულებრივი პლაცკარტის ვაგონის ჩვეულებრივი მგზავრი ვიყავი. რუსეთის მქრქალი ზეცა და მისი უსასრულო სივრცეების ღია ფერები უკვე მღლიდა.

ქუჩის ბოლოდან ჩვენი სახლის წინ წამომართულ მსხალს რომ გავხედე, თვალებში თითქოს სიგრილე ჩამეღვარა. მუქი ლურჯი ცის ფონზე ფართოდ გაშლილიყო მსხლით დახუნძლული ვარჯი.

მეგონა, მოვისვენებდი, მაგრამ შინ დიდხანს არ დავრჩენილვარ. სოფლის ნათესავები მოვინახულე, მეგობრებთან ენა მოვიფხანე. ამათ საშუალო უკვე დაემთავრებინათ. ზოგი ჩემი თანაკლასელი უმაღლესშიც გამწესებულიყო, ზოგიც მუშაობდა. ჯუმბერი ზღვაზე, საკაბოტაჟე ბუქსირზე დაცურავდა. მე და გიგლა ფოთში წავედით მის მოსანახულებლად... თვითონ გიგლა სწავლაში გამორჩეული იყო, მათემატიკას ხომ სულ მის-

გან ვიწერდი, რატომღაც შეეშინდა თბილისში ბედი ეცადა და ის წელი გაუცდა. ორივე უსაქმურები ვიყავით, თანაც მე ატესტატიც არა მქონდა და ჩვენი ათასნაირი თამაშ-თამაშა მსჯელობიდან ის გამოდნა, რომ ვარჩიეთ, ჩვენს ასაკში არამი პურის ჭამას ჯობია სადმე ცოტათი წავიმუშავოთო... იქნებ მაშინ თავი ზედმეტად მომეჩვენა, რაღაცნაირი ოჯახური დისკონფორტი ვიგრძენი.

ასეც გადავწყვიტეთ! ერთ მშვენიერ დღეს, — ასე იწყება ყველა ახალი თავგადასავალი, —ყოველგვარი ფანტასტიკური ჩანაფიქრების გარეშე, სამუშაოს საძებრად სოჭისაკენ დავიძარით. იქ გიგლას ახლობლები ცხოვრობდნენ და იქნებ დაგვხმარებოდნენ კიდეც. ქვეშეცნეულად ალბათ ისიც გვიბიძგებდა, რომ ახალგაზრდული სისხლი გვიდუღდა, სოჭი კი მეტად მომხიბლავი ასპარეზი ჩანდა.

რამდენიმე დღე მართლაც შევრჩით იქაურობას. ზღვაზეც ვიბანავეთ, ქალაქში ვისეირნეთ. ერთხელ მაღაზიაში შევიხედე. მოლარე გოგონა მეტად ლამაზი მომეჩვენა და ალბათ ზედმეტი ცნობისმოყვარეობით დავაკვირდი. თითქოს მიწიდანო, ფხიზელი რაზმელები ამოძვრნენ, მტაცეს ხელი და შტაბში მიმიყვანეს. იმ მოლარეს თვალებს რას უჟუჟუნებდიო, ალბათ ალ-კაპონე ვეგონეთ. ლამაზი იყო და იმიტომ-მეთქი. პასპორტი შემიმოწმეს და მიბრძანეს, უფლება გაქვს სოჭში ერთი დღე სტუმრობდე, მერე კი აქედან უნდა აითესოო. ასე იყო, ჩვენს ყველაზე თავისუფალ ქვეყანაში ზუსტად უნდა გცოდნოდა, სად გაჩერდე და სად არა.

მეორე დღესვე გავემგზავრეთ კრასნოდარში. იქ სამუშაოს ძებნის ნაცად ხერხს მივმართე, კომკავშირის სამხარეო კომიტეტში შევყავი ცხვირი. გახარებულებმა უმალ გამოგვიწერეს კომკავშირული საგზურები და გაგვამგზავრეს სტანიცა პავლოვსკოეში, სადაც შაქრის ქარხანა შენდებოდა...

პირველი მძაფრი შტაბეჭდილება, სტანიცამ ჩვენზე რომ მოახდინა, ტალახი იყო. სიცხიანი ზუგდიდი რომ დავტოვეთ, წინდაუხედავად ხალვათად გვეცვა. ყავისფერი, ნაჩვრეტებიანი საზაფხულო ფეხსაცმლით თავს ვიწონებდი, მაგრამ ავტობუსიდან რომ ჩამოვედი, პირდაპირ შავ ტლაპოში ვდურთე. გიგლამ სიცილი დამაყარა, მაგრამ თვითონაც მოუწია ტლაპოში გატოპვა, რაკი მთელი ქუჩა შავად აგლესილიყო.

სიცილის წუთი მეც დამიდგა, როცა კადრების განყოფილებაში ვერაფრით გავაგებინე, რომ ჩემს ძმაკაცს ჰქვია „გიგლა“ და არა „კიკლა“.

თავდაპირველად კარგი ამინდი იდგა. სტანიცის ირგვლივ ფართო ველები გადაყვითლებულიყო. ტყის საცავ ზოლებში აუარებელი გარგარი და ჭერამი მწიფდებოდა. ერთი თვე კერძო ქოხში ბინად ვიდექით. დიასახლისს ძროხა ჰყავდა, კარგად იწველიდა და ყოველ დილა აბაზად თითო ლიტრ რძეს გვიდგამდა მაგიდაზე. მერე საერთო საცხოვრებელში გადავბარგდით, ხის გრძელ ბარაკში.

ჩვენს ბრიგადას ერქვა „რაზნორაბოჩების“, ესე იგი რაც კი უმადური და მცირეშემოსავლიანი საქმე გამოჩნდებოდა, სულ ჩვენი გასაკეთებელი იყო. საოცარია, რამდენი ადამიანი დაეხეტება დედამიწაზე, მთელი ცხოვრება ვერავითარ, თუნდაც უმცირეს ხელობასაც რომ ვერ სწავლობს. იქნებ იფიქრონ, ეს უნიჭობით მოსდგამთ და მათი ერთადერთი ხვედრი ბარ-ნიჩაბიაო. ჩვენს ბრიგადაში სხვადასხვა ასაკისანი ვიყავით, ქალებიცა და კაცებიც, მაგრამ უნიჭო და უვიცი არავინ იყო, საღადაც აზროვნებდნენ, ზოგი წიგნიერიც გვერია, მაგრამ ვინ იცის, ცხოვრება ვის რანაირად აეწყობა... ამასთან, ეს მარტივი და გულუბრყვილო სულები ინსტინქტურად ისწრაფვოდნენ რაღაც ამაღლებულისა და მშვენიერისაკენ, რასაც ეს დუხჭირი, მოუწყობელი ყოფა ვეღარ აძლევდათ.

ერთხელ, მცირე შესვენებისას, თხრილის ძირში, დაღლილი

ქალებით გარსშემოხვეულმა, მზეს მიფიცხებულმა, თვალები დავხუჭე და ხმადაბლა, ერთგვარი რიტმით დავიწყე მოყოლა იმისა, თუ როგორ გავედი სტანიციდან, რომ ჩემს წინ გვირილებით მოფენილი ველია, რომ უცებ საიდანღაც გამოჩნდა თეთრსამოსიანი ასული, თავზე გვირილების გვირგვინი ედგა, მხრებზე ჩალისფერი თმა ეფინა, თვალები ცასავით ლურჯი და ღრმა ჰქონდა, ტუჩები ალისფერი... მივედი, სახეში ჩავხედე და ხმადაბლა ვუთხარი – „მე შენ მიყვარხარ!“

თავზე ბრიგადირი წამოგვადგა და დაგვძახა, შესვენება დამთავრდაო. ქალებმა დაუსისინეს, ენა ჩააგდებინეს... მე კი წარმოსახულ ასულს ვითომ ბაგეზე ვეამბორე და თვალი გავახილე.

ამ მარტივმა, სახელდახელოდ შეთხზულმა ნოველამ მოხიბლა ქალები და მერეც არაერთხელ მთხოვდნენ მსგავსი რამ მოყევიო. ამათ არ აინტერესებდათ უჩვეულო ფათერაკები, საშინელებები და ცხოვრების უხეში რეალობანი, რასაც ისედაც ყოველდღე ხედავდნენ. ესენი იხიბლებოდნენ იმ ინტიმური ნიუანსებით, რაც ამაღლებულ სიყვარულს ახლავს, იმ მიუწვდომელი მშვენიერებით, რაც თითქოს არსებობს კიდეც, მაგრამ ვერა და ვერ მოგიხელთებია.

ხანდახან ვკამათობდით პოლიტიკაზე, ცხოვრების ავ-კარგზე. მე ნაკითხი და ბრიყვი, ისინი უწიგნურნი და ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულნი. მე წიგნის სქოლასტიკით შეიარაღებული, ისინი ცხოვრებისეული გამოცდილებით დაბრძენებულნი. მე ვჯაბნიდი მათ და ვგრძნობდი უპირატესობას. ისინიც გრძნობდნენ ჩემს უპირატესობას და თავს მიხრიდნენ. ესაა პარადოქსი ჩვენი არსებობისა, როცა არაჭეშმარიტი ჭეშმარიტზე ძლიერია, თუ მას თან ახლავს ფანატიზმი და თვითრწმენა.

ყინვიანი ზამთარი გადავიტანეთ. ციმბირის შემდეგ ვგონებ არც უნდა გამჭირვებოდა, მაგრამ ციმბირის ყინვაში ყველაფერი ქათქათებდა და ჰაერიც გამჭვირვალე იყო. აქ კი ყოველივე შავ ტალახში აგლესილიყო და თვალს არაფერი ახარებდა. ქარხნის რუხი კონსტრუქციები, ჟანგისფერი დანადგარები და ბეტონის ხსნარი... მძიმე შრომას გულსგადასაყოლებელი არაფერი მოსდევდა, გარდა წიგნისა და კინოსი, ანდა გოგონებისა, თუმცა ამასაც აკლდა ბედნიერების შეგრძნება, რაკი გავიდა დრო ბავშვური გატაცებებისა და ჭეშმარიტი სიყვარულის საგანი არსად მხვდებოდა, რაც მარტოობის უსიხარულო გრძნობას მიმძაფრებდა და ყოველი დღე და საათი დაკარგული მეჩვენებოდა.

პიესა დავწერე, ისიც ფანტასტიკური, კოსმოსზე და შორეულ გაფრენებზე, მისი გმირები პუშკინის სონეტებით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს... ხანდახან როსტოვში ჩავდიოდით. დიდი ქალაქი გვიზიდავდა და იქ, ლიტერატურული ჟურნალის რედაქციას ვაახლე ჩემი ხელნაწერი, თუმცა მერე თვითონვე არ მომეწონა და მოსაკითხად არც გამოვჩენილვარ... ერთხელ ბალეტზეც ვიყავით, „გედების ტბა“ ვნახეთ. დარბაზი გრძელი და ვიწრო, არასაბალეტო იყო, მაგრამ აღტაცების ის გრძნობა დღემდე შემრჩა.

გაზაფხულმა სტანიცა და მიმდებარე ველებიც გაალამაზა. ტალახს მაინც ვერ გადავურჩით, მაგრამ მიდამო ალუბლის ყვავილებით გადაჭრელდა.

გაზაფხული სიყვარულის დროა. მშენებლობაზე გოგონებით ავსილი მთელი მატარებელი ჩამოდგა. გამომწვევად ჭახჭახებდნენ და ჩვენც მხარს ვუბამდით, მაგრამ ყოველივე ეს გულს არ ეკარებოდა. ჩემი ფერია ციდან ჯერაც არ ჩამოფრენილიყო და ეს მხიარული, სულსწრაფი ახალგაზრდობა, ამწუთიერი სიამოვნების მეტს რომ არაფერს დაგიდევდათ, ვერ შემივსებდა სიცარიელეს... სულის ძახილს მოპასუხე არა ჰყავდა...

ამიტომაც ჩემს არსებობას კვლავ ფანტაზია კვებავდა, წარმოსახვას სულ სხვა განზომილებაში მივყავდი, ამ ტალახიან სტანიცაზე მაღლა ამიტაცებდა და ყოველდღიურ ბიწს გამაშორებდა.

თავი უკვე დაბერებულად ვიგრძენი. განსაკუთრებული ცხოვრებით უნდა მეცხოვრა და ვერ ვიცხოვრე. სიყმაწვილეშივე უნდა მომეხვეჭა სახელი და დიდება, სირბილს კი შევრჩი. გასაკვირი არ იქნებოდა, თუ ასაკოვანი კაცი უმაღლეს მწვერვალებს აიღებდა, გასაოცარი ის იქნებოდა, სიყმაწვილეშივე გამეკეთებინა ის, რასაც იშვიათად თუ ვინმე შეძლებს.

ეს წუხილი სულ სხვა ფიქრებში გადაიზარდა. ადამიანი ერთხელ იბადება. ამიტომ იგი დიად საქმეს უნდა შეეჭიდოს. აქ წაგება უფრო მოსალოდნელია, მაგრამ რისკი ვაჟკაცის საქმეა. მთავარია იდეა, მიმდევარი ყოველთვის დაიძებნება... ვიჯექი რუკასთან და სამყაროს გარდაქმნაზე ვზრუნავდი... კონსტიტუციის პროექტი შევადგინე, „სამხრეთის დიდი რესპუბლიკისა“. ეს უნდა ყოფილიყო უზარმაზარი ფედერაცია, რომელიც მოიცავდა აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთს, თვით ამიერკავკასიის საზღვრებამდე. ამ სუპერიმპერიის დედაქალაქი იქნებოდა ქაირო... ირანისა და თურქეთის გარდა, აქ შემოვიდოდა სამად-სამი რესპუბლიკა, არაბეთისა, ბანტუსი და სამხრეთ აფრიკისა... მოკლედ, დედამიწის ზურგზე მსგავსი აზრი არავის მოსვლია და, რაღა თქმა უნდა, მადლიერი კაცობრიობა სულ „ვაშას“ ძახილით შემეგებებოდა...

ამ ფიქრებსა და ჭმუნვაში ზაფხულიც გადაგორდა და ჩქარი შემოდგომაც დადგა. კვლავ დამწიფდა გარგარი და ჭერამი. სამხედრო კომისარიატიდან უწყებები გვაახლეს, ჯარში წასვლის დრომ მოგიწიათ და გაემზადეთო.

ჩვენი თანაკლასელი და ბავშვობის მეგობარი ჯამბულ გულუა ამ დროს ბაქოში ჯარში უკვე მსახურობდა და მე და გიგლამ გადავწყვიტეთ, ბარემ გვენახულებინა და დროც გაგვეტარებინაო. გიგლას მხიარული მოგზაურობა ეწადა, მე კი ჩემი იდუმალი ჩანაფიქრიც მამოძრავებდა.

ავიღეთ ხელფასი და ჩავედით ბაქოში...

46

ცივი და ქარიანი ქალაქი, ადრე რომ მახსოვდა, გამოცვლილიყო. ცაზე მზე კაშკაშებდა. ქუჩები მხიარულ ხალხს გაევსო, აივანზე ხალიჩები გადმოეფინათ და ყოველი მხრიდან აღმოსავლური მუსიკა ისმოდა. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს აღმოსავლურ ბაზარში ვართ, ანდა რაღაც სახალხო ზეიმიაო. შემდგომ სხვა დროსაც ვყოფილვარ ბაქოში, მაგრამ ხმათა და ფერთა სიუხვე მეტჯერ არ გამეორებულა.

ბევრი ვირბინეთ, დავიქანცეთ და ბოლოს ჩვენს ჯიბეს დაეტყო, უკან დაბრუნების დრო რომ დადგა. „მე არ ვბრუნდები!“ – მოკლედ მოვჭერი. მეგობარმა გამიგო, იცოდა, დიდი საქმისათვის რომ ვიყავი დაბადებული. ხელი ხელს დავუკარით და ის სტანიცაში გაბრუნდა. მოგვიანებით გავიგე, ფული არც იმას ეყო და გზა საბარგო მატარებლით გაიარა, სტანიცაში უმალ ჯარში უკრეს თავი და ვოლგისპირეთში წაიყვანეს, საიდანაც მრავალი წლის შემდეგ ინჟინრად დაბრუნდა.

მე კი სასაზღვრო ქალაქ ასტარასკენ მიმავალ მატარებელზე ავედი. ბილეთს, ცხადია, ბოლომდე არავინ მომცემდა, სადამდეც შემეძლებოდა, იქამდე ავიღე. ვფიქრობდი, ლენქორანს რომ მივაღწევ, იქიდან ტალიშის მთებით ირანს გადავალ-მეთქი. არ ვიცი, მთების გადალახვას როგორ მოვახერხებდი, მაგრამ ამჯერადაც ჩემმა სიღარიბემ მიმუხთლა. ვაგონის გამცილებელი მეტად ფხიზელი აღმოჩნდა და კუთხეში მიმიმწყვდია. ფული რომ მქონოდა, ალბათ თავს დამანებებდა, მაგრამ რაკი ჯიბეში კაპიკი არ მიჭყაოდა, აყვირდა, ქვეყანა შემიყარა. სწორედ ამ დროს მატარებელს მესაზღვრეთა რაზმი ამოწმებდა და წუთში იმათთან მიმათრიეს. როცა გაიგო, ქართველიაო, გამცილებელი საშინლად შეწუხდა, რატომ არ მითხარი, ბიჩო, ქართველი თუ იყავი. მე სომეხი მეგონე, თორემ ამათ როგორ ჩაგაბარებდიო. ამ სიტყვებისაც მადლობელი ვიყავი.

ჩამიყვანეს ასტარაში. დახურული მანქანა დამახვედრეს და სულ მალე აღმოვჩნდი ერთსართულიან კოტეჯში. გისოსებიან ოთახში გამომამწყვდიეს. მაიორი დამელაპარაკა. მისი წოდება მეპატარავა და არაფერი ვთქვი. პოლკოვნიკი მომიყვანეს. კუკუ-დამალობანას აზრი არა ჰქონდა და ირანში მივდიოდიმეთქი, ვამცნე. ასეც ვფიქრობდიო და გამეცალა. კვლავ ეს მაიორი შემრჩა.

არ იყო ცუდი კაცი, მამაშვილურად მელაპარაკებოდა. ვიღაც ჩასუქებული ძია მომიყვანა, თამბაქოს ახრჩოლებდა და უბის წიგნაკში გამალებით იწერდა რაღაცას. ეს კაცი მწერალიაო, ამიხსნა მაიორმა, მესაზღვრეებზე წერს წიგნებსო. რუსი იყო და მისი გვარი არსად გამეგონა. თავმოყვარეობამ მათქმევ-

ინა, მეც ვწერ რაღაცებს-მეთქი. იმან ყურიც არ გააპარტყუნა, ეტყობა, ჩემნაირ „მწერალს“ უამრავს შეხვედროდა.

მაიორი დაქოქილი იყო, ენამზეობდა. ირანში რომ ჩახვიდოდი, რას მოიმოქმედებდიო. შენ ხომ სხვანაირადა ხარ გაზრდილი და უმალ გაიყიდებოდიო. თუ დაგიჭირეს, ყველაფერს დაგაფქვევინებენო. რა მქონდა დასაფქვავი, მაგრამ მამაცურად ვუპასუხე, რომც მაწამონ, ვერაფერს წამომაცდევინებენ-მეთქი. თუ გინდათ სცადეთ და მაწამეთ-მეთქი. ვიცოდი, არ მაწამებდნენ, თორემ ჩვეულებრივი ბორმანქანისა სიკვდილივით მეშინია.

ეს დაკითხვა პირველი მოთელვა იყო, მეტი არაფერი. გამაყოლეს რამდენიმე შაშხანიანი ჯარისკაცი, ჩამსვეს მატარებელში და გამაგზავნეს უკან, ბაქოში.

47

საკანი საკმაოდ მოზრდილი ოთახია, ძირს პარკეტი აგია. კედლები ლურჯადაა შეღებილი, ჭერი – თეთრად. ერთი, გისოსებიანი სარკმელი აქვს, გარედან რკინის ფურცლითაა აჭედილი და ცის მცირე ნაფლეთიღა ჩანს. პატარა მაგიდა დგას, რკინის საწოლი და ტაბურეტი. რკინის კარის ჭუჭრუტანიდან ხანდახან ზედამხედველი იჭყიტება. დანახვით ვერ ვხედავ, მაგრამ ჩხაკუნი მესმის.

სარტყელი ამაცალეს, ფეხსაცმლის ზონარი, კალამიც არ შეიძლება, მჭრელი იარაღიაო.

დღეში სამჯერ კარზე სარკმელი გაიხსნება და ჩემს თალია საჭმელს მომაწვდიან. დილით ჩაი, პური, შუადღეზე წვნიანი და ფაფა, საღამოს ისევ ჩაი და პური.

დღის მანძილზე ნახევარსაათიანი სეირნობა მიწევს. შენობიდან ვიწრო დერეფნით გავყავართ. აქ პატარა, ოთხკუთხა ეზოა, მაღალი კედლებით შემოზღუდული. თავზევით ცა მოჩანს. წინ და უკან ბოლთას ვცემ და ცას ავხედავ, თან ვოცნებობ ზღაპრულ სასმისზე, დალევ და ფრენას ისწავლი. გაშლი მკლავებს და ცაში გაუჩინარდები, გაკვირვებისაგან ხომ პირს

დააღებენ შენი გუშაგები.

დღე გრძელია. წუთები ნელა მოძრაობს, ამ დროს ერთადერთი საზრდო ისევ და ისევ წიგნია. ციხის ბიბლიოთეკიდან მამარაგებენ. არჩევანის საშუალება არა მაქვს, რასაც მომიტანენ, ის უნდა ვიკითხო. ხანდახან გამიმართლებს, ნიზამის „ისკანდერ-ნამეს“ წავაწყდი, აკადემიურ გამოცემას რუსულ ენაზე, სხვა დროს კი მოაქვთ სქელტანიანი რომანები, რომელთა ყდაზე აწერია „ქვანახშირი“ ანდა „ფოლადი“. ასეთი წიგნები ხომ უამრავი იწერებოდა და შიგ ადამიანები კი არა, გმირებად ნახშირის მტვერი და გამდნარი რკინა თუხთუხებდა.

ჩემს გამომძიებელს ერქვა რასულ-ზადე. ერთი გავასქელი და პირმრგვალი კაცი იყო, წესიერების განსახიერება, ცოტა ქალურიც. წინ ქაღალდის დასტა ედო და დღეში ოთხი საათი ჩემი ნაბჟუტურევის ასო-ასო ჩაწერას უნდებოდა. დიდრონი, დახატული ასოებით ავსებდა გვერდს, გაეცანი და მოაწერეო, მეტყოდა. მშვიდად მისმენდა, იშვიათად ღიზიანდებოდა, ეს მაშინ, როცა ჭკუის სწავლებას მომინდომებდა, მე კი უხეშად ავუჯანყდებოდი.

მას, ალბათ, ათასი გიჟი ენახა, მაგრამ ჩემნაირი არა. მე რომ ჩემს საკანში „ისკანდერ-ნამეს“ ვკითხულობდი, თურმე უშიშროების უშიშარი ჩინოსანნი დროს უქმად არ კარგავდნენ. ჩაგრიალდნენ სტანიცაში, დაკითხეს მთელი ბრიგადა და მშენებლობის ხელმძღვანელები, რა თქმა უნდა, ჩემი მეგობარი გიგლაც. იმან, თურმე, პატარა კაცი არ გეგონოთ, მსოფლიო მოვლენააო, დაარეხვა და ჩემი დაწერილი „კონსტიტუცია“ უჩვენა. მეორე ჯგუფი ამ დროს ზუგდიდში ჩალიჩობდა, იქაური არანაკლებ მამაცი ჩეკისტები ფეხზე დააყენა და არათუ ჩემი, და-ძმების ოჯახებიც შეამოწმეს. ამოდენა მუშაობის შედეგი იყო ორი გვერდი ხელნაწერი, რომელსაც აახლეს მოკლე ანოტაცია, აქ ავტორი პარიზში თავის მოგზაურობის შესახებ ყვებაო.

„როდის იყავი პარიზში?“ – მკაცრად მეკითხება გამომძიებელი. შეკითხვის აზრი ჩემამდე გვიან დადის. ძლივს ვიხსენებ, რომ მე კი არა, ჩემი ფანტასტიკური რომანის პერსონაჟი იყო პარიზში, თანაც 2240 წელს. ჩემს გამომძიებელს ჰგონია, ევროპა ფეხით მაქვს მოვლილი და ამას ვუმალავ.

აქვე, ბაქოში, ჯამბულ გულუაც დაკითხეს, ასეთსა და ასეთს თუ იცნობო, იმანაც, ცხადია, ქებით ცაში ამიყვანა.

ერთი თვის მუშაობის შემდეგ რასულ-ზადემ ვერანაირი დასკვნა ვერ გამოიტანა და, რაკი თვითონ დარწმუნებული იყო, ნორმალური ჩინოვნიკი ვარო, ჩემს ნორმალურობაში შეიტანა ეჭვი. მომკიდეს ხელი, ჩამსვეს დახურულ მანქანაში, რომელშიც ჩემამდე მხოლოდ ქალაქის მხიარული ხმები აღწევდა.

მანქანიდან პირდაპირ კიბეზე შევდგი ფეხი და თავი შეურაცხადთა საავადმყოფოში ამოვყავი...

47

„შეურაცხადი“ რბილადაა ნათქვამი, რუსები „უმალიშონის“ ხმარობენ. ხალხი არას დაგიდევს ასეთ იწილო-ბიწილოს და ჩვეულებრივ ამ დაწესებულებას საგიჟეთს ეძახის. განაგონი მქონდა, ლოლა ბიცოლამაც ჩამოაღწია ერთ დროს ბაქოს ფსიქიატრიულშიო. თვითონ საავადმყოფო რას წარმოადგენდა, მე არ ვიცი, მაგრამ ჩვენი განყოფილება, ალბათ, სუკისა იყო და ციხისაგან არ განსხვავდებოდა.

ფართო ოთახში სამოცამდე საწოლი ეტეოდა. მას იქით ერთი ოცდაათადგილიანი ოთახიც იყო, გვერდით – უფრო პატარა, მძიმე ავადმყოფთათვის და სასადილოც. მძიმე ავადმყოფებში ერთი ერია, არაფერს არ ჭამდა და ეს იყო მისი დაავადება. ამაზე ამაზრზენი არა მინახავს რა, ცარიელი ჩონჩხი უფრო მიმზიდველი სანახავი იქნებოდა.

დანარჩენები ნორმალურ ადამიანებად მეჩვენებოდა.

სოფლელი კაცი გავიცანი. ფანჯრის რაფაზე ვიჯექით და დიდხანს ვისაუბრეთ. გავიფიქრე, ასეთ ნორმალურს აქ რა უნდა, ასე ხომ შეიძლება სულაც ჯანმრთელი ადამიანი გამოამწყვდიო და ავადმყოფად გამოაცხადო-მეთქი (ასეც არ იყო?). იმდენი მელაპარაკა, მართლაც საღი გონების პატრონად მივიჩნიე და უცებ დასძინა, აქედან თუ გავედი, სოფლის მაღაზია უნდა გავქურდოო. თურმე ეს ყოფილა მისი სიგიჟე, ეს ჰქონდა ამოჩემებული.

სიმულანტებიც იყვნენ. ღმერთმა უწყის, მართლაც სიმულანტობდნენ, თუ ტვინი ყირაზე ჰქონდათ. ერთს შვიდი წელი ელოდა და უკვე მეორე წელი სრულდებოდა, რაც გიჟს თამაშობდა. მე რომ მკითხონ, მერჩივნა შვიდი წელი ციხეში ვმჯდარიყავი, ვიდრე ორი წელი საგიჟეთში.

ყველაზე მეტად დამამახსოვრდა მავანი, თავისთავს აშოტ ჟელეზნი-კუკურუზნის რომ ეძახდა. იგი ცოტა მოგვიანებით მოიყვანეს. გაიღო კარი და ზღურბლზე წამოიმართა მაღალი და გამწლეული დონ კიხოტი, ზედმიწევნით ისეთი, როგორიც რუსულ ფილმში მენახა. პირი დავაღე. კეხიან ცხვირზე და ჩავარდნილ ლოყებზე რომ არაფერი ვთქვათ, წვერიც დონ კიხოტივით ჰქონდა დაყენებული. შემოვიდა და უმალ ქადაგად დავარდა:

— მოგესალმებით, მეგობრებო, მე აშოტ ჟელეზნი-კუკურუზნი! აშოტ ჟელეზნი სომეხთა მეფის აშოტის პატივსაცემად დავირქვი, ხოლო კუკურუზნი ჩემი მეგობრის – ნიკიტა ხრუშჩოვის.

მეგონა ანგლობდა, მაგრამ ისე სერიოზულად და დაჟინებით გვიმტკიცებდა, მისი გადარწმუნება შეუძლებელი იყო.

ამ აშოტს მსოფლიო პრობლემები აწუხებდა, სურდა ყველა ქალაქისათვის სახელი შეეცვალა. პეტერბურგს უსამართლოდ შეუცვალეს სახელიო, ქაქანებდა, მას თავისი სახელი უნდა აღუდგეს, სამაგიეროდ მოსკოვს უნდა დავარქვათ ლენინგრადიო, ბაქოს – აზიზბეკოვიო, ერევანს – შაუმიანიო... თბილისს რაღა დავარქვათ-მეთქი, შევეკითხე. დიდხანს იფიქრა და ბეჭედი დასვა: თბილისს არსენა უნდა დავარქვათო. ეტყობა მეხსიერებაში მეტი ქართული სახელი ვერ მოიძია.

აშოტის გამოჩენამ გაგვამხიარულა. კეთილი კაცი იყო, ცდილობდა ჩვენს გართობას და გამოსდიოდა კიდეც. ოღონდ ყოველთვის სამხიარულოდ როდი გვქონდა საქმე, ხანდახან მძვინვარე ავადმყოფი მოჰყავდათ. ანდა გუშინ ვიღაცა კრავივით წყნარი და უცოდველი რომ ჩანდა, დღეს გამძვინვარდებოდა და საშიში ხდებოდა. შემოცვივდებოდნენ გრენადერებივით კუნთებდაბერილი სანიტრები და ზეწრით გაქაჩავდნენ, რკინის საწოლზე ისე მიაბამდნენ, საბრალო ძვრასაც ვერ მოახერხებდა. მერე მოვიდოდა ექიმი, გაუკეთებდა ნემსს, ზოგი უმალ

გაისუსებოდა, ზოგი კი ყვიროდა. ერთი ასეთი დაბმული ვაჟკაცი რამდენიმე დღე და ღამე მთელი ძალით და ღონით ღმერთს უხმობდა: „ალაჰ! ალაჰ!..“ თავზარდამცემი იყო ამის მოსმენა. უფრო კი გულს ის მიკლავდა, იქნებ სულაც არ იყო გიჟი და გამკითხავი არავინ ჩანდა. სწორედ ამისი შემეშინდა, ამ უღმერთოებმა მართლაც გიჟად არ ჩამთვალონ-მეთქი. მართალია, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი უნდა გავმხდარიყავი, მაგრამ გიჟი მაშინ ვიქნებოდი, თავი უკვე ბელადად მიმეჩნია. ცხოვრებაში მილიარდიდან ერთი შანსი ყველასა აქვს. ჩემზე გიჟებიც ხომ გახდნენ პროლეტარიატის ბელადები. მათგან განსხვავებით, მე ადამიანს დასახვრეტად ვერ გავიმეტებდი...

ასე იყო თუ ისე, შეურაცხადად თუ ჩამთვლიდნენ, თავისუფლება და ნემსები არ ამცდებოდა, ჯანმრთელობის შემთხვევაში, საზღვრის დარღვევის მცდელობისათვის შეეძლოთ ერთიდან სამ წლამდე მოეკერებინათ. ჰოდა, გიჟის პასსპორტს ისევ ციხე ვარჩიე და ექიმ ქალს ვუთხარი: „მე ჯანმრთელი ვარ! ისიც ვიცი, ამის დამტკიცება როგორ შეიძლება! მე დაგიწერთ ნოველას შეურაცხადზე, რომელიც მოარჩინეს!“

მომცეს ქაღალდი და ფანქარი. საკმაოდ რიგიანი რუსულით დავწერე ამბავი იმაზე, ვაგონის კუპეში თუ როგორ შევხვდი ჩემს ძველ მეგობარს, რომელიც ადრე მძიმე ფორმის შიზოფრენიით იყო დაავადებული და თურმე განიკურნა.

ექიმმა წაიკითხა ჩემი ოპუსი და საბუთს დააწერა: „სავსებით ჯანმრთელია“.

მეორე დღესვე შემაბრუნეს ციხის საკანში. ერთხელაც დამკითხა რასულ-ზადემ. განცხადება დამაწერინა მთავრობის სახელზე, ასე და ასე, ამიერიდან დიადი საბჭოეთის საზღვრებს აღარ დავარღვევ, ვიზის გარეშე უცხოეთს არ გავემგზავრები (ვიზას კი ვინ სულელი მომცემს!), ოღონდ ახლა გამიშვით-მეთქი.

პასუხს ათიოდე დღე ველოდე და მართლაც გამათავისუფლეს. ბილეთი მომცეს სტანიცა პავლოვსკოემდე, თან ცნობა გამატანეს, ჯარში წასვლა იმიტომ დააგვიანდა, ბაქოში უშიშროებამ დააკავაო. რაზე და რისთვის, შიგ არ ეწერა, მაგრამ კომისარიატს ჩავაბარე და პასუხი არავის მოუთხოვია. ეგ იყო, გიგლასთან ერთ ნაკადში ვერ მოვხვდი, მე ბოლო ნაკადს მიმაყოლეს...

48

სტანიცა დაცარიელებული დამხვდა. ვისაც ახლოს ვიცნობდი, ჯარში წაეყვანათ. თანამდებობის პირნი კი თითქოს გამირბოდნენ. სამუშაოზე ვერ დავბრუნდებოდი, დრო არა მრჩებოდა. ფული კვლავაც არ მქონდა და ერთადერთი გზა ისღა დამრჩენოდა, ჯარში წავსულიყავი. ამგვარად განვაწყე ჩემი თავი, რაც მოსახდენი იყო, მოხდა! რაკი ასეა სავალდებულო, ასე სჭირდება ბალტიიდან წყნარ ოკეანემდე გადაჭიმულ დიად სამშობლოს, ვალდებული ვარ ეს სამი წელი ვიმსახურო... დეზერტირობას ვერ ვიკადრებ!

მივედი კომისარიატში, ჩავაბარე ცნობა, აი, ამის გამო დავაგვიანე-მეთქი. ხვალვე გავდივართო – მითხრეს. „ხვალ“ რომ მივედი, „ზეგო“... ასე შეგვკრიბეს ორ-სამჯერ. ყოველ შეკრებაზე ჯარში წამსვლელებს უამრავი გამცილებელი მოჰყვებოდა, დედიკოები და მამიკოები, დები და ძმები, შეყვარებულებიც, რა თქმა უნდა... მოჰქონდათ არაყი და სანოვაგე, ფულებსაც ჩუქნიდნენ... ერთადერთი უცხო ფრინველი მე ვიყავი, არარუსი, უთვისტომო... ღობეს მიყრდნობილი ვიდექი ჩემთვის და კუჭი მეწვოდა.

ბოლო დღეს მოხუცებული ქალი მოფლატუნდა, ფეხებს ძლივს მოადგამდა. ამომხედა და მითხრა:

— შვილო, მე აქვე ვცხოვრობ! სარკმლიდან ვიხედები და ვხედავ, რომ შენ არავინ გაცილებს! დედაშვილობას, მე გაგაცილებ! აგერ, საგზალი გაგიმზადე, ნუ მიწყენ, მეტი არაფერი მქონდა! – პირჯვარი გადამსახა და წავიდა, თან გაზეთში შეხვეული რაღაც დამიტოვა.

უკვე ვაგონში გავხსენი. მოხარშული დედალი იყო, მუნდირში მოხარშული კარტოფილი, ხორციანი ღვეზელები, მარილიც არ დავიწყებოდა... ახლაც მახსოვს იმ დედაბრის სათნო პირისახე. მისი არც სახელი ვიცი და არც გვარი. ღმერთო მაპატიე და იმ ასაკში იყო, ახლა ცოცხალი აღარ იქნება, მაგრამ ის მცირედი სიკეთე ჩემთვის აუწონავია და აგერ წლობით მათბობს.

ბიჭებს იმდენი ხორაგი მოჰქონდათ, მშიერს ვინ დამტოვებდა, მაგრამ რაკი მეც „გამაცილეს“ და „საგზალიც“ მქონდა, თავს დაჩაგრულად არ ვგრძნობდი.

თითქმის ორი კვირა მივემგზავრებოდით და ბოლოს დასავლეთ უკრაინაში აღმოვჩნდით, ტერნოპოლის ოლქის ქალაქ ჩორტკოვში.

49

მომცრო ქალაქი იყო. გორაკზე გადმომდგარი შენობებიდან ორი გამოირჩეოდა. ერთი იყო კათოლიკური კოსტელი, წითელი აგურის ცად-ატყორცნილი ტაძარი, მისი შპილი თითქოს განასახიერებდა ზესწრაფვას, ციურ ლტოლვას, ღმერთთან მიახლოების წადილს.

მეორე, გამორჩეული შენობა სწორედ ჩვენი იყო. გასაკვირიც კია, ეს ლურჯი სახლი, რაიც ალბათ კონსერვატორიისათვის ან თუნდაც ინსტიტუტისათვის უფრო შესაფერი იქნებოდა, სამხედრო ნაწილს ჩაეგდო ხელთ. თუმცა ჩვენი ნაწილი მთლად ჩვეულებრივი არ გახლდათ. ის სამხედრო სასწავლებელი იყო და დიდის გულმოდგინებით გვასწავლიდნენ ელექტროტექნიკას, უფრო სწორად თვითმფრინავის ელექტრო აღჭურვილობას. ქალაქის განაპირას პატარა აეროდრომიც გვქონდა, სადაც რამდენიმე ჩამოწერილი თვითმფრინავი გვეყენა. მათზე კი დამონტაჟებული იყო მოძველებული აპარატურა, უცხო დაზვერვას იოტისოდენაც რომ არ დააინტერესებდა.

დასაძინებლად გამოგვიყვეს ჩვეულებრივი, მაღალჭერიანი, პარკეტიანი ოთახი, ორიარუსიანი საწოლებით. იმის წყალობით ერთ ოთახში მთელი ოცეული ეტეოდა. მე ზედა იარუსზე ვიძინებდი. მომცრო კარადა ფერხთით მედგა. ღამით იმასთან უნდა დამეწყო ჩექმები და ფეხსახვევები, ზედ კარადაზე კი კოხტად დაკეცილი ფარაჯა და გალიფე. ყველაფერი ისე იყო გაანგარიშებული, დილით ექვსს რომ თხუთმეტი წუთი დააკლდებოდა, არც ადრე და არც გვიან, მორიგე იღრიალებდა: „პოდი-ო-ომ!“ და ჩემი იარუსიდან მოვფრინავდი, შარვლის

ტოტებს ფეხს ჰაერშივე გავუყრიდი. სახვევიც კოხტად უნდა მქონოდა ფეხზე შემოხვეული და ჩექმებიც ზუსტად მორგებული. ამას სულ თხუთმეტი-ოცი წამი სჭირდებოდა. თუ ოდნავ დავაგვიანებდით, უკანვე შეგვაბრუნებდნენ, ლოგინში ჩაგვაწვენდნენ და კვლავ ისმოდა – „პოდიო-ო-ომ!“

ზაფხულსა და ზამთარში მაისურისამარა ჩაგვიყვანდნენ ეზოში, „სირბილით ია-აარ!“ და თოხარიკი ცხენებივით გავჭენდებოდით.

აქოშინებულებს ნახევარი საათი გვრჩებოდა პირის გასაპარსად, დასაბანად, მოსაწესრიგებლად.

მომდევნო ნახევარი საათი პოლიტგანათლებას ეთმობოდა. დილითვე თუ არ გავნათლდებოდით და არ შევიტყობდით სოციალიზმის უპირატესობის ამბავს, საღამომდე ვინ იცის, ტვინში რა ეშმაკი ჩაგვიჯდებოდა.

ოცეულის მეთაური უფროსი ლეიტენანტი იყო. რატომღაც კეთილი თვალით გადმომხედა და სხვებთან შედარებით ნაკლებ მაწვალებდა. პირზე აირწინაღაფარებულნი რომ დავრბოდით, სული მეხუთებოდა, ამიტომ აირწინაღში ლოყასთან თითს შევიყოფდი და ჰაერს შევუშვებდი. ამ ჩემს ეშმაკობას თვალს აარიდებდა, სხვებს კი დიდხანს მოძღვრავდა, ან სასჯელს რამეს დაადებდა. არ ვიცი, ქართველობა მოსწონდა ჩემი თუ უღონობის გამო ვებრალებოდი. ისე, მთელ ნაწილში ერთადერთი ქართველი მე ვიყავი.

შეამჩნიეს, რომ ხშირ-ხშირად ქაღალდებში ვიქექებოდი, თავისუფალ დროს რაღაცას ვწერდი და უმალ კედლის გაზეთი ამკიდეს, თანაც აგიტატორად დამნიშნეს. კედლის გაზეთი ყოველთვის მეჯავრებოდა. პირველი, ბითურული ნომრის შემდეგ თავიდან მოვიშორე. აგიტატორობა კი დიდი შეღავათი იყო. იატაკის რეცხვისა და სხვა შავი სამუშაოსაგან თავისუფალი გახლდით. მსოფლიოს ამბებში ისედაც ცხვირი ყოველთვის მქონდა ჩაყოფილი და დილით პოლიტგანათლებისთვის განკუთვნილ ნახევარ საათში ისე ჩამოვკაკლავდი ყველაფერს, გაზეთების წაკითხვა არც სჭირდებოდათ. ოღონდაც, ლენინის აზრით, მთავარი იყო აღრიცხვა, რაც იქამდე დავიდა, რომ საქმე

არცაა მთავარი, მე კი სწორედ აღრიცხვაში, ესე იგი საკუთარი ღვაწლის გაბუქებაში მოვიკოჭლებდი.

ამოდენა შენობაში სასადილო არ გვქონდა. დღეში სამჯერ დავეწყობოდით და რიხიანი სიმღერით, ქირზის ჩექმების ბრაგაბრუგით გავივლიდით მთელ ქალაქს და სადღაც გარეუბნის სასადილოში ვსადილობდით... ეს იყო ჩვენი გასეირნებაც... კარანტინიაო და სხვა დროს გარეთ ცხვირს არ გვაყოფინებდნენ.

სამაგიეროდ რვა საათი უნდა გვემეცადინა, მერე თვითმეცადინეობაც გაგვეგრძელებინა და მხოლოდ დღის ბოლოს გვრჩებოდა ერთი ან ორი საათი პირადი საქმეებისათვის. ჩემი პირადი საქმე ან კითხვა იყო ან წერა. უკვე არც მახსოვს, რას ვწერდი. ერთხელ საკმაოდ გრძელი პროზაული ლექსი მოვაქიჩმაჩე, რაღაც გორკის „სიმღერა შევარდენზეს“ მაგვარი და „ოგონიოკში“ გავაგზავნე, პასუხად კი გულისამაჩუყებელი ლოცვა-კურთხევა და დაბეჭდვაზე უარი მომივიდა.

ზამთრის სამხედრო მანევრებზე გაგვიყვანეს. ძუნძულით ვირბინეთ ათი კილომეტრი, მერე თოვლიან გორაკზე გავიშალენით და ცეცხლი დავუშინეთ არარსებულ მტერს. რამდენიმე დღე გრძელდებოდა ეს თამაშობანი. ერთი ოფიცერი ტრაბახობდა, სამი წლის წინ უნგრეთში ვიყავიო, ტანკებით გავაბრტყელეთ მთელი ქვეყანაო. გასაკვირი არაფერი იყო, იქ ხომ სოციალიზმის მტრები აჯანყდნენ და მუშათა კლასს კინაღამ წაართვეს ხელისუფლება. ოღონდ ამ კაცის მოსმენა მაინც არ მსიამოვნებდა. რაკი სოციალიზმი კარგია, ყველას უნდა უნდოდეს, თუ არ უნდა, ძალით რატომ მოვახვიოთ თავს-მეთქი. ოქროვერცხლითაც რომ ამავსო, თუ არ მინდა, არ მინდა და ესაა.

ნაწილის უფროსის მოადგილე პოლკოვნიკი იყო. ისეთი მრისხანე ვიღაცა, ჯარისკაცებს ახლო გავლისაც გვეშინოდა. უკვე რამდენი თვე გავიდა, ჩვენ კი ქალაქში არც გაგვისეირნია. ერთხელ სადილზე მარშით რომ მივდიოდით, თვალი კინოაფიშას მოვკარი, „მაია წყნეთელი“ ეწერა. ისე მომინდა კინოში წასვლა, თავზევით ძალა არ იყო. მივუკაკუნე იმ კაციჭამიას კარს. „Да, да!„ – გამომძახა. წესების დაცვით შევედი, სულ ლანჩების ბრაგუნით, ფეხი ფეხს მივარტყი, მხედრული სალმით მივესალმე და ყოჩაღად შევძახე: „ნება მომეცით, მოგმართოთ!“ „გისმენთ!“– ცოტა გაკვირვებული ჩანდა ამ სითამამით. ასე და ასე, ქალაქში ქართული ფილმი გადის, ჩემთვის მისი ნახვა ისეთი საქმეა, თითქოს შვებულებაში გაგეშვით, საქართველოში-მეთქი. იმწამსვე გამომიწერა საშვი და გამომიწოდა. იმ საშვს ბარე ათი სხვა ჯარისკაცის გვარიც მივაწერეთ და ქალაქში გავედით. მე მართლაც კინოში, სხვები საეშმაკოდ, ზოგს არაყი უნდოდა, ზოგს გოგოებთან ღლაბუცი.

ასე, თითქმის უკონფლიქტოდ მიდიოდა ეს მოსაწყენი სამსახური. იყო, რა თქმა უნდა, წვრილი შეჯახებებიც, ამბოხიც, სასჯელიც. მაგრამ ისეთი არაფერი, აქ მოსაყოლად რომ ღირდეს. ისღა მედარდებოდა, დროს რომ ვკარგავდი, ვბერდებოდი, მაგრამ დეზერტირობა ზნეობრივი მოტივის გამო არ შემეძლო. ამასობაში კი კაცობრიობა ჩემი დახმარების გარეშე პირდაპირ გმინავდა.

ცხრა თვის სამსახურის თავზე, როცა უკვე შევეგუე აზრს, რომ სამი წელი ფარაჯას ვერ გავიხდიდი, ჩვენმა მკაცრმა ზემდეგმა, კარგად მოსუქებულ, გატიკნულ ღორს რომ ჰგავდა, შემომცინა და მითხრა: „ახალი ამბავი თუ გაიგე, დღეს შინ მიდიხარ!“ მეგონა, დამცინოდა. ნასაუზმევს გამომიძახეს იმ მკაცრ პოლკოვნიკთან. ცომივით რბილად დამხვდა, ხელი ჩამომართვა და გამზადებული საბუთები გამომიწოდა, თან ის ცნობაც მოაყოლა, ბაქოში რომ მომცეს და მრავალმნიშვნელოვნად მირჩია, ეს ქაღალდი არსად დაკარგოო.

მივხვდი, რაშიც იყო საქმე. იმ დროს ნიკიტა ხრუშჩოვმა გადაწყვიტა ჯარი მილიონ ორასი ათასი კაცით შეემცირებინა. ჩვენს ნაწილს ეს არ ეხებოდა, მაგრამ ნაწილის სარდლობამ აუტკივარი თავი რად ავიტკიოთო და მე, როგორც საეჭვო პიროვნება, თავიდან მომიშორეს. ცოტათი შეურაცხყოფილი კი ვიყავი ასეთი უნდობლობის გამო, მაგრამ ძალიან დავღონდიო რომ ვთქვა, არავინ დამიჯერებს.

ჩემი ნაკლებ იღბლიანი თანამებრძოლები დააწყვეს, ჩამოვუარე, სათითაოდ ხელი ჩამოვართვი. უფროსმა ლეიტენანტმა სადგურამდე გამაცილა. შინაურულად ვისაუბრეთ. სულაც არ

ყოფილა მკაცრი კაცი. ერთი ბოთლი არაყი ვიყიდე, დავსხედით. მე ასი გრამი დავლიე, იმან დანარჩენი. მომხიბლავი გეგმაც დავაწყვეთ იმაზე, თუ როგორ ჩამოვიდოდა იგი სტუმრად საქართველოში, მაგრამ ეს უკვე ფუჭი ლაპარაკი იყო, რადგან იმ დროს თვითონ არ ვიცოდი, სად აღმოვჩნდებოდი.

50

შინ დაბრუნება ექსკურსიად გადავაქციე. ერთი დღე ტერნოპოლში დავრჩი, კიდევ ერთი დღე კიევში, ერთიც ხარკოვში. აქ ტარასის ძეგლი ვნახე. ახალგაცნობილ გოგონასთან კინოში შევეხეტე. ერთი ნახვით შევუყვარდი, მაგრამ რომ გაიგო, გზას ვადექი, გული უცბად გაუცივდა. ერთი დღეც როსტოვში დავყავი. ტანზე საკმაოდ შელახული „ბუშლატი“ მეცვა და სამხედრო პატრული მაჩერებდა...

ასე ჩამოვაღწიე ზუგდიდამდე. ჯარიდან ასე უცაბედი დაბრუნება ვის არ გაახარებდა. გიგლა ჯერ ვოლგისპირეთში მსახურობდა, ჯუმბერი და ჯამბული ბაქოში. ჩემი თანაკლასელები, ზოგი სტუდენტი იყო, ზოგიც მუშაობდა... კარგის მეტს ვინ რას მეტყოდა, მაგრამ ჩემი უმაქნისობა მაწუხებდა, არავის ვჭირდებოდი და ჩემს გაღატაკებულ ოჯახს კისერზე ვაწექი.

ტანზე გამოსაცვლელიც არა მქონდა და იმ ჩემი ჯარისკაცული ფორმით დავდიოდი. ზაფხული იდგა, თბილი ბუშლატი და ყურებიანი ქუდი დავაგდე, მაგრამ ფარაჯა და მისთანანი კარგა ხანს ვატარე.

ავწონ-დავწონე ჩემი მდგომარეობა. მეოცე წელს გადავაბიჯე. პროფესია მე არა მაქვს, სკოლაც კი არ დამიმთავრებია, მეცხრე კლასის შემდეგ ნაბიჯიც ვერ გადავდგი. ჩემი ფანტასტიკური რომანები, ზოგი დამეკარგა, ზოგი თაგვმა შემიჭამა, სხვა არავის სჭირდება. მოკლედ, ამ მოსაწყენ ქალაქში მე არავის ვჭირდები, ირგვლივ არც მეგობრებია და ჩემიც არავის ესმის.

გადავწყვიტე შორს არ გადავიკარგო, ჩავუღრმავდე მშობლიურ ენას, დავწერო წიგნები... რაც არ უნდა ვირბინო, მაინც

ნულიდან მომიწევს იმ საქმის დაწყება, რისთვისაც უფალმა გამაჩინა.

მივიხედ-მოვიხედე. მაშინ გაზეთები წერდნენ, კომკავშირული დამკვრელური მშენებლობაა, აგერ, ა, ყურისძირში, ჭიათურის ზევით, დარკვეთშიო.

ავდექი და მივაშურე ახალ დარკვეთს.

მარგანეცის გამამდიდრებელი ფაბრიკა შენდებოდა ყვირილის პირას. თვითონ სოფელი მაღლაა ზეგანზე. იქ მაღარო გამოდიოდა. იქვე კორპუსი აეგოთ მაღაროელთათვის, საშხაპე, სასადილო და მისთანანი. ლიანდაგი გამოჰყავდათ მაღაროდან ფერდობის კიდემდე, იქიდან კი ფაბრიკამდე საბაგიროს აკეთებდნენ. შორიახლო უკვე იდგა საერთო საცხოვრებლის კორპუსი. უკვე მივეჩვიე საერთო საცხოვრებლებს, ბრიგადულ ცხოვრებას. ხან ვის ეძინა მეზობელ საწოლზე, ხან ვის. ადამიანებს იოლად ვეგუებოდი და არავინ მაღიზიანებდა.

ერთი სომეხი დამამახსოვრდა. დერეფნის ბოლოს პატარა ოთახი ეჭირა მარტოს. ჩვენს ბრიგადაში მუშაობდა, თუმცა იმ ასაკისა იყო, არც უნდა ემუშავა. ჭირვეულზე ჭირვეული ბუნება ჰქონდა, ჭიჭყინა, ინტრიგანი, უხასიათო... არც საქმე გამოსდიოდა ხელიდან და კრიჟანგი კი ისეთი იყო, მოლიერის სკაპენს შეშურდებოდა. ბედი მაქვს ასეთებზე, ყველაზე უცნაურ და მძიმე ბუნების ადამიანებს ვუახლოვდები. არ ვიცი, რითი მოვიგე მისი გული, მაგრამ ჩაიზე დამპატიჟა. გულისამაჩუყებელი სანახავი კი იყო, მაგიდას რანაირად შლიდა. ყველი დაეჭრა პატარა კუბიკებად, ნარდის კამათლის ზომისა და კოხტად ჩამოემწკრივებინა. ძალიან ვცდილობდი ასეთი ორი კამათელი ერთად არ გადამეყლაპა და კეთილი მასპინძელი დიდად არ დამეზარალებინა. რა გულსატკენია, როცა ადამიანი მარტოდმარტო რჩება თავის სიბერესთან და გამხდარი, ბებრუული ხელებით კვლავ დაჰკანკალებს იმ ერთ ციცქნა სარჩოს, რისი მოპოვება ჯერ კიდევ შეუძლია... ხვალ ამასაც ვერ შეძლებს, ჩვენი ფარისევლური საზოგადოება კი, რომელიც ვითომ ყველაზე ზრუნავს, თვალს დახუჭავს და ფეხებზე დაიკიდებს... ვინ იცის, რა სიმწარეში და მარტოობაში ამოხდება სული!

ერთი რუსი დამიახლოვდა, გვარად სუვოროვი. სადღაც კემეროვოს მიდამოებიდან იყო ჩამოხეტებული. ლოთობდა, სიფათითაც ლოთსა ჰგავდა. გულს უჩიოდა და მეშინოდა, სამშობლოდან ასე შორს არ გათავდეს-მეთქი. ერთხელ სამუშაოდან დავბრუნდი. ჩაიდანთან სავსე ჭიქა იდგა. ამ ჩაიდნით წყაროს წყალი მოგვქონდა. დასიცხული ვიყავი და ის ჭიქა სულმოუთქმელად დავცალე. თურმე არაყი ყოფილა. მე ჩემი დამემართა, სუვოროვმა და მისმა სტუმარმა კი სიცილი დამაყარეს. ბუნებით პოეტი იყო, ესენინი და უამრავი სხვა პოეტი ზეპირად იცოდა. ხშირად დავეხეტებოდით ახლო გორაკებზე, ხეობებში. ლექსებით მელაპარაკებოდა. მე კი ხანდახან ოცნებაში გადავიჭრებოდი. ერთხელ ქვიან ხეობაში მზეს მიფიცხებულნი ვსაუბრობდით. ოცნებით ჩავილაპარაკე, ამ წყალს რომ ავუყვეთ და კავკასიონი გადავლახოთ-მეთქი. გაღიზიანდა, სულ ვლაპარაკობთ, საქმით კი არაფრის გამკეთებლები არა ვართო. სწორიც იყო, მაგრამ გულზე მომხვდა.

ბრიგადაში ერთი ძველი ტროცკისტი გვყავდა, ცალთვალა კაცი. ათი წელი იჯდა ტროცკისტობის გამო. ასეთი ვინმე ჩემთვის აღმოჩენა იყო, რადგან ტროცკისტებზე მხოლოდ წიგნში ამომეკითხა და ჩემს ცნობიერებაში კანიბალზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. ეს კაცი კი სიკეთის განსახიერება გახლდათ. საგზალი მოჰქონდა შინიდან და მიმასპინძლდებოდა, რამდენჯერმე შინაც მიმიპატიჟა.

სოფელი მომწონდა. ღვთით კურთხეული წყაროები მოდიოდა. მაჯისსიმსხო მილებიდან მოთქლიშინებდა სუფთაზე სუფთა, ცივზე ცივი წყალი, იმის დალევას არაფერი ჯობდა. გოგონებიც თვალსახიერნი იყვნენ, ტყუილად როდი შეთხზულა სიმღერა დარკვეთელ ქალზე...

ჩუმ-ჩუმად ვწერდი კვლავაც რაღაც კოსმიურს. კანტორაში ჩავიდოდი ხოლმე. იქ ჯაბახანა საბეჭდი მანქანა იდგა და საჩვენებელი თითით ვუჩხაკუნებდი. ერთხელ ჩვენი კოხტაპრუწა ინჟინერი შემოვიდა. ახალი კადრი იყო და ზრდილობის გაკვეთილებს გვიტარებდა. დამადგა თავზე და ერთი წინადადება წაიკითხა. მერე ისე შემომხედა, როგორც გიჟს შეხედავენ

სიბრალულით და მკითხა, ნუთუ აპირებ ვინმეს წააკითხოო. ჩამომიბნელდა, მაგრამ პასუხი არ მიმიცია. წაკითხვით კი ვის წავაკითხებდი, ის ხელნაწერი სხვებთან ერთად ჩემი სახლის სხვენზე თაგვებმა დახრეს.

რაკი ზუგდიდიდან შორს არ ვიყავი, ხანდახან შინ ჩავდიოდი, ჩემებს მოვინახულებდი და ისევ ჭიათურაში მივბრუნდებოდი. ერთხელ ფული გამომელია, არც ავანსის იმედი მქონდა, არც ვინმესგან სესხებისა. ჩამოვეკიდე საგარეუბნო „ელექტრიჩკას“, ჭიათურიდან სოხუმამდე რომ დადიოდა. ინგირიდან შინისაკენ ფეხით წავჩანჩალდი. ზაფხული იყო, ცხელოდა. ძლივს მოვაღწიე, მაგრამ დახე ბედის უკუღმართობას, სულიერი არავინ დამხვდა. განჯინაში პურის ფინჩხიც არაა, ფულზე ლაპარაკიც ზედმეტია. არც ბოსტანშია რამე და არც ხეს ასხია ხილი. მოკლედ, არ ვიცი ჩემები სად გადაიხვეწნენ, მშია, ფული არა მაქვს, მეზობლების შეწუხებას კი ვერ ვკადრულობ.

დაღონებული გავბრუნდი. „ელექტრიჩკა“ სოხუმიდან რომ მობრუნდებოდა, იმას უნდა გავყოლოდი. ქუჩიდან რომ გადავუხვიე, გზაზე მანეთიანი ვიპოვე. ხომ არ ამაშენებდა, მაგრამ ცარიელ ჯიბეს სჯობდა. გავიარე ორასიოდე მეტრი და სამმანეთიანი დამხვდა. ღმერთს მადლობა შევწირე, გუნება გამომიკეთდა. პურისთვის მაინც მეყოფოდა... ინგირის შარას დავადექი. გზის პირას ფართო თხრილი გასდევს, ქარს მშრალი ნეშო ჩაუხვეტია და იმ ნეშოს სიყვითლეში წითელმა თუმნიანმა გამოანათა. მაშინ დავრწმუნდი, ბედი მწყალობდა. თოთხმეტი მანეთი იმ წუთისათვის კარგი ფული იყო და მომჭირნედ თუ დავხარჯავდი, ხელფასამდე კიდეც ვიმყოფინებდი.

დამთავრდა ზაფხულიც და შემოდგომაც იწურებოდა. ფაბრიკა შენდებოდა, მაგრამ გული მთლად ავიყარე და, ალბათ, დიდხანს ვერ გავძლებდი. ისევ და ისევ ჩამესმოდა შორეული ხმები. ჩემი ზღაპრეთი მიხმობდა და ვიცოდი, მოწყენილობისაგან აქ ჩავკვდებოდი.

ვფიქრობდი კიდეც, ცხოვრების ბოლომდე რაღა დამრჩენია-მეთქი. დრო მიდის და ასე უღიმღამოდ გასრულდება ჩემთვის განკუთვნილი ჟამი არსებობისა.

განცხადება დავწერე სამმართველოს უფროსის სახელზე. „სად მიდიხარო!“– არ მიშვებდა. იმას მუშახელი სჭირდებოდა. „ყველა ადამიანი უკეთეს გზას ეძებს, მეც მინდა ბედს ვეწიო!“ – ასე ვუპასუხე. იფიქრა, სასწავლებლად თუ მიისწრაფისო და რეზოლუცია დამიდო.

დავტოვე ახალი დარკვეთი. ჯიბეში იმდენი ფული მედო, საქართველოსაც დამატოვებინებდა, შემდეგ კი ღმერთმა უწყოდა, ბედი საითკენ მომისროდა...

51

კიევში წასვლა ვარჩიე. იქიდან ოდესაში ჩავიდოდი და გემით უცხოეთს გავიპარებოდი. ოღონდ კიევში ჩასულს მარადი სენი – უფულობა შემეყარა. საქართველოში თბილოდა, აქ კი მკაცრი ზამთარი დამხვდა და კრეშჩატიკი ისე მშვენიერი არ მომეჩვენა. ღამეს სადგურში ვათევდი, ოღონდ ეს დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. რაღაც უნდა მეღონა. ერთგან კარზე „პროფკავშირებიო“ წავიკითხე. ვიფიქრე, მთელი ცხოვრება ხომ საწევროს ვიხდი, იქნებ შიმშილით არ მომკლან-მეთქი. ახალგაზრდა ინსტრუქტორი დამხვდა. „ეჰ, ძმობილო, კიევში შენ სამუშაოს ვერ იშოვი, არავინ ჩაგწერსო!“ – ამიხსნა. ცოტათი მე კი გიშველი, მაგრამ თავს თუ არ მიხედე, დაიღუპებიო. სათანადო ქაღალდები შეავსო და ორმოცი მანეთი გამომიწერა. ჩემი პროფკავშირული ბილეთი გახსნა. წესით ბეჭედი უნდა ჩაერტყა, მაგრამ გადაიფიქრა, იქნებ სხვა დროსაც გამოგადგეს, მე რომ ბეჭედი ჩაგირტყა, მეორეჯერ არავინ დაგეხმარებაო.

ეს სიმდიდრე ცოტა ხნით შიმშილისაგან მიხსნიდა, მაგრამ წინ მაინც შავი დღეები მელოდა. ოდესისაკენ გამგზავრება გადავიფიქრე. უფულო კაცი იქაც არავის სჭირდება.

დაფაზე განცხადება წავიკითხე. ორწლიანი ხელშეკრულებით შორეულ ჩრდილოეთში ხე-ტყის რეწვაზე მსურველებს ვაგზავნითო, წინასწარ ორას მანეთს ვაძლევთ და იქაც კაი ხელფასიაო. ვიფიქრე, ორწლიანი მონობა ცუდია, მაგრამ ოღონდ ამ ზამთარს გადავურჩე და მერე გამოსავალი რაიმე მოიძებნება-მეთქი.

მივაკითხე კანტორას. დახედეს პასპორტს, აჭრელებულ შრომის წიგნაკსაც. გამომიწერეს ფული და მომცეს მატარებლის ბილეთი.

ასე აღმოვჩნდი კომის რესპუბლიკაში...

52

სადგურ მიკუნში ავტობუსი დაგვახვედრეს. აუტანელი ყინვა იდგა. ფანჯრები ყინულად ქცეულიყო და არაფერი ჩანდა. ვერ გაარკვევდი, ღამე იყო თუ დღე. არც ის ვიცოდი, საითკენ მივყავდით. თითქოს გვირაბიაო, მანქანა ყინულის გზას ანათებდა და მეტს არაფერს.

სიქტივკარი გავიარეთ. ამას იმით მივხვდი, მრავალსართულიანი, ყვითელი სახლები გამოტივტივდა. ქუჩებში თბილად ჩაცმული ხალხი მიიჩქაროდა. თანდათან განათდა. თოვლიანი გზის ორივე მხარეს წიწვიანი ტყე წამოიმართა. ნაძვნარი მალე ფიჭვნარმა შეცვალა. თვალშეუწვდენი, წერწეტა ფიჭვები თითქოს ერთ ხელს გამოეჭრა, ორ ხეს შორის განსხვავებას ვერ შეამჩნევდით. ქვეყნიერების ყველა მხარე თავისებურად მშვენიერია. აქ თვალს ახარებს უსიერი ტყეების რიგი, ოღონდ თბილ ავტობუსშიც ყინვა აღწევს და ფეხები დამეღალა ერთმანეთზე ბათქუნით.

კომის ყველაზე სამხრეთის ლუზისპირეთის რაიონში ჩავაღწიეთ. ლუზა მდინარეა, უამრავი დიდი და მცირე ნაკადის ხარჯზე იკვებება და ჩრდილოეთ დვინას უერთდება. რაიონის ცენტრს კი ობიაჩევო ჰქვია. ოღონდ, სადაც ჩვენ მიგვიყვანეს, არც რაიონის ცენტრი იყო და არც არაფრის. პირდაპირ უღრან ტყეში შეიყარნენ მეტყევენი, სხვადასხვა სარეწებიდან ჩამოსული ბრიგადირები, და როგორც ეს მონათა ბაზარზე ხდებოდა, ისე გვსინჯავდნენ. ყველას, რა თქმა უნდა, ერჩია ხისთავიანი და ღონიერი. სამუშაო მძიმე იყო და უღონო მუშა ბრიგადას კისერზე დააწვებოდა. ცხადია, ჩემზე სუსტი და უღონო აქ არავინ ერია. ღონიერი კაცები უცბად დაიტაცეს, მე კი, ვხედავ, არავის ვუნდივარ. ბოლოს ერთმა ამოიოხრა და სამადლოდ წამიყვანა.

ტყეში მიკარგულ პატარა სოფელში ჩავედით. მსხვილი მორებით შეკრული რამდენიმე სახლი იდგა. ერთში ჩამასახლეს. ფართო ოთახში დუჟინი საწოლი იდგა. თავზევით რადიო მეკიდა. კარადაში წიგნები ჩავალაგე. დამავიწყდა მეთქვა, რომ მთელი ეს გზა საკმაოდ მძიმე ტვირთს ვეზიდებოდი – მსოფლიო ისტორიის რვატომეულს. აი, ამ რვატომეულს ვკითხულობდი გაბმული რომანივით. მთელი ზამთარი მათ ჩათავებას მოვანდომე... ამ დროს კი აფრიკაში, კონგოში ტრაგიკული მოვლენები ვითარდებოდა, დაიღუპა პატრის ლუმუმბა და მე ამას ისე განვიცდიდი, თითქოს ჩემი ბიძაშვილი ყოფილიყოს.

სამუშაოზე დილაუთენია გავდიოდით. ყინვა ორმოცდასამ-ორმოცდახუთს უწევდა. თბილად მეცვა, მაგრამ სუნთქვა ჭირდა, ცხვირ-ნიკაპი მეყინებოდა. ხის საზიდი ტრაქტორით უღრანში შევდიოდით. აქ ცას აწვდენილი ხეები უნდა წაგვექცია. სანამ ბრიგადირი „დრუჟბით“ გადაჭრიდა, მე გრძელი ჭოკი უნდა მჭეროდა და მოხერხებულ დროს ბიძგი უნდა მიმეცა, რათა ხე გათვლილი მიმართულებით წაქცეულიყო. ყველა კენწერო ერთიერთმანეთზე უნდა დაცემულიყო, რათა ბაგირი იოლად მოგვედო. მძლავრი ხემზიდი ტრაქტორი დაითრევდა, ათიოდე ხეს მობოჭავდა და სულ ლიწინით ჩაიტანდა მდინარის პირას. ჯერ ხომ ამ ჭოკის თრევა მიჭირდა. ღონე არ მყოფნიდა ასაყირავებლად და რა ბიძგის მიმცემი მე ვიქნებოდი. ერთიორჯერ ამისხლტა და კინაღამ ბრიგადირს ვთხლიშე თავში. ისე, კაი კაცი იყო, მაგრამ რა ექნა, დიდი ხელფასი ეწადა, დიდ ხელფასს კი ბევრი მუშაობა სჭირდებოდა... მერე წაქცეული ხისათვის ცულით ტოტები უნდა მოგვესხიპა. ამას არა უშავდა, ვახერხებდი. ტრაქტორი რომ წაათრევდა, ჩვენც შევახტებოდით მორებს, რაც არც თუ უსაფრთხო მგზავრობა იყო. მდინარის პირას მორები ერთ ზომაზე დაიხერხებოდა, კავებით დავაგორებდით და გაყინული მდინარის კალაპოტში უზარმაზარ შტაბელებად დავაწყობდით. გაზაფხულზე ყინული გადნებოდა, მდინარე ადიდდებოდა და ყველაფერ ამას ჩახვეტავდა. ვინ იცის, რამდენი მილიონი კუბური მეტრი ხე-ტყეა დალეწილი ნაპირებზე და რამდენი მილიონია ფსკერზე ჩაძირული. მოკლედ,

ქონება და ჩვენი მძიმე შრომა ძირითადად წყალს მიჰქონდა და ეს არც არავის ადარდებდა.

შუადღისას ყინვა რბილდებოდა. მუშაობისაგან ოფლად ვიღვრებოდით. ცხენის საზიდრით სადილს მოგვაშველებდნენ. ტრადიციული ბორშჩი, კატლეტი და კომპოტი მოჰქონდათ. ნასადილევს მუშაობა კვლავ გრძელდებოდა დაბინდებამდე.

შინ დაბრუნებულს ერთი სული მქონდა, როდის გავიშოტებოდი საწოლზე და სქელტანიან ისტორიას გავხსნიდი, ანდა რადიოთი კონგოს ამბებს მოვისმენდი და გულს ვასკდებოდი, რომ არ შემეძლო იქ გამგზავრება და ლაყუჩებით ჩომბეს გამოჭერა.

სხვა რამ გასართობი აქ არა გვქონდა. კვირაობით ორთქლის აბანოში მივდიოდით, თუმცა ორთქლს ვერ ვიტანდი, თავბრუს მახვევდა.

ქალები ძალზე ცოტანი იყვნენ. აქ ხომ ძირითადად კაცური სამუშაო იყო და თუ ვინმე კაბიანი გამოჩნდებოდა, ქმარიც იქვე გამოცხვებოდა. ექთანი გოგონა გვყავდა ერთი. მთელი სოფლის ჯანმრთელობა მას ებარა. ვიწრო თვალებს ისე შიშიანად ჭუტავდა, ვერავინ ეკარებოდა. ბინაში ვაკითხავდი. ჩაის ამიდუღებდა, თვითონ კი კედელს აკრული მისმენდა და ჩემს გრძელ ტირადებს „ჰო“ და „არათი“ პასუხობდა. მასზე ინტელიგენტი და ახალგაზრდა აქ არავინ იყო და მეც მოთმინებით ვქსოვდი ბადეს, იქნებ როგორმე მომეთვინიერებინა.

გრძელი ზამთრის შემდეგ თოვლმა დნობა იწყო. მივხვდი, აქაურ მძიმე შრომას მე ვერ გავუძლებდი, ძვალ-კუნთი გამუდმებით მტკიოდა. საბედნიეროდ, იმოდენა ხელფასი გამომიწერეს, ხელშეკრულებით აღებული ავანსიც დავაბრუნე და გასამგზავრებელი ფულიც შემრჩა.

რაიცენტრიდან პატარა „კუკურუზნიკი“ მიფრინავდა კიროვისაკენ, ახლანდელი და ძველი ვიატკისაკენ...

53

აქ ერთი დღეც არ დავრჩენილვარ. საპარიკმახეროში შევედი, მოვწესრიგდი, პარიკმახერ გოგოებს ველაზღანდარე და იმავე საღამოს მატარებლით მოსკოვს გამოვემგზავრე. მშვენიერი, მზიანი ამინდი დამხვდა. მეტრომ ცენტრში ამომიყვანა, რევოლუციის მოედანზე, სასტუმრო „მოსკოვის“ წინ. ვხედავ, ორასამდე კაცი კოლონად ჩამწკრივებულა, გორკის ქუჩის მიმართულებით მიაბიჯებენ, დროშებს მიაფრიალებენ და პორტრეტებს მაღლა წევენ, რა თქმა უნდა, პოლიტბიუროს წევრებისა, თუმცა ვიღაც ახალგაზრდა კაცის სურათიც მიაქვთ. მიდიან და მთელი ხმით გაჰყვირიან: „პირველი რუსი!“ ამ დროს სასტუმროს ფრონტონზე გადმოდგმული რეპროდუქტორებიდან გაისმა: „გადმოგცემთ პირველი საბჭოთა კოსმონავტის იური გაგარინის ბიოგრაფიასო“. ყველაფერი ნათელი გახდა. პირველი სატელიტისა და ძაღლების კოსმოსში გაწირვის შემდეგ ადამიანი გაუშვიათ. ცხადია, გამეხარდა, მაგრამ გულიც დამწყდა, მთლად პირველი მაინცდამაინც მე რომ არ ვიყავი. თუმცა დიდად არ მიდარდია, მე ხომ არანაკლებ მნიშვნელოვანი და სახელოვანი საქმეები მელოდა, მსოფლიო უნდა გარდამექმნა.

ავედევნე დემონსტრანტებს. ვითომც სტიქიური იყო, რაკი ხელით ნაჯღაბნი ლოზუნგები მოჰქონდათ. სტიქიური დემონსტრაციები კი მანამდე არ მენახა. ჩავიარეთ გორკის ქუჩით მაიაკოვსკის ძეგლამდე. ამ დროს კინოოპერატორები გამალებით მუშაობდნენ. ერთგან აივანზე ქალები და კაცები გადმომდგარან, ხელებს იქნევენ და გაჰკივიან: „ვაშა!“ ოპერატორი კი აქედან უყვირის: „ეგრე არა, უფრო მძაფრად, თავიდან!“ ისინი კი ისევ და ისევ იჭაჭებიან, ცდილობენ მეტი ენთუზიაზმის წარმოჩენას. ამის დანახვაზე ჩემი საკუთარი ენთუზიაზმი წამში ჩამიქრა. ყველაფერი ეს იყო ცირკი, სახიობა და ბრბოს უმალ ჩამოვშორდი. სხვათა შორის, მას შემდეგ ჩემი საოცნებო სამყაროებიდან კოსმოსი ამოვაგდე და ამ მხრივ ბავშვურ გატაცებებს ხარკი მხოლოდ იმით გადავუხადე, რომ მოგვიანებით ერთადერთი სამეცნიერო-ფანტასტიკური მოთხრობა დავწერე – „თეთრი ევროპა“.

მოსკოვში ისედაც არაფერი დამრჩენოდა და ტალინს მივაშურე. ვფიქრობდი, იქნებ რამენაირი შემთხვევა მომეცეს და ფინეთის ვიწრო ყურე გადავლახო-მეთქი. ორი-სამი დღე დავყავი ამ მშვენიერ ქალაქში. არც ისე დიდი ჩანდა, სისუფთავით ბრწყინავდა. ყველაფერი ლამაზი მეჩვენებოდა – სახლები, „ბებერი ტომასი“, პარკები, ქერა და ცისფერთვალება ფერიები. ფინეთის ყურის ვრცელი პლაჟი, სადაც ისეთი არაფერი მიცდიდა, ყურის გადაღმა რომ გადამიყვანდა. ყოველ შემთხვევაში, ჯერ თავშესაფარზე უნდა მეზრუნა. გავიკითხ-გამოვიკითხე. მითხრეს, საბჭოეთის კანონები აქაც მოქმედებსო, დროს ნუ კარგავ, ამ ქალაქში არავინ ჩაგწერს, უმჯობესია, ადგე და კოხტლა-იარვეში წახვიდე, სამრეწველო ცენტრია, სადმე მაინც იშოვი საქმესო... სხვა რა ჩარა იყო, კოხტლა-იარვეში გადავბარგდი და მუშაობა იქ დავიწყე...

54

კოხტლა-იარვეში ყველაზე დიდი საწარმო თეთრი ფიქალისაგან აირის მისაღები კომბინატია. რეგიონში თეთრი ფიქალის უამრავი მაღაროა. კომბინატში მისგან აირს გამოჰყოფენ და მილებით ტალინსა და ლენინგრადს აწვდიან. აქ სამშენებლო სამმართველოცაა, სადაც მე უბრალო მუშად ვარ გაფორმებული. საქმე დიდი არაფერი მაქვს. ორ-სამ პენსიონერთან ერთად აუჩქარებლად გამყავს რკინიგზის ლიანდაგი კომბინატის ეზოსაკენ. ცოტას ვმუშაობთ, ბევრს ვისვენებთ და ენას ვიფხანთ. გზისპირა მდელო შროშანებითაა გადაპენტილი. შინ მუდამ პატარა თაიგულით ვბრუნდები. შინ, ესე იგი საერთო საცხოვრებლის მესამე სართულზე ჩვეულებრივი ოროთახიანი ბინა გვიჭირავს რვა ახალგაზრდას, თითო ოთახში ოთხნი ვართ.

საკმაოდ მხიარული ქალაქია, საღამოობით ცეკვები ეწყობა, კინოთეატრიცაა, მეზობელ საერთო საცხოვრებელში ტელეპროექტორი უყენიათ, ფინური ტელევიზიის გადაცემებს ვუყურებთ. აპარატი კედლის ფართო ეკრანზე აჩვენებს, ვით-

ომ კინოში ყოფილხარ.

ამინდიც მუდამ მზიანია, თბილი. ასაკი მაქვს ისეთი, გული სიყვარულისათვის გახსნილია, ხან ვის გადავეკიდები, ხან ვის, მაგრამ ეს ღლაბუცი შორსაა იმისაგან, რასაც ჩემი გული მოითხოვს. ერთი სათვალიანი გოგო გადამეკიდა. კოცნის ილეთებს მასწავლიდა, მე კი ველური კავკასიელი ვიყავი და ამაებისა არა გამეგებოდა რა. მოულოდნელად ქალაქში საქართველოს სიმფონიური ორკესტრი ჩამოდის. ჩემი გოგო, რაღა თქმა უნდა, არისტოკრატია და ასეთ კონცერტს აუცილებლად უნდა დაესწროს, თანაც, იმასაც არ მალავს, რომ კონცერტზე ჩემნაირ კავალერს უნდა ეცვას შავი კოსტიუმი და, ცხადია, ჰალსტუხიც უნდა ეკეთოს. რაღა ვქნა, როცა არც კოსტიუმი მაქვს და არც ჰალსტუხი. ჩემთან ერთი კოსტია ცხოვრობს, ჩემი გაჭირვება გულთან მიაქვს და თავის კოსტიუმს მითმობს. ოღონდ კოსტია ჩემზე ბეჭებგანიერიცაა და მაღალიც. ამიტომ მისი კოსტიუმი ისე მაქვს ჩამოფართხუნებული, თითქოს ყვირის, ამ ყმაწვილის არა ვარო. ჩემი კნეინა ისე გამოკოხტავებული მოცქრიალდა, პირდაპირ პატარძლად შეიძლებოდა წაყვანა. თვალი წამიერ მკიდა და მერე ჩემკენ არც მოუხედავს. მივხვდი, აღარ მოვეწონე. სცენაზე ჩემი თანამემამულენი დვორჟაკს უკრავენ, მე კი უხერხულობისაგან ნემსებზე ვზივარ. იმ დღეს გათავდა ის უსიყვარულო რომანი.

ასეთ ასაკში რამდენსაც დაკარგავ, ორ იმდენს შეიძენ. ჩვენი ბინის ფანჯარა მეზობელი სახლისას ათიოდე მეტრზე მისჩერებოდა და საგაზაფხულოდ მოღიავებული ფანჯრიდან ერთმა ციცქნა ოქროსთმიანმა და ცისფერმა ფერიამ გამოიხედა. აი, ამას ჰქვია ერთი ნახვით შეყვარება. გავხელდი, მაგრამ როგორ! ტარიელის თავგადასავალი მოგონილი იყო. მოუთმენლობისა და დარდისაგან კედელს ვეხლებოდი. საოცარი ის იყო, ხუთას გოგონას მაინც ვიცნობდი, იმის სახელს კი არც ვკითხულობდი. შემეძლო კიბეზე ამერბინა და კარზე დამეკაკუნებინა. მე კი ეს არც მიცდია. შორით დაგვა, შორით კვდომა ალბათ უფრო დიდ განცდას ბადებდა. მეშინოდა, ვაითუ გამოვესაუბრო და ისეთივე ჩერჩეტი აღმოჩნდეს, როგორც ხუთასი

სხვა-მეთქი. მერე ჩემი ფერია სადღაც დაიკარგა და მცირე წუხილისა და ვაების შემდეგ გულიდან ამოვირეცხე. ბოლოს და ბოლოს აუცილებელი არ იყო ლეილმაჯნუნიანის ტრაგედიები. ესტონელი გოგონების ვარსკვლავა ღიმილი მხიბლავდა და ყურში ჩავჩურჩულებდი: „კაკ სმუსი, ტუტერლაპს!“ – „ორი კოცნა, გოგონა!“ ასეთი ხვეწნის შემდეგ კოცნას ვინ დამამადლიდა.

მეხუთე სართულზე, ჩემი ბინის თავზე, ცხოვრობდა ვინმე ივანე, ზორბაზე ზორბა, ღონიერზე ღონიერი, ლამაზი სლავი ბიჭი. კიბეზე რომ ჩამოდიოდა, საფეხურებს ჭრაჭუნი გაჰქონდა. არ ვიცი, რითი დავიმსახურე მისი პატივისცემა, ალბათ ხელში მუდამ წიგნი რომ მეჭირა, იმითი. თვითონ ხომ წიგნს არც გაეკარებოდა. ხშირად ხდება, სიკეთით აღსავსე, უბირი კაცი თაყვანსა სცემს წიგნიერს, თანაც იმ წრეში, ვისთანაც ცხოვრება მიხდებოდა, წიგნიერთა ცვენა არ შემიმჩნევია. ამ დროს ბინაში შემოგვისახლეს ოცდაათს გადაცილებული ნარკომანი და „ჩეფირისტი“. შემზარავი ტიპი იყო, სახის ნაკვთები ორანგუტანგს მიუგავდა. მასთან შედარებით დანარჩენები სულ ლაწირაკები ვიყავით და გვჩაგრავდა. ჩვეულებრივ მეტ-ნაკლებად ნორმალურად იქცეოდა, მაგრამ ხანდახან ჩაის ნაყენს, ესე იგი „ჩეფირს“ დააყენებდა, გადაყლურწავდა და სიგიჟე მოუვლიდა. იქნებ ცოტათი თამაშობდა კიდეც, განგებ გვაშინებდა. შიშველ მუხლებზე ასანთის კოლოფს ჩამოისვამდა, ზედ იჭყლეტდა, თან თვალებს აბრიალებდა. უცებ მხეცივით იღრიალებდა, მაგიდას გადააყირავებდა, სკამებს აქეთ-იქით მიყრიდა, შუშას ჩალეწავდა... ჩვენ, ლიფსიტები, გარეთ გავცვივდებოდით... ხმაურზე ჩამოვიდოდა ჩემი ივანე. დინჯად შეაღებდა კარს. „ჰა, თამაშობ?!“- ერთს გაუქანებდა, ძირს დასცემდა. გიჟი უმალ ჭკუას მოეგებოდა, ტირილს იწყებდა. „იცოდე, ეს არ შემიშინო, თორემ ცოცხალი ვერ გადამირჩები!“ – თითს მომიშვერდა... მართლაც ტიპი კარგა ხანს შორიდან მივლიდა, მეთითლიბაზებოდა, ოღონდ მერე კვლავ მოუნდებოდა „ჩეფირი“... მაინცადამაინც პირადად მე არაფერს მიშავებდა, მაგრამ ამ კაცთან ცხოვრება ყელში ამომივიდა. ამ დროს კოსტიამ მითხრა, იცი, მეც მომბეზრდა აქ ყოფნა, პიტერში წავიდეთ, იქნებ ბედს ვეწიოთო... ისედაც არ იყო შორი გზა ლენინგრადამდე.

ნევის პროსპექტი მზიანი დაგვხვდა. მოსკოვის ვაგზლიდან სასახლის მოედნამდე რომ ჩავისეირნე, ასე ვიფიქრე, მე ხომ ისედაც გავრბივარ ამ საბჭოეთიდან, მაგრამ თუ დავრჩი და საქართველოს გარეთ ვიცხოვრე, მხოლოდ ლენინგრადს ვირჩევ-მეთქი. ახალჩამოხეტებულებს ვითომ მეტი საზრუნავი არაფერი გვქონდა, პირდაღებულნი გარს ვუვლიდით არხანგელსკისა და ისაკის ტაძრებს, ბრინჯაოს მხედარს და ასე შემდეგ. ბოლო კაპიკებით ფუნთუშები ვიყიდეთ და სადარბაზოს შეფარებულებმა შევსანსლეთ. ამ დროს კედელზე განცხადებას წავაწყდით: მარტოხელა ჩამოსულებს სამუშაოდ ვიწვევთ, მოგვაკითხეთ „ინჟინერნი ზამოკშიო“. იქვე ახლოს, ცენტრშია ეს დიდებული სასახლე. შესასვლელში აქაც ცხენზე ამხედრებული პეტრეს ძეგლი დგას, ოღონდ ბრინჯაოს მხედრიდან განსხვავებით, ცხენი აქ ჩორთით მიდის. თვით შენობა ალბათ სამუზეუმოდ გამოდგებოდა, იმას კი ათასნაირი წვრილ-წვრილი დაწესებულება შესეოდა და უსაქმური ჩინოვნიკების ბუდე გამხდარიყო. ჩვენი სამმართველოც მის კედლებს შეფარებოდა და ოდესღაც დიდებული დერეფნები და დარბაზები ვიწრო, დახუთულ კაბინეტებად გადაეტიხრა. დახედეს ჩემს პასპორტს და იქვე გამაფორმეს. იმ ცოდვით სავსე კოსტიას ვიღაც დედაკაცთან ჰქონია ხელი მოწერილი. ბევრი იფიცა, ცოლს გაყრილი ვარო, მაგრამ არ დაუჯერეს. ვიცნობთ შენნაირებს, ახლა რომ მიგიღოთ, ცოლსაც გამოაჩენ და ბინასაც მოგვთხოვო. რა გვექნა, დავემშვიდობეთ ერთმანეთს და წავიდა სადღაც საწანწალოდ. მე კი დავჯექი ტრამვაიზე და ნევის გასწვრივ მთელი საათი ვიხრიგინე, სანამ ჩავაღწევდი „ტროიცკოე პოლეში“. იმ დროისათვის ეს ახალი კვარტალი იყო. ტრამვაიც აქ ბრუნდებოდა. ტრიალ მინდორზე ხრუშჩოვის სტილის სახლები ჩამოერიგებინათ. უმრავლესობა საერთო საცხოვრებელი იყო და ერთგან მეც მოვეწყვე. ვიწრო, ოროთახიან ბინაში, სადაც ნემსის ჩასავარდნი ადგილი არა რჩებოდა, კუთხის საწოლზე მოვთავსდი და შევუდექი შრომით საქმიანობას.

გავხდი დაბალი რანგის „მოზაიჩნიკ-პლიტოჩნიკი“, ესე იგი იატაკზე ვაგებდით ფერად მოზაიკას, ან კედლებს მოვაპირკეთებდით თეთრი და ლურჯი ფილებით. დიდი ვერაფერი სპეციალისტი დავდექი, ბრიგადაში უფრო შავ საქმეს ვაკეთებდი, მიმქონდა და მომქონდა ხან რა და ხან რა. მაინცდამაინც ვერ ვიგრძენი შინაგანი მოწოდება, ხელში ქამჩა ამეღო და საქმეს წესიერად დავუფლებოდი. უფრო სასიამოვნო გართობა გოგო-ნებთან ჭუკჭუკი იყო, ღვთისით ამათი ნაკლებობა არ იგრძნობოდა და თუ ვინმე ცოლის შერთვას გადაწყვეტდა, იმდენი საპატარძლო ამოყოფდა თავს, გასაქცევი გზაღა გრჩებოდა... ერთი ყაზახი ცხოვრობდა ჩემთან. უწიგნური იყო, მაგრამ ღვთით მომადლებული ნიჭი ჰქონდა, ხეზე ჩუქურთმების ამოჭრა ეხერხებოდა. ამიტომაც მიიღეს სამხატვრო აკადემიაში. იმ უბედურს, ეტყობა, მანამდე ქალი ნანახიც არა ჰყავდა. გადაეკიდა ვიღაც დედაკაცს, ბორბალივით რომ დაგორავდა მიწისპირზე და ასი გრამი არაყი ერჩივნა აკადემიასაც და ყაზახეთსაც... ჩემი ასაკის ყმაწვილისათვის, ცხადია, ძნელი არ იქნებოდა ცდუნება, მაგრამ ერთი რამ მიცავდა. დიადი მისია მქონდა დაკისრებული, ნაადრევი ცოლი კი ბორკილად გადამექცეოდა. ჩემს სულში მუდამ ენთო შორეული ჰორიზონტების ძახილი. ამიტომ ვფრთხილობდი, იმათ ვუახლოვდებოდი, ვისაც ჩემი დამონების პრეტენზია არ ექნებოდა. ხანდახან ამიჩქროლდებოდა გული, სიყვარულის ზღვარს მივაღწევდი და მაშინ გავერიდებოდი ხოლმე.

ერმიტაჟი, რუსული მუზეუმი, კუნტსკამერა, არტილერიის მუზეუმი, საზღვაო ფლოტის მუზეუმი, პუშკინის, დოსტოევსკის მუზეუმები... აქ მე მოგზაურის ჩანაწერებს არ ვაკეთებ, თორემ მოსაყოლს რა დამილევს. ყოველ კვირადღეს იქ ვატარებდი ანდა სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკაში, სადაც ისე მიმიჩვიეს, პირდაპირ პერიოდიკის ფონდებში მიშვებდნენ და უზარმაზარ სტელაჟებში ხან „ყაზაყიში გაზეთს“ ვპოულობდი, ხან „ივერიას“, ანდა ესპანურ „აბც“-ს, მთლად ფაშისტურ „არრიბასაც“.

ესპანურმა მეგობართა წრე შემძინა. განცხადება წავიკითხე, ესპანური ენის შემსწავლელთა ჯგუფი იქმნებაო. ადრე

ხომ ანაბანა ჩემით ვისწავლე. მივაკითხავ-მეთქი, გადავწყვიტე. სამწუხაროდ მსურველთა სიმცირის გამო ჯგუფი ვერ შედგა. მხოლოდ ხუთნი მივედით, სამი გოგო და ორი ბიჭი. დავთქვით, თვითონ ვიქირაოთ მასწავლებელი და გვამეცადინოსო. ერთი ქალიშვილი ცხოვრობდა ვოლოდარსკის ხიდთან და იმის ბინაში ვიკრიბებოდით. მასწავლებელი გამხდარი, სათვალიანი ქალი იყო, შესანიშნავი პიროვნება. ზუთხვას რომ მოვრჩებოდით, ესპანურენოვან სამყაროზე ვიწყებდით მუსაიფს, რაც გულზე მალამოდ მედებოდა.

განსაკუთრებით ერთ ბიჭს დავუახლოვდი. ებრაელი იყო, შუბატ იზრაელი, უჭკვიანესი, ისტორიით გატაცებული, წიგნებში ჩაფლული. ქალაქგარეთ ცხოვრობდა, პავლოვსკოეში. ხალტურინის ქუჩაზე დედასთან ერთი ოთახი ეჭირა და ჩავაკითხავდი ხოლმე. დავსეირნობდით პავლოვსკოეს საიმპერატორო პარკში, სადაც ბილიკების ბოლოს თეთრი ქერუბიმები გვხვდებოდა და ვსაუბრობდით ლიტერატურაზე, პოლიტიკაზე, სამყაროზე... მრავალი წლის შემდეგ მოვინდომე მისი მოძებნა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. რამდენჯერმე წერილი გავუგზავნე ძველ მისამართზე და პასუხი ვერ მივიღე. იქნებ გადასახლდა კიდეც იზრაელში.

ლენინგრადის თეთრი ღამეები... ერთხელ კრონშტადტს გემით გავემგზავრე. მთელი ღამე ფინეთის ყურეში დავცურავდით. ცა გამუქდა, დაღამებით კი არ დაღამებულა... საერთოდ, გვიან ღამემდე დავსეირნობდით ქუჩა-ქუჩა. ჩემი ზრახვებისა არავინ არაფერი იცოდა, მაგრამ გამჭრიახი მეგობარი გოგონა მეტყოდა: „აჰ, შენ ფანატიკოსი ხარ! მიყვარს ფანატიკოსები!“

ჩემი გული ცვალებადი იყო. ხან ადგილიდან მოწყვეტას ვლამობდი, ხან კი საჯაროში ჩამჯდარი მსოფლიო ლიტერატურის დაზუთხვას ვაპირებდი. ძველი ეგვიპტურით უნდა დამეწყო, ქართულად მეთარგმნა. ვცადე კიდეც, მაგრამ ჩემი ქართული იმ დროს მხოლოდ პწკარედს თუ გასწვდებოდა.

იქნებ მართლაც გავჩერებულიყავი, რაიმე საქმეს მივდგომოდი. ბოლოს და ბოლოს სკოლა ხომ უნდა დამემთავრებინა. მართლაც ვიარე ერთი-ორი თვე საღამო სკოლაში. მაგრამ ყოფითი სიდუხჭირე ძველებურად მახრჩობდა. მთელი ცხოვრება კუდში მდევდა და ფრთებს მასხეპდა. ხელფასის წინ მუდამ უფულო და მშიერი ვრჩებოდი. გაუსაძლისი მარტოობის გრძნობა მეუფლებოდა და საკუთარი არსებობიდან გაფრენა მეწადა. მწარედ დამამახსოვრდა. თეატრის ბილეთი ვიყიდე წინასწარ, თანაც ორი ცალი. ახალგაზრდულ თეატრში „ირკუტსკული ისტორია“ გადიოდა, აქებდნენ. იმ დღეებში კი ისე გამიჭირდა, კუჭი მეწვოდა და რა მეთეატრებოდა. მაინც წავედი. მაყურებლები შედიოდნენ. ვიფიქრე, სპექტაკლის დროს გული რომ შემიღონდეს, უფრო მეტი სირცხვილი იქნება-მეთქი. ვცადე, გამეყიდა ის ბილეთები და პური მეყიდა. სამწუხაროდ, მუშტარი არავინ გამოჩნდა, მე კი ვერ ვეძალებოდი. უკვე აწკრიალდა ზარი, წარმოდგენა უნდა დაწყებულიყო. ხელი ჩავიქნიე. იქვე, სკამზე დედაბრები ისხდნენ, იმათ გავუწოდე, აიღეთ, მე არ მცალია, თქვენ მაინც უყურეთ-მეთქი. წამოხტნენ, სულ ფაციფუცით შეცვივდნენ თეატრში. მე კი ჯიბეში ტრამვაის კაპიკები არ მედო. კონდუქტორთან ჯიჯღინი მთლად ბოლოს მომიღებდა. დავადევი თავი და ფეხით წავედი ცენტრიდან ტროიცკოე პოლემდე. ვინ იცის, რამდენი კილომეტრი ვიარე. დაღლილ-დაქანცული მივლასლასდი. შიმშილიც კი დამავიწყდა. ძილად მივეგდე... მადლობა ღმერთს, მეორე დღეს მცირე ხელფასი მელოდა და შემეძლო ჩემი გოგო იაფფასიან კაფეში დამეპატიჟებინა.

ყოველთვის მთლად ასე როდი მიჭირდა. უნივერმაღ „გოსტინი დვორში“ კოსტუმიც კი ვიყიდე, პერანგი და ფეხსაცმელი შევიძინე, ცოტათი კაცს დავემსგავსე. ამასობაში შვებულებამ მომიწია და ზუგდიდში ჩავედი. სადა ხარ, რას შვრებიო, მკითხეს. შემრცხვა, მეთქვა, ისევ ბეტონის ხსნარს ვზილავ და ჩემგან მეტი არაფერი გამოვიდა-მეთქი. ამიტომ სიმართლე ვუთხარი, ესპანურს ვეუფლები-მეთქი, თუმცა ეს სიმართლე სიცრუეს უფრო ჰგავდა, რაკი იფიქრეს, უმაღლესში ყოფილაო... შინ ერთი თვე დავრჩი, უკან გასაბრუნებელი ფული კი აღარა მქონდა. ერთმა ნათესავმა მითხრა, ყაზანში წამომყევი და ბილეთს მე აგიღებო. იმისი შვილები სწავლობდნენ იქ, მანდარინი და ფული უნდა ჩაეტანა და გამყოლი სჭირდებოდა. მოკლედ,

ლენინგრადის გზაზე მიმავალმა ყაზანისკენ გადავუხვიე. იქ სამიოდე დღე დავრჩი. დრო მატარებინეს, ვოლგაზე, კუნძულზე ღამეც გამათევინეს და წავედი კვლავ პიტერს... გული დამძიმებული მქონდა. დედამიწის ზურგზე არავინ იყო, ვინც ხელს შემაშველებდა... თავს ზედმეტად ვგრძნობდი, არც შინ იყო ჩემი ადგილი, არც ლენინგრადში, არც სადმე სხვაგან... მე კი როგორ მჭირდებოდა ამ უსასრულო ლტოლვის ჟამს მცირე შესვენება...

56

ალბათ, ამ განწყობილებამ მაიძულა კვლავ ღუზა ამეხსნა და ზღვაზე გავსულიყავი... იმ წელს ჰელსინკის ფესტივალი ტარდებოდა. ვიფიქრე, აი, იქ თუ მოვხვდი, გავერევი ვიღაც-ვიღაცებში და ჩემი საყველპურო ესპანურით საითკენვე გავუტევ-მეთქი. წინასწარვე დავზვერე. საგარეუბნო მატარებლით ვიბორგს გავემგზავრე. მეტად თვალწარმტაცი მხარეა. ტბები და ყურეები, ხავსიანი კლდეები, ლოდები, გორაკები, ფიჭვნარი და ნაძვნარი... ყველაფერი ისეა, თითქოს ვიღაც მხატვარი საგანგებოდ ქმნიდა უჩვეულო ლანდშაფტს.

თვითონ ქალაქი დიდად არ მაინტერესებდა. უცხოური დელეგაციაც კი გავაცილე და ვიღაც აყლაყუდა ზანგს სვანური ქუდი ვაჩუქე. მინდოდა გამეგო, მესაზღვრეები როგორ იქცეოდნენ. ჩვეულებრივ, ვაგონებში შედიოდნენ და სანამ მატარებელი საზღვრამდე მიაღწევდა, საბუთებს ამოწმებდნენ. მე არავითარი საბუთი არა მქონდა და არც არავინ მომცემდა.

დავბრუნდი ლენინგრადში, შევარჩიე დარიანი დღე და ფინეთის სადგურზე გამოვცხადდი. აქ პირველ ლიანდაგზე იდგა საერთაშორისო მატარებელი მოსკოვი-ჰელსინკი. ვაგონში შესვლაზე ფიქრიც ზედმეტი იყო, რომც შევსულიყავი, მესაზღვრეები ხომ გამომიჭერდნენ. ჩავისეირნე მატარებლის გასწვრივ. კაციშვილი არსად ჭაჭანებდა. ბაქანი აქ ხიმინჯებზე იდგა და მის ქვეშ სიცარიელე იგულისხმებოდა. მატარებლის ბოლოს რომ მივაღწიე, ერთხელაც მივიხედ-მოვიხედე. ირგვლივ არავინაა. ძირს ჩავხტი და ბაქანის ქვეშ შევძვერი. მინდოდა

ძაღლის ყუთი მომეძებნა, მაგრამ ვერ ვიპოვე. ფორთხვა-ფორთხვით მივაღწიე ერთ-ერთ ვაგონამდე. არადა, უკვე დაუსტვინა. შუაგულში, ვაგონის სიგრძეზე გაჭიმულია სოსისის სიმსხო სამუხრუჭე, აი, იმაზე ავძვერი, ზედ გადავაწექი. ზურგით ვაგონის ფსკერს ვეყრდნობოდი, ქვევით კი მხოლოდ ბორბლებსა და შპალებს ვხედავდი.

დაიძრა მატარებელი და მეც წამიყვანა. წამითაც არ მიფიქრია, რომ შეიძლებოდა სამუხრუჭე მომწყდარიყო და ბორბლებში ჩავვარდნილიყავი. მივქრივარ, ქარი მიბერავს, თვალებში მტვერს მაყრის. ერთადერთ ბგერას ვღიღინებ – „ااا!“ დაგადუგი გააქვს ბორბლებს, შპალების სწრაფი მონაცვლეობა თვალებსა ღლის. და, რაც მთავარია, არ ვიცი რამდენ ხანს გასტანს ეს სრბოლა.

რაღა ბევრი გავაგრძელო, რამდენიმე საათი ვეკიდე ასე. ბოლოს მატარებელმა სვლა შეანელა და გაჩერდა. ესე იგი ვიბორგში ჩავედით. მესმის პერონზე მგზავრების ფეხის ხმა და ყაყანი. ვატყობ, ჯარისკაცებმაც ჩაიარეს. თითქოს ყველაფერი კარგად მიდის... ოჰ, ჩემო გულუბრყვილო ნაცრისფერო უჯრედებო – თქვენ ეს საბჭოეთი ისეთი ჩერჩეტი გგონიათ, ეგრე მარტივად რომ გააცუროთ! ერთი რამ მაეჭვებდა და იმას ვერ ავცდი. წინასწარვე ვიცოდი, რომ ასე მოხდებოდა, მაგრამ იმედი მრჩებოდა, იქნებ მე ამცდეს-მეთქი და იმიტომ ვირისკე. როგორც წესი, ვიბორგში ვაგონებს წყლით ამარაგებდნენ. შემოფოფხდებოდა ერთი და იგივე დედაკაცი და წყლის მიმღებ მილს რეზინის შლანგს შეუერთებდა. ან იქნებ ისიცა ჰქონდა დავალებული, ვაგონის ქვეშ წესიერად მიმოიხედე, აქვე სადმე მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი ჯ.ქ. ხომ არ ჰკიდიაო... ზუსტად წერტილში ახვედრებს – ჯ.ქ. აგერაა, სამუხრუჭე მილზე გადაწოლილა...

თქვენ გგონიათ, ეს დედაკაცი აკივლდება, არიქა, რა ვნახე, ჯაშუში დავიჭირეო? არა, თავი ისე მოაქვს, ვითომც მხოლოდ თავისი საქმე აინტერესებს, შენ არც შეუნიშნიხარ, ვაგონს წყლით მოამარაგებს და შლანგით მეორე ვაგონისაკენ მიემართება. შენ შვებით ამოისუნთქავ, ვერ შემნიშნაო, თუმცა ეს ხომ ზღაპარია. მეზღაპრე რომ არ ვიყო, იმას როგორ დავიჯერებ,

ცხვირწინ ვეკიდე და ვერ შემნიშნა... და თუ შემნიშნა, არ გამცა! ვითომც უარს იტყოდა კუთვნილ პრემიასა და მადლობაზე!..

ასეა თუ ისე, გაქცევა გვიანია. ახლა მე რომ გამოვძვრე, პერონზევე დამიჭერენ, ანდა სულაც ქალაქში, რომელიც ისეა ჯარით გაძეძგილი, რომ ყოველი სამოქალაქო პირიც ჯარისკაცია.

წუთიც არ გასულა და ვაგონს ავტომატიანი ჯარისკაცები ალყას არტყამენ. ფრთებიც რომ გქონდეს, ვერსად გაფრინდები. „აბა, გამობრძანდი, ძმობილო!“ „ძმობილო“, რა თქმა უნდა, დარცხვენილი გამობრძანდება, ტანსაცმელს ჩამოიფერთხავს. „აბა, აბა, ხელები უკან!“ „ძმობილოს“ შეიძლება ჯიბეში ფიშტო უდევს. პროფესიონალი ოფიცერი წუთში გაჩითავს... შვებით ამოისუნთქეს.

შევყავართ კომენდატურაში.

— სად მიბრძანდებით, მოქალაქევ!

— ვიბორგში!

— მერედა, ვაგონის ქვეშ რად ეკიდეთ?

— ბილეთის ფული არა მქონდა!

— რატომ უცებ არ გამოძვერით?

— გამცილებელს ვემალებოდი! თქვენ რომ გამოჩნდით, უკვე გამოვდიოდი!

— ვიბორგში რა გინდოდა?

— ლენინგრადში დროებითი ჩაწერა მითავდება, ვიფიქრე, ახლო ქალაქია, ლამაზია, იქნებ სამუშაო რამე ვიშოვო-მეთქი.

ცხადია, ერთი სიტყვაც არა სჯერათ. ტყუილის თვითონ თუ არა გჯერა, სხვებსაც ვერ დააჯერებ.

გამომკეტეს ცალკე ოთახში. ჯარისკაცის სადილი შემომიგზავნეს, თან ამ სადილს სპორტულ რეიტუზიანი სომეხი მოაყოლეს.

— ოჰო-ჰო! – ჩივის სომეხი. – რა დროს გამომიჭირეს, ფინეთში მივდიოდი, მაგრამ ავტობუსიდან ჩამომსვეს!

ფინეთში რაღა გინდა, ყასიდად ვეუბნები, ჩვენ დიად, სოციალისტურ სამშობლოში ვცხოვრობთ, ფინეთში კი დამპალი კაპიტალიზმია, იქ რაღა გინდა?

ის კი თავისას გაიძახის. „ზემლიაკო“, — მმოძღვრავს, – თუ

წასვლა გადაწყვიტე, მატარებლით კი არ უნდა წახვიდე, ავტობუსს უნდა გაურიგდე, ყალბი საბუთი შეიძინო და ასე შემდეგ. მოკლედ, მიაჭენებს თავისთვის. ისე გულწრფელი ჩანს, მეც ყურები გამოვაფინე, თუმცა ის მაინც არ დამცდენია, ფინეთში ვაპირებდი გადასვლას-მეთქი.

ბოლოს ის სომეხი გაიყვანეს, მე კი დახურულ, გისოსებიან მანქანაში ჩამსვეს. გისოსებს მიღმა შაშხანიანი ჯარისკაცი მოთავსდა და უკან, ლენინგრადისაკენ გამაქანეს. სადარდებელი ერთიღა მქონდა, საკანი უსარკმლო იყო და ვიბორგის მხარის ლამაზ პეიზაჟებს ვერ ვხედავდი.

ბუნებრივია, სუკის საკანი არ ამცდებოდა. ამათ რომ გამომძიებლები ჰყავთ, სულ რასულ-ზადესავით ინტელიგენტები, დავარცხნილები, გაპარსულები, ჩაკოსტუმებულნი, სუფთა პერანგ-ყელსახვევიანები. ამიჩემა ჩემმა გამომძიებელმა, ფინეთში რა გინდოდაო. არც არაფერი მინდოდა, ვიბორგს იქით წასვლას არ ვაპირებდი-მეთქი. მაშ, იმ სომხისთვის რომ გითქვამსო? ვითომ გამომიჭირა. ამაზე ქედმაღლურად ვპასუხობ:

— რაც გინდა ამაღლებულ იდეას ემსახურებოდე, თუ ღალატის საფასურად ცდილობ საქმის გაჩარხვას, ის დიადი იდეაც გროშ-კაპიკი არა ღირს. ის თქვენი სომეხი სუფთა წყლის ნაძირალაა, რადგან ცდილობდა ჩემი ნდობით ესარგებლა და მერე დავესმინე... ან თვითონ როგორ იკადრეთ...

ვერ ვიტყვი, ძალიან შერცხვა ჩემი სიტყვისა, მაგრამ თავი გააქნია და შემრიგებლურად მითხრა, ვიცი, ვიცი, ფესტივალზე მოგინდა გასეირნებაო. ასე ფიქრობდნენ და იოლად იმიტომ გადავრჩი. არ დაუწყიათ ზუგდიდსა და ბაქოში რეკვა...

ჩვენი ქალაქი უნდა დატოვოო, ეს მაკმარეს. საით გირჩევნია წასვლაო, მკითხეს. სულ რაღაც ერთი თვის წინ შვებულებით შინ ვიყავი, ასე უცებ რა პირით დავბრუნდებოდი. თუ წასვლაა, ყამირისკენ წავალ-მეთქი, გადავწყვიტე.

მიმარბენინეს სამსახურში, წუთში დაწერეს დათხოვნის ბრძანება. ფული აღარ მეკუთვნოდა და კვლავ ჯიბეცარიელი დავრჩი. ერთი ბებერი ჩინოვნიკი გვყავდა. ჩემი ეშინოდა. ერთიორჯერ პირზე დავადექი, უსინდისობაში ვამხილე და მეთითლი-

ბაზებოდა. ახლა სუკის წარმომადგენელთან რომ დამინახა, დრო იხელთა და იატაკზე ფეხი დაჰკრა, ჩვენ გენდობოდით და შენ ვინა ყოფილხარო. „შენ, ბიძაჩემო, ამ ქაღალდების ჭია იყავი და ასევე მოკვდები, — ღიმილით შევაგებე, — ჩვენს შორის ის განსხვავებაა, რომ შენ ვერასოდეს ვერაფერს გარისკავ, რაკი დაბადებითვე სიმხდალე დაგებედა!“ ენა ჩაიგდო და მეტჯერ ჩემკენ არც მოუხედავს.

სამსახურიდან საერთო საცხოვრებელში მიმიყვანეს. ჩემს ბარგი-ბარხანას დავავლე ხელი. სამწუხაროდ, წიგნები დამრჩა, შემნახველ საკანში მქონდა ჩაბარებული და მესაკნე ადგილზე არ დამხვდა. მერე ბევრი ვწერე, მაგრამ არავინ გამომიგზავნა.

ჩამსვეს მატარებელში, მომცეს ბილეთი მოსკოვამდე და გამოვემშვიდობე ჩრდილოეთის ლამაზ ქალაქს...

57

„ჩვენი მილიცია ჩვენ გვიცავს...“ ჩემისთანა მაწანწალებისათვის მთელი სისტემა იყო შექმნილი, რათა არც მოვეკალით და არც გავეხარებინეთ. ლენინგრადში რომ ვთქვი, ყამირზე გავემგზავრები-მეთქი, ბილეთი ცელინოგრადამდე როდი ამიღეს, მხოლოდ მოსკოვამდე მომცეს. დიდი მადლობა! მთლად ციხეში რომ არ მაყურყუტეთ, იმაზეც ხომ მადლიერი უნდა ვიყო. ახლა მოსკოვში მოვნახე შესაბამისი დაწესებულება, უსახსრო და უბილეთო ადამიანთათვის. აქ შეიძლება ღამის გათევა. დღეში ერთხელ გაჭმევენ ერთ თეფშ ბორშჩს. მოგცემენ პურის ერთ ნაჭერს და სამოცდათხუთმეტ გრამ შაქარს. მოკლედ, სიკვდილით არ მოკვდები, წონაში კი ნამდვილად შეიბერტყები.

ფულის პრობლემა ამათაც აქვთ. მოსკოვში მე არავინ დამტოვებს, არ ჩამწერენ, თანაც საბუთში მიწერია ცელინოგრადიო, იქ უნდა გამიშვან. ჩემისთანები ბევრია, ამიტომ საჭიროა ეკონომია და ბილეთს პენზამდე მაძლევენ, თანაც ცელინოგრადის მატარებელზე. რჩევას უფასოდ მოაყოლებენ, თუ ჩამოგსვეს, პენზის მილიციას მიაკითხე, თუ არადა, სანამ ძალით არ ჩამოგაგდებენ, მატარებლიდან არ ჩამოხვიდეო.

ეს მეცნიერება მე ისედაც ვიცოდი.

მიჰქრის ჩემი მატარებელი. რუსეთი დიდია. ყაზახეთის ფართო ტრამალები არ თავდება. კუპეს კუთხეში ვზივარ, მშიერი, კუჭამწვარი და შევყურებ ამ რუსებს, ნაირ-ნაირებს რომ ნთქავენ, მე კი არავინ არაფერს მთავაზობს. მათხოვრობა ჩემი წესი არაა, მშიერი უფრო მოვკვდები, ვიდრე ხმას ამოვიღებ.

მატარებელი სადგურზე ჩერდება. კუპეს თანამგზავრები ჩარბიან, ხან ძეხვს ყიდულობენ, ხან მჟავე კიტრს, უფრო შეძლებულნი – არაყს. მე ჩემთვის ვზივარ, არსად ჩავდივარ. ესეც პატარა ეშმაკობაა, არ მინდა ვინმემ იფიქროს, აი, ჩავიდა, მარტომ ისადილა და ახლა კმაყოფილი ისვენებსო.

უცებ ერთი რუსის ყმაწვილი გონს მოეგო, შენ რაა, გაუნძრევლად რომ ზიხარ, ამდენ ხანს ჭამა არ მოგინდაო? მაშინ გავბედე და მორცხვად ამოვთქვი, რა ვქნა, ჯიბეში თაგვი შიმშილით სულს გააფრთხობს-მეთქი.

— მერე ხმას ვერ ამოიღებ! – მიყვირა რუსმა.

წუთში მთელმა ვაგონმა შეიტყო, ვიღაც ახალგაზრდა მოდის, ჯიბეში კაპიკი არ უჭყავის და მშიერიაო. დაიძრა კუპეებიდან დელეგაციები, მოაქვთ დედალი, ძეხვი, ღვეზელი, ნამცხვარი და რაგინდარა. სად შემიძლია ამდენის ჭამა. რაღა ბევრი გავაგრძელო, პენზაც გავიარეთ, მრავალი სხვა ქალაქიც. ვაგონის გამცილებელსაც დავავიწყდი, სამაგიეროდ მგზავრებს ბოლომდე ვახსოვდი და უშურველად მამარაგებდნენ. ცელინოგრადამდე რომ ჩავაღწიე, მგონი, წონაში მომატებელიც ვიყავი.

ქალაქი მაშინ მშენებარე იყო. აქამდე უბრალო საოლქო ცენტრი, ნიკიტა ხრუშჩოვის მოწადინებით, მთელი მხარის დედაქალაქი გახდა და სახეც სათანადო უნდა მიეღო (დღეს ის ყაზახეთის დედაქალაქი ასტანაა). რაღაც უზარმაზარი დაწესებულება ხელმძღვანელობდა მთელი მხარის ყამირს და იქ მივაკითხე. ახალგაზრდა დამხვდა. ასე მითხრა, გიჯობს, ძმობილო, ხელობა რაიმე შეიძინო, ხელფასიც კარგი გექნება და წანწალსაც მოეშვებიო. აჰა, შენ თუმანი, შიმშილით რომ არ მოკვდე, კოკჩეტავის ოლქის სამხრეთ-დასავლეთით არის ერთი ლამაზი რაიცენტრი, ჩისტოპოლიე, იქ სასწავლებელია, ტრაქტორისტი

გამოხვალ, ან კომბაინერი, გაჭმევენ-გასმევენ და მერე ალბათ ცოლსაც შეირთავო.

მადლობის მეტი რა მეთქმოდა.

გამატანა წერილი და დავადექი გზას.

ეს ყაზახეთი ხომ მთელი პლანეტაა. იმოდენა სივრცეებზე გადაჭიმულა, გეგონება, არასოდეს თავდებაო. მატარებლიდან სულ ერთფეროვანი პეიზაჟი ჩანს, მაგრამ ფეხით თუ გაივლი, ამ ერთფეროვნებაში მშვენიერებასაც აღმოაჩენ და გული გაგეხსნება... დავასკვენი, რომ ეს დედამიწა თავისი მრავალფეროვნებით ღმერთმა გვიბოძა და ამით გვითხრა, მშვენიერებას იმდენი გამოვლენა აქვს, ადამიანის თვალს არასოდეს მოსწყინდებაო.

კარგა შორი მანძილი გავიარე. ჯერ მატარებლით ატბასარამდე, მერე ვიწროლიანდაგიანით ტახტაბროდამდე, ხან სამგზავროთი მივდიოდი, ხან საბარგოთი, ფული არც მქონდა და არც არავინ კითხულობდა. ტრანსპორტი ჭირდა და თუ რამით გაემგზავრებოდი, დამშლელი არავინ იყო. შემდეგ გამვლელ მანქანებზე ვიმგზავრე, სტეპებზე მტვრის ბუღს ვაყენებდით... ბოლოს ფეხითაც მომიწია ვრცელი მინდვრების გადაკვეთა და ამ დროს, როგორღაც ზურგზე მოკიდებული ჩანთიდან ამომივარდა ორი საერთო რვეული, თავიდან ბოლომდე ფანტასტიკური რომანით გაჭედილი... მე კი დამენანა, მაგრამ ახლა ვიცი, მკითხველს არაფერი აქვს დასანანი...

ვრცელი ტრამალის ბოლოს მართლაც გამოჩნდა პატარა დასახლება და იმას ერქვა ჩისტოპოლიე...

58

ერთი პატარა რაიცენტრი იყო, უმთავრესად სლავებით დასახლებული. ყაზახი მხოლოდ ერთხელ ვნახე, სტეპში იურტა შევნიშნე და იმასთან იდგა. დასახლებას სულ რამდენიმე ქუჩა ჰქონდა, რუსული, თეთრი „ხატები“ გრძლად ჩამწკრივებულიყო.

ჩვენი სასწავლებელი განაპირას იდგა. აქ ტრაქტორისტებსა და კომბაინერებს ამზადებდნენ, უფრო სწორად, სწავლა

სექტემბერში დაიწყებოდა, მანამადე მთელი თვე წინ გვქონდა. სასადილოს ტალონებით გვამარაგებდნენ და სამუშაოდ კალოზე დავყავდით. იქ ხორბლის გორები ეყარა და ფანერის ნიჩბებით ვხვეტავდით. ყველაფერი ღია ცის ქვეშ ხდებოდა და მე სულ მაღლა ვიყურებოდი, ახლა რომ თქეში წამოვიდეს, ხომ დაიღუპა წლის მოსავალი-მეთქი.

სასწავლებელი ერთსართულიან, გრძელ ფარდულს წარმოადგენდა. ოთახში ოთხნი მოვთავსდით. ბნელში ისეთი ქავილი ამიტყდა, კინაღამ ჭერამდე ავხტი. შუქი ავანთე და რას ვხედავ, ლოგინს ჩემი არისტოკრატული სისხლით გატიკნული ბაღლინჯო შესეოდა და ახლა, საკბილო სად გაგვიქრაო, თავგზააბნეულნი აქეთ-იქით დარბოდნენ.

დავფერთხე ზეწარი და დავაფინე მაგიდაზე. არ ვიცი, რა ისეთი გემრიელი სასუსნავი ვიყავი, საათიც არ გასულა, ჯარისკაცებივით დარაზმულებმა მაგიდაზე ამომაკითხეს. ასეთ შეტევას ვერ გავუძელი და ფარ-ხმალი დავყარე. დერეფნის ბოლოს მიტოვებულ საბილიარდოში ერთი დანჯღრეული ბილიარდი იდგა და იმაზე გადავბარგდი. მტერმა აქ ვეღარ მომაგნო და როგორღაც დავიძინე.

გაბრაზებულმა დილით დავწერე ფელეტონი – „კლოპ“. ვითომდა ოცდამეორე საუკუნის მიჯნაზე მავანმა მოქალაქემ თავის ბინაში აღმოაჩინა კაცობრიობისათვის დიდი ხნის უცნობი, საუკუნის წინ გადაშენებული მწერი, რაც სენსაციის საბაბი გახდა. ამ სასწაულის სანახავად ქვეყნიერების ყველა კუთხიდან მოცვივდნენ თეთრწვეროსანი მეცნიერ-აკადემიკოსები, იმსჯელეს, საიდან გაჩნდა ეს რელიქტური არსებაო. მოიწვიეს არქეოლოგები და დაიწყეს გათხრები. მძიმე შრომის შემდეგ მიაგნეს სასწავლებლის ნანგრევებს, აღმოაჩინეს ბაღლინჯოების სამარხი და ჩვენი, ესე იგი, ყოფილი მოსწავლეების ძვლებამდე დახრული გვამები. ოდესღაც, დაასკვნეს მეცნიერებმა, აქ სასწავლებელი არსებობდა, მაგრამ ჯან-ღონით სავსე ტრაქტორისტები და მეკომბაინეები ბაღლინჯოებს შეუსანსლავთო.

ავიღე ეს ჩემი ნაღვაწი და ადგილობრივ გაზეთში მივარბენინე. მეორე დღესვე დამიბეჭდეს. ეგეთი ფელეტონები ამ

მიყრუებულ ტრამალებში ალბათ იშვიათი რამ გახლდათ და მომდევნო დღეს სასწავლებელში ადგილობრივი ჩინოსანი მილიცია გვეწვია. სათითაოდ გამოგვკითხეს, ვინა ხართ და რას წარმოადგენთო. მთელი ეს ცირკი იმიტომ მოაწყვეს, ჩემთვის თვალი შეევლოთ. თურმე გამოჩნდა წერაატანილი კაცი, რომელსაც წერა ცოდნია, ეს კი ამ ჭაობისათვის საშიში იყო. თქმით არაფერი უთქვამთ, მაგრამ დირექტორს რომ შევძულდი, ეს უმალ გამოჩნდა, თუმცა, ჩემს ამხანაგებს, მგონი, რაც დირექტორს ვძულდებოდი, მით უფრო ვუყვარდებოდი... ისე, კაცმა რომ თქვას, ასპარეზი მეხსნებოდა. ერთ წელიწადში ტრაქტორისტი გავხდებოდი, ხუთ წელიწადში ოლქის თავკაცი, კიდევ ხუთში – მხარისა, მერე – რესპუბლიკისა და, ბოლოს, ქვეყნისაც... ჩემი კეთილი გულის ამბავი რომ ვიცოდი, ხომ ავაყვავებდი საბჭოეთის დიად ქვეყანას...

ოღონდაც, ჩემს ფერადოვან ფანტაზიას ეს გაშლილი ტრამალები და ტრაქტორები ვერა და ვერ აკმაყოფილებდნენ. გავხედავდი შორეულ სივრცეებს, იქ, ჰორიზონტებს მიღმა აზიის მრავალი ქვეყანა იყო, იმათ იქით ვრცელი ოკეანეები, უფრო იქით, ლათინური ამერიკის სამყარო, რომელიც ამდენი კითხვის შემდეგ ჟიულ ვერნის გმირებზე უკეთ ვიცოდი, მაგრამ არა იმდენად, რომ რეალობის გრძნობა აღმძროდა.

ვერ შედგა ჩემი ტრაქტორისტობა. ზუსტად სწავლის დაწყების წინ დირექტორის გული გავახარე. ეს საწყალი კაცი, რომელსაც თვით წიგნიერება თავზარსა სცემდა, გავაბედნიერე და პატარა ჩისტოპოლიედან გავქრი... ჭუჭყიან და ულაზათო კოკჩეტავში ჩავედი, მატარებელში ჩავჯექი და მშვიდობა არც დამიბარებია, ისე გავუტიე ალმა-ათისაკენ.

გავიარე ცელინოგრადი და ყარაგანდის მისადგომებთან ერთი რუსი მეკითხება, რა გვარი ხარო. პასუხი რომ მოისმინა, ოო! – ცნობილი გვარიაო, წამოიძახა. პირი დავაღე. ნუ მიწყენენ ჩემი სახლიკაცები და მსოფლიოში დიდად ცნობილი ჩვენი მოგვარე მე არ გამეგონა. აგერ, მე თუ გავხდებოდი „პროლეტარიატის ბელადი“, მაშინ კიდევ ჰო...

— ბუთუ ქირია თუ გაგიგონია? – მკითხა უცნობმა. – ბუთუს

სახელი მთელ ყაზახეთში ყველას პირზე აკერია!

ზუგდიდში, ჩემი კარის მეზობლის, იაკოს შვილი იყო ბუთუ. ამ ოჯახში ბევრი გოგო-ბიჭი იზრდებოდა და უმრავლესობას ტრაგიკული ბედი ეწია. ბუთუ მართლაც გამორჩეული ვინმე იყო, კოლოსალური ღონის კაცი, ალბათ, ცნობილ ივანე პოდდუბნის ტოლს არ დაუდებდა. ცოლი ჰყავდა ბერძენი და ის რომ გადაასახლეს, ბუთუც თან გაჰყვა. უწყინარი კაცი იყო, მაგრამ თუ გაავდებოდა, წინ ვერავინ დაუდგებოდა. ოცდაათი ჩეჩენი გალახაო, ის კაცი მიყვებოდა, ერთი კი მიეპარა და ზურგში ხანჯალი ჩასცაო... მის ძალ-ღონესა და კაცობაზე ლეგენდები დადისო...

ამ საუბარში ყარაგანდაც უკან მოვიტოვეთ, ბალხაშისპირეთსაც ჩავუარეთ და ალა-თაუს შორეული მთებიც გამოჩნდა.

იმ დღეს ალმა-ათაში სეირნობას მოვუნდი. ლამაზი ქალაქი ყოფილა, მწვანე ნარგავებში ჩაფლული. ხეებზე ციყვები დახტოდნენ. ამინდიც კარგი დამხვდა, სასეირნოდ განგაწყობდა. ოღონდ ამ ქალაქში მე არავინ მელოდა და მოცდა არ შემეძლო. ბოლო ფულით ვიყიდე პური, ძეხვი, კარაქი და ერთი ბოთლი ლიმონათი. სანოვაგე ბადურაში ჩავდევი, ავიღე ბილეთი კაპჩაგაიმდე და მდინარე ილისაკენ გავემგზავრე.

59

კაპჩაგაის ახლანდელი რუკით ვამბობ, თორემ სადგურს, მახსოვს ილიისკი ერქვა. რუკაზე ახლა საკმაოდ დიდი კაპჩაგაის წყალსაცავია აღნიშნული. იმ დროს მსგავსი არაფერი მინახავს. პატარა, მიტოვებულ რკინიგზის სადგურში ჩამოვედი, ხიდზე გადავედი და ნელ-ნელა შევუყევი გზას მდინარის გასწვრივ, აღმოსავლეთისაკენ.

უკვე ნაშუადღევი იყო და ძალიან შორს ვერც წავიდოდი. მთლად თვალებდავსებული როდი გახლდით. სასკოლო რუკის დონეზე ვიცოდი, რომ მდინარე ილი ჩინეთში იწყება და ბალხაშში ჩაედინება, რომ სამხრეთისაკენ რაც აღმართულა, ილისმიღმეთის ალათაუს ქედია, ხოლო ჩრდილოეთით, ველებს მიღ-

მა მცირე გორაკების წყება რომ ბუნდოვანებაში იკარგება, ჯუნ-გარის ქედის მცირე განშტოებათა ბოლო ტალღებია. ეს ცოდნა მხოლოდ იმისათვის ვარგა, რომ ჰორიზონტის ოთხი მხარე გავარჩიო, თორემ წარმოდგენაც არა მაქვს, აგერ, ორ კილო-მეტრზე რა დამხვდება.

მწირებალახიანი რამდენიმე გორაკი გადავლახე და შე-საღამოვდა კიდეც. ძნელია, როცა უცხო ცის ქვეშ დაგიღამდე-ბა და ისიც არ იცი, სად უნდა შეაფარო თავი და საერთოდ ახლო-მახლო ვინმე სახლობს თუ არა. მდინარისაკენ ჩავუხვიე. ღამე, მდინარესთან უფრო ცივა, სამაგიეროდ მდინარე მოძრავია, ცოცხალივითაა, ხმაურობს და შიშს აქარწყლებს. ტრიალი მინ-დორი კი, სადაც ჰორიზონტის კიდეზე ერთადერთი სატრენ-გულაციო კოშკი აღმართულა, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ცივილიზაცია დაღუპულა და მარტოდმარტო შენ დარ-ჩენილხარ ცისქვეშეთში.

ამჯერად გამიმართლა. წყლის ზედაპირმა რომ გაიბრწყი-ნა, იქვე წყლისპირას სინათლე გაკრთა. გორაკების უბეში ტყის კორომია შეყუჟული, სადაც ციცქნა კოტეჯები ჩამალულა. ერთი კარიდან ლამფის შუქმა გამოიხედა და სინათლისაკენ წავედი.

— ვინა ხარ? – დინჯად იკითხა ხნიერმა კაცმა.

— გამვლელი, შემომაღამდა! – მშვიდად შევეპასუხე.

მეტი არაფერი უკითხავს. მერე გავიგე, ილისპირეთში გამ-ვლელს არავინ ეკითხება, სად მიდიხარ და რისთვისო. აქ მო-სახლე იშვიათია და გაჭირვებული ვინმე თუ ჩაივლის, უფრო გამოქცეული პატიმარია, სადმე გადამალვას რომ ესწრაფვის. ყოველივე ეს ჯერ არ ვიცოდი, მაგრამ ვინც შემხვდა, ხელი არავის უკრავს.

მასპინძელმა ღუმელი დაანთო. ღამღამობით ციოდა და სითბო მესიამოვნა. ჩაი დამისხა, მეტი არც თვითონ ჰქონდა რამე. საბანი არ შემოუთავაზებია, მერხზე ვიყურყუტე.

დილაუთენია დავადექი გზას. როცა თავს ჯანმრთელად გრძნობ, პირველ დღეს ოც კილომეტერს იოლად გაივლი, მაგ-რამ მეორე დღეს ამდენივეს ვერ შეძლებ. წყლისპირს სიარული

სასიამოვნო იყო. მღვრიე და წყალუხვი მდინარე შხუოდა, მინა-ნავებდა... ერთი-ორჯერ დაბალი ბარჟები ვნახე, აღმა მიცუ-რავდნენ, იქნებ ტვირთი მიჰქონდათ ჩინეთისაკენ.

ხანდახან ნაპირს გავშორდებოდი, ტრიალი მინდორით გზის შემოკლებას ვცდილობდი. მაგიდასავით მოსწორებული იყო, ხეშეში ბალახით დაფარული. მთელი დღე მივდიოდი და სულიერი არ შემხვედრია, არც სამანქანო გზა აჩნდა სადმე, არც პირუტყვის ბილიკი.

მერე ნაპირზე კვამლი შევნიშნე. პატარა სახლი იდგა. მდი-ნარის გასწვრივ, ყოველ ოც-ოცდაათ კილომეტრზე რუსი მება-კენეები სახლობდნენ. მათ მდინარის ფარვატერის გასინჯვა და ბაკენების სწორად დაყენება ევალებოდათ, რათა გემები მეჩე-ჩებზე არ შემჯდარიყვნენ.

ქალი და კაცი გამომეგებნენ, შემიპატიჟეს, მასადილეს. არც ამათ უკითხავთ, სად მიდიხარ და რისთვისო. უკვე ბნელდებოდა და ღამის სათევი შემომთავაზეს, პირდაპირ იატაკზე დამიგეს ფარდაგი და იმაზე წამოვწექი. დილით კარგად მასაუზმეს და ლიმონათის ბოთლში რძე ჩამისხეს. შემდგომ, სხვა მებაკენეებ-მა გამაფრთხილეს, რძე წყურვილს ვერ მოგიკლავს, თან აგეჭ-რება, ჯობია უშაქრო ჩაი ჩაისხა, გზაში არ მოგაწყურებსო.

ჩემი ბადურა აქამდე ხელუხლებელი მომქონდა. თურმე წუწკმა მურამ დასუნა კარაქის ნაჭერი, ცოტათი მოტლიკა და ესიამოვნა. ამ ძიას გემრიელი რაღაცა მოაქვსო და ამედევნა. მივდივარ ტრიალ მინდორზე, მივღიღინებ, ეს წუწკი კი არ მშორ-დება, უკან მომყვება, რაღაცის იმედი აქვს.

ბილიკმა მდინარისაკენ, თავდაღმართზე გადაუხვია. ორი დიდი ფარეხი დავინახე. სავსეა ცხვრებით, მათი პეტელი ისმის. ვიფიქრე, მწყემსებია, მივესალმები, მოვიკითხავ... თან წავიმუ-საიფებ, თან რძეს დამალევინებენ, ან ყველს მაჭმევენ-მეთქი... ბილიკს თამამად ჩავუყევი და პირველ ფარეხს მივუახლოვდი.

ვხედავ, ათიოდე ბომბორა ძაღლი ტრიალებს, არის ერთი ყეფა-წკმუტუნი, კაციშვილი კი არსადა ჩანს. ერთი ვეშაპი, მოზვერის ხელა მაინც იქნება, გამოქანდა. ფეხებით მანძილს ისე მოზომავს, ისეთ ნახტომებს აკეთებს, წამიც და შემომაფ-

რინდება... თუ დამეტაკა, გადარჩენის მისხალი შანსიც აღარ დამ-
რჩენია. ყველაფერი ისე სწრაფად ხდება, რომ შეშინებასაც ვერ
ვასწრებ. შტერივით ვდგავარ და ხელები ძირს ჩამომიყრია.

დარჩა ათი მეტრი... ხუთი... ის კი ჩუმად, უხმოდ მოქრის
და ესაა ყველაზე საშინელი... მოქრის და პირდაპირ თვალებში
მიყურებს... გათავდა!.. და ამ დროს უცებ მზერა გადაანაცვლა...
ჩემს უკან მურა აწკავწკავდა. მოვიხედე, მურას კუდი ამოუძუ-
ებია და თავზარდაცემული წკავწკავით გარბის. ჩემმა მრისხანე
მტერმა გრიგალივით ჩამიქროლა და იმ საცოდავს მიჰყვა... ჰა-
ერის ტალღამ კინაღამ წამაქცია.

შვებით ამოვისუნთქე. დაილოცა ის წუთი, მურამ რომ ჩემი
კარაქი ატლიკა, თორემ ეს ნადირი, ალბათ, მე გამათავებდა. არ
მობრუნდეს-მეთქი და ავჩქარდი. დანარჩენი ძაღლები, სიდიდ-
ით არანაკლებნი, აღავღავდნენ, მაგრამ ძაღლი როცა ყეფს,
იმასაც ეშინია. უხმო ძაღლია საშიში, ვერ გაიგებ გულში რა
უდევს. ამათი ყეფა-ყაყანი არაფრად ჩამიგდია, გვერდით ავუ-
არე და გავშორდი.

მთელი დღე ისე ვიარე, არავინ შემხვედრია. შეღამებულს
წყლის გადასახედზე მიტოვებული სახლი დავინახე და თავი
შევაფარე. ჩამობნელდა, წკვარამში არაფერი ჩანდა. შემცივდა.

მანქანის გუგუნი მომესმა. სახლს „ვილისი“ მოადგა. გავე-
გებე. გაოცებით შემათვალიერეს, აქ რას აკეთებო. შემომაღამ-
და და გასათევი ადგილი მეტი ვერაფერი ვიპოვე-მეთქი. ჩვენ-
თან წამოდი, აგერ, ორ ნაბიჯზე ქოხიაო, მითხრეს. წავყევი და
მდინარის პირას მართლაც ქოხი აღმოჩნდა.

დიასახლისი ხალისით შემოგვეგება, საჭმელიც მოგვართვა
და ჩაიც აგვიდუღა. ცეცხლისპირას მივწექი, დილით კი რძის
მაგიერ, დიასახლისს უშაქრო ჩაი ვთხოვე და თან წავიღე.

დღისით მართლაც ცხელოდა, პირი მიშრებოდა. ცივი, უშაქრო
ჩაის ერთი ყლუპიც საკმარისი იყო წყურვილის მოსაკლავად.

უკაცურ ქვეყანაში მარტოობა მძინეა. თითქოს არავითარი
საშიშროება არ მოგელის. შორით შორამდე ყველაფერი მოჩანს,
მაგრამ ხომ შეიძლება ისეთ რამეს წააწყდე, ვერსად რომ ვერ
გაექცევი. ერთგან, დაფარული ორმოდან ნადირი წამოხტა. ვერ

გავიგე, რა იყო. იქნებ ახალგაზრდა ტრამალის მგელი, ანდა
მთლად ტურა. ის გულგახეთქილი გაქრა, მე ჩემი დამემართა.
ამაზეა ჭკვიანის ნათქვამი, აბსოლუტურად უშიშარი კაცი არ
არსებობს, ვაჟკაცი ისაა, შიშს რომ გადალახავს და უკან არ
დაიხევსო.

უკვე აღარც ვითვლიდი, თუ მერამდენე დღე გავიდა, რაც
გზას დავადექი. შემაღლებულზე ხეს წავაწყდი. ერთადერთი ხე
იყო მთელ ამ სივრცეში. ფოთლები აღარ შერჩენოდა, მაგრამ
კენწეროდან მოყოლებული ყოველი ტოტი და ფიჩოჩხი დახუნძ-
ლული ჰქონდა ფერადი ჭინჭებით. მივხვდი, ეს წმინდა ხე იყო
და ადგილობრივი მცხოვრებნი თაყვანსა სცემდნენ. გაღმა ნა-
პირზე მოზრდილი დასახლება გამოჩნდა. მკვიდრი სახლები ზედ
წყალთან ჩამორბოდნენ. ნაპირთან უამრავი ნავი ება. არც ყურა-
დღების მიქცევა მიცდია, არც გადასვლა, სწრაფად გავშორდი
უცხო ადგილს.

ათიოდე კილომეტრიც გავიარე და კვლავ მებაკენის სახლს
წავაწყდი. ბავშვიანი ქალი გამომეგება. ჯერაც დღენათელი იყო,
კაცი არ ჩანდა და ღამის სათევი არ მითხოვია, ისღა ვკითხე,
მომდევნო სახლამდე რა მანძილია-მეთქი. ხუთი კილომეტრი
მაინც იქნება, ოღონდ გაღმა უნდა გადახვიდეო. თუ გინდა, გა-
დაგიყვანო. ეტყობა, უცხო კაცის დატოვებას მოერიდა, იქნებ
შეეშინდა კიდეც. ახსნა ნავი და გავცურეთ. ნაპირიდან მდინარე
წყალუხვი კი ჩანდა, მაგრამ როცა ნავში ზიხარ, უფრო ფართო
და შტამბეჭდავი გეჩვენება.

გამიყვანა გაღმა ნაპირზე, მადლობა მოვახსენე და რო-
გორც ამიხსნა, ისე წავედი.

ადგილი ტყიანი აღმოჩნდა, ვიწრო, საურმე გზა მიდიოდა
და იმას მივყევი. თანდათან ბნელდებოდა. ირგვლივ ტყე-
ბუჩქნარის კედელი იდგა. ჯიბის ნათურა მქონდა, ძლივსღა
ბჟუტავდა და ვიზოგავდი.

როდის-როდის ციცქნა ქოხს წავაწყდი. კაცი გამომეგება.
აქაო, მითხრა, მარტო მე ვარ, ცოტა გაიარე, ორი კილომეტრიც
არ იქნება, კარგადაც მიგიღებენ და თან დაგაპურებენო.

ქოხს რომ გავშორდი, ბილიკი სადღაც გაქრა. ტყე გათავდა

და ქვიშის უდაბნოში აღმოვჩნდი. არაფერი ხარობდა და ფხვიერი ქვიშის მომცრო დიუნები ერთიერთმანეთზე გადადიოდა. კვალი აღარა რჩებოდა და მივხვდი, უდაბნოში გზა ამებნეოდა. ამიტომ კვლავ მდინარისაკენ შევბრუნდი.

ორი-სამი მეტრის სიმაღლის ლერწმის რაყას გადავაწყდი. ტანაყრილი, მაღლა აწვართული და შემოდგომისთვის უკვე გამოფშუტუნებული ლერწამი ისე მჭიდროდ იდგა, კედლის მეტი არაფერი ჩანდა. ყოველი მხრიდან შემომეტმასნა, შემკრა. ჯიბის ნათურა ისე ბჟუტავდა, საკუთარ ფეხებს ვეღარ ვხედავდი. შეღავათი ისღა იყო, ადვილად იმტვრეოდა. ვაწვებოდი ამ კედელს და იგი ტკაცატკუცით იმსხვრეოდა, ტანზე, ხელ-ფეხზე შემომეჯარჯვებოდა, როგორღაც ვიშორებდი და კვლავ მივიწევდი ყიამეთ სიბნელეში... ლერწმის რაყაში ჩავიკარგე, ზევით ცის ვარსკვლავები გაქრა და ვერც იმას ვვარაუდობდი, ლერწმის ეს კედელი ას მეტრზე თავდებოდა თუ ას კილომეტრზე...

ასე ჯგლეთითა და მტვრევით, ოფლად გაღვრილი და დაღლილი მივიწევდი წკვარამში და არ ვიცოდი, მომდევნო წუთს რა მელოდა. ერთხელაც გავიწიე და ჩალა-ბულით დახუნძლული ძირს გავგორდი... ნათიბ მდელოზე აღმოვჩნდი და ზემოდანაც ვარსკვლავიანი ცა გადმომეფინა.

ბნელში რამის გარჩევა ჭირდა, მაგრამ რაკი ნათიბზე ვიდექი, თივის ზვინიც სადმე აქ იქნებოდა. ცოტა გავიარე და ძროხას წავაწყდი, მშვიდად იცოხნებოდა. თივის მომცრო ზვინიც აგერ იყო. ავძვერი და შიგ ჩავიმარხე. კარგად ვერ ჩავთბუნდი, ცივი ჰაერი შიგ აღწევდა.

სამარცხვინო ამბავი გადამხდა. ამდენი ნარბენი ვიყავი და მანამდე სახედრის ყროყინი არ გამეგონა. სამეგრელოში ვირი მხოლოდ მოხეტიალე ზოოპარკში მენახა. ვწევარ ამ თივაში და მესმის, რაღაც ცხოველი საშინლად ყროყინებს. ავწევ თავს, სიბნელეში ვერაფერს ვხედავ, გარდა ძროხისა, რომელიც კვლავ მშვიდად იცოხნება. მას რაკი არ ეშინია, საშიშიც არაფერია-მეთქი, ვფიქრობ და დაძინებას ვცდილობ.

ამასობაში ირიჟრაჟა კიდეც. დახე, ძროხის უკან სახედარი დგას და გემრიელად ყროყინებს. სიცივისაგან მაძაგძაგებს და

თივაში ჯდომას აზრი არა აქვს. წამოვიწიე და თვალები მოვიფშვნიტე, ორ ნაბიჯზე ხალვათი სახლი დგას. ვაი, თავო სულელო, სადაც ძროხა იცოხნებოდა, სახლი იქ არ უნდა მეძებნა?

არ მოვერიდე, რომ მხოლოდ თენდებოდა, მივედი და კარზე დავაბრაგუნე. ახალგაზრდა დიასახლისმა გამიღო, შემიშვა. სახლში ღუმელი ენთო და თბილოდა. შე საწყალო, როგორ გაყინულხარო, მეზობელ ოთახში გამიყვანა. იქ ორ მამაკაცს ეძინა, დროაო, და ისინი წამოყარა და მე ჩამაწვინა. უმალ ჩამეძინა, ორიოდე საათი ამქვეყნისკენ არც მომიხედია.

ამასობაში დიასახლისს დრო არ დაუკარგავს. უზარმაზარი ლამბაქი კატლეტით გაუვსია და სუფრაზე შემოუდგამს. პირი დავიბანე და კარგა გემრიელად დავნაყრდით. დარჩი რამდენიმე დღე, დაისვენეო, დიასახლისი მთავაზობს. სანდომიანი, ჯანღონით სავსე ქალია. ჭკუასთან ახლო იქნებოდა, მართლაც დავრჩენილიყავი, ცოტათი მოვღონიერდებოდი, მაგრამ არ ვიცი, ეს კაცები ვინ არიან, რას ფიქრობენ... საიდანღაც მანქანა გამოტყვრა, ათიოდე კილომეტრზე კი წაგწევო, მძღოლმა შემომთავაზა და წასვლა გადავწყვიტე. დიასახლისს გული დაწყდა, მაგრამ ხელს ხომ არ მტაცებდა... არც მას, არც კაცებს არ უკითხავთ, საით მიდიხარ ან რისთვისო. იქნებ გულაგიდან გაქცეული ვეგონეთ და ამიტომაც არ მეკითხებოდნენ. ყველას თავისი გზა და მიზეზი აქვსო, ბრძნულად დასძინა ქალმა, ამით მიმახვედრა, რაღაცას კი ვხვდები, მაგრამ ჩემი ნუ გეშინიაო.

სატვირთო მანქანით ათიოდე კილომეტრიც გავიარე და მოზრდილი სოფლის განაპირას ჩამომსვეს. ვიფიქრე, ვის რაში ვჭირდები, ხელს ვინ მტაცებს-მეთქი და გვერდი არ ამიქცევია. ორღობეები აქ მაღალი კედლებისაგან შედგება, კარები შიგაა ჩატანებული. კედლების გასწვრივ არიკები მოწანწკარებენ. შეიძლება ნახევარი სოფელი გაიარო და ვერავის შეხვდე.

სოფლის ცენტრში, კლუბთან გავედი. ახალგაზრდები შეყრილან, ლაზღანდარობენ. არავისთან დალაპარაკებას არ ვაპირებ, მაგრამ მოვიქანცე და სკამზე შევისვენე. ვიღაც მუტრუკი ამეკიდა, გეტყობა მუსლიმანი არა ხარ, ჩვენი მუჰამედი ხომ ჯობია ქრისტესო. ჩხუბის არც ღონე მერჩის, არც სურვილი

მაქვს და ფრთხილად შევეპასუხე: ღმერთი ერთია ცათა შინა და ყველასა აქვს უფლება თავისი გზა იპოვოს მისკენ-მეთქი. მაინც არ მომეშვა. ძმაკაცები ამშვიდებდნენ, თავიანთ ენაზე ამუნათებდნენ.

ასაკოვანი კაცი გამოჩნდა, ბრაზით დაუცაცხანა და ისინიც გამცილდნენ. კაცი მერხზე ჩამოჯდა, ფრთხილად, გველივით შემპარავად მელაპარაკა. გამომკითხა, ვინა ხარ და საით მიდიხარო. არც ერთი მებაკენე ამას არ შემეკითხებოდა, მაგრამ სოფელი დიდია და კაცნიც სულ სხვადასხვანაირნი ვართ. თან დაღლილიც ვიყავი, წინ ცივი ღამე მელოდებოდა. მერჩივნა ტრიალ მინდორში მეთია ღამე, ვიდრე სოფლის ცენტრში, ქუჩაში. ავუხსენი, მგზავრი ვარ, ამ მხარეს ჩემი ახლობელი ჯარში მსახურობს, იმასთან მივდიოდი, მაგრამ გზა ამებნა-მეთქი.

სტუმარი ღვთისაა, ქუჩაში ხომ არ დაგტოვებ, ჩემთან წამოდიო, შემომთავაზა.

წავყევი, მავახშმა, დამაძინა და დილით თავზე მილიცია დამაყენა...

60

არც არაფერი უკითხავთ, ჩამსვეს მანქანაში და მიმაბრძანეს რაიცენტრში. პირველად იქ ჩასვლისას გავიგე, რომ თურმე უიგურების რაიონულ ცენტრ ჩუნჯაში ვიმყოფები. ოღონდ ამის გარკვევა წინასწარი პატიმრობის საკანში მომიწია. რაიცენტრს დიდი სოფელი უფრო ეთქმოდა, ვიდრე პატარა ქალაქი. ციხეც შესაფერისი იყო. ერთსართულიანი, უსახური ფარდული, სადაც, თუ არ ვცდები, ერთადერთი საკანი ჰქონდათ და რაიონში ვისაც დააპატიმრებდნენ, ყველანი აქ მოჰყავდათ.

პირველად რომ დამკითხეს, ავიჩემე, ყამირის მკაცრ კლიმატს ვერ გავუძელი და სამხრეთში სამუშაოს საძებრად ჩამოვეხეტე-მეთქი. რაიონის პროკურორი სოლიდური ასაკისა და კომპლექციის მანდილოსანი ბრძანდებოდა. ვინცა ხარ, მაწანწალა ხარ, უსაქმური... წანწალის გამო ამა და ამ კოდექსის ამა და ამ მუხლის თანახმად შემიძლია ციხეში ჩაგაყუდოო, მიყვიროდა, მე კი თავს ვუკანტურებდი. ქალი რომ აყვირდება, მასთან დიალოგს აზრი არა აქვს. იჯექი ახლა საკანში, გავაგზავნი დეპეშას ჩისტოპოლიეში და თუ მოიტყუილე, ვაი შენი ტყავის ბრალიო, დამემუქრა.

ისე, ჩვენი საკანი არ იყო ყველაზე უარესი დედამიწის ზურგზე არსებულ საკნებს შორის. აქედან გასვლა ჭირდა, თორემ ნამეტანი შინაურულად ვიყავით და მთელ დღეს მასლაათში ვატარებდით. უმთავრესად მეწვრილმანე აფერისტები ისხდნენ, მაგრამ ორი განსხვავებული პატიმარიც გვყავდა. ერთი იყო უბედური მამა, რომელმაც საკუთარი მანქანით საკუთარივე ხუთი წლის შვილი გაიტანა. მე თუ მკითხავთ, ასეთი კაცი იმდენად დასჯილია, ციხე მისთვის ზედმეტია. მეორე იყო ტანმაღალი, ელამი ბერიკაცი საზღვრისპირა სოფელ კოლჟატიდან, თვითონაც თავისი სოფლის მსგავსი სახელი ერქვა.

ერთი უწყინარი ვინმე იყო, რწყილს ფეხს არ დაადგამდა, მაგრამ ეტყობა ვიღაცამ ძალიან აწყენინა. მანაც აიღო და თავში ნაჯახი ხეთქა. მარწმუნებდა, სრულიად უდანაშაულო ვარო, ტყუილი დამაბრალესო. მე ვეთანხმებოდი, არ მჯერა შენისთანა კაცის დანაშაული, იმედია, ყველაფერი გაირკვევა და ხვალ-ზეგ გაგიშვებენ-მეთქი. ამიტომაც მოვწონდი, ალბათ, და ხანდახან სოფლიდან ჩამოტანილ ამანათს მეც მიწილადებდა.

საქმე არაფერი გვქონდა, ენის ლესვის მეტი. კაცს იმაზე უფრო არაფერი უყვარს, როგორმე საიდუმლო დაფქვას, განსაკუთრებით – სახელმწიფო. ეს ჩემი გულუბრყვილო კოლჟატელი ყოველდღე მიყვებოდა, რომ მისი სოფელი ზედ საზღვრის პირასაა, რომ საზღვარზე მავთულხლართია, ჩვეულებრივი ღობის სიმაღლისა, რომ ზოგან კოშკურები დგას, იქიდან ხანდახან პროჟექტორები ანათებენ, რომ მავთულხლართის გასწვრივ მიწა მოხნულია, რათა კვალი დააჩნდეს და ასე შემდეგ. ერთი კვირის მანძილზე მთელი საზღვარი შევისწავლე და ალბათ თვალდახუჭულიც გავაგნებდი.

ბოლოს და ბოლოს მოვიდა ცნობა ჩისტოპოლიედან. სასწავლებლის გულნამცეცა დირექტორი ჯავრს იმით იყრიდა, რომ იწერებოდა, საბან-ლეიბი არ ჩამაბარა და ისე წავიდაო. პრო-

კურორს ავუხსენი, ზურგზე არ ამიკიდებია და არ წამომიღია, თავისთან მოიძიოს-მეთქი. ხელი ჩაიქნია, სულელია ვიღაცაო და წუთში სამსახური გამიჩარხა.

რაიცენტრის ყველაზე დიდ საწარმოში, სახერხ ქარხანაში გამაგზავნა. იმუშავე და ჭკვიანად იყავი, აქეთ-იქით ნუ დაწანწალებ, ცოლი შეირთე, დაოჯახდი და ადგილზე დამაგრდიო. ამ რჩევას ვერ მივიღებდი, რადგან ყალიმის ფული კი არა, საჭმლის ფული არა მქონდა.

სახერხი ქარხანა ერთი მოცუცქნული დაწესებულება გახლდათ. კანტორა ჰქონდა სამაგიეროდ კარგი. მეორე სართულზე დირექტორის კაბინეტი მთლად შესანიშნავი რამ იყო. იქ შავი დერმატინით გადაკრული დივანი იდგა, რომელზეც მე ვიძინებდი და, რაც მთავარია, კეთილ და სიმპათიურ დირექტორს შექსპირის მრავალტომეული აღმოაჩნდა, რამაც საფუძველი მოგვცა მაღალინტელექტუალური საუბრებისათვის. ყველაფერი კარგად მიდიოდა, გარდა იმისა, რომ სერიოზულ ხელფასამდე ვერაფრით მივაღწიე. დღისით რასაც გამოვიმუშავებდი, საღამოს ავანსად გამომიწერდა, სხვანაირად ალბათ ფეხებს გავჭიმავდი. თანაც აქაურ სასადილოში გემრიელი კერძები ჰქონდათ და საერთოდ უიგურები მეტად სიმპათიური და კარგი ხალხია.

ერთმა უიგურმა ოჯახში მიმიპატიჟა. პატარა, კოხტა სახლი ჰქონდა. შესასვლელთანვე ღუმელი გიზგიზებდა. საკვამლე მილი იატაკის ქვეშ გადიოდა. ასე, რომ მთელი იატაკი თანაბრად თბებოდა. ზედ ლამაზი ხალიჩა ეფინა. ფეხზე გავიხადე და ხალიჩაზე გავიარე. აღმოსავლურად ფეხის მორთხმა გამიჭირდა და ნახევრად წამოწოლილი აღმოვჩნდი. უზარმაზარი ხონჩით შემოიტანეს ბოსტნეულის ტოლმა. სათითაოდ ხელით იღებდნენ და მიირთმევდნენ. ვიფიქრე, სამეგრელოში ხომ ღომსაც ხელითა ვჭამ, ჩანგალს არ ვხმარობ, აქაც რა უშავს-მეთქი და მშვენივრად მოვულხინე. თავაზიანმა მასპინძელმა თბილი წყალი მომიტანა და გაქონილი თითები შიგ ჩამაბანინა.

სხვათა შორის, წლით ადრე ჩინეთში შიმშილობა ყოფილა. ხალხი დაძრულა მოსაზღვრე რაიონიდან და ამ მიდამოებს

მოსდგომია. მთელ ყაზახეთში გაუნაწილებიათ, მცირე ნაწილი აქაც ჩარჩენილა. ამათ უიგურული ანსამბლი ჩამოუყალიბებიათ და კონცერტზე დამპატიჟეს. ბევრი ტაში ვუკარი, ოღონდ ეს უცნაური ბგერები ჩემს ყურთასმენას ისე ჩაესმოდა, თითქოს უცხოპლანეტელთა მუსიკას ვუსმენდი.

მოკლედ, ვცხოვრობდი მშვიდად და წყნარად, მივირთმევდი აღმოსავლურ კერძებს და ჩემს დირექტორთან ვსაუბრობდი შექსპირის მაღალ შტილზე. ამ პატიოსან კაცს შექსპირის ლამაზყდიანი ტომები ნამდვილად ჰქონდა, ოღონდ შიგ რა ეწერა, ის არ გაეგებოდა.

ამასობაში ჩამწერეს კიდეც, პასპორტში ბეჭედი გაჩნდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ შემეძლო საზღვრისპირა რაიონში მევლო, თუნდაც ვსტუმრებოდი იმ ჩემს ნაცნობ კოლჟატელს. სიტყვაზე ვამბობ, თორემ ის საცოდავი არც გამოუშვიათ და მგონი საოლქო ციხეში გადაიყვანეს.

სწორედ ის შემოდგომა იდგა, როცა კარიბის კრიზისი გამწვავდა და ორი სუპერსახელმწიფო ატომური ომის საფრთხის წინაშე დადგა. მაშინ გავიფიქრე, რომ გავიპარო, სხვა სახელმწიფოში აღმოვჩნდები და ძალაუნებურად დეზერტირი გავხდები, ამასობაში ვინ იცის, ჩემებს რა დაემართებათ-მეთქი.

მადლობა ღმერთს, მაშინ ვიღაცას ტვინი ეყო, კატასტროფა აეცილებინა!

61

ჩუნჯის აღმოსავლეთით, ათიოდე კილომეტრზე მესაზღვრეთა პიკეტი იდგა. იქიდან იწყებოდა აკრძალული ზონა და ვინც ამ რაიონში ჩაწერილი არ იყო, საშვის გარეშე იქით ვერ გაემგზავრებოდა.

უკვე ზამთარი ახლოვდებოდა და ჩვენს დაწესებულებას შეშაზე ზრუნვის დრო დაუდგა. რა შეშა უნდა იშოვო ამ ნახევარუდაბნოში. ერთადერთი ხე, რაც აქ ხარობს, საქსაულია. ატმის სიმაღლისა იზრდება. მოსაჭრელად ცული არა სჭირდება, რა სიმსხოც არ უნდა იყოს, მოწევ და ტკაცანით გადატყდება.

კეტმენის ქედიდან მდინარე ილიმდე ვრცელი დაბლობი ეშ-

ვება. აქ ზოგან მლაშე ჭაობია, ზოგან ქვიშიანი უდაბნო, მაგრამ უმთავრესად საქსაულის ტყეებია. მოდიან მანქანებით, ამტვრევენ და მიაქვთ.

ერთხელ გავყევი, მესაზღვრეთა პიკეტი საბუთებს გვისინჯავს, ჩვენ აქაურები ვართ და მგზავრობის უფლება გვაქვს. მეორეჯერაც გავემგზავრე, მანქანა საღამომდე ძლივს დავტვირთეთ.

ჩემს კეთილ დირექტორს ვეუბნები, რაღა აქეთ-იქით ვირბინო. დავრჩები იქ ღამე, დილამდე საკმაო შეშას მოვაგროვებ, გამოგზავნი მანქანას, დავტვირთავთ და იოლად წამოვიღებთ-მეთქი. გულუბრყვილო კაცი იყო და დამეთანხმა. უმორჩილეს ბოდიშსა და პატიების თხოვნას შევუთვლიდი, რომ შემეძლოს. ვინ იცის, რა უსიამოვნება გადახდა ამ თანხმობის გამო. რამდენი ვინმე დასჯილა დიად საბჭოეთში, აქაოდა, სიფრთხილე რატომ მოადუნეო. კაი ბიჭი ვჩანდი, შექსპირს ვკითხულობდი და იმას საიდან ეცოდინებოდა, მაო ძედუნის ბადალი პრეტენზიები თუ მექნებოდა.

ასე იყო თუ ისე, ცოტა საგზალი შევიძინე. ბევრი რომ წამეღო, ეჭვს გამოიწვევდა. ისედაც, ჩემი მათხოვრული ხელფასი რას გაწვდებოდა. მანქანაში რომ ჩავჯექი, ჯიბეში ხურდაღა მეყარა.

გავცდით საკონტროლო პუნქტს. შევედით საქსაულის ტყეში. ტყეს ვამბობ, თორემ ეს მოკლე, კვანჯღარა და უკვე უფოთლო ხეები შორი-შორსაა მიმოფანტული და სივრცეს ათ მეტრზე ვერ ფარავს. მივესიეთ, დავამტვრიეთ და მანქანა დავტვირთეთ. დილამდე ერთ მანქანასაც მოვაგროვებ-მეთქი, ამათაც დავუბარე. ახლაც მიკვირს, ზამთრის პირს, გვიან შემოდგომაზე, როცა ღამღამობით საკმაოდ ციოდა, მარტოდმარტო, უიარაღოდ რად დავრჩებოდი უკიდეგანო, დაუსახლებელ მხარეში, სადაც შესაძლებელია მგლის ხროვამ შენი კვალი აიღოს და დილით მოსულ მანქანას ძვლებიც არ დახვდეს.

მოკლედ, დატვირთული მანქანა გამცილდა. საათის ისარი უჩვენებდა საღამოს ექვსს, იდგა 1961 წლის 20 ნოემბერი.

ანტიკური ავტორი ამ შემთხვევაში მაღალფარდოვნად მოუხმობდა მუზას და შეევედრებოდა, შემეწიე და ბრტყელ-

ბრტყელი სიტყვები შემახსენე, რათა ჩვენი ეს მოსაწყენი თხრობა შევაფერადოო. მუზა იქით იყოს და იმაზე მძიმე ღამე არც არასოდეს გადამიტანია. ადრეც ვთქვი, ერთი სუსტი, უღონო ბიჭი ვიყავი. ჩხუბში ათი ჩემი თანატოლიდან ცხრა მაინც მომერეოდა, თუ ათიოდე ვერა. არადა, განა ბევრი დაიძებნებოდა იმ ღონიერ და ტალიკ-ტალიკ ბიჭებში ისეთი, ასე თავგანწირვით და, ტრაბახში ნურავინ ჩამომართმევს, უშიშრად რომ დასდგომოდა ცენტრალური აზიის ველურ სივრცეებს...

თანდათან ბინდი მუქდება. ჩრდილოეთით, სადაც მდინარე იგულისხმება, შუქი არსად ჭიატობს. სამხრეთით, კეტმენის ქედის გასწვრივ, მთებიდან წყაროები რომ ჩამოედინება, ერთიმეორის მიყოლებით გირლიანდებად აჩახჩახდა სოფლები, ბოლო სოფლამდე, რომელსაც ჩემი საკნის ნაცნობს თუ ვერწმუნები, კოლჟატი ჰქვია, იმის იქით კი, ორასიოდე მეტრზე, ალბათ, უკვე საზღვარი იწყება. ოღონდ ძნელია ღამებნელში მანძილის გარკვევა, როცა ახლო სინათლე შორი გგონია, შორი კი – ახლო.

სოფლებში მთებიდან გზები ჩამოდის. მანქანები პირდაპირ ჩემკენ აბრიალებენ ფარებს. ისმის კიდეც მსუბუქი გუგუნი. ბნელ მინდორში ვინღა დაგინახავს, მაგრამ შენ მაინც ფრთხილობ, გეჩვენება, რომ ის ნათურა ცოცხალი არსების თვალებია. დიახაც, გითვალთვალებს, შენს ყოველ ნაბიჯს ამოწმებს და საცაა წამოგეწევა.

ეს საზღვარია, მოქალაქევ, ამ შუაღამეს აქ რა გინდა? უფლება მაქვს არც არაფერი გამოგკითხო. პირდაპირ ავტომატის ჯერს დაგახლი, ან გაწვრთნილ ქოფაკებს დაგასევ... ცხადია, ქოფაკებიც და ავტომატის ჯერიც ჩემი ფანტაზიის ნაყოფია, მაგრამ ეს ფიქრი ნერვულ დაძაბულობას არ ანელებს.

სწრაფად მივაბიჯებ, ფეხებს ვეღარა ვგრძნობ. საქსაულის ტყე კარგა ხანია, უკან მოვიტოვე. დატკეპნილი, სწორი მინდორია. ვინმეს რომ გადავეყარო, ვერსად დავემალები. გაფიქრება და ყურისძირში მანქანის თუხთუხი ჩამესმის. ეგრევე ძირს გავიშოტე. მანქანის ფარები, სადღაც შორს რომ მეგონა, აქვე ყოფილა. ცხვირწინ ჩამიარა „ვილისმა“. შიგ ოფიცრები სხედან,

ალბათ ლაზღანდარობენ. თავზევით შუქმა გადამიარა. ბედად, მესაზღვრეები აქ არავის ელიან, ყურადღება მოუდუნდათ, ირგვლივ არ იხედებიან. ჩაიარა მანქანამ, ჩემს გულს კი დაგადუგი გააქვს.

გზას განვაგრძობ. ჩრდილო-აღმოსავლეთით პროჟექტორი აბრდღვიალდა. ეს ალბათ ის ადგილია, სადაც მდინარე საზღვარსა ჰკვეთს. ასე მგონია, იმ პროჟექტორიდან უკვე დამინახეს. ინსტინქტურად სოფლისკენ ვიღებ გეზს, ოღონდ ისე, კილომეტრზე ახლოს არ მივიდე.

სწორი მინდორიც მოთავდა. წინ ხვინჭკითა და ღორღით მოფენილი ველია, მშრალ თოვლს რომ სანახევროდ ჩაუნამქრავს. თოვლს კვალი აჩნდება, მაგრამ არ მედარდება. ხვალ თუგინდ აღმოაჩინონ, უკვე ვეღარ მომწვდებიან.

ქანცი გამიწყდა. უღონობას როდი ვჩივი, მძიმე სტრესი მაწევს. თავს ვეკითხები, სად მიდიხარ, რისთვის, იქ რა დაგხვდება? პასუხის დრო დაგვიანებულია. ეს არის ბოლო ცდა, ჩემი ცხოვრების გზა იქით შევაბრუნო, საითკენაც სული მიხმობს. უკვე კაცი ვარ და ბავშვურ ოცნებებს ვეღარ დავშორდი. თუ გავიმარჯვე, ეს იქნება გამარჯვება ზღაპრისა, თუ დავმარცხდი, წერტილი დაესმება ამ ხანგრძლივ ლტოლვას, ციდან ამ ცოდვილ მიწაზე დავეშვები.

აგერ კოლჟატიც. მთისპირას გაშლილი სოფელია. დაბალი სახლები აქედანაც ჩანს. ელნათურები ციმციმებენ. საიდანღაც მანქანების შორეული გუგუნი აღწევს. ვფრთხილობ, ხომ შეიძლება, სოფლიდან ვინმე გამოვიდეს, გარე-გარე დაწანწალებდეს. პირისახეს ყინვიანი ნიავი მისუსხავს, მაგრამ ჩქარი სიარულისაგან ტანი მიხურს.

სოფელი გვერდით მრჩება. ცის ფონზე მავთულების წყება იკვეთება. ფიქრში მიკვირს, ნუთუ იმ სიმაღლეზე უნდა გადავძვრე. გაფიქრება და მავთულები თავზევითაა. ეს ჩვეულებრივი ელექტროხაზია, ჩემს დაღლილ ტვინს კი მოეჩვენა, საზღვრის მავთულხლართიაო.

მდინარის მხრიდან პროჟექტორი თითქოს უფრო აბრდღვიალდა. მეჩვენება, რომ მე მომჩერებია. იქნებ იქ მართლაც აქვთ

რამე ხელსაწყო, ბნელში მოჩქარე ადამიანს რომ დაინახავს. იქნებ უკვე ფეხზე წამოყარეს მესაზღვრეები და აქეთ მოიჩქარიან, გზა რომ გადამიჭრან... იქნებ არც ჩქარობენ, საზღვართან საიდუმლო საფარი აქვთ, მიუახლოვდები და ცხვირწინ შავი კაცი წამოიმართება, ავტომატს გააჩხაკუნებს და მრისხანედ შემოგიღრენს: „ხელები ზევით!“ არ ასწევ ხელებს და იქვე მიგახვრიტავს. ამაზე მას პასუხს არავინ მოსთხოვს, დედაჩემი კი ვერასოდეს გაიგებს, სად დაიკარგა მისი შვილი.

უკვე კი არ მივდივარ, მივრბივარ... მცირე დაღმართს აღმართი მოსდევს, ავრბივარ და უცებ პირისპირ შევეჩეხები ჩვეულებრივ ეკლიანი მავთულის ღობეს. არც დავფიქრებულვარ, რომ შეიძლებოდა შიგ დენი ყოფილიყო. ბოძს ჩავეჭიდე, ზედ ავძვერი და გადავხტი...

მე ჩინეთის რესპუბლიკაში ვარ...

62

კვლავაც მეჩვენებოდა, რომ მდინარის მხრიდან, ცის კიდეზე აბრიალებული პროჟექტორი სწორედ მე მითვალთვალებდა. საცაა იქიდან მოვარდებოდა მესაზღვრეთა მანქანა, არ მოერიდებოდნენ საზღვრის გადალახვას და უკანვე გადამათრევდნენ. არადა, ცისქვეშეთში სამარისებური სიჩუმე იდგა. საკუთარი გულის ბაგუნი და გახშირებული სუნთქვა მესმოდა მხოლოდ. სწრაფად გავშორდი მავთულხლართს. აღმართზე გადავირბინე და ახლო სერზე გავედი. მოვიხედე უკან, მთების გასწვრივ სოფელთა ჯაჭვი ერთიმეორეს მისდევდა. მდინარის მხრიდან ისევ ის პროჟექტორი ანათებდა, წინ გადაშლილი სურათი კი მთვარის პეიზაჟს ჰგავდა... არსაიდან ხმა, არსით ძახილი!

თოვლიან ველზე გავედი. მანქანის ნაკვალევი არ აჩნდა, სამაგიეროდ საქონლისა და ადამიანთა უამრავი ნაფეხური ეტყობოდა, ალბათ მწყემსებმა თუ ჩამოდენეს ნახირი, ან იქნებ ჩინელი მესაზღვრეები მიმოდიოდნენ.

ისე ვიყავი დაღლილი, ფიქრი ტვინში ძლივს მიზოზინებდა და პირდაპირ, აღმოსავლეთის კიდეზე უზარმაზარმა მთვარემ

რომ ამოანათა, დილის მზე მეგონა და გამიხარდა, მალე გავთ-ბები-მეთქი. საათს დავხედე, ოთხის ნახევარი სრულდებოდა. მაშინღა მივხვდი, ეს უზარმაზარი, ქათქათა მნათობი მთვარეა. ცივ განთიადამდე შორი იყო.

გეზი ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ავიღე. თან მდინარეს ვუახლოვდებოდი, თან საზღვრის ხაზს ვშორდები.

უცებ სახლს წავაწყდი. ჩაბნელებული ფანჯრები შემომ-ყურებდა. ფრთხილად მივუახლოვდი. არც კარი ჰქონდა, არც ფანჯრები. ჭერიც ჩაქცეოდა. სახლი კი არა, სახლის ნანგრევე-ბი აღმოჩნდა და უწინდელ ოთახებში ჩალანარევი თოვლი ეყარა.

გავშორდი ამ სახლს და იმის იქით მეორე დავინახე, უფრო იქით – მესამე... ასე დავდიოდი სახლიდან სახლში, ყველა დანგრეული და გაპარტახებული იყო, თიხის კედლებიღა შერჩენოდათ, სახურ-ავები გადაეცალათ და შიგნით ქარს ნამქერი შეეხვეტა.

ერთგან ოთახში ბლომად ჩალა ეყარა. იქნებ ვიღაცამ დღი-სით დაიფინა დასასვენებლად.

მუხლები უკვე ძლივს მიჭერდა და ჩავცუცქდი. წამიერ ძილმა წამართვა თავი. უმალ ვიგრძენი, რომ ვიყინებოდი. გა-მოვფხიზლდი.

თავს ძალა დავატანე, ავდექი და ურმის ნაკვალევს მივყევი.

მთვარემ ამოიწია, დაპატარავდა, მაგრამ სინათლე მეტი შეეძინა და ველი თეთრად აქათქათდა, რაც მოშორებით მრუმე სიბნელეში გადადიოდა.

გავივაკე, ბოლოს თოვლი გაქრა და ფეხქვეშ ხეშეში, მშრა-ლი ბალახი გაეგო. ძაღლმა შეჰყეფა. იქ, ნახევარ კილომეტრზე, მკრთალი ჩხირები გამოჩნდა. მივხვდი, ალვის ხის მწკრივი იყო და ყეფა იქიდან ისმოდა... სიცოცხლე კვლავ არსებობდა ამ პლანეტაზე. ისე გავიხარე, თითქოს მელოდებოდნენ!

ალვის ხეებამდე სწრაფად ჩავაღწიე. ხის ძირას ბრტყელ-ბანიანი ქოხი მიყუჟულიყო. სინათლე არსაიდან ჩანდა, იგრძნო-ბოდა, რომ ბნელში ამჯერად ადამიანებს ეძინათ. ყრუ კედლის გასწვრივ გავიარე და წკვარამიდან ნაკელისა და ჩალის სუნი მეცა. იქ, უკუნში ძროხა იცოხნებოდა.

ხელების ცეცებით შევედი. ხელმარცხნივ კაცისა და ქალის

გადანალაპარაკები მომესმა და ნაბიჯი იქითკენ გადავდგი.

ხის კარის ანჯამი შემხვდა, მივაწექი და შევაღე.

შიგნით თბილოდა და დაუკითხავად შევაბიჯე.

ბნელში ვიღაცამ წამოიწია და რაღაც მკითხა. ენა არ ვიცი, რა უნდა ვუპასუხო! დუმილიც არ შეიძლება, თვითონ შეშინებ-ულმა იქნებ მუცელში დანა გამიყაროს.

ერთადერთი სიტყვა გამახსენდა, მთელ აღმოსავლეთში, სხვადასხვა ხალხებში ერთნაირად გასაგები.

— რახმეტ!

ეს მადლობას ნიშნავს, სხვას არაფერს!

ვიღაცა იატაკიდან წამოფოფხდა, ბუხარში კერია გააღვივა და ჩალა მიაყარა.

ცეცხლი აბრიალდა და ოთახი გაანათა. თვალწინ ღარიბუ-ლი სურათი გადამეშალა. ოთახი ნახევარზე მიწატკეპნილი იყო. ფიცრები მხოლოდ მეორე ნახევარზე ეგო და ლოგინები იმაზე გაეშალათ. ცალთვალა კაცი შემომყურებდა, ბუხართან კი მისი ცოლი იდგა, ისიც გაურკვეველი ასაკისა. მშობლების გვერდით გოგო-ბიჭს ეძინა. ქალი და კაცი რაღაცას მეკითხებოდნენ, ხმა-ში არც შიში იგრძნობოდა, არც გაკვირვება.

ხელები მივატყუპე და ლოყაზე ამოვიდევი, თან ძილში რომ კაცი ღრმად ამოისუნთქავს, ესეთი რამ გავაკეთე.

მიხვდნენ, რაც მინდოდა. ბავშვების გვერდით ტყაპუჭი დამიგეს და დამაწვინეს.

დილამდე რაღა რჩებოდა. ძილბურანში ჩავეშვი. ჩქამიც მესმოდა. თითქოს არც მეძინა, თან სიზმარში ვიყავი. ვითომ ზუგდიდში ვარ, დედას ვემშვიდობები და აწი მიწევს საზღვრის გადალახვა... ვწუხვარ, რომ მეორეჯერ უნდა დავადგე ამ მძიმე გზას... მასპინძლები ადრე წამოდგნენ და მეც წამოვჯექი. ბავშ-ვები წამოცვივდნენ, ცნობისმოყვარეობით მათვალიერებდნენ...

ფეხები კვლავ მიბჟუის, თითქოს არც დამისვენია, თითქოს მძიმე სამუშაო მოვამთავრე და ძვალ-რბილი მტკივა.

დიასახლისმა დაბალი ტაბლა დაგვიდგა. რძიანი ჩაი მოგვართ-ვა, ხაჭო, გამხმარი ყველის კურკუშალები... თეფშზე მოხალული ფქვილია, ეტყობა, რძე ბლომადა აქვთ, ფქვილს კი იზოგავენ...

დაღლილობისაგან მადა დაკარგული მაქვს... ერთი ქილა ბოსტნეულის კონსერვი ვაჩუქე და გამოვემშვიდობე. გარეთ გამომაცილეს, თან კაცი თითით სულ დასავლეთისკენ მიჩვენებს. ალბათ ჰგონია, ჩინეთიდან გავრბივარ, თუმცა იქნებ მირჩევდა კიდეც, აქ რა გინდა, რა დაგიკარგავს, შორი არ არის და უკან გაბრუნდიო... ყაზახი იყო ან უიგური... მე არც ერთის ენა ვიცოდი, არც მეორისა. ერთმანეთისა მხოლოდ ის გავიგეთ, რომ თვითონ მასპინძელი იყო, მე სტუმარი და როგორიც შეეძლო, ისეთი პატივი მცა...

მზე ამოვიდა, დათბა და მე ჩემს გზას დავადექი...

63

თითქოს მართლაც სხვა პლანეტაზე მოვხვდი. ოდნავ დაქანებული ტრიალი მინდვრის პირას ვიდექი. შორს, სამხრეთისკენ მთები წამომართულიყო. ჩრდილოეთით მინდორი მდინარისაკენ ეშვებოდა. უამრავი საურმე და საცალფეხო ბილიკი კვეთდა. ერთბაშად გამოიღვიძესო, სხვადასხვა მხრიდან გამოჩნდნენ მხედრები. ზოგი ცხენზე იჯდა, ზოგი ვირზე და ჯორზე, ზოგი კუზიან ხარზე ან კამეჩზე... ცხვირში რგოლგაყრილი ეს უწყინარი ცხოველები მორჩილად მიიზლაზნებოდნენ. ქვეითი, ჩემს გარდა, არავინ ჩანდა. არც ჩემებურად ჩაცმული დადიოდა ვინმე – პიჯაკი არავის ეცვა... ალბათ, დავიმალებოდი სადმე, მაგრამ ცასა და მიწას შორის ვერაფერი დაიმალებოდა და სად უნდა წავსულიყავი... დავუყევი ნელ-ნელა ბილიკს...

სერი რომ გადავლახე, ლურჯად გაიკრიალა წყლის ზედაპირმა. გზა ბორანზე ჩადიოდა. ბორანთან წითელი დროშა ეკიდა და ჯარისკაცები იდგნენ. იქ ჩასვლა ტყვედ ჩაბარებას უფრო დაემსგავსებოდა და გვერდი ავუქციე, უგზოდ და უბილიკოდ წავედი. იმასაც მივხვდი, მდინარეს აქ თუ ვერ გადავლახავდი, იმედიც არ უნდა მქონოდა, რომ სადმე ხიდს წავაწყდებოდი. ვიფიქრე, ვივლი მდინარის გასწვრივ და სადაც ჩემი ბედი მიმიყვანს, იქ მივალ-მეთქი.

ზღაპარშია გზა მოკლე, ცხრა მთაზე გადასვლაც ორი-სამი

სიტყვით აღინიშნება, რეალობაში კი ყოველი ნაბიჯი ძალ-ღონის ხარჯვას ნიშნავს და რაცა გაქვს, იმაზე მეტს ვერ გახარჯავ. დაღლილობისაგან იქნებ გონება დაბინდული მქონდა, ჩემს აზრს სიცხოველე აკლდა, ამიტომაც თურმე მდინარის გასწვრივ კი არ მივდიოდი, მომდევნო სერის გადალახვის შემდეგ უფრო და უფრო ვშორდებოდი. ხეთა მწკრივი თვალსაწიერს მოსცილდა, ირგვლივ არც ყანები იყო, არც სოფლები... ვრცელ ტრამალში ერთადერთი კაცი გამოვეკიდე და გზა ყოველი მხრით გაქრა.

მუხლები მომეჭრა და პირდაპირ მშრალ, ხეშეშ ბალახში ჩავჯექი. თავზევით მზე ბარჩხალებდა, მათბობდა, მაგრამ ხომ ვიცოდი, რომ ცოტა ხანში საბჭოეთისაკენ გაიქცეოდა, იქაურობას შეეწეოდა, მე კი სიცივეში დამტოვებდა.

გადაღლილი რომ ხარ, ნახევარი საათი ბალახში ჯდომა ვერაფერი შეღავათია. ფეხები გიბჟუის და როცა წამოიწევი, სახსრების ტკივილი შეგახსენებს თავს.

მიმოვიხედე, ერთ მხარეს ჰორიზონტი მთის ძირს ეყრდნობოდა. ქვევით კი, ველის ბოლოს მწვანე ჭალები ჩანდა, კიდეზე, განმარტოებით, ორსართულიანი ლურჯი სახლი იდგა. მეტად უხერხულ ვითარებაში აღმოვჩნდი. თითქოს ყველას თვალწინ სცენაზე გამოვსულიყავი. იმ სახლიდან ალბათ მხედავდნენ. უნდა გავცლოდი, მაგრამ მაშინ თვალუწვდენელი ტრამალი უნდა გადამელახა, მე კი ჩემი ფეხები ასე შორს ვერ წამიყვანდნენ. ეს ოცნებაშია იოლი, ფეხით უდაბნოების გადალახვა, რეალობაში კი ადამიანის თვით არსებობაც ბეწვზე ჰკიდია. ერთადერთი გამოსავალი ისღა დამრჩენოდა, მაინცდამაინც იმ სახლისკენ ამეღო გეზი.

სახლი ჭალისა და ტრამალის საზღვარზე აეშენებინათ. იქვე, საბძელქვეშ ტილოზე ჯერაც მწვანე მარცვალი ეყარა, ხორბლისა, და ათიოდე ახალგაზრდა ჩინელი ჩაჰკირკიტებდა. მე რომ გამოვჩნდი, საქმეს თავი მიანებეს, გარს შემომეხვივნენ, თან ერთმანეთს ეუბნებოდნენ:

— სოლიან ჟენ! სოლიან ჟენ!

ესე იგი „საბჭოთა ადამიანიაო“.

საზღვრისპირა რაიონში ცხოვრობდნენ, მაგრამ ალბათ

პირველი „სოლიან ჟენი“ ვიყავი, მოულოდნელად რომ გამოეცხადათ. ენის უცოდინარობის გამო საუბარი, ბუნებრივია, მარტო მიმიკითა და ჟესტებით შეიძლებოდა. ბავშვური გულუბრყვილობით მისინჯავდნენ პიჯაკის ქსოვილს, კალმისტარს... თეთრი პურის ნატეხიც ინტერესით დაათვალიერეს, მაგრამ უკან დამიბრუნეს. ფარდაგზე საუზმე ჰქონდათ გაშლილი და მიმიპატიჟეს. ტრადიციული რძიანი ჩაი მომართვეს და ხმიადი. რატომღაც მადა არ მწყალობდა. ერთი ფინჯანი დავლიე და პური ოდნავ მოვციცქნე.

სანამ ვსაუზმობდი, ცხენები შეკაზმეს. ერთზე მე შემსვეს, სხვებიც წამომყვნენ და სოფლისაკენ გავეშურეთ. მანძილი არც ისე შორი ყოფილა – ორიოდე კილომეტრი. დიდი ვინმე გამოცდილი ცხენოსანი მე არ ვყოფილვარ, მაგრამ ჩემი ულაყი თვინიერი აღმოჩნდა. გზა მწვანე ჭალებს მიჰყვებოდა. ყოველივე ჩვეულებრივი უცხოდ და უჩვეულოდ მეჩვენებოდა... მეგრელმა რომ გერმანიაში თხმელა დაინახა და გაიკვირვა, ნენა, რამ ჩამოგიყვანა აქო, იმისი არ იყოს, ბუნება აქაც იგივეა, რაც საზღვრის მიღმა დავტოვე, მაგრამ ადამიანი ეროვნულ კვალს იმაშიც ამჩნევს, რაც მთელ დედამიწაზე ერთნაირია.

ორღობეში ბავშვები გამოეფინენ, ერთი ორომტრიალი და ყიჟინი ატეხეს. ცხენებს მოსდევდნენ და თითებს იშვერდნენ, უყურეთ, უცხო ვინმე „სოლიან ჟენი“ მოჰყავთო.

მიმიყვანეს რაღაც სახლში, ალბათ კომუნის საგამგებლოამეთქი, ვიგულისხმე. შუახნის კაცი დამხვდა, მხრებზე ბამბურა მოეგდო. ფართო ოთახში ნახშირის მაყალს მივუსხედით. ფანჯრის შუშებს უმალ ბავშვების სახეები მიეწება. ცნობისმოყვარეობით მითვალთვალებდნენ. ზოგმა ენა გამომიყო. ერთმა კი შუბლზე მიიკაკუნა, ამ ძიას ოფოფები ჰყავსო. რა იცოდა, რომ არა ცდებოდა. თუ არა ოფოფები, რა ჯანდაბამ ჩამომიყვანა ცენტრალური აზიის რომელიღაც სოფელში, რომლის სახელწოდებაც კი არ ვიცი და ალბათ არც ერთ რუკაზე აღნიშნულიც არ იქნება.

ახალგაზრდა, ფეხმძინე ქალი მოიყვანეს. სკოლაში რუსული ესწავლა და ახერხებდა სიტყვების შეკოწიწებას. აქეთ რომ მოდიოდი, რა უნდა ჭამოო, უპირველესად ეს შეკითხვა მითარგმნა.

რასაც მილიარდი ჩინელი ჭამს, მეც იმას გიახლებით-მეთქი, გაკვირვებულმა ვუპასუხე. თუმცა გასაკვირი აქ არაფერი იყო, ცოტათი ადრე პროვინციამ მოუსავლიანობა და შიმშილი გადაიტანა.

ბამბურიანმა კაცმა მკითხა, იარაღი რამე ხომ არა გაქვსო. სამშაურიანი ჯიბის დანა მქონდა, კონსერვის გასახსნელი, და ის ვუჩვენე, თან დავსძინე, არავის მივცემ ჩხრეკის უფლებასმეთქი. არ მინდოდა თავი დამემცირებინა და ყოველ გამვლელს ვეჩხრიკე, თორემ რა მქონდა დასამალი.

შეღამებულამდე ვისხედით ამ მაყალთან. ნახშირი ნელ-ნელა იფერფლებოდა. მიდი-მოდიოდნენ ცნობისმოყვარე ახალგაზრდები. ბამბურიანი კაცი ტელეფონზე ეკიდა და ვიღაცას მოუხმობდა: „ვეი! ვეი!..“პირველად მაშინ გავიფიქრე, მე რომ მარსზე გავფრენილიყავი და იქ ცივილიზაცია აღმომეჩინა, ჩვენგან ამათზე მეტად განსხვავებულნი არც ისინი იქნებოდნენ-მეთქი.

ამასობაში დაბინდდა. „ჩიფან!.. ჩიფან!..“ – მივხვდი, ვახშამზე მიხმობდნენ. გადამიყვანეს ქუჩის გადაღმა, ალბათ, სასადილოში. კერძი დამიდგეს, ხორცი და წიწაკა იყო ერთმანეთში არეული. მეგრელ კაცს რომ თვალებიდან ცრემლი წამოსცვივდება, ისეთი მწარე. მომაჩეჩეს ორი ჩხირი და მიყურებენ, ლუკმას რანაირად გადავყლაპავ. მე კი არ ვიცი, ამ ჩხირებს რა მოვუხერხო. ერთი ახალგაზრდა გავარდა და ბავშვის სათამაშო პაწია ნიჩაბი მომირბენინა. რის ვაივაგლახით ვვახშმობ, თან მაინტერესებს, ისეთს რას მაჭმევენ და ჩემს წინ მჯდომი ახალგაზრდა წილში გამყავს.

ნავახშმევს საძილე ოთახში შემიყვანეს. რკინის ოთხი საწოლი იყო გაშლილი, მაღალი ქვეშაგები, სუფთა საბნები და ბალიში. ერთში მე ვწვები.

ამ ხნის მანძილზე პირველად ჩავთბუნდი და ღრმა ძილით მეძინა.

დილით პირის დასაბანად მდუღარე წყალი მომირბენინეს. მე ვიუარე. მაისურისამარა ეზოში გავედი და ჩამდინარე არიკში ხელ-პირი დავიბანე. ესენი ხომ დასაბანადაც და სასმელადაც

მხოლოდ ადუღებულ წყალს ხმარობენ.

ნასაუზმევს ვიღაცა გლეხკაცის დროგზე შემსვეს. ეს პატიოსანი კაცი თავისი ხაბაკ-ხუბაკით და ცოლ-შვილით სადღაც მიემგზავრებოდა.

სამი საათი ვიჩაქჩაქეთ ოღრო-ჩოღრო გზებზე. ხანდახან გავუვლიდით ბრტყელბანიან სახლებს, აღმოსავლურ ორღობეებს. გზა-გზა ჩინელები უფრო მხვდებოდნენ, ვიდრე ყაზახები და უიგურები.

მოულოდნელად „ვილისი“ შემოგვეგება, შიგ სამხედროები ისხდნენ, თურმე ჩემს წამოსაყვანად მოემგზავრებოდნენ. დროგიდან გადავჯექი. მათი ენა მე არ ვიცოდი, იმათაც ჩემი არა ესმოდათ რა. ვიჯექი ამათ შორის ჩაჭყლეტილი და ყურს ვუგდებდი რაღაც არამიწიერ ბგერებს. ქართველებს ხომ სულ სხვა საურთიერთობო არეალი გვაკრავს. ევროპული ენები ყურს თითქმის მშობლიურივით ჩაესმის, მაგრამ რასაც აქ ვისმებდი, უცხოპლანეტელთა ნაუბარს ჰგავდა.

საღამოს დასახლებას მივაღწიეთ. ორსართულიანი ქვის შენობა ცივილიზაციის დონეს მოწმობდა და სტალინური ჟამის პროვინციულ სტილს ასახიერებდა.

ყველანი ერთ ოთახში შევიყარენით. ისე მექცევიან, თითქოს დაპატიმრებული არცა ვარ, სტუმრად ჩამოვბრძანდი და როცა მომეპრიანება, შემიძლია ავდგე და საიდანაც მოვედი, იქითკენ გავუტიო. არც არაფერს მეკითხებიან, ლაზღანდარობენ თავიანთ გაუგებარ ენაზე და ხარხარებენ... მოიტანეს საზამთროები, დაჭრეს, ვჭამდით, თესლსა და ქერქს იატაკზე ვყრიდით.

ბოლოს გაჩუმდნენ. მთარგმნელობა ერთმა ახალგაზრდამ იკისრა, სახელად ი ფანი ერქვა. საყველპურო რუსული იცოდა. მერეც იგი ჩემს ეზოში ცხოვრობდა... გამომკითხეს სახელი, გვარი, სადაურობა... ძალიან ვფრთხილობდი. დედამიწის მეორე მხარეს ვაპირებდი გაღწევას, მაგრამ არც ის მინდოდა, უკან დასაბრუნებელი გზა სამუდამოდ ჩამკეტოდა. ბოლოს და ბოლოს, საზღვრის დარღვევა, უკვე ვიცოდი, ერთიდან სამ წელს ითვალისწინებდა. სამუდამოდ სამშობლოდან გარიყვა კი მძიმე

ხვედრი იქნებოდა. ვინც ერთხელ მაინც აღმოჩნდა ემიგრანტი, იგი მიხვდება, რა არის ნოსტალგია. ამიტომაც მოზომილად, მაგრამ მტკიცედ ვუპასუხე:

— საბჭოთა კავშირში არ არსებობს პიროვნება ან ორგანიზაცია, რომლის დევნის შედეგად აქ აღმოვჩნდი... არავითარ შემთხვევაში უარს არ ვიტყვი საბჭოთა მოქალაქეობაზე!

ერთი ძვირი არ წამომცდენია ნიკიტა ხრუშჩოვზე, მაგრამ რაკი ქართველი ვიყავი, „გელუცზიაა“, აპრიორი იგულისხმებოდა, რომ სტალინის გამო განაწყენებული უნდა ვყოფილიყავი და ხრუშჩოვი უნდა მძულებოდა. ამას უმალ მივხვდი, მაგრამ არც უარმიყვია და არც დამიდასტურებია. მოკლედ, თავი დიპლომატიურად დავიძვრინე, მომავალი შესაძლო გართულებები ავიცდინე.

მეტი არაფერი უკითხავთ. ამათ ალბათ ცნობისწადილი უფრო ამოძრავებდათ, დაკითხვის სპეციალისტები ესენი არ იყვნენ და საუბარი უფრო პირველ მოთელვასა ჰგავდა.

უკვე გვიანი იყო, საძილე ოთახში შემიყვანეს. მაღალი და ქათქათა ლოგინი გაეშალათ. სამოცს მიტანებულმა დედაკაცმა ბალიში გამისწორა და ისეთი თვალებით შემომხედა, ის ბრესტელი ქალი დამიდგა თვალწინ, ჩემს დანახვაზე საკუთარი, გადაკარგული შვილი რომ გაახსენდა. ამ ჩინელმაც გულზე მჯიღი მიიდო, უპეში ცრემლი გაუბრწყინდა და რაღაცა ჩაილაპარაკა. უთარგმნელადაც მივხვდი სიტყვის შინაარსს. „ვაიმე, შვილო!“ – ეს იგულისხმებოდა მის ნათქვამში... მისთვის ხომ მე ერთი პატარა, გზააბნეული ბიჭი ვიყავი და თვითონ დედამ დედაჩემი შეიბრალა...

იმ ღამეს კვლავ ის სიზმარი მეწვია. ვითომ ზუგდიდში ვარ, ჩვენი მსხლის ძირას ვდგავარ. დედაჩემს ვემშვიდობები და ვწუხვარ, რომ ისევ უნდა დავადგე მისჯილ გზას და გადავლახო საზღვარი, ჩვენდა განსაცალკევებლად და სამტროდ, ადამიანებს რომ დაუწესებიათ.

მეორე დღეს „ვილისით“ კულჯასაკენ გავემართეთ...

64

კულჯა, ანუ ინინი სინცზიან-უიგურების რაიონის ყაზახთა ავტონომიური ოლქის ცენტრი, დაახლოებით ქუთაისის ტოლა ქალაქი აღმოჩნდა. მდინარე ილის ზემო წელში გაშლილ ველებს ჩრდილოეთით ბორო-ხოროს მაღალი მთები ეფარება, სამხრეთიდან კი კეტმენისა და ნარატის ქედები. ისინი აღმოსავლეთით ერთდებიან, რის გამოც მთელი ეს მხარე ქვეყანას ერთგვარად მოწყვეტილია. ურუმჩისაკენ მიმავალი ერთადერთი სამანქანო ტრასა ბორო-ხოროს ქედზე გადადის. ეს დეტალები მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი... ოღონდაც, რაკი ეს მხარე მთებს შორის უბეში მიყუჟულა, ჩრდილოეთის სუსხიანი ქარები ნელდება და ზამთარიც მეტად ზომიერი და თბილია... ინინში ისე გამოვიზამთრე, თოვლი თითქმის არ მინახავს...

ქალაქში საღამოს ჩავედით. მაღალი გალავნით შემოვლებულ ეზოში რამდენიმე ერთსართულიანი, გრძელი შენობა იდგა. ერთ მათგანში ოთახი გამომიყვეს. ეტყობა, ჩემისთანა სტუმრის ჩამობრძანება გათვალისწინებული არ ჰქონდათ და მასპინძლებს თავსატეხი გავუჩინე. მეც მაქსიმალურად კორექტულად ვიქცეოდი. თავდაპირველად ოთახიდან არც გამოვდიოდი. მზარეული აქეთ მაკითხავდა სადილით და ჭუჭყიანი თეფშების წასაღებად.

საპირფარეშო ეზოში ჰქონდათ და მაინც ხომ უნდა გავსულიყავი. მიმოვიხედე. გავარკვიე, რომ სამხედრო ნაწილში ვარ, მაგრამ საკმარისად ბევრი სამოქალაქო პირიცაა, თითქმის მთლიანად „ველიკოხანები“, ესე იგი ჩინელები, აღმოსავლეთიდან ჩამოსახლებულნი. უიგური მარტო ჩემი ცეცხლფარეში იყო, რომელიც დილაუთენია შემოვიდოდა და ღუმელში ცეცხლს დამინთებდა.

პირველსავე დღეს გავიცანი ახალი მთარგმნელი, სახელად მა იუჩუნი. მუკდენის უნივერსიტეტში რუსული ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული, რიგიანი რუსულით ლაპარაკობდა, ჰყავდა ცოლი და გოგო-ბიჭი – მა ტიო და მა სიო.

ერთხელაც მზარეულმა სადილი რომ მომიტანა, ჭუჭყიანი

თეფშები უკან თვითონ წავუღე. ამით მარტო იმას როდი ვუმსუბუქებდი საქმეს, თავს ვიშინაურებდი... ბოლოს ვთხოვე, სამზარეულოში მაინც მხედავენ, კუკუ-დამალობანას თამაშს აზრი არა აქვს, სადილზე თვითონ ვივლი-მეთქი. ამის შემდეგ პირდაპირ სამზარეულოში ვიჯექი და მზარეულის საქმიანობას ვადევნებდი თვალს.

ჩინურ სამზარეულოზე ბევრი რამ გამეგონა, თუმცა უფრო ლეგენდების სფეროდან. ჩუნჯაში ყოფნისას ხუმრობდნენ საზღვარზე გადმოსული ჩინელის შესახებ, რომელმაც ყვავი დაინახა და იკითხა, ეს ვისიაო. პირველად, წვნიანში მოხრაკული ოთხკუთხედები დავინახე, ქონად აღვიქვი და პირი არ დავაკარე. მერე მა იუჩუნმა ამიხსნა, მუხუდოს ხაჭოა, ზეთში შემწვარიო. იმ დღიდან გემოსაც კარგად ვატანდი. პურს, ჩვენებური გაგებით, ესენი არ აცხობდნენ. „მომო“ ერქვა ხელისგულისოდენა ცომის გუნდებს, რომელიც ორთქლში იხარშებოდა. საძროხე ქვაბს თავზე უზარმაზარი საცერი ჰქონდა წამოცმული, შიგ ცომის გუნდები ელაგა. საცერზე მეორე საცერი იდგა და ასე შემდეგ. ქვაბში წყალი დუღდა, ორთქლი ამ საცრებში ატანდა და ცომიც იხარშებოდა. სიმინდის ცომსაც ხარშავდნენ, ოღონდ ამჯერად ქვაბის ფსკერზე წყალი თუხთუხებდა, ცომი კი კედლებზე იყო გაკრული. პურისა და მჭადის მაგივრობას მაინც ბრინჯი ეწეოდა. მშრალად მოხარშულ ბრინჯს ნებისმიერ სხვა კერძს ვატანდით... კარტოფილის გემოს ვერაფერი გავუგე. ქერქიანად დაკეპავდნენ და წვნიანში გადაუძახებდნენ, ამიტომ წვნიანიდან ამ ქერქის ამოკრეფას ვუნდებოდი. ანდა კარტოფილი დაიკეპებოდა, ცხიმში შეთბებოდა, მწვანილს (ალბათ, ნედლი ბრინჯის ყლორტები იყო) მოაყრიდნენ და კერძიც მზად იყო. კბილებში ისეთი ხრაშუნი გაჰქონდა, თითქოს ვაშლი ჩამეკბიჩოს... ხილ-ბოსტნეული და ღორის ხორცი ბლომად ჰქონდათ... დღესასწაულებზე ბრინჯის არაყს გვასინჯებდნენ... ყველანაირ კერძს უშაქრო, აგურა ჩაის ვაყოლებდით, დიდ ქვაბში მუდამ თუხთუხებდა და თიხის ფიალებით მოგვართმევდნენ. რაც მთავარია, ჩხირებით ჭამას შევეჩვიე, ისე კარგად ვხმარობდი, მგონი ჩინელებიც უკან მოვიტოვე.

ბუნებრივია, ამ ქვეყანაში ჩინური სამზარეულოს გასასინჯად როდი გამოვქცეულვარ. დაკითხვებს ვერ გადავურჩებოდი. მთელი კვირა არავის შევუწუხებივარ. მერე მიმიყვანეს ერთ მეტად ზრდილობიან და ასაკოვან, მელოტ მამაკაცთან. საწერი მაგიდის კუთხეში მდივანი იჯდა და ლამაზი იეროგლიფებით ავსებდა ფურცლებს. მა იუჩუნი კი ცდილობდა ჩემი რუსულად ნაბჟუტურევი ცისქვეშეთის ქვეყნის ენაზე გადაეთარგმნა, რაც ალბათ არც ისე იოლი იყო... ჩვენი საუბრების აუცილებელი ატრიბუტი თხელ ფინჯნებში ჩამოსხმული არომატული ჩაი გახლდათ, რა თქმა უნდა, უშაქრო... ეს ერთგვარი ინტიმისა და მეგობრობის განწყობას ბადებდა და ჩვენი საუბრებიც ზოგადპოლიტიკურს იშვიათად სცილდებოდა.

მხოლოდ პირველ შეხვედრაზე დამისვეს საჭოჭმანო კითხვა, აქეთკენ რომ მოდიოდი, საზღვრისპირა რაონში რაიმე სამხედრო აქტივობა ხომ არ შეგიმჩნევიაო. ეს შეკითხვა შეურაცხყოფად ჩავთვალე, მეგობრულ ქვეყანაში თუ ვარ, არაკორექტულ კითხვებს ნუ მისვამთ-მეთქი. რა უნდა მცოდნოდა ისეთი, მაგრამ თვით პრინციპი იყო მთავარი. ამის შემდეგ ჩვენი საუბრები უფრო პოლიტიკურ დისკუსიებს დაემსგავსა, იმ ათი თვის განმავლობაში, რაც იქ ვიყავი, ჩემს ოპონენტებს აინტერესებდათ, თუ რა აზრისა ვიყავი რევოლუციაზე და კონტრრევოლუციაზე, პროლეტარულ დიქტატურაზე, პარტიზანულ ომებზე, დემოკრატიულ ცენტრალიზმზე და ასე შემდეგ. მოკლედ, ყველაფერ იმაზე, რასაც მარქსიზმის ანაბანა აკვნიდან მასწავლიდა, ხოლო ჩემმა დაუღლელმა ცნობისწადილმა ისეთ დეტალებში მატარა, ახლა რომც მინდოდეს, თავიდან ვეღარ ამოვფხიკავ... თითქოს გაუგებარიც იყო ეს ინტერესი, მაგრამ უმიზეზოდ ცხოვრებაში არაფერი ხდება.

რაკი საერთაშორისო ამბებს მოვწყდი, სინხუას სააგენტოს ბიულეტენებით მამარაგებდნენ, მისი ინფორმაციები კი ისე იყო აწყობილი, რომ მსოფლიო ცენტრად ჩინეთი ჩანდა, ევროპა და ამერიკა კი პერიფერიებს წარმოადგენდა. თვეში ორჯერ მოჰქონდათ გაზეთ „პრავდისა“ და ჟურნალ „ოგონიოკის“ კომპლექტები. ეს იყო სალამი სამშობლოდან, ოღონდ ცნება „სამშობლოში“ მთელი საბჭოთა კავშირი იგულისხმებოდა. და მაინც გული ძალუმად ამიტოკდებოდა, სადმე საქართველოს ამბავს რომ წავაწყდებოდი, თუნდაც ლაპარაკი ყოფილიყო მოსკოვის ბაზარზე მოვაჭრე ქართველ გადამყიდველთა შესახებ. სხვათა შორის, ჩინური პრესა ამ თემას ატრიალებდა, აქაოდა ქართველებში კაპიტალიზმის აღორძინება მიდისო... გაზეთების შეკვრას რომ მომიტანდნენ, თანმიმდევრობით, ნომრების მიყოლებით ვკითხულობდი, დაწყებული მოწინავეთი და დამთავრებული ტელეფონების სიით.

ეს მარტივი პოლიტიკური საუბრები ხან ყოველდღე ხდებოდა, ხან კვირაგამოშვებით, ხან კი მთელი თვე შეწყდებოდა და ყოველივე სკრუპულოზურად აღინუსხებოდა. მერე ჩემი ნაუბარი სადღაც ქრებოდა, ალბათ მაღალ ინსტანციებში ვიღაცას აინტერესებდა, რას ვფიქრობდი ზოგადკომუნისტურ, თეორიულ საკითხებზე. განსხვავება საბჭოთა კომუნისტურ დოქტრინასა და ჩინურს შორის ძნელი დასანახი არ იყო და მე უფრო საბჭოთა ორთოდოქს კომუნისტად აღმიქვამდნენ, თუმცა შესაძლოა ეს ჩემი სიფრთხილისათვის მიეწერათ.

რანაირად გავძლებდი უმარქს-ულენინოდ! ორი უზარმაზარი ტომი დამიდეს მაგიდაზე. უნდა გამოვტყდე, ზოგი რამ აქედან ადრე მქონდა წაკითხული და ამჯერად ეს წიგნები არც გადამიშლია. მაო ძედუნის ტომეულებიც მომიტანეს. ერთი კი წავიკითხე, სადაც ამომავალი მზე პარტიზანული ომების თეორიას ავითარებდა. დრო ბევრი მქონდა, შემეძლო მთელი დღე წიგნი მეკითხა, ოღონდ მარქსისტულ თეორიაში ისე ვიყავი განსწავლული, რომ საკმარისად მეჩვენებოდა. საბედნიეროდ, ქალაქში ოდესღაც საბჭოთა საკონსულო არსებულა. ერთი წლის უკან გაეუქმებინათ, მაგრამ კარგა მოზრდილი ბიბლიოთეკა დარჩენია. მა იუჩუნს ჩემთვის მოჰქონდა მსოფლიო კლასიკოსთა ტომები. ასე რომ, თუ ზოლას ან ჰიუგოს ჩავაფრინდებოდი, მიყოლებით შემეძლო ათი-თხუთმეტი ტომი მეკითხა.

იმ დროს აშკარად დაჰბერა სიცივის ნიავმა ჩინეთსა და საბჭოეთს შორის. ჯერ იყო და, ალბანელთა პირველი წერილები გამოჩნდა. ჩინური პრესა უკომენტაროდ ავრცელებდა მათ. ეს

წერილები ხრუშჩოვის პოლიტიკას სტალინისტური პოზიციებიდან აკრიტიკებდა. ჩვენი სმენა ჯერ კიდევ არ იყო მიჩვეული კომუნისტურ მოძრაობაში ურთიერთქიშპობის აშკარა გამოვლენას და სალანძღავი სიტყვების არსენალი ჯერაც შედარებით რბილი იყო – „დოგმატიკოსი“, „რევიზიონისტი“, „გზიდან გადახვევა“ და ამნაირები. მერე დაიწყო ჩინეთ-ინდოეთის ომი და ამასთან დაიმსხვრა ჩემი იმედებიც, რომ ოდესმე ტიბეტის გზით ჰიმალაიზე გადავიდოდი და ინდოეთში ამოვყოფდი თავს... პირველად მაშინ გამიყვანეს ქალაქში, კინოსურათი უნდა გვენახა ნერუს ვერაგობასა და აგრესიულ ზრახვებზე. მაშინ ინდოეთიდან ჩინელები გაასახლეს, ჩინელებმა კი ინდოელები დაატყვევეს და დიდძალი იარაღი ჩაიგდეს ხელთ. გაზეთებში გრძელი სია ქვეყნდებოდა ამ იარაღისა. იქ რამდენიმე საბჭოთა წარმოების ვერტმფრენიც იყო და ეს სია მხოლოდ იმიტომ სჭირდებოდათ, რომ „მეგობარი“ განდგომასა და ინდოეთისათვის მხარდაჭერაში დაედანაშაულებინათ.

სულ მალე გაიმართა ცნობილი დისკუსია ჩინეთისა და საბჭოთა კომპარტიებს შორის. მე, ცხადია, უპირველესად ჩინელთა დოკუმენტებს მაკითხებდნენ. მერე აზრი გამოთქვიო, მთხოვდნენ. ჩავუჯდებოდი და კომენტარებს ჩამოვაწიკწიკებდი. ერთი თვის შემდეგ „პრავდას“ რომ მივიღებდი, იქნებ სასაცილოა, მაგრამ ჩემი კომენტარები მთლიანად ემთხვეოდა „პრავდისას“. ჩინური კომუნისტური აზროვნება მართლაც ზედმეტად დოგმატური იყო. ბუნებრივია, დღევანდელი თვალსაწიერიდან, ის ჩემი შეხედულებებიც, გულწრფელი და ერთადერთ რეალობად მიჩნეული, ისევე დოგმატური იყო, ისევე უპერსპექტივო და დამღუპველი, მაგრამ ადამიანმაც და ხალხებმაც, ეტყობა, რთული ისტორიული პერიპეტიები უნდა გადალახონ, ხშირად სისხლიანი გზები უნდა მოიარონ, რათა იდეოლოგიური შტამპებისაგან განთავისუფლდნენ... ამას დრო და განვითარების სხვა საფეხური სჭირდება. დრო ჯერ არ დამდგარიყო, მე რომ სხვანაირად მეფიქრა...

ამის შემდეგ წამოვიდა ურთიერთბრალდებებისა და ლანძღვის ნიაღვარი და მე პოლიტიკური დისკომფორტი ვიგრძენი. ჩინეთი ხომ ჩემთვის მხოლოდ სატრანზიტო ქვეყანა იყო, მე

ლათინური ამერიკისაკენ მივისწრაფოდი, კომანდანტე ჩე გევარას ექსპერიმენტი უნდა გამემეორებინა... მაგრამ იმთავითვე ზღაპარს აქ უფრო მეტი ზღაპრული ელფერი მიეცა. ამოდენა ქვეყნის გადალახვა, მისთვის თვალის აბმა, ჩემს მცირე ფიზიკურ და სულიერ ძალებს აღემატებოდა, მით უფრო, რომ ერთხელაც არ მიცდია მსოფლმხედველობრივი კომპრომისი დამეშვა, რასაც არ ვფიქრობდი, იგი მეთქვა.

აქ ერთი ტაქტიკური შეცდომაც დავუშვი. ვიფიქრე, ამათ რომ ვუთხრა, ჩილეში მივდივარ-მეთქი, ნაღდად არ გამიშვებენ. უფრო რეალური ჩანდა თხოვნა, კუბაში ან თუნდაც ვიეტნამში გავეშვით. იმ დროს მე თურმე არ ვიცოდი პოლიტიკურ სამზარეულოში რა კერძიც იხარშებოდა. ამ ქვეყნების მიმართ მაოს სიმპათია საკმაოდ შენელებული იყო და ნელთბილიდან სიცივეში გადადიოდა... საუბრების დროს მხოლოდ ერთხელ ჩამიკრეს, პრესა ჩვენცა გვაქვსო, აქაოდა, აზრის გამოთქმის საშუალებას მოგცემდითო. შორს დავიჭირე, უზნეობაა ერთი ქვეყნის მფარველობაში იყო და მეორე ლანძღო, გამიშვით მესამე ქვეყანაში და პირუთვნელ აზრს იქ ვიტყვი-მეთქი.

ასე იყო თუ ისე, ჩვენი საუბრები გაფუჭებულ ტელეფონს დაემსგავსა. „ჟენმიჟიბაოს“ ყოველ პროგრამულ წერილზე აზრის გამოთქმას მთხოვდნენ, ყოველთვის ტაქტითა და ზრდილობით, მეტი არაფერი! მივხვდი, უნდა გამერღვია ჯადოსნური წრე და მაო ძედუნის სახელზე ორჯერ მოზომილი განცხადება დავწერე, სადაც ამომავალ მზეს „ამხანაგო მაოდ“ მოვიხსენიებდი...

ამასობაში ჩაიარა თბილმა ზამთარმა, დადგა მშვენიერი გაზაფხული, მერე ცხელი ზაფხული და კვლავ შემოდგომა...

65

თავდაპირველად ოთახი რომ მომიჩინეს, ვიღაც ჩინოსანის კაბინეტი ყოფილა. ალბათ ფიქრობდა, ეს კაცი ერთი-ორი კვირა დარჩება, მერე თავიდან მოგვაშორებენო, მაგრამ ჩემი სტუმრობა მეტად გახანგრძლივდა. სულ გამოკეტილში ხომ არ ვიქნებოდი, ეზოში გავისეირნე, ჩემს ცეცხლფარეშთან ბადმინტონით ვერთობოდი. გალავნის გასწვრივ ჩამწკრივებულ მიწურ ოთახ-

ებში უამრავი ოჯახი ცხოვრობდა. მიცნობდნენ და მესალმებოდნენ – „ნიხო!“ „ხო!“ ოღონდ ენის უცოდინარობა მეტი სიახლოვის საშუალებას არ მაძლევდა.

ადგნენ და სხვაგან გადამიყვანეს. ახალი ოთახი მიწისპირს სამი საფეხურით ასცილებოდა და პატარა აივანიც ჰქონდა, თანაც სამზარეულოც გვერდით იყო და ჭაც. ამ ჭიდან ვიღებდი წყალს. რაკი სხვები ანადუღარს სვამდნენ, ყველა თავისი ჭურჭლით მიძვრებოდა შიგ. მე კი უმს ვსვამდი და თურმე სიცოცხლეს საფრთხეში ვიგდებდი.

მოგვიანებით ი ფანი დამეღრიჯა, ის ოფიცერი, თავის დროზე ინინამდე რომ ჩამომაცილა. მითხრა, ცოლს ვირთავ და არ ვიცი, თავი სად შევაფაროო. შენ მაინც ხვალ-ზეგ აქედან წახვალ, მე კი ბინა შემრჩებაო. ძალას არავინ დამატანდა, მაგრამ მე ხომ აქ ბინის დასასაკუთრებლად არ ჩამოვსულვარ და ჩემთვის სულ ერთი იყო, ოღონდ თავზე არ ეწვიმა. იქვე, ეზოში ჯღანი ოთახი იყო გამოთავისუფლებული და იქ გადავედი. იატაკი არც ჰქონდა. ზაფხულში არაერთხელ ჭიანჭველებმა ამოტეხეს მიწატკეპნილი და ძველი გაზეთების ხრჩოლვით ვებრძოდი, მაგრამ ეს სულაც არ მანაღვლებდა. აქ დამიდგეს საწოლი, მაგიდა და საბეჭდი მანქანა „მოსკვა“. კითხვით რომ დავიღლებოდი, ამ მანქანაზე ვაკაკუნებდი.

ჯერ იყო და ვრცელი ავტობიოგრაფიული რომანის წერას შევუდექი. მთავარ გმირს ერქვა ჯემა კოლხი. ამბავს წინამდებარე თხზულებასავით ჩემი წინაპრებით ვიწყებდი, ოღონდ ხალხური ზღაპრის სიუჟეტს ვამსგავსებდი. რა თქმა უნდა, რუსულად ვწერდი, რადგან უკეთესად არც ერთი სხვა ენა არ ვიცოდი, მათ შორის მშობლიურიც. თანაც მე ხომ დასავლეთს ვაპირებდი გადაკარგვას, იქ რუსული ხელნაწერი უფრო გამომადგებოდა.

ერთი ვრცელი მოთხრობაც დავწერე – „ორნი ბილიკზე“. ეს იყო ამბავი მამისა და შვილისა. მამა რევოლუციონერია, შვილი – ჯარისკაცი, რომელსაც ბავშვობიდან მეამბოხე მამის სიძულვილს უნერგავდნენ. მამა პატიმარია და შვილს, იმ იმედით, საკუთარ მამას გზაში მოკლავსო, საპყრობილეში გაატანენ. მთელი მოთხრობა გზაზე მამისა და შვილის დიალოგია. ამ

მოთხრობაზე ქვევითაც ვილაპარაკებ. აქ კი მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ სხვა თუ არა, მა იუჩუნის აღტაცება დავიმსახურე და იმან გულმოდგინედ თარგმნა ჩინურად. ვერ დავიფიცავ, მისი ჩინურის ცოდნა (ან გემოვნება!) მოხელისას თუ ასცდებოდა, თუმცა ახლა კი ვიცი, ეს მოთხრობა მეტს მაინც არ იმსახურებდა.

მაგიდაზე სხვა წიგნებს შორის, რუსულ-ჩინური ლექსიკონიც მედო და ინგლისურის სახელმძღვანელოც, მაგრამ ჩემს თავში იმდენი იდეა ტრიალებდა, ენების საზუთხად არ მეცალა. ინგლისური რა მოსატანია და, ჩინურს რაც შეეხება, რამდენიმე სიტყვაღა ჩამომყვა, რაც უდავოდ ჩემი მზარეულის დამსახურება იყო. ათამდე თვლა კი პატარა გოგო-ბიჭებისაგან ვისწავლე, რომლებიც მთელი დღე გაჭიმულ რეზინაზე ხტუნაობდნენ, თან წამღერებით ითვლიდნენ.

ნაცნობთა წრე ფართოვდებოდა. ეზოში ცხოვრობდნენ საქმიანი კაცები, ფეხმძიმე ქალები, პირველ რევოლუციამდე დაბადებული დედაბერიც კი, რომელსაც ბავშვის პაწია ფეხები ჰქონდა. პატარაობიდან თურმე უხვევდნენ, რათა არ გაზრდოდა. ასე იყო მაშინ მოდაში, ახლა კი უჭირდა ამ ფეხებზე დგომა.

მე და მა იუჩუნმა ქალაქში დავიწყეთ სიარული, პარიკმახერთან, მაღაზიებში, ტან-ფეხზე ხომ უნდა ჩამეცვა რამე. ვცდილობდი დიდად არ დამეზარალებინა ჩინეთის რესპუბლიკა, ამიტომ ავირჩიე ლურჯი ხალათ-შარვალი, რასაც მაშინ მთელი ჩინეთი, ქალიც და კაციც დაატარებდა. ფეხზე კი მეცვა ნაჭრის „ჩუსტიკები“, რაკი ტყავის ფეხსაცმელი ძვირი ღირდა და იმის ყიდვაზე უარი ვთქვი.

შევეხეტებოდი წიგნის მაღაზიაშიც, რომლის პირველ სართულზე რუსული წიგნებიც ჰქონდათ, მეორე სართული კი მთლიანად მაოს ტომებით იყო გაჭედილი.

ქუჩებში ველორიქშები დააქროლებდნენ, მაგრამ მე ფეხით ვარჩევდი სიარულს, ვერაფრით შევეგუე რიქშას.

კინოფილმებს მეტად შინაურულ გარემოში ვუყურებდით. დავავლებდით ჩვენ ჩვენს სკამებს ხელს და რომელიღაც ჩაბნელებულ ეზოში, მთელ უბანთან ერთად ვიკრიბებოდით. კედელზე გაფენილ თეთრ ტილოზე უჩვენებდნენ ფერად ფილმებს დრა-

კონებსა და მამაც მხედართმთავრებზე. ჩინური კინო სანახავად არც ღირდა, გარდა ფილმ-ოპერებისა, რომელთა ზღაპრული სიუჟეტები და კოსტიუმების ფერადოვნება მართობდა.

ეზოში, მაღალ ბოძზე რადიო ეკიდა. ჩინური მუსიკა თავიდან მოსაბეზრებელი და ერთფეროვანი მომეჩვენა. მერე რამდენჯერმე წავედი საოპერო თეატრში. ვარჩევდი ფერთა სიმბოლიკას, მიმიკას, სახიობის ტრადიციულ ფორმებს და მოსაწყენი სანახაობა და მუსიკა გადაიქცა ხელოვნებად, რომლის ხიბლი დღემდე მომყვება.

ჩემს ირგვლივ ჩინოსანი და უჩინო სამხედროები ტრიალებდნენ. კვირაში ერთხელ მეცადინეობდნენ. შეიკრიბებოდნენ დარბაზში და პირველკლასელებივით ხმამაღლა „ჟენმინჟიბაოს“ საპროგრამო წერილებს იზუთხავდნენ... ზოგჯერ შაბათობა ეწყობოდა, ყველანი სოფელში მიდიოდნენ წასახმარებლად. ერთხელ მეც წავყევი სათოხარში. თოხი ჩინეთში კი არა, ზუგდიდში არ მეხატებოდა გულზე, მაგრამ სოფლად გასეირნება მომინდა.

ქალაქიდან ათიოდე კილომეტრზე, მდინარის პირას სიმინდის ყანები იყო და მეც სხვებთან ერთად რიგში ჩავდექი, წავიმუშავე. არავინ მაძალებდა და ნასადილევს საბანაოდ მდინარეში ჩავხტი. მთის ცივი წყალი იყო, ცაზე კი ცხელი მზე ბარჩხალებდა. მასპინძლები, ცხადია, მდუღარე, ცხელ წყალს წრუპავდნენ. მე კი ბანაობისას, ყლუპი გადამცდა. უფრო სწორად, ცივი წყალი მენატრებოდა და ცდუნებამ წამძლია... დღის სინათლეზე ავიბარგენით. ზოგნი მანქანებით წავიდნენ. მე და მა იუჩუნი დროგზე დავსხედით, რადგან მე ასე მეხალისებოდა.

ოღონდაც, ბოლო მანქანა რომ წავიდა, მაშინვე თავი ცუდად ვიგრძენი. ფერი დავკარგე და ღონე წამერთვა. გული ყელში მომაწვა. მასპინძლები მიხვდნენ, საქმე ცუდად იყო. ცხენები ააჩქარეს. დროგი უფრო ჯანჯღარებდა, მე კი ვგრძნობდი, რომ სიცხე კატასტროფულად მაღლა მიწევდა.

მა იუჩუნმა შინ მიმაცილა და ექიმის მოსაყვანად გაიქცა. გული რამდენჯერმე ამერია, კუჭში არაფერი დამრჩა. სიცხემ ორმოცს გადააჭარბა.

ადრეც ხშირად მიფიქრია სიკვდილზე, ბავშვობიდან ფიქრი გარდუვალზე თანა მდევდა. ამ აზრს შევეგუე და ალბათ ცხოვრების ნებისმიერ წუთს საამისოდ მზად ვიყავი, მაგრამ ამჯერად უფრო იმას ვფიქრობდი, აქ რომ დავიღუპო, დედაჩემი საერთოდ ვერ გაიგებს, თუ სად გავქრი-მეთქი. არათუ დიად საქმეებს, ჩემი ფანტაზიის ქიმერულ ნაყოფთ, იმ საქმეებსაც ვერ მოვასწრებდი, რასაც ყველა რიგითი ადამიანი მოილევს.

მოვიდა ექიმი, გამსინჯა. ერთხელ ადრეც გავხდი შეუძლოდ. მაშინ მიქსტურები მაყლაპეს. ეტყობოდათ, რომ მაინცდამაინც არ სიამოვნებდათ ჩემი საავადმყოფოში წაყვანა. მერე მივხვდი, იქ რუსის გოგონები მუშაობდნენ ექთნებად და იმათ არ ენდობოდნენ. საერთოდ, ცდილობდნენ, რომ ნაკლები კონტაქტები მქონოდა არახანებთან, ესე იგი ყაზახებთან, უიგურებთან, რუსებთან... თუმცა უკანასკნელთ ერთი-ორჯერ შევხვდი. ერთხელ კინოში რუსის ქალი აღმოჩნდა ჩემს გვერდით. გერმანულ ფილმს „პატარა მუკის თავგადასავლებს“ ვუყურებდით. გაუკვირდა ჩემი რუსული. ავუხსენი, რომ ჩინელი კი არა, ი ხალხის წარმომადგენელი ვარ. ვიცოდი, რომ ჩინეთში ასეთი ხალხიც არსებობდა. თან, რაკი ეს ფილმი ადრეც მენახა, შემეძლო ჩინური დიალოგი რუსულად „მეთარგმნა“. ეს რუსები ოცდაათიან წლებში გამოექცნენ კოლექტივიზაციას, მაგრამ სოციალიზმი კუდში გამოედევნა და წამოეწია. როგორ მოეწყვეთ-მეთქი, ვკითხე. არა გვიშავსო, მიპასუხა, მარილი გვაქვსო, ასანთი გვაქვსო, ნავთიცა და საპონიცო... ჰოდა, სწორედ ასეთ რუსებთან ჩემი შეხვედრა არ უნდოდათ, მაგრამ ისე ცუდად გავხდი, ალბათ, იმ ღამეს უფალს სულს მივაბარებდი. მოაყენეს მანქანა და საავადმყოფოში გამაქანეს.

მთელი ღამე წვეთოვანა მეყენა და თავს მორიგე ექიმები დამტრიალებდნენ. სიცხე ორმოცდაერთს აჭარბებდა. დილისთვის დაიწია, მომდევნო დღეს ოცდათვრამეტი გახდა, მერე ოცდაჩვიდმეტი და სული მოვითქვი. ის რუსი ექთნებიც, ახალგაზრდა გოგოები, თავს მევლებოდნენ. რა ვიცი, იყო მათ შორის ვინმე საბჭოთა აგენტი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, რუსული პური და ღვეზელი მოჰქონდათ, რათა ჩემთვის ესიამოვნებინათ.

ერთი კვირის შემდეგ წამოვდექი. მალე გამოვეწერე და ჩემს „ფანზაში“ დავბრუნდი... სამარის პირას გავირბინე და გადავრჩი. მადლობელი ვიყავი ბედისა, მაგრამ ეს ჩემი ძალ-ღონის დაკლებასაც ნიშნავდა. უმადური ვიქნები, თუ არ აღვნიშნავ, რომ არც მასპინძლებმა გამწირეს, თორემ რომც გავმქრალიყავი, ჩემს საძებრად ჩინეთში არავინ ჩამოვიდოდა.

კვლავ გაგრძელდა ერთფეროვანი ცხოვრების მდინარება. თავს ხაფანგში ვგრძნობდი და გეგმებს ვაწყობდი, თუ როგორ გადავსულიყავი მთებზე, რათა ურუმჩიმდე მიმეღწია. ეს რომ მომეხერხებინა, იქიდან მატარებლებით ცენტრალურ ჩინეთშიც ჩავგრიალდებოდი, მაგრამ მე უკვე ღონე აღარ მეყოფოდა ბოროხოროს მთებისა და გობის უდაბნოს გადასალახავად, ხოლო სამხრეთისაკენ, კიდევ უარესი, კეტმენის თოვლიანი მთები და თაკლა-მაკანის უდაბნო, ტიბეტი და ჰიმალაი მელოდებოდა... ამ გზაზე სიარული რომ გადამეწყვიტა, მართლაც სიკვდილი არ ამცდებოდა და ფიქრი ფიქრად დამრჩა...

სექტემბრის ბოლოს ჩამოაღწია პასუხმა. არ ვიცი, რა ინსტანციებში გადაწყდა, მაგრამ „აბი გლუკოზა“ გამომიგზავნეს. ალერსით ამიხსნეს, ყველამ თავის ქვეყანაში იმოღვაწოს და ამით კაცობრიობასაც შეეწევაო. ცხადია, მართლები იყვნენ! ოღონდ ამ შემონათვალში ორი ასპექტი იგულისხმებოდა. ერთი ის, რომ კი ხარ შენ კომუნისტი, მაგრამ ჩვენებური ყაიდისა ვერა ხარო, მეორე კი ის, რომ მოსკოვური ყაიდის კომუნისტი კი ხარ, მაგრამ რაკი მეამბოხედ დაიბადე, იქ, შენს სამშობლოში იბრძოლე, რაც ცუდია მოსკოვისათვის, ის კარგია პეკინისთვისო.

გადაწყდა, შინ უნდა დავბრუნდე...

66

გამგზავრება რაკი გადაწყდა, საჭიროა მომზადება. ორმაგი გრძნობა მეუფლება. ნოსატალგია შინისაკენ მერეკება. მეორე მხრივ, ამდენი წვალება და წლები წყალში მეყრება. ამიტომ ცალი ტვინით იმასაც ვფიქრობ, როგორ დავუძვრე კეთილ მასპინძლებს და კვლავ ჩემს ბედს ვეწიო. როცა საზღვრისპირეთის ტოპოგრაფიულ რუკებს მაჩვენებენ, თითს ვადებ მთებს გაღმა, სამხრეთისაკენ. ყველა ეს ქედი ტიან-შანის განშტოებაა, მაგრამ ილის ხეობის ხაფანგს მინდა გავცდე. თუმცა ეს ნაფიქრალიც ზღაპარია, რადგან წინასწარ ვიცი, ღონე მაინც არ მეყოფა... გზას ისე ვგეგმავთ, რომ მთა-მთა ვიარო და ისიკ-ყულის ტბაზე გავიდე. ყასიდად ვეთანხმები, რადგან თუ დავბრუნდი, ჩემთვის აზრი არა აქვს გადამალვას. საზღვრის დარღვევის გამო მაინცდამაინც ბევრს არ მომისჯიან. თუ დავიმარხები, მთელი ცხოვრება გატრუნული უნდა ვიყო, მერე წამოტივტივდება რაიმე და ვინმე თითს გამომიშვერს – „შენ, ამხანაგო, სად ბრძანდებოდი იმ რიცხვიდან ამ რიცხვამდე?“ გატრუნულ ცხოვრებას კი მე მაინც ვერ შევძლებ. ამიტომაც მერჩია, თავიდანვე ყველაფერი ნათელი ყოფილიყო და თუ სასჯელს ვიმსახურებდი, ჩემთვის განკუთვნილი თასი ბოლომდე დამეცალა.

ჩინური არაფერი არ უნდა წამეღო. ვინძლო თუ დამიჭერდნენ, საბჭოთა მხარეს ნივთმტკიცებანი ვერ უნდა ეპოვა. ჩავიცვი ჩემი ძველი ტანსაცმელი, ზევიდან პიჯაკი. მომცეს რუსული ასანთი და სამასი მანეთი სახარჯოდ. ჩემი გულუბრყვილო მასპინძლები – იმაზე მეტი ნივთმტკიცება რაღა იქნებოდა, ის სამასი მანეთი სულ ტკიცინა შეკვრა იყო, ნომერი ნომერს მისდევდა და საიდან გაჩნდა ჩემს ჯიბეში, ამის გარკვევა არ გაჭირდებოდა... ტიანშანის მთებში ღამე, უიარაღოდ სიარული საშიშია. ცეცხლსასროლ იარაღს ვერ წავიღებ, რომ დამიჭირონ, დანაშაულად ჩამეთვლება. ამიტომ დანა მაინც გამიკეთეთ-მეთქი ვითხოვე. რუსის მჭედელი ჰყავდათ ერთი, წვრილმან რაღაცაზე იჯდა, იმას გამოაჭედინეს მონადირის დანა. გუნებაში

გამეღიმა, რომელი ყარამან ყანთელი მე ვიყავი, ამ დანით ტიანშანის დათვსა და ვეფხვს შევჭიდებოდი.

საგზლის საკითხზე ბევრი ვიფიქრეთ. ისიკ-ყულამდე შიმშილისაგან ფეხებს გავჭიმავდი. მშრალი, გატკეცილი ლავაშების გარდა მოხარშული კვერცხი გამატანეთ-მეთქი. ოცდაათ ცალს ჩაგიდებთო, თავი დამიქნიეს. რა ვიცოდი, რა დელიკატესსაც მიმზადებდნენ...

ყველაფერი ჩინური აქ დატოვეო, რომ მითხრეს, პატიოსნად შევასრულე, მაგრამ ხელნაწერები დამენანა. ავიღე და პიჯაკის მხრებში ჩავაკერე. ხელს თუ უხერხულად გავაქნევდი, ტკაცანი გაჰქონდა. არ ვიცი, ვერ შეამჩნიეს, არ ვიცი, თვალი დახუჭეს, მაგრამ შემოწმება არ უკადრებიათ.

საღამოს, ბინდისპირზე, „ვილისი“ მომადგა. მა იუჩუნიც მომყვებოდა. დანარჩენებს, ზოგს ვიცნობდი, ზოგს არა. მშვიდობა მეზობლებისთვის არ დამიბარებია, მითხრეს რუსების აგენტურა გაგვცემსო. ყოველივე ეს თამაშსა ჰგავდა, რადგან სიტყვა „აგენტურა“ სასაცილოდ არ მყოფნიდა.

მთელი ღამე ვიარეთ იმ მანქანით. გამთენიისას დასახლებულ პუნქტს მივაღწიეთ. განაპირას, ყანაში ცალკე შენობა იდგა. საწყობი აღმოჩნდა. იმაში დავიმალენით, ფუთებსა და ტომრებზე გვეძინა.

შეღამებულზე გზა გავაგრძელეთ. შუაღამე გადაცილებული იქნებოდა, სამხედრო ნაწილამდე მივაღწიეთ.

თბილ ოთახში შემიყვანეს, ღუმელთან დამსვეს და ცხელი ჩაი მომაწოდეს. ყველანი ხაზგასმული ყურადღებით მეკიდებოდნენ. გათენებამდე დრო კიდევ რჩებოდა, ფიცარნაგზე წამოვწექი. ცოტა ხნით ჩავთვლიმე.

ირიჟრაჟა თუ არა, გარეთ გამოვედით. რვა შეკაზმული ცხენი დაგვხვდა. შევსხედით. მე ერთი თვინიერი, მორჩილი პირუტყვი შემხვდა. ეტყობა, განგებ შემირჩიეს. წინ ორი ცხენოსანი გაგვიძღვა, დანარჩენები უკან მომყვებოდნენ.

ვიწრო ხეობაში შევედით. მოტიტვლებული ფერდობის გასწვრივ, ძნელად შესამჩნევ ბილიკს მივყვებოდით. ერთგან ჩემმა ცხენმა ხაფანგში ჩაჰკრა ფეხი და ტლინკები ჰყარა. მოსართავი გამიწყდა, მაგრამ მშვიდობიანად ჩამოვსრიალდი

ძირს. არ ვიცი, ვინ ნადირობდა ზედ საზღვრის გასწვრივ. უნაგირი კვლავ გავამაგრეთ, მოსართავები მოვუჭირეთ და ცხენი დავამშვიდეთ.

ასე ვიარეთ შუადღემდე. ერთგან ხეობას სხვა, მომცრო ხეობა შეუერთდა და ყვავილოვანი ფერდობი გამოჩნდა. ამ ფერდობზე დავრჩით. სახელდახელოდ ვისადილეთ, პოლიტიკაზე ვიმუსაიფეთ. სამწუხაროდ, ამათი თვალსაწიერი ცენტრალური გაზეთის მოწინავეს ვერ სცილდებოდა.

ბინდი ჩამოეშვა. ცხენები დავტოვეთ. წინ ერთი კაცი წავიდა, ას მეტრზე მეორე მიჰყვებოდა. კიდევ ას მეტრზე – მე და მა იუჩუნი. უკანაც ორი კაცი მოგვყვებოდა. ფრთხილი სტვენით გვაგებინებდნენ, შეყოვნდით, ანდა წამოდით, გზა უსაფრთხოაო. რუსის მესაზღვრეებთან შეხვედრისა იმიტომ მეშინოდა, გაუთვალისწინებელი შეტაკება არ მომხდარიყო და ჩემი აკვიატებული „იდეების“ გამო სისხლი არ დაღვრილიყო. საკუთარ თავს არ ვნაღვლობდი, უნებლიე მსხვერპლს ალბათ ჩემს თავს ვერ ვაპატიებდი. ადამიანი მსგავს ავანტიურაზე რომ მიდის, წინასწარ უნდა გათვალოს, რომ ამ დროს მხოლოდ მისი უსაფრთხოება როდია სასწორზე შეგდებული, სხვისი სიცოცხლეც ბეწვზე ჰკიდია.

კარგა ხანს მივცოცავდით კლდეებზე. არც ბილიკი ჩანდა და არც არაფერი. ვინც წინ მიდიოდა, სწორი გზა იმან იცოდა და ჩვენც მივყვებოდით.

ბოლოს აღმართი დამთავრდა. მთის მოტვლეპილ თავზე აღმოვჩნდით. ზედ შუაგულზე ქვის ყორე იყო და სწორედ აქ იწყებოდა სახელმწიფო საზღვარი. წინ, ასიოდე მეტრზე სწორი მინდორი თავდებოდა და ტყე შავად იგვერგებოდა.

რა მელოდა იქ? ვინ იყო ჩასაფრებული? ვინ მითვალთვალებდა?

ამაზე ფიქრის დრო უკვე აღარა მქონდა. ხელი სათითაოდ ჩამოვართვი ჩემს გამყოლებს. მა იუჩუნს კი, რომელსაც ათი თვის მანძილზე შევეჩვიე, მაღალფარდოვნად, მაგრამ გულწრფელად ვუთხარი, სახელმწიფოები ხშირად ერთმანეთს ეჩხუბებიან, მაგრამ ხალხები მარადჟამს მეგობრებად უნდა დარჩნენ-მეთქი...

გავშორდი ყორეს და ტყისკენ წამოვედი...

67

20 სექტემბრის ღამე იყო. დღისით მზე მათბობდა, ღამე კი აცივდა. იქ, სადაც მე გავიარე, ველი თეთრი ჭირხლით დაიფარა.

ბრმად მივდიოდი. ვიცოდი, რომ ტყისპირიდან დაღმართი იწყებოდა, მაგრამ ბნელში ხომ ვერაფერს გამოვრიცხავდი: კლდეში გადავარდნაც მოსალოდნელი იყო, ნადირთან შეყრაც და მესაზღვრეთა ფარულ პიკეტთანაც.

ნაძვნარი აღმოჩნდა. უზარმაზარი ხეების ქვედა ტოტებმა კინაღამ თვალები წამომთხარა. დაღმართზე რომ არ დავცურებულიყავი, ამ ტოტებს ვეჭიდებოდი და ასე ნელინელ ვეშვებოდი.

ტყე მალე გათავდა. სადაც ვიდექი, ის ადგილი ბილიკის დასაწყისი არ იყო. ვიწრო სერზე აღმოვჩნდი, რომელსაც აქეთ-იქით ბუჩქნარიანი ხევები გასდევდა.

სიარული გამიადვილდა.

ქვევით ხეობაში მანქანამ გაიარა.

რეალობის გრძნობა დამიბრუნდა. მივხვდი, ღამღამობით, ასე ბნელში, სრულიად უცნობი მთებითა და ბილიკებით ისიკ-ყულამდე ვერასოდეს მივაღწევდი, რადგან რაც რუკაზე მოკ-ლეა, სინამდვილეში საკმაოდ შორია და ყველაფერს სჯობდა, მესაზღვრეებს დროზე გადავყროდი.

ამიტომ სინათლე რომ დავინახე, ერთი შევუძახე – „ეჰეი!“ მაგრამ იქამდე ალბათ არც ისე ახლო იყო, ან ვინ თავზეხელაღებული შემეპასუხებოდა.

სინათლემ ნადირის შიში გამიქრო. ჯიბიდან დანა ამოვიღე და ბუჩქებში მოვისროლე. შველით ვერაფერს მიშველიდა, ხიფათს კი გადამყრიდა. სასკოლო კომპასი მქონდა, ჯერაც ალმაათაში ნაყიდი, ისიც შევიხსენი და გადავაგდე.

გავივაკე. გზა ეკლიანმა ბუჩქნარმა გადამიღობა. იმის მიღმა მოზრდილი ღელე შხუოდა. ღელის გაღმა კი ასფალტიანი შარაგზა გადიოდა და სახლი იდგა.

ახლომახლო გადასასვლელი არ ჩანდა. ეკლებში ძლივს გავძვერი. გულუბრყვილოდ გავიფიქრე, ამ სახლში შევალ და

გავთბები-მეთქი. წყალდაწყალ გავტოპე, მუხლებამდე დავსველდი.

ფანჯარაზე დავაკაკუნე. სახლი თითქოს გაისუსა, ვითომც აქ არა ვართო. ფეხები მეყინებოდა და ხელახლა დავაკაკუნე.

ფანჯარაში დაკუნთული მამაკაცი გამოჩნდა. ხელში ორლულიანი თოფი ეჭირა და ის მომიღერა.

დროზე გავეცალე.

ვხედავ, გორაკის ძირას მიწურია. ეტყობა, ვიღაცა ცხოვრობს. ახლა აქ დავაკაკუნე. კარი გაიღო და მიხრწნილმა დედაბერმა გამოიხედა. ყაზახურად ისე შემომიღრინა, ენის ცოდნა სულაც არ აღმოჩნდა საჭირო. იმასაც გავეცალე.

გზას დავადექი. სანამ გავიყინები, იქნებ ვინმეს გადავაწყდე-მეთქი. კილომეტრზე ხიდი ვნახე, მეორე ნაპირზე სახერხი ქარხანა და პატარა საცხოვრებელი სახლი იყო. აქაც დავაკაკუნე. ხმა არავინ გამცა. იქვე ბოსელში ძროხა ება. იმასთან შევედი. ბაგაში ჩალის ღერი ეყარა, უკვე შეეჭამა და მე რას გამათბობდა.

ფიჩხი მოვაგროვე და ცეცხლი ძლივძლივობით დავანთე. ფეხზე გავიძრე. ვცდილობდი გამეშრო სველი წინდები და ფეხსაცმელი. ცივმა ნიავმა დაჰბერა და მთლად გამთოშა. გაშრობაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ცოტათი ფეხისგულები გავითბე და ხელახლა ჩავიცვი.

ამასობაში გათენდა კიდეც. მაინც მციოდა და საშინლად დაღლილი ვიყავი. მუხლებს ძლივს ვხრიდი. ეტყობა, ავადმყოფობის შემდეგ ღონე ბოლომდე ვერ აღვიდგინე. მომშივდა. გავხსენი ჩემი ბანდურა. ვგრძნობ, საშინლად ყარს. კვერცხებს ისეთი სუნი უდიოდა, უმალ გადავყარე და ხელიც ძლივს დავიბანე. გვიან მივხვდი, რომ ჩინელმა მეგობრებმა განსაკუთრებული პატივი მცეს, ასეთი სუნიანი კვერცხები ხომ დელიკატესად ეთვლებათ. მე კი ხმელა პურის მოციცქნაც გამიჭირდა, რადგან სუნი იმასაც გადასდებოდა.

უკან გავბრუნდი. თოფიანი კაცი გარეთ დამხვდა. რა იყო, თოფი რომ მომიღერე, ხომ არ გადაგყლაპავდი-მეთქი, ვკითხე. თან მართალს მიმსგავსებული ტყუილი მივაყოლე, აქ მესაზღვრედ ჩემი ძმა მსახურობს და იმასთან ჩამოვედი, გამვლელ მანქანას გამოვყევი და გზა ამებნა-მეთქი. ამიხსნა, ღამღამო-

ბით ხანდახან საზღვარზე ყაჩაღები გადმოდიან და იმათი გვეშინიაო, თან გზაც მასწავლა, აი ასე იარე და შენი ძმა სადაც მსახურობს, იქ მიხვალო.

წავედი იქითკენ. თურმე საზღვრის გასწვრივ მივდივარ, ორ ნაბიჯზე მავთულხლართია გაჭიმული. მირჩევნია, ცოტა მოვშორდე აქაურობას, მაგრამ მთის მოტიტვლებულ ფერდობებზე ვერც ბილიკს ვამჩნევ, თანაც აღმა რომ შევუყვე, შორი მანძილიდან დამინახავენ. მოკლედ, ვჭოჭმანობ, ტყვედაც ვბარდები და თავის დაღწევაც მსურს. ამიტომაც ისე მივდივარ ჩემთვის, თითქოს აქაური ვარ და ამის უფლებაც მაქვს.

ვაკეზე გავედი. აქ ფარდული დგას, ცხვარი მოუდენიათ და კრეჭენ. ათიოდე კაცი მაინცაა. კარგად ვიცი, აზრი არა აქვს გვერდის ავლას, გამომეკიდებიან. საზღვრისპირეთის მცხოვრებნი ისე ჰყავს მთავრობას დაგეშილი, რომ მისისინება არ სჭირდება, იქვე გტაცებენ ხელს. ამიტომ პირდაპირ ამათკენ გავემართე, გულღიად მივესალმე და ჩამოვჯექი.

დიდად გაუკვირდათ, ცხადია. ლეგენდა აქაც გავიმეორე, თან დავძინე, ჩემი ძმა სწორედ ამა და ამ სასაზღვრო პუნქტში მსახურობს-მეთქი. იმ პუნქტის სახელი ჩინური ტოპოგრაფიული რუკიდან დამამახსოვრდა.

ამ ზღაპარს სანამ ჩავამთავრებდი, მესაზღვრეთა სატვირთო მანქანამ გამოიარა. გავაჩერეთ და იმათ ჩავუჯექი.

დარწმუნებით ვერ ვიტყვი, მაგრამ მგონი საზღვრისმიღმა სერიდან მავანმა ცხენოსანმა დაინახა ეს კაპიტულაცია და, თუ ვინმესი მრცხვენია, მხოლოდ იმათი... ბოლოს და ბოლოს ჩინელები მთელი ათი თვე ძალზე კორექტულად და კეთილმოსურნედ მექცეოდნენ, ერთხელაც არ მიგრძვნია თავი დამცირებულად, ერთხელაც არ დასცდენიათ ისეთი წინადადება, რაც ჩემს ღირსებას რამენაირად შელახავდა... ვფიქრობ, ჩემს ამ ჩქარ გადაწყვეტილებაზე მარტო დაღლილობამ და ფიზიკურმა უღონობამ როდი იმოქმედა. ადამიანი თუ სულით ძლიერია, ყველაფერსა სძლევს. ჩემზე უფრო იმოქმედა, ასე ვთქვათ, იდეოლოგიურმა პრესმა. მე ხომ ორთოდოქსი კომუნისტი ვიყავი. მარქსიზმის მაოისტურმა ვარიანტმა ჩემს თვალში წააგო საბჭოთა ვარიანტთან შედარებით. მაოიზმის პოსტულატები იმდენად დოგმატური და გაყინული მეჩვენებოდა, იმის მხარეს ვერ დავდგებოდი... ოღონდაც, მეტი კრიტიკული ალღო და თანმიმდევრობა რომ მქონოდა, ალბათ, მარქსიზმის ხრუშჩოვისეულ ვარიანტსაც მოვისროდი, მაგრამ მაშინ და კარგა დიდხანსაც საამისოდ მზად არ ვიყავი...

ასე იყო თუ ისე, ჩავჯექი იმ მანქანაში. მივედით სასაზღვრო პუნქტში, ერთ პატარა სამხედრო ქალაქში. ჩემთვის სულ ერთი იყო, აქ მოვხვდებოდი თუ სხვაგან, მაგრამ რაკი ერთხელ სიტყვა დავაგდე, ჩამსვეს სხვა მანქანაში და სწორედ იქ მიმიყვანეს, რა პუნქტიც თავდაპირველად წამომცდა... გამომკეტეს ოთახში და შემომიტანეს ერთი მათლაფა შჩი, სადაც კომბოსტო და ორი ნამცეცი კარტოფილი ცურავდა, მაგრამ ისე გემრიელად გიახელით, თითქოს მშობლიურ სამზარეულოში შევიჭყიტე... ეჰ, რას იზამ! კუჭიც გაგვირუსდა, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ!

მეორე დღესვე ალმა-ათიდან ჩამოფრინდა კაპიტნის ჩინის მქონე გამომძიებელი...

68

ამჟამად გამოძიება ხანგრძლივი და საფუძვლიანი იყო. ყველაფერი ამოქექეს, ძველიც და ახალიც. ზუგდიდში ჩემი ახლობლები მერამდენედ დაკითხეს. რას ეძებდნენ, რას მოიძიებდნენ! ჩემი ცოდვები ჩემი ტვინით დამქონდა, მატერიალურ კვალს სად დავტოვებდი. კოკჩეტავის ოლქიდან ნივთები ჩამომიტანეს. იქ ფოტოსურათები მქონდა და დამიბრუნეს, გოგონებისა აკლდა. არ ვიცი, ვინც დაიტოვა, რა შეღავათს მიიღებდა.

ყველაფერი ეს მერე მოხდა. ახლა კი კაპიტანმა სახელდახელოდ დამკითხა.

ჩამსვეს მანქანაში. დავუბრუნდით იმ ხეობას, საიდანაც საზღვარზე გადმოვედი. მოგვგვარეს მესაზღვრეების ზორბა ულაყები და ფერდობზე ავისეირნეთ. ფოტოგრაფი ამ ჩვენს სასაცილო ვითომგამოძიებას დიდი მონდომებით „აკარტოჩკებდა“.

მომდევნო დღეს პატარა „კუკურუზნიკით“ გადავფრინდით

ჩუნჯაში. აქაურ ნაცნობებს შემახვედრეს. შექსპირის მოყვარულ დირექტორს, კეთილ კაცს, უნებლიე ვნება მივაყენე და გაბუტული ბავშვივით თვალს მარიდებდა.

თუ რეალობას მოწყვეტილი ხარ, შენი კეთილი სურვილები, უფრო ხშირად, ვნების მომტანია. მსოფლიო ბედნიერების მოსურნემ, ალბათ, არაერთ ადამიანს გავუფუჭე საქმე.

ჩუნჯიდან ალმა-ათაში ჩავფრინდით. ზევიდან ქალაქი და მისი მიდამოები ზღაპრულად ლამაზი იყო, მაგრამ მე აქ პატიმრად მოვფრინავდი და დიდი ხალისი არ მეტყობოდა.

უმოკლესი გზით აღმოვჩნდი სუკის საკანში...

69

ორადგილიან საკანში კონტრაბანდისტთან მომათავსეს. ინტელიგენტური გარეგნობის კაცი იყო, საკმაოდ ნაკითხიც, თურმე ინინის საკონსულოში უმუშავია. აუღელვებელი მობაასეა, სახეზე მჭმუნვარება არ ეტყობა, თუმცა პატიმრობის გარდა ოჯახური უბედურებაცა სჭირს. ორი ვაჟი მყავსო, ამიხსნა, ფეხმძიმე ქალი გააუპატიურეს და მოკლესო. ახლა ის ბიჭებიც ციხეში ისხდნენ და განაჩენს ელოდნენ. თვითონ თურმე ჯეირანის რქები გაჰქონდა ჩინეთში, იქიდან კი ოქრო და რაგინდარა შემოჰქონდა. ჩინელები ამ რქებს წამლად ხმარობენო და ძვირადაც ყიდულობენო

ჩემი საქმის ძიება ნელა მიდიოდა. კაპიტანმა მიმართვები დაგზავნა ქვეყნის ყველა კუთხეში, სადაც კი ფეხი დამედგა და არკვევდა იმას, რაც ისედაც არ დამიმალავს. ამ თავგადასავლების ნამდვილ მიზეზს მაინც ვერ ვამბობდი. ნორმალური ადამიანი ჩემს ფანტასტიკურ გეგმებს გიჟის ნაბოდვარად თუ აღიქვამდა. წამომცდა კიდეც, ბაქოში ყოფნის დროს ფსიქიატრიულში შემამოწმეს და ყველაფერი რიგზე აღმოჩნდა-მეთქი. ამას ჩაეჭიდა და წუთში თავი მიკრა ფსიქიატრიულში.

ისევ შეურაცხადთა გარემოცვაში აღმოვჩნდი. ამდენი წლის შემდეგ ერთმანეთში მერევა ბაქოსა და ალმა-ათის გიჟები. თითქოს აქაც ისეთივე ავადმყოფნი იყვნენ, ისეთივე ჯანღონით სავსე ექიმები და მოჭიდავეებივით დაკუნთული სანიტრები.

ერთი დედაბერი დამამახსოვრდა, ძილში შვილიშვილი მოეხრჩო და ირწმუნებოდა, არაფერი მახსოვსო. ერთ ღამეს ეპილეფსიის შეტევა დაუფიქსირეს და უბედური ბებო მართლმსაჯულებას გადაურჩა... ოღონდ საკუთარ მართლმსაჯულებას ვინ გაქცევია!

მთელი თვე დავყავი აქ. რაც ბაქოს ფსიქიატრიულზე მოვყევი, იმავეს თუ გავიმეორებ სიტყვასიტყვით. დასკვნა აქაც ისეთივე იყო!

დამაბრუნეს უკან, სუკის საკანში. ამჯერად ბაპტისტთან ჩამსვეს.

ოცდაათს მიტანებული, სახიერი მამაკაცი იყო. რწმენის გამო იჯდა. საქმე მეტი რა გვქონდა, მთელი დღე ვმასლაათობდით. ის რწმენაზე ჩემს მოქცევას ლამობდა, მე კი – მებრძოლი ათეისტი, შეტევაზე გადავდიოდი. ლოგიკით ვჯაბნიდი კიდეც და როცა მეგონა, გამარჯვებას ვიზეიმებ-მეთქი, მორცხვად დახრიდა თვალებს და კრავივით უცოდველად მეტყოდა – „ყოველივე უფლის ხელშია!“ წიგნი ჩემზე ნაკლები წაეკითხა, მაგრამ რწმენა ჰქონდა. მე კი წიგნიერი უვიცობის ტრიუმფალური განსახიერება ვიყავი და ახლა რომ მახსენდება, ვწითლდები. ახალგაზრდა ხშირად მაქსიმალისტია, რადიკალია, სამყაროს ორ ფერში ხედავს, პრეტენზია კი ჭეშმარიტებასა და მსოფლიო ცოდნაზე აქვს... ახალგაზრდა უფრო იოლად ექცევა იდეოლოგიის ზემოქმედების ქვეშ, მისი სული უფრო ესწრაფვის კერპისადმი ფანატიკურ მსახურებას. ასაკთან ერთად მრავლდება ეჭვი და იმ ახალგაზრდულ ციხესიმაგრეს ბალავარს ურღვევს, სანამ დანგრეულ გოდოლთან აღმოჩნდებოდეს...

ამასობაში ოქტომბერმაც გაიარა, ნოემბერმაც...

გარეთ ყინავდა, საკანში კი ცხელოდა. გამკრა გამჭოლმა ნიავმა და ხველება დამაწყებინა. ეს ისე უცბად წამომეპარა, ვერ გავიგე, როდის გავცივდი. თითქოს სათვალავში ჩასაგდები არცაა, დონ კიხოტები საკუთარ ჯანმრთელობას არად აგდებენ, მაგრამ ამ ხველებამ გამაწვალა, რამდენიმე წელი თავი არ დამანება და ახლაც კი, სამი ათეული წლის შემდეგ, ოდნავ რომ გავ-

ცივდე, დახველების სურვილი მებადება...

ვხვდები, რომ სასამართლო არ შედგება. კაპიტანი საზღვარზე გადმოტანილ ჩემს ხელნაწერებს მიბრუნებს, თან მსუბუქად მაქილიკებს. თავზე თმა წამომეზარდა, ბულულივით მადგას. ციხის კანონით უნდა გადამხოტრონ, მაგრამ კაპიტანს ვეუბნები, ვხვდები, რომ გამიშვებთ, თქვენ რა გენაღვლებათ, ბარემ ქოჩრიანი გამიშვით, თორემ გოგონები დამიწუნებენ-მეთქი. არ გამკრიჭეს! სუკს იმ დროს ინტელიგენტური კადრები ჰყავდა!

ზამთრის ერთ დღეს ციხის მანქანაში ჩამსვეს და რკინიგზის სადგურზე მიმაბრძანეს.

იქ ბადრაგს ჩამაბარეს.

ხელები თავზევით შემოიდევი! მხოლოდ წინ იარე! განზე ნაბიჯის გადადგმა, გაქცევის მცდელობად ჩაგეთვლება! ჩაცუცქდი!

ჩაყუნცულნი ველოდებით ვაგონში შესვლის ნებართვას.

ჩვეულებრივი სამგზავრო ვაგონი მგონია, მაგრამ ეს „სტოლიპინის“ ვაგონია. უფანჯრო კუპეებია, კარების ნაცვლად გისოსები აქვს. პატიმრები ორ იარუსად განლაგებულან. ქვემონი სხედან, ზემონი წვანან და ხანდახან მონაცვლეობენ...

ალმა-ათას ვერ გამოვემშვიდობე, პატიმრის თვალსაწიერს გისოსი ფარავს.

70

კუპეში შესვლისთანავე გული სიხარულით შემიხტა, ქართველ კაცს წავაწყდი. ტიპური, დარბაისელი თბილისელი იყო. თურმე, ნუ იტყვით, ისე მომნატრებია ქართულის გაგონება, ხმას მხოლოდ იმიტომ ვიღებდი, პასუხიც ქართულად რომ მომესმინა. ბ. ა. შესანიშნავი პიროვნება აღმოჩნდა. ადამიანი ასეთ ექსტრემალურ ვითარებაში უფრო ავლენს თავის ბუნებას. მთელ გზაზე ინარჩუნებდა სიდინჯეს და სიდარბაისლეს, სიტყვაძუნწი იყო და სათქმელი გამოზომილი ჰქონდა. კუპეს ბინადართათვის მისი სიტყვა კანონი იყო. ნორმალურ საზოგადოებაში ასეთი ადამიანები ციხეში არ უნდა ხვდებოდნენ. მე არ ვიცოდი, რისთვის ისჯებოდა, მაგრამ უმალ ვირწმუნე მისი კაცობა.

გაზეთის ამონაჭერი მაჩვენა. პაწია ლექსი დაებეჭდა მის შვილს და უბეში ატარებდა. ლექსი ქეიფსა და დროსტარებას ეხებოდა. დღეს უკვე ვერ შევძლებ მის შეფასებას, მაგრამ ქართული ასოებით დაბეჭდილი ქართული სიტყვები იმდენი ხანია არ მენახა, უკანა გვერდზე ჩაის კრეფის ამბავი რომ ეწერა, ისიც სიამოვნებით ჩავიკითხე.

კიდევ ერთი თანამგზავრი დამამახსოვრდა. ჩეჩენი ვაჟკაცი, საოცრად გაუნათლებელი და საოცრად გულღია, მხიარული და მამაცი. ოხუნჯობდა, იცინოდა, მღეროდა. ოდნავ მიეცემოდა საშუალება და საცეკვაოდ თითის წვერებზე აიწეოდა. არადა, საქართველოში ყოფნისას ცოლი ჰყავდა მოკლული. საყვარელთან შეასწრო, დანა იმ საყვარელს მოუქნია და ქალი გადაეღობა. ცოლის მკვლელი ყაზახეთში გადაიმალა, მაგრამ მერე იქაც იჩხუბა, დანა დაატრიალა, სტაცეს ხელი, აჰ, ეს შენა ხარო და ახლა ეტაპით საქართველოში მიამგზავრებდნენ.

დანარჩენები რუსები იყვნენ, ჩვეულებრივი წვრილმანი დამნაშავენი.

ჩვენი ვაგონი სულაც არ ჩქარობდა. დღე ღამეს ცვლიდა. სამგზავროსაც და საბარგოსაც წინ უშვებდა. ხან ერთზე მიგვაბამდნენ, ხან მეორეზე. კაცი ყველაფერს გაუძლებს, მაგრამ კუჭის უწყვეტი მოწოდება ისე გვაწვალებდა, ლამისაა კბილებით გისოსები დაგვეღრღნა. დღეში ნახევარ შავ პურს, ერთ ცალ ქაშაყსა და სამოცდათხუთმეტ გრამ შაქარს გვაძლევდნენ... ქაშაყს ვერ ვიტანდი, პური და შაქარი კი არ მყოფნიდა. ერთხელ ჯარისკაცებმა ხილფაფის დიდი ქილა მოგვყიდეს. ქილა თითქმის ცარიელი იყო, მაგრამ კედელზე კიდევ ეცხო რაღაც და თითით შეიძლებოდა ამოლოკვა. ჩვენი თავმოყვარეობა დიდად არ შელახულა ამ პროცედურით. თავმოწონება მაძღარ კაცს მოსთხოვეთ!

ძლივს ჩავაღწიეთ ორენბურგამდე. ჩამოგვყარეს ვაგონიდან. დაგვაწყვეს ოთხრიგად. ირგვლივ ავტომატიანი ჯარისკაცები და ძაღლები გვახვევია. მათთვის სულ ერთია, შენ მარ-

თლა პატიმარი ხარ, თუ ეჭვმიტანილი.

„ჩაცუცქდით!“

ჩაცუცქულების დათვლა იოლია. საშინელი ყინვაა. ტანისამოსი თითქოს ერთიან ყინულად იქცა. ცხვირ-პირი ამეწვა. ხელების დამალვა არ შეიძლება, ზურგს უკან უნდა გქონდეს.

ციხემდე ძლივს მივაღწიეთ. პატიმრები სხვადასხვა საკანში გაგვანაწილეს. მე სარდაფში ჩამიყვანეს. ბეტონის ბუნკერში შემაგდეს და კარი გამომიკეტეს. რკინის საწოლი დგას, ზამბარების მაგიერ რკინის ფირფიტებია მიდუღაბებული. არც საბანი, არც არაფერი, არადა ფანჯარაში შუშა ჩამტვრეულია და სიცივე შემოდის.

პროტესტი უნდა განვაცხადო, თორემ ამაღამ გავიყინები. კარზე ვაბრახუნებ, პასუხი არსაიდან ისმის.

კარგა ხნის შემდეგ ვიღაცა მოდის, კარზე სარკმელი იღება და ალუმინის თეფშით წვნიანს მაწვდის. „კოვზი?“ – ვკითხულობ. პასუხს არავინ მაძლევს. „არ შევჭამ უკოვზოდ!“– გუნებაში ვლანძღავ ციხის ადმინისტრაციას. თანაც ისეთი წვნიანია, გული აგერევა. ალბათ, აყროლებული თევზისაგანაა წყალწყალა „უხა“ გაკეთებული. არ უნდა ვჭამო, მაგრამ კუჭი მეწვის. კოვზსაც არავინ მომიტანს, გაცივდება და უარესი იქნება... თავს ძალას ვატან და ცოტცოტობით ვწრუპავ...

მერე ისევ მივადექი კარს და ვაბრახუნებ. რკინის კარია, ზრიალი გააქვს. სადღაც, შორს ქალის კივილი ისმის. ჩემს ბრახუნს ყურს არავინ უგდებს... სხვა რა გამოსავალია, ცარიელ რკინაზე მოვიკუნტე. ძილ-ბურანში ვიძირები...

დილით გაყინულ ეზოში გავყავართ სასეირნოდ, ჩემი წილი სუფთა ჰაერი უნდა ჩავისუნთქო.

მერე ისევ ბადრაგი, ისევ „სტოლიპინის“ ვაგონი, ჩვენს კუპეში ისევ ძველი ნაცნობები ვიკრიბებით და მატარებელი ჩრდილო-დასავლეთისაკენ მიჩოჩიალებს.

სარატოვში ვართ. ციხის მისაღებშივე ვიღაცა ყვირის, ეს ვინ ქოჩრიანი მოგიყვანიათ, ციხის შინაგანაწესს რატომ არღვევსო. შემაგდეს დალაქთან, ის კი შუბლიდან კინკრიხოსაკენ საკრეჭი მანქანით ჩამომყვა. იმდენი თმა ჩამომცვივდა, სასწორზე აიწონებოდა. საკუთარი თავი ვერ ვიცანი, მაგრამ იმ რეგვენ მოხელესთან რას გავხდებოდი.

აქაც დაგვაცალკავეს. ორენბურგთან შედარებით ეს ციხე სასტუმროს ჰგავდა. საკანში თბილოდა. ზემოთ რადიოც კი ეკიდა, საიდანაც ციხის განაწესსა და ნაირ-ნაირ განკარგულებებს გადმოსცემდნენ. აქ ერთი ქურდი და ერთი მკვლელი დამხვდა. ორივენი ახალგაზრდები იყვნენ. ქურდი წუწუნებდა, ეშმაკმა მაცდუნა, სოფლის მაღაზიაში სხვენიდან ჩავძვერი და უკვე ჩემოდნებით რომ გავრბოდი, მაშინ დამიჭირესო... მკვლელი კი ახლახან ჯარგამოვლილი ყმაწვილი იყო. ირწმუნებოდა, უდანაშაულო ვარ, ჩემს ამხანაგს შემთხვევით ვუბიძგე, ის კი მანქანას ბორბლებში ჩაუვარდა, რის გამოც შვიდ წელს მაინც მომაკერებენო.

ათი დღე შევრჩი ამ მშვენიერ საზოგადოებას. ახალი წელი იყო, ხელისუფლება ჩვენც გვასვენებდა და თვითონაც ისვენებდა.

ახალი წლის ღამეს რადიოში პატიმარი ქალების კონცერტი მოგვასმენინეს და რუსის ორი გოგონა წვრილი ხმით მღეროდა – „ტბილისო-ო, მზიტ და ვარდებიტ კალაკო-ო...“

ჩვენი, საკუთარი სახლივით გაშინაურებული „სტოლიპინის“ ვაგონი, ამასობაში, ჩიხში გველოდებოდა. ჩემს დანახვაზე ჩეჩენმა მოსაცდელში კაი დავლური ჩამოუარა.

რამდენ ხანსაც სარატოვიდან როსტოვამდე ფეხით მიირბენს ადამიანი, იმდენ ხანს ვიმგზავრეთ.

აქაც სხვებს დამაშორეს, სუკის ციხეში წამიყვანეს. შეუჩერებლად მახველებდა, გავწამდი. ალმა-ათაში ციხის ექთანი ფეხებს ცხელ წყალში მაყრევინებდა და კოდეინს მასმევდა. აზრადაც არ მომსვლია, რომ კოდეინი ნარკომანთა საყვარელი აბია. ამიტომ აქაც ვითხოვე. უცნაურად შემომხედეს, ალბათ იფიქრეს, ნარკომანია და იმიტომ ახველებსო. ძლივს მიხვდნენ, რომ ამ საკითხში სრული უვიცი ვიყავი.

ბოლო ეტაპი როსტოვიდან თბილისამდე მგზავრობა იყო. რაც უფრო ვუახლოვდებოდი საქართველოს, სევდა და სიხარული ერთად მეუფლებოდა. სევდა განუხორციელებელ ოცნებათა გამო, სიხარული კი იმიტომ, რომ ყოველ ადამიანს დედამიწის ზურგზე აქვს სამშობლო, სადაც მას ელიან და შეიწყნარებენ.

დანახვით ვერ დავინახე, მაგრამ მივხვდი, რომ ენგურის ხიდი გადავიარეთ და ზუგდიდი განზე მოვიტოვეთ.

მეორე დღეს უკვე ორთაჭალის ციხეში ვიყავით..

71

აქ უკვე საბოლოოდ ჩამომაშორეს ჩემს თანამგზავრებს და შემიყვანეს ვრცელ ოთახში, სადაც შიშველ ფიცარნაგზე ორმოცამდე პატიმარსა და ეჭვმიტანილს ეძინა. რამდენიმე დღე დავყავი ამათთან. ერთნი მიდიოდნენ, სხვები მოდიოდნენ. ბებერი ქურდი დამამახსოვრდა. ავტობიოგრაფიულ რომანს წერდა. თავს ღირსად თვლიდა, კაცობრიობას მოესმინა მისი მონოლოგი, რაკიღა ჩვიდმეტი წლისა ჩაჯდა და მხოლოდ ორჯერ გამოვიდა, ერთხელ ორი თვით, მეორეჯერ – სამით. მას, ციხის გარდა, სხვა სახლი არცა ჰქონდა და არც სურვილი შერჩენოდა სხვანაირი ყოფისა, მაგრამ ადამიანის სულში პატივმოყვარეობის ცეცხლი შეუნელებლივ ხრჩოლავს და ამას ვერავინ გაექცევა. ისიც ცდილობდა თავისი გმირული სახელის უკვდავყოფას, ესაა, სტილი არ უვარგოდა და მთელი ტექსტი ერთი თარგში ჰქონდა გაწყობილი – „კოგდა პოეზდ პრიეხამშის, ია ოტიეხამშის...“ და ამისდაგვარად.

ერთ დღეს ჩამსვეს მანქანაში და გადამიყვანეს სუკის იზოლატორში. მანამდე ეს შენობა მხოლოდ ფოსტა-ტელეგრაფი მეგონა. თურმე აქ კოხტადაა ჩამწკრივებული სუფთა და გაწკრიალებული საკნები, უსუფთაო საქმეებს რომ მალავდნენ... სადილი მომიტანეს. ორთაჭალის ციხეში ფიცარზე გაუხდელი წოლის შემდეგ აქ ალბათ თეთრ ლოგინში ჩამაწვენდნენ, მაგრამ არ დამცალდა. შემიყვანეს ხალიჩებით მოფენილ მდიდრულ კაბინეტში. ორი მაღალი რანგის ოფიცერი დამხვდა. ინტერესით შემათვალიერეს, ერთმანეთს გადახედეს და ჩაიხვიხვინეს.

— ვისთვის ჩემი თავგადასავალი კომედიაა, ჩემთვის – ტრაგედია! – პირქუშად მოვუჭერი და უმალ სერიოზული სიფათები მიიღეს.

გაიღო კარი და შემოიყვანეს ბაჯუ ბიძია და ჩემი ძმა მუნ-

ტულია (ღმერთმა გაანათლოს ორივეს სულები!).

გადამეხვივნენ, გადამკოცნეს... რაღაც ქაღალდებზე მოაწერეს ხელი, ალბათ თავდებობისა, აქაოდა გავკოჭავთ და უცხო ქვეყანაში აღარ გავუშვებთო.

გამოვედით ცივი და სევდიანი თბილისის ქუჩებში, ჩავსხედით ცივ და სევდიან მატარებელში... ზუგდიდშიც თოვლი დამხვდა. კარის მეზობელი, დიანა, გარდაცვლილიყო, სანამ შინ შევაბიჯებდი, სატირალში შევედი... მოკლედ, ქალაქიც ცივი და სევდიანი დამხვდა.

ჩემს ძმას ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი ეხვია და იმათი დაპურება უჭირდა. უფროსი და ცხოვრებას იწყებდა, იმასაც სამი გოგო ჰყავდა (მეოთხე დაელუპა), მერე ბიჭი შეეძინება. უფროსი ძმა უკრაინაში დაეფუძნა, იქაური ქალი ჰყავდა და იქაურ შვილებსა ზრდიდა... მამინაცვალი სადღაც გადახვეწილიყო!.. დედა-ჩემი და უმცროსი და ერთ ღატაკურ ქოხში შეჭირვებულნი ცხოვრობდნენ... მე კი, მსოფლიო ბედნიერებისათვის მებრძოლს, არ შემეძლო მცირედი შვება მომეტანა ჩემი ახლობლებისათვის, თუ შვებად არ ჩავთვლი ჩემს ცოცხლად დაბრუნებას.

ვიცოდი, რომ ეს ჩემი თავგადასავლები „სათანადო რეაგირების“ გარეშე არ დარჩებოდა. საჭირო იყო ჩემი ხელახლა აღზრდა. ცხადია, ამაზე კომკავშირს უნდა ეზრუნა. ჰოდა, მესტუმრნენ შინ ახალგაზრდა, პირმშვენიერი რაიკომის მდივანი ქალი და მისი მოადგილე ვაჟი. მიიხედ-მოიხედეს ჩვენს ღარიბულ ქოხში და დაასკვნეს, კომკავშირიდან უნდა გავრიცხოთ, მაგრამ სამსახურშიც უნდა მოვაწყოთო.

გარიცხვა ხომ მაშინ ღვთის რისხვად აღიქმებოდა. ამაზე დიდად არ ვდარდობდი. ჩემზე იდეური მარქსისტი მაგ კომკავშირში არც მეგულებოდა და ჩემნაირი თუ არ უნდოდათ, კინჩხი და კისერი ეტეხათ. ჩემი ძმაკაცი ჯუმბერი მივიდა მდივანთან, უთხრა, ნუ გარიცხავ ამ ბიჭს, თორემ მერე შეგრცხვებაო. მდივანმა ღიმილით უპასუხა: კაი ბიჭი ხარ, მაგრამ ადამიანებისა არაფერი გესმის, შენი მეგობრისაგან კაცი მაინც ვერ დადგება და რაზე დარდობ... ბიუროზე რომ გამომიძახეს, ყველაფერი წინასწარ იყო გადაწყვეტილი. ბიუროს რიგით წევრებს მაინც

ეწადათ ჩემი „გადარჩენა“ და ნაირ-ნაირი წინადადებები წამოაყენეს, მოდით, გავკიცხოთ, საყვედური გამოვუტანოთ, გარიცხვით კი ნუ გავრიცხავთო. მდივანი განერვიულდა, მეგობრებო, მთლად ჩემი ნებაც არ არის, მითითება ზევიდან მოვიდაო... ცხადია, მაო ძედუნს არ გულისხმობდა!

მეორე პუნქტის შესრულება, ესე იგი ჩემი სამუშაოზე მოწყობა ვერ მოხერხდა. აბა, ცხრაკლასდამთავრებულს რა სამსახური უნდა შესთავაზო. მითხრეს, დახლთან დადექი და ივაჭრეო. ტუჩი ავიბზუე. გამინაწყენდნენ, შენ ყველა ნოქარი უსინდისო ხომ არ გგონიაო. ვიცოდი, ვაჭრად მოწყობა უმაღლესში მოწყობაზე მეტად ფასობდა, მაგრამ ჩემი თავი ვერაფრით წარმოვიდგინე ფართლისა და საცვლების გამყიდველად. ხელი ავუკარი დასახმარებლად გამოწვდილ მარჯვენას და თვითონ გავემგზავრე ჯვარში, ენგურჰესის მშენებლობაზე...

კვლავ უფულო ვიყავი, მშიერი და თანაც ცუდად მახველებდა...

72

ბავშვს რომ აკვანი გამოწერილივით დახვდება, ისე მე საერთო საცხოვრებელი მომისაჯა განგებამ. იმდენი საერთო საცხოვრებელი მომივლია, საცა სამართალია, იმქვეყნად ალბათ სასახლეები მეკუთვნის... ჩავსახლდი საერთო საცხოვრებელში, გავიცანი ბიჭები, დავიწყე მუშაობა ხუროთა ბრიგადაში... საბინაო მშენებლობა მიდიოდა და ხურო საჭირო კაცი იყო, ჩემისთანა გამწლეულისათვისაც შედარებით მსუბუქ საქმედ მეჩვენებოდა... ოღონდ ხელფასით არ გვანებივრებდნენ. თვენახევრის მუშაობის შემდეგ როგორღაც ასი მანეთი შევაკონიწე და დედაჩემს ვალის გასასტუმრებლად ჩავუტანე, რაც დიდ წარმატებად ჩამეთვალა.

ახალგაცნობილმა ბიჭებმა გადაწყვიტეს, ჩვენი დამეგობრებისა აღვნიშნოთო. სამუშაოს შემდეგ ჩქვალერის კლუბში უნდა წავსულიყავით კონცერტზე. ერთმა ბოცით ღვინო მოარბენინა. საჭმელი არაფერი გვქონდა, პურისა და იაფფასიანი ძეხვის გარდა. იქვე, სერზე დავსხედით, თითო ჭიქა წავუქციოთ

და კონცერტზე მერე წავიდეთო. მანამდე, რუსეთში ხეტიალის დროს თითო-ოროლა ჭიქა არაყი კი გადამიკრავს, მაგრამ მთვრალი არც ვყოფილვარ. ამიტომ ველარ გამოვზომე. რამდენიმე ჭიქა წყალივით რომ ამოვწრუპე, შორიახლო მიმავალი ქალი და თხა, ორ ქალად და ორ თხად გადაიქცა, მჭევრმეტყველური სიტყვები ლულლულს დაემსგავსა... წავედით კონცერტზე... მახსოვს, რაღაც ეზოში შევაღწიეთ, ბაღის სკამზე წამომაწვინეს. გოგო-ბიჭები მიდი-მოდიოდნენ, თავში კი ცარგვალი ბრუნავდა... რაღა გვეკონცერტებოდა, ჩამავლეს ხელი, ამომიდგნენ აქეთ-იქით და საერთო საცხოვრებლამდე ძლივს წავჩანჩალდით... ამ შემთხვევამ სასმელისადმი სიყვარული ვერ შემმატა.

რაკი ხუროობით პურს წესიერად ვერ ვჭამდი, გვირაბის მებეტონედ გადავედი. ჩემი ჯანმრთელობის კაცისათვის მართლაც მძიმე საქმე გახლდათ. აქეთ ვიტამინებს ვიკეთებდი, რათა ხველება ჩამეხშო, მეორე მხრივ კი, სამი ცვლა მიხდებოდა მუშაობა. ყველაზე მძიმე მესამე ცვლა იყო, სამუშაოდ ღამის თორმეტ საათზე მივემგზავრებოდით და დილის რვა საათზე ვამთავრებდით. ეს გვირაბიც და სამუშაოც აღწერილი მაქვს „მკვდარ სახლში“ და აქ სიტყვას არ გავაგრძელებ... იმასღა ვიტყვი, ფიზიკური ძალით, უეშმაკოდ, არსებული სისტემა კაცს ვერ გამოკვებავდა, იგი ადამიანის სიცოცხლისა და ძალ-ღონის საძარცვავად იყო მოგონილი. გვირაბი არსებობდა თავისთავად, გვირაბი იყო ყველაფერი, ჩვენ კი უბრალო ჭიაღუები ვიყავით, სხვა არაფერი... გვირაბი ჩვენთვის კი არ იყო, ჩვენ ვიყავით გვირაბისთვის და მას ვეწირებოდით... ბრიგადა ინტერნაციონალური გვქონდა, ჩეჩნებიც გვერია, რუსებიც, სომხებიც, მაგრამ ასევე ინტერნაციონალურად ხელმოკლენი და მშივრები ვიყავით და ჩვენს შორის ამ საქმით აშენებული კაცი მე არ მინახავს... შეწირული კი...

სამაგიეროდ მთელი რეგიონი შენდებოდა მოპარული ცემენტით, მასალებით. ამაზე ბრძანა თურმე ვასილ პავლოვიჩმა, ჩვენს მოსანახულებლად რომ ჩამობრძანდა, შეეშვით, ამ სახლებს მათი პატრონები საფლავში ხომ არ ჩაიყოლიებენ, ქვეყანას დარჩებაო. ის კი ჩამოვიდა ავარიის შემდეგ, როცა გვირაბის მორღვეულ ჭერქვეშ რამდენიმე კაცი ჩაიმარხა. ერთი

რუსის ბიჭი ერია, ორიოდე კვირის წინ ჩამოსული. დედამისი ჩამოიყვანეს და საერთო საცხოვრებლის დერეფანში დილამდე ისმოდა მისი უსასოო ყმუილი... ერთიც იყო, ქართველი კაცი, რომელიც სულ ათიოდე დღეში პენსიაზე გადიოდა... დაწყევლოს ღმერთმა ასეთი ბედ-იღბალი, ერთნი შენდებიან, მეორენი უბედურდებიან... ზნეობრივი სკალა ჩვენი ქმედებისა კი დაკარგულია...

ჯვარი, ჯვარზენი... ამ დიდი მშენებლობის გამო ეს სახელები მთელ რესპუბლიკას პირზე ეკერა. საერთოდ, ჯვარელები ადრეც გამორჩეულნი იყვნენ, აქ უამრავი შესანიშნავი ადამიანი გავიცანი. ჩამოთვლა რომ დავიწყო, ვინმე გამომრჩება და გულს ვატკენ. საერთოდ, ცოცხალ ადამიანებზე საუბარს ვერიდები. ჩემი საქმე არაა ადამიანთა განსჯა და არც ეს ტექსტია სადღეგრძელო, სადაც ყველას ერთმანეთის მიყოლებით ხოტბას ასხამენ... იმას მაინც ვერ გამოვტოვებ, რომ ნამდვილი პოეტი აქ გავიცანი და ეს იყო მურმან ჯგუბურია, ჩემსავით უთავბოლო ბიოგრაფიის კაცი. იმასაც ჯიბეში ატესტატი არ ედო და ჩემთან შედარებით ის უპირატესობა ჰქონდა, მანქანის საჭეს უჯდა... თვითონ ყურადღება მგონი იმიტომ მომაქცია, ბადმინტონს ვთამაშობდი, მაშინ ეს იშვიათი ხილი იყო და ერთგვარი ექსტრავაგანტურობა დაჰკრავდა. მე კი მახსოვს, რომ ბიბლიოთეკაში, წიგნის თაროებს შორის ვნახე და გამოველაპარაკე. იქიდან ერთად დავბრუნდით საერთო საცხოვრებელში და მერე ერთ ოთახში ვცხოვრობდით, სანამ ჯვარზენს საბოლოოდ დავტოვებდით... კარგად ესმოდა პოეზიის არსი, უკვე მაშინ ჰქონდა დახვეწილი ლიტერატურული გემოვნება, ჩემზე უკეთ იცოდა საზოგადოდ პოეზია... არც მე ვყოფილვარ სულით ღატაკი და ჩვენი ლიტერატურული გატაცებები და ოცნებები გვაახლოვებდა. ბოლოს და ბოლოს ჩვენთვისაც ხომ უნდა გამოჩენილიყო სინათლე გვირაბის ბოლოს...

იოლი არ იყო გვირაბის მებეტონის საქმიანობა. ღამეების თევა, თუჯის მილების თრაქვა, ნიჩბით ბეტონის ხსნარის ჩასხმა, გვირაბის თაღზე ვიბრატორით ღოღიალი, ნესტი, სიცივე... და მაინც კარგად იმოქმედა ენგურისპირა ჭალების სუფთა ჰაერმა, მზემ, სიმშვიდემ. თანდათან გამოვკეთდი, ხველებაც შემიწყდა და გარეგნობითაც თითქოს ასაკი დამაკლდა. იმ ზაფხულს საგზურიც მომიხერხეს, გაგრაში დავისვენე... ზღვა, წიგნები, მშვიდი საუბრები, ახალი ნაცნობები... ერთი ტრაგიკული ბედის გოგონა გავიცანი, ფეხი მოეჭრათ მუხლამდე და ყავარჯნით დადიოდა. ძალიან განიცდიდა. კავალრობას ვუწევდი, ერთად დავსეირნობდით, გრძელი საუბრებით ვართობდი... მერე დიდხანს მწერდა წერილებს, მაგრამ ურთიერთობა ბოლოს და ბოლოს შეწყდა და ახლა არ ვიცი, რა ბედი ეწია...

სექტემბერს ჯვარზენში საღამო სკოლა გაიხსნა. დირექტორად დაინიშნა შესანიშნავი ადამიანი ავქსენტი ცხადაია. მე და მურმანი დამამთავრებელი კლასის შვიდეულში აღმოვჩნდით. ჩვენ უკვე საკმაოდ დიდები ვიყავით. მასწავლებლები ასაკით ოდნავ გვისწრებდნენ, ანდა მთლად თანატოლები იყვნენ, ამიტომაც ჩვენი გაკვეთილები უფრო ხშირად სამაასლათო კლუბად გადაიქცეოდა ხოლმე.

თანდათან, ცოტცოტაობით ბედი თითქოს ჩემკენ შემოტრიალდა. სულიერი წონასწორობა დავიბრუნე. ხანდახან თუ გამკრავდა გულში ძველი ოცნებების სუსტი გამოძახილი. უკვე აღარ მსურდა უცხოეთში გაქცევა. ჩე გევარას ეპოპეამ და მსგავსმა ამბებმა სიახლის ხიბლი დაკარგა... კოსმოსიც ნაკლებ მაინტერესებდა... იქიდან წამდაუწუმ მოისმოდა თანამგზავრთა რადიოხმები და რომანტიკული საბურველისგან გათავისუფლდა, რადგან იქ ტექნიკა მეტი აღმოჩნდა, ვიდრე პოეზია. ჩაცხრა კამათი ფიზიკასა და ლირიკას შორის. ფიზიკას ვერავინ წაართმევდა თავის კუთვნილ ადგილს, ისევე როგორც არ შეიძლება გლეხს ხელიდან თოხი გააგდებინო. მაგრამ ლირიკა სულიერების ბალავარია და მისი უარყოფა სამყაროს უინტერესოს და შავ-თეთრში შეფერილსა ხდიდა. დამრჩენოდა ერთადერთი გზა, რაიც ჩემს პატივმოყვარულ ვნებებსაც დააცხრობდა და მრავალგანზომილებიან სამყაროში საკუთარ ადგილს მომიჩენდა. ეს იყო ლიტერატურა!.. ოღონდ იმასაც მივხვდი, ამ გზის სიიოლე მოჩვენებითია და რაც ვიტანჯე, უკეთესობა არც ამიერიდან მელოდა...

წინ გრძელი გზა მედო. ჩემი ტვინიდან უნდა ამომეხვე-

ტა რუსული რიტმი და ცნობიერება. ალბათ, პარადოქსია, მაგრამ იმ წლებში რუსული უკეთ ვიცოდი, ვიდრე დღეს. ამიტომ მიზანმიმართულად და დაჟინებით ვკითხულობდი თითქმის მხოლოდ ქართულად... ჩინეთიდან ჩამოყოლილი მოთხრობა „ორნი ბილიკზე“ ჩამოსვლისთანავე ვთარგმნე. იქ კაცის დახვრეტაზეა ლაპარაკი და თარგმანის პირველ ვარიანტში „გახვრეტა“ მეწერა. მერე მრავალგზის ვასწორე და გადავასწორე. ენობრივი კოდი, რაც გენშია ჩადებული, ბოლომდე არასოდეს ქრება. ოღონდ თუ საკუთარ ენობრივ სამყაროს გამოეთიშები, შეიძლება დროებით მიიძინოს. საკმაო ძალისხმევაა საჭირო, რათა მძინარე დედოფალი გამოაღვიძო. ჯილდოდ კი იმას მიიღებ, რომ უცხოური ზედაპირული კაკაფონიის ნაცვლად მშობლიური ჰარმონია აღდგება... ჩემს ცხოვრებაში ეს იყო ხანგრძლივი პროცესი... იმ მოთხრობას კი, ჩინეთიდან წამოღებულს, ბევრი ვუტრიალე, ბოლოს უნივერსიტეტის „პირველ სხივში“ გამოვაქვეყნე, მაგრამ როცა წლების შემდეგ კრებულს ვადგენდი, წაკითხვაც გამიჭირდა და განზე გადავდე. ნაწარმოებს იმთავითვე მშობლიური ხიბლი თუ არა სცხია, მერე იმის გამოსწორება შეუძლებელია...

პირველი პუბლიკაციაც იმ დროს მოხერხდა. თუ არ ჩავთვლით მცირე „რეპლიკებს“, რის შედეგად ავტობუსებიდან ჩამოხსნეს ფირნიში „პლატინა“ და მიაწერეს „კაშხალი“, ეს იყო საკმაოდ მოზრდილი რამ. ნარკვევს ერქვა „კლდეთა გულში“, ეძღვნებოდა ჰესის მშენებლობას, დაწერილი იყო ზეაწეული სტილით, გადატვირთული გახლდათ კონსტანტინიზმებით და მისსავე რიტმით. მოკლედ, კარგად ჩანდა, რომ კონსტანტინეს წიგნები წაკითხული მქონდა. ბატონმა ისაკ ქორთუამ, გაზეთ „მებრძოლის“ რედაქტორმა, მთელი გვერდი დამითმო, ჩემი სურათიც დაბეჭდა და მოკლე შესავალიც გაუკეთა, სადაც შეცდომით ბრატსკის ჰესის მშენებლობაზე მუშაობაც მომაწერა. ტექსტი შემოკლებული აღმოჩნდა. მე მაშინ გაზეთების ამ წესისა არა ვიცოდი რა, ისინი ხომ ავტორის დაუკითხავად ჭრიან და კერავენ. ამით უკმაყოფილო დავრჩი... თურმე ზემოდანაც იქუხა, ეს კომკავშირიდან გარიცხული და საზღვრების დამრღვევი პირი გმირად რომ გამოიყვანე, თვალი და ყური სადა გქონდაო... ცოტათი კი შექანდა მაშინ რედაქტორის სავარძელი. მერე იტყოდა ხოლმე, მეგონა, კარგი საქმე გავაკეთე, აქეთ ავტორი გამინაწყენდა, იქით მთავრობაო... კარგი კაცი იყო ბატონი ისაკი, ჭეშმარიტი ინტელიგენტი. გაზეთის სპეციფიკა ახლა უკეთ მესმის, მათი რედაქტორების გასაჭირიც და ჩემი უმადურობისა მრცხვენია კიდეც...

სასკოლო გამოცდებმა კარგად ჩაიარა, არ გაგვჭირვებია. მე და მურმანს მათემატიკისა არაფერი გვეჩერჩეტებოდა და ჩვენი უმცროსი მეგობრის, რეზო ცხადაიას გამოყვანილი გადავიწერეთ, ისიც არცთუ რიგიანად... მთავარი იყო ატესტატის აღება და იგი თბილ და მხიარულ ვითარებაში გადმოგვეცა. შეგვრჩა იმ დღეს გადაღებული ფოტოსურათები, სადაც მოსწავლეები და მასწავლებლები დიდად არ გამოირჩევიან. მე ჭყეტელა პერანგი მაცვია, თავზე ქოჩორი ბოხოხივით მადგას. მურმანს კი, თუ არ ვცდები, ალექსანდრე საჯაიას წიგნი უჭირავს და მაინცდამაინც ფოტოაპარატის წინ ჩაღრმავებია...

კარგი ზაფხული იყო ის ზაფხული. ავიკარით მე და მურმანმა გუდა-ნაბადი და წამოვედით თბილის-ქალაქის დასალაშქრავად...

73

დედაჩემმა მითხრა, თუ ვერ ჩაერიცხე, რას აპირებო. იმას თუ ფიქრობდა, ისევ სადმე გამექცევაო. ჩავირიცხები-მეთქი, დავამშვიდე, თუმცა რატომ უნდა ვყოფილიყავი დარწმუნებული. არც პროგრამა ვიცოდი წესიერად და არც დრო მრჩებოდა მოსამზადებლად. ეს იმას ჰგავს, ცურვა არ იცოდე და თვალდახუჭული წყალში ხტებოდე... ახლა არ იკითხავთ, უმაღლესი რად მჭირდებოდა? დასვენება მინდოდა!.. უნდა გავრიდებოდი ცხოვრების იმ წესს, რითაც აქამდე ვიცხოვრე. ოცდახუთისა გავხდი და ისევ იქ ვიდექი, საიდანაც სიარული დავიწყე... ისევ და ისევ ვუბრუნდებოდი ზღაპრულ გზაჯვარედინს, სადაც ეწერა: აქეთ წახვალ, დაბრუნდები, იქით წახვალ, ან დაბრუნდე-

ბი, ან არა, მესამე გზით წახვალ, ვერ დაბრუნდები... ახლა სწორედ ამას უნდა დავდგომოდი და იგი უნივერსიტეტის კიბესთან იწყებოდა.

ორმოცდაათი მანეთით გავემგზავრე. დედაჩემმა ორი თუმანი კიდევ გამომიგზავნა. ჩემი სკოლის დირექტორს მივეკედლე, სტუდქალაქში ოთახი ეჭირა თავისი ვაჟიშვილებისათვის. მისი უმცროსი ვაჟი, რეზო, აბარებდა მათემატიკურზე და მეც იქვე გამიშალა ასაკეცი საწოლი... მეც ისევე მპატრონობდა, როგორც თავის შვილს.

სიცხიანი ზაფხული იდგა. საბუთების ჩაბარების დროს რიგში ვუსმენდი გოგო-ბიჭებს, რომლებიც ერთმანეთს განსწავლულობით თავს აწონებდნენ. ერთი ზეპირად ამბობდა გრიშაშვილის ლექსს, მე კი ის ლექსი არ ვიცოდი. მეორე ზმნას აუღლებდა, მე კი სახელის ბრუნებაც მეშლებოდა. მაგრამ მე ხომ როსინანტი ვიყავი, უტვინო ჯაგლაგი, რომელიც თავის თავში დონ კიხოტს დაატარებდა... დონ კიხოტისათვის კი დაუძლეველი არაფერია... სანჩოც ხომ გახდა ერთხელ ბარატარიის გუბერნატორი და მე რა ღმერთი გამიწყრებოდა.

გამოცდები მაშინ პირველ კორპუსში ტარდებოდა. დაგვანაწილეს აუდიტორიებში და ვართ ჩუმად, ველოდებით თემებს. მე ხომ ვიცი, ფუჭია ეს ლოდინი. თემები ბავშვობიდანვე მძულდა. სკოლაში, როცა მაიძულებდნენ, ვწერდი, მაგრამ წინასწარ არასოდეს ვამზადებდი და ჩემს დამსახურებულ სამიანს პატიოსნად ვიღებდი. ახლაც ვიცოდი, რომ არც ერთი ტრადიციული თემის დამწერი მე არ ვიყავი... მოკლედ, შემეძლო ზუგდიდის ბილეთზე მეზრუნა, თუ თავში კვლავ რამე არ შემიღუტუნებდა და სხვა მხარეს არ გადავიკარგებოდი...

დაფაზე სამი თემა მიაწერეს. მესამე იყო „წერილი მეგობარს! “ ვინც ეს მოიგონა, ოქრო კაცი ყოფილა, მე გავხსენებივარ და ჩემისთანებს შანსი გაუჩნდათ.

ცოტა ხანს ვჭოჭმანობდი, თუ ვისთვის მიმეწერა. იმ დროს ვიეტნამში ომი მძვინვარებდა და კალამი კინაღამ იქით მივაბრუნე. თავი დროზე შევიკავე, მე ხომ პოლიტოლოგი კი არა, ფილოლოგი უნდა გავხდარიყავი... ჰოდა, წერილი მივწერე მომხიბლავ პოეტსა და ადამიანს, ფედერიკო გარსია ლორკას...

ოცდათექვსმეტში დაღუპულმა პოეტმა გამხადა უნივერსიტეტის სტუდენტი...

აქვე დავამთავრებდი ამ ტექსტს, ვინძლო ჩემი ნაუბარი ნარცისიზმში არ ჩამეთვალოს. ალბათ ადამიანი საკუთარ ქმედებებს აბსოლუტური ობიექტურობით ვერ შეაფასებს. ამბობენ, რუსოც კი, მიუხედავად დეკლარირებული ობიექტურობისა, თავის თავს მაინც უკეთესი მხრიდან წარმოაჩენსო. ყველაზე კეთილშობილი ადამიანის სულის წიაღში ჯოჯოხეთური ცეცხლი ტრიალებს. ასეთია კაცის ბუნება და ამას ვერავინ დაძლევს. მთავარია, სულში ბოროტი არ გაალაღო...

მაშინ იმ ჩემმა ნაწერმა მართლაც მოახდინა შთაბეჭდილება. ისიც უფიქრიათ, აბიტურიენტის დაწერილი არ იქნებაო. რექტორს საბუთები გამოუთხოვია, ბატონი ევგენი ხარაძე ბრძანდებოდა, —ავტობიოგრაფია წაუკითხავს. მე კი ის არატრადიციულად, ნოველასავით მქონდა დაწერილი, ვცდილობდი ჩემი კომკავშირიდან გარიცხვის ამბავი დამემალა და იმიტომ. ამის დამწერი იმასაც დაწერდაო, უბრძანებია ბატონ ევგენის და ამის შემდეგ ჩემთვის კარები უცბად გაიხსნა... ჩემი ახლობლები იმასაც ამბობდნენ, სხვა გამოცდებზეც გამოიჩინა თავიო. მე კი ხომ ვიცი, სულაც არ ვიყავი იმ გამოცდებზე შესაშვები. გრამატიკაში ერთი დღე მამეცადინა ახლობლის მეუღლემ, თორემ, ალბათ, „მძაღე მაწონსაც“ ვერ ვაბრუნებდი, კომისიის თავმჯდომარემ რომ მაბრუნებინა. სამაგიეროდ ცოტა მეც გავაბუქე, როცა მკითხეს, რა იცი ლორკაზეო, ესპანურად ერთი სტროფი ჩამოვარაკრაკე („სი მუერო, დეხად ელ ბალკონ აბიერტო“... და ა.შ.)... ის „წერილი“ უნივერსიტეტის გაზეთში დაიბეჭდა, მერე „მოლოდიოჟ გრუზიაში“, მერე რადიოთი გადაიცა ესპანური გიტარის აკომპანიმენტით და, რაც მთავარია, საბრალო დედაჩემი უსმენდა და ბედნიერების მწვერვალებზე დაფრინავდა... ჩემმა ჯუმბერმა ერთი გაზეთი კომკავშირის ლამაზ მდივანს მიუფრიალა და მაგიდაზე დაუდო, ამით იძია შური...

ახლა, გულწრფელად რომ გითხრათ, მეღიმება. ისე შორსა ვარ იმ პათოსისაგან, წაკითხვაც მიჭირს და წერილების წიგნი

ოდესმე თუ გამოვეცი, ალბათ, არ შევიტანი... ზედმეტად პათეტიკურია. შიგ ჩანს ავტორის ნაკითხობა და მგზნებარება, ცოტათი ემოციური ხიბლი დაჰკრავს, მეტი არაფერი... თუმცა პროვინციიდან ჩამოსულ ახალგაზრდას, ალბათ, მეტი არც მოეთხოვებოდა. ჩვენგან უკვე წასული ნია აბესაძე იმ სექტემბერს თავისი პირდაპირობით გულს მიკეთებდა: რა შენი ბრალია, ბავშვებმა წერა რომ არ იციან, თორემ წერით ამაზე უკეთესადაც ხომ უნდა წერდნენო...

მაშინ მეგონა, რომ ეს მესამე გზა ამიერიდან ია-ვარდით იქნებოდა მოფენილი... სამწუხაროდ, დღევანდელ ცხოვრებაში ადგილი არაა იდილიებისათვის, ჩემისთანების გზა მუდამ ეკლიანია... მეტი არსად გავქცეულვარ, მაგრამ დანარჩენი გასავლელი გზაც სულიერი ტკივილებით დამძიმებული აღმოჩნდა... თუმცა ამაზე სხვა დროს!

31.V.92

წიგნი II
ჩემი ბარატარია

- გამიგონე, დედაკაცო, - უთხრა სანჩომ, - მე რომ მოკლე ხანში კუნძულის გუბერნატორად გახდომის იმედი არა მქონდეს, არას ვინაღვლიდი, ახლავ დედამიწა გამსკდარიყო და შიგ ჩავეტანე.

სერვანტესი, დონ კიხოტი



1

კაცი თუ ბარატარიის გუბერნატორობას ამოიჩემებს, ოდესმე შეიძლება ხელთ იგდოს კიდეც გუბერნატორის კვერთხი, მაგრამ ამისათვის საჭიროა, ვირზე შეჯდეს და მრავალი წელი კვალში მისდიოს თავის რაინდს, იაროს ქვაღორღიანი გზებით, განიცადოს შიმშილი და სიცივე და, თუ აუცილებელია, მათრახიც იკრას უკანალზე, რაზეც ასე მახვილგონივრულად მსჯელობს ღირსშესანიშნავი სანჩო პანსა თავისი ცოლისადმი გაგზავნილ ბარათში. მოჩქარეს მოუგვიანდესო, ისიცაა ნათქვამი და თუ ზედმეტად ავცუნდრუკდებით, იქნებ ვერც მივხვდეთ, სად არის ჩვენი ბარატარია და იმ საგუბერნატოროს ისე ჩავურბინოთ, მერე გზა-კვალი იქითკენ ვერასოდეს გავიგნოთ... ჩემს ამასწინანდელ ნაშრომში „მე როსინანტი“(რედაქციამ მას „რომანი“ უწოდა, ჩემთვის კი მისი ჟანრი დღესაც გაურკვეველია), აღვწერე ქმედებანი, რომელიც ცის თავანზე ბროლის კოშკის ძებნას უფრო ჰგავდა. ერთმა ჩემმა კოლეგამ მირჩია, ახლა ამაში ქალი შემოიყვანე, სასიყვარულო ინტრიგა გაათამაშეო. ოღონდაც, ის, რაც აუცილებელია რომანის სიუჟეტისათვის, ცხოვრებაში არცთუ ხშირად ხდება, და თუ ხდება, ამ ჩანაწერების მიზანი სულაც არ ყოფილა ფრივოლურ ფათერაკებზე საუბარი. მე სულ სხვა მიზანი მქონდა, სხვა ლტოლვაზე ვწერდი. მაშინო, მითხრა გაკვირვებულმა, ნაპოლეონი ხომ არა ხარ, დავჯდე და შენი ცხოვრების ამბავი ვიკითხოო. მე კი მგონია, ნებისმიერი ადამიანის ცხოვრება საინტერესოა, თუ, რა თქმა უნდა, საინტერესოდ იკითხება... გულწრფელი აღსარება ხშირად უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე ყველაზე დახლართული რომანული ინტრიგები... მაშინ, ჩემი სიყმაწვილის წლებში, როცა როსინანტი ვიყავი, ვერა და ვერ მივაკვლიე ჩემს ბარატარიას. ლაპარაკიც არ ღირს იმაზე, რომ ფოტონური რაკეტით ალფა კენტავრის თანავარსკვლავედში ვერ გავფრინდი, ლათინური ამერიკის ან აფრიკის კონტინენტური იმპერიები ვერ ჩამოვაყალიბე, ვერც პრეზიდენტი გავხდი და ვერც იმპერატორი. უფრო

მეტიც, ერთი ფრჩხილისოდენა კუნძულიც არ შემხვდა საგუ-ბერნატოროდ... ყოველივე ამაზე ხელი ჩავიქნიე, სტუდენტი გავხდი და უთავბოლო წანწალს შევეშვი, დავდინჯდი, თუმცა ეს იყო მხოლოდ გარეგნული ფორმა არსებობისა. ადამიანი ასე უცებ არ იცვლება. მისი ფარული ვნებანი მარტო იმაში როდი ვლინდება, მოკვდავი გვამი სივრცეში გადააადგილოს. ყველაზე დიდი საბრძოლო ასპარეზი საკუთარი სულია. რაკი იმთავითვე ირეალურ სამყაროში ვცდილობდი გამეფებას, ჩემი პატივმოყ-ვარული ბუნების შესაფერი ასპარეზი უნდა მომეძებნა. თუმცა ძებნა რა საჭირო იყო, განა თეთრ ქაღალდს ლურჯი მელნით არ ვებრძოდი სიყმაწვილიდანვე?.. ერთადერთი ასპარეზი დამ-რჩენოდა და უკან მიუხედავად გადავეშვი იმ რომანტიკულ მორევში, რასაც ლიტერატურა ჰქვია. აქაც, ცხადია, უკუვაგდე ყოველნაირი ტაქტიკა და სტრატეგია, ჯერ აგურის დადება არ ვიცოდი, მე კი სასახლის აშენებას ვლამობდი, სასახლე კი მენ-გრეოდა და იმ ნანგრევებიდან თავის დაღწევა სულიერ ტან-ჯვად მიჯდებოდა... ხანდახან გული მწყდებოდა, რომ ასე გვიან მივუბრუნდი ჭეშმარიტ მოწოდებას. ალბათ, დროულად რომ მეზრუნა, სიყმაწვილეში ოცნებათა ქარს რომ არ წავეფრი-ალებინე, ოცი წლისა პირველ წიგნს გავაქიჩმაჩებდი, თუმცა ვეღარ დავიფიცებ, რომ ამით ქვეყანას გავაბედნიერებდი. იქნებ ასეც მომხდარიყო, მე რომ მცოდნოდა, თუ რა გააბედნიერებდა ქვეყანას... უფრო ინსტინქტით, ვიდრე გამოცდილებით, ვგრძ-ნობდი, რომ მაღალი ოცნებებით შორს ვერ გავაღწევდი და ამ ასპარეზზეც მცირედი წარმატების იმედი იმას უნდა ჰქო-ნოდა, ვინც ჯვარცმას თავს არ აარიდებდა... ბოლოს და ბოლოს არც ჰქონდა მნიშვნელობა იმას, მართლაც არსებობდა ბარა-ტარია თუ არა. მთავარი იყო, არასოდეს დამვიწყებოდა დონკი-ხოტიზმის ძირითადი კრედო: საქმენი საგმირონი ეძიე სიკეთის ქმნადობაში! „ლიტერატურა სიკეთეა!“– ასე მწამდა, რადგან არც ერთ სხვა წყაროს ასე არ დავწაფებივარ და სხვას არაფერს ჩემთვის წყურვილი არ მოუკლავს... ამიტომაც მომეჩვენა ეს გზა ლოგიკური და ბუნებრივი, თუმცა ბედაურისათვის იოლად გასარბენი შარა გაძვალტყავებული როსინანტისათვის ერთობ

ძნელი გადასალახია. მახსენდება ერთი წარმატებული ლიტე-რატორის სიტყვები, რომლითაც თავის ღარიბ კოლეგას მი-მართა: რა ბედნიერები ხართ, სიდუხჭირე რომ გაგივლიათ, მე კი მანებივრებდნენ და ცხოვრება სად უნდა შემესწავლაო. მართალ-იც იყო! მას ყოფითი პრობლემები არასოდეს აწუხებდა, ასპარეზ-ზე გასასვლელად არც სალი კლდეები გაუნგრევია და არც უკი-დეგანო ზღვები გადაულახავს. საწერი მაგიდიდან გამომცემლო-ბამდე მხოლოდ რუსთაველს თუ ჩაირბენდა. ამას შური როდი მალაპარაკებს. უბრალოდ, მის ნაწერებს, თავისთავად ნიჭიერს, მაგრამ სალონურს, ნებიერას ხელი ატყვია. ჩვენ კი, სენიორ კა-ბალიეროს მხლებელთ, კვლავაც მშივრებსა და ჩიჩვირჩამოშვე-ბულებს, მოგვიწია ეკალბარდებსა და ხრიოკში სიარული, ოფ-ლის ღვრა, ქარის წისქვილებთან და ღვინის ტიკებთან ბრძოლა... ყველა ჩვენგანმა ვერ მიაღწია თავის საგუბერნატოროს, ვინც მი-აღწია, იმათთვის ეს ბარატარია ედემი ვერ აღმოჩნდა... ოღონ-დაც, ვინძლო თესლმა, ყანაში მიმობნეულმა, მცირე მარცვალი მაინც მოიღოს და ობლის კვერი გამოგვაცხობინოს... იქნებ სი-ტყვის ერთი გაელვება წაადგეს ქვეყანას, სიკეთის პინას შეემა-ტოს... მაშინ, ალბათ, სამართლიანი მსაჯული მომავლისა იტყვის, ტყუილ-უბრალოდ არ უვლია ბებერ როსინანტსო... სანამ თავჩა-ღუნული როსინანტები ძნელბედობით სავსე გზებზე მითოხარი-კობენ, სიკეთის საქმე მთლად წაგებული არ არის...

2

იმ უთავბოლო თავგადასავლების შემდეგ, რაც სიყმაწვი-ლეში გადამხდა, სტუდენტობა ვირჩიე სულის მოსათქმელად. ეს იყო თავშესაფარი, სადაც შევისვენებდი, გონს მოვეგებოდი და მომავლის კონტურებს მოვხაზავდი. სირბილისაგან ქოშინი ამიტყდა, ჯანმრთელობა შემელახა და გადარჩენის ერთადერთი საშუალება ეს წუთშესვენება გახლდათ. ფიქრადაც არ მქონია ბეჯითი სტუდენტის ამპლუაში ყოფნა, ანდა სამეცნიერო კარი-ერაზე ზრუნვა. მე მხოლოდ ცოტა ხნით მხართეძოზე წამოწო-ლა მსურდა, სადმე ჩეროში, რბილად მობიბინე მწვანეზე, თანაც

ისე, რომ გასაღებების რაჩხუნით თავზე მილიციელი არ წამომ-
დგომოდა, ადე, აქ არ შეიძლებაო... ოღონდ ის დამავიწყდა, რომ
ქართველ კაცში ლუარსაბიც ცხოვრობს და ძილს თუ მიენდე,
შეიძლება ვერც შეამჩნიო, ხავსი როდის მოგედება... წინასწარი
ჩანაფიქრი არასოდეს ემთხვევა რეალობას და მალე მივხვდი,
ვერ ავცდებოდი ბრჭყვიალა ფრიადებზე ზრუნვას. თითქოს ნა-
მუსზე შეგდებული აღმოვჩნდი, რაკი სექტემბრის პირველ
სიცხიან დღეს, პირველ ლექციაზე, მოთენთილი და საფეთ-
ქლებატკიებული ვისმენდი ლევან მენაბდის ლექციას, რომელ-
იც ყვებოდა იმაზე, თუ რა ჭკუის კოლოფები აღმოვჩნდით ამ
ნაკადში, განსაკუთრებით ერთი ახალგაზრდა გამოირჩა და ა.შ.
ეს სიტყვები ტვინში ველარ აღწევდა, რიკოშეტით სხლტებოდა,
თითქოს ჩემზე კი არა, სხვა ვინმეზე იყო საუბარი. ირგვლივ
რაღაც თეთრი ბურუსი ჩამოწოლილიყო და მე ნისლში მივცუ-
რავდი... ჩემდაუნებურად სახელგანთქმული სტუდენტი გავხ-
დი, მაგრამ ამ ახალი ვითარების შეფასება არ ძალმიძდა. რა
მოაქვს ჩემთვის ამ გამორჩეულობას? უხერხულობის შეგრძნე-
ბა და ტვირთი, რომლის აკიდებას არ ვესწრაფოდი. ჟურნალის-
ტი ქ. ტ., შემდგომში ჩემი მეგობარი, თავის ჯგუფელებთან ერ-
თად აუდიტორიაში მეწვია გასაცნობად და მოგვიანებით
მითხრა, მეგონა ვიღაც ამაყ და წარმოსადეგ მზეჭაბუკს შევხვ-
დებოდი, ხელთ კი ერთი მორიდებული წიგნის ჭია შემრჩაო...
ცხადია, სხვებივით მეც მეწადა სახელისა და დიდების მოხვეჭა,
გაჩახჩახებულ სცენაზე გავლა, მაგრამ ბუნებით მორცხვი აღ-
მოვჩნდი და სხვათა თვალთახედვიდან საკუთარ, არარეალურ
სამყაროში ვიპარებოდი. მეჩვენებოდა, რომ პროჟექტორებით
განათებულ სივრცეში ნორმალურად ვერ გავივლიდი, არ ვიცო-
დი როგორ მოვქცეულიყავი, ხელები სად წამეღო. ღარიბი პრო-
ვინციელის კომპლექსი, მეორეხარისხოვნების განცდა, ალბათ,
სამუდამოდ დამყვა. ადამიანებთან ურთიერთობაში ყოველ-
თვის დავრჩი როგორც მოსწავლე მრისხანე დირექტორთან,
როგორც ბავშვი უკმაყოფილო დიდთან, რომელიც მზადაა დამ-
ტუქსოს და ცხვირწინ მუქარით თითი მიქნიოს, მე კი თავჩაღუ-
ნული ვდგავარ, იმთავითვე რაღაცის გამო დამნაშავე, იძულე-

ბული ვარ კუთხეში ავიტუზო, ბნელში გავუჩინარდე... თუმცაღა
ეს ჩემი შიში და მოკრძალება ზოგის თვალში სხვანაირად
აღიქმება, ვიღაცა ამას გულზვიადობად მითვლის. ჟურნალის-
ტიკის პროფესორი რომ მეუბნება, გავიგე, ჩვენთან, ჟურნალ-
ისტიკის განყოფილებაზე გიპირებენ გადმოყვანასო, მე კი ცივ
უარს ვამბობ, ქართულს მინდა ჩავუღრმავდე, ფილოლოგი-
ურზე იმიტომაც შემოვედი-მეთქი, ეს, ცხადია, მთლად თავმდ-
აბლობის ნიმუშად ვერ გამოდგება. მე ვხედავ წყენას კეთილი
კაცის თვალებში, მაგრამ უკვე ვერაფერს გამოვასწორებ.

საუნივერსიტეტო გაზეთის რედაქციაში დამიბარეს, პირ-
ველი ნომრისათვის რამე დაგვიწერეო. ამგვარი დავალებების
შესრულება საშინლად მეზარება და თავს ვარიდებ ხოლმე,
ამჯერად კი უკანდასახევი გზა მოჭრილი მაქვს. წუთში ჩამოვაჭ-
იკჭიკე, ვითომც ოცნების ციცინათელა მიკვლევდა გზას და იგი
მაინცდამაინც უნივერსიტეტზე გადიოდა... რასაკვირველია,
სრული სიყალბე იყო, რადგან სანამ თავში კეტი არ მომხვდა,
მანამდე უნივერსიტეტზე არც მიფიქრია... ტექსტი ამაყი გამო-
მივიდა. საუბრის დროს ხომ ვერ გავბედავდი ასეთი სტილით
ლაპარაკს – „რამდენი ტყე-ღრე, ველ-მინდორი, მთები გადავ-
ლახე, რამდენი ზღვა და მდინარე გადავცურე. ატლანტის ტალ-
ღებმა გამიბანეს ფეხები; წყნარ ოკეანეზე აფრა გამიცილებია,
— თოლიას ფრთასავით მოლურჯო-თეთრი; ციდან დავცქერო-
დი რუსეთის ტრამალებს; გვირაბთა ღრმულებში მინახავს ნა-
თურის შუქზე აციაგებული ცრემლები დედამიწისა...“ ასე მხო-
ლოდ თავმომწონე, ტრაბახა კრეტინები მეტყველებენ. შინაგა-
ნად არც ვყოფილვარ ამგვარი განწყობისა, მაგრამ პროვინცი-
ულ-აღმატებულ „შტილს“ ადვილად იტანს ქაღალდი და მოკლე
ჭკუის მკითხველს სიამოვნებს კიდეც... ამ სტილით, თუ სითავ-
ხედე გყოფნის, ლიტერატურაში იოლად შეჯირითდები და მავა-
ნის თვალში სავსებით შესაძლებელია, ნიჭიერ კაცად გამოჩ-
ნდე... ამაღლებული სტილი ხომ გულუბრყვილოთა და მეოცნე-
ბეთა საკვებია!

მოკლედ, ეიფორიაში ვიყავი. თითქოს ასაკიც დამაკლდა.
თბილისში რომ ჩამოვედი, უკან გადავარცხნილი თმა თავზე

ძნასავით მეყარა. სამჯერ შევიკვეცე. დალაქთან ყოველი მისვლა ზედმეტ წლებს მაკლებდა და ბოლოს, როცა სავარცხლის საჭიროება გაქრა, თავი გაცილებით უმცროსი თანაკურსელების ტოლად ვიგრძენი. ერთხელ თემურ დოიაშვილმა ხუმრობით მითხრა, ბიჭებმა შენი სადღეგრძელო დავლიეთო. გამიკვირდა... იმ დროს გმირთა მოედანზე, ზოოპარკის კიდეზე სალუდე იყო. სტუდენტები იქ საათობით ვისხედით, სოსისს მივირთმევდით და ცივ ლუდს ვაყოლებდით. ბიჭებმა როცა ლუდით დალიეს მჟავანაძის, საბურთალოს მასივისა და ნიკიტა ხრუშჩოვის სადღეგრძელოები, მაშინღა მივხვდი, რანაირადაც მადღეგრძელეს. მათ თვალში ოდიოზურ პიროვნებად ვჩანდი და, როცა თავი თანაკურსელების ტოლსწორად მეჩვენებოდა, ილუზია ყოფილა. ძნელია, საკუთარ თავსა და ქმედებებს შორი რაკურსით შეხედო, მით უფრო, თუ შენი ხედვა რეალობას საგრძნობლად სცილდება...

3

ბოლოს და ბოლოს ყოფა მეტ-ნაკლებად მომიწესრიგდა. მშვიდი და წყნარი ცხოვრება კეთილი ზღაპარივით ცისფერ მირაჟში მიედინებოდა. მართალია, სიღატაკის ზღვარს დიდად არ ავცილებივარ, მაგრამ სტუდენტი მუდამ იმედით ცხოვრობს. არც ადრე მაცვიოდა ფული თავზე, ახლაც სულ მცირე მქონდა, მაგრამ სტიპენდია ხომ თვიდან თვემდე, რეგულარულად მეძლეოდა და ეს უწყვეტობა სიცოცხლის გარანტიას ნამდვილად მაძლევდა. პირველ სემესტრში ყველას თანაბრად 35 მანეთი დაგვინიშნეს, მერე ფრიადოსნებს 43 მანეთი და 75 კაპიკი, ბოლო კურსზე კი მთელი 50 მანეთი, ასე რომ თითქმის თუმნისათვის ღირდა სესიების ღირსეულად დაძლევა.

სტუდენტი ყველაზე სიცოცხლისუნარიანი არსებაა. მისი ახალგაზრდულ-ეშმაკური გონება ისეა მომართული, როგორმე გადალახოს წინააღმდეგობა და ქვიშის უდაბნოშიც აღმოაჩინოს სარჩო და თავშესაფარი.

ჩემი ძირითადი თავშესაფარი, რა თქმა უნდა, სტუდქალაქი იყო. დროის მოკლე შუალედებში ბიძაშვილს ხუტუ ქირიას ვაფარებდი თავს. ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდა, ჩემისთანა მოხალისეებისაგან მოსვენება არა ჰქონდა და ისე დაცოლშვილდა, მარტოკაცობა არ უგრძვნია. როგორც კი შესაძლებლობა მომეცემოდა, უმალ სტუდქალაქში, უნივერსიტეტელთა კორპუსში გადავბარგდებოდი ხოლმე. ჩვენს სამოთახიან ბინაში მხოლოდ ფილოლოგები ვცხოვრობდით... გვქონდა უთავბოლო კამათი, ქილიკი, ხორხოცი, გაწევ-გამოწევა, სტუმრიანობა, თამბაქო და ბანქო (მე არც ერთს არ ვეტანებოდი)... ვილენ მარდალეიშვილი გადმოდგებოდა აივანზე და ლომივით დააბუხუნებდა გალაკტიონის ლექსს... ოღონდაც, ჩვენი გაჭირვებული სტიპენდია დიდი ოპტიმიზმის საფუძველს ვერ იძლეოდა, უბრალო სტუდენტურ სასადილოს ვეღარა სწვდებოდა. გაჭირვებულისათვის გამოსავალი ყოველთვის მოიძებნება! ჯანმრთელობაშელახული გახლდით. ექიმებმა გულდასმით მსინჯეს და იმდენნაირი დაავადება აღმომიჩინეს, ალბათ, დიდხანს ვერ გავსტანდი. დავემორჩილე დოსტაქართა კეთილ რჩევებს, შევიძინე წამლები. ესაა, აბების ყლაპვა მავიწყდებოდა. ვიფიქრე, ჩემი საშველი მაინც არ იქნება-მეთქი და წამლებს ურნაში გადავუძახე. იმ დღიდან მგონი ყველაფრისაგან განვიკურნე. ექიმებთან ამ ვიზიტების დროს, პოლიკლინიკაში ჩამჩურჩულეს, აქ ტუბსანატორიუმი გვაქვსო. სიტყვა „ტუბმა“ ცოტათი დამაფრთხო, მაგრამ მალე აღმოვაჩინე, რომ აქ ტუბერკულიოზი არავის სჭირდა. ვინც ეს სანატორიუმი მოიგონა, ჩემნაირ ხელმოკლეთათვის იზრუნა. ნორმალური კვება, სუფთა თეთრეული და ტკბილი გლუკოზა ჩემისთანა ფათერაკიან კაცს დიახაც რომ მოუხდებოდა და მეც ჩემი სტუდენტობის სოლიდური ნაწილი მის კედლებში გავატარე, გაჩხინკული, ნეკნებგამოყრილი როსინანტი ზომიერად ხორცსავსე დროგის რაშს დავემსგავსე...

4

ლენქორანში ჩემი დაპატიმრების დროს, ოფიცერმა, ვინც პირველად მესაუბრა, მკითხა, შეყვარებული თუ გყავდაო. იფიქრა ალბათ, ამდენს რომ დაწოწიალობს, უქალობამ ხომ არ დააკომპლექსაო. პასუხად მხოლოდ გავუღიმე. აბა, საიდან ეცოდინებოდა ქართული სიმღერა – „შეყვარებული ვის არ ჰყოლია...“ ოღონდაც, რას ვფლობდი და რას ვესწრაფოდი? თავის მოტყუება, წვრილმანი ამურული ცუღლუტობანი, მოკლე იწილო-ბიწილო, ცად გადარბენილი ელვა (იყო და განქარდა!), ყოველივე ეს ვერ შეცვლიდა და კიდეც შეურაცხყოფდა ციურ ლტოლვას, იმ ამაღლებულ განცდას, რასაც ესწრაფვის ახალგაზრდული სული. სამწუხაროდ, მარად გზებზე მოჯირითე ადამიანი განწირულია იმ უგულო მტლაშა-მტლუშისათვის, რაც თურმე ასე ეჯავრებოდა ბრძენ შოთას. როგორც ზარბაზნის გრიალი არ უხდება პოეზიას, ასევე ჭეშმარიტ სიყვარულსაც არ უხდება უთავბოლო მოხეტიალის პროფესია. ჭეშმარიტი სიყვარული ნიჭია და როგორც ყოველნაირ ნიჭს, მასაც სჭირდება აღმაფრენა, მოცლილობა, წყნარი, ბუკოლიკური გარემო... ეს ისეთი ვითარებაა, როცა ადამიანისათვის მთავარი და უმთავრესი სწორედ რომ სიყვარულია, ყოველივე დანარჩენი, ყველაზე მაღალ იდეალებზე ფიქრიც კი უკან, მეორე პლანზე გადაიწევს. შეყვარებულ ადამიანს მსოფლიო ბედნიერებისათვის არა სცალია, იგი საკუთარი ბედნიერებისათვის იღვწის... როცა ჩემი ტოლ-სწორები მაჯნუნივით ველად გაჭრას ლამობდნენ და ცრემლებს აღვარღვარებდნენ, მე სადღაც ვაგონის საფეხურზე ვეკიდე და ბნელ სივრცეს მივაპობდი... გადაიარა რომეოს ასაკმა და ისეთი ხნისა მოვიყარე, როცა კაცი თვალითა სინჯავს და გული არას ეუბნება. მრავალგზის წამოფრინდა ჭრელი ჩიტი, გული გატოკდა, მაგრამ ისევ ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა და შესაძლებელი ვერ განხორციელდა.

დეიდის სახლში დიდი ლხინი გადავიხადეთ. დილით სტუმრები დაიშალნენ. მეც თბილისს უნდა გავბრუნებულიყავი, მაგრამ თითქოს ხელ-ფეხი შემებორკა. საიდანღაც პატარა, ჭრელი ხოხობი მოფრინდა, თვალებში შემომციცინებს, არ მშორდება... ჩვენს შორის იდუმალი ქსელი იხლართება... მასპინძელი ღიმილით გვიყურებს. მან უკვე განჭვრიტა კვანძის შესაძლებლობა. ჩვენი საიდუმლო არავისთვისაა საიდუმლო. უბრალო სიტყვები დატვირთულია ქვეტექსტებით, ფარული ლტოლვა პირზე გვაწერია... დღემ გაიარა, მეორემ და მესამემ, ჩვენ უერთმანეთოდ ვეღარა ვძლებთ... ეს უკვე ნამეტანია! აქ დარჩენის არანაირი საბაბი არა გვაქვს. პატარა, ფრთახატულა ხოხობი თავისი მშობლების ბუდეში მიფრინავს, მე კი ცოტა ხანს კიდევ ვრჩები. ამით იმას ვამტკიცებ, ვითომ მასპინძლების სიყვარული მაჩერებს... დავბრუნდი თბილისში, დაშორდა ჩვენი გზები... გულის რიტმიც დაწყნარდა, მინავლდა შორეული ლაციცი, მიყუჩდა...

აფხაზეთში, ოჩამჩირესთან ექვსასკაციანი სუფრაა გაჭიმული. კარვის ბოლოს ვზივარ. აქედან ნეფე-დედოფალს ვერცა ვხედავ. ირგვლივ ჭაღარა ბერიკაცები და სოფლის დედაკაცები მახვევია. გული არც საჭმელზე მიმდის, ცივი ღვინოს დალევაც მეზარება. ერთი სული მაქვს, როდის ავდგები და თბილ ოთახში გადავინაცვლებ. მოულოდნელად პირდაპირ ჩემ წინ მსხდომნი ჩასწიეს და დაგვიანებული სტუმარი ჩასვეს. თექვსმეტიოდე წლის გოგონაა. ისეთი ქათქათა და კრიალა, სული შემიგუბდა. ცეცხლისფერი თმები უხვად ჩამოედინება მხრებზე. თითქოს განათდა და გაბრწყინდა აქამდე ჩამოქუფრული კარავი, თითქოს სიცივე განიდევნა... დიდრონი, ლაჟვარდოვანი თვალებით გადმოგვხედა, მზერით ისე გადამიარა, მგონი ამ ბერიკაცთა სათვალავში ჩამაგდო. ნათლად ჩანდა, აქ მისთვის საინტერესი არავინ იყო და მოწყენილს არისტოკრატულად უნდა ეწიწკნა გაძვალტყავებული ქათმის ფრთა. ჩემი შეურაცხყოფილი და დაჭრილი გული უცნაურად შეტოკდა, ჩემში გაიღვიძა აქამდე მიძინებულმა სატრფიალო ხრიკებმა, რაშიც თავი სრულიად უნიჭო მეგონა და სულ მალე ასულის გული და გონება დავიმორჩილე. წყვილს რომ ჰგონია, ჩვენი გულისცემა ჩვენღა გვესმისო, თურმე იმ გულების ბრაგუნი მეზობელ ქალაქში ისმის. დანარჩენი სტუმრებისათვის, ცხადია, დაფარული არა-

ფერია. ხითხითებენ ბერიკაცები, ტუტუნებენ დედაკაცები, მაგრამ ჩვენ მათი არ გვეყურება. აი, რიჟრაჟიც აღწევს. ახლა საკმარისია, მზის ასულს გული და ხელი შევთავაზო და ის ჩემი იქნება... მანქანაში ჩავისვამ და ვერავინ წამართმევს. ოღონდ ტვინში ფხიზელი საათია ჩართული. ტიკ-ტაკ, — გეჩურჩულება საათი, აბა, მეგობარო, ჩაიხედე ჯიბეში, ავტობუსის ფული ძლივს გიჭყავის, არ გაცვია, არ გახურავს, თავზევით ჭერი არ გაბადია, თეფში და კოვზი არ მოგეძევება... სად უნდა წაიყვანო ეს თეთრყირმიზა დედოფალი, რომელ ცხრაკლიტულში უნდა გამოკეტო?.. იქნებ სტუდენტთა ტუბსანატორიუმში წააცუნცულო, უფასო მანანის ფაფა და კატლეტი მიართვა?..

ჩემს ძმაკაცს, ჯუმბერს ჩემი გაბედნიერება სურს. სოფელში მივყავარ. გორაკის თავზე ძველი ციხის ნანგრევებია. აქვეა მწვანე მოლით დაფარული ეზო და მეგრული ოდა. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებს. ბუხრისპირას ცხრა ათეულს მიღწეული მოხუცები წელგამართულნი სხედან. სუფრას ოჯახის ყმაწვილი ასული შლის, შვილებიდან მგონი რიგით მეცხრე. მისი მოქნილი ტანის რხევაში ფარული ძალა და სისხლის სიჭარბე იკითხება. ხანდახან დიდრონი, მეტყველი თვალებით შემომხედავს, ღაწვები საყვარლად შეეფაკლება... საცოლე ბიჭი ვარ, დროა უკვე! აგერ, სტაცე ხელი და წაიყვანე!.. კარგი გოგო გაბედულისაა!.. დილით თბილისისკენ მივჩაქჩაქებ, მარტოობის სევდა მაწვება, ფერებს სიხასხასე დაჰკარგვია...

ჟურნალისტი გვანჯი მანია ჯიბეში ქაღალდს დაატარებს. საიდანღაც ამოუწერია, სულთნის ჰარამხანაში გასაგზავნად ასეთი და ასეთი აღნაგობის გოგონებს არჩევდნენო. ჰოდა, რითი ვართ სულთანზე ნაკლებნი? დავყავარ ამ ჩემს მეგობარს, „რეცეპტით გამოწერილ“ გოგოებს მაჩვენებს... უნივერსიტეტის კიბეებზე იმდენი მზეთუნახავი ჩამოეფინება, კაცს თავგზა აგებნევა და თვალი ვერავისზე გაგიჩერებია... და აი, მართლაც მზეთუნახავი! ასეთებისათვის რაინდნი ტურნირებზე იბრძოდნენ... ვეცნობი, კინოში ვპატიჟობ... თავის ბინაში ტროლეიბუსით მივაცილებ. მისთვის ნათელია, რატომ ვირჯები. სიმორცხვეს ცივ კლდემაში მალავს... მე კი თითქოს ენაზე კლიტე

დამადესო, არ ვიცი რაზე ველაპარაკო. სადაც საჭირო არაა, იქ ენას ვასარსალებ, ახლა კი ორი სიტყვა ერთმანეთზე ვერ გადამიბამს. შემთხვევა მეძლევა, მზეთუნახავის დედ-მამას ვეცნობი, წესიერი ხალხია, სოფლის მუშაკნი... გასაკვირი კია, ამ მიყრუებულ სოფელში ეგოდენ მიუკარებელი, ცივი არისტოკრატის გაზრდა. თუმცა ეს ალბათ სიცივე კი არა, ქალწულებრივი თავშეკავებულობაა. მისი მშვენიერება ყინულის დედოფლისას მაგონებდა და გულის თრთოლვა, უფრო უხერხულობითა და შიშით გამოწვეული, თანდათან ჩაქრა და დაწყნარდა. მერე დიდხანს ვესალმებოდი მშვიდი, აუღელვებელი სალამით და მიხაროდა, რომ კარგი დედა და დიასახლისი გახდა, ოღონდ სხვისი ოჯახისა...

ერთი სამკუთხედიც! ეს ამბავი „მარადი მხედარის“ ახალ ვარიანტში გავათამაშე. შოთაობაზე უნდა გავმგზავრებულიყავით მესხეთში. უნივერსიტეტის წინ ავტობუსი გველოდებოდა. შინიდან დილაადრიან გამოვედი. პროსპექტი გადავჭერი და ჭადარქვეშ, მომლოდინეთა შორის, უცნობი დავინახე. არ ვიცი, რა დამემართა, რამ ამიტაცა! თავხედობის ზღვარს მისული სითამამით მივეახლე, პირისპირ წარვუდექი და სახელი მოვახსენე. იმან შემომცინა და ხელი გამომიწოდა. ქართველისა და პოლონელის ნაჯვარი აღმოჩნდა და ორივე ერისაგან წამოეღო თავისი წილი მომხიბვლელობა. თურმე დედიკოც ახლდა, ავტობუსამდე მოეცილებინა. გაოცებით შემომხედა, ეს ვინ შეუთამამდა ჩემს შვილსო. ორ წუთში იცოდა ჩემი სანაქებო თანამდებობა და ხელფასის არცთუ სანაქებო ოდენობა. თავს თოკზე გასული ჯამბაზივითა ვგრძნობდი, არც სიმორცხვე ივარგებდა, არც გადამლაშება. ზომიერი იუმორით შევაფერადე გაცნობის ცერემონიალი. მეწადა, ავტობუსშიც ამ ანგელოზის გვერდით დავმჯდარიყავი, მაგრამ მეგობარი გოგონა ახლდა და იძულებული გავხდი, წინა, გვერდულა სკამზე მოვკალათებულიყავი. აქედან შემეძლო ხანდახან შემეხედა და ამ საშუალებას ალბათ ბოროტად ვიყენებდი. ბედნიერ ღიმილს ვერ ვიკავებდი, პასუხად კი ისეთ ცისკროვან ღიმილს შემომაგებებდა, გული სიყვარულითა და ტკივილით მეწურებოდა. დიახ, მზად ვიყავი

ამწუთსავე, ამ ავტობუსით, ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე შინ წამეყვანა და დედოფლად დამესვა. ოღონდაც, ჩვენს უხმო ლაციცს, მზერითა და ღიმილით ფერებას, რასაც თანამგზავრთაგან ვერ ვმალავდით, რადგან წმინდა ზრახვათა დამალვა არც მიფიქრია, გულგასიებული შეჰყურებდა მოყმე ვინმე რივნისპირა სანახებიდან, არაქართველთა გვარისა, მეცნიერების ტაძარს გულმოდგინედ შეჭიდებული, მომავალში ფიორა ტიტულების მქონე, აწმყოში კი ჩემსავით ჯიბეგამძვრალი და შარახვეტია... „ძმაო, — მითხრა მოყმემ, — ვინ მოგცა უფლება ჩემი დაპატიჟებული გოგოები ასადილო?“ ეს მაშინ, როცა ბორჯომში შევისვენეთ, უბრალო მუშურ-გლეხურ სასადილოში რუსული წვნიანი ვხვრიპეთ და გოგონების დამპატიჟებელი მოყმე ვერსად დავლანდე... „ძმაო, — გამიმეორე მოყმემ,— ვინ მოგცა უფლება, ჩემი დაპატიჟებული გოგონების მაგიერ ფული იხადო?“ ეს მაშინ, როცა ჩვენი ყოჩაღი მძღოლისათვის თითო მანეთი ავკრიფეთ, მოყმეს კი ჯიბეში ხელი გაუოფლიანდა... ღმერთმა მის სულში მოლიერის სკაპენი ჩაასახლა, მას კი ყველაზე ლამაზი გოგონა თავისთვის ეწადა... ეს ყოფითი წვრილმანები აფერმკრთალებდა ჩვენს რომანტიკულ აღმაფრენას, მრცხვენოდა წმინდა ხატზე გაჩენილი ამ მცირე ლაქებისა, მაგრამ მოულოდნელი ბედნიერების შანსს ხელიდან არ ვუშვებდი...

მეორე დღეს მოყმე იგი უნივერსიტეტის ბაღში წინ გადამიდგა და მიბრძანა: „ის გოგო ჩემი საცოლეა, გიკრძალავ მასთან დალაპარაკებას!“ ვერ კი მიხვდა, რომ ამით წამახალისა. სიცილით შევეპასუხე: „ამ წუთას, ამ ადგილიდან მის სახლში მივდივარ, შინ უნდა ვეწვიო!“

მართლაც მივედი, კარს მივუკაკუნე. ერთი პატარა ოთახი ეჭირა დედასთან ერთად. მამით ობოლი იყო და მათ ყოფას ხელმოკლეობის კვალი ეტყობოდა. ხალისიანად შემხვდა. ათასი სისულელე ვილაპარაკეთ, ხუმრობაში ჩემს თავს გადავაჭარბე, ბევრი ვიცინეთ. სიცოცხლეში არაფერს ვინატრიდი, გარდა იმისა, რომ მის თვალებში ჩამეხედა და მისი ღიმილი შემგებებოდა.

მეორეჯერაც ვესტუმრე... დედა დამხვდა, ნათესავი ქალბატონიც... თვითონ ნამტირალევი და გაღიზიანებული ჩანდა.

თითქოს მოქურუშდაო, მძიმე ღრუბლები ჩამოწვა... სუფრასთან დამსვეს... ნაძალადევად და მოუქნელად ვსაუბრობდით, თითქოს ცივი ბორკილები დამედოო, ისე ვიყავი შებოჭილი... თითქოს მიცვალებული გვესვენა და ჭირისუფლებად ვუსხედით... ეს ჩემს არშემდგარ სიყვარულს ვასამარებდით... დედას არ ეწადა თავისი ერთადერთი, ლამაზი ქალწული სიღარიბიდან სიღარიბეში გადაესახლებინა... ამაზე არაფერი თქმულა, მაგრამ ეს იგულისხმებოდა და დამრჩა ტკივილიანი სევდა განუკურნელი...

მრავალი წლის შემდეგ, უკვე დაოჯახებულს, ცოლ-შვილით დატვირთულს, სულ სხვა ვითარებაში, სხვა ასული შემომეყრება და თითქოს გამიმეორდება ეს ფორიაქი, გულის ტკივილნარევი სისავსე, მაგრამ შეგნებულად თავს ვარიდებ, უარს ვამბობ ცით მოვლენილ ბედნიერებაზე, რადგან მხოლოდ ამ უარყოფით შეიძლება გადავარჩინო ისიც და ოჯახიც...

ისე, ადამიანმა, საყვირის ხმას რომ გაიგონებს, მსხვერპლად უნდა გაიღოს ყოველივე – ქონება, რეპუტაცია, სიცოცხლეც კი, ერთადერთი, რისი დათმობაც არ შეიძლება – ესაა ბედნიერების უფლება...

შეუძლია კი ჭეშმარიტი სიყვარული განიცადოს ადამიანმა, რომელიც მუდამ მოგონილ სამყაროში ცხოვრობს? ჩემი შეთხზული პრინცესები და მზეთუნახავები ხომ უფრო რეალურად წარმომესახებოდნენ, ვიდრე სინამდვილეში ნანახი ლამაზმანები. წარმოსახულ პრინცესას პირის დაბანაც არ სჭირდება, მას ყოფიერების წვრილმანები სახეზე ნაოჭს ვერ მოუმრავლებს, იგი უეკლო ვარდია, მარად უჭკნობი და სურნელოვანი. „მკვდარი სახლის“ ვერონიკა ცამეტი წლისაა და ასევე რჩება, რაკი სიყმაწვილის იდეალია და ეს ხატი ჩემს წარმოსახვაში ალბათ მაშინ დაიბადა, როცა მისი თანატოლი ვიყავი... მხოლოდ ოცნებათა სამყაროშია შესაძლებელი, დავტოვოთ ჩვენი მოკვდავი გვამი და მარად უჭკნობ იდეალთან ერთად გავფრინდეთ სილაჟვარდეში...

5

საოცრად წიგნიერი და ნათელი გონების პატრონი იყო. პატარა ფერიასა ჰგავდა. ალბათ გონების ამ სინათლემ და სინორჩემ მომხიბლა. პირველ სექტემბერს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ჩაეცვა და სიარული უჭირდა. მოხუცმა გიორგი ახვლედიანმა გაიარა და შეჩერდა, ეს პატარა ანგელოზი ვინ არისო. მეც ასეთი თვალით შევხედე. ჩემს გატაცებას მიჯნურობისა არაფერი ეცხო, რადგან ხორციელ ადამიანად ვერ აღვიქვამდი. ამ გრძნობას სიტყვა „ეროტიკა“ ამდაბლებს და შეურაცხყოფს. ჩემთვის ის იყო უმანკო ბავშვი, რომელსაც მფარველი ხელი გადავაფარე. ამას იქით ჩემი წადილი არ მიდიოდა. თუმცა ამან ხელი მაინც შემიშალა, სხვა გოგონებს ჩემი გულისყური ჩამოაშორა. ამ ბავშვის არსებობამ ერთგვარად შემინელა წყურვილი. ის ჩემთვის ალბათ იმ რიგის არსება იყო, როგორც შეთხზული პერსონაჟები, რომლებიც ცისფერ ნათებასა და მირაჟში ლივლივებდნენ და რეალობასა და საგნობრიობას იყვნენ მოკლებულნი.

ლექციები მეორე ცვლაში გვიტარდებოდა. ადრე ღამდებოდა, ის კი საკმაოდ შორს ცხოვრობდა და ღამეული ქალაქისა ბავშვურად ეშინოდა. პირველ ნომერ ტრამვაის ჩავუყვებოდით ხოლმე, იქიდან სხვა ტრამვაით ავლაბრისაკენ მივდიოდით. გზა დიდხანს გრძელდებოდა და ათასნაირ რამეზე შეიძლებოდა საუბარი. მერე კოლმეურნეობის მოედნით ვარჩიეთ სიარული, ბარათაშვილის მშენებარე ხიდზე ფეხით გაისვლებოდა. თავისთავად მოხდა ასე, გამცილებლის როლი ვიკისრე. ეს იყო დიდის მფარველობა პატარის მიმართ. ისედაც შვიდი-რვა წლით უმცროსი გახლდათ, თუმცა ამ ასაკობრივ სხვაობას ვერც ვგრძნობდი. თავდაპირველად ბინის კარამდე მივაცილებდი და ვბრუნდებოდი. ერთხელ დედა და და გამომეგებნენ, შემიწვიეს, ჩაი დამალევინეს. სიმორცხვისაგან ზედმეტად შებოჭილი ვიყავი, რის გამოც მსუბუქად მაქილიკებდნენ. შემდგომ თანდათან შევეჩვიე და გავთამამდი. ოჯახის მეგობრის მისია არ

მამძიმებდა. უკან საკმაოდ გვიან ვბრუნდებოდი და, რაკი ტრანსპორტი უკვე აღარ მუშაობდა, ფეხით მიწევდა ავლაბრიდან სტუდქალაქამდე გავლა.

ზუგდიდში რომ ჩავედი, ჯიბეში რამდენიმე სურათი მედო. ჩემმა დებმა დახედეს და დიაგნოზი დამისვეს: „შეყვარებული ხარ!“ თავი გავაქნიე. ამათ ვერ წარმოედგინათ, რომ შეიძლებოდა უბრალოდ პატარა გოგოს მეგობარი ვყოფილიყავი.

იქნებ ძალით მოვახვიე ეს მეგობრობა? არ ვიცი, რას ფიქრობდა. ერთხელ სიცხიანი იწვა, ამომხედა და მითხრა, სპილოს თვალები გაქვსო. რას ნიშნავდა ეს? ალბათ ლმობიერება ამოიკითხა, ანდა, პირიქით, არ ვსიამოვნებდი. ყოველ შემთხვევაში, მე უშურველი ვიყავი და რამდენიმე თანაკურსელმა მომბაძა კიდეც. მოდიოდნენ და ოჯახის მეგობრები ხდებოდნენ. ერთმა ფიცვერცხლიც ჭამა, პატარა გოგონას ძმობა შეჰფიცა. მე არანაირი ფიცი არ მჭირდებოდა, წლიდან წლამდე ყველაზე ერთგული ვიყავი, მისი მცირე ტკივილი მტკიოდა და წუხილი მაწუხებდა.

სენტიმენტალური მოთხრობა დავიწყე. „ჩემი პატარა, მშვენიერი გოგონა“, — ასე ერქვა ამ მოთხრობას და მთლიანად ეპისტოლარული ჟანრისა იყო. გოგო და ბიჭი ერთმანეთს განუწყვეტლივ წერენ ამაღლებულ წერილებს. ასეთი ეპისტოლეებით შეიძლებოდა მთელი ტომის გავსება და ბოლო მაინც არ გამოჩნდებოდა... გულუბრყვილო და უთავბოლო მიმოწერა გამომივიდა და დროზე შევეშვი.

ასე მეგონა, უსასრულოდ გაგრძელდებოდა ეს ფაქიზი ურთიერთობა. ერთხელ ვიხუმრე, ცოლი თუ შევირთე და ჩვენს მეგობრობას ვერ იგუებს, შინ არ გავაჩერებ-მეთქი... მე მუდამ ასეთი მზრუნველი უნდა ვყოფილიყავი, ის მარადი ბავშვი.

მაგრამ ადამიანთა ურთიერთობის ლოგიკა ცვალებადია. როგორღაც თავისთავად, ბუნებრივად მოხდა ძაფების გაწყვეტა, დაშორიშორება... იგი ჭკვიანი და ღირსეული ქალბატონი გახდა, გოგონას დედა და მეუღლე ასევე ჭკვიანი და ღირსეული ვაჟკაცისა... მე კი რომანტიკული მწვერვალებიდან ყოფითი რეალობა ძირს მექაჩებოდა და არსებობისათვის ბრძოლას ვუნდებოდი...

6

ეს იყო აღმოჩენების წლები... მოულოდნელად აღმოვაჩინე მთელი გალაკტიკა — საქართველო. იქნებ უცნაურადაა ნათქვამი, ანდა გადამეტებულია! მე ხომ საქართველოში დავიბადე, სკოლაში ქართულად ვსწავლობდი, ჩემს სახლში ქართულ სიმღერებს მღეროდნენ და ქართულად ცეკვავდნენ, სუფრაზე ქართულ სადღეგრძელოებს ამბობდნენ, დაკრძალვაზე ქართულად მოთქვამდნენ... რა თქმა უნდა, როცა ვამბობ „ქართულს“, მეგრულსაც ვგულისხმობ... და მაინც ჩემი ინტერესები აქამდე მთელ სამყაროს მოიცავდა, აქ დედამიწას, იქ კი ციურ ვარსკვლავეთს... მთელი პლანეტა მეპატარავებოდა და რაღა იყო ეს ციცქნა მიწა, სულ რაღაც სამოცდაათი ათასი კვადრატული კილომეტრი. აქ არც ოკეანეებია, არც ტროპიკული ჯუნგლები, არც საქარავნო გზები და არც ყინულოვანი უდაბნოები... მაგრამ აი, ჩემი ხომალდი შემობრუნდა, შინ ჩამოვედი და მთავარი და უმთავრესი გავისიგრძეგანე – მე ქართველი ვარ, ქართველი კი საქართველოს უნდა ემსახუროს და ამით ის მსოფლიოსაც ემსახურება...

ჯერ კიდევ სტუდენტობამდე, ლენინგრადიდან თბილისში ჩამოხეტებულმა ჩემს მეგობარს გიგლა მაქაცარიას ავაკითხე. საოცრად განათლებული პიროვნება იყო, კარგი ინჟინერი, ძლიერი მოჭადრაკე და ბუნებით პოეტი. ჩემს საქაღალდეში ჩამრჩა გალაკტიონის სტილში შეთხზული მისი პატარა ლექსი. რუსეთიდან ჩამოსული მსოფლიო მოქალაქე ხელოვნების მუზეუმში გამაქანა, მის დარბაზებში იმდენ ხანს მატარა, ფეხები დაგვაწყდა... მომნდევნო შეხვედრაზე, უკვე ზუგდიდში, გალაკტიონის ერთტომეული გადამიშალა და თითქმის მთლიანად წავიკითხეთ ერთად. ის ჩემზე ერთი წლით უმცროსი იყო, ამ რამდენიმე წლის წინ მოულოდნელად გარდაიცვალა. მე კი დამრჩა ის გაკვეთილები, რითაც თითქოს მეუბნებოდა, მოეშვი ხეტიალს, ყველაზე საინტერესო ამერიკა აქ, შენს სამშობლოში უნდა აღმოაჩინოო...

ერთხელ მწერალთა კავშირის ლამაზ სასახლეში მოკრძალებით შევედი. დარბაზში სკამი მოვნახე, შიშნეულად მოვიკუნტე. ვინმეს რომ ეთქვა, აქ ვინ შემოგიშვაო, ალბათ, კარში გავვარდებოდი. პატარა კონცერტი ტარდებოდა, მწერლები ხვდებოდნენ მსახიობებს. ვასო გოძიაშვილი გამოვიდა. მოვიხიბლე. აქამდე ხომ მისი არსებობაც არ ვიცოდი... იმ შემოდგომაზე რთველში მოვხვდი, კახეთში. ჩემი ახლობელი ნუგზარ ქირია მუშაობდა ღვინის ქარხანაში და იმას ჩავაკითხე. მანავში წამიყვანეს, ივრისპირა ჭალაში სუფრა გაეშალათ და ერთი მეტად მოხდენილი მამაკაცი არტისტულად გვთამადობდა. ძალიან მომეწონა და დავარეხვე, რა გოძიაშვილივით ლაპარაკობს-მეთქი. თურმე ტრიპოლსკი ყოფილა...

ეს პატარა და დიდი აღმოჩენები ზვავივით მომასკდა. თითქოს ბევრი რამ ვისწავლე, მაგრამ ჩემს თავს წამდაუწუმ ვიჭერდი ელემენტარულ უვიცობაში. იოლი არ იყო ამ ზღვაში ცურვა, ხარვეზების ბოლომდე ამოვსება ხომ შეუძლებელი ჩანდა. ამასთან, ყოველივეს ცინცხალის, სიახლის შეგრძნება ახლდა, რაც ინტერესს მიმძაფრებდა და საქმეს მიიოლებდა.

ჩემდათავად, ლექციებზე თვლემას საჯარო ბიბლიოთეკაში ჯდომა მერჩია, მაგრამ იმ რამდენიმე მეგზურს მაინც გამოვარჩევდი, რომლებმაც არცთუ ურიგოდ დამაკვალიანეს. ბატონი ლევან მენაბდე მაოცებდა ფაქტებისა და დეტალების უხვი ცოდნით; ბატონ ოთარ ურიდიას სიმკაცრეს და სამართლიანობას ვუმადლი, რამაც ენის ქაოტური ცოდნა ცოტათი მაინც მომიწესრიგა; ბატონი ლევან კიკნაძე პატივისცემას იმსახურებდა ძველი ქართული ენის გრამატიკის პედანტური გადმოცემით; ქალბატონი მზექალა შანიძე კი იმ თაღოვანი ხიდის მშვენიერებით, რაც ძველსა და ახალს შორისაა გადებული... სულ ორიოდე ლექციის ჩატარება მოასწრო ბატონმა ვარლამ თოფურიამ, ქათქათა ჭაღარით შემოსილი მისი შუბლი სიწმინდესა და მაღალ აზრს ასხივებდა... ბატონი აკაკი შანიძე მცნობდა და ხუმრობით გვარს მითარგმნიდა – „ა, ქორიძე, შენა ხარ?“ შეუძლებელია ადამიანს დაავიწყდეს ბატონი პანტელეიმონ ბერაძე, ლამაზი აღნაგობის ხატივით ბერიკაცი, რომლის აზრ-

თა მდინარება მუდამ „დაქტილურ ჰეგზამეტრს“ უტრიალებდა. ჩემში მოკრძალებას ბადებდა ბატონი სიმონ ყაუხჩიშვილი, რომლის წიგნებიდან ასე მასშტაბურად ჩანდა ანტიკური და ბიზანტიური ლიტერატურის უმდიდრესი პალიტრა... ულამაზესი ქალბატონი, თბილი და ნატიფი ქსენია სიხარულიძე... ბატონი აკაკი ურუშაძე, კეთილშობილი პიროვნება, რომლის მცდელობისდა მიუხედავად, ძველ ბერძნულ ენას გული ვერ დავუდე და „ილიადას“ პირველი სტრიქონიღა დამრჩა მეხსიერებაში... ბატონი შოთა რევიშვილი, რომლის ლექციებს ერთგვარი ფრივოლურობა დაჰკრავდა, რის გამოც აუდიტორიაში გოგონების ტევა არ იყო... რისმაგ გორდეზიანი, — ამ წითურ და შემელოტებულ კაცზე ჩვენი გოგონები ჭკუას კარგავდნენ, რადგან მის მეტყველებას ღრმა განსწავლულობის ხიბლი ახლდა...

ხუთი წელი მცირე დრო არ არის ახალგაზრდის ცხოვრებაში. სამწუხაროდ, ჩვენი სასწავლო დროის ბიუჯეტი საკმაოდ უყაირათოდ იხარჯებოდა უამრავ ცრუმეცნიერებაზე, რაც ტვინს თუ დაანაგვიანებდა, თორემ ადამიანს ბევრს ვერაფერს შესძენდა. სამი სემესტრი ვიზუთხეთ „სკკპ ისტორია“. გვქონდა ხანგრძლივი ლექციები და არანაკლებ ხანგრძლივი პრაქტიკუმებიც, რომლის დროსაც უნდა წარმოგვედგინა სქელტანიანი რვეულები, რითაც უნდა დაგვემტკიცებინა, რომ გულმოდგინედ გადავაბულბულეთ მარქსიზმის კლასიკოსთა აურაცხელი თხზულებები, სხვადასხვა ყრილობათა ბითურული რეზოლუციები... საქართველოს ისტორიისათვის კი ერთი სემესტრი საკმარისი აღმოჩნდა და, ცხადია, სკოლის მოსწავლის ცოდნას დიდად ვერ გავუსწრებდით. ვხუმრობდით კიდეც, რომ ჩვენა ვართ „პარტისტორიის სპეციალისტები ფილოლოგიის განხრით“, ვიღაცა იყო „მედიცინის განხრით“, ან „საინჟინრო განხრით“ და ა.შ. პარტისტორიას მოჰყვა „მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია“, „პოლიტეკონომია“, „მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლები“, ასეთივე მატყუარა „ფილოსოფიის ისტორია“ და „ათეიზმი“... მოკლედ, ჩამოგვიწიკწიკეს გონების დაკაბალების მწყობრი სისტემა, რომლის ზეგავლენას მხოლოდ ისეთი კაცი აიცილებდა თავიდან, ვისაც აკვანშივე ჩასჩურჩულეს – „ყოველივე ეს სიცრუეა!“

7

იმპერიას ფილოლოგზე მეტად ჯარისკაცი სჭირდებოდა. რაც თავი მახსოვს, სამხედრო უწყება სულ იმას ჩიოდა, გენერლები თავზე საყრელი გვყავს, უმცროსი ოფიცრები კი არ გვყოფნისო. ჩვენზე უკეთესი საზარბაზნე ხორცი სად მოიძებნებოდა! ამიტომაც პირველი სამი წლის მანძილზე კვირაში ერთი დღე ამ ვეშაპისათვის უნდა დაგვეთმო. თავში დიდი მონდომებით გვტენიდნენ სამხედრო მეცნიერების ანაბანას გარუსებული ქართველები, ორი არარუსი და ერთიც გამოკრეტინებული რუსი... პედანტურად მოწყობილ „თვალსაჩინოებებით“ მოწყობილ ლაბორატორიებში პედანტი პედაგოგები შპარგალკებით ცდილობდნენ ჩვენი ტვინის მიძინებას.

სამი კურსის შემდეგ მოგვხვიეს ხელი და ახალქალაქში წაგვასხეს. ჩავიცვით ხაკისფერი ფორმა, დავირიგეთ ნამდვილი ავტომატები და შევუდექით წვრთნას. ფხიზელი თვალი იოლად შეამჩნევდა, რომ „ჩვენს დიად, უკიდეგანო სამშობლოს“ დაავადების სიმპტომები დასტყობოდა. ჯარში ხომ ადრეც ვიმსახურე. მაშინ არცთუ უხვად, მაგრამ საღი საკვებით გვამარაგებდნენ. აქ კი ჯარისკაცური სასადილო შორიდანვე ყარდა. იმას, რაც მაგიდაზე ეწყო, ალბათ დავთრებში ძეხვი, კარაქი, ხორცი ერქვა, სინამდვილეში იმდენად ამაზრზენი რამ გახლდათ, პირუტყვიც ცხვირს მიაბრუნებდა.

რამდენიმეჯერ გაფიცვა გამოვაცხადეთ. ეტყობა, გარნიზონის ხელმძღვანელობა მიჩვეული იყო სტუდენტი ახალგაზრდობის თავგასულობას და ჩვენი დაშოშმინების მეთოდიც კარგად იცოდნენ. ერთი-ორი დღით ვითომ გამოსწორდებოდა ვითარება, მერე კვლავ სალაფავი დაგვხვდებოდა და ასე გრძელდებოდა მომავალ „პოტიომკინამდე“. ამასობაში ეს ორი თვეც გადაგორდა და ოფიცერთა ჯიბეში, სავარაუდოა, სოლიდური თანხა ჩაჩხრიალდა.

აგვისტოს ბოლოს პლაცზე ჩამოგვამწკრივეს, ფიცი დაგვადებინეს და ჩვენ მომავალი ფილოლოგები, ჟურნალისტები

და ისტორიკოსები გავხდით საბჭოთა არმიის ლეიტენანტები... ეს მხოლოდ ქაღალდზე, ცხადია, თუმცა რამდენიმე ჩემს კოლეგას შემდგომ ორი წლით მართლაც უკრეს ჯარში თავი... მე სულ ორჯერ შემაწუხა კომისარიატმა. ერთხელ სამხედრო გაზეთში თანამშრომლობა შემომთავაზეს. ვიუარე, პრინციპული მოსაზრებით მხოლოდ ქართულად ვწერ-მეთქი. მეორეჯერ კაპიტნობის პერსპექტივით მხიბლავდნენ, რაც სასაცილოდ არ მეყო...

8

სტუდენტური ცხოვრების საუკეთესო ფურცლები თანაკურსელთა ექსკურსიები იყო. ამ დროს ხდებოდა ერთმანეთისა და სამშობლოს შეცნობა. ჩვენს ახალგაზრდა მასწავლებლებსაც ეხალისებოდათ მხიარული პიკნიკები ქალაქგარეთ... სვეტიცხოველი, ჯვარი, არმაზი, შიომღვიმე, ზედაზენი, უფლისციხე, გარეჯი... საქართველოს მიწაზე დათვლა გაჭირდება იმისი, რისი ხილვა და მერამდენედ აღმოჩენა წვეთწვეთობით ავსებდა ჩვენს სულს... ვინა ვართ და რანი ვყოფილვართ? ამ კითხვაზე ძნელია ცალსახა პასუხის გაცემა. ვცდილობდი მომეაზრებინა, თუ რატომ მოხდა, რომ მე, მარადისობაში მოხეტიალე სამყაროს ერთ ნაწილაკს, უფლის ნებით გამიხსნეს მაინცდამაინც ეს სარკმელი და გადმომსვეს არა სადმე სხვაგან – ჰინდთა ან ჩინთა მიწაზე, რუსთა ან აფრიკელთა სამშობლოში, არამედ საქართველოში...

ექსკურსიასა და ექსკურსიას შორის, ლექციებიდან ლექციებამდე, ბიბლიოთეკებსა და ახალგაზრდულ ორომტრიალში ჩაფლულს მაინც მრჩებოდა არცთუ მცირე დრო, როცა სტუდენტთა სანატორიუმის მომცრო დარბაზში, ტელევიზორის წინ, სავარძელში ჩათბუნებულს მუხლებზე განმარტებითი ლექსიკონის მორიგი ტომი მედო და სათითაოდ ვწონიდი ქართულ სიტყვებს, იმათაც, აკვნიდან რომ ამყვა და იმათაც, აქამდე რომ არც გამეგონა, ან იქნებ გამეგონა, მაგრამ დამვიწყებოდა. პატარა უბის წიგნაკებში ვიწერდი ჩემს ამ ნაცნობ უცნობებს, მერე ზოგი მამახსოვრდებოდა, ზოგიც მავიწყდებოდა... ამ ხერხით ვცდილობდი გავთავისუფლებულიყავი რუსული ჟღერადობისაგან. ახალი სიტყვები ახალი სანთლებივით აენთებოდნენ და შემდგომში არც მახსოვდა, ყოველთვის ენთო ჩემში ეს პაწია სანთლები, თუ ამ დროს შევიძინე.

9

კვირაში ერთხელ დიდ აუდიტორიაში ტარდებოდა ახალგაზრდა მწერალთა წრის სხდომები. შეუმჩნევლად შევიპარე და კუნჭულში მოვკალათდი. ეს მე მეგონა, „შეუმჩნევლადო“, მაგრამ ბატონმა ტარიელ კვანჭილაშვილმა მთელი დარბაზის გასაგონად გამომაცხადა. მე დავიმორცხვე და გავისუსე. ტრიბუნასთან ერთიმეორეს ცვლიდნენ დამწყები პოეტები და პოეტესები, თამამად მიმოიხილავდნენ თანატოლთა ნაღვაწს. მე ჩუმად ვიჯექი, რადგან სათქმელი არაფერი მქონდა, რაკიღა ამ ნაწერების ავანჩავანისა არაფერი მესმოდა. თანაც ტრიბუნისა ისე მეშინოდა, ახლაც მიკვირს, ჩემისთანა მშიშარა კაცი რანაირად აპირებდა „სახალხო ტრიბუნობას“.

შემდგომ რამდენჯერმე დავესწარი ამ სხდომებს. ცოტათი გავთამამდი. ორიოდეჯერ მომხსენებელიც ვიყავი, ოღონდ მაღლევე მომწყინდა და თავი დავანებე. ბევრი იმათთაგანი, ვინც ტრიბუნა გაიშინაურა, დღეს წიგნების ავტორები ან პოლიტიკოსებია. მე კი მწერლად საკუთარი თავი გულის სიღრმეში შემეძლო გამომეცხადებინა ისეთივე წარმატებით, როგორც ადრე ამერიკის პრეზიდენტობას შევბედავდი. ხმამაღლა ამ ზრახვის გაცხადებას ვერავინ მაიძულებდა. ანდა რა მწერალი მე ვიყავი, ერთადერთი ბოლომდე დასრულებული მოთხრობა მქონდა, ჩინეთში რუსულად რომ დავწერე და მერე გადმოვაქართულე... ისიც ხან მომწონდა, ხან არა. ჰოდა, როცა მომწონდა, იმ დროს წავაცუნცულე „ცისკარში“.

რედაქცია მაშინ მარჯანიშვილის მოედანზე იყო. მისი მაღალი კიბე შემდგომ აღვწერე კიდეც „მარად მხედარში“. გრძელი დერეფნის ბოლოს მივაგენი რედაქტორის კაბინეტს. იმ დროს რედაქტორი იყო ბატონი ხუტა ბერულავა. ალბათ ჩემი

სახელისათვის ყური მოეკრა, რაკი ზუგდიდელი ვიყავი და უნივერსიტეტში ლამაზად ჩავერიცხე. ფეხზე შემომეგება, რედაქციის თანამშრომლები მოიხმო და ხელნაწერი დიდის ამბით მწერალ კარლო კობერიძეს გადასცა. ისინი მიღიმოდნენ, მე კი ბუასავით ვიდექი და არ ვიცოდი, რა მეთქვა. „ნახვამდის!“ – მოკლედ დავაგდე და გავტრიალდი. კიბეზე რომ ჩავდიოდი, უკვე ვიცოდი, რომ ორგვარი შეცდომა დავუშვი. ჩემი „ნახვამდის“ ზედმეტად ცივად და ოფიციალურად ჟღერდა და მოღიმარ მასპინძელს თბილი ღიმილი პირზე შეადნა. იმის თვალში უტაქტო და უზრდელი გამოვჩნდი. ამ ამბავს როგორმე ეშველებოდა, მაგრამ აპრიორი უნდა მცოდნოდა, რომ ეს მოთხრობა „ცისკარში“ არ მოეწონებოდათ, თუნდაც იმიტომ, რომ მოქმედება სადღაც ლათინურ ამერიკაში ხდებოდა და მისი რევოლუციური სულისკვეთება უკვე არავის აინტერესებდა. იმთავითვე დაწუნებულის რენომე კი იოლად ვერ გამოსწორდებოდა.

ერთი თვის შემდეგ ბატონმა კარლო კობერიძემ ხელნაწერი რომ გამომიწოდა, ახსნა-განმარტება არც დასჭირვებია. დამნაშავესავით თავი ჩავღუნე და სასწრაფოდ გავიძურწე. ხელნაწერი უჯრაში ჩავაგდე და თითქმის დავივიწყე... მაგრამ გავიდა დრო. ერთხელ გადავშალე, წავიკითხე, არა უშავს-მეთქი, დავასკვენი და უნივერსიტეტში მივიტანე. იქ „პირველი სხივისათვის“ მასალებს აგროვებდნენ. თურმე ბატონმა ლევან მენაბდემ წაიკითხა, ეს ყმაწვილი მწერალიც ყოფილაო, განუცხადებია... იმთავითვე კეთილი თვალით მიყურებდა და ალბათ იმიტომ.

ასე გაჩნდა ეს მოთხრობა „პირველ სხივში“. იმ ტომს მდიდრულად გაფორმებული გარეკანი აქვს. ხელში ავიღე ეს ლამაზი წიგნი, გადავშალე. მომეწონა ლამაზი შრიფტით დაბეჭდილი საკუთარი სახელი და გვარი. ადრე ხომ დიდად არ მომწონდა, ნაირ-ნაირ ფსევდონიმებს ვიგონებდი, „კოლხი“, „ზუგდიდელი“ და მაგდაგვარებს, ანდა ესპანურად თარგმნილ საკუთარ გვარსახელს (ემილიო ფალკონე ლუვიანო). ერთხელ ჩემმა თანაკურსელმა თამაზ შეშაბერიძემ წამოიძახა – „ამისი სახელი და გვარი რა კარგადაა შეხამებულიო“. ყური ვცქვიტე და გუნებაში გავივლე: ალბათ ასე ვწერივართ ღვთიურ დავთარში და მაღალი ნება

მშობლებს კარნახობს, რაც უნდა დაგვარქვან-მეთქი. ამიტომ მოვეშვი ფსევდონიმებით კოპწიაობას... მოკლედ, ანაწყობი კი მომეწონა, მაგრამ ტექსტის წაკითხვა ვერ შევძელი... იმ დღიდან მრავალი წელი გავიდა და ის მოთხრობა ერთხელაც არ გადამიკითხავს, რადგან მისი პირველივე ფრაზები ჩემში უხერხულობას ბადებს.

„კითხულობენ შენს მოთხრობას!“ – უნივერსიტეტის ეზოში მომეფერა ბატონო ტარიელი.

სიხარული ვერ განვიცადე. ყოველნაირ ტექსტს გამოუჩნდება მკითხველი, მაგრამ მე უკვე ვიცოდი, რომ პატივმოყვარეობამ არ უნდა გადაგძალოს და ის, რაც შენთვის განვლილია, არც სხვას უნდა შესთავაზო...

10

პირველი კურსის შემდეგ გამორჩეული არდადეგები გამომივიდა. ჯერ ერთი და სამხრეთ საქართველოში ვიმოგზაურე. ათდღიანი ექსპედიციის სულისჩამდგმელი ბატონი ლევან მენაბდე იყო. ჩვენთან მოდიოდნენ პროფესორი გრიგოლ კიკნაძე, ფოლკლორისტი იურა ჯაფარიძე, ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფი და უფროსკურსელი სტუდენტობა... უნივერსიტეტის მომცრო ავტობუსით მოვინახულეთ თითქმის ყველა ეკლესია-მონასტერი და ციხესიმაგრე, რაც კი თბილისიდან ვარძიამდეა. ერთი სქელტანიანი რვეული მომქონდა და ჩემს შთაბეჭდილებებს იმაში ვიწერდი... იქიდან დაბრუნებისთანავე ხევს მივაშურე. მე და ჩემმა ერთმა თანაკურსელმა ბინა სიონში დავიდეთ, ზედ ტყისპირას. უნდა გვევლო და ჩაგვეწერა მოხევური დიალექტის ნიმუშები. ოჯახით ჩამობრძანდა ქალბატონი მზექალა შანიძე. იგი ჩვენი სამეცნიერო ხელმძღვანელი ბრძანდებოდა. მეტად მხიარული ზაფხული გამოგვივიდა. ხევის სოფლებში აღმა-დაღმა დავეხეტებოდი და ყველგან ხელგაშლილნი მხვდებოდნენ.

ამ ზაფხულს ჩვენთან იყო რიჩარდ ამირეჯიბი. ევროპული სტილის კაცი, შესანიშნავი დასტაქარი და დიდბუნებოვანი ადამიანი, რომელთან ურთიერთობა მრავალი წლის მანძილზე მანი-

ჭებდა სიამოვნებას.

აგათანგენობაზე ბატონი აკაკი შანიძე ჩამოვიდა. ტყის პირას, მდელოზე, სუფრას ვუსხედით და სიონელი მოხევენი დიდი პატივით ეპყრობოდნენ სტუმარს.

ერთხელ ნაროვანზე ავედი, მთაში მარტოკამ ვიხეტიალე, მწყემსებთან ღამე ვათიე. ცა ისე ახლოს იყო, ვარსკვლავებს ხელით მისწვდებოდით. იმ ზაფხულს დაწერილი მოთხრობა ასევე დავიწყე – „ნაროვანზე შემომაღამდა...“ იგი არდადეგების რომანტიკული შტაბეჭდილებებით იყო სავსე და იწერებოდა ჯავაში, სადაც დასასვენებლად მიმავლინეს...

11

ექიმებმა თავი ჭოჭმანით გააქნიეს და ბორჯომში მკურნალობა დამინიშნეს, ოღონდ ბორჯომის საგზური დაენანათ და ჯავით შემიცვალეს, თუმცა ჯავის წყლის მონაცამები სრულიად საპირისპიროს აჩვენებდა.

რა უნდა მეკეთებინა ამ ვიწრო ხეობაში, სადაც ძირითადად იმ ასაკის ხალხი ისვენებდა, ამათში ყველაზე ყმაწვილი რაინდი მე აღმოვჩნდი. ალბათ ამიტომ შევუყვარდი ცამეტი წლის სომხის გოგონას, რომელიც ოცი წლის რუს გოგონასთან თუ დამინახავდა, უმალ ცრემლებს გადმოყრიდა. ღიმილისმომგვრელი იყო ეს ბავშვური გატაცება და ბუნებრივიც. ამ ბავშვმა ტრფიალის სხვა საგანი აქ ვერ აღმოაჩინა. ორი თვის შემდეგ რუსთაველზე შემხვდა თავის ტოლ-სწორებთან ერთად, ღიმილით მომესალმა, მაგრამ მივხვდი, მისთვის უკვე არ ვარსებობდი, რადგან ამ პატარა ჯულიეტას თავისი ტოლი რომეოები ახლდნენ.

გასართობად ისღა გვქონდა, ლიახვში გვებანავა და ბეჯითად დავსწრებოდით საღამოს კინოსეანსებს. დანარჩენ დროს ვიჯექი გრილი ფოიეს ღრმა სავარძელში. მუხლზე სქელტანიანი რვეული მედო და ვწერდი მოთხრობას, რომელსაც ერქვა „კარი ცისა“. იგი იწყებოდა ნაროვანის ვარსკვლავიანი ღამით, როცა ცის კაბადონი გაიხსნა... მერე ვყვებოდი სამხრეთ საქართველოში ავტობუსით მხიარული მოგზაურობის ამბავს... ამ

ავტობუსის გასწვრივ კი მთელ გზაზე ლირიკული გმირი ხედავდა „ლურჯმოსასხამიან მხედარს“, საქართველოდან უცხოეთში ლტოლვილს... შემოდგომაზე რუსთაველის იუბილე უნდა ჩატარებულიყო და ჩემი „ლურჯმოსასხამიანი მხედარი“ შოთასთან მყავდა გაიგივებული.

ათ დღეში წერა მოვათავე, მზიანი ამინდი წვიმებმა შეცვალა, მომწყინდა და, თუმცა საგზურის ვადა სანახევროდაც არ იყო დასრულებული, შინისაკენ გამოვეშურე.

გადავათეთრე ხელნაწერი, ჯავაში გაცნობილ მოხალისე გოგონას გადავაბეჭდინე და შიშითაც და თავმოწონებითაც „ცისკარს“ ვაახლე...

12

ბატონმა რედაქტორმა კაბინეტში მოიხმო კომკავშირულ წრეებში გალაღებული პოეტი და მკითხა:

— ხომ იცნობ ამას?

თავი დავუქნიე.

— ჩვენებური კაცია, ყურადღებით წაიკითხავს!

მოთხრობა კარგა მოზრდილი გამომივიდა, სამი-ოთხი თაბახი მაინც იქნებოდა. გუნებაში გამოვთვალე, რამდენი ხანი დასჭირდებოდა „ყურადღებით“ წაკითხვას.

გამოვცხადდი ერთი თვის შემდეგ.

„ჩვენებური“ არ დამხვდა.

ორი თვის შემდეგ...

მომიბოდიშა...

სამი თვის შემდეგ...

არ დამხვდა...

ოთხი თვის შემდეგ...

მომიბოდიშა...

არ მახსოვს რამდენ ხანს გაგრძელდა ეს „კატათაგვობანა“. ამხანაგი პოეტი ან არაფერს კითხულობდა, ანდა აპრიორი არ მოვეწონე, იფიქრა, ვინაა და ვინა გდია, ამისი ნაჯღაბნით თვალი დავივსოო... ამიტომ თუ ამჯობინა დროის თრევა. ბოლოს და

ბოლოს მეც ხომ მომბეზრდებოდა და თავს დავანებებდი. რა მექნა? დარდს გულში ვიკლავდი, ჩემს თავს არ ვაძლევდი ამბოხების უფლებას, რაკი საქმე ეხებოდა ჩემს ნაწერს, ჩემს პირმშოს, რომელიც არ ვიცოდი, რანაირად დამეცვა ამ დამცირებისაგან.

ბოლოს მიხვდა, ეს ვიღაცაა, არ მომშორდებაო და გამომიცხადა, ორ დღეში მოდი და წაკითხული მექნებაო.

დანიშნულ დროს გულისფანცქალით მივაკითხე.

დამსვა მაგიდის წინ, გადაშალა ხელნაწერი და ამოიოხრა. იციო, მითხრა, ახლა რანაირი პროზა იწერებაო, აი, მაგალითად, ჰემინგუეი, ფოლკნერი, თომას მანიო... აქ კი, შენო, მაგალითად ნაროვანზე წერო. ამ აბზაცში სწორედ ნაროვანის მწვანე ფერს ვხატავდი და ალბათ არცთუ ურიგოდ... გავნერვიულდი და კინაღამ ჩამოვუკაკლე დიდი პოეტები, ლექსების წერა იმნაირად უნდა-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე. ის კი ზის, ოხრავს, პირველ ორ გვერდს უტრიალებს, რაღაცას მიმტკიცებს, იბნევა, არ იცის, ფრაზა როგორ მოამრგვალოს.

ავდექი და წამოვედი. სანამ დერეფანს ჩავივლიდი, უცბად გამინათდა, პირველ ორ გვერდს იმიტომ უტრიალა, მეტი არც წაუკითხავს-მეთქი. შევბრუნდი. ჯიბეებში ხელებჩაწყობილი და კმაყოფილი გამოდიოდა კაბინეტიდან. თავისი მისია დამთავრებულად მიაჩნდა. სახელით მივმართე, შენ იმ ორი გვერდის მეტი არც წაგიკითხავს-მეთქი. მეგონა, შეიცხადებდა, მაგრამ ისედაც აღაჟღაჟებულს სიწითლე რას დაეტყობოდა. მოგზაურის ჩანაწერები მეგონა და მეტი იმიტომ არ წავიკითხეო, რაკი სხვა რაღაცაა, აუცილებლად წავიკითხავო. მაგაზე ნუ შეწუხდები, შენი წაკითხული არც მინდა-მეთქი, დავუგდე. მეგონა, ამ სიტყვებით ვსჯიდი, იმან კი ერთ ყურში შეუშვა და მეორედან გამოუშვა.

შეურაცხყოფილი და გულდაწყვეტილი დავრჩი. ცხადია, შემეძლო, რედაქტორთან მეჩივლა, მაგრამ მე ხომ ამ კიბეზე ისედაც მოკრძალებით ამოვდიოდი, მე მხოლოდ ჩემს ფანტაზიებში ვიყავი თამამიც და ალბათ პრეტენზიულიც.

ერთხელ ზემელზე მივსეირნობდი პოეტთან ერთად, რომელსაც ექვსპწკარიანი ლექსი ჰქონდა გამოქვეყნებული და ახლა მითოლოგიურ პოემას ეჭიდებოდა. აღფრთოვანებით

მითხრა: „რა კარგია, მე და შენ რომ მწერლები ვართ!“ შემაცბუნა ამ სიტყვებმა. გულში გავივლებდი, ალბათ ვარ-მეთქი, თორემ ხმამაღლა ამას როგორ ვიტყოდი, მეგონა, გიჟებში ჩამწერდნენ და მასხრად ამიგდებდნენ. შენ ალბათ ხარ მწერალი, მე კი რა ვიცი, ჯერ არაფერი გამიკეთებია-მეთქი, ვუპასუხე.

ამიტომ „ცისკრის“ კიბე კი ავატალახე, მაგრამ რედაქტორთან ერთხელაც არ შევსულვარ და ჩემი გასაჭირი არ შემიჩივლია. შინ დავბრუნდი და იქითკენ თითქმის წელიწადი არ გამიხედავს.

უნივერსიტეტში მაშინ ჯერაც დამწყები პოეტი ვანო ჩ. შემხვდა, სად დაიკარგე, „ცისკარში“ გეძებდნენო, მითხრა. არ მეგონა, თუ ვინმეს ვახსოვდი. მივედი და გაოცებულმა სულ სხვა განწყობა ვიგრძენი – მიღიმიან, მესალმებიან, მხარზე ხელს მითათუნებენ. ვიფიქრე. ალბათ ამ „ჩვენებურმა“ მოწყალება მოიღო და ხელნაწერი ბოლომდე ჩაიკითხა-მეთქი.

თურმე პოეტს იმდენი ხელნაწერი დაუგროვდა, ბულდოზერიც ვერ გადახვეტავდა. ამიტომ სასწრაფო დახმარების როლში მოიწვიეს რადიოს თანამშრომელი ქალბატონი. დახედა ჩემს ხელნაწერს, უმალ წაიკითხა და გამოაცხადა, აგერ ნიჭიერი და თანამედროვე მწერალი აღმოვაჩინეო. იმ მოთხრობაში რამდენად ნიჭიერი და თანამედროვე ვჩანდი, ამაზე ვერაფერს ვიტყვი. დღეს მისი სტილი წარსულს ჩაბარდა და, ვფიქრობ, გულწრფელობასთან ერთად გულუბრყვილო რომანტიკის ბეჭედი აზის... ასე იყო თუ ისე, იმ დროს მის დაბეჭდვას ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ჩემი შინისაკენ მობრუნება ჯერაც არ იყო მყარი, თითქოს ბეწვის ხიდზე გავდიოდი, მცირედი მხარდაჭერა მაინც მჭირდებოდა, რათა მეტი სიმტკიცე შემძენოდა და ამ ახალ გზაზე მკვიდრად დავმდგარიყავი.

მე და ახალგაზრდა ქალბატონი მივუსხედით სარედაქციო მაგიდას. ერთად ჩავიკითხეთ. არცთუ ცოტა შენიშვნები ჰქონდა და, რაც ნაკლად მოგვეჩვენა, იმისგან ტექსტი გავწმინდეთ. ხანდახან ბატონი რედაქტორი დაგვადგებოდა თავზე, გვაჩქარებდა. მე უხერხულობას ვგრძნობდი, შებოჭილი ვიყავი. შემოდიოდა ბატონი ოტია პაჭკორია, დაგვხედავდა. ჩემი მოთხრობისა არ ვიცი და, ვატყობდი, ქალი მოსწონდა. ერთი-ორჯერ

„ჩვენებურმაც“ შემოიხედა, ოდნავ შეცბუნებული მომეჩვენა, მეტი არაფერი... მოკლედ, ცაში დავფრინავდი. მეგონა, ასეთი ვრცელი მოთხრობის დაბეჭდვით ჩემი ნაჯახირევი ცხოვრება ღირსეულად გვირგვინდებოდა. თურმე რა ცოტა კმაროდა ჩემი პატივმოყვარული ვნებების დასაკმაყოფილებლად.

ეშმაკს, ეტყობა, არ ეძინა. რედაქტირებული ტექსტი უკვე სტამბაში უნდა წაეღოთ, ნომერიც განსაზღვრული იყო და უცებ ყველაფერი დაინგრა.

ლიტერატურულ ჩინოვნიკთა მაღალ ეშელონში კონფლიქტი მოხდა და რედაქცია შეიცვალა. გუშინ რომ ერთმა რედაქტორმა გაიხურა კარი, დღეს მის სკამზე სხვა კაცი დაჯდა. ჩემთვის ამას არ უნდა ჰქონოდა საბედისწერო მნიშვნელობა. ჩემი მიუკარებლობის გამო არც ერთის დაახლოებული პირი ვყოფილვარ და არც მეორესი. იერარქიის თავზე მჯდომ ადამიანებთან ვერასოდეს ვახერხებდი ნორმალურ კონტაქტს. როგორც ჩანს, არც იმათ ვეხატეთ გულზე. ერთ რედაქტორთან ჩემი მოთხრობის ბედი გადაწყვეტლი იყო და ამიტომ ცუდად მენიშნა ახალი კაცის მოსვლა.

„შენ რა გადარდებს, ამის დაბეჭდვაზე რომელი რედაქტორი გეტყვის უარს!“ – მამხნევებდა „ცისკრის“ მაშინდელი თანამშრომელი ციალა არდაშელია.

ტყუილუბრალოდ მამხნევებდა. განყოფილების ახალმა გამგემ ენის ბორძიკით მითხრა:

„ე-ეს რომ ათგვერდიანი იყოს!.. ხომ იცი, უცნობი ავტორი ხარ და დიდია! თუ გინდა, რედაქტორს წავაკითხებ!“

არაფერი მინდოდა! დავავლე ხელი და წამოვიღე... გული თითქოს გამეყინა.

ბეწვის ხიდზე ბოლომდე ვერ გავედი, ფეხი დამიცდა...

დღეს, ცხადია, ვხვდები, რომ მიზეზთ-მიზეზი ჩემი ხელნაწერი არ იყო. ახალმა რედაქტორმა ძველის „კაცად“ ჩამთვალა და ეს საკმარისი აღმოჩნდა, რათა გზა გადამკეტოდა. მაშინ არაფერი ვიცოდი ამნაირი ინტრიგებისა, მაგრამ რომც მცოდნოდა, ვერავის ვეტყოდი – არავისი კაცი მე არა ვარ, ვინცა ვარ, ისა ვარ და მეტი არაფერი-მეთქი...

ის მოთხრობა ხუთი წლის შემდეგ გამოვაქვეყნე უნივერსიტეტის „პირველ სხივში“. ახლა უკვე სხვა მწერლის დაწერილად მეჩვენება და კრებულში არ შემიტანია. ყოველ ნაწარმოებს თავისი ჟამი აქვს, როცა იბადება, მაშინ უნდა იხილოს დღის სინათლე. დაბეჭდილი წიგნი არ ბერდება, ხელნაწერი კი შეიძლება დროს ჩამორჩეს...

13

როცა მეგონა, ძველი რელსებიდან ახალზე საბოლოოდ გადმოვედი-მეთქი, თავს ვიტყუებდი. ის, რაც წლების განმავლობაში თანა მდევდა, არც ისე იოლი დასათმობი ყოფილა. იგი უკვე ჩემი არსებობის ნაწილი გამხდარიყო და ხანდახან თავს ისე შემახსენებდა, როგორც ძველი, ახალგაზრდული სიყვარული შეახსენდება ასაკოვან ადამიანს და გულს აუფორიაქებს.

„ცისკრიდან“ წამოსვლის შემდეგ რაღაცნაირი გაორებული ცხოვრებით ვცხოვრობდი. ჩვეულებრივ სტუდენტად ვრჩებოდი. ლექციებსა და ბიბლიოთეკებში დავდიოდი. სესიებისათვის ბეჯითად ვემზადებოდი. საამისოდ მცირე დროც კმაროდა. წაკითხულ წიგნს ჩემს უსინათლო თანაკურსელს ლევან ჩაფიძეს გადავუმღერებდი. ამით მეც მოგებული ვრჩებოდი და ისიც.

ეს იყო არსებობის ერთი მხარე. მეორე მხრივ კი კვლავ ჩემს იდუმალ, ფანტასტიკურ სამყაროს ვუბრუნდებოდი... ცხადია, უკვე აღარ ვფიქრობდი რომელიმე გაუბედურებული ქვეყნის გადარჩენაზე, ჩემმა ფარულმა ამბიციებმა ფრთები შეიკვეცა. უბრალოდ მსურდა საუკუნის მნიშვნელოვანი მოვლენების მონაწილე ვყოფილიყავი... გულისყური კვლავ ლათინურ ამერიკას მივაპყარი. კურსზე ინგლისურს მასწავლიდნენ, მე კი ესპანურს ვიზუთხავდი. ჩავუყვებოდი უნივერსიტეტის ბაღს ვარაზისხევის თხემით, ბექობამდე, საიდანაც გმირთა მოედანი და ზოოპარკი მოჩანდა. მანქანების უწყვეტ გუგუნს ნადირის ღმუილი ერთვოდა ხოლმე. აქ ბოლთასა ვცემდი და უსასრულოდ ვიმეორებდი უცხო და ლამაზ სიტყვებს.

ქვეყნიერება ჯერაც მოუწყობელი იყო და ჩემისთანა გმირთაგმირს და მესიას ელოდებოდა. აღმოსავლეთში გრძელდებო-

და ვიეტნამის ომი და ისეთ გიგანტსაც კი, როგორიც იყო შეერთებული შტატები, უჭირდა ტლაპოდან ამოსვლა... დასავლეთს გადაუარა სტუდენტურმა ბუნტებმა და ზანგთა უფლებებისათვის მებრძოლთა შეხლა-შემოხლამ. პარიზში ახალგაზრდებმა ბარიკადები აღმართეს და პრესა აჭრელებული იყო კონბენდიტის სახელით. უნივერსიტეტელ მეამბოხეთა სულიერი ლიდერი გახდა ჰერბერტ მარკუზე, მარქსიზმის ახალი, თანამედროვე მიმართულების შემქმნელი. ლათინური ამერიკის თითქმის ყველა ქვეყანაში გაჩაღდა პარტიზანული ომები, რაც კუბის ამბების გამოძახილი იყო. ფიდელ კასტროს, ერთი შეხედვით, იოლმა გამარჯვებამ ბევრი წაახალისა. პატივმოყვარე ყმაწვილთათვის ბრძოლის ერთადერთი გზა ჯუნგლებში ავტომატით გასვლა აღმოჩნდა, ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც ჯუნგლები საერთოდ არაა... ურუგვაიში გაჩნდნენ ქალაქის პარტიზანები – ტუპამაროსები... არგენტინის გრან-ჩაკოში დაიღუპა გერმანელი ქალიშვილი ტანია... კოლუმბიასა და ვენესუელაში იბრძოდნენ კამილო ტორესისა და დუგლას ბრავოს რაზმები... ერნესტო ჩე გევარამ ბრძანა, შაშხანა ბადებს ხელისუფლებასო და კონგოში ჩავიდა... კონგოს ტრაგიკული ამბების შემდეგ მისი ჩასვლა ცეცხლზე ნავთის დასხმას ნიშნავდა, მაგრამ ქვეყანაში, სადაც უთვალავი ტომი და ენაა, ერთიანი ეროვნული ნება არ არსებობდა და არც არაფერი გამოუვიდა. მაშინ ბრაზილიაში გადაბარგდა, ოღონდ აღმავლობის გზაზე შემდგარი გიგანტისათვის მეამბოხეთა მცირე რაზმი კოღოს კბენაზე სუსტი აღმოჩნდა... აქედან ბოლივიაში გადავიდა, ყველაზე არასტაბილურ ქვეყანაში, რომლის ისტორია უწყვეტი გადატრიალებებისაგან შედგება. იქ დამთავრდა კომანდანტე ჩეს ეპოპეა, რაც ნაწილობრივ მის დღიურში აისახა... ამ ამბებს დიდი ინტერესით ვადევნებდი თვალს და უამრავი წვრილმანი დეტალიც ვიცოდი. ჩემი ფანტაზიის ადამიანი ყოველივეს რომანტიკულ ელფერში აღიქვამს და მე არ მტოვებდა ერთგვარი მანიაკალური სურვილი იქ გამგზავრებისა. ერთხელ ჟურნალ „კუბაში“ ამოვიკითხე შეკითხვები. ისინი კუბის ისტორიას, დღევანდელობას, კულტურასა და სპორტს ეხებოდა. ვინც სრულყოფილ პასუხებს გასცემდა, შეეძლო ტურისტული საგზური მოეგო. ბეჯითად ჩავუჯექი და ყოველი კითხვის პასუხად მთელი ნაშრომი შევქმენი. თითქმის ასგვერდიანი თხზულება გამომივიდა, სადაც ამომწურავად ვმსჯელობდი ფილატელიაზეც კი, თუმცა მის მიმართ ინტერესი არასოდეს მქონია... ნაშრომი არსად გამიგზავნია, რადგან ამ დროს მომდევნო სულიერი დეპრესია დამეუფლა...

14

ერთხელ პატრის ლუმუმბას სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფი ჩამოვიდა პრაქტიკაზე. უმთავრესად ცენტრალური ამერიკის ქვეყნებიდან იყვნენ. პირველად გავიცანი იმ კონტინენტის შვილები, რომელთა მიმართ თანალმობა ცხოვრების მიზნად დამესახა. მათთან ურთიერთობას ერთგვარი რომანტიკული ხიბლი ახლავდა, უფრო უკეთესები მეჩვენებოდნენ, ვიდრე სინამდვილეში იყვნენ. შედარებით ღარიბი ოჯახების შვილები ჩანდნენ. თავიანთ ქვეყნებში გაუჭირდათ განათლების მიღება და მოსკოვს მოაშურეს უფასო ცოდნის შესაძენად. თითქმის ყოველი მათგანი ჩე გევარას სახელს აბოდებდა, სამშობლოში პარტიზანული ომების გაჩაღებაზე ოცნებობდნენ. მათი ახალგაზრდული წარმოსახვა ცაში დაფრინავდა და ქვეყნიერების აყირავება ეიოლებოდათ. ზოგმა მათგანმა ალბათ დიდი ხანია თავი დააღწია ამ ნარკოტიკულ ბანგს და ჩვეულებრივ ბურჟუებად გადაიქცნენ. ვინც არადა, ემსხვერპლა კიდეც ფანატიკურ იდეებს. უმადურობას მათ ვერ დასწამებდით, ყოყმანით უცხადებდნენ ერთგულებას საბჭოეთს, თუმცა ერთის ნათქვამი დამამახსოვრდა: ჩემი ნაცნობებიდანო, მითხრა, ვინც მოსკოვს მოაშურა, უკან ანტისაბჭოთა განწყობილება წაიღო, ხოლო ვინც ვაშინგტონს – ანტიამერიკულიო...

მექსიკელ კამილო ესტრადა ტორესს დავუძმაკაცდი, ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტს. მაღალი, გამხდარი ჭაბუკი იყო, სიყვითლე გადაჰკრავდა, ინდიელთა სისხლის შედეგი... სათვალიდან ჭკვიანური და ლმობიერი თვალებით მიყურებდა. მარტივ საკითხებზე ესპანურად მემუსაიფებოდა, რთულზე –

რუსულად. დავეხეტებოდით თბილისის ქუჩებში და მსოფლიო რევოლუციის საკითხებს ვარჩევდით.

ერთი წლის შემდეგ მოსკოვს ჩავაკითხე. მეგონა, არც ვახსოვდი. უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელს მივაგენი და გარედან შევუთვალე ემილიო ფალკონე ლუვიანი გელოდებამეთქი... უმალ მიხვდა, ვინც ვიყავი და ჩამომეგება. ერთი ოთახი ეჭირა თავისი ოჯახით. მეუღლე იაპონელი ქალი ჰყავდა – ტოსიკო ოცკა. პატარა სანდინოს ზრდიდნენ, ეს სახელი ნიკარაგუელი რევოლუციონერის პატივსაცემად დაურქმევიათ. ერთი კვირა დავყავი მოსკოვში და ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს. ახლო მეგობარი გამაცნო – პანამელი ხორხე სედენიო, ხალისიანი მეტისი, ქიმიკოსი.

მოსკოვში მომდევნო ჩასვლის დროს კამილო აღარ დამხვდა, ხორხემ მიმასპინძლა. არდადეგები იყო, საერთო საცხოვრებელში ცოტანი იყვნენ და სასტუმროში არ გამიშვა, არც შენ ხარ ქათქათა თეთრი და რუსები საიდან მიხვდებიან სადაური ბრძანდებიო. ჩამორჩენილი ქვეყნის შვილი ვარო და იმ ზაფხულს მოიარა რომი, ბრიუსელი, პრაღა. ეს იმ წელს, რუსები რომ ჩეხოსლოვაკიაში შევიდნენ. ქუჩაში რომ გავედი, ჩეხები მომცვივდნენ, კუბელი ვეგონეთ და კინაღამ გამთელესო, მიყვებოდა. ვიყვირე, პანამელი ვარ, კუბელი კი არა და ამან გადამარჩინაო. ცალყბად დავპატიჟე საქართველოში, არ მეგონა, მართლაც რომ ჩამოვიდოდა.

ზამთრის სესიების შემდეგ დეპეშა გამომიგზავნა, ჩამოვდივარ და დამხვდიო. სტუდქალაქში მოვათავსე ჩემთან. თბილისი მიმოვატარე, მუზეუმები დავათვალიერებინე, მთაწმინდაზე ავიყვანე. თუმცა თბილისიდან გასვლა ეკრძალებოდა, ქუთაისის ავტობუსით დასავლეთისაკენ გავუტიეთ. ქუთაისიდან კი დანჯღრეული სახალტურო მანქანით გზა გავაგრძელეთ ზუგდიდამდე.

ზუგდიდელებზე შტაბეჭდილება მოვახდინეთ. იმ დროს ქალაქში უცხოელი იშვიათი სტუმარი იყო, მით უფრო ფერადკანიანი. ბაზრიდან მომავალი დედაკაცები ლოყაზე ხელს იტყაპუნებდნენ, დედა, საწყალი, რა ქვაბისძირივით გაშავებულაო. ქალაქის ბიჭები რესტორანში გვპატიჟობდნენ, კინო და თეატრი ხომ უფასო გვქონდა. მთელი სანათესაო შემოვიარეთ, ყველგან პურ-მარილი დაგვახვედრეს. ამ ჩემმა სტუმარმაც შეიფერა. სიყვარულით იღვრებოდა. მოსაღამოვდებოდა თუ არა, შინ წავიდეთო, მეტყოდა. ერჩივნა ჩემს მოხუცებულ დედასთან, პატარა, ფიცრულ ქოხში ყოფნა, სადაც ღამღამობით ციოდა. მან კი, ტროპიკული ქვეყნის შვილმა, არ იცოდა საბანში როგორ ჩათბუნებულიყო. დედაჩემი შვილობილად თვლიდა, მოფერებით ეტუტუნებოდა და თუმცა ხორხეს სიტყვაც არ ესმოდა, ისედაც ხვდებოდა დედის გულისთქმას.

ერთი კვირით სოხუმს წავიყვანე, იქიდან ბიჭვინთაში... მოკლედ, თავი მოვაწონე...

რამდენიმე წლის მანძილზე დედაჩემსა და ჩემს დებს ღია ბარათებს უგზავნიდა მოკითხვებით. ერთხელ კამილომაც მომწერა მექსიკიდან.

საოჯახო ალბომში ჩამრჩა მათი სურათები... პატარა სანდინო ალბათ აწი კაცია.

15

მსგავსი განწყობის ზეგავლენით რუსულად დავწერე ვრცელი ეპისტოლარულ-პუბლიცისტური თხზულება – „Открытое письмо Эрнесто Че Геваре“. ვითომდა, სადღაც გრან-ჩაკოს ჯუნგლებში, არგენტინის, პარაგვაისა და ბოლივიის საზღვართა შესაყარზე, კოცონის ირგვლივ წვერმოშვებული კაცები, „ბარბუდოსები“ სხედან. კოცონისკენ სიბნელეში მივაბიჯებ. „სდექ!“ – ისმის ბრძანება. ფხიზელ გუშაგს პაროლით ვპასუხობ. ცოტა იქით მეორე გუშაგი მაჩერებს. ბოლოს კოცონს ვუახლოვდები და იქ მყოფთა შორის სურათებიდან ნაცნობ ადამიანს უბრალოდ მივმართავ: „კომანდანტე ჩე, მოვედი!“

ამ პასაჟს მოსდევს ქვეთავებად დაყოფილი მხატვრულ-პოლიტიკური მსჯელობანი, უფრო ესეისტური ხასიათისა, კონტინენტის სულიერ ერთიანობასა და ცალკეულ ქვეყანათა განსხვავებულობაზე... მომავალი, ჩემს წარმოსახვაში არსებული

ერთიანი ფედერაციის მონახაზი და გზები ამ ერთიანობისაკენ... რა თქმა უნდა, ყოველივე ეს პოლიტიკურ ფანტასტიკას უფრო განეკუთვნებოდა, მაგრამ ახლადშეძენილ, მარტივი რევოლუციური იდეებით შთაგონებულ მეგობრებზე შთაბეჭდილება მოვახდინე. შინ გაგვატანეო, ისიც მთხოვეს. მხოლოდ ერთმა ნიკარაგუელმა, ასაკით უფროსმა, სიდინჯით გამორჩეულმა, ყურადღებით შემომხედა და თავშეკავებით მითხრა: „ასეც ვფიქრობდი! “ ის, რაც ლამაზად ჩამოვაწიკწიკე, კონტინენტის ქვეყნებში უჩემოდაც დაფარფატებდა. რეალური სიკეთე მსგავს ზღაპრებს არ მოუტანიათ, მაგრამ სისხლი კი საკმარისი დაიღვარა. აქედან დასკვნა: რომანტიკოსები პოლიტიკას არ უნდა გაეკარო, პოლიტიკა პრაგმატიკოსების საქმეა! რომანტიკოსის კეთილი წარმოსახვა ხშირად ბოროტ ნაყოფს მოისხამს. ჩე გევარას რომანტიკულ ეპოპეას არაერთი გულანთებული ახალგაზრდის სიცოცხლე ემსხვერპლა...

კამილო ესტრადამ ჩე გევარას პორტრეტი მაჩუქა. დიდხანს ეკიდა ჩემი ბინის კედელზე. ახლაც მაქვს, ოღონდ კარადაშია შენახული. „მარადი მხედარის“ პერსონაჟს ტატოს ჰქონდა კედელზე კომანდანტე ჩეს პორტრეტი გაკრული.

16

მქონდა ერთგვარი გამონათებებიც, როცა არც მომავალი პრეზიდენტი ვიყავი, არც მწერალი, უბრალოდ ვცხოვრობდი და მეტი არაფერი მინდოდა.

ზაფხული ცენტრალური რუსეთის მიყრუებულ სოფელში გავატარე, სადაც ვერც რკინიგზა აღწევდა და ვერც საავტომობილო. აქ ჩემი უფროსი რძლის პენსიონერი მშობლები ცხოვრობდნენ და იმათ ჩავაკითხე. კარგა დიდხანს ვიარე ბატის ბუნდღით მოფენილი, ტალახიანი ორღობეებით, ორ მწკრივად ჩამორიგებულ თეთრ ქოხმახებს შორის... წყნარი და თავის უძრაობაში ტყვიისფერი მდინარე სეიმი აბაზიანი ნავით გადავცურე. სათიბები და ტყე-ბუჩქნარი გავიარე. ხელმარცხნივ ჭაობნარი დამრჩა, იმის კიდეზე წეროს ოჯახი ჩანდა. ტყის მიღმა სერზე ათიოდე თეთრი ქოხი ჩამწკრივებულიყო... ამ პატარა სოფელს ერქვა მორშნევო.

შევაღე კარი. არყიანი ბოთლი ყოჩაღად მაგიდაზე დავდგი. დიასახლისი, ციცქნა დედაბერი ღუმელს არც მოშორებია, მოკლე სალამით მიპასუხა და თითქოს გუშინაც აქ მხედავდაო, ისე მითხრა: „დაჯექი! ცხელ ბორშჩს დაგისხამ! გერ ოლადებიც! სარდაფიდან კომპოტს ამოგიტან!“

თეფში ამოვაპირქვავე და ოჯახის უფროსიც მობრაგუნდა. თევზი დაეჭირა. მანაც ისე მიმიღო, ზედმეტი სიტყვა არ დასცდენია. არაყი დავუსხი. ერთი ჭიქა გადაყლურწა, ასგრამიანი და ბოთლი შეინახა. ადრე მაღაროელი იყო, ახლა თევზაობითა და ნადირობით ერთობოდა, ანდა სოკოსა და კენკრას აგროვებდა ტყეში.

ხილიანი ზაფხული იდგა, ვაშლი და ქლიავი თავზე საყრელი გვქონდა. მსუყე საძოვრებს ჯიშიანი საქონელი შესეოდა. სოფლის დედაკაცებმა არ იცოდნენ, რძე სად წაეღოთ.

სოფელში ჩემს გარდა ახალგაზრდა კაცი არავინ იყო, სამაგიეროდ მთელი მეთერთმეტე კლასის გოგონები დამხვდნენ სამწყემსაოდ. საღამოობით მეზობელ სოფელში მიმყავდა, სამოთხ კილომეტრზე, კინოში ანდა ცეკვაზე. მუხლებამდე ტალახში მივტოპავდით. მერე გარიჟრაჟამდე ძელზე ვისხედით, ღობის გასწვრივ. ვიგერიებდი ცერისტოლა კოღოებს და ვნადირობდი გოგონებზე. იმ ზაფხულს ყველას გათხოვება ეწადა, მაგრამ უცოლობის პერსპექტივა უფრო ხელსაყრელი მეჩვენებოდა.

ეს იყო თითქმის ერთადერთი, მოკლე დრო ჩემი ცხოვრებისა, როცა არავითარი მსოფლიო იდეები არ მაწუხებდა, ტელევიზორსაც იშვიათად თუ შევხედავდი. მაღლა ცა მეხურა, ძირს უეკლო მიწისპირი მეფინა. ფეხშიშველა დავტანტალებდი. ანდა ნავში ვიწექი და პირველყოფილ სიწყნარეში ტოლსტოის „ომსა და მშვიდობას“ ვკითხულობდი... ირგვლივ კი ამ დროს გამომწვევად კისკისებდნენ ნაირ-ნაირი ნატაშა როსტოვები.

აგვისტოს ბოლოს მასპინძელმა გამაცილა. შინიდან გარიჟრაჟზე გავედით. ჭაობი ნავით გადავცურეთ. მზე ამოიწვერა და ჟანგისფერი სხივები ჭაობის ბლანტ ზედაპირზე ჩაიხლარ-

თა, მატყუარა ყვავილები გამოაღვიძა, წყლის სარკეზე აირეკ-
ლა... ველის კიდეზე რამდენიმე წერო ცალ ფეხზე ყვინთავდა...

მომდევნო ზაფხულებში ორჯერ ჩავაკითხე მოხუცებს. სოფელი თანდათან ცარიელდებოდა. გოგონები ბედს სხვაგან ეწიენ, ორი-სამი ბერიკაცი და ათიოდე დედაბერი მიათრევდა მოსაწყენ წუთისოფელს...

სხვათა შორის, ეს სოფელი და მისი გარემო აღწერილი მაქვს მოთხრობაში „ტრამალების სევდიანი სიმღერა“.

17

ესპანურენოვანი სამყაროთი გატაცება ჩემს სტუდენტურ არსებობას სხვანაირადაც დააჩნდა. მართალია, პროგრამაში ესპანური ნახსენებიც არსად იყო, მაგრამ ამდენ შრომას წყალში ხომ არ გადავყრიდი. როცა ქართული ენის გრამატიკის საკურსო უნდა დამეწერა, მოვიაზრე ნაშრომი – „ესპანური ლექსიკა ქართულში“. მხედველობაში მქონდა ის სიტყვები, რომლებიც თარგმანების წყალობით გვესტუმრა – სენიორ, კაბალიერო და მისთანანი. გადავიკითხე, რაც ესპანურიდან ქართულად თარგმნილა, ზოგი უშუალოდ, უფრო კი რუსულის მეშვეობით, ამოვიწერე უთარგმნელი სიტყვები. ორი ასეული გამომივიდა. დავახარისხე, ჩემი ჭკუით, სწორი და არასწორი დაწერილობა... მოკლედ, საკურსოს ხელმძღვანელებს თვალში მტვერი შევაყარე. სტუდენტურ წრეში მოხსენებაც წავიკითხე ამ თემაზე, თუმცა ეს მეცნიერული „მოღვაწეობა“ ძალიან მაგონებდა „გულივერის მოგზაურობაში“ აღწერილ მეცნიერთა მუშაობას და ამის შემდეგ ენათმეცნიერების სფეროში ცხვირი არასოდეს შემიყვია.

გავიდა დრო და დამჭირდა საკურსო ნაშრომი ლიტერატურაში. აქაც მსგავსი რამ მოვიფიქრე – „დონ კიხოტის ქართული თარგმანები“. დავიწყე ნიკო ავალიშვილის სიყმაწვილისდროინდელი პუბლიკაციით, როცა მთარგმნელს სიტყვა „ვინეგრეტის“ ნაცვლად ტექსტში ამ კერძის რეცეპტი მოჰყავს. შევადარე ერთი და იგივე მონაკვეთები ავალიშვილის სხვადასხვა

დროს გამოცემულ ტექსტებთან. მერე ნიკა აგიაშვილის რედაქტირებულ ტექსტს, რუსულ თარგმანებსა და ბოლოს დედანს. ასევე დავალაგე – ესპანური, რუსული, ქართული პწკარედი... თამაშად მეჩვენა, ვერთობოდი...

მოვიდა დიპლომის დროც. ავიღე ეს ჩემი ორი საკურსო, ზედ დავამატე ნიკო ავალიშვილის ცხოვრების ამბავი, მისი სხვა თარგმანების, საზოგადოებრივი მოღვაწეობის პერიპეტიები, ყოველივე ეს ერთ მონოგრაფიად გადავაქციე და სოლიდური ნაშრომი გამომივიდა. ერთი პირობა, წიგნად გამოცემაც ვიფიქრე, მაგრამ მერე ხელი ჩავიქნიე. ცხონებულმა ნიკა აგიაშვილმა მირჩია, მცირე მონაკვეთი მაინც მიიტანე „მნათობში“, გიორგი ნატროშვილი დაგიბეჭდავსო. მეც დავუჯერე. დიდხანს მარბენინა ბატონმა გიორგიმ. ალბათ არ მოსწონდა, მაგრამ ჩემი თუ ცოტათი ერიდებოდა, ბატონი ნიკასი უფრო და დაბეჭდა კიდეც... ახლა რომ ვკითხულობ, მეტად მოსაწყენი ტექსტი ჩანს, ჯობდა თან არ გადავყოლოდი... თუმცა სარგებელი მაინც ვნახე. ასი მანეთი ჰონორარი გამომიწერეს. ახლადდაქორწინებული ვიყავი და ოთხმოცდაცხრამეტ მანეთად ტანსაცმლის კარადა ვიყიდე, ქოხში შემოვათრიე და ჩემი ღარიბული ტანისამოსი დავკიდე... წაკითხვით კი, ვფიქრობ, მაინცდამაინც თავს არავინ დააკლავდა.

წლების შემდეგ ერთგვარი ხარკი კიდევ გადავუხადე ჩემს ამ გატაცებებს. ვთარგმნე ჩილელი ავტორის არტურო ტორესრიოსეკოს სქელტანიანი წიგნი „იბერიული ამერიკის დიდი ლიტერატურა“. ერთი ზაფხული თავზე ვადექი, სტამბის მტვერი ბლომად ვყლაპე, თვითონვე დავაკაბადონე და გამოვეცი. თვალი ამოვიღამე კორექტურის კითხვით და სულ ბოლოს, სასიგნალოს დავხედე და ყუაზე აღმოვაჩინე, აწერია „ლიტერატრუა“... დამცინა ალბათ ეშმაკმა! კიდევ ერთი პატარა წიგნაკი მივაყოლე ამ წიგნს, ლათინური ამერიკის თანამედროვე რომანზე დაწერილი... ადიოს, სენიორებო, ჩემგან საკმარისია!

18

— რომანი დაწერე! – ასე მითხრა „იზვესტიის“ კორესპონდენტმა, გვარად შტანკომ.

ზუსტად არ მახსოვს რომელი წელი იყო. ნაცნობი გოგონა მოიტაცეს. კარგი გოგონა ცუდ ბედში ჩავარდა და გული მეტკინა. სახელდახელოდ დავწერე წერილი „მოტაცება“, თანაც რუსულად და რატომღაც „იზვესტიაში“ გავაგზავნე.

სულ მალე მოკლე ბარათი მივიღე. ჩვენ თქვენით დავინტერესდით, როგორც ჟურნალისტური კალმის მფლობელი კაცით და გაგვაგებინეთ, ვინა ხართო... მივწერე ვინც ვიყავი. პასუხად გრძელი უსტარი მომივიდა. ჩვენო, მწერდა ვიღაც შტანკო, ასაკოვანი კაცი გვეგონე, შენ კი ახალგაზრდა ყოფილხარო. ამ წერილს თემატიკის გამო ვერ დაგიბეჭდავთ, მაგრამ ჩემი მეგობრული რჩევაა, რომანი დაწერეო. გასაკვირი კი იყო უცნობი რუსისაგან ასეთი რჩევა, მას ხომ იმ პატარა წერილის გარდა ჩემი არაფერი წაეკითხა.

მოგვიანებით, როცა ესპანური ხურვება შემეყარა და მოსკოვს მივაშურე, მოვინახულე კაცი, რომელმაც ჩემთვის კეთილი სიტყვა არ დაიშურა. თბილად მიმიღო. როცა ვუთხარი, უნივერსიტეტში ვსწავლობ და მოსკოვში, ესპანურ ფაკულტეტზე გადმოსვლა მინდა-მეთქი, უცებ დასევდიანდა. შენ რა გგონიაო, მითხრა, ვთქვათ, ისწავლე ესპანური. ეს კარგია, მაგრამ რა გამოხვალ? რომელიმე მუზეუმის გიდი. ივლი აქ, ატარებ და მოემსახურები ვიღაც გაქსუებულ უცხოელებს. ზოგი მათგანი ისეთივე ნაძირალაა, როგორც ზოგიერთი ჩვენგანი. რომანტიკული გატაცებანი გადაგივლის და დარჩები ისე... წადი შინ, მიაწექი ქართულს და დაწერე რომანი... ჩვენო, ამ სიდიდე შენობაში, — „იზვესტია“ ჰქონდა მხედველობაში,— ორასამდე მაღალი კლასის ჟურნალისტი ვმუშაობთ, ბევრს მსოფლიო სახელი აქვს, მაგრამ გულის სიღრმეში ყოველი ჩვენგანი ოცნებობს რომანის დაწერაზე. შენს წერილში კი სწორედ რომანის სული ამოვიკითხეთო...

რა მეთქმოდა! იმას ვერ დავიჩემებ, ამ კაცის ნათქვამმა რომანი დამაწერინა-მეთქი. უბრალოდ იმ დროისათვის გადამიარა წყენამ, რაც „ცისკარში“ განვიცადე, ჩამოვიბერტყე ფანტასტიკური ბროლის სასახლის ნამსხვრევები და საბოლოოდ დავუბრუნდი რეალობას...

19

რომანისტის წარმატება ბევრ რამეზეა დამოკიდებული. რომანი ხომ ერთ დღეს არ იწერება და თავდაპირველმა არასწორმა არჩევანმა შეიძლება ავტორის ნიჭი და შრომა წყალს გააყოლოს. ვფიქრობ, ჩემი პირველი რომანის სიუჟეტი ნახევარი საუკუნით მაინც რომ გადმომეტანა, იგი სხვანაირ ჟღერადობას შეიძენდა. მე კი ინერციით ბოროტისა და კეთილის ასპარეზად საუკუნის დასაწყისი ავიღე, პროვინციული ქალაქის სცენაზე რომანტიკულ-რევოლუციური ამბავი გავათამაშე. მართალია, ქალაქს მოგონილი სახელი ჰქვია, მაგრამ, ცხადია, ზუგდიდი იგულისხმებოდა და, საერთოდ, ყველა ჩემი მოგონილი ქალაქი ზუგდიდია.

სიუჟეტი მზამზარეული მქონდა. პირველი რამდენიმე გვერდი სამი-ოთხი წლით ადრე დავწერე. მოქმედება ხდებოდა პარაგვაის დედაქალაქ ასუნსიონში, რომლის აეროპორტში ევროპიდან ჩამოდიოდა დიქტატორ სტრესნერის ძმისწული... ჩემთვის მნიშვნელობა არა ჰქონდა, ჰყავდა თუ არა რეალურ სტრესნერს ძმისწული. საბედნიეროდ, ამ რამდენიმე გვერდს დროზე შევეშვი და სადღაც მივაგდე. ერთხელ პრესაში განცხადებას წავაწყდი. კინოსცენარების კონკურსი ტარდებოდა, ორგვერდიან სიუჟეტებს მოითხოვდნენ. ადრინდელი ჩანაფიქრი გამახსენდა და ორ გვერდში ჩავატიე. თუმცა კონკურსზე გაგზავნა გადავიფიქრე. დავჯექი და რომანის წერას შევუდექი.

„მოვიდა ესხირი და ააოხრა არგოს ნაპირები...“ – ასე იწყებოდა პირველი ფრაზა. შემდეგ არგო ხურჩათი შევცვალე მეტი მეგრული კოლორიტისათვის. საერთოდ, პირველ წინადადებას ჩემთვის ყოველთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ის

მაძლევდა რიტმულ იმპულსს, მას აზრობრივი გასაღების ფუნ-ქციაც ეკისრებოდა... ადრინდელი ჩანაფიქრიდან მაინც შემორ-ჩა ერთი შტრიხი, ის, რომ გმირს ფსევდონიმად „კეტსალი“ აუ-ღია, რამაც ამ პასაჟს ნაძალადეობის დაღი დაასვა.

იმ დროს მოდაში იყო მსჯელობა ლექსიკის გამდიდრება-ზე. მეც ავუბი მხარი და ტექსტი ავავსე არქაიზმებით, დი-ალექტიზმებითა და მეგრელიზმებით. მოგვიანებით ბევრი რამ არ მომეწონა და გავმარგლე.

თუ რამ ღირსება აქვს ამ რომანს, ეს მისი მეგრული კოლო-რიტია, ნაკლი კი ძირითადად გულუბრყვილო რომანტიზმში იმალება.

ვწერდი სტუდენტობის ბოლო წლებში... იმპულსურად... ხან ბლომად, ხან თვეები გამომრჩებოდა, სხვა საქმეები მიტაცებდა.

დავამთავრე უნივერსიტეტი და დავამთავრე რომანიც, რომელსაც მაშინ ერქვა „ამბავი არამხუტისა“. თავი ქუდში მე-გონა, თურმე თავგადასავლები აწი იწყებოდა...

20

ერთი ძველთაძველი, ჯაბახანა საბეჭდი მანქანა ვიყიდე იაფად, „მასკვა“. ჩავათრიე შინ, ზუგდიდში. ლეღვის ჩრდილში მაგიდა და სკამი დავიდგი და შევუდექი კაკუნს. ორ-ორ თითს ვხმარობდი, „ჩხაკ-ჩხუკ“, ნელ-ნელა გამომყავდა სიტყვები. პირვ-ელ დღეს რამდენიმე გვერდის დაბეჭდვა მოვახერხე, მაგრამ თვალიც ამტკივდა და წელკავიც დამემართა. მერე და მერე ბე-ჭდვის ტემპს მოვუჩქარე და ათიოდე გვერდსაც ვახერხებდი.

მზიანი, ცხელი ამინდი იდგა. ჩრდილში საამო ნიავი ფა-ჩუნებდა. ჩემს მარტოობას ხელს არავინ უშლიდა. პირიქით, ვითარცა ზმანება და ფერადი სიზმარი, გამომეცხადა ნორჩი ასული, შემპარავი სიცილითა და კეკლუცობით მხიბლავდა... რეალობა და გამონაგონი ერთმანეთში ამერია, ალერსი რომან-სა და სინამდვილეში ერთმანეთს გადაეწნა... აღსარების გულ-წრფელი სურვილის შემთხვევაშიც, ბოლომდე ყველაფერს ვერ იტყვი. ადამიანური არსებობა ერთ სიუჟეტურ ხაზს ხომ არ მი-

ჰყვება. იქნებ გსურს კიდეც სრული ჭეშმარიტება ილაპარაკო, მაგრამ ეს მაინც იქნება ერთი ასპექტი რთული მოვლენისა, ერთი ხაზი სიუჟეტურ ხლართებში. მუდამ არსებობს ფარული ხაზიც, რომლის გაცხადება მხოლოდ უფლის წინაშეა შესაძლებელი.

თითქოს სიზმარეთში გაიარა ზაფხულმა. რომანის ბოლო სიტყვები ჩავბეჭდე. გადავიკითხე, ჩავასწორე და ჯიბეში უმ-ნიშვნელო თანხით თბილისს მივაშურე.

დამთავრდა ფერადი სიზმრებისა და ზღაპრების დრო... უკვე ოცდაათისა შევსრულდი, ეს კი ზოგიერთისათვის მთელი სიცოცხლეა.

მქონდა დიპლომი... არ მქონდა სამსახური, ბინა, ჩაწერა და ფული...

21

კაცი კაცითაო, იტყვიან. ისეთი გზით ვიარე, ფეხქვეშ ხალ-იჩებს არავინ მიფენდა. მაგრამ, საბედნიეროდ იყვნენ ადამიანე-ბი, რომელთა უშურველმა თანადგომამ უიმედობას გადამარჩი-ნა. უნივერსიტეტის ფოიეში ბატონი პალადი ჯინჯოლავა შე-მეხმიანა, რას შვრები, რას აკეთებო. მაღლა ცაა და ძირს დე-დამიწა, მე კი შუაში ვარ გამოკიდებული-მეთქი, ვიხუმრე... ჩაფ-იქრდა, მოდი, ლიანას დავურეკოთო... ლიანა გამცემლიძე, უნი-ვერსიტეტის გამომცემლობის დიდი ხნის რედაქტორი, ჩემი გენო ქირიას მეუღლის დისშვილი იყო და, ბუნებრივია, ნათესა-ვად მეთვლებოდა, მაგრამ თვითონ მე ალბათ თავში არც მომი-ვიდოდა სამსახურის საძებრად მასთან მისვლა... დარეკვა იყო და ქალბატონი ლიანა ესაუბრა ბატონ ვალერიან გამყრელიძეს, გამომცემლობის დირექტორს. იმას, თურმე, ხუთი წლის შემ-დეგაც ახსოვდა ჩემი გამოცდების ამბავი და დამიბარა.

მივედი. შემიძღვა რედაქტორებით სავსე ოთახში, ამ გამოც-დილი ქალბატონების შეგირდად გამომაცხადა და წინ შრომების კრებული დამიდო. ვკითხულობდი, მაგრამ ის კი არ ვიცოდი, რა-ნაირი სამსახური შემომთავაზეს. მხოლოდ ხელფასის დღეს გავიგე, რომ თურმე „გამომცემლობის რედაქტორი“ ვბრძან-დებოდი და ხელფასიც სოლიდური მქონდა – ას ხუთი მანეთი.

22

ვალერიან გამყრელიძე, ბატონი ვალერიანი (სიყმაწვილეში „ვალგამის“ ფსევდონიმოთ ლექსებსაც ბეჭდავდა თურმე), ორი აკადემიკოსის მამა და თვითონაც საგამომცემლო საქმის „აკადემიკოსი“, ახლა, ამ სიტყვების წერის დროს უახლოვდება თავის ჯომოლუნგმას, საუკუნის წლისთავს და დარწმუნებული ვარ, დაძლევს ერთადერთ მტერს – სიკვდილს.

მუდამ თავისი შვილების, შვილიშვილებისა და უნივერსიტეტის ინტერესებით ცხოვრობდა. საქმიანი, მოძრავი, მოუსვენარი, ხალისიანი... ორი ათეული წლის წინ, ცხადია, საკმაოდ ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. კიბეზე ისე აცუნცულდებოდა, ვეღარ აასწრებდი... ცისფერთვალა, მოღიმარი, იუმორის გრძნობით დაჯილდოებული... ქალების ტრფიალს სიბერეშიც არ იშლიდა, უყვარდა მსუბუქი, არისტოკრატული ფლირტი. ტრადიციული ნომერი ასაკსრული, გაუთხოვარი ქალების გულის გასახეთქად: ტურგენევს უწერიაო, იტყოდა, რომ „В комнату вошла немолодая женщина двадцати семи лет“, აქაოდა, თქვენ ვის უბერდებითო.

ოცი წელი ვიმუშავე მის დაწესებულებაში, სწორედ რომ მისში, რადგან ბატონმა ვალერიანმა შექმნა და საბოლოო სახე მისცა იმას, რასაც „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“ ჰქვია. მანამდე, მცირე ხნით, ამ დაწესებულებას სხვა ხელმძღვანელი ჰყავდა, მაგრამ ბატონი ვალერიანის ხელში იგი პატარა ორჩხომელიდან საგამომცემლო კრეისერად გადაიქცა.

მაშინ ერთიანი, შეკრული კოლექტივი ვიყავით. იქნებ სიტყვა „კოლექტივი“ ახლა საქილიკოა, მაგრამ ურთიერთთანალმობა, მოფერება, დახმარების სურვილი მართლაც არსებობდა. სიამოვნებით ჩამოვთვლიდი ჩემს თანამშრომლებს სათითაოდ, ყველას მოვეფერებოდი, მაგრამ მერიდება ვინმე უხერხულობაში არ ჩავაგდო. სასწორზე ყველაფერს თანაბარი სიზუსტით ვერ აწონი, ჩემი ხედვის რაკურსი, ალბათ, ყოველთვის სწორი ვერ იქნება.

თავიდანვე და მრავალი წლის მანძილზე მეფერებოდნენ და მფარველობდნენ, თუმცა საკმარისი ასაკისა ვიყავი. ჩემი უპირველესი მფარველები ადრეული პლეადის თანამშრომლები იყვნენ, სხვაზე უპირველესად, რა თქმა უნდა, ქალბატონი ლიანა გამცემლიძე, რომელსაც ვეამაყებოდი და ჩემი იმედი ჰქონდა, თუმცა არ ვიცი, რამდენად გავუმართლე. ერთხელ ავტორი ეწვია, აკადემიკოსი ევგენი ხარაძე, ჩემკენ მოიხედა და ქალბატონ ლიანას ხმადაბლა შეეკითხა: „გაიზარდა?“ არ ვიცი რედაქტორმა ავტორს რა უპასუხა, მაგრამ მე თვითონაც ვერ გამიცია პასუხი კითხვაზე – „გავიზარდე?“

ჩემი მარგო ინასარიძე, მარგუშა, ხუმრობით რომ „მსოფლიოში უმსუქნეს რედაქტორს“ ვეძახდი, თუმცა სიყმაწვილეში ერთი ახტაჯანა ვინმე ყოფილა და მყინვარწვერიც დალაშქრული ჰქონდა. ახლა უჯდა სქელტანიან ფოლიანტებს და ხანდახან თავის ფრივოლურ, შინაურულად უხამს ფუნაგორიებს გვითხზავდა. დირექტორის საიუბილეოდ ხომ მთლად კლასიკური ფუნაგორია შემოგვთავაზა: „ვინც ყოველ დღე ჭამს ხაჭოსა, ვერსად ვერაფერს არჭობსა!“ (ცნობისათვის: ჩვენი საყვარელი ბატონი ვალერიანი ყოველ დღე მიირთმევდა ხაჭოს).

ჩვენი ბუღალტერი, ქეთო დეიდა გარდაიცვალა... მუდამ მოქუფრული, ავი, ჭექა-ქუხილისათვის შემზადებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. საერთოდ, სახელმწიფო ფულის ტიპური გამგებლები სულ ასეთებია, გეგონება, ამ ფულს საკუთარი ჯიბიდან იძლევიანო... ოღონდ, ქეთო დეიდას ნამდვილი ბუნება მაშინ გამოჩნდებოდა, როცა გამიჭირდებოდა და წინ დავუსკუპდებოდი, ეშმაკურ ბადეს მოვუქსოვდი, რათა ჩემი მოკლე ხელფასიდან დროზე ადრე ავანსი ამეღო, ან სხვა რამ მცირე სარგებელი, რაც ყოველ პატიოსან სამსახურს თან ახლავს...

კიდევ ერთი გაბუტული თანამშრომელი გვყავდა, გვარად მარქაროვა. მაგიდა ჩემი მაგიდის გვერდით ედგა. დღემუდამ უგუნებოდ იყო, ბუზღუნებდა, ბედსა და სამსახურს ემდურობდა. მოთმინებით ვუსმენდი და ვუყვავებდი. პენსიაზე გასვლის შემდეგ დიდხანს არ უცოცხლია. სიკვდილის წინ დამიბარა, თავისი ახლობლები გამაცნო...

კაცები ცოტანი ვიყავით... ჩვენი კობა ჩაგელიშვილი ადრე დაგვეღუპა. წვრილი ცოლ-შვილი დარჩა კახეთში. ტექნიკურ რედაქტორად მუშაობდა, სამოცდაათი მანეთი ჯამაგირი ეძლეოდა და ისიც ალბათ სოფელში მიჰქონდა. თვითონ მუდამ ორცხობილა ედო მაგიდაზე და იმას თუ ჩაკვნეტდა. ცოტა უხამსი ხუმრობა იცოდა კახურ თემებზე, გვაცინებდა. დისერტაციას წერდა ცოტცოტაობით და იმ დღეს იახლოვებდა, როცა დაიცავდა და შვილებს სახელოვანი მამა ეყოლებოდათ... მანქანა დაეჯახა გმირთა მოედანზე და გადარჩა. ერთი წლის შემდეგ კი უცებ კუჭი გაუსკდა. ექიმებს ეხუმრებოდა, თქვენ არ იცით, რა ჭკვიანი ბიჭი გიკვდებათო... მართლაც რომ! ეს იყო ჩვენი სამსახურის პირველი ტრაგედია და ისე განვიცადეთ, თითქოს ჭერი თავზე დაგვქცეოდეს.

ჭირსა და ლხინს ერთმანეთს ვუყოფდით. მხიარული ექსკურსიები გვქონდა, კარგი პურის ჭამაც... ოცი წელი ცოტა არ არის ადამიანის ცხოვრებაში. გასაკვირი მხოლოდ ისაა, რომ ჩემი ბუნების კაცი ასე იოლად შეეგუა ჩინოვნიკური უღლის ტარებას. ბუნებით ალბათ წყნარ და მშვიდ ადამიანად დავიბადე, ოღონდ ჩემს ძალ-ღონეზე მეტ ტვირთს რომ შევეჭიდებოდი, მაშინ მებნეოდა გზა-კვალი...

23

ჩაწერაშიც ბატონი პალადი დამეხმარა, ნებართვა მომიხერხა. ბინიანი ნათესავი არავინ მყავდა, გენო ბიძიას შვილების გარდა და ნუგზარ ქირიას ბინაში ჩავეწერე. საკუთარი ბინის მიღებამდე იქ ვიყავი ჩაწერილი. ამასობაში დავქორწინდი კიდეც, სამი შვილი შემეძინა. ასე რომ, კეთილ მასპინძლებზე მეტნი ჩვენ აღმოვჩნდით.

გენო ბიძია კორსია ბაბუას ძმისშვილი იყო. ბავშვობაში ერთხელღა მყავდა ნანახი სოფელ დიდინეძში. მაშინ გენო და ნუცა ახალგაზრდები იყვნენ და ორ, ჩემზე უფროს ყმაწვილებს ზრდიდნენ. ტრადიციულად ჩვენს ოჯახში გენო ბიძიას პატივისცემა იგრძნობოდა. ჩემმა უფროსმა ძმამ მის პატივსაცემად

თავის ვაჟს გენა შეარქვა. უნივერსიტეტში რომ ჩავერიცხე, ბატონმა პალადიმ ქალბატონ ლიანას აცნობა, ვიღაც ქირიაა, თქვენი ნათესავი ხომ არ არისო. გაიკითხეს და გაარკვიეს ვინც ვიყავი და შემახვედრეს გენოს და ნუცას. სამწუხაროდ, ეს ხდებოდა ქალბატონ ლიანას მამის დაკრძალვაზე... გენოს გაუხარდა სამსონის შვილის აღმოჩენა, გადამეხვია, ნუცამ კი საკმაოდ მოზრდილი თანხა ჩამიდო ჯიბეში.

მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, დავმეგობრდით. სტუდენტობის წლებში და შემდგომაც ხშირად ჩავდიოდი ბიჭვინთაში, მეციტრუსეობის მეურნეობაში, და გენოს დასთან, მავრასთან ვრჩებოდი. გენო შესანიშნავი მეურნე იყო. ერთხელ მასზე წერილი გამოვაქვეყნე „ახალგაზრდა კომუნისტში“. წერილს „დირექტორი“ დავარქვი, რაკი ხელმძღვანელის იდეალად ვთვლიდი. თავი ნაკლებ ანაღვლებდა, თავის სამწყსოს იყო გადაფოფრილი. ერთ დროს უმაღლესი რანგის ჩინოსანმა მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე კოტეჯი მოსთხოვა რუსის არანაკლებ მაღალი რანგის მოხელის საამებლად, მაგრამ დირექტორისაგან ცივი უარი მიიღო. ამას კინაღამ შეეწირა. თუმცა ის ქართველი ჭკვიანი იყო და სიმამაცე დაუფასა კიდეც. ტოლერანტობით გამოირჩეოდა, ყველასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, რა ეროვნების შვილიც არ უნდა ყოფილიყო. საკითხს მუდამ სამართლიანობის სასწორზე შეაგდებდა. ჩემი სტუმრობის დროს მეურნეობამ დიდი მოგება ნახა და თანამშრომლებს იმ დროისათვის გაუგონარი პრემია ერგოთ. ხელმძღვანელობას მოეჩვენა, მეტისმეტიაო და ფულის დარიგება აუკრძალა. მან კი სალარო ღამით გაახსნევინა და სანამ რაიკომელი ჭკუისკოლოფები მოვიდოდნენ, დაარიგებინა კიდეც.

შრომამ და საქმის სიყვარულმა ასაკშიც კაცური ხიბლი დაუტოვა. ერთი მომხიბლავი ქალი გავიცანი, რომლის ძარღვებში აფხაზურ-ბოშურ-ქართული სისხლის კოქტეილი მიმოდიოდა. თამამად გვესტუმრა. მეგონა, მოვეწონე-მეთქი. თურმე ნუ იტყვით, ისევ ამ ჭარმაგ კაცს უტრიალებდა. შეხუმრებული ვიყავი და მივუქარაგმე გენოს. ის კი იდუმალი ღიმილით მისმენდა, თითქოს კიდეც მიდასტურებდა და კიდეც უარყოფდა.

ქირიების ბინაში ახალი ჩაწერილი ვიყავი, როცა ოჯახური ტრაგედია დატრიალდა. გარდაიცვალა ლუიზა, უფროსი რძალი. მონაწილე და მხილველი გავხდი იმ საოცარი ბრძოლისა, რაც მის გადასარჩენად გაიმართა. ახალგაზრდა დედას ნეფრიტი დამართნოდა და ხუთი წლის გოგონა ობლდებოდა.

ის იყო საოცრად ფაქიზი პიროვნება, ლამაზი და სულიერად ამაღლებული, ნათელი გონებისა და დახვეწილი გემოვნების პატრონი. იცოდა, რომანი რომ დავწერე, და მორიდებით მთხოვა, ხელნაწერი წამაკითხეო. მისი შეფასება ზუსტი გახლდათ. თვალებში მიყურებდა, ხომ არა სწყინსო, თან იმ პასაჟებს მიჩვენებდა, ხელოვნურობის კვალი რომ აჩნდა.

ოჯახს არაფერი დაუკლია მისთვის. ახლობლები თავს დასტრიალებდნენ. ჩემში დიდ მოკრძალებასა და რიდს ბადებდა დედა, თვითონაც ასაკით დამძიმებული, დასიებულ ფეხებზე ძლივს რომ იდგა და საოცარი სულიერი მხნეობით გადაფოფრებოდა შვილს.

უამრავი ექიმი მოდიოდა. პროფესიონალები ოპტიმიზმს თამაშობდნენ, ყურში კი უიმედი სიტყვებს ჩაგვჩურჩულებდნენ. სახელგანთქმული ექიმბაში ჩამოფრინდა კიევიდან. იჯდა გაშლილ სუფრასთან, ჭამდა, სვამდა და ქადაგებდა, რომ ერთადერთი წამალია მცენარეული თესლის აბაზანა, რომ ვიღაც იაპონელმა თურმე ამის გამოისობით ას სამოცი წელი იცოცხლა... ავადმყოფისათვის ეს აბაზანები იმედის უკანასკნელი ხავსი იყო, სინამდვილეში იქნებ სიცოცხლეს უსწრაფებდა კიდეც.

მძაფრი ტრაგიკული განცდა მეუფლებოდა. ვხედავდი სიკვდილის გარდუვალობას და ამ დიადი ომის მასშტაბებსაც. ადამიანი ამ ომში ვერ გაიმარჯვებდა, მაგრამ ფარ-ხმალი ბოლომდე არავის დაუყრია.

შემდგომ ხშირად მიფიქრია, დამეწერა ნოველა ლუიზას ამაღლებულ და ტრაგიკულ სიკვდილზე, მაგრამ ძალა არ მეყო, ზედმეტად ღრმა და მტკივნეულმა შთაბეჭდილებებმა დამთრგუნა და ამის ქაღალდზე გადატანა ვერ შევძელი. მხოლოდ გაკვრით, ვითარცა გაელვებამ, ერთმა ფრაზამ გამცა პატარა ნოველაში „პირველი ზეკარი“, როცა ხუთი წლის გოგონას დედა უკვდება.

მრავალი წლის შემდეგ ქალბატონი ნუცა წავიდა ცხოვრებიდან. გენო უდრტვინველად იღებდა ბედის დარტყმებს, გარეგნულად არ ავლენდა თავის განცდებს, მაგრამ გულმა თვითონაც უმტყუნა. ახლა ჩემი წიგნის კარადიდან გადმომყურებს და მიღიმის. იქნებ სამართლიანიც იყო მისი დროული წასვლა, რადგან ვერ შეესწრო თავისი შვილის ნუგზარის უდროო დაღუპვას და თავისი თვალით ვერ ნახა აპოკალიპსი, რაც მისმა საყვარელმა აფხაზეთმა განიცადა...

24

ნუგზარი ოჯახით დროებით დაქვრივებულ ძმასთან გადასახლდა, დაცარიელებულ ბინაში კი მე შევედი.

მრავალი თვე ვიცხოვრე აქ. ყოველ დილას ფეხით დავუყვებოდი გზას საბურთალოს ქუჩით გმირთა მოედნამდე (ეს გზა გაიარა კაჭუჭია ბედიამ ერთ თოვლიან ზამთარს) და იქიდან უნივერსიტეტამდე. საღამოობით კი უკან იმავე გზით ვბრუნდებოდი.

ასე მუდამ ვერ გაგრძელდებოდა. როგორმე უნდა მომეწყო ჩემი ყოფა, მაგრამ კაცს, რომელსაც ასეთი ხელფასი აქვს და სხვის ბინაშია სამადლოდ შეკედლებული, რისი იმედი უნდა ჰქონოდა.

მოგვიანებით ვაკეში, ფალიაშვილის ქუჩაზე აღმოვაჩინე ერთი იაფი სადგომი. ეს იყო მრავალსართულიანი სახლის სარდაფი, კარგა მოზრდილი ვაგონის ფორმისა, უფანჯრო, რაკი ერთადერთი, ვიწრო ფანჯარა პატრონმა კარად გადააკეთა და შიგ წელში მოხრილი უნდა შევმძვრალიყავი. აქ მუდამ სასაფლაოს სიმყუდროვე და სიგრილე სუფევდა. მქონდა ერთი საწოლი, მაგიდა და სკამი. კუსტარულ ღუმელზე ლაბორატორიული კოლბით ვადუღებდი ჩაის. ეს ბედნიერება თვეში ოცდაათი მანეთი მიჯდებოდა. თავს დამცირებულად ვგრძნობდი. მეგონა, მთელი ქუჩა მითვალთვალებდა, როცა წელში მოხრილი მიწისქვეშ მივძვრებოდი... შემდგომ ამ ბინაში ჩავასახლე „მარადი მხედარის“ პერსონაჟები – ტატო და მზეჭაბუკ ბედია...

25

მთავარი საქმე, რამაც ზუგდიდიდან თბილისს გადმომიყვანა, ჩემი რომანის ბედი იყო. საკმაოდ თამამად და გულდაჯერებით ვუკაკუნებდი საბეჭდ მანქანაზე, მაგრამ დედაქალაქში ჩამოსვლისთანავე მხრები ჩამოვყარე, სითამამე დამაკლდა.

მაშინ რა ვიცოდი, წინ რომ ათწლიანი მარათონი მელოდა. ვერ გამეგო, რისთვის ვისჯებოდი, რატომ გადამეკეტა ყველა გზა. ყრუ კედელს ვაწყდებოდი და მისი გადალახვა ვერა და ვერ შევძელი. ამიტომ ეს ათი წელი ჩემი ცხოვრების ყველაზე ტკივილიანი და აბსურდული აღმოჩნდა. მაშინ მეგონა, მარტო მე ვისჯებოდი, უფრო გვიან დავინახე, მთელი თაობის ბიოგრაფია გამიმეორებია. ჩემი ასაკის არც ერთ მწერალს არ ულხინდა, თუ არ ჩავთვლით თითო-ოროლას, ვისაც დროზე გამოუჩნდა პატრონი, ანდა შესაშური კონფორმისტული ნიჭიერება გამოავლინა. მაშინ ჩემს უიღბლობას კონკრეტულ პიროვნებებს ვაბრალებდი. ახლა უფრო საღად ვხედავ, უპირველესი დამნაშავე თვითონ ვიყავი. ჩემი გულუბრყვილობა მღუპავდა, რაკი მეგონა, რომ უფლება მაქვს ნებისმიერი ასპარეზი ავირჩიო და უფროსი კოლეგები ვალდებულნი არიან სიხარულით მიმიღონ თავიანთ რიგებში, ხელი გამომიწოდონ, თუ საჭიროა, შეგირდობის გარკვეულ პერიოდში მაესტროს როლიც იკისრონ. მიმაჩნდა, რომ მათი ვალია, შეამჩნიონ ჩემი ღირსებები და მეგობრულად მიმითითონ ნაკლოვანებებზე. სამწუხაროდ, ასეთი მაესტრო არსად შემხვედრია, ანდა უბრალოდ საჭირო კარზე დროულად ვერ დავაკაკუნე...

და მაინც ყველაზე დიდი დამნაშავე სისტემა იყო. ახლა მოდაშია მკვდარი ძაღლების სისტემის კისერზე ჩამოკიდება, მაგრამ ნათელია, რომ ნორმალურ საზოგადოებაში პრობლემაც სხვა ასპექტით წარმოსდგებოდა.

როდისღა გვქონდა თავისუფალი ლიტერატურული ასპარეზი? ალბათ არასოდეს! გასულ საუკუნეში რუსული ცენზურა გვბორკავდა, თუმცა ის ტოლს ვერ დაუდებდა საბჭოთა პერიოდის ყოვლისმომცველ ცენზურას. ერთადერთი დრო

შინდისფერი რესპუბლიკის პერიოდი გახლდათ, როცა მწერლებს მოკლე ხნით ბორკილები შეეხსნა და სიდუხჭირის მიუხედავად, ნიჭიერთა მთელი ვარსკვლავედი ამობრწყინდა. მოგვიანებით მოვიდა დრო „დონოსებისა“ და „სტუკაჩებისა“. ამას მოჰყვა ომის მძიმე წლები, როცა ცენზურა და თვითცენზურა გამართლებულიც კი ჩანდა. „ხრუშჩოვის გამონათების“ პერიოდში ამოსუნთქვის მცირე შესაძლებლობა საკმარისი აღმოჩნდა, რათა ასპარეზზე ორმოცდაათიანელთა პლეადა გამოსულიყო. დაიწერა წიგნები, რომლებმაც შექმნეს ლიტერატურული ამინდი... მომდევნო ოცწლეული იმპერიის ბიუროკრატიული სტრუქტურების განმტკიცების წლები იყო და მწერალთა ძმობასაც ჩინოვნიკური სული დაეუფლა. ცხადია, იწერებოდა და ქვეყნდებოდა კარგი წიგნები, მაგრამ ყოველივე გარკვეულწილად პროკრუსტეს სარეცელში ექცეოდა. ამ თაობამ იმდენად შეავსო სივრცე, რომ მომდევნო თაობებისათვის მზისქვეშეთში მცირედი ადგილიც ენანებოდათ. რა თქმა უნდა, ეს არ ხდებოდა მოაზრებულად, არავის საამისოდ შეთქმულება არ მოუწყვია. თავისთავად მოხდა ასე. შემოქმედთა ასპარეზი იმდენად შეიზღუდა, რომ ორმოცს მიტანებული კაცი წიგნს თუ გამოსცემდა, ეს დიდ წარმატებად ითვლებოდა.

ბარიერების შექმნა, ალბათ, სახელმწიფო პოლიტიკა იყო. ყოველი ახალი მწერალი ახალი თავის ტკივილია. ამიტომ არსებობდა წინააღმდეგობათა სისტემა, რომელიც გაცხრილავდა პრეტენდენტებს, კომფორმისტებს გამოარჩევდა მეამბოხეთაგან. კონფორმისტის გზა, ცხადია, უფრო იოლი იყო. მეამბოხის გზაზე კი იმდენი ეკალი ეყარა, ზედ გავლას ბევრი ვერ გაბედავდა.

ამინდის შემქმნელი მაინც მწერლური ბიუროკრატია გახლდათ. ბევრ ჩინოსანს ნიჭიერებას ვერ დაუწუნებდი, მაგრამ ნიჭიერის ჩინოსნობა უფრო დასაძრახია, რადგან უნიჭოს მეტი არც მოეთხოვება.

ერთხელ მაშინდელი ცეკას პირველი კაცის რეფერენტმა მავანი კრიტიკოსი მოკრძალებით მოიხსენია: „ის ხომ ცნობილი მწერალია!“ „ცნობილი მწერალი“ თავის სქელტანიან ოპუსებს პარტიული დადგენილებებისა და რეზოლუციების ციტატებით

ავსებდა და მისი შტუდიები, დარწმუნებული ვარ, ავტორთან ერთად ჩაესვენება დავიწყების ბურუსში. ამიტომ რეფერენტს მივაგებე: თქვენ აქციეთ იგი მწერლად! მსახური და ხელის ფარეში გჭირდებოდათ და ყოველნაირად ხელი მოუმართეთ, რათა აღზევებულიყო. მერე დაგავიწყდათ, რომ იგი მიწის მტვერისაგან თქვენივე შეზელილი და გამოძერწილია, იმდენი უძახეთ „ცნობილი მწერალიო“, თვითონაც დაიჯერეთ და ახლა ქვევიდან აჰყურებთ! „ცნობილი“ კი ბატონო, მაგრამ „მწერალი“ ნურას უკაცრავად-მეთქი...

მოკლედ ასეთი ფონი დამხვდა. ყოველივე, რაც აქა ვთქვი, შემდგომაა გააზრებული, თორემ მაშინ მორიდებით ვაღებდი კარს და ველოდი განაჩენს...

26

განაჩენი იგვიანებდა! „ცისკარში“ იგივე ხალხი დამხვდა, ვინაც რამდენიმე წლით ადრე დასაბეჭდად გამზადებული მოთხრობა უკან გამატანა. წყენამ კარგა ხანია გამიარა და დავიწყებულიც მქონდა. გამეგონა, რედაქტორი ძმაკაცების მოყვარულია და უამრავ ახალგაზრდას დაეხმარაო. მეც რა უნდა გამჭირვებოდა?

გამიჭირდა კი! ვინც თავდაპირველად წაიკითხა, დასაბეჭდიაო, — თქვეს. ოღონდ სათქმელი ყოყმანით ითქმოდა, თითქოს რაღაც ტაბუ ირღვეოდა, საბოლოო სიტყვა ვერა და ვერ მოვისმინე. წაკითხვასაც ბევრი არავინ ჩქარობდა. დაახლოებით ის სიტუაცია შეიქმნა, რაც „ცისფერ მთებშია“ მოთხრობილი. მივდიოდი, დავყურებდი ჭადრაკის მოყვარულთა გაუთავებელ ბატალიებს, შინ ვბრუნდებოდი, თან დარდი და გულისტკენა მომქონდა... თავს ხაფანგში გამოჭერილივით ვგრძნობდი. სხვა რამ ასპარეზი ჩემთვის არ არსებობდა. სამსახურს მხოლოდ იმიტომ ვითმენდი, შიმშილით სული არ გამძრომოდა.

ბატონი გრიგოლ კიკნაძე შემხვდა უნივერსიტეტის კიბეზე. რის გაკეთებას აპირებო,— შემეკითხა. ალბათ იფიქრა, რაიმე თემაზე მუშაობსო, იქნებ ხელის წაკვრაც ეწადა. მწერლობით

უნდა ვიცხოვრო-მეთქი, გავუბედე. ო, — გაეღიმა ბატონ გრიგოლს, — მაგას რა ჯობია, თუ მამულები გაქვს და ყმებიცა გყავს, რომ გარჩინონო... მსგავსი არაფერი მქონდა, ცხადია...

ქალბატონმა ქსენია სიხარულიძემ ლიტერატურის ინსტიტუტში ცნობილ ლიტერატურათმცოდნესთან გამაგზავნა. იმან გამომკითხა და თავისთან გადასვლა შემომთავაზა. ლაბორანტის ხელფასი მეცოტავა და აღარ გადავედი. არადა, დისერტაციაზე რომ მეზრუნა, ალბათ ცხოვრებას უკეთ მოვიწყობდი, მაგრამ მე ისეთივე არაპრაქტიკული დავრჩი და მეგონა, წიგნს თუ გამოვცემდი, ყველა ჩემი პრობლემა ამით გადაიჭრებოდა.

ბატონი აკაკი ბაქრაძე გავიცანი. მკაცრ და ობიექტურ კრიტიკოსად აღვიქვამდი და მისი რიდი მქონდა. იმ დროს „განათლებაში“ მუშაობდა. ნიკო ავალიშვილზე დაწერილი მონოგრაფია მქონდა მიტანილი და წააკითხეს. კიბეზე დავხვდი. შევატყვე, დიდად არ იყო აღფრთოვანებული, თუმცა არც დაუწუნია. მე კი გავთამამდი და ვუთხარი: „მაგ მონოგრაფიის ბედი დიდად არ მაწუხებს! სხვა საქმეზე მინდა დამეხმაროთ!“ „ისეთი რა საქმეა?“ – შემეკითხა. „კრიტიკოსს შეშის დაჩეხვა რომ გთხოვოთ, მართალი არ ვიქნები. რომანი უნდა წაგაკითხოთ!“ გაეცინა, მოიტანე და კაბინეტში დამიტოვეო.

მეც ასე მოვიქეცი. ახლა ვხვდები, რა მძიმე ტვირთი ავკიდე. იოლი საქმე არაა, უცნობი მოგადგეს და ოთხასგვერდიანი ხელნაწერის შეფასება გთხოვოს. ერთი თვის შემდეგ მივაკითხე. მისი შეფასება ზომიერების ფარგლებს არ გასცილებია. მირჩია, რამდენიმე ადგილას მიიტანეო. ვფიქრობ, ბატონი აკაკის მსოფლმხედველობის კაცს რევოლუციურ-რომანტიკული ნაწარმოები გულზე არ დაეხატებოდა, მაგრამ, მეორე მხრივ, დარწმუნებული ვარ, ჩემში მწერალი დაინახა.

ერთმა ცნობილმა კრიტიკოსმა სიტყვა-სიტყვით მითხრა: „ხომ იცი, როგორი (აქ უცენზურო სიტყვა ჩაურთო) ენა მაქვს, ამიტომ პირდაპირ გეტყვი, მწერალი ნაღდად ხარ, მაგრამ, ჩემო კარგო (ისე შემომხედა, თავი შემეცოდა!), თურმე შენ რომანტიკოსი ყოფილხარ!“ (ეს სიტყვები ისე ჟღერდა, სასიკვდილო განაჩენი გამომიტანესო!).

მოკლედ, სულიერ დისკონფორტს განვიცდიდი, მით უფრო, ხელნაწერის ერთი ცალი „მერანში“ მქონდა მიტანილი და არც იქიდან მესმოდა ტაშისა და ორკესტრის ხმები.

დირექტორი კარლო კალაძე გახლდათ, მთავარი რედაქტორი გრიგოლ ჩიქოვანი. ერთი სიცოცხლე მაშინ გავათავე, როცა დირექტორთან შესვლა გავბედე. იმან უმალ მთავარ რედაქტორთან გამაგზავნა.

ბატონი გრიგოლის მოთხრობები წაკითხული მქონდა. თითქმის მთელ ტექსტს დიალოგებით აწყობდა და მისი გმირები ერთმანეთს მუდამ „წიე“ და „ძღაბით“ მიმართავდნენ. იმ დროს პრესა არ იშურებდა სახოტბო ეპითეტებს, მწერლის გარდაცვალების შემდეგ კი, როგორც ეს ხდება ხოლმე, მიავიწყდათ კიდეც. თუმცა ზოგიერთი მისი მოთხრობა ურიგოდ როდი იკითხება.

დაინახა ბატონმა გრიგოლმა ჩემი სქელტანიანი საქაღალდე და ისე შემომხედა, როგორც შეურაცხადთა კლინიკიდან გამოქცეულს შეხედავენ. გვიან მივხვდი, რა თავხედიც ვყოფილვარ. არსად ოთხგვერდიანი მოთხრობაც არ მქონდა გამოქვეყნებული და, ამ დროს, ოთხასგვერდიანი რომანი მოვარბენინე... ე.ი. ან საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა მაქვს, ანდა ტვინში მიფრიალებს...

მეგონა, ჩემი რომანი გადაფურცლული არ ექნებათ-მეთქი, რეცენზია უკვე დაიწერა. რეცენზენტის ვინაობა მანამდე არც გამეგონა. ამიხსნეს, მოსკოვში მცხოვრები ქართველი კრიტიკოსია, ერთი კვირით ჩამოფრინდა, ქესატად იყო და ბილეთის ფული გავაკეთებინეთო. ამიტომაც დაუდეს წინ ყველაზე სქელი ხელნაწერი. რეცენზია რომ წავიკითხე, ვერაფრით მივხვდი, ეს კაცი მიწონებდა თუ მიწუნებდა... იქნებ არაობიექტური ვარ? ნაწყენი კი დავრჩი, მაგრამ უფლის წინაშე ვცდილობ ობიექტური ვიყო და თუ ვერ შევძელი, ეს პატარა ცოდვა ჩემს კისერზე იყოს.

რეცენზია რომ გამომიწოდა, ბატონმა გრიგოლმა დაცინვით შემომხედა, აი, ხომ ხედავო. გაბრუებული გამოვედი. ვხედავ, ბატონი ხუტა ბერულავა მოდის. „ცისკრის“ რედაქტორობის დროიდან არ მენახა, მაგრამ მიცნო და მომესალმა. ჩემდაუნებურად ჩავიჭიჭყინე, რა არის ბოლოს და ბოლოს, რეცენზიაა ეს?

ბატონმა ხუტამ ხელი ჩამოართვა მთავარ რედაქტორს და ერთგვარი ბრძანების კილოთი უთხრა: „მიეცი ხელახლა სარეცენზიოდ!“ ისინი კაბინეტში შევიდნენ, მე გარეთ დავრჩი.

შინ რეცენზია ყურადღებით წავიკითხე და ისეთი პასუხი დავწერე, სულ ბდღვნა ვადინე.

მეორე დღეს მივუტანე ბატონ გრიგოლს. კითხულობდა, თან წითლდებოდა. პირველად ამ ტექსტიდან აღმოაჩინა, რომ წერა-კითხვა შემძლებია. ერთ წინადადებას წითელი ფანქრით გაუსვა ხაზი. „ერთი უპრეტენზიო რომანი“ -მეთქი, მეწერა. შე ბედნიერო, ამ სისქე რომანს მოიტან გამომცემლობაში და ამაზე მეტი პრეტენზია რაღა გინდაო, მითხრა.

მართალი იყო ის კაცი!

27

ჩემს ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი რამ მოხდა. ჭერი ვიშოვე!

უნივერსიტეტის მეოთხე კორპუსის ეზოს კუთხეში ერთმანეთს მიყუჟული ორი ქოხია. ჩემი სამუშაო ოთახის ფანჯრიდან დავხედავდი ხოლმე ამ ქოხებს. ვიცოდი, რომ ერთს საწყობად იყენებდნენ, მეორეში კი დროებით ცხოვრობდა უნივერსიტეტის თანამშრომელი ქალბატონი.

ჩემმა თანამშრომელმა აზა კაჭარავამ ჩამჩურჩულა, ის ქალბატონი მეზობლად მშენებარე სახლში ბინას ღებულობს, დაჩალიჩდი, იქნებ იმ ქოხში შეგასახლონო. კანონით მაგას ვერავინ გამიფორმებდა, მაგრამ დროებით თავშესაფრად ივარგებდა.

ისეთი რა „ჩალიჩა“ მე ვიყავი, ისევ ჩემს დირექტორს მივუკაკუნე, კვლავ ბატონი პალადი შევაწუხე, ერთხელ ბატონ ილია ვეკუასთანაც ვიყავი. მომისმინა, პასუხად არაფერი უთქვამს, მაგრამ მაშინდელი პროფკავშირის თავმჯდომარეს უბრძანა, გააკეთე რაც საჭიროაო.

ეს ამბავი რამდენიმე თვე გაჭიანურდა. ალბათ მსურველი სხვაც იყო და ამიტომ მიჯანჯლებდნენ. პროფლიდერი ჭოჭმანობდა, მაგრამ მეორეჯერ ბატონ ილიას ხომ ვერ შევაწუხებდი.

ისევ ბატონმა პალადიმ იყოჩაღა. პირდაპირ ჰკითხა, რას ზოზინებ, გასაღებს რატომ არ აძლევო. იმან გაიკვირვა, რანაირად მივცეო (არ ვიცი, ჩემგან რას ელოდა). ბატონმა პალადიმ მკვახედ მიახალა, რანაირად და ხელიდან ხელში გადაეციო.

წამოვიღე ის გასაღები, გავაღე მოღრეცილი კარი და შევედი ცარიელ ქოხში. ერთი პატარა ოთახი აღმოჩნდა, ერთიც ლოჯია, ციცქნა სამზარეულო და საპირფარეშო. ცხოვრების მესამედი განვლე და პირველად ჩემს სიცოცხლეში გავხდი უკანონო მფლობელი უკანონო ჭერისა, რადგან ნებისმიერ უბნის ინსპექტორს შეეძლო ქეჩოში ხელი წაევლო და კინწისკვრით გავეგდე.

იმავე საღამოს გადმოვიტანე ჩემი მწირი ბარგი-ბარხანა. შუა ოთახში ასაკეცი საწოლი გავშალე, ჩამოვჯექი და მიმოვიხედე. ნესტისა და ობის სუნი იდგა. კედლები სველი იყო და ამ სისველეს გაჯი ჩამოენგრია.

ვიჯექი და ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, რომ მივაღწიე მიუღწეველს.

მეორე დღესვე შევუდექი რემონტს. კედლებიდან გაჯი ჩამოვფხიკე და გადავყარე. ეზოში მაღალი სახლი შენდებოდა. მის ფართო ბინებში უნდა ჩასახლებულიყვნენ დიდ-დიდი ჩინოსნები. ირგვლივ უამრავი სამშენებლო ნაგავი ეყარა. დღის ბოლოს სამსახურიდან ჩამოვირბენდი, კოცონს დავანთებდი და გუდრონს ვადუღებდი. ჯოხზე ჩამოცმული ჯვალოთი კედელს ვუსვამდი, რათა ნესტი მომესპო. კაცის სიმაღლეზე წავუსვი ასე. მერე შევლესე. ჭერი შევათეთრე. შპალერი გავაკარი. იატაკი მოვრეცხე და უცებ ტელეფონი აწკრიალდა.

ეს ტელეფონი წინა მობინადრეს ეკუთვნოდა და დროებით დამიტოვა. ავიღე ყურმილი და პოეტ ზაურ მოლაშხიას ხმა გავიგონე, ბინა არა მაქვს და სასტუმროში ვარო. გადმოდი ჩემთან-მეთქი, შევთავაზე... გადმოვიდა და დარჩა... გავიდა დრო და ზუგდიდიდან სკოლადამთავრებული ნათესავი გამომიგზავნეს, აქაოდა სხვასთან კი არა, მაინცდამაინც შენთან ურჩევნია ცხოვრებაო... გავსამდით.

მარტო ცხოვრება ალბათ არც მეწერა, საერთო საცხოვრებლებს ვიყავი გაჩვეული.

ვიყიდე, რასაც გავწვდებოდი... ოთხთუმნიანი ტახტი, რომლისაგან ხერხემალი მუდამ მტკიოდა. განვადებით გამოვიტანე ოცდაორთუმნიანი შავ-თეთრი ტელევიზორი... თანამშრომლებმა ზოგმა თეფში მომიტანა, ზოგმა კოვზი... მოკლედ, მოვეწყვე ხელმოკლე კაცის პირობაზე.

28

მეგონა, დროებითი იქნებოდა ეს თავშესაფარი, მაგრამ ათ წელზე მეტ ხანს ვიცხოვრე მის ჭერქვეშ. უამრავ პრობლემას მიჩენდა, ცოცხალივით მებრძოდა და ვიმორჩილებდი. ნესტი ბოლომდე ვერ მოვაშორე. სინესტემ გუდრონზე მაღლა აიწია და კედლებს ლაქებად დააჩნდა. საკანალიზაციო კოლექტორი ხშირად იჭედებოდა და სისხლს მიშრობდა. მშენებლებმა წყლის მილი გამიხეთქეს და აღარ შემიკეთეს. რამდენიმე თვე უნივერსიტეტის კორპუსიდან შემომქონდა წყალი. ეზოში ალვის ხეები იდგა. სახურავზე ფოთლები გროვდებოდა, ღარი ნეშოთი იჭედებოდა. წვიმა რომ მოვიდოდა, წყალი პირდაპირ ფანჯარაში შემოასხამდა და ლოჯიაში ტბა დგებოდა, კედლები გაჟიჟინდებოდა... ამიტომ მთელი შემოდგომა სახურავის გადახვეტას ვუნდებოდი...

სახლის გვერდით უზარმაზარი ალვა იდგა. ისე სწრაფად იზრდებოდა, თავის თანამოძმეებს დიდად გაასწრო. მოაწვა ჩემს კედელს და შემოხეთქა. ისეთი ლამაზი იყო, მოსაჭრელად ვერ გავიმეტე. ის თავხედი კი ლამისაა ოთახში შემოდიოდა. იძულებული გავხდი ფარ-ხმალი დამეყარა. კედელი დავანგრიე და ხელახლა ამოვაშენე... ოღონდაც, ის ხე მაინც გადაყვა თავის თავხედობას. იმან, ვინც ჩემს შემდეგ იმ ქოხში შესახლდა, ცხელი წყლით გაახმო და წააქცია კიდეც.

ჩინოსანთა სახლის მშენებლობა რომ დამთავრდა, ეზო მოეწყო, მწვანე, ლამაზი ბაღი გაშენდა.

ერთხელ შოშიის თვალდავსებული მართვე ვიპოვე. მობუზული იჯდა. მე რომ არა, ქუჩის კატა შეჭამდა. შინ შემოვიყვანე.

ვცდილობდი რამეთი გამომეკვება, ის კი ხელზე ჩამინისკარტებდა. მომიკვდება-მეთქი და გარეთ გავიყვანე. ტოტზე დავსვი. ნიავმა რომ დაუბერა, გაიფუყა, შესჭყვიტინა და ჰაერში აიჭრა.

მრავალი წლის მანძილზე ეზოში დიდი კუ ცხოვრობდა. დარბაისლურად დასეირნობდა. ბავშვები დაარბენინებდნენ, ეთამაშებოდნენ.

სტუმრიანი ქოხი მქონდა, კარი მუდამ ღია იყო. დიდი მომლხენი მე არ ვყოფილვარ, მაგრამ მეგობრული სუფრა ხშირად გაგვიშლია. ისეთ ადგილას ვსახლობდი, იოლი მოსაგნები ვიყავი და ვინც კი ცოტათი მაინც მიცნობდა, ყურადღებას არ მაკლებდა.

ერთი შეხედვით, თითქოს მხიარულად ვცხოვრობდი. გულს კი მარტოობის სევდა მიხრავდა, დარდი მაწვებოდა და ერთადერთი თავშესაფარი ქაღალდი და საწერკალამი იყო. ვწერდი რომანს, რომელსაც თავდაპირველად „ჯაგერნაუტი“ ერქვა...

29

კვირა არ გავიდოდა, „ცისკარში“ რომ არ შემეხედა. ამით ჩემი საქმე არც აღმა დაძრულა და არც წაღმა. ვინც ვერაფერში დამეხმარებოდა, იმათ ვემეგობრებოდი, ვისაც ძალა ერჩოდა, იმათგან გაუგებრობის ყრუ კედელი მყოფდა. სხვა ჩემს ადგილას ალბათ ხელს ჩაიქნევდა და აქაურობას გაშორდებოდა, მე კი ჯიუტად არ ვნებდებოდი. გულდამძიმებული, გაუხარელი ცხოვრებით ვცხოვრობდი. იქნებ რომანის გამოქვეყნება არც იყო მთავარი, იქნებ თავმოყვარეობა მელახებოდა და ის მაწვალებდა.

ასე ტაატით, უსიხარულოდ და დიდხანს იწელებოდა დრო... დაბალი რანგის მოხელის მოსაწყენი ყოფა, უინტერესო ხელნაწერების ჩხრეკა და ჩიჩქნა, სასადილოების უგემური კერძები, უფულობა, ჩაუცმელობა, მარტოობა... ისევ და ისევ მარტოობა...

თანამგრძნობელმა ჩამაწვეთა, ყოველთვის უცხოსავით რომ ატუზულხარ, ვერ ხედავ, როგორ ძმაკაცდებიან, ერთმანეთთან მიდი-მოდიან, პურს ჭამენ... შენი პური არავის შია, მაგრამ კაცები ერთმანეთს ასე უახლოვდებიან... ნაცნობ ლიტერატორს ვთხოვე, რედაქტორი და ძმანი მისნი დამიპატიჟე-მეთქი.

მანავის მწვანე ჩამოვიტანე საგარეჯოდან, ნუგზარ ქირიამ მიფეშქაშა. სუფრა გავშალე. მოვიდნენ ჩემი სტუმრები. რედაქტორმა ვერ მოიცალაო, ჩამჩურჩულა ნაცნობმა... სამაგიეროდ ოტია პაჭკორია მომიყვანა. დავსხედით, ვიქეიფეთ... შუა ლხინის დროს ბატონმა ოტიამ გამიცინა და წინასწარმეტყველური სიტყვები მითხრა: „შენ უნდა დაიტანჯო!“ ხუმრობად ჩავუთვალე, თუმცა რა წინასწარმეტყველება მინდოდა, ან მანამდე, ან შემდგომ როდისღა გავიხარე... ძალათი მეგობრობა, ცხადია, არ გამომივიდა. მე არ მესმოდა, რა მექანიზმებით ემეგობრებოდნენ საჭირო ადამიანებს და თავს უფრო უცხოდ ვგრძნობდი.

სამოცდათორმეტში ამ განწყობილების გავლენით დამიანე გოგოხიასთან მივედი. არ მიცნობდა, ჩემი სახელი განაგონიც არა ჰქონდა. არც მე ვიცნობდი. გამეგონა, ლიტერატურულ ცხოვრებას კურირებსო. ბევრი ვერაფერი ავუხსენი, რაკი სიტყვებს ვზომავდი და ჩემს გასაჭირში ვერავის ვადანაშაულებდი. კუშტად მიყურებდა, არც გაულიმია. საკმაოდ ცივად გამომისტუმრა. შინ მივდიოდი და თავს ვისჯიდი, რას მიდიოდი, შენი პატრონი ვინაა, დალხენილი კაცი შენს გაჭირვებას რას მიუხვდება... ის კაცი ალბათ ფიქრობს, არ ვარგა შენი ნაწერი, თორემ ხელიდან გამოგტაცებდნენო...

მეორე დღეს „ცისკარში“ მივედი. დამინახეს და შემომეხვივნენ. თურმე ბატონ დამიანეს რედაქტორისათვის დაურეკავს, ხომ იცი, არასოდეს შენთვის არაფერი მითხოვია, თუ ძმა ხარ, იმ ყმაწვილს ნუ გააწბილებო. არიქა, ასეთმა დიდმა კაცმა მთხოვა და იმას როგორ არ შევუსრულებო. სითავხედე რომ მყოფნოდა, ალბათ მთლიანად დავაბეჭდვინებდი, მაგრამ ხმა არ ამომიღია, როცა განყოფილების გამგემ თავის შეფს ნაწყვეტები მიუფრიალა...

პეტიტით აწყობილ ამ ნაწყვეტებს მთლად შეუმჩნევლად არ ჩაუვლია. ვიჯექი მწერალთა კავშირის დარბაზში, ვუსმენდი ჯანსუღ ღვინჯილიას მოხსენებას. „დათა თუთაშხიას“ აანალიზებდა, მერე მაღულარიაზე ილაპარაკა და უცებ ჩემს ნაწყვეტებზე გადავიდა. თავი დავხარე და საკუთარ ფრჩხილებს გულმოდგინედ დავუწყე თვალიერება. კრების შემდეგ გავე-

ცანი, ავტორი მე ვარ-მეთქი. მანამდე არ მიცნობდა.

პუბლიკაციამ ცოტათი გული გამომიკეთა. ჰონორარი ავიღე, მთელი სამასი მანეთი. გადავწყვიტე ამ ფულით დიდი ხნის ჩანაფიქრი ამესრულებინა, მამის საფლავი მომეძებნა.

რვა წლის შემდეგ, როცა ეს ჩემი განაწამები რომანი წიგნად გამოიცა, რედაქტორს მივართვი. მოგვიანებით შემხვდა და მითხრა, კარგი რომანი დაგიწერიაო. არ გამხარებია. ხელნაწერი ხომ მის მაგიდაზე იდო და წასაკითხად ვერასოდეს მოიცალა. თუმცა იქნებ არც ამჯერად ჰქონდა წაკითხული და გული გამიკეთა.

30

თბილისში ცხელოდა, მოსკოვში კი სიგრილე დამხვდა. საკმაოდ შალიფად ვიყავი ჩაცმული. პერანგზე თხელი სვიტერი გადავიცვი, ეს იყო და ეს. პიჯაკი არ მქონდა და ჩიტივით მობუზული დავდიოდი.

ჯიბეში მედო ზუგდიდის სამხედრო კომისარიატის ცნობა, რომ მამაჩემი დაიღუპა სმოლენსკის ოლქის სოფელ კონსტანტინოვკაში. ჰოდა, უნდა მომეძებნა ეს სოფელი.

ჯერ სმოლენსკში ჩავედი. სასტუმრო ჭირდა და მწერალთა კავშირის განყოფილება მოვძებნე. ადგილობრივი პოეტი გავიცანი, თავისი პირველი და ერთადერთი კრებული მაჩუქა, რომელსაც კარტოფილისა და თავთავის სურნელი ასდიოდა. იმან გამიხერხა სასტუმრო. რამდენიმე დღე დავრჩი ამ ლამაზ, წმინდა სლავურ ქალაქში. ტაძარში წირვას დავესწარი. მოოქროვილი ამბიონი შტამბეჭდავი იყო. პირდაღებული ვათვალიერებდი. მღვდელმთავარს არ მოვეწონე, ალბათ ჩემში არარუსი ამოიცნო და მაჰმადიანებში ჩამწერა. დატოვე აქაურობაო, მომთხოვა. შეურაცხყოფილი დავრჩი, შევეცადე ამეხსნა, რომ ქართველი ვარ, მართლმადიდებელი. ვიღაც უბირმა დედაკაცმა წამოიძახა – „ღმერთო ჩემო, ამ ქართველებისაგან ჯერ ბაზარში არა გვაქვს მოსვენება, ახლა ეკლესიაშიც მოგვაკითხეს!“ ხელი ჩავიქნიე. როგორ უნდა ამეხსნა, რომ მამაჩემის საფლავის საძებრად ჩამოვედი, სწორედ ამათთვის თავი რომ დადო.

მოვძებნე საოლქო სამხედრო კომისარიატი. ხსოვნის მუზეუმი ჰქონდათ მოწყობილი. შუშის განჯინებში ეწყო სქელტანიანი, წითელყდიანი ფოლიანტები. ამ წიგნებში აღურიცხიათ ოლქში დაღუპული ყველა მეომრის სახელი და გვარი... კონსტანტინოვკა უკვე არ არსებობსო, ამიხსნეს, მაგრამ ტერიტორიულად უგრას რაიონში იყოო. სწორედ ამ რაიონის საძმო საფლავების სიას ჩამოვყევი და სოფელ ვსხოდში, 7500 დაკრძალულთა შორის, მამაჩემის გვარი და სახელი აღმოვაჩინე.

უმამობას მუდამ განვიცდიდი. მეგონა, გვერდით რომ მყოლოდა, მარტოობის სევდას დავძლევდი. ლეგენდა უგზოუკვლოდ დაკარგული ჯარისკაცისა მის სახელს რომანტიკულ ელფერს აძლევდა. იქნებ ჯობდა, კვლავ იმ ზღაპრეთში დავრჩენილიყავი, მაგრამ, მეორე მხრივ, უცხო და ცივ ქვეყანაში მისი მიუსაფარი სული, ალბათ, ელოდა შვილის ფეხის ხმას.

ვიაზმისაკენ ავტობუსით გავემგზავრე, იქიდან ჯღანი მატარებლით უგრაში ჩავედი.

აქაც კომისარიატში გამოვცხადდი. კარტოთეკაში მამაჩემის სააღრიცხვო ბარათი მომიძებნეს. ზედ მისამართიც ეწერა – ჩემი ქალაქი, ქუჩა და ნომერი... ეს უკანასკნელი მას შემდეგ შეიცვალა, რაკი ქუჩის მოსახლენი მოგვიმრავლდნენ.

უგრიდან დანჯღრეული ავტობუსით ვიმგზავრე. ტაიგის ოღრო-ჩოღრო გზებმა გულ-ღვიძლი ჩამანგრია. სოფელ ვსხოდში მანქანიდან ჩამოვხტი და პატარა ტანის, შავგვრემანმა კაცმა მკითხა:

— ქართველი ხარ, ბიჭო?

გურჯაანელი ჯიბო ბადურაშვილი აღმოჩნდა. ცამეტნი ჩამოსულიყვნენ აქ დაკრძალული ჯარისკაცის ილო ბადურაშვილის საფლავის მოსანახულებლად. სამი ოჯახი ერთად წამოსულა – ბადურაშვილები, ბეციაშილები, ჩუგოშვილები... ღვინო და პურ-მარილი ჩამოუტანიათ.

სოფლის პარკში ვერცხლისფერი ჯარისკაცის სტანდარტული ქანდაკება დგას. ესაა ძმათა სასაფლაო და აი, აქ წევს მამაჩემიც...

მეორე დღეს ქართველებმა ქართულად დავიტირეთ ჩვენი

დაღუპულები. სამშობლოს მიწა მოვაყარეთ. სოფლის სასადილოში ქელეხი გადავიხადეთ. სულ ტყუილუბრალოდ ცდილობდა კეთილი ჯიბო ქართული თამადობა გამოსვლოდა. ყველა დალევას ჩქარობდა და ჩვენი არავის ესმოდა.

ყველა ერს თავისი წესი და რიგი აქვს. ღმერთმა იმათ გაუმარჯოს თავიანთ ქვეყანაში, ჩვენ კი ჩვენებურად მოვიხადეთ ვალი და გამოვე-მგზავრეთ...

ამაზე წერილი გამოვაქვეყნე „ახალგაზრდა კომუნისტში“.

31

ამასობაში ქრისტეს ასაკმა მომიკაკუნა, მე კი კვლავაც ყმაწვილის ყოფითა და ფსიქიკით ვცხოვრობდი. ლიტერატურულ დარდებს ეს ოჯახური მოუწყობლობა ამძაფრებდა. არადა, ჩემი ქოხი ხომ ზედ უნივერსიტეტის კორპუსზე იყო მიდგმული და საქართველოში რაც კარგი გოგონები დაიზარდნენ, დიდი ნაწილი აგერ თვალწინ ტრიალებდა. მივხვდი, ამდენი სირბილი და ცის კამარაზე ფრენა დამავიწყებდა ადამიანთა უპირვალეს მოვალეობას, სიცოცხლე აჩუქო სხვა ადამიანს... ოჯახური ცხოვრების ინტიმში იმდენი ნიუანსი იგულისხმება, ღია ტექსტით ამ თემაზე საუბარი შეუძლებელია. იმასღა ვიტყვი, რომ პირველკურსელ ქალიშვილს, სულ ორიოდე თვე რომ ვიცნობდი, ბოლო გამოცდის წინა დღეს მოჭრით შევთავაზე: „ხვალ გამოცდას ჩააბარებ, ზეგ კი მოსკოვში მივფრინავთ!“ იმან გაოცებისაგან ხელები გაასავსავა.

ძმაკაცებმა, აქამდე რომ ჩემს ქოხში ცხოვრობდნენ, დროულად უშველეს თავს და თვითონაც სასწრაფოდ დაოჯახდნენ.

ცოტა ფული მოვაქუჩე, ხელფასი, შვებულებისა, თანამშრომელთა ნაჩუქარი, თითქმის ათას მანეთამდე. ეს ისეთი თანხა იყო, მოსკოვში ჩემს კნეინას კაბაც კი ვუყიდე. მატარებლით, ავტობუსით, ბოლოს ღია მანქანით ჩავაღწიეთ ვსხოდში.

მამაჩემის საფლავზე მივიყვანე ჩემი მეუღლე.

აქეთობისას ძმას გამოვუარეთ ლუგანსკში, ქირიებს ბიჭვინთაში, და ბოლოს, ჯერ სამეგრელოში მოვილხინეთ, მერე

იმერეთში...

ასე დაფუძნდა ჩვენი ოჯახი. დავიწყეთ იმით, რითიც იწყებს ყველა ხელმოკლე წყვილი – თეფშითა და კოვზით...

სიზმრად ვიცოდი, სამი შვილი რომ შემეძინებოდა – ორი ასული და ვაჟი! ვაჟს მამაჩემის სახელს დავარქმევდი... ეს სიზმარი გაცხადდა...

32

ჩვენი ოჯახი ალბათ დიდად არ განსხვავდებოდა სხვა ჩვენსავით მცირე შეძლების ოჯახებისაგან. ყოველი ახალი ნივთი დიდი შრომითა და წვალებით გვემატებოდა... მაცივარი და სარეცხი მანქანა სულაც პირველი შვილისათვის ნაჩუქარი ფულებით შევიძინეთ... ხან მეფურ სუფრას ვუსხედით, ხან წყალწყალა წვნიანს მივირთმევდით... ბუტიაობაც გვქონდა და შერიგებაც... ჩვენი პაწია ხელფასები ძლივსა გვწვდებოდა, მაგრამ ოპერასა და რუსთაველის თეატრს არ ვაკლდებოდით... ზამთრობით გამოზოგილი კაპიკებით ზაფხულობით სამოგზაუროდ გავრბოდით, ვთქვათ, ვოლგაზე აღმა-დაღმა...

შეჭირვების ჟამს ციდან უფალი მოგვაპყრობდა მზერას. ერთხელ, ახლადშეუღლებულნი შინისაკენ მივდივართ და ჯიბეში კაპიკი არ გვიჭყავა, ხელფასამდე კი სამი დღეა. ხუმრობით ვინატრე, რა იქნებოდა, ვინმე ჩვენზე ბედნიერს ერთი პეშვი ხურდა მოეპნია-მეთქი. წარმოვთქვი ეს სიტყვები და ვხედავ, ზედ ჩემი ქოხის შესახვევთან, ნაწვიმარში მთელი მუჭა აბაზიანები ყრია. სიცილ-სიცილით ავბოჭეთ, კომბოსტო და კარტოფილი ვიყიდეთ, იმისი ბორშჩი ორი დღე გვეყო კიდეც.

სოფელიც გვეხმარებოდა...

გვიჭირდა, მაგრამ არ გავბოროტებულვართ...

ხუთი წლისა იყო უფროსი გოგონა. ეზოში ტოლებთან თამაშობდა. სულ დარჩეული, შეძლებული ოჯახის შვილები გახლდათ. რატომღაც აწყენინეს ერთმანეთს. მე სიცხიანი ვიწექი ოთახის სიღრმეში. ვხედავ, ჩემი გოგონა ღია ფანჯარასთან დგას, დანარჩენი ბავშვები გარედან იჭყიტებიან და გულის გა-

სახეთქ სიტყვებს ეუბნებიან: „შენ, ჰეი, ამისი ბაბუა, იცი, მილიციონერების უფროსია!“ „ამისი მამა ტელევიზორში გამოდის!“ „ამის მამიკოს მანქანა ჰყავს!“ ამით ამ პატარა ქოხის მცხოვრებს მაღალი ბინების მცხოვრებნი უმტკიცებდნენ, ვინა გდიხარო. ჩემმა გოგონამ კი უცბად მოუჭრა: „სამაგიეროდ, ჩემი მამიკო კეთილია!“ ბავშვები გაჩუმდნენ და წავიდნენ.

ვიყავი კეთილი? არ ვიცი! ის კი ვიცი, ყოველ ადამიანში სიკეთეს უფრო ვეძებდი, მცირე ყურადღების გამო მადლიერი ვრჩებოდი, წყენას იოლად ვპატიობდი.

ოჯახური ყოფის სიმბოლური სურათი: კოკისპირულად წვიმს. ორი გოგონა ერთად ატატებული მიმყავს. ახლადგაღვიძებულნი არიან და კისერში მაორთქლებენ. ქოლგაც მიჭირავს, ვქოშინებ, ოხშივარი ამდის... ირგვლივ კი წვიმის წვეთები ცეკვავს...

33

„მერანთან“ ურთიერთობა უკვე ხანგრძლივ ეტაპს მოიცავდა. ბატონი გრიგოლი მუდამ ნელ-თბილი ღიმილით მხვდებოდა. იქნებ ფიქრობდა, მოსწყინდება და თავს დამანებებსო. მაგრამ მე რეგულარულად ვაკითხავდი, ყოველთვის ერთნაირად მორიდებული და ზრდილი. ჩემი ხელნაწერი მაგიდაზე ედო. წაკითხვით არ კითხულობდა. ამიტომ არც იცოდა, რასთან ჰქონდა საქმე და რჩევასაც არავის ეკითხებოდა. ერთხელ კართან ატუზულს ვიღაც კაცმა შემასწრო. მოიხედა. მიხვდა, მეც რომ ბატონ გრიგოლს ველოდებოდი და ხელი პატიჟით გაშალა – „მობრძანდი, ახალგაზრდავ!“ ბატონი გრიგოლი წამოხტა, მოწიწებით, თითქმის პირმოთნეობით ელაპარაკებოდა. ჯერ ამ ახალგაზრდას მიხედეო, მოსულმა უთხრა. მას რა ეჩქარებაო, ჩაიცინა ბატონმა გრიგოლმა და ხელნაწერს გაჩხინკული ხელი დაადო. კაცმა საქაღალდე გახსნა და პირველი ორი გვერდი ჩაიკითხა – „მშვენიერია!“ „თუ მშვენიერია, რეცენზია დაუწერე!“ „დავუწერ კიდეც! – უთხრა კაცმა. – ამ ერთ თვეში დამირეკოს!“ უბის წიგნაკში ტელეფონის ნომერი ჩამიწერა და მაშინღა მივხვდი, რომ კონსტანტინე ლორთქიფანიძე ყოფილა.

სარეცენზიოდ ჩემი წიგნი მისთვის არ გადაუციათ. ისევ ჩიხში ვიდექი და ვატყობდი, რომ ჩემი მატარებელი კარგა ხანს ვერ დაიძროდა.

თვითონ ბატონ გრიგოლის წიგნები იმ დროს წამდაუწუმ გამოდიოდა. ხანდახან მეტყოდა, თათბირი გვქონდა, ასე თქვეს, ისტორიული რომანი რა საჩქაროაო, მოესწრებაო. არადა, მისი ახალთახალი „თებერვალი დადგაო“ (გასაბჭოების მორიგი პანეგირიკი!) საწერი მაგიდიდან პირდაპირ სტამბაში მიდიოდა და პირმოთნე კრიტიკოსთა ხოტბას იმკიდა.

ჩვენი საუბარი მოკლე და არაფრისმთქმელი იყო. მხოლოდ ერთხელ გათბა. ხელში თხელი ხელნაწერი ეჭირა, ალბათ კრებულისათვის გადააბეჭდვინა. ესო, მითხრა, ცხრამეტი წლისამ დავწერეო. თურმე მოკრძალებით მიუტანია მწერალთა კავშირში, ერთი ცნობილი მწერლისათვის დაუტოვებია. ათიოდე დღეში იმ მწერალს რუსთაველზე შეეჯახა და იმან წამოიძახა, კაცო, სად დაიკარგე, კორექტურის წასაკითხად რატომ არ მოდიხარო... ამას რომ მიყვებოდა, თვალებში ნარცისისტული შუქი უნათებდა. მე კი ვიჯექი და ვფიქრობდი, იმ მწერალმა, ბატონო გრიგოლ, იმიტომ გაგიმართათ ხელი, რომ თქვენც მომდევნო თაობებს მიხედოთ-მეთქი, თუმცა თქმით არაფერი მითქვამს.

შინ გულდამძიმებული ვბრუნდებოდი და ახალი რომანის ხელნაწერს მივუჯდებოდი. წინასწარვე ვგრძნობდი, არც მას ექნებოდა ია-ვარდით გზა მოფენილი.

„მერანში“ წარდგენიდან მეხუთე წელს, როგორც იქნა, საგამომცემლო გეგმაში შემიტანეს... მეგონა, წიგნს აწი მაინც დაადგებოდა საშველი, მაგრამ სადა ხარ!

34

გვანჯი მანიამ მითხრა, ადე, ზუგდიდამდე ფეხით წავიდეთო. ვიშოვეთ ზურგჩანთები, კარავი, ხაბაკ-ხუბაკი და გავემგზავრეთ ცხინვალში. ერთი დღე იქ დავყავით, შევირბინეთ ჯავაში, გავხედეთ ერწოს ტბას და კვაისას მისადგომთან ჩამოვხ-

ტით ავტობუსიდან. აი, აქედან ვაპირებდით ფეხით სიარულს.

მთებისკენ შევუყევით აღმართს. საღამომდე ტყე-ტყე ვიარეთ. სიღრმეში იგი უფრო უღრანი და შტამბეჭდავი ხდებოდა. თვალწარმტაც ხეობაში მივაგენით ქვედის ტბას. ირგვლივ ბუმბერაზი ხეები შემოჯარვოდა კამკამა წყალს. ხის მორები წყალშიც ჩახერგილიყო. სიღრმისეული ბლანტი სილურჯე ფანტასტიკურ სურათს ქმნიდა. წყალქვეშ გაბარჯღულ ტოტებში არხეინად დასეირნობდნენ ჩასუქებული თევზები, რომლებმაც აინუნშიაც არ ჩააგდეს ჩვენს ანკესებზე წამოგებული პურის ფინჩხები.

ნაპირთან, ჟანგისფერი წყაროს გვერდით კარავი დავდგით და ბინდი ჩამოწვა. ბნელი უღრანიდან დათვი რომ გამოსულიყო და ამ კარავში ჩავებუბნეთ, ღირსნიც ვიქნებოდით. ძილი არ გამომივიდა, რადგან ქვეშ ნაძვის ტოტები დავიფინე და უდათვოდაც გვერდები კარგად დამებეგვა.

რიჟრაჟზე გამოვძვერი. ცვრით დანამული ტყე ვერცხლისფრად ბრჭყვიალებდა. ტბა ისეთი სუფთა და ღრმა ჩანდა, ფსკერზე ჩავარდნილ მზეს თვალს ვერ ვუსწორებდი.

ჩავყევით ხეობას. მთის ოსური სოფლები გავიარეთ. დედაკაცებსა და ბავშვებს ვესალმებოდით, იმათ კი, არც ქართული გაეგებოდათ და არც რუსული. მერე გზა-გზა გვხვდებოდა რაჭის მიტოვებული სოფლები, გატიალებული სახლ-კარი, ხილიანი ეზოები, პატრონის ხელი რომ აკლია... აგვისტოს ბოლოს ზედ მკვახე ნყოფი ესხა.

ჩავაღწიეთ წედისში, იქიდან კი ონში.

მერე ავედით უწერაში, იქიდან შოვში. ტურბაზაში დავისვენეთ. ამჯერად კარავი არ გაგვიშლია, რბილ ლოგინში ვიძინეთ. რუსის გოგოებს გავეანგლეთ. მომდევნო დღეს კი ტურისტებს ავყევით მამისონის უღელტეხილზე.

ერთი დღე ჭიორასა და ღებში ასვლას მოვანდომეთ.

უკან წამოსულებმა ბარაკონას ტაძრის ეზოში შევისვენეთ. ქათქათა მზიანი ამინდი იდგა, ხეხილს ესხა და ჩვენი წილი მი

ვირთვით.

ამბროლაურში არ დავყოვნებულვართ, გადავბარგდით

ლეჩხუმში. კურორტი მოვნახეთ – ლაშიჭალა. გვანჯის მის თავზე ეგულებოდა ძუღური, რომლის წყალი, თუ სიტყვაზე დავუჯერებდი, ვარსკვლავებს ეთამაშებოდა.

მოვიმარაგეთ კვირის სამყოფი პური და დილაუთენია შევუდექით აღმართს. მთელი დღე მივდიოდით. ქვევით მზე დავტოვეთ, აქ კი ცივი წვიმა დაგვხვდა. ორიოდე ფიცრული და გადახურული წყალს ისე დაელბო, მივხვდი, აქაურობამ დარი საერთოდ არ იცოდა. ტაფობზე კარვები იდგა. ძუღურის წყლით განკურნების მსურველნი, ვის როგორ უნდოდა, ისე ეწყობოდა.

ჩვენც გავშალეთ ჩვენი კარავი, საერთო კოცონთან ჩაი ავიდუღეთ.

დილით ხევში ჩავედით. სწორედ იქ იყო სახელგანთქმული წყალი: მართლაც კარგი რამ აღმოჩნდა! ქვის აბაზანაში ისე ამოსჩქეფდა, წინწკლებს ისროდა. გაზიანი წყლის გემო დაჰკრავდა. სასმელად სასიამოვნო ჩანდა, მაგრამ დაუსრულებელმა წვიმამ და ნესტმა წყურვილი დაგვაკარგვინა.

რამდენიმე დღე დავრჩით. გვანჯი მარწმუნებდა, ღვიძლსა და თირკმელს უხდებაო, ალბათ ასეც იყო, მაგრამ რაც მან სიკეთე დამმართა, ორი იმდენი სიცივისაგან დავკარგე. ისე გავჟიჟინდით, ალბათ, ვერასოდეს გამოვშრებოდით.

მკურნალობაზე ხელი ჩავიქნიეთ და წამოვედით. მთიდან რამდენიმე კილომეტრზე წვიმის ზონას თავი დავაღწიეთ. ზევით ასხამდა, აქ კი, თურმე, წვეთიც არ ჩამოვარდნილა.

მივდივართ ფერდობის გასწვრივ, საურმე გზაზე, ყურს ვუგდებთ ჭრიჭინობელების ჭრიჭინს და ვშრებით.

„შეჩერდი!“– ხმადაბლა მეუბნება გვანჯი.

წინ, ათიოდე ნაბიჯზე დათვის ბელი დგას და ცნობისმოყვარედ შემოგვყურებს.

ავიხედე. გზისპირა მწიფე პანტისათვის უზარმაზარ ძუ დათვს ტოტები შემოუჭდვია და ძალუმად არხევს. მიწა მოფენილია ყვითელი ნაყოფით.

კიდევ ერთი ბელი დედას აკვრია და ისიც ჩვენ გვიყურებს.

შეშინება ვერც მოვასწარით. შიში ან რას გვიშველიდა. კონსერვის გასახსნელი დანის მეტი სხვა რამ იარაღი ხომ არა გვქონ-

და. კიდევ კარგი, პირველი ბელი შებრუნდა და დედისაკენ წაგვანგვალდა.

ძუ დათვმა მძულვარედ შემოგვხედა, თავისი ბელები წინ გაიგდო და ტყეს მისცა თავი.

გადავრჩით!

მივადექით დათვის ნამუშევარს, მწიფე პანტა მივირთვით. ჯიბეებიც ავივსეთ და სანამ გავივაკებდით, შევექცეოდით... გზად იმდენი მწიფე მაყვალი გვხვდებოდა, რომ შიმშილით გული ნაღდად არ შეგვიღონდებოდა.

სოფელ ბარნალას მივაშურეთ. ცხენისწყლის პირას გავფინეთ ჩვენი ბარგი-ბარხანა. დავდგით კარავი. ვიბანავეთ, მოვწესრიგდით. ცხელოდა და ცივი წყალი გვესიამოვნა.

დილით ლადო ასათიანის სახლს ვესტუმრეთ. ტრადიციული ოდა და მოვლილი ეზო დაგვხვდა. ხეხილს სიყვითლე შეჰპარვოდა. ცოტა ხანს აივანზე ვისხედით და წამოვედით.

ცაგერის მუზეუმში შევიარეთ.

იქიდან ლენტეხისაკენ გავეშურეთ. არც აქ გავჩერებულვართ. ღამე-ბნელში ავაღწიეთ მუაშში. დამსვენებლები ცოტანიღა შერჩენილიყვნენ და დასაძინებლად იოლად მოვეწყვეთ.

ნასაუზმევს ცანასაკენ წავედით. სოფელს მდინარის გაღმიდან ჩავუარეთ.

აილამის მისადგომებთან შარვლიანი ასული გამოგვეცხადა. ამ ველურ მთიანეთში ქალღმერთი გვეგონა.

ალპინისტურ ბანაკში გვავახშმეს და თბილი კარავი გამოგვიყვეს.

დილით მზის სხივებით ანთებულ მწვერვალებს გავხედე... შემდგომ მზეჭაბუკ ბედია ამოვიყვანე ამ გზებით...

ერთი აღმართიც და ჩვენ უკვე ზემო სვანეთში ვართ. ირგვლივ სათიბებია და ხალხი მუშაობს.

კაცი შეგვხვდა, გვარად ჩარკვიანი. უშგულში ჩემი სახლი იკითხეთ და იქ დამხვდით, მეც მალე დაგეწევითო.

უშგულის შთაბეჭდილება არასოდეს წაიშლება მეხსიერებიდან. ჩარკვიანების ოჯახში პატივით მიგვიღეს, მსუყე მაწონი გვაჭამეს. ქათქათა თეთრეული დაგვიგეს.

თამარის ციხეზე ავედით. ფერდობზე მოცვნარი იყო, ცერის სიმსხო ესხა.

მარიამობის დღეს, სოფლის თავზე, ეკლესიის ეზოში პური ვჭამეთ და ჟიპიტაური ვსვით.

შემდეგ ენგურის სათავისაკენ გავეშურეთ. არარეალურ სამყაროში მივაბიჯებდი. ბუმბერაზ მთებს შორის გაშლილ ხეობაში რძესავით მოსჩქეფდა ენგური. ყოველ ნაბიჯზე ჟანგისფერ სგიმებს ვაწყდებოდით.

აგერ სათავეც! მთიდან უზარმაზარი მყინვარი გადმოწოლილა და ყინულის ლურჯი თაღიდან ღრიალით მოსკდება ორი რძესავით აქაფებული ნაკადი.

მომდევნო დღეს გამოვემშვიდობეთ ჩარკვიანების კეთილ ოჯახს და ენგურის გასწვრივ დავეშვით.

კალასთან ავტომობილების კავალკადა შეგვხვდა. ილია ვეკუა მოგზაურობდა პირველად სვანეთში.

იფარში სოფლის მაღაზიასთან გავჩერდით. იქნებ რაიმე მანქანას გამოევლო. სოფლელნი ჩერდებოდნენ და შინ გვეპატიჟებოდნენ. გვანჯი უარზე დადგა, აიჩემა, ღამე კარავში ვათიოთო. გამყიდველმა გოგონამაც მიგვიპატიჟა, მაგრამ რომ დაინახა, კარავი მინდორში გაშალესო, შინ გაიქცა და ცხელ-ცხელი ხაჭაპურები მოგვიტანა.

ციოდა, მდელო დაითრთვილა. მთელი ღამე მაძაგძაგებდა და გუნებაში თანამგზავრს ვლანძღავდი, რაკი კეთილ მასპინძლებს მოპატიჟებაზე ხელი აუკრა.

ბოლოს და ბოლოს ჩავაღწიეთ მესტიაში, საქართველოს და არა მარტო საქართველოს ერთ ულამაზეს ქალაქში... უზარმაზარი მთები, ვრცელი სანახები, კოშკების ტყე, კამკამა ზეცა ზღაპრეთის ილუსტრაციისათვის გამოდგებოდა.

თბილისიდან წამოსვლის მეჩვიდმეტე დღეს ჩამოვაღწიე ზუგდიდში.

მამინაცვალი სახლს იშენებდა და ვერ ავცდი მძიმე ქვების თრაქვას. ზურგჩანთის შემდეგ ესეც წამემატა და ხერხემალი კარგა ხანს მტკიოდა...

35

ცხელი ზაფხული იდგა და გვანჯის ჩავაკითხე ჯვარში. მანიების სახლი მაგანის ხიდთანაა. საკმაოდ დიდი მამული აქვთ. ხილნარში ძველებური სახლია ჩამალული... იმ წელს მოხუცებული დედა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ხერხემლის გამრუდებისაგან მოხრილი დადიოდა და ათი ქალის საქმეს კი ასწრებდა. უფროსი ვაჟი ხუტა ახლაც იქ ცხოვრობს. ჭაღარაულვაშიანი, უხვქოჩორა, მოსული კაცია, ამქვეყნისაც ბევრი იცის და იმქვეყნისაც. ხშირად გავუოცებივარ თავისი ბუნებრივი ნიჭით და გონიერებით... ამიტომ აგვისტოს ეს სტუმრობა გამიტკბა... ლეღვის სეზონი იდგა და იმდენი ესხა, ლაშქარს გამოკვებავდა...

ავიკიდეთ მე და გვანჯიმ ზურგჩანთები და სატვირთო მანქანას ავყევით სვანეთში, ნაკრის ხეობის გადასახვევამდე.

გზისპირა მოსახლემ შეგვიპატიჟა, გაგვიმასპინძლდა და გზა დაგვილოცა. იმავე დღეს ავაღწიეთ ტურისტთა სამხრეთ თავშესაფარში.

ღამე იქ ვათიეთ. ეშმაკმა მაცდუნა, მაგრამ რუსის გოგოს ხათრით ორიოდე ჭიქა გადავკარი. ის გოგო იმის შემდეგ არც მინახავს, მე კი მეორე დილით ნაბახუსევზე აღმართმა სიქა გამაცალა.

აკრას ანუ დონღუზ-ორუნის უღელტეხილი („ღორისაო“, ასე დაარქვეს ჩვენმა მუსულმანმა მეზობლებმა ალბათ ჩვენს საპატივცემლოდ) იოლი გადასალახია, ალპინისტები შინაურულად „დამსკი პერევალს“ ეძახიან, მაგრამ დიდი ალპინისტი მე არ ვიყავი და ფერდობზე ისეთი ქოშინით მივძვრებოდი, გული ამოვარდნასა მქონდა.

ძლივს ავაღწიე, სულის მოსათქმელად ლოდზე დავვარდი და ვიღაცა ენის მოჩლექით მომესალმა. ვხედავ, ხუთიოდე წლის გოგონა ქვაზე დასკუპებულა და ფართოდ გახელილი ცისფერი თვალებით შემომყურებს. გვერდით ჯანმაგარი მამიკოც დგას, მაგრამ მე უფრო ამ პატარა ფერიასი შემრცხვა. ამ შეხვედრიდან გამოდნა ნოველა – „პირველი ზეკარი“.

გამოვემშვიდობე პატარა მთამსვლელს. გადავლახეთ უღელტეხილი, ყინულის ფართო და სახიფათოდ დახრილი ველი, ლოდნარიდან დავეშვით ხეობაში. იქ, ყაბარდოს მხარეს გერმანელი ტურისტები შეგხვდნენ, საქართველოში გადმოსვლა ეკრძალებოდათ და უღელტეხილიდან გადმოიჭყიტეს.

ჩავუარეთ ჩრდილოეთის თავშესაფარს და მუხლებდაწყვეტილებმა ტერსკოლს ჩავაღწიეთ. ტურისტულ სასტუმროში ვარჩიეთ გაჩერება. შეღამებულზე ახლადგაცნობილ გერმანელებს ვეწვიეთ. მაგიდას უსხდნენ, ცარიელ არაყს ყლურწავდნენ და მღეროდნენ.

დღისით გავყურებდით იალბუზის ბუმბერაზ კონუსს. რაოდენ დიდია სამყარო და რაოდენ პატარანი და უსუსურნი ვართ ჩვენ, სამყაროს მპყრობელნი! საბაგიროთი ავედით ზევით, პირველ თავშესაფრამდე. აქედან მწვერვალამდე ფეხით აისვლებოდა, ანდა თოვლის ტრაქტორით, მაგრამ მე თავბრუ დამესხა, სიმაღლე მცდიდა, ჰაერი არ მყოფნიდა.

მალე დავტოვეთ ტერსკოლი, ავტობუსით დავიარეთ მინვოდი, პიატიგორსკი, ნალჩიკი... იქიდან გადავედით თებერდასა და დომბაიში...

ესეც ტურისტული სამოთხე! ჩვენი კარავი ჩავდგით სხვა კარვებს შორის. ჩემს გვერდით თურქმენები ისვენებდნენ და ფლავზე დაგვპატიჟეს. იმაზე გემრიელი კერძი არასოდეს მიჭამია. მოგვეწონა იქ ყოფნა და მთელი კვირა ვერ მოვცილდით.

ავიბარგენით და ქლუხორის უღელტეხილისაკენ გავუტიეთ.

აღმართი აქაც გამიჭირდა. ზევით ორფრად შეღებილი ტბა დამხვდა.. უფრო ლამაზი ადგილები ძნელი წარმოსადგენია.

თანდათან გავივაკეთ, სამანქანო გზაზე გამოვაღწიეთ. „ვილისი“ წამოგვეწია, საკენის ხეობით წაგვიყვანა. ადგილობრივი ექიმი აღმოჩნდა. დალის ხეობას ვემსახურები და ამიტომ „დალ-ექიმს“ მეძახიანო. ქალის მოსალოგინებლად მიდიოდა. მასპინძელი უხვად გაგვიმასპინძლდა. დალ-ექიმმა არ დაიზარა და მანქანით ხეობის ბოლომდე აგვიყვანა. პატარა ფიცრულები იდგა და ღამე იქ გავათიეთ. ექიმი მომეწონა, მისი ნაამბობიც და დავწერე კიდეც მოთხრობა – „დალ-ექიმი“.

დილით კვლავ აღმართი დავძლიეთ. ტყის ზოლი სწრაფად

მოვილიეთ და ისევ სვანეთში, ნენსკრას ხეობაში აღმოვჩნდით.

დიდხანს ვეშვებოდით ქვითა და ხვინჭკით მოფენილ სერებზე, სულ დაბლა და დაბლა. მთელი დღე არ დამთავრდა ეს სვლა. შეღამებულზე მივაღწიეთ მწყემსთა სადგომს.

ხელგაშლილად მიგვიღეს, გვავახშმეს და რბილად დაგვიგეს.

ჭუბერის ხეობის უღრანი ტყეები ცერისტოლა მოცვითა და მაყვლით გაგვიმასპინძლდა.

(განა სიზმრად დამესიზმრებოდა, რომ მრავალი წლის შემდეგ ამ გზაზე სიცივით, შიმშილით, ტყვიითა და დაღლილობით უამრავი ჩემი სისხლი და ხორცი სიცოცხლეს დალევდა).

მეთოთხმეტე დღეს ჩამოვაღწიეთ ჯვარში...

36

ზემოთ ერთგან ვთქვი, რომ ვერავინ დაწერს თავის ჭეშმარიტ ბიოგრაფიას. არ არსებობს რაღაც ცალსახა ხაზი, რომელსაც ბოლომდე მიედევნები. იძულებული ხარ მრავალი მოვლენიდან გამოარჩიო მთავარი, ძირითადი. მაგრამ რა არის მთავარი? ფაქტების გროვიდან ვინ გამოარჩევს ძირითადს, რაიც განსაზღვრავს ადამიანის მომავალ ბედ-იღბალს. ყოველ ჩვენგანს მუდამ უჩნდება შანსი, ჩვენს გზას რომ ძირეულად შეცვლიდა, მაგრამ ჩვენ მას იშვიათად ვამჩნევთ, ანდა ვირჩევთ ნაკლებ მომგებიანს.

აგერ ვწერ ახალ რომანს. ჩემი ტემპი რომ ვიცი, სამი წელი მოვუნდები. ჭკუათმყოფელი კაცი ამდენ შრომას წყალში არ გადაყრის და კონიუნქტურას გაითვალისწინებს. ომი პირველი რომანის დასაბეჭდად ვერა და ვერ მოვიგე, მე კი მეორეს ვამზადებ და იოტისოდენა იმედი, რომ ოდესმე გამოვაქვეყნებ, არცა მაქვს. ამიტომაცაა, არც მოცულობით ვიზღუდები, არც ფანტაზიის გაქანებით.

ერთი მეგობარი მყავს, გივი მაისურაძე, ინჟინერი და შემოქმედი. ინჟინრობა მას არსებობის საშუალებას აძლევს, შემოქმედება – არსებობის ფორმაა. შესანიშნავ ფიგურებსა თლის ხისაგან. ხან სერიოზულს, ხან იუმორით სავსეს, ხან ბასრი სატირით... ადამიანებსაც, მაგრამ უფრო ცხოველებს... ერთ დროს დათვი ამოიჩემა, ახლა გველებსა ჩარხავს... ერთი გატაცებაცა აქვს, ბუნების წიაღში უყვარს ხეტიალი... ხანდახან მეც ავყვებოდი ხოლმე. თბილისის მთელი შემოგარენი ფეხით შემოვიარეთ, ოცი და ოცდაათი კილომეტრიც არაფრად მიგვაჩნდა.

ერთხელ საბურთალოდან დიღმის ხეობაში გადავედით. ტყიანი გორაკები მოვიარეთ და მთის თავზე, ნეშოში მოწანწკარე წყალი აღმოვაჩინეთ. იმას ჩამოვყევით. თურმე ხეკორძულას ხეობა ყოფილა. წყალი თანდათან მოდიდდა და ღელედ გადაიქცა. ნეშოსფერი ჰქონდა, არ დაილეოდა. ალბათ ამიტომ ჩიოდა ჩვენი წინაპარი, „ხეკორძულას წყალი მისვამსო“. უკვე ბინდდებოდა, ჩვენ კი პირდაპირ მუხლებამდე წყალში მივტოპავდით... ერთგან კლდე გადაგვეღობა, წყალვარდნილი ჩხრიალებდა... ფერდობი გადავიარეთ და ისევ ღელეს ჩავყევით... საკმაოდ ბნელოდა, როცა საურმე გზას წავაწყდით. შუაღამეს ჩავედით სოფელში, იქიდან ძეგვში. ორმოც კილომეტრამდე გამოგვივიდა. მუხლში რაღაც გატკაცუნდა და დავკოჭლდი... ღამის მატარებელს ჩამოვყევით თბილისში. ერთი თვე ვერ დავდიოდი...

ამ უთავბოლო ხეტიალის დროს ლაპარაკის მეტი სხვა რა საქმე უნდა გვქონოდა და გატაცებით ვუყვებოდი დაუწერელი რომანის ფანტასტიკურ მონაკვეთებს... ზეპირად მონაყოლი შემდგომ იოლად იწერებოდა...

მთელი ის თვეები რომანის პერიპეტიები მიტრიალებდა თავში. სადმე თუ გავემგზავრებოდი, თვითმფრინავის ილუმინატორიდან გავყურებდი ღრუბელთა ქარავანს და წარმოვიდგენდი მზეჭაბუკ ბედიას ფრენას ცის კაბადონზე.

რომანს თავდაპირველად „ჯაგერნაუტი“ დავარქვი. ინდური ღვთაება ბოროტების სიმბოლოდ აღიქმებოდა და იგი სიკეთეს უნდა დაემარცხებინა... ყველა მწერალი ალბათ უპირატესად თავის თავზე წერს. ერთმა ბრაზიანმა ოპონენტმა მომახალა კიდეც – რანაირი კაციცა ხარ, იმნაირი რომანი დაგიწერიაო. იმან რა იცოდა, რანაირი კაცი ვიყავი, მაგრამ მის ნათქვამში მცირედი სიმართლე მაინც ერია. ბატონმა რეზი თვარაძემ ხუმრობით მკითხა, პერსონაჟს ჯუმა რომ ჰქვია, საკუთარ სახ-

ელთან ხომ არ აიგივებო. მეც ხუმრობით ვუპასუხე, ჩემში ცოტათი ჯუმაც არის, კაჭუჭიაც, მაგრამ მზეჭაბუკ ბედიაც ხომ ურევია-მეთქი... ერთი კაცის განახლეჩად მიმაჩნდა სამი ძმა, თუმცა რეალურ ცხოვრებაში ადამიანი სამვარიანტიანი კი არა, უთვალავვარიანტიანია. რაც შეეხება ავტოგრაფიულ შრეებს, რომანი ჩემი წუხილისა და სევდის ანარეკლია. ზოგან აღმაფრენაც ჩანს, ზოგან კი შურისძიებაც.

ასეა თუ ისე, 75 წელს ერთ დაუბეჭდავ რომანს მეორე უიმედო რომანი გვერდით ამოვუდე...

37

1975 წლის „მერნის“ საგამომცემლო გეგმაში „ამბავი არამხუტუსი“ რომ ვიგულე, მეგონა, ამ საქმეს წინ არაფერი დაუდგებოდა. ბატონ გრიგოლს მოკრძალებით შევახსენე, რედაქტორს როდის გადავცემთ-მეთქი. ცივი წყალი გადმომასხა. ძირითად გეგმაში კი არა, მოსამზადებელში ხარ და შემოდგომაზე გამოიარეო. შემოდგომაზე რომ გამოვიარე, კვლავ ძველებურად წამიმღერა, თათბირი გვქონდა, თქვეს, ისტორიული რომანი რა საჩქაროაო და მომდევნო წლისთვის გადავიტანეთო.

მოკლედ, ამ ამბავს ბოლო არ უჩანდა.

მოულოდნელად ბატონი გრიგოლი გარდაიცვალა.

ხელნაწერი ბატონ მურმან ქოიავას მაგიდაზე აღმოჩნდა. მივაკითხე. წინ ქაღალდი უდევს, სიტყვები ერთ სვეტად ჩამოუწერია. ეს რას ნიშნავს, ეს რასო, მეკითხება. ვუხსნი. გამიჩუმდა, მეტი არაფერი მითხრა. პასუხს ერთი-ორი თვე ველოდე და მოულოდნელად ისიც გარდაიცვალა.

განყოფილების გამგედ ბატონი გივი გოგიჩაიშვილი დანიშნეს. იმ წელს „ახალგაზრდა“ მწერლები თელავში წაგვიყვანეს, დრო გვატარებინეს, გველაპარაკნენ, გვალაპარაკეს... მაშინ მითხრა ბატონმა გივიმ, შენისთანა კაი კაცის წიგნს თუ არ გამოვცემთ, აბა აქ რისთვისა ვართო. თბილისში დაბრუნების შემდეგ კი გეგმიდან საერთოდ ამომაგდო... ცხვარისა არ იყოს, მეც გავცხარდი. დირექტორის მაგიდას ბატონი კარლო კალაძე

უჯდა, მეც მაწყნარებდა, ბატონ გივისაც. მაშინ დამცდა საბედისწერო ფრაზა – „არაკომპეტენტურნი ხართ!“ ბატონი გივი მიწისფერი გახდა. ჩემს წიგნს გამოსვლა არ ეწერა.

ღმერთია მოწმე, არავისთვის ცუდი არ მინდოდა, მით უფრო კაცის სიკვდილი არ გამეხარდება... სამწუხაროდ, ბატონი გივიც უდროოდ მიიცვალა...

ვინც აქ ჩამოვთვალე, ამ ადამიანთა მაქებარნიც შემხვედრია და მაძაგებელნიც. ალბათ სრულყოფილნი არავინა ვართ, სიკეთეს თანაბრად ვერ ვანაწილებთ. ამათ, ვფიქრობ, სხვა ავტორებს საკმარისი სიკეთე ჩამოურიგეს, მე კი ზურგი მაქციეს... არავის არაფერში ვადანაშაულებ, პირველი დამნაშავე მე ვიყავი, რაკი ბურატინოს ოქროს გასაღები ვერ მომეძებნა...

გული მიბერდებოდა!.. რა თქმა უნდა, შემეძლო დამეჯერებინა, რომ უნიჭო ვიყავი, რომ ჩემზე უნიჭო ქვეყნის ზურგზე არავინ დაბადებულა, მაგრამ გადავშლიდი უამრავ წიგნსა და საჟურნალო პუბლიკაციას და ამ ხაფანგის არსებობა მანცვიფრებდა...

38

იმ წლებში პარტიის წევრი გავხდი (კომკავშირში ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს აღმადგინეს!). ძველი პარტიულები ახლა უკანა რიცხვით ნაირ-ნაირ მიზეზს იგონებენ თავის გასამართლებლად. ზოგი ამბობს, პარტიისა მჯეროდა და იმიტომო, ზოგი არც მალავს, კარიერას სხვანაირად ვერ გავაკეთებდიო... ჩემნაირი კაცი კარიერისათვის არ დაბადებულა. მაშ რა ეშმაკი მინდოდა? განა ბრმა ვიყავი, რომ არ დამენახა, თუ როგორ ცხოვრობდა თუნდაც პარტიული ნომენკლატურა. ჭეშმარიტი ისტორიის ფურცლები ბოლომდე გახსნილი არ იყო, მაგრამ ზოგი რამ მეც ხომ მსმენოდა... მე ალბათ უფრო იმ გულუბრყვილოთა სიაში ვეწერე, რომელნიც ნოდარ დუმბაძის გმირივით მსჯელობდნენ, პატიოსანი და მოუსყიდველი კაცის მომრავლებით პარტია განიწმინდება და რაღაც ეშველება იმ ლამაზ, მხოლოდ სიტყვიერად დეკლარირებულ იდეალებს, რომლებმაც ვერა და ვერ შეისხეს

ფრთები... მეორე მიზეზიც მიბიძგებდა, როგორც აღმოჩნდა, ესეც არანაკლებ ილუზორული. თავს გარიყულად, მარტოსულად ვგრძნობდი. მწერალთა კავშირში კი პარტიულ კრებებზე ითქმოდა მეტ-ნაკლებად თამამი სიმართლე და მეგონა, ჩემთვისაც გაიხსნებოდა ასპარეზი, მეც ავიდოდი ტრიბუნაზე და ჩემს წილ სიმართლეს ვიტყოდი... ცხადია, ესეც ზღაპარი იყო, რადგან ტრიბუნისა მეშინოდა და ვერასოდეს გავუთამამდებოდი... კიდევ ერთი მიზეზი არსებობდა. ლიმიტი მოვიდა სამსახურში და პატივი დამდეს, მე შემარჩიეს... ყველაფერთან ერთად, მე ხომ სახელმწიფო საზღვარი მქონდა დარღვეული და პარტიაში შესვლა საბოლოო რეაბილიტაციას ნიშნავდა... იქნებ გამომცემლობებთან ამდენი წლის ჭიდილიც მიბიძგებდა, რაკი ბორბალში ჩამწყვდეული ციყვივით ვწრიალებდი და ყოველი ჩემი გადაწყვეტილება დინჯად ვერ ამეწონა.

რამდენიმე თვე გრძელდებოდა გაკრიალებულ-გასუფთავებული ქაღალდების გამოზომილი მოძრაობა. ამ დახვეწილ ფორმალიზმს ნაფტალინის სუნი უდიოდა და ალბათ იუმორის გრძნობა უნდა გაეღვიძებინა, რომ არა სერიოზულობა, რითაც უამრავი ადამიანი ამ საქმეს ეკიდებოდა... ცირკია ცხოვრება! კომკავშირშიც და პარტიაშიც ჩემი წევრობის მანძილზე ერთ სხდომასაც არ დავსწრებივარ, ფორმალობისა და არაგულწრფელობის დაღი რომ არ დასმოდა. სწორედ ამას უნდა გაენადგურებინა პარტიის შინაგანი სიმყარე. თუმცა იქნებ ეს საყოველთაო თამაში უნარჩუნებდა სიცოცხლისუნარიანობას, თორემ ნამდვილი, ჭეშმარიტი აზრი ამ შენობას ბევრად უფრო ადრე დაანგრევდა.

ჩემი ბიჭი პიონერთა რიგებში უნდა მიეღოთ. რამდენიმე დღე დიდი ენთუზიაზმით იზეპირებდა პიონერულ ფიცს. იმ დღეს სკოლაში გამოკოპწიავებული წავიდა, უკან კი გულდაწყვეტილი და სევდიანი დაბრუნდა – „მამიკო, ჩვენთან პიონერობა არ გვექნება!“ შემეცოდა... ვაკუუმი სხვა რამეს უნდა შეევსო.

39

ერთ რომანზე წუხილს ახლა მეორეზე დარდი დაემატა. სად უნდა წამეღო ეს უზარმაზარი ტომი? ხომ ვიცოდი, ტაშითა და სიხარულით არავინ შემხვდებოდა... თუმცა აგერ ახლადგამოჩეკილი კრიტიკოსი სს. შემხვდა, წუთის წინ დაარსებულ ალმანახ „განთიადში“ დაუწყია მუშაობა და ეშინია, ხელნაწერების გარეშე არ დავრჩეო. აქეთ მეხვეწება, ოღონდ მომიტანეო... მისი შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა. ხელნაწერი რომელიმე ქართულ ჟურნალს არასოდეს კლებია. ჩემს ხელნაწერზე კი რედაქტორს უთქვამს, გენიალურიც რომ იყოს, ამ სიდიდეს მაინც ვერ დავბეჭდავთო. არც ამას მოუკლავს თავი გადარწმუნებით. ღმერთმა შეარგოს და თავისთვის სარეცენზიო თანხის გამოწერა არ დავიწყებია. მე კი ნახევარი წელიწადი დამაკარგვინა. მის დაწერილ რეცენზიას სიფრთხილის კვალი აჩნდა, ღმერთი არ გამიწყრეს, ქება მეტი არ მომივიდეს და მართლაც არ გამოადგესო... ასე მაფიქრებინა მისმა შემდგომმა მოქმედებამ. რუსთაველზე შემხვდა და პრესაში გამოგესარჩლეო, მახარა. თურმე ნუ იტყვით, ოპონენტთან კამათში დაუწერია, აგერ ახალგაზრდა მწერალი მარტინ იდენივით დატანჯესო. ოღონდ მარტინ იდენის ნიჭიერება ჩემთვის ბოლომდე ვერ გაიმეტა (ნეტა ვინ გაზომა ლიტერატურული პერსონაჟის ჭეშმარიტი ნიჭიერება?) და იქვე ეშმაკურად ჩაურთავს, მართალია, მარტინ იდენივით ნიჭიერი ვერ არისო. ოპონენტმა იმ წამსვე უპასუხა, თუ ეგეთი არ არის, რა თავს იტკიებო. წუთში ორი ახალგაზრდა კრიტიკოსის არაეთიკურობისა და სხვისი ღირსების არაფრად ჩაგდების მსხვერპლი გავხდი. მე ხომ ამ დროს დაბეჭდილი არ ვიყავი, ჩემი ხელნაწერები ორიოდე კაცს თუ ჰქონდა წაკითხული და კრიტიკოსებმა გამოავლინეს, რომ საკუთარი მახვილგონიერების დემონსტრირება უფრო სურდათ, ვიდრე ჭეშმარიტებისა... რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ეს წიგნები დაიბეჭდა და მითოსზე საუბარი მოდური გახდა, სს-მ წერილში ჩამოთვალა ყველა ტიტულოვანი მწერალი, ვისაც კი მითოსისკენ კალამი გაექცა

და იქვე ცალკე მიაწერა, აგრეთვე ჯ. ქირიაცო. ვკითხე, ეს „აგრეთვე“ რას ნიშნავს-მეთქი. იმათს სიაში რომ ჩამეწერე, ეწყინებოდათო, სერიოზულად მიპასუხა. იმთავითვე ვიცოდი, რომ შორს წავიდოდა და ეს ვარაუდი გამართლდა კიდეც...

სათქმელს გადავუხვიე! მოკლედ, სს-ს ხელნაწერი გამოვართვი და ესეც „ცისკარში“ მივიტანე. დაიწყო ახალი, ამჯერად ხუთწლიანი მარათონი, მცირე იმედებითა და დიდი გულისტკივილებით დატვირთული.

თურმე თითქმის ყველა თანამშრომელს უნდა წაეკითხა რიგრიგობით. ეს ალბათ დროის გაჭიანურების მეთოდი უფრო იყო. დაბალი ეშელონის თანამშრომლებმა მართლაც წაიკითხეს და აზრიც ჩემთვის სასიამოვნო აღმოჩნდა. წინ თითქოს არაფერი მეღობებოდა. ერთადერთს, განყოფილების გამგეს, თავისთავად კარგ პოეტსა და ადამიანს, ვერაფრით წავაკითხე. თავის ტკივილები აწუხებდა და ამსისქე ნაწარმოების წაკითხვა ეზარებოდა, ან აპრიორი ფიქრობდა, ვიღაც ქირია რანაირად იქნება რიგიანი რომანის დამწერიო... მითხრეს, ახლა მწერალი ლ.მ. წაიკითხავს და საერთო აზრი გვექნებაო. მეგობრულ სუფრაზე შეზარხოშებული ტექნიკური რედაქტორი მეუბნებოდა, ლევ ტოლსტოის გადარებსო. ცხადია, ღვინო ალაპარაკებდა, მაგრამ ტოლსტოი არადა, ის მაინც დავიჯერე, რომ ლ.მ.-საც მოსწონს-მეთქი.

გამოვცხადდი დათქმულ დღეს, დავუჯექი წინ ჩემს შემფასებელს, იმან კი ამრეზით ამხედა და მომიგდო.

„რა არის ეს? ეს რამ დაგაწერინა, შე კაცო!“

ჩემი მორიდებულობა უმალ გაქრა. სიმშვიდე დამეუფლა. ხმისთვის არ ამიწევია, ის კი წვალობდა და არ იცოდა, რითი დაემტკიცებინა რომანის უვარგისობა. შევეკითხე, ნუთუ ამ ჟურნალში ბევრი იბეჭდება ამაზე საინტერესო-მეთქი. „იმათ პრეტენზიები არა აქვთ!“ აი, აქაც წინ დამხვდა ჩემი პრეტენზიები. თავი უპრეტენზიო მეგონა, სხვები კი ჩემს ქმედებებში პრეტენზიებს ხედავენ. მაშ, უპრეტენზიობის გამო უარესები უნდა ვბეჭდოთ-მეთქი, დავინტერესდი. ამ დროს ოცნებით წარმოსთქვა გასაოცარი სიტყვები: „აი, ეს შენობა ჩემი აშენებული რომ იყოს, რა პერსონაჟებით დავასახლებდი!“ „ეს შენობა მე ავაშენე და რანაირი პერსონაჟებითაც მინდოდა, იმით დავასახლე! — ასე ვუპასუხე. – თანაც საქმის ნახევარზე მეტი სწორედ შენობის აშენებაა!“

ვატყობ, ზოგიერთებს აწყობს, რომ ხელნაწერი წავიღო, მაგრამ მხარდაჭერასაც ხომ ვგრძნობ და არსად არ მიმაქვს.

ბოლოს კომპრომისს მთავაზობენ! უნდა გავაკეთო საჟურნალო ვარიანტი, თორმეტ-ცამეტი თაბახი. რომანისათვის ეს წამგებიანია, მაგრამ მთლიან მოცულობას ჟურნალი მართლაც ვერ აუვა.

40

რომანი ახალი მიტანილი მქონდა, როცა „ცისკარს“ საკმაოდ ვრცელი ნარკვევი ვაახლე – „მაოიზმის აისბერგი“. მასში ვყვებოდი ჩინეთში ჩემი მოგზაურობის ამბავს, თან გზა-გზა მაოიზმს ვაკრიტიკებდი. ალბათ სიხარულით დამიბეჭდავდნენ, შიგ რომ საზღვრის უკანონო დარღვევის ამბავიც არ ყოფილიყო. მთავლიტში გააგზავნეს კიდეც, მაგრამ ცენზურამ ნება არ დაგვრთო. მორიდებით თქვა ციალა არდაშელიამ, „პრავდის“ კორესპონდენტის ნაწერს მაგონებსო. ნათქვამი ქებად აღვიქვი. სინამდვილეში, ჟურნალისტური დონე კი არა, პოლიტიკური პოზიცია იგულისხმებოდა.

ბრეჟნევის ეპოქაში კვლავ ორთოდოქს მარქსისტად ვრჩებოდი, თუმცა, ვფიქრობ, რომანის სულისკვეთება სულ სხვას მეტყველებდა... ჩემი პოლიტიკური შეხედულებები ინერციის წყალობით გაიყინა. მე ხომ ძირითადად დაკავებული ვიყავი რომანების სიუჟეტებით, ტიპაჟით... ჩემი საფიქრალსაზრუნავი ჩემი ხელნაწერების ირგვლივ ტრიალებდა და არც დრო მქონდა საამისო, საჭიროებასაც ვერ ვხედავდი, რომ მსოფლმხედველობრივი რევიზია მომეხდინა.

ამასობაში ჩუმად მოიპარებოდა ახალი ეპოქა. გარეგნულად ქვეყანა გრანიტზე უმტკიცესად იდგა. პირველად, საბჭოეთის მთელი ისტორიის მანძილზე, რიგითმა მოქალაქემ საჭმე-

ლი იშოვა, უცხოეთში მოგზაურობა შეძლო, ჩაიცვა და დაიხურა... დემოკრატია თითქოს მთლად ფარატინა ქაღალდი არ იყო. იწერებოდა და ქვეყნდებოდა მეტ-ნაკლებად თამამი, კრიტიკული მუხტის მქონე ნაწარმოებები, იდგმებოდა სპექტაკლები, გამოდიოდა ფილმები...

ლეონიდ ბრეჟნევი ჩამობრძანდა თბილი-ქალაქში. ქუჩები და პროსპექტები გადაიკეტა, დროშებმა და ტრანსპარანტებმა წითლად ააჭრელა. მე უნივერსიტეტის ეზოში ვიდექი. ბრეჟნევი კიბეზე ელეგანტურად დაეშვა (ჯერაც არ ეტყობოდა უკურნებელი სენი!). ეზოში თავმოყრილმა საზოგადოებამ ტაში დასცხო. მავანი კომკავშირელი ისე გათამამდა, გზა გადაუჭრა და ჩაეხუტა.

მაძღარ და აწყობილ ქვეყანას რღვევისა და ლპობის ნიშნები უკვე შეეპარა, მაგრამ ამის დანახვა ყველას არ შეეძლო. პირიქით, ახალი, ბრეჟნევული კონსტიტუცია გვირგვინი უნდა ყოფილიყო ეპოქისა... იყვნენ თითო-ოროლა უკმაყოფილონი... იქ, რუსეთში სახაროვი... რა უნდა, რა არ ასვენებს?.. აქ ხულიგანი კოსტავა და არანაკლებ ხულიგანი ზვიად გამსახურდია... თითო-ოროლა უკმაყოფილო ყოველთვის დაიძებნება... დიდი ტაშ-ფანდურით გამოქვეყნდა კონსტიტუციის პროექტი და გაფაჩუნდა ფრთხილი, ჩურჩულით ნათქვამი სიტყვები – „სად არის ის მუხლი? ენას გვართმევენ?“ ჩურჩული თამამ ლაპარაკში გადაიზარდა. მოსკოვიდან დაგვამშვიდეს, ეს მუხლი არც სხვა რესპუბლიკების კონსტიტუციებში წერია და უნიფიცირება ხდებაო. რესპუბლიკების კონსტიტუციები ყველას ფარატინა ქაღალდად მიაჩნდა და შიგ არც არავინ იხედებოდა... მაგრამ, ნუ იტყვით, საკითხი დაისვა და ფორმალური ტექსტი ნაღმივით აფეთქდა.

საიდან წამოვიდა პირველი ბიძგი? ზოგი ამტკიცებს, სამთავრობო ეშელონებიდანო, ზოგიც – უმაღლესი სასწავლებლებიდან და აკადემიური ინსტიტუტებიდანო... ალბათ ყველანი მართლები არიან!.. საზოგადოებაში მომწიფდა ეროვნული ერთიანობის გრძნობა და საბაბიც კმაროდა, რათა ერს თავისი ნება გამოეხატა.

მე მწერალთა კავშირის წევრი არ ვიყავი, მაგრამ მაინც

მწერალთა კრებას მივაშურე. მღელვარება თანაბრად ყველას გადაგვედო. გამომსვლელთა გრძელი სია შედგა, სადღაც კუდში მეც ვეწერე, ოღონდ კრებამ მანამდე ვერ გააღწია. ნოდარ წულეისკირი გამოვიდა თავისი ცნობილი სიტყვით, პარტიის მანდატის დაგდებით იმუქრებოდა. სხვების გამოსვლები მთლად ასე რადიკალური არ იყო, მაგრამ იმ დროისათვის მეტ სითამამეს ალბათ ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა. ზოგი კომპრომისებს გვთავაზობდა, ზოგის გამოსვლას კონფორმიზმის სუნი უდიოდა. დაბოლოს, ჩვეული სიდინჯით, ღრმადგააზრებული სიტყვით აკაკი ბაქრაძე გამოვიდა და გადაწყდა, კრება ამაზე დამთავრებულიყო... სათქმელს უკეთ ალბათ ვერავინ იტყოდა.

უნივერსიტეტში ორომტრიალი იდგა, ახალგაზრდები ყალყზე შეიმართნენ. საფრთხე აშკარა გახდა. უფროს თაობას 9 მარტის ამბები გაახსენდა, ეშინოდათ, საქმე კვლავ სისხლით არ დამთავრებულიყო. თოთხმეტ აპრილს ქალაქი უჩვეულო მოლოდინმა შეიპყრო. ჩემთან ამ დროს ცოლისძმა ცხოვრობდა. ვიფიქრე, ყმაწვილია, შარში არ გაეხვიოს-მეთქი და გავაფრთხილე, შინ დარჩენილიყო. მეუღლესაც ვუბრძანე, ბავშვებისათვის მიეხედა, თვითონ კი ახალგაზრდების კოლონას გავყევი.

მელიქიშვილს მოულოდნელად აუარებელი ტაქსი მოაწყდა. მთლიანად დაიკავეს სამანქანო გზა. ესენი განგებ გამოუშვეს, რათა კოლონა გაეხლიჩათ.

ზემელზე გზა გადახიდული დაგვხვდა. ზოგიერთი ჩვენი ლიტერატურული და სამეცნიერო ჭკუისმასწავლებელი ახალგაზრდების დაშოშმინებას და უნივერსიტეტისაკენ შებრუნებას ცდილობდა. სტუდენტები ძველ ავტორიტეტებს არაფრად აგდებდნენ, ავტორიტეტი ის ხდებოდა, ვინც წინ გაუძღვებოდა.

მოვიხედე, ცოლისძმაც აგერაა და მეუღლეც, შინ ვერ გაჩერებულან.

პირველ ხერგილს როგორღაც გავაღწიეთ. ოპერასთან მეორე ხერგილი ეყენა. ამასაც შემოვუარეთ და მთავრობის სასახლემდე მივაღწიეთ.

სასახლის მოედანი მთლიანად გაჭედილი იყო ახალგაზრდებით. ძირს ისხდნენ. ჩვენც მათ შორის ჩავცუცქდით. უჩვე-

ულო გრძნობამ შემიპყრო. შიშით არ შემშინებია! ამდენი ახალგაზრდა სიცოცხლეს სასწორზე აგდებდა და ჩემი სიცოცხლე ჩირადაც არ მიღირდა. პირიქით, უჩვეულო აღმაფრენა დამეუფლა. კონსტიტუციის ფორმალური სიტყვების გამო კი არ ხდებოდა ეს ჭიდილი. დღეს აქ მტკიცდებოდა საქართველოს სულიერი მეობა... მე არ გახლდით ამ აქციის ორგანიზატორი, არანაირი წილი ამ საქმეში მე არ მიმიღია, გარდა იმისა, რომ ერთი ვიყავი ათასიდან, ჩემი ოჯახის ორი წევრიც აგერ ღია ცისქვეშ იჯდა და ელოდა პასუხს ან ტყვიას... ამიტომ ვგრძნობდი თავს ბედნიერ კაცად... თურმე რა ცოტა კმარა ბედნიერებისათვის, თუკი შენ სიმართლისა და ჭეშმარიტების მხარეს დადგები.

იმ დღის პასუხი ცნობილია!

41

ერთი ყოფილი თანაკურსელი შემხვდა. ცუდი არასოდეს მიკადრებია, როგორც ყველას, ისე ვექცეოდი. დაცინვით მკითხა: „ძველებურად ტყუილ-უბრალოდ დადიხარ მაგ „ცისკარში“?“ „გეტყობა არაფერს კითხულობ, — იმავე კილოთი მივუგე, – თორემ ერთ რომანს მაღაზიაში წააწყდებოდი, მეორეს კი „ცისკრის“ ფურცლებზე!“ პირისახე დაუგრძელდა და ცივად გამშორდა. ვერ მივხვდი, რა დავუშავე. ალბათ ჩემდაუნებურად ვაწყენინე.

ორი რომანის ამბავი კი ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა.

„ცისკარშიც“ და „მერანშიც“ არაერთგზის შეიცვალა ხელმძღვანელობა. ზოგი სადავე ჩემი თაობის ლიტერატორთა ხელში გადავიდა. ოღონდ უცნაურია, მაგრამ სკამი ადამიანს რადიკალურად ცვლის. იგი იმ სკამს ემსგავსება, რომელზეც ზის... სიტყვით ჩემი წინააღმდეგი არავინ იყო, ოღონდ საქმე ადგილიდან არ იძვროდა.

სამწუხაროდ, განა მარტო მე მივათრევდი მძიმე ტვირთს, მთელი ჩემი თაობა, ყველანი ცალ-ცალკე ვეზიდებოდით ჩვენს გასაჭირს და ამიტომაც გვეჩვენებოდა ეს ტვირთი უსამართლო. ვინც დაინტერესდება და გამოიკვლევს ჩვენი თაობის შემოქმედებას, აღმოაჩენს, რომ მცირე გამონაკლისის გარდა (კეთილი ძია, ან კონფორმისტის შესაშური თვისებები!), ყველამ პირველი წიგნი 38-40 წლის ასაკში გამოსცა.

80-იანი წლების მიჯნაზე ახალგაზრდულ ლიტერატურულ წრეებში თანდათან გაძლიერდა მეამბოხური განწყობილება. ადრე თითქოს არსებობდა ახალგაზრდებთან მუშაობის სისტემა. ტარდებოდა ქეიფნარევი ღონისძიებები, მსგავსი თელავის სემინარისა, ანდა შეხვედრები ლიტერატურულ ჩინოსნებთან, რასაც ამ ჩინოსნებისათვის სახელი მოჰქონდა, ჩვენთვის კი არაფერი. ერთხელ თავმჯდომარესთან, თავისთავად კეთილ ადამიანთან, მიგვიწვიეს. ყველანი სათითაოდ გვალაპარაკეს. ჩვენი ჩივილნარევი სიტყვები პრესაში გამოაქვეყნეს. თავმჯდომარეს თანაგრძნობის ცრემლი გადმოუგორდა, მაგრამ ეს თანაგრძნობა კრების ბოლომდე ძლივს გაჰყვა და სეფესიტყვაში ბრძანა, არა მჯერა, რომელიმე გამომცემელს პორტფელში რაიმე ღირებული ედოს და დროზე არ აქვეყნებდესო. ბედნიერი! მის ნაწერს, რა თქმა უნდა, პორტფელში არავინ გააჩერებდა. ჩვენ კი ლაპარაკი ლაპარაკად შეგვრჩა!

არავინ იყო ჩვენი დამხმარე, ჩვენ თვითონ უნდა გვებრძოლა საკუთარი ინტერესების დასაცავად. სწორედ მაშინ შეიკრა ახალგაზრდათა წრე და შეტევაზე გადავიდა. თვითონ მე ხმა არ ამომიღია. ადამიანი ვერ იტყვის, კარგი წიგნი დავწერე და არ მიბეჭდავენო. უფრო იოლია, მავანსა აქვს ასეთი წიგნები და გზას უკეტავენო. ამიტომ ჩემი სახელი შეაგდეს და ატრიალეს. ჩემი წიგნები არავინ იცოდა, სახელი კი ბევრმა გაიგო.

„მერანთან“ ჩემი ურთიერთობის საიუბილეო, მეათე წელს დირექტორად მოგვევლინა ბატონი ლუკა ხუნდაძე. ჩემი წიგნი გეგმიდან გეგმაში გადადიოდა და თან თაბახთა რაოდენობა აკლდებოდა. ადრე თუ თხუთმეტ თაბახს მიწერდნენ, ბოლოს რვა ჩაუწერიათ. ცხადია, თხუთმეტთაბახიანს რვათაბახიანად ვერ ვაქცვდი, რაც იმის საბაბად გამოდგებოდა, რომ ერთი-ორი წლით კიდევ გადავეგდეთ. ტექსტი ცამეტ თაბახამდე დავიყვანე და გამოვცხადდი.

დირექტორის კაბინეტთან, ვხედავ, ხალხი ბლომად ირევა.

შედიან და გამოდიან. მოღიავებული კარიდან მოჩანს დაღლილი ბატონი ლუკა. ვყოყმანობ, მერიდება. უცებ თავი ასწია, დამინახა და ხელი დამიქნია. თავზე დავადექი. „რა იყო?“– ამომხედა. საწყალობლად ჩავიწუწუნე – „რომანია და რა ვუყო ახლა, მეტს ვერ შევამცირებ!“ განყოფილების გამგე, წლიდან წლამდე მეგობრობას რომ მეფიცება, ჩემს სასარგებლოდ კი თითიც არ გაუნძრევია, დირექტორს წინ უდებს დამტკიცებულ გეგმას და უჩვენებს შიგ ჩაწერილ რვიანს... „ჩაასწორე!“ – ცივად მიუგდებს ბატონი ლუკა. განყოფილების გამგეს ნირი ეცვლება – „როგორ?“ „აი, ასე!“ – პასუხობს ბატონი ლუკა, ხელიდან კალმისტარს ართმევს და რვიანის ადგილას ცამეტიანს წერს.

ორმოცი წლის შესრულებამდე ორიოდე კვირით ადრე მეფური ლხინი გადავიხადე. რაც ჰონორარი მერგებოდა, ორი მესამედი დავხარჯე. სასიგნალო ძლივს მოესწრო, ჩემმა თანამშრომელმა სოსო თოდუამ მომირბენინა სტამბიდან ერთი ცალი. სუფრაზე საპატიო სტუმრად ბატონი ლუკა მყავდა. ნათესავ-მეგობრები ბლომად მესტუმრნენ... ჩემი ხუთი წლის ირინე ცეკვავდა, ოთხი წლის თეა კი აღფრთოვანებით შესცინებდა უფროს დაიკოს...

ძლივს გამოანათა!

„ცისკარშიც“ საქმე წაღმა მობრუნდა. რედაქტორად ბატონი მორის ფოცხიშვილი დანიშნეს და მოსვლისთანავე განაცხადა, ამისი რომანი უნდა დავბეჭდოო... საჟურნალო ვარიანტს რომ ვაკეთებდი, სათაური მაშინ შევცვალე, თითქოს სიზმრად გამომეცხადა! დილით გამომეღვიძა და უცბად თავში დარეკა – „მარადი მხედარი“.

ბატონი მორისი ჩემი ბედნიერი დღეების ავტორია. ამ პუბლიკაციამ მხრებიდან მძიმე ტვირთი ჩამომხსნა, ამომასუნთქა, დამარწმუნა, რომ მეც რამედ ვღირვარ... ექვს ნომერში მიდიოდა საჟურნალო ვარიანტი. ბუნებრივია, იმისი იმედი არც მქონია, რომ ყველას მოეწონებოდა, მაგრამ მცირედი ქება მაინც შემხვდა...

ბატონ მორისს ხშირად ვერ ვაწუხებდი. მომდევნო წიგნს რომ გამოვცემდი, საჩუქრად მიმქონდა ხოლმე. დიდი მოკრძალებით ვესაუბრებოდი, ჩემს იმედებსა და გეგმებზე ვუყვებოდი. ინფარქტი გადაიტანა და მომიყვა, თუ როგორ მიფრინავდა თეთრ გვირაბში და როგორი ტკივილებით დაუბრუნდა საკუთარ სხეულს... სამწუხაროდ, იგი დღეს აღარაა, იმ თავის ტკივილებს ვეღარასოდეს დაუბრუნდება, სამუდამოდ გაფრინდა თავის ლაჟვარდოვან ნირვანაში...

42

ერთხელ შუაღამისას დამიკაკუნეს. ზღურბლზე ჩემი ახლობელი იდგა. კარგად ნაბახუსევი ჩანდა. თან თავისნაირი ჭკუამხიარული ძმაკაცი ახლდა. ახლობელმა ბოდიშები დამიფინა, აქვე ახლოს ვქეიფობდით და ამ ჩემს ძმაკაცს არ სჯერა, რომ ჩემი ნათესავი ხარო... ა, ბატონო, დაფნის პირველი გვირგვინი! პატარებს ეძინათ, ვიფიქრე, შემიშინდებიან-მეთქი, ავიღე ყველი, პური, ბოთლი არაყი და ეზოში, ბაღის სკამზე მოვკალათდით... ისე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, ბავშვები არა და თავზევით წამოყუდებული სახლის მობინადრენი მგონი მართლაც დავაღვიძეთ... ახალმა ნაცნობმა განმიცხადა, ჩვეულებრივი მოკვდავი ვარ, ლექტორი, ამიტომ კიდეც უნდა ვიქეიფო, პურიც უნდა ვჭამო, ფულიც უნდა ვაკეთო, აგერ რაიკომის მდივნის შვილს ხელი წავკარი და მაყუთი მოვხიეო... თქვენ კი ერის ლიდერები ხართ, დროშების ფრიალით ბარიკადებზე უნდა ახვიდეთ და მტრის ტყვიას მკერდი მიუშვიროთო... ცხადია, არავისი ლიდერი მე არ ვიყავი. ესე იგი, — ვკითხე, —თქვენ, რაკი რომანს არა წერთ, უფლება გაქვთ ქრთამიც აიღოთ, მაძღრისად მიირთვათ, მე კი ვალდებული ვარ ცხელ ტყვიას შევეგებო, რათა ჭამისაგან ბოყინი რომ აგივარდებათ, საშუალება გქონდეთ, წაიტრაბახოთ, ეს რა მაგრები ვართ ქართველები, მოწამეები და გმირები გვყავსო... ასეა ესო, დამიდასტურა. ვერავითარი რეალური ბარიკადები, გარდა ლიტერატურისა, იმ დროს არ ჩანდა, ტყვიაც არსაიდან მომელოდა, მაგრამ სტუმრის ნათქვამმა გამაღიზიანა. შემომხედა ამ კაცმა და ასე მითხრა: „დაგეხვევა ახლა მთავრობა, აგავსებს სიკეთეებით და შენც სხვებივით კლიზმა გახდები!“ მსგავსი წყალობის იმედი

ნაღდად არა მქონია და, აქედან, არც ასეთი საშიშროება მომელოდა. ორი კი არა, ორმოცი რომანი რომ გამოვცე, ჩემნაირი ბუნების კაცს წყალობით არავინ აავსებს, რადგან ალბათ არ ძალმიძს გავცე ის, რასაც წყალობის საპასუხოდ გასცემენ.

ცვლილებები კი ჩემს ცხოვრებაში მართლაც მოხდა, ოღონდ ეს არავისი წყალობა არ გახლდათ. მიმიღეს მწერალთა კავშირში. ამას არსებობის პირობები იოტისოდენადაც არ შეუცვლია, მაგრამ მცირე ხნით სულიერი სიმყარე შემძინა. ამიერიდან „კანონიერი“ მწერალი ვიყავი, ვერავინ მეტყოდა, ვინა გდიხარ, საიდან მოსულხარო. თუმცა ამის შემდეგაც მიჭირდა გამხელა, რომ თავს მწერლად ვთვლიდი და თუ აუცილებელი იყო ამისი გამხელა, სათქმელს ირონიულ ფორმას მივცემდი, თავს ვიქილიკებდი, „მწერალი-მოქალაქე“-მეთქი, ვიტყოდი. სწორედ ეს „მოქალაქე“ აშარჟებდა ნათქვამს და ამიტომ ასე უფრო მეიოლებოდა.

ბინაც იმავე ოთხმოც წელს მომცეს, ოღონდ ქაღალდზე. ეს საქმე ცხრა წლით ადრე წამოვიწყე. გამომცემლობაში ჩემს შემდეგ მიღებული თანამშრომელი, ვხედავ, ქაღალდებს დააფრიალებს. რა ქაღალდებია-მეთქი, შევეკითხე. ბინის აღრიცხვაზე ვდგებიო. ბიჭოს, მე რატომ არ უნდა დავდგე-მეთქი და დავტრიალდი. აღრიცხვაზე ამიყვანეს და შეღავათიან სიაშიც ჩამწერეს, ომში დაღუპულთა შვილებისა. ერთი პერიოდი, მიმავიწყდა კიდეც ეს ამბავი, იმედი არც მქონია და იმიტომ. ნაცნობი შემხვდა, მე და შენ რიგში წავიწიეთო, მახარა. რა რიგია-მეთქი, გამიკვირდა. მიდი, აღმასკომში სია ჰკიდია, იქ სწერიხარო. მივედი, ვხედავ, აგერა ვარ, თანაც მომდევნო წელს მიწევს. ორი გოგონას პატრონი ვიყავი და იმდენი ეშმაკობა აღმომაჩნდა, ერთი ბიჭიც მივუსწრაფე.

ამასთან დაკავშირებით, ერთი უცნაური მოგონება დამჩემდა. არც სიზმრიდან გამომყოლია, ცხადადაც შეუძლებელი იყო. ვითომ ბინის სანახავად წავედი. მინდვრის მიღმა მრავალსართულიანი სახლი იდგა. სადარბაზოში შევედი, ჩემს ბინას მივაგენი, დავათვალიერე, უკან მოვბრუნდი და მას შემდეგ გზა იქითკენ დამეკარგა. მრავალი წელი მახსოვს ეს სურათი და ვერაფრით გამიგია, ჩემს ტვინში საიდან ჩაიჭედა. ხანდახან

ვფიქრობ, იქნებ ოდესღაც სხვა ცხოვრებით ვცხოვრობდი და იმისი კვალი ტვინის რომელიღაც ხვეულში ჩარჩა.

43

ორდერი მომცეს თუ არა, გავქანდი ვაზისუბნისაკენ. რატომღაც წარმომედგინა, რომ ჩემი სახლი გორაკის თავზე იქნებოდა და აივნიდან თბილისის ხედი გადაიშლებოდა. სიარულით ფეხები დამაწყდა, ჩემს სახლს კი ვერა და ვერ მივაგენი. ვიღაც ღვთისნიერმა ამიხსნა, შენ, ბიძია, კვარტალი შეგშლია და აი, მინდვრის კიდეზე რომ შენობა წამოყუდებულა, ალბათ ის იქნება შენი კორპუსიო.

მართლაც, ტალახით აზელილი გზის ბოლოს, ტრიალ მინდორზე, საიდანაც არავითარი თბილისური ხედები არ გადაიშლება, განცალკევებული კორპუსი შენდება.

მივაღწიე იქამდე. დიახ, ეს ჩემი კორპუსია! შევედი პირველ სადარბაზოში, ავედი მეექვსე სართულზე და ვთქი, აი, ჩემი ბინა! უმალ პატრონი დამადგა თავზე, შეგეშალა, გენაცვალე, ეს ბოლო სადარბაზოა, შენისა კი საძირკველიც არაა ამოთხრილიო... საძირკველი კი აღმოჩნდა ამოთხრილი, მაგრამ შიგ მღვრიე გუბე იდგა და ბაყაყი აყვლიპინებდა თვალებს.

კაი ორი წელი მოუნდა იმ ორდერის ბინად გადაქცევას. ხშირად ვაკითხავდი. ერთხელ უფროსი გოგონა ავიყვანე, გაიკვირვა, ქალაქიდან სოფელში უნდა გადავსახლდეთო?

ძლივს აიგო ბეტონის ჩონჩხი და მეუღლის ბებია გვესტუმრა, ბინის დათვალიერება მოიწადინა. აუჩქარებლად ავედით მტვრითა და გაჯით სავსე კიბეზე. შებრძანდა მომავალ ბინაში, მიიხედ-მოიხედა, მოიწონა და ერთადერთი შენიშვნა დაგვიგდო: „ა, ბატონო, აქაც უნდა გაჭრათ კარი!“ ეს ის კედელი იყო, რომლის მიღმა მომდევნო სადარბაზოს ბინა იგულისხმებოდა.

დეკემბრის ბოლოს გასაღები მომცეს. ქოხის სივიწროვე უკვე სულს მიხუთავდა და ერთი დღეც არ დამიყოვნებია. მეგობარი მყავდა, საქალაქო ავტობუსის მძღოლი. დავტვირთეთ ამ ავტობუსში ჩვენი ქონება და სიცილ-სიცილ ავგრიალდით

ახალ ბინაში. არც გათბობა იყო ჩართული, არც წყალი, არც გაზი და დენი, ცივი ჰაერი ბევრი გვქონდა!

ახალი წლის ღამეს ქალაქიდან ამოსულს მთელი უბანი წყვდიადში დამხვდა. მეუღლეს ბავშვები ლოგინში ჩაუთბუნებია. პატარებმა ნაძვისხე სიზმარში თუ ნახეს. სამაგიეროდ ორი წლის სამსონს ახლა უკვე საკმარისი ფართი ჰქონდა საჯირითოდ...

44

ჩემი პირველი წიგნი, ბუნებრივია, ზოგიერთ მწერალს ვაახლე. მაშინ პირადად არ ვიცნობდი ბატონ რევაზ თვარაძეს, მაგრამ თუ ვინმე მიმაჩნდა მაღალი ინტელექტის ლიტერატორად, ერთი უპირველესი ის იყო. ამიტომ ქალბატონ ეთერ თვარაძის ხელით გავუგზავნე. ათიოდე დღის შემდეგ „ცისკრის“ კიბეზე შემხვდა. ახალგაზრდა მწერლებთან ვიდექი, იმათ ალბათ იცნობდა და ხელი ჩამოართვა. ჩემი სახელი ვუთხარი, თან ვკითხე, წიგნი თუ გადმოგცეს-მეთქი. „გადმომცეს კიდეც და ერთ ღამეში წავიკითხე კიდეც!“ – სიცილით მიპასუხა, თან დასძინა, სწორედ ამიტომ ვაპირებ „მარადი მხედარის“ წაკითხვასო. ამოვიოხრე, საწყენია, რომ მხოლოდ საჟურნალო ვარიანტს გაეცნობით-მეთქი... სრული ტექსტი როგორღა წავიკითხოო... გავთამამდი და ვთხოვე, ხელნაწერს მოგართმევთ, მაგრამ რაკი წაიკითხავთ, ბარემ პირუთვნელი რეცენზიაც დამიწერეთ-მეთქი. დამთანხმდა.

მეორე დღესვე გაუგზავნეს „მერანიდან“, თუმცა არ ეგონათ, რომ სწრაფად მოიცლიდა. მოიცალა და საკმაოდ მალეც! თოთხმეტგვერდიან რეცენზიაში ცამეტი შენიშვნებს ეჭირა. გულმოდგინედ იყო აღნუსხული სტილისტური, ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცოდებანიც კი. არ მეგონა, თუ ვინმე ასეთი ყურადღებით წაიკითხავდა უმცროსი კოლეგის ხელნაწერს. უამრავი რამ ამ შენიშვნებიდან გამოვიყენე კიდეც... მაგრამ ჩემთვის უმთავრესი და საამაყო ის გვერდნახევარი გახლდათ, რითაც რეცენზია იწყებოდა. მისი სიტყვა-სიტყვით ციტირება მეუხერხულება, მაინც ვიტყვი, რომ რეცენზენტი თვლიდა, ამისი ავტორი ჯოჯოხეთში გავლილი კაციაო, რომანზე კარგის თქმა არ კმარა, „დიდებული“ რომანია და გამომცემლობამ სასწრაფოდ უნდა გამოსცესო. ამ განწყობილებით მივიდა თურმე გამომცემლობაში და ფრიადაც გაუკვირდა, როცა ჩემმა ტოლ-სწორებმა შორს დაიჭირეს, საგამომცემლო გეგმები მოიმიზეზეს.

მხოლოდ ოთხმოდახუთში მოხერხდა წიგნის გამოცემა, თანაც ერთი ტირაჟით. წიგნის დაწერის მეათე წელი გახლდათ! ასე დამებედა ალბათ.

არა ვარ კაი კაცი და იმიტომ თუ დამამახსოვრდა! გახარებული შევდივარ პოეტ-ჩინოვნიკთან, ხელში სქელტანიანი რომანი მიჭირავს, სტამბის სუნი ასდის. წყენა აღარ მახსოვს და ვჩუქნი ამ წვითა და დაგვით გამოცემულ წიგნს. დახედა, გმადლობო, ჩაიდუდუნა, კედლის კარადის სულ ქვედა უჯრა გამოაღო, იატაკის დონეზე, და წიგნი შიგ მოისროლა... გული მეტკინა! იქნებ იმას ჩემი დამცირება არ უფიქრია, კარადაში იმიტომ შეინახა, მერე შინ წაელო, მაგრამ პოეტს ხომ სულის სიფაქიზე უნდა კარნახობდეს თუნდაც გარეგნულ არისტოკრატიზმს...

45

ხელმოკლე მოხელის განაწესით ვცხოვრობდი. იქნებ ასეც ჯობდა! ცხოვრებას იმაზე მეტ პრეტენზიას ვერ წავუყენებდი, ვიდრე გავწვდებოდი... სამსახური, ოჯახი, წიგნები... თეატრი, კინო, ხეტიალი ქუჩებში და ქალაქის შემოგარენში... ზრუნვა ყოფით დეტალებზე... განვადებით გამოტანილი ტელევიზორი... ბავშვის ტანსაცმელი... ხანდახან საზაფხულოდ ზღვისპირა აგარაკები... ექსკურსიები... პოლიტიკური და ლიტერატურული ჭორები...

ბრეჟნევისეული ჭაობი, როცა ყველაფერი ყარს, მაგრამ სუნთქვა შეჩვეული გვაქვს და ნორმად აღიქმება. ბრეჟნევი მეორეჯერ ჩამოდის. ფეხზე ძლივსა დგას. სპორტის სასახლის წინ ტრიბუნა აუგეს. პურის მაღაზია დროებით საპირფარეშოდ გადაუკეთეს, რადგან გენერალურ მდივანს წამდაუწუმ ეპარება.

მაღაზიებში იშოვება ძეხვი, ყველი და შედედებული რძე,

ის მაქსიმუმი, რასაც საბჭოეთმა მიაღწია ნახევარი საუკუნის ტიტანური შრომისა და მსხვერპლის ფასად.

ხანდახან გამოკრთება ბედნიერი წუთები... აგერ ყველანი ზუგდიდში ვართ, მამისეულ სუფრას ვუსხედვართ, დედაჩემი, მამინაცვალი და ხუთი დაწყვილებული და-ძმა... ვსვამთ, ვცეკვავთ, ვმღერივართ... რაც მთავარია, ყველანი ჯანმრთელნი ვართ... დიდი ქონება ჩვენ ვერ შევიძინეთ, ხელმოკლენი დავრჩით, მაგრამ ჩვენი ღატაკური სტარტის პირობაზე თავი შეძლებულნი გვგონია. მტრის ჯინაზე, მძიმე ხვედრის საპირისპიროდ, მშიერი ბავშვობიდან წამოსულნი, ცოცხლები ვართ... დედაჩემს უკვე თექვსმეტი შვილიშვილი ჰყავს, ჩვენს გვარსა და ჯილაგს გადაშენება არ უწერია... და ახლა, ამ სუფრაზე ჩვენი სადღეგრძელოების შინაარსი სწორედ ესაა: ჩვენ გადავურჩით ბედის უკუღმართობას, რადგან უკლებლივ ყველანი ცოცხალნი ვართ, ჩვენს ქალებს შავები არ ჩაუცვამთ...

ეშმაკი თუ გვისმენდა იმ დღეს!

46

პირველად სიძემ დაგვაღალატა – რადიონ გვილიამ... ორმოცდაცამეტი წლისას ზაფხულის სიცხეში ანაკლიასთან გული გაუჩერდა... საქმის კაცი იყო, ოჯახის მოყვარული, უთქმელი. ჯარის შემდეგ მძღოლად დაიწყო მუშაობა, მერე კი უზარმაზარ სასაწყობო მეურნეობას ხელმძღვანელობდა. იმდენს ახერხებდა, ოჯახს გაუჭირვებლად ინახავდა. ჩემს პატარა დისწულს ერთხელ გავეანგლე სახუმარო არითმეტიკით: მამაშენის ხელფასია ას ოცი მანეთი. აქედან დედიკოს აძლევს ხუთას მანეთს, თვითოეულ თქვენთაგანს ორმოცდაათ მანეთს და ა.შ. დისწულმა მიყურა, მიყურა და უცებ ცრემლები გადმოყარა. ასე გვასწავლიდნენ, ფულის გაკეთება სირცხვილიაო. არადა, მილიონობით მანეთის ღირებულების საქონელი ებარა, წმინდანიც რომ ყოფილიყო, სახელმწიფო ნიხრით მუშას ვაგონს ვერ დააცლევინებდა... სისტემა იყო ისეთი, ყველანი გამოჭერილნი ჰყავდა სახელმწიფოს და ესეც, რა თქმა უნდა... ბუნებით პატიოსანი ადამიანი თავზე დემოკლეს მახვილს გრძნობდა, ყველაფერი გულთან მიჰქონდა და გულმა ვერ გაუძლო.

ოთხიდან სამი დისშვილი აქ იყო, თბილისში. დამირეკეს, მამა ცუდად გამხდარა, ზუგდიდში გვიბარებენო. ბინაში იდგნენ, კოლმეურნეობის მოედანზე და წუთში იქ გავჩნდი. სახლის მეპატრონემ განზე გამიხმო და სიმართლე მითხრა. ეს ჩვენი ოჯახის პირველი უბედურება იყო, მაგრამ ცრემლები დავმალე.

რკინიგზის სადგურს მივაშურეთ. ზუგდიდის მატარებელი გასული დაგხვდა. სხვას ვერ დაველოდებოდით და მანქანა ავიყვანეთ. მძღოლმა იფიქრა, ახალგაზრდებს გავართობო და მუსიკა ჩაგვირთო. „თუ ძმა ხარ, გამორთე, ვერა ვარ მაგის გუნებაზე!“– ვთხოვე.

სამივენი უკან ისხდნენ, მე მძღოლის გვერდით. მხოლოდ ერთმა მკითხა შიშიანად – „რამე იცი?“ ალბათ გრძნობდნენ უბედურებას, მაგრამ სიმართლეს უფრთხოდნენ. მთელი ეს გზა, თითქმის ექვსი საათი, მდუმარედ გავლიეთ.

ზუგდიდის მისადგომთან კიდევ ერთხელ მკითხეს – „შენ რამე იცი?“

„მე არაფერი ვიცი, მაგრამ მოემზადეთ უარესისათვის!“

ქუჩაში რომ შევუხვიეთ, ერთმა წამოიძახა:

„ვაიმე, ჭიშკარი ღიაა!“

ყველაფერი ნათელი გახდა.

ადამიანი ტირილით არ კვდება. ცრემლი ალბათ ის წამალია, სიცოცხლის უმძიმეს წუთებს რომ გადაგატანინებს...

47

სიკვდილმა მიჩვევა იცისო! ჩვენს ქალებს შავი გახუნებული არც ჰქონდათ, როცა შუათანა ძმამ, ორმოცდარვა წლის მუნტულიამ ჩამომაკითხა... თურმე ლიფტში შესვლა ვეღარ გაბედა, მეექვსე სართულზე ფეხით ამოვიდა. ჩემმა მეუღლემ კარი გაუღო და ელდა ეცა. მერე მითხრა, რომ შევხედე, სიკვდილი ვიგრძენი და საშინელი თავის ტკივილი ამივარდაო.

მისმა მორიდებულობამ და ხმის სისუსტემ შემაშინა. „ალბათ გავცივდი და მახველებსო!“ თვითონ ეგონა, ჭლექი მჭირსო და ეშინოდა, ბავშვებს არ გადავდოო.

მებრალებოდა, რადგან მისთვის ობლის კვერი ვერა და ვერ გამოცხვა.

პატარაობისას ანგელოზივით ბავშვი ყოფილა, ქერა, ცისფერთვალება, პუტკუნა. კრუნჩხვები დასჩემდა. ექიმებმა თურმე ვერაფერი უშველეს. ისევ სოფლის მკურნალმა დააყენა ფეხზე, ხალხური წამალი ასვა.

ბავშვობა სოფელში გაატარა.

თხუთმეტი წლისა დაქორწინდა თოთხმეტი წლის გრძელნაწნავა სოფლელ გოგოზე და მამისეულ სახლში გადმობარგდნენ. არაფერი ებადათ, გარდა გამრჯე ხელებისა. ქალაქშიც მუდამ ძროხა და ღორი ჰყავდათ, სოფლურ ყაიდაზე ცხოვრობდნენ. ლუდის ქარხანაში მუშაობდა, მძიმე ტომრებს ეზიდებოდა. უჭირდა შვილების გამოკვება და სხვა რა გზა ჰქონდა.

ერთხელ აგრეგატში თითები მოჰყვა, წაეცალა. რომ ეჩივლა, კარგ პენსიას დაუნიშნავდნენ, მაგრამ ვერ იკადრა.

ევროპული სტილის პირისახე რატომღაც უცბად დაუბერდა, ნაოჭებით დაეფარა. ვერ მივხვდით, რომ უწყალო სენი შეჰპარვოდა, ფილტვის ყელს შემოჰხვეოდა და თანდათანობით ახრჩობდა.

ერთი თვე თავზე ვადექით. ნეტა ადრევე ასეთი ყურადღებიანები ვყოფილიყავით, მოვფერებოდით, სიფხიზლე გამოგვეჩინა... უკვე გვიანი იყო! თვითონ იმედს არ ჰკარგავდა, სამომავლო გეგმებს აწყობდა. სიცოცხლე ისე სწყუროდა, ვერ წარმოედგინა, ეს მსუბუქი ხველება თუ გადაიყოლებდა.

დეპეშა ვაფრინე უფროს ძმასთან, შოთიკოსთან, დონბასში. გულჩვილი იყო, ამბავი რომ მიუვიდა, თურმე გული წაუვიდა. ზუგდიდს ჩამოვიდა. თბილისში მანქანით ჩამოვიყვანე. დაღლილი ჩანდა. მასაც ხმა შერბილებოდა. ვიფიქრე, გზამ დასცადამეთქი. საღამოს წნევა აუვარდა, კრიზი დაეწყო და სასწრაფოს გამოვუძახე. უკეთ რომ გახდა, მუნტულიასთან წავიყვანე. იმან გაიხარა, ცას ეწია სიხარულით. ამათ შევყურებდი, ვიცოდი, რომ

ერთი განწირული იყო, მაგრამ ის კი ვერ წარმომედგინა, რომ უფროსი ძმის სხეულშიც ჩაბუდებულიყო არანაკლებ საშიში სენი და არც მას ეწერა დიდი ჟამი.

წნევამ ხელმეორედ რომ აუწია, იძულებული გავხდი, ესეც საავადმყოფოში მომეთავსებინა.

კვირის თავზე დონბასში გავაბრუნე, თავიდან მოვიშორე. იქ ოჯახი უკეთ მოუვლიდა. დიდ საშიშროებაზე არც მიფიქრია. ალბათ იმიტომ, რომ მუნტულია მიკვდებოდა და გონება სხვა საფრთხეს უარყოფდა.

თანდათან სუსტდებოდა. ჰაერი ფილტვებში ვეღარ აღწევდა. ჟანგბადის მილი პირთან მიედო და დრო იმით გაჰქონდა.

ექიმთა მცდელობას არაფერი სასიკეთო არ მოჰქონდა. ყველაფერი დაგვიანებული იყო. რისკი შემომთავაზეს და დავთანმხდი. ვიცოდი, რომ საათებს ითვლიდა და რამე ხომ უნდა გვეღონა... ახლა სინანული მიპყრობს! ვინ მომცა უფლება, რომ დავთანმხდი? უფლის გარდა ვის შეუძლია განაგოს ადამიანის სიცოცხლე?

საოპერაციოში შეიყვანეს და უკან ვერ გამოვიდა...

კედელთან ვიდექი და თითქოს იმ კედელს მივეწებე! სადა აქვს ადამიანს ამდენი ცრემლი? საბრალო დედაჩემი ფანჯრისკენ წაფორთხდა, მაგრამ ვინ გაუშვებდა...

უბედურებით პირთამდე გაჯერებულ სამყაროს ეს ერთი მსხვერპლიც რას შეაძრწუნებს!

48

დაკრძალვაზე შოთიკო ჩამოვიდა. კიბეზე ამოსვლა ძლივს მოასწრო, წნევა აუვარდა და იქვე, დერეფანში დავაწვინეთ. წამდაუწუმ სასწრაფოს ვიძახებდით. დიდი მიხვედრა არ უნდოდა, რომ ესეც განწირული იყო.

ძმის ორმოცს უკვე ვეღარ დაესწრო. იქით ჩავაკითხეთ, ლუგანსკში, საავადმყოფოში ვინახულეთ.

სირბილით შემოგვეგება. ბიჭივით მოძრაობდა. წელზე ხელს ირტყამდა და იცინოდა, ექიმები მიჰქარავენ, თორემ არაფერი

მტკივაო. პროვინციელი ექიმი სერიოზული თვალებით მიყურებდა და ხმადაბლა მიხსნიდა, თუ რატომ იყო ჩემი ძმის გადარჩენა შეუძლებელი. დასთან ერთად მოსკოვში გავფრინდი, მცოდნე ხალხი მოვინახულეთ, სანუგეშო ვერაფერი მითხრეს.

მაშინ გადავწყვიტეთ, მუნტულიას წლისთავს არ დავლოდებოდით, ისე დაგვექორწინებინა უფროსი ძმისშვილი, ვინძლო მამას ქორწილი მაინც ენახა. იქ გაზრდილმა ქალიშვილმა, თუმცა ქართველობდა, ქართული არ იცოდა და საქმროც იქაური შეერჩია, უკრაინელი ლამაზი ბიჭი. ამჯერად ბევრნი ჩავედით, სულ შავებში ჩაცმულნი. სლავები გაოცებულნი გვიყურებდნენ საქორწილოდ გამზადებულ შაოსნებს... მხიარული სლავური ქორწილი შედგა. მწუხარება დავმალეთ და თავი მოვიკატუნეთ. შოთიკო საავადმყოფოდან მოვიყვანეთ, მხოლოდ სამი საათით გამოგვატანეს. მოწყენილი იჯდა სუფრის თავში, სუსტად თუ გაიღიმებდა, ფიქრში ალბათ უკვე სიკვდილს ეპაექრებოდა.

გამომშვიდობებისას ჩამჩურჩულა, მკურნალობის კურსს ჩავათავებ და ცოტა ხნით ზუგდიდში ჩამოვალ, დედას მოვინახულებო.

მართლაც ჩამოვიდა. მანქანით დავხვდი სოხუმის აეროპორტში. თვითმფრინავმა დააგვიანა, თურმე ადლერში დამჯდარა. მას კი სამლიტრიანი ქილით ბიძაშვილებისათვის დაპირებული ოქროს თევზები მოჰყავდა. შინ მუდამ ჰქონდა უზარმაზარი, კარგად მოწყობილი აკვარიუმი... დასუსტებული მეჩვენა, ისე მელაპარაკებოდა, თითქოს შორსაა წასული და იქიდან მისი ხმა ძლივს აღწევსო... დედასთან დავტოვე და თბილისს დავბრუნდი...

კვირის ბოლოს დამირეკეს, ცუდად არის და მოგვყავსო.

სადგურში სასწრაფო დავახვედრე. მამინაცვალმა ჩამოაცილა. თურმე მთელი ღამე, კუპეში, საშინლად იტანჯებოდა.

ესეც რესპუბლიკურში დავაწვინე. ექიმებმა გასინჯეს და ხელები ჩამოყარეს.

ალბათ თვითონაც იცოდა, რომ კვდებოდა და ამ აზრს შეგუებული იყო.

წამდაუწუმ ეძინებოდა. მიხაროდა, ტკივილისაგან თავისუფლდება-მეთქი. ექიმმა თავი გააქნია, ეს ურემიაა, სიკვდილის ძილიო.

უფროსმა დამ შესტირა, ნეტა ეს სენი მე დამმართნოდაო. თვალი გაახილა და თქვა: განა დედისათვის ერთი არ არისო?

საბოლოოდ მიიძინა და ტანჯვას განერიდა.

იქ, ინგირის სასაფლაოზე დავასაფლავეთ ძმის გვერდით... ორ საფლავს შორის მამის სახელზე პატარა სტელა დავდგით... დაე, ომში დაღუპული მამის სული მფარველობდეს თავის ორ ვაჟიშვილს...

49

სიკვდილის თემა გამიგრძელდა. მავან მკითხველს იქნებ სულაც არ აინტერესებს იმ ადამიანებზე საუბარი, ვისაც გამორჩეული და უჩვეულო ცხოვრებით არ უცხოვრია... სიცოცხლეს სიკვდილი თანა სდევს და ყველასათვის თითო ცრემლიც რომ გავიმეტოთ, წყარო ამოგვიშრება... სასაფლაოზე დედაჩემს სხვა შვილმკვდარმა დედამ შესტირა, ერთადერთი მყავდა და სიკვდილმა ის წამართვა, კერიაზე ცეცხლის დამნთები აღარავინ შემრჩა, მე შენზე უბედური ვარო. მართალია ეს ქალი, — განაცხადა დედაჩემმა, — ოღონდ სხვისი უბედურება ჩემს უბედურებას რითი განკურნავსო...

შოთიკოს წლისთავი გადახდილიც არა გვქონდა, როდესაც დამირეკეს, რამაზი ენგურში დაგვეხრჩოო.

უმცროსი დის პირველი ვაჟიშვილი იყო. თექვსმეტი წლისას შეეძინა. ჩვილს ფეხის ნერვი დამოკლებული აღმოაჩნდა და ტერფი მოღრეცილი ჰქონდა. ჭკვიანი ექიმი იტყოდა, ვაცალოთ, გაიზარდოს, ხუთი-ექვსი წლისას ოპერაციას გავუკეთებთ და გასწორდებაო. ამის მთქმელი არავინ შეხვედრიათ, თუმცა ყმაწვილ მშობლებს თბილისი და მოსკოვი, ექიმი და ექიმბაში არ დაუტოვებიათ. ყველანი ერთნაირად ცდილობდნენ ფეხის გასწორებას – არტახებითა და თაბაშირით. საბრალო ჩვილი ჩხაოდა, ფეხი კი არ სწორდებოდა. მოგვიანებით უმტკივნეულო და მარტივი ოპერაცია გაკეთდა და ტერფი გასწორდა. ოღონდ

ადრინდელმა ტანჯვამ და ტკივილებმა შაქრის დაავადება დაუტოვა... ენგურის პირას გაზრდილი ბიჭი თევზივით ცურავდა. ცხრამეტი წლისას, თავისი პირველი სიყვარულის ზღვარზე, ცურვის დროს კრიზი დაეწყო და წყალმა ჩაითრია... დიდხანს ეძებდნენ მღვრიე ფსკერზე...

ეს ტკივილიანი მოგონებები ჭაღარას მიმრავლებს, გული მიბერდება და საწუთროს ამაოებაზე დამაფიქრებს.

არავინ იცის, ვის რა ბედი უწერია... მოხუცი დედა საფლავებამდე ძლივს მიჩოჩდებოდა და მოთქმას იწყებდა: შვილებოო, მე კი დავდივარ თქვენთან, მაგრამ სულ მალე ჩამოგაკითხავთ და მერე ჩემი საფლავის მოსანახულებლად ვინღა მოიცლისო... დედაზე ორი წლით უფროსი მამინაცვალი, ახალგაზრდულად ტანადი და სიცოცხლისუნარიანი, დროსტარებისა და ქეიფის მოყვარული, ამშვიდებდა: მოგიკვდეს ჩემი თავი, თუ კვირაში ერთხელ არ ამოგაკითხოო... გულწრფელად ამბობდა, არაფრით ეგონა, უბედურებით დათრგუნულ მოხუც ქალს თუ დაასწრებდა... ცოტა ხანში წყალმანკი დაემართა და იმას გადაჰყვა...

50

მოთხრობების კრებულს ვამზადებდი და კორექტურის წაკითხვის დროს, უცებ აღმოვაჩინე, რომ თითქმის ყველა მოთხრობაში სიუჟეტს სიკვდილი აგვირგვინებს. სხვადასხვა ასაკში, სხვადასხვა განწყობით დაწერილ რომანსა და მოთხრობაში სამეფო ტახტი უფრო ხშირად სიკვდილს უპყრია, მე კი, როცა ვწერდი, მხოლოდ სიცოცხლეზე ვფიქრობდი. თუმცა იქნებ სიკვდილზე ფიქრი სიცოცხლისათვის ბრძოლის ფორმაა. მხოლოდ შემოქმედებით შეიძლებოდა სიკვდილი დამემარცხებინა და ამ არცთუ მხიარულმა წლებმა ის მაინც შემაძლებინა, ზედიზედ გამომეცა წიგნები – ჩემი შვილები... წიგნის სიავკარგის შეფასება ავტორის საქმე არ არის, ის კი შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი სულიერი ენერგიის დიდი ნაწილი მათზე გაიხარჯა...

ცხადია, ეს არ იყო ერთადერთი რამ, რასაც ძალისხმევა სჭირდებოდა. ყოველნაირი ტვირთი, რასაც რეალური არსებობა

და წარმოსახვა აგვკიდებს ხოლმე, იმდენად ავსებდა ჩემს დროს, რომ თითქოს გვერდი ამიარა იმ ისტორიულმა სიმპტომებმა, მომავალ მიწისძვრებს რომ მოასწავებდა.

დისიდენტური მოძრაობის სუსტი ტალღა ინფორმაციული ნაფლეთებით თუ აღწევდა. თვითგამოცემის წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს შემთხვევიდან შემთხვევამდე ვაწყდებოდით. ისიც ცნობისმოყვარეობას გვიღვივებდა, მსოფლმხედველობრივ ქვაკუთხედს კი უძრავად ტოვებდა. ამ გამოცემებში რადიკალური აზრი ნაკლებ ჩანდა. უფრო ეჭვები, რაც სუსტისა და მყიფეს ძლიერთან და მყართან შეპაექრებას ჰგავდა. რადიკალური ქმედებანი და აზრები მოხერხებული პროპაგანდისტული ბურუსის მეშვეობით ჩაიფარცხებოდა ხოლმე და მცირე კვალს ტოვებდა. ისეთი ზნეობრივი ქმედებაც კი, როგორიცაა თვითმფრინავის გამტაცებელთა სიცოცხლის გადარჩენაზე ზრუნვა კარგად ორკესტრირებულმა ემოციურმა ტალღამ ჩაახშო.

ამასობაში ლეონიდ ბრეჟნევი მიიცვალა და ხრწნის სუნმა ჩვენს ყნოსვადაქვეითებულ ცხვირებამდეც მოაღწია.

მოვიდა ანდროპოვი. მასას ჩვეული წესრიგი უყვარს. წესრიგისაკენ მოწოდება უკმაყოფილოთათვის საკენკია... კიბეზე ჩემი მოხუცი შეფი მხვდება და მტუქსავს – „ძირმომპალი ლიბერალი ხარ!“ სტამბაში ჩაშვებულ „პირველ სხივში“ ზედმეტი დოზა ცრემლიან-სევდიანი ლექსები აღმოუჩენია. მინდა დავუმტკიცო, რომ ყმაწვილი ავტორები ემოციურნი არიან, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა მათთვის მძაფრი და მტკივნეულია. ამიტომაა, რომ ახალგაზრდები უფრო იკლავენ თავს! სევდა პოეზიის აუცილებელი თვისებაა, პოეზია სევდისა და ტკივილის გარეშე არ არის პოეზია. მოხუცს ვერ გადაარწმუნებ – მე ძირმომპალი ლიბერალი ვარ და ვერა ვგრძნობ დროის მოთხოვნას... გამოცდილი კაცია, ხვდება, რომ მკაცრი დრო მოდის და „ლიბერალებს“ კარგი დახლი არ დაუდგებათ.

ოღონდაც, ანდროპოვმა ჭირი მოგვჭამა და ცოცხალ-მკვდარი ჩერნენკო მოჩანჩალდა. მთელმა ქვეყანამ უყურა, პირველი კაცი როგორ მიიყვანეს საარჩევნო ყუთთან, ფეხზე ვერც იდგა და მგონი, იქიდან პირდაპირ კუბოში ჩააწვინეს... იქნებ უტაქტობაა

სიკვდილთან ასეთი შეხუმრება, თუნდაც ჩერნენკოს სიკვდილი იყოს, მაგრამ სასტიკი ჟამი თავის განაჩენს არ აყოვნებს.

კრემლის ლალისფერი ვარსკვლავების ფონზე ამობრწყინდა იმპერიის უნებლიე დამანგრევლის მზე. მოვიდა გორბაჩოვი, რომელსაც იმ დროს ალბათ სიზმრადაც არ დაესიზმრებოდა, რომ იმპერიას მეთაურობდა და თავისი უთავბოლო ქაქანის აკომპანიმენტში ეს იმპერია მოეფშვნეოდა...

51

ცხოვრებაში პირველად მანქანა შევიძინე. ადრე ტარებაც არ ვიცოდი, უცებ ავითვისე და აღმოვაჩინე, რომ შოფრის პროფესია დიდ სიამოვნებას მანიჭებს... ხშირად, როცა გაშლილ ტრასაზე მივაქროლებ, მგონია, მორჩილი „ჟიგული“ ჩემი სხეულის გაგრძელებაა და ეს მე მივფრინავ სივრცეში... სამი წელი მემსახურა, სიხარული არაერთგზის მომანიჭა, საფრთხეშიც ჩავუგდივარ... ეგაა, ვალი მქონდა, თანაც გულუბრყვილოდ მეგონა, წინ უკეთესი ცხოვრება მომელოდა და ამიტომ შეველიე... გამიჭირდა უმანქანობა. ვფიქრობდი, თუ მეორედ ყიდვას შევძლებ, აღარ დავთმობ-მეთქი. რამდენიმე წლის შემდეგ მართლაც შევიძინე, მაგრამ საბავშვო წიგნის გამოსაცემად ფული დამჭირდა და ამ მანქანასაც შეველიე... წიგნის გამოცემა ავტორისათვის ბედნერებაა. ეს აბსტრაქტული ბედნიერება მერგო, ოღონდ, რაც შეეხება ამ ბედნიერების მატერიალურ გამოხატულებას, ინფლაციამ მომისწრო და ამ წიგნის შემოსავლით მანქანის კი არა, ველოსიპედის საფასურიც ვერ მოვაგროვე...

52

სიყმაწვილეში რამდენჯერმე დღიურის წერა ვცადე. ნებისყოფა არ მყოფნიდა და თავს ვანებებდი. ის რვეულები შემდგომ მეკარგებოდა. უკანასკნელად 85-ში დავიწყე. რამდენიმე წელს ვწერდი. ამასწინათ თვალი გადავავლე. უამრავი წვრილმანი ამბები მაქვს აღნუსხული... ჩემი ძმების ტრაგიკულ დასასრულზეც ვწერ, ახალ რომანზე მუშაობის პერიპეტიებზეც, ჩემი პატარა შვილების ყოველდღიურობაზე, ვაჟიშვილის ღიმილისმომგვრელი სიტყვები მომყავს, არ მავიწყდება წაკითხული წიგნები, წერილები... კინო, თეატრი... საკუთარი ნაწერების კორექტურა... მაგრამ მთლიანობაში ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ათასი უმნიშვნელო რამ აქეთ-იქით მექაჩება, მწეწავს და მოსვენებას არ მაძლევს. ფიჩხისოდენა ტვირთის გადასაწევად ტრაქტორის ძალა მეხარჯება. ჩემი უთავბოლო ფაციფუცი და უმნიშვნელო საქმეებზე გახარჯული სიცოცხლის წუთები ბორბალში გამომწყვდეული ციყვის არსებობას მაგონებს, რომელიც მუდამ მოძრაობაშია, ამის შედეგად კი ყველაფერი ისევ ისე რჩება, როგორც მანამდე იყო. ამ უწესრიგო მოძრაობაში ერთადერთი სტაბილური ხაზი იკვეთება. წვალებით, მაგრამ მაინც ერთიმეორის მიყოლებით გამოდის ჩემი წიგნები. ყოველი წიგნი ახალი სიხარულია, თუმცა ახალი იმედგაცრუებაცაა, რადგან კიბის მომდევნო საფეხურს ყოველთვის როდი აჰყავხარ მაღლა...

პარადოქსია, მაგრამ ათეული წლების მანძილზე თითქოს კიბეზე ავდიოდით, სინამდვილეში კი იმ საფეხურებს დაბლა მივყავდით და ეს მხოლოდ ოთხმოციან წლებში გახდა ნათელი. მატარებელი დაგორდა და არავის ეყო ძალა, მისი ვარდნა შეეჩერებინა. მოვლენები იმდენად სწრაფად განვითარდა, მათი მოაზრება გაჭირდა. სანამ ახალ ვითარებას ჩემებურად შევაფასებდი, სიავკარგეს ავწონიდი, იგი უკვე ისტორიას ბარდებოდა და ჭეშმარიტების ჩემეული გაგება უფრო განვლილის მიხვედრა იყო, ვიდრე წინასწარმეტყველური... მაბნევდა დროის სწრაფი სრბოლა და მოვლენათა კალეიდოსკოპი. მიჭირდა ჩემი ადგილის პოვნა და ამიტომაც უფრო ხშირად მაყურებლის როლში აღმოვჩენილვარ, ვიდრე პერსონაჟისა. მუდამ ვცდილობდი ჩემი ქმედებებისათვის ზნეობრივი საზომი მიმესადაგებინა და სანამ ამას მოვახერხებდი, სხვანი, უფრო სწრაფნი, უმწიკვლოებას რომ არად დაგიდევდათ, ახერხებდნენ აღვირის ხელში მოგდებას და ჰუნეთა ჯირითში ცხენის გავას თუ შევასწრებდი თვალს, გზის მტვერი მივსებდა მზერას, ვეღარ ვარკ-

ვევდი, ანგელოზი მიფრინავდა ზეცად თუ სატანა მიგვიძღვოდა უფსკრულისაკენ...

ცხოვრება დაემსგავსა სათავგადასავლო-დეტექტიურ სერიალს, რომლის სწრაფ და ცვალებადი სცენური გათამაშებისას ერთმანეთში იხლართებოდა ტრაგედია და კომედია, უფრო კი მელოდრამა, სცენიდან ქრებოდნენ გუშინდელი კერპები და მოდიოდნენ ახალნი, რომელთა ღირსების რეიტინგი არაფრით ჯობდა ძველისას, ისტორიის მღელვარე ტალღებს კი ერთნიც და მეორენიც უნდა ჩაერეცხა დავიწყების კლოზეტში... გარდაქმნის წიგნს წერდა დრო – შექსპირი და ცენზურის ბორკილისაგან თავისუფალი ეს თამამი ტექსტი ავსებდა გულუბრყვილო სულს ინდურ ფილმებზე აღზრდილი ობივატელისა. ეს იყო ჩვენი გამოღვიძების ბედნიერი წლები, როცა „მონა ქალი იზაურა“ აღმოჩენად გვევლინებოდა და პურის რიგებში დაბერებული მოქალაქე თანაგრძნობის ცრემლსა ღვრიდა მოგონილი გმირის ტკივილებზე... მსოფლიოს უკანასკნელი იმპერია დაღუპვისაკენ მიექანებოდა...

53

ზემოთ ჩემი წიგნები ვახსენე. საკუთარი შემოქმედების შეფასება უმადური საქმეა. მცირედი თავის ქებაც თავმომწონეობად აღიქმება, თვითკრიტიკა – ფარისევლობად. ერთს მაინც ვიტყვი: ყოველთვის იმას ვწერდი, რაც მაინტერესებდა და იმ ფორმით, როგორც ჩემს სულს ესალბუნებოდა. ცხოვრების დიდი ნაწილი ირეალურ, მოგონილ სამყაროში გავატარე და რა გასაკვირია, რომ ჩემს რომანებში და მოთხრობებში შემოვიდა მითოსი, ზღაპარი, ფანტასტიკა, თქმულება... მრავალი წელი სხვა კონტინენტებისა და ქვეყნებისაკენ გავრბოდი, სამეგრელოს კი ვერსად გავექეცი. ჩემი კუთხე საგანგებოდ არ შემისწავლია, მაგრამ თურმე გენეტიკურად გადმოლოცილი კოლხური წარმოდგენები თანა მდევდა. არსად ამომიკითხავს და არც ვინმესგან გამიგონია ჩემს მიკრო-რეგიონში ამოზრდილი მწყობრი მითოსური სიუჟეტები, საუკუნეებს ნაფლეთებიღა

გადაურჩა. ოღონდაც, ბიძგად საკმარისი იყო ლექსის ერთი სტრიქონი, მითიური პერსონაჟის თუნდაც სახელი, ზღაპრის მცირე გაელვება და რომანში იგი შეიძენდა დასრულებულ ფორმას... რისთვის იყო ეს საჭირო? ყოველთვის მიმაჩნდა, რომ სინამდვილის ფოტოგრაფიული სიზუსტით აღბეჭდვა მხოლოდ ნახევარსიმართლეს შეიცავს, ჭეშმარიტება უფრო ღრმა შრეებში იმალება და ფანტაზიის ეს გაქანება იმ შრეებში ჩაღწევის ცდაა. თანაც „რაც უფრო ღრმად იძირება მკითხველი წმინდა წყლის გიჟურ სამყაროში, მით უფრო მალე ემორჩილება ავტორს, ბევრად უკეთ აღიქვამს შემოთავაზებულ ჭეშმარიტებებს“ (ა. მორუა). ჩვენში გაბატონებული სნობისტური აზროვნება უარყოფს ამგვარ მეამბოხურ თავხედობას. სნობისათვის მთავარია მოვლენა მოათავსოს პროკრუსტეს სარეცელში, არ გადასცდეს ავტორიტეტის კლიშეს, მოამწყვდიოს სამგანზომილებიან სისტემაში, სადაც ყოველივე მეტრებითა და სანტიმეტრებით განიზომება.

ამას წინათ ერთმა ჩემმა ნოველისტმა კოლეგამ დიდად შემიქო „მე როსინანტი“, მაგრამ იქვე დასძინა, არ მინდოდა ავტორს გული ტკენოდა და აქამდე ვერ გავუმხილე, რომ ზღაპრების ნაძალადევი ჩმახვა წყლის ნაყვაო (ტექსტში უფრო ზრდილობიანად უწერია, ცხადია). ამაზე ისღა შემიძლია ვუპასუხო ჩემს მენტორს, რომ მისი კონკრეტული ნოველა მხოლოდ ნამცეცია ჭეშმარიტებისა, ასი ნოველა – ასი ნამცეცი. ნამცეცთა ეს გროვა ოდნავადაც ვერ იძლევა სინამდვილის პანორამას, ასე რომ, ყოველი ჩვენგანი ვცდილობთ ჭეშმარიტების იმ ხატის შექმნას, როგორსაც აღვიქვამთ და ვხედავთ... დაველოდოთ მომავლის ლესინგს, რომლის ნათელი გონების იმედით ვაწვალებთ კალამს!

მეორე კოლეგამ, რომლის ვრცელ მოთხრობებში არცთუ ურიგოდ ჩანს კახეთის ზვრების ფოტომონტაჟი და კახელი გლეხის ფოტოტიპაჟი, მეგობრული სიყვარულით გულშეძრულმა დამმოძღვრა: „გზას ასცდი, შენ, ჯემალ, გზას ასცდი! იქითკენ არ მიდიხარ, საითკენაც უნდა მიდიოდე!“ თავი მოვიკატუნე: „მადლობელი ვარ ჭკუის სწავლებისათვის! ასეთი გამაჩინა უფალმა, რა გზაც მომეპრიანა, იმას დავადექი!“ თურმე ამ ჩემს

მეგობარს „მკვდარი სახლის“ თაობაზე შავზე შავი რეცენზია დაუწერია, სადაც ამბობდა, ზოლა და ჰიუგო მაქვს წაკითხული, დიკენსი და ბალზაკი, ყველასი ყველაფერი მესმის, ამ რომანისა კი ვერაფერი გავიგეო... მე მოკლედ ვუპასუხე: გულწრფელია ეს კაცი, მაგრამ ანაბანას მიჩვეულმა იეროგლიფები ვერ ამოიკითხოს, რა გასაკვირია-მეთქი...

ზუგდიდში მწერლები ჩავიყვანე, ათამდე კაცი და ქალი. გავმართეთ ლიტერატურული შეხვედრები, ვიკითხეთ ლექსები, ვესაუბრეთ მკითხველებს. ბოლოს, როგორც ეს ხდებოდა იმ ავადმოსაგონარი კომუნისტური ხელისუფლების დროს, გაგვიშალეს სუფრა და მოვულხინეთ გემოზე. თამადად ზუგდიდელი ჟურნალისტი ავირჩიეთ, კაცი ორატორული ნიჭიერებითა და ბოხი ხმით დაჯილდოებული, ოღონდ, სამწუხაროდ, არამყარი შეხედულებების პატრონი. განსაკუთრებით კონსტანტინე გამსახურდიას ტექსტები ახსოვდა ჩვენს თამადას და ენამზეობა მოუხდა. ჩამოჰყვა სადღეგრძელოებს, სათითაოდ შეაქო ჩვენი სახელოვანი და ნაკლებცნობილი სტუმრები, ყველას უკვდავისა და კლასიკოსის ეპოლეტი არგუნა. მოაღწია ჩემამდე და ჭერამდე ამაღლდა, იმ სიმაღლიდან დამხედა, კინაღამ მაგიდის ქვეშ შევძვერი. შენაო, მითხრა, კი ხარ მწერალი, მაგრამ მე მგონია, არასწორი გზით მიდიხარო. ჩემო ზურიკელა, ჩავიკნავლე პასუხად, რაკი შენ ჭკუა მასწავლე, დღეის იქით გამოვსწორდები-მეთქი... ადგა ამ დროს ცხონებული რეზო ინანიშვილი და თამადას უთხრა: არა ხარ შენ სწორი! ამ ლაინერების ეპოქაში კაცი რომ ჯადოსნურ სამყაროში შეგიყვანს და გულს აგითრთოლებს, ამაზე დიდი საქმე რა უნდა გააკეთოსო... თურმე ბატონი რეზო ტაშკენტში, საავადმყოფოში იწვა და იქ ჩაუტანეს „ცისკრები“. წაიკითხა „მარადი მხედარი“ და მეგრული მითოსური წარმოდგენების ლიტერატურული შესაძლებლობებით მოიხიბლა (მაპატიეთ არათავმდაბლობა!). თამადა უცბად მოიჩუტა. მერე კი ქუჩაში დიდხანს მეფიცებოდა ძმობას და მებოდიშებოდა.

აქ საუბარი მაქვს არა ნაწარმოების მოწონება-არმოწონებაზე, რაც ლიტერატურისათვის სრულიად ბუნებრივია. მაკვირვებს თვით მეთოდის, ფორმის უარყოფა. ზოგიერთ ჩემს კოლეგას მწერლის ჭეშმარიტი გზა მხოლოდ ის ჰგონია, რაც თვითონ აურჩევია, სხვებს კი არჩევანის თავისუფლებას უზღუდავს, ლიტერატურის გარეთ აძევებს. როგორღა მოიქცეს ჩემნაირი ადამიანი, რომლის სულს ანდრე მორუას ეს სიტყვები დიახაც ესალბუნება: „რამდენად უჩვეულოა მოთხრობილი ისტორია, იმდენად რეალისტური უნდა იყოს თხრობა. უხილავი უნდა გაიშიფროს და გამოკვეთილად შემოიხაზოს კონტურები დაუჯერებელისა. უტყუარობა თავს იჩენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ავტორი საიდუმლოს ყოველდღიურობის ნიშნებით გარემოსავს“.

ამასობაში ჩემს სატრფოს სულ სხვა საშიშროება დაემუქრა. თუ ავტორი ნაცრისფერი, სადა ფარდაგიდან ჭრელ მდელოზე გაჯირითდება, უმალ იწყებენ იმის ძიებას, თუ ვისი ზეგავლენით მოხდა ეს მკრეხელობა. ერთმა ჩემმა კეთილმოსურნე ლიტერატორმა ჩემივე წიგნაკიდან ამოწერა ციტატა, სადაც ზოგადად ვმსჯელობდი ლათინური ამერიკის რომანზე, და მერე ჩემსავე რომანს მიუსადაგა... ლათინურ ამერიკელთა ორიოდ ნაწარმოები, რა თქმა უნდა, მეც წამეკითხა, მეტიც, სხვა მხარეთა მწერლების ნაწარმოებებსაც მოვუხიბლივარ, ფრანგი მერიმე მსმენია, გერმანელი ჰოფმანი, ჩინელი პუ სუნლინი, რუსი გოგოლი და ბულგაკოვი, ქართველი შოთა რუსთაველი და სულხან-საბა. ზოგადად ის ციტატა თავისუფლად მიესადაგებოდა ყოველ მათგანს და კიდევ ხუთას სხვა მწერალს.თუ გავლენაზეა ლაპარაკი, ყოველ მწერალზე გავლენას ახდენს ყველა სხვა მწერალი, რაც კი მას წაუკითხავს, ოღონდაც, ვინც თუნდაც ცალი თვალით ჩაიხედა ლათინურამერიკულ რომანში, უმალ დაასკვნის, რომ მწერალთა დიდი უმრავლესობა მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან და ჩემი ნაცოდვილარი ვერანაირად ვერ ჩადგება იმათ რიგში. მითოსისა და ფანტასტიკის მოხმობა იმდენად გავრცელებულია ლიტერატურულ პრაქტიკაში, რომ ასეთი არჩევანის გასაკეთებლად საკმარისია ადამიანი სამეგრელოში გაიზარდოს და იმ მიწის შვილთა ფარულ სიმებს ყური მიუგდოს.

54

მოულოდნელად მოვარდა მიტინგებისა და დაუმორჩილებლობის ჟამი. მანამდე მხოლოდ გამორჩეულებმა მოიაზრეს, რომ ჩვენ იმპერიაში ვცხოვრობთ, რომ ჩვენ რუსეთმა კი არ გაგვათავისუფლა, არამედ დაგვიპყრო, მისი წითელი არმია გამათავისუფლებელი კი არა, საოკუპაციოა, რომ ცეკას შენობა ქაჯეთის ციხეა, მოსახლეობის თითქმის ნახევარი სუკის აგენტია და თუ ერთიანი ძალით მივაწვებით, ბორკილებიდან თავის დახსნა შესაძლებელია... ზედიზედ გამოჩნდა პოლიტიკური პარტიები... ქუჩებში იყიდებოდა ქსეროქსით გამრავლებული გაზეთები, რომლის ფურცლებს მგზნებარე მოწოდებები და რეზოლუციები ავსებდა, სადაც ჟურნალისტურ სისუსტეს პოლიტიკური სითამამე სავსებით აბათილებდა...

პირველი მიტინგები და დემონსტრაციები...

მთავრობა ნებართვას იძლევა მიტინგი იპოდრომზე ჩატარდეს... ჩვენ უნივერსიტეტიდან მოვდივართ. მილიცია გვაფრთხილებს, ტროტუარებიდან ნუ გადმოდიხართო. მერე იმათ ძალა აკლდება, მომიტინგეებს კი ემატება. თანდათან ვიპყრობთ ქუჩის სავალ ნაწილსაც. გურამიშვილზე რომ გადავუხვიეთ, უკვე შტამბეჭდავი კოლონაა. ზოგი იძახის, უკან, უნივერსიტეტისაკენ გავბრუნდეთო, ზოგი მოითხოვს, მიტინგი შტაბის წინ ჩავატაროთო, ხალხის ტალღა კი პირდაპირ ჰიპოდრომის ტრიბუნებს აწყდება.

უჩვეულო აღმაფრენა გვიპყრობს. ერთიანობის გრძნობა მეტად ამაღელვებელია. პირველად ამ დღეებში დავინახეთ დამოუკიდებელი საქართველოს დროშა, აქვე ფრიალებს სხვადასხვა პარტიების შტანდარტები. უკვე ცნობილი და სახელდახელოდ გამოჩეკილი დისიდენტები პოლიტიკურ იმიჯს იქმნიან და ცდილობენ სითამამით ერთმანეთს გადააჭარბონ. სწორედ აქ უწოდა თემურ ქორიძემ ცეკას „ქაჯეთის ციხე“... „ეს კი ნამეტანია!“– თქვეს უფრო ფრთხილებმა. მომავალი დაჭერების შიში ხომ ტრადიციულად ძვალ-რბილში გვაქვს გამჯდარი...

დემონსტრაციები რუსთაველის პროსპექტზე... ზღვა ხალხი მიეშურება რუსთაველის მოედნიდან ლენინის მოედნამდე... იმდენი ვართ, სიარული ჭირს... ლიდერის ხუმრობანარევი ბრძანება, რაკი წინ ლენინი დგას, პირი მივაბრუნოთ, ნუ შევხედავთო... მერე მიტინგი რიყეზე...

ეს ნებადართული და უნებართვო მიტინგები თანდათან უფრო გრანდიოზული, თამამი და საშიში ხდება. მთავრობას სადავეები ხელიდან ეცლება. ასეთ დროს მოსალოდნელია უკურეაქცია, საპასუხო დარტყმა... აპრილი მომწიფდა!

55

რა საოცარი განცდა გვეუფლებოდა!.. ერთიანობის მომხიბლველი გრძნობა!.. ჩვენ ყველანი ქართველები ვიყავით!.. ჩვენ ყველას გვიყვარდა ერთმანეთი!.. სრულიად საქართველო გამოხატავდა თავის ნებას და ყოველი ჩვენთაგანი ამ ამაღლებული მოძრაობის ნაწილნი გავხდით...

დღისით და ღამით ზღვა ხალხი იკრიბებოდა მთავრობის სასახლის კიბეებზე მოშიმშილეთა მხარდასაჭერად... წუთითაც არ წყდებოდა მიტინგი... მოდიოდნენ დედაქალაქის სხვადასხვა დაწესებულების წარმომადგენლები, საქართველოს თითქმის ყველა კუთხის შვილები... იდგა ტაშის გრიალი და აღმაფრენა...

ჩვენი უწყინარი გამომცემლობის თანამშრომლებიც შევიკრიბენით. სამფეროვანი დროშა ავაფრიალეთ და წავედით. ჯერ უნივერსიტეტის კიბესთან მოშიმშილე სტუდენტებს მივესალმეთ. სიტყვის წარმოთქმა მე დამევალა. ორატორული ნიჭიერებით რომ ვერ დავიკვეხნი, ამაზე ხომ უკვე ვთქვი. ხოსე მარტის სიტყვები მოვიშველიე – „ჯილდოდ ვერაფერს შემოგთავაზებ, გარდა თავგანწირვის ბედნიერებისა!“

მერე მთავრობის სასახლისაკენ გავემართეთ და ჩვენი დროშა კიბეებამდე მივაფრიალეთ. აქაც მიკროფონთან მიმიყვანეს. მიჭირდა საჭირო სიტყვების დაძებნა და არა მგონია, ჩემი ლუღლუღი ორიოდე კაცის მეტს ვინმეს გაეგონოს... ჩემზე ყოჩაღი ორატორები ათეულობით გამოდიოდნენ და ჰაერი უფრო და უფრო იმუხტებოდა.

ბოლო დღეებში დაძაბულობამ პიკს მიაღწია. ქალაქში

გამოჩნდა ტანკები და ჯავსნოსნები. სანაპიროზე სამხედრო მანქანები ჩამომწკრივდა.

დღისით ტანკმა გამოიჯირითა, „ვოლგას“ გადაუარა. ასფალტზე ეყარა შუშის ვერცხლისფერი ნამსხვრევები.

რვა აპრილის საღამოს გვიანობამდე შევრჩი. ჩემს ახლობლებთან, ახალგაზრდა მეცნიერებთან ერთად ვიდექი. თითქოს არაფერი იყო საშიში. არადა, ფეხები დამაწყდა და ბიჭებს გავეანგლე, მე შინ წავალ და, თუ ხელჯოხებით მოგადგნენ, დამირეკეთ და გამოვიქცევი, ერთი-ორჯერ დაე მეც მომხვდეს-მეთქი. არხეინად ვხუმრობდი, რადგან დარწმუნებული ვიყავი, წყლის ჭავლსა და ხელჯოხს გვაკმარებდნენ.

დილაუთენია დამირეკა ჩემმა მეგობარმა და მეზობელმა მიშა თანდაშვილმა, იცი, წუხელ მოშიმშილენი დაარბიეს, სამოცამდე კაცი მოკლესო (თავიდან ასეთი ხმები ვრცელდებოდა)... ყურმილი თითქოს ხელზე შემეყინა, გონს ძლივს მოვეგე.

კარადა გამოვაღე და ჯიბეში პარტიის მანდატი ჩავიდე. ვიცოდი, ამ წუთიდან ყოველნაირ კავშირს ვწყვეტდი პარტიასთან, რომლის ნაწილად მანამდე მიმაჩნდა თავი, და იდეოლოგიასთან, რომელსაც ასე გატაცებითა და თავდავიწყებით თანავუგრძნობდი აქამდე. სანანებლად ისღა მრჩებოდა, რომ ამდენი სულიერი ძალა შევალიე მისი კვარცხლბეკის განმტკიცებას, რომელზეც კეკლუცი ღიმილით თვით სატანა ჩამომჯდარიყო.

მე და მიშამ მანქანა დავქოქეთ და რუსთაველისაკენ წამოვედით. მეუღლეც მომყვებოდა, შინ არ გაჩერდა... ქალაქი უცნაურად გატრუნულიყო. მის ამ მდუმარებაში იგულისხმებოდა ჩუმი ურჩობა. დილის თალხი ფერი ეფინა ქუჩებს, სევდისა და მტრობის ფერი. ბარათაშვილის დაღმართზე და ხიდზე სამხედროები დავინახეთ. აქამდე ჯარისკაცს ვუყურებდი როგორც ქვეყნის დამცველს, ოჯახს მოწყვეტილ ადამიანს, რომლის მიმართ თანალმობა ბუნებრივი იყო. დღეს კი ჯარისკაცს ოკუპანტად აღვიქვამდი, ჩემი ქვეყნის დამპყრობად. არა ძალა მე არა მქონდა, გარდა ცარიელი მუშტებისა და ფიქრში გზა-გზა ამ ჯავსნოსნებს ხელყუმბარებით ვსპობდი.

მანქანა საჯარო ბიბლიოთეკასთან დავტოვეთ. სასახლის

მოედნამდე გავედით. ყველგან რუსთა პიკეტები იდგა. უშუალო მკვლელები უცბადვე გააცალეს თურმე აქაურობას და სხვანი მოიყვანეს, თვითონაც რაღაცნაირად დაბნეულები და შეუვალები. ალბათ, ზოგიერთი მათგანისთვისაც მოულოდნელად გაირკვა, რომ ისინი უცხო ქვეყანაში იმყოფებოდნენ და მათი როლი დიდად სახარბიელო არ იყო. თბილისელები ამრეზით და მტრულად შეჰყურებდნენ უცხოტომელებს და ჩვეული ქართული კეთილმოსურნეობა გამქრალიყო.

სასახლის მოედანს ღამის ნაომარი ეტყობოდა. იქითკენ გახედვაც მიჭირდა. არ ვიცოდი, საით წავსულიყავი, რა მეკეთებინა. მე და ჩემმა მეუღლემ ლენინის მოედანი გადავკვეთეთ და მწერალთა კავშირს მივაშურეთ. დაკეტილი დაგხვდა. სულ მალე რამდენიმე კაცი გამოჩნდა. ნოდარ წულეისკირმა ჯიბიდან პარტიის მანდატი ამოიღო და ცეცხლი მოუკიდა. რა ღორის ტყავივით იხრუკებაო, დასძინა. მინდოდა, ჩემიც დამეწვა, მაგრამ მეუღლემ მირჩია, უმჯობესია, კრებაზე, საჯაროდ ჩააბაროო.

ამასობაში თავმჯდომარეც მობრძანდა, ბატონი მუხრან მაჭავარიანი. სხდომათა დარბაზში შევიკრიბენით. ხალხი სულ გვემატებოდა და დარბაზი გაივსო. გამოვიდა ბატონი ნოდარი და საზოგადოებას ამცნო, ჩემი მანდატი დავწვი და ვისაც სურვილი აქვს, კარგი იქნება, აქვე შევკრიბოთ და პატრონს ჩავაბაროთო. ამისათვის შემზადებული ვიყავი და უმალ გადავაწოდე. სხვებიც ერთმანეთს ასწრებდნენ. იმ დღეს ოცამდე კაცმა დადო პარტიის მანდატი, თუმცა ყველამ არა!.. ზოგიერთმა ელიტარულმა მწერალმა ამჯერადაც ვერ დათმო რბილი სავარძელი და მთავრობის კეთილი განწყობა.

მხრებიდან თითქოს ტვირთი ჩამომეხსნა, გავთავისუფლდი...

56

რუსთაველზე არავის უშვებდნენ. მთავრობის სასახლეს ზემოდან შემოვუარე. პროსპექტზე გასასვლელი გზები ჩახერგილი იყო. „მერნის“ შენობასთან ჩავაღწიე. რუსთაველის ძეგლთან მცირერიცხოვანი მოქალაქეები იკრიბებოდნენ და ერთმა-

ნეთს შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ. იგრძნობოდა ერთგვარი შოკი.

უნივერსიტეტს მივაშურე. ეზო და ჭავჭავაძის პროსპექტის დასაწყისი ხალხს გაევსო. ვერავის გაერკვია ტყუილი და მართალი. ამბობდნენ, ტანკებით აქეთკენ წამოვლენო. ვერეს ხეობაში ვიღაცები ჩახოცესო.

შუქნიშანთან ვიდექი, ნაცნობთა წრეში. ზურგს უკან ვიღაცა ქალი ხმამაღლა კითხულობდა:

— სად არიან მწერლები? სად დაიკარგნენ მწერლები?

უთხრეს, ერთი მწერალი აგერა დგასო.

ქალი შემობრუნდა, ხელები გაშალა და შემეკითხა:

— დედა, რა ვქნათ ახლა ჩვენ?

ამ კითხვაში გამოჩნდა ერთგვარი პარადოქსი, როცა პოლიტიკური ლიდერის როლი მწერალს დაეკისრა. ალბათ, ყოველივეს მოეძებნება თავისი ახსნა, ნიჭიერ ადამიანთა უმრავლესობა, ვისაც პოლიტიკური, ადმინისტრაციული და სამხედრო უნარი აღმოაჩნდა, რუსის სამსახურში შევიდა, ჯერ ცარისტული, მერე საბჭოთა იმპერიის ძლიერებას შეეწივნენ. სხვანაირად მათი ნიჭიერება ძირშივე დაჭკნებოდა. ერს კი ლიდერი სჭირდებოდა და ეს მისია მწერალმა ითავა. ამიტომაც ორასი წლის მანძილზე თითქმის ყოველ საზოგადო მოღვაწეს უცდია კალამი სამწერლო ასპარეზზე, თითქმის ყოველი მწერალი ეწეოდა პოლიტიკურ ან საზოგადოებრივ მოღვაწეობას. არადა, ყველა ხომ ვერ იქნება ილია ჭავჭავაძე, ყველას არ ძალუძს მწერლური ნიჭიერება პოლიტიკური ლიდერის ნიჭიერებას შეუხამოს. საზოგადოება კი მიჩვეულია, რომ, რაკი წიგნებსა წერ, ისიც უნდა იცოდე, ერმა რა გზით იაროს, უფრო სწორად, პოლიტიკურ ხლართებში უნდა შეგეძლოს გზის გაკვლევა.

ამიტომაც იყო, რომ საზოგადოება მწერალთა ორგანიზაციისაგან მოელოდა აქტიური წინამძღოლის როლს. ჰქონდა კიდეც მწერალთა კავშირს ადრე საამისო ავტორიტეტი მოხვეჭილი. სამწუხაროდ, აპრილის შემდგომ პერიოდში ნათლად წარმოჩნდა მწერლური ნომენკლატურის ბიუროკრატიული სული, მწერალთა ორგანიზაციამ თავი მოიმკვდარუნა და თვითგადარ-

ჩენის, უფრო სწორად, სავარძლების გადარჩენის ვნებას მიენდო.

იქ, უნივერსიტეტის წინ, შეშფოთებულ მანდილოსანს დასამშვიდებელი ვერაფერი ვუთხარი... ჭეშმარიტი გზა არც მე ვიცოდი!

აპრილი... გლოვის დაუვიწყარი დღეები... აურაცხელი მიხაკი და ვარდი, ყვავილებით გადაწითლებული სასახლისწინა მოედანი... დაღუპულთა პორტრეტები... მე ჩემი პატარებითურთ მივყვები ადამიანთა ნაკადს და თვალებზე მოწოლილი ცრემლისაგან მზერა მებინდება...

იმ დღეებში დავწერე სულ ერთგვერდიანი წერილი – „ეს რამდენი ყვავილი გქონია, საქართველოვ!“

57

მარქსიზმის სიმყარის საფუძველი მატერიალისტურ ფილოსოფიაში დევს. თუ მარქსისტი და მატერიალისტი ხარ, შენთვის ყველაფერი ნათელია, სამყაროს მოდელიცა და საზოგადოებრივი ურთიერთობებიც გარკვეული სქემების ჩარჩოში ჯდება. სქემის მოაზრება იოლია. მარქსიზმის ანაბანა თუ აითვისე, თავი ქუდში გაქვს, შეგიძლია ნებისმიერ კითხვაზე გასცე პასუხი. მართალია, ეს პასუხები ჭეშმარიტი არსებობის ადეკვატური ვერ იქნება, მაგრამ ხელოვნურად აშენებულ კონსტრუქციაში თავსდება. ალბათ ამიტომაც იყო, რომ მეც და ჩემისთანებსაც გაგვიჭირდა კომუნისტური აზროვნების ჩარჩოებიდან ამოსვლა, მისგან გათავისუფლება... ოღონდ, იმის შემდეგ, როცა უარვყავი ის, რაც მანამდე მწამდა, სიმყარე ვერ შევიძინე. თავისუფალი ვარდნა იგივე ფრენაა, მაგრამ თუ ფრთები არ გასხია და ფრენის ოსტატობას დაჩვეული არა ხარ, მას თან შიში და თავბრუსხვევა ახლავს. კი გავშორდი კომუნისტურ ნაპირს, მაგრამ ჩემი ორჩხომელი ტალღებზე აქანავდა და სხვა ნაპირის დაძებნა არცთუ იოლი აღმოჩნდა... ადრე ხომ მთელი სამყაროს ნაწილი და დედამიწის მოქალაქე ვიყავი, ახლა ერთიანი საქართველოს ნაწილი და მოქალაქე გავხდი, თუმცა ჯიბეში კვლავაც მედო „ Серпастый - молоткастый советский паспорт“...

არჩევნებში ვმონაწილეობდი. სოფლის კლუბის უკანა რიგიდან წამოდგა ერთი ჭაღარა გლეხკაცი და მითხრა: „მე შენ არჩევნებში ხმას არ მოგცემ!“ რატომ-მეთქი. „იმიტომ, რომ ვერ გენდობი! შენ უკვე უღალატე საკუთარ მრწამსს, როცა გადააგდე პარტიის მანდატი!“ ცხადია, მანდატი არაფერია, მაგრამ მრწამსი თითქმის ყველაფერია. ამიტომ ასეთ უარყოფას წესიერი კაცისათვის მუდამ ახლავს ყოყმანი და შინაგანი რიდი. ბევრმა ჩემმა ნაცნობმა, სუფთა ზნეობის კაცმა მითხრა, გადავაგდებდი ამ მანდატს, მაგრამ როგორ წავიდე ახლა, როცა გემი იძირება, ხომ ვირთხას დავემსგავსეო... ასე იყო თუ ისე, საყრდენი უნდა მომეძებნა და იგი იდო უბრალო ფორმულაში: საქართველო სამყაროს ნაწილია, მე საქართველოს ნაწილი ვარ, რაც კარგია საქართველოსათვის, ის კარგია სამყაროსათვის... ადვილია ამ, ერთი შეხედვით, ბანალური სიტყვების მოაზრება, ცხოვრება კი ბევრად უფრო რთული და მრავალწახნაგოვანია. მან შეიძლება მოულოდნელად ხელში თოფი შემოგაჩეჩოს, მაგრამ სანამ ჩახმახს გამოჰკრავდე, უნდა იცოდე, სად დგახარ და რა მიმართულებით ისვრი...

58

ერთი ცნობილი, მაგრამ ნაკლებნიჭიერი პროფესორი გამინაწყენდა. წიგნს ვრედაქტორობდი. მისი გვარ-სახელი სარედაქციო კოლეგიის სიაში ეწერა, ცალკე ტიტულზეც კორპუსით მოვიხსენიეთ როგორც გამოცემის შემდგენელი. გამინაწყენდა კი იმიტომ, რომ ბოლო ფურცელზე მესამეჯერ არ მივაწერე, ამ წიგნის რედაქტორია-მეთქი. ამას რა მნიშვნელობა აქვს, ბატონო, — მივმართე გაოცებულმა, — ამ ფურცელზე ჩვენს სახელებს იმიტომ მოიხსენიებენ, რათა საჭიროების შემთხვევაში ყური აგვიწიონ, თორემ რა დიდების მომტანი ესაა-მეთქი. ბატონმა პროფესორმა თავი სევდიანად გააქნია: „ახალგაზრდა ხარ და არაფრად აგდებ ამას!“ მივხვდი, იგი ასე ნამცეცა- ნამცეცა ცდილობდა უკვდავებას შერჩენოდა. მე კი უკვე მომბეზრდა ეს რუტინა, რედაქციის კანცელარული სამუშაო. ჩემს ხელში გაიარა წიგნებმა, რომელთა რედაქტირება მეამაყება კიდეც, თუნდაც იმანუელ კანტის „წმინდა გონების კრიტიკა“. ახლაც თვალწინ მიდგას მისი მთარგმნელის, ბატონ შალვა პაპუაშვილის ხელნაწერი – ბავშვურად მსხვილი, ფაქიზად გამოყვანილი ქართული ასოები, საიდანაც ავაწყვეთ ტექსტი, რადგან მისი გადაბეჭდვა თითქმის შეუძლებლად მოგვეჩვენა. მეამაყება ისიც, რომ საძიებლები მე დავურთე. ეს იყო წმინდა ტექნიკური სამუშაო (სწორედ იმ დღეებში ვიგრძენი პარველად, რომ თვალის ჩინი დამაკლდა), მაგრამ მე ხომ ამით თვით კანტსა და მის გადმომქართულებელს ვეხმარებოდი, კაცს, რომელმაც ამ წიგნში სისხლი ჩააქცია და სასიგნალო ეგზემპლარებს ძლივს მოესწრო... ოღონდაც, მსგავსი წიგნები იშვიათად შემხვედრია და, თუ გულწრფელი ვიქნები, არ მინდოდა მაინცდამაინც გამომცემლობის რედაქტორად მოვმკვდარიყავი...

მოვლენათა კალეიდოსკოპურ ცვალებადობაში მეც უნდა მომეძებნა ჩემი ადგილი, უნდა გავცლოდი რედაქტორის მაგიდას, რომელსაც დიდი სულიერი ძალა მიჰქონდა, სიხარულს კი აღარ მანიჭებდა. ამიტომ, როგორც კი გამოჩნდა სამსახურის დატოვების შანსი, უმალ განცხადება დავწერე...

59

მწერალთა კავშირიდან ხუთნი გამოვედით. თბილი საღამო დგებოდა და აწეული, რომანტიკული გუნებაგანწყობილება დაგვეუფლა. წუთის წინ სამდივნოზე ბარატარიის გუბერნატორად გამამწესეს. ეს ამბავი სათანადოდ უნდა აღგვენიშნა. იქვე, დადიანის ქუჩაზე, სარდაფში ჩავედით, ჯიბიდან გროშები ამოვიფხიკეთ, ორი ბოთლი არაყი ვიყიდეთ და ლამაზი, იმედიანი სადღეგრძელოები თაიგულებად შევკონეთ.

ჩვენი შემოქმედებით-ბიუროკრატიული მწერალთა კავშირი კარგა ხანია ფრთების გაშლას ლამობდა და ორგანიზაციული ფესვების რეგიონებში ჩაყრა მოიაზრა. დიდი ხნის იწილო-ბიწილოს შემდეგ დაარსდა ახალი განყოფილებები, გაჩნდა ახალი ალმანახები და მწერლების ახალ წყებას გაუჩნდა ეპოლეტების მხრებზე დაკერების შანსი. ამით, ალბათ, ჩვენი ლიტერატურუ-

ლი ნიჭიერება ვერ ამაღლდებოდა, მაგრამ ჩანაფიქრით ამ განყოფილებებს მეტად კეთილშობილური მისია ეკისრებოდა: ყველაზე მთავარი ახალი ლიტერატურული ალმანახები გახლდათ, რომელთა ირგვლივ ნიჭიერი ხალხი შეიკრიბებოდა. პროვინციებში მოღვაწე მწერლებს პროფესიული ოსტატობისაკენ მავალი ეკლიანი გზა გაუადვილდებოდა, წიგნი მკითხველს მიუახლოვდებოდა და ა.შ. ყოველივე ეს და ამგვარი პროჟექტები შეიძლება დაწყობილ საზოგადოებაში მართლაც შედეგიანი ყოფილიყო, მაგრამ იმ თბილ საღამოს ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, მომავალი რას მოგვიტანდა. ჯერაც კეთილგანწყობილებებითა და სიყვარულით შეკრულ, დამოუკიდებლობის იმედით გულანთებულ საქართველოს წიაღში ვარსებობდით და არნახული იმედები გვასულდგმულებდა. ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვიყავით, რომ მომავალი ეროვნული დროშების ფრიალსა და ბრწყინვალე ფეიერვერკებით გვეგებებოდა და ჩვენ არ შეგვეძლო ჩვენკენ დაძრულ ოქროს საუკუნეს ბროლის კოშკებში განმარტოებულნი დავხვედროდით. მომავლის საქართველოს კონტურები უკვე იკვეთებოდა თეთრ ბურუსში და ჩვენ მუხლჩაუხრელად უნდა გვევლო მასთან შესახვედრად.

მოკლედ, იმ დღეს მწერალთა კავშირის ზუგდიდის რეგიონალური განყოფილების პასუხისმგებელი მდივნობა დამეკისრა. ჩემი მეგობარი პოეტი ზაურ მოლაშხია მხარში უნდა ამომდგომოდა. ალმანახის რედაქტორობა პოეტ ნომადი ბართაიას დაევალა. ალმანახის გაძღოლის არცთუ იოლ ტვირთს პოეტი ბათუ დანელიაც უნდა შესჭიდებოდა. მეხუთეს აქ არ დავასახელებ, რადგან იმ არყის სმის შემდეგ დაგვეკარგა, ეტყობა საქმეს ოცნებების იქით ვერ მისდევდა და თბილისშივე ჩარჩა.

კუნძულის დასალაშქრავად ჩვენი ოთხეულის შერჩევას ჰქონდა, ალბათ, გამართლება. იქ ისეთი კაცი უნდა წასულიყო, ვინც რესტორანში თუ შევიდოდა, დანახარჯს გადაიხდიდა (ეს ქვეტექსტიანი წინადადება მე წამომცდა!), ვინც იმდენად გულუბრყვილო აღმოჩნდებოდა, რომ რეალური საქმის მოგვარების იმედი ექნებოდა, ვის ფარულ ამბიციას რომანტიკული ბუნება გააბათილებდა, ე.ი. ვის სულშიც ცოტათი დონ კიხოტი ცხოვრობდა და ცოტათი სანჩოც...

ასე იყო თუ ისე, შევჯექი სანჩოს ვირზე და გავემართე დასავლეთისაკენ... საბედნიეროდ, იმდროინდელი ავტობუსის ბილეთი თუმანიც არ ღირდა და გაძლება თქვი, თორემ შემეძლო რამდენჯერაც მომინდებოდა, იმდენჯერ მემგზავრა იქით-აქეთ...

60

იმ დროს ერთი ვრცელი წერილი დავწერე – „ჩემი ზუგდიდი“. წერილში მოსაფერებელიც ბევრი მეწერა, მაგრამ გულდასაწყვეტი უფრო მეტი და გაზეთის ფხიზელმა რედაქტორებმა არ დამიბეჭდეს, აქაოდა, გაგვინაწყენდებიანო. არადა, დედამიწის ზურგზე არც ერთი ქალაქი უფრო არ მყვარებია, იმათ კი, ვინც ჩემი კრიტიკისაგან ზუგდიდს იცავდა, ჩემი ქალაქიცა და მისი მცხოვრებნიც სულაც არ ედარდებოდათ, ისინი საკუთარ მშვიდ ძილს უფრთხილდებოდნენ მხოლოდ.

მუდამ მეწადა, გამორჩეული სამსახური გამეწია ჩემი ქალაქისათვის, გარდა იმისა, რომ ჩემი გმირების მოქმედების არეალად ვთვლიდი. სამწუხაროდ, ღონე არასოდეს მომეცა საამისოდ. ახლა, როცა გარკვეული მისია დამეკისრა, მეგონა, რაიმე სასიკეთოს მოვიმოქმედებდი. ზუგდიდი ჩემი ოჯახი იყო, მის წიაღში დავიბადე და, ავად თუ კარგად, გავხდი ის, რაცა ვარ... ჩემი ქალაქის ფერები მუდამ თანა მდევდა. მეჩვენებოდა, რომ აქ ცა ყველაზე ღრმა და ლურჯია. თეთრი-მოლურჯო კავკასიონი ზღუდავდა ცის კიდეს, ტატნობს ებჯინებოდა, მის გრეხილ ხაზებში დიადი ადამიანის პროფილი იკითხებოდა... ზაფხულის თბილი და უხვი წვიმები ერთბაშად მოსკდებოდა და სივრცეს გამჭვირვალე ფარდად ჩამოეფინებოდა... სამხრეთის ღამეები, ხან კაკაჩა მთვარით გადასუდრული, ხან ურიცხვი ვარსკვლავებით ცამოჭიქული, ხან კი ბნელზე ბნელი, როცა ორ ნაბიჯზე ვერაფერს არჩევ... წყნარი და სინათლით სავსე გარიჟრაჟები, როცა გრილი ნისლი იცრიცება და მუქ-მწვანე ფოთლებზე, ვარდების ფერადოვან გვირგვინებზე ცვრის გამჭვირვალე ბურთულებს ტოვებს... ყოველივეს მსჭვალავს და სიცოცხლით ავსებს აღმოსავლეთის დიდი მბრძანებელი... სიცხიანი

დღეები, როცა ციდან გამდნარი ცეცხლი იღვენთება და თავზე თმას გიტრუსავს, მიწისპირიდან კი ცხელი ჭავლი ადის და სივრცე დრეკადი და არარეალური ხდება... უსაშველოდ გრძელი, იდუმალებით დამუხტული საღამოები, როცა სულში სევდა და სიხარული დაივანებს, ადამიანი კეთილი ხდება, უჭირს განშორება და ღამის წყვდიადში გაუჩინარება... ზუგდიდური ფერების კალეიდოსკოპი ცოცხალი და ცვალებადია, ისინი მუდამ ბავშვობას მაგონებენ, იმ დროს, როცა ყოველივე მკვეთრად, მსუყედ აღიქმებოდა... ფერის გაელვება, ბგერის წკრიალი, შუქ-ჩრდილების მონაცვლეობა სულზე აღიბეჭდება და მეხსიერებიდან უკვე აღარ წაიშლება...

და მაინც, ზუგდიდი უმთავრესად ადამიანებია. ალბათ, მსოფლიოს ვერც ერთი მწერალი ვერ მიაგნებს ადამიანის ტიპს, რომლის ანალოგი ზუგდიდში არ დაიძებნება... გმირი და ლაჩარი, ზნეკეთილი და დიდგულოვანი, ღვთაებრივი სიკეთისა და სიფაქიზის გვერდით სატანური დაუნდობლობა და ეშმაკთან წილნაყარობა წაიკითხება... ზუგდიდელი მშრომელი ადამიანია, ეს მის ეზოსა და კარ-მიდამოს ეტყობა... ზუგდიდელი მშოვნელია. მისთვის არ არსებობს გეოგრაფიული დაბრკოლებები, არც რამ სხვანაირი ზღუდეები. ყოველნაირი ხელობა ეხერხება, წესიერი ბიზნესიც, ანდა მთლად „გინორაგვაფა“ (გადაგდება) და ფულის მოტეხვა... ყოველივე მაღალ დონეზეა, ქველმოქმედება და კორუფცია, უშურველი ხელგაშლილობა და ხარბი ხვეჭა... აქ ყმაწვილთა თვალებით უამრავი რომეო და ჯულიეტა, ტრისტანი და იზოლდა შემოგვყურებს. სიყვარულისათვის თავგანწირვა და რომანული ფათერაკები ჩვეულებრივი მოვლენაა... ზუგდიდელს უსაზღვრო სიყვარული ძალუძს, მაგრამ უსაზღვრო სიძულვილიც... სიკვდილის შიში არა აქვს, მაგრამ მისი მოსვლა ყოველთვის თავზარდამცემია და მგლოვიარის მწუხარებისაგან ცა ჩამობნელდება... ზუგდიდელი მხიარული ადამიანია, მაგრამ სულში პოეტურ სევდას დაატარებს... კარიერის უტყუარი ნიჭი ღმერთს უბოძებია და სახელმწიფო იერარქიის ნებისმიერ საფეხურზე თითო ზუგდიდელს მაინც შეხვდები... ზუგდიდელში ხელოვანი მეფობს, შემოქმედება მისი ბუნების

ნაწილია. ყველაზე მეტად იგი პატივს პოეტურ ხელოვნებას მიაგებს და ამიტომაცაა, რომ მეტ თაყვანს იმას სცემენ, ვისაც კალამი უჭრის და შეეცდება ზუგდიდელების გულისთქმა, სიხარული და წუხილი გააცხადოს.

ეს ტექსტი შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს, უამრავი ვარდისფერი და შავი შტრიხებით შეივსოს ზოგადი ზუგდიდელის პორტრეტი და ჭეშმარიტს მაინც ვერ დავხატავთ. ყოველივე მსგავსი შტრიხი ჩემს ავტოპორტრეტსაც ედება, რადგან თავს ნამდვილ ზუგდიდელად ვგრძნობ და ნაკლსაც და ღირსებასაც სხვებთან ერთად თანაბრად ვზიდავ. მე ერთი მრავალთაგანი ვარ და გულწრფელად მიყვარს ყოველი ზუგდიდელი, მიუხედავად იმისა, თუ ვის პორტრეტზე რა ფერის შტრიხი ჭარბობს...

61

თუ ბიუროკრატთა საძმოში ჩაეწერები, ისე უნდა მოიქცე, როგორც კლასიკური სტილის ბიუროკრატს შეეფერება. მისთვის კი ფორმა თითქმის ყველაფერია. კაბინეტის გარეშე ფორმა ვერ ჩამოყალიბდება. ამიტომაც უპირველესი საზრუნავი კაბინეტია. ერთი ჩემი მეტად თავგადადებული თანამშრომელი სულ იმის ცდაშია, როგორმე გამაგებინოს, რომ საჭიროა, მქონდეს „პრესტიჟული“ კაბინეტი. ოცნებადა აქვს გადაქცეული, რომ ოდესმე ჩემი ფართო კაბინეტის მისაღებში, ტელეფონებთან კეკლუცი მდივანი დაჯდება და მთხოვნელებს ცოტათი მაინც დააყოვნებს, რათა შექმნას შთაბეჭდილება, რომ ჩვენთან შემოსვლა არც ისე იოლია, რადგან მეტად დაკავებულნი ვართ...

რაიკომი ჯერ კიდევ მტკიცედ დგას. პირველი კაცის გადაწყვეტილება კანონია... ქალაქის ყველაზე პოეტური გარემო შემირჩიეს, მუზეუმის გვერდით ჩადგმულ კოტეჯში, რომლებიც ადრე სტუმრებისთვის აუშენებიათ და „მჟავანაძის სახლს“ ეძახდნენ. კაბინეტი მართლაც ფართო და შთამბეჭდავი მერგო. ბუხარიც ჰქონდა, სადაც ზამთარში ზოგჯერ ცეცხლიც დაგვინთია. დავკიდეთ ჭერზე ჭაღები, ფანჯრებზე ფარდები, დავდგით სოლიდური მაგიდები, კედლის გასწვრივ ჩამომწკრივდა იმ-

პორტული სკამები... ტელევიზორი, კონდიციონერი, მაცივარი... ეს უკანასკნელი, მართალია, არც ჩაგვირთავს, რადგან შიგ შესაწყობი არაფერი გვქონდა... გამოვიწერეთ ჟურნალ-გაზეთები და დილის საათებში „ბარატარიის გუბერნატორი“ პრესას ეცნობოდა...

„თავდადებული თანამშრომელი“ ცდილობს ჩემს ირგვლივ ჯებირი აღმართოს. მისი აზრით, მე ცოტათი მიუკარებელიც უნდა ვიყო, ცოტათი ქედმაღალი, ყველას თავი არ უნდა გავუყადრო. მე კი ურჩი მოწაფე ვარ. ვერაფრით გამიგია ფორმალურ ურთიერთობათა უპირატესობა და მომგებიანობა. სადაც მე ვზივარ, იქ ყველა უნდა მოვიდეს, ფეხი ფეხზე შემოიდოს და გემოზე იმუსაიფოს. ჩემი კარი ყველასათვის ღიაა, ყოველი ადამიანის გამოჩენა მიხარია, თვალებში შევყურებ, იქნებ რამეში ვარგო.

აგერ, კარი იღება და ამაყი მორიდებულობით შემობრძანდა მაღალი, გამხდარი დედაბერი. ალბათ სამოცდაათს გადაცილებულია, მაგრამ ჯერაც თავშენახულია და ადრინდელი სილამაზის კვალი შერჩენია. წელგამართული ჯდება, პირდაპირ შემომყურებს და მეუბნება:

— მხოლოდ თქვენ გამიგებთ!.. მე უფალმა დამაკისრა შუამავლობა ცასა და ადამიანებს შორის. მოვედი, რათა უფლის ნება გაუწყოთ: ამ ლამაზ კოტეჯში უნდა გამომიყოთ საცხოვრებლად ერთი ოთახი, რათა შევძლო აქედან ადამიანებს ჭეშმარიტება ვუქადაგო!

სამწუხაროდ, ეს ფინური კოტეჯი ისეთი ვერაა, უფლის მოგზავნილმა შიგ რომ იცხოვროს. რაც შეეხება ჭეშმარიტებებს, მთელი სიცოცხლე მაგას ვეძებ და თუ ვინმე მიქადაგებს, მზადა ვარ ვიჯდე და მრავალი საათი ვუსმინო!

— მე ბედნიერება უნდა მოვუტანო კაცობრიობას! – მარწმუნებს ლამაზი ქალბატონი და თავს ვუქნევ, რა თქმა უნდა, მჯერა-მეთქი...

ქალბატონი წამოდგება და მიდის, რათა ხვალაც, ზეგაც მოვიდეს და ისევ და ისევ გამიმეოროს ერთი და იგივე. მე კი მოთმინებით ვუსმენ, თავს ვუქნევ და მერე კიბემდე ჯენტლმენურად მივაცილებ...

62

ჩვენთან ლიტერატურა უყვართ. მწერლის სახელი ლეგენდით იმოსება. მისი დიდი თუ მცირე ქმედებანი ადამიანთა თვალში არაადეკვატურად ტრანსფორმირდება. ყალიბდება ისეთი წარმოდგენები, რასაც რეალობასთან არაფერი აქვს საერთო. მავანთა თვალში მწერალი ქუდბედიანია. რაკი მისმა სახელმა გაზეთის ფურცელზე გაიელვა, იგი თავს ბედნიერად უნდა გრძნობდეს. მას არც შია, არც წყურია, არც ცივა და არც ცხელა... ღატაკიც რომ იყოს, საზოგადოება მაინც ეჭვობს, რომ იგი „ხალხის“ ხარჯზე ფუფუნებასა და განცხრომას ეძლევა. ეს უპირატესობანი მას ნიჭიერებისა და შრომის წილ როდი ერგო, ხონჩით მიართვეს და ამიტომ იგი ვალდებულია „ხალხს ემსახუროს“... თუმცა, ვინ აგვიხსნის, რა არის „ხალხის მსახურება“? მწერლისაგან რაღაცას მოითხოვენ, მას რაღაცას აბრალებენ, რაღაცას ავალდებულებენ, ამავე დროს თაყვანსაც სცემენ, თუმცა შეიძლება მისი ერთი სტრიქონიც წაკითხული არა ჰქონდეთ... ცხადია, ყოველივე ეს ჩემზეც მოქმედებს. ქუჩაში რომ მივაბიჯებ, ასე მგონია, ნაბიჯი დამიმძიმდა, შუბლზე სიბრძნის ღარები გამიჩნდა, დარბაისლური ღიპი დამეტყო... ჩემი ეს შინაგანი განწყობა ანგლობის გუნებაზე მაყენებს, რადგან თვითონვე ვერ ვიტან სნობებს... აწ განსვენებული მამინაცვალი თავს უკმაყოფილოდ გააქნევდა და საყვედურით იტყოდა, ამდენი წიგნი რომ წამეკითხა, ჰალსტუხს მაინც გავიკეთებდი და ცილინდრს დავიხურავდი, შენ კი მუდამ მოჩაჩული დადიხარო... ჩემი „თავგადაკლული“ თანამშრომელი (ის ხომ დაწესებულების პრესტიჟს ჩემზე მეტად უფრთხილდება!) იმავეს ჩამჩიჩინებს – „დიდი კაცი“, „დიდმა კაცმა“, „დიდ კაცსო“... რა ვქნა, ჩემში არ ზის ეს „დიდი კაცი“ და საკუთარი ჩექმიდან ამოხტომას აზრი არა აქვს...

და მაინც, დავდივარ ჩემი ქალაქის ქუჩებში და მთელი არსებით ვგრძნობ ერთგვარ მიკროკლიმატს, კეთილგანწყობის უხილავ ტალღებს, რაიც ირგვლივ ეფინება და საკუთარ სრულ-

ფასოვნებას მაგრძნობინებს.

აგერ, ნახევარი საუკუნე შემისრულდა. ოჯახი დაბადების დღეს მიხდის. დიდებული პურ-მარილი გვაქვს. ახლობლები და მეგობრები მოდიან, მილოცავენ. მე კი გაკვირვებული და რაღაცნაირად გულნატკენი ვარ... ნუთუ ამდენმა დრომ გაირბინა?.. რა მაქვს საქეიფო და გასახარელი?.. ცხოვრება შემომეხარჯა, მე კი ვერაფერი მოვასწარი... ალბათ, დაბადების მოწმობა ტყუის, მე ხომ მხოლოდ სტარტზე დავდექი და აქედან ვიწყებ მარათონს...

ზუგდიდელი მეგობრები „ღონისძიებას“ მთავაზობენ. ოჰ, ეს „იუბილეები“, ხშირად იუბილარის მიერ ორგანიზებულ-ჩაწყობილი, რაც საკუთარი პორტრეტის კოცნას უფრო ჰგავს... ერთ ჩემს უფროს კოლეგას მოზრდილ პროვინციულ ქალაქში ისეთი „იუბილე“ მოვუწყვეთ, დარბაზი ქუხდა. კოლეგა სცენაზე, შემაღლებულ ფიცარნაგზე დადგმულ ოქროს სავარძელში იჯდა, ფერხთით თეთრკაბიანი ყმაწვილი გოგონები ისხდნენ. ჩვენ, „მისი თანმხლები პირნი“, ათიოდე თავმოყვარე მწერალი და პოეტი, სცენის სიღრმეში მარმარილოს უსულო სვეტებივით ვიდექით და ფონს ვქმნიდით... ის, რაც ეკუთვნოდა აკაკის, თავზარდამცემად უხერხული და შეუსაბამო ჩანდა პატივცემული კოლეგისათვის. ვიდექი და მრცხვენოდა, რომ დეკორატიულ ვაზას დავემსგავსე უგვან სპექტაკლში. საოცრად ცხადად ვიგრძენი, რომ სავარძელში ჩამჯდარი კოლეგაც დაპატარავდა, მხრებში მოიბუზა, თითქოს ამდენ სიმძიმეს ვერ გაუძლო... დიახაც, არ შეიძლება, აკაკის სავარძელში სხვა ვინმე ჩაჯდეს და არ დაპატარავდეს...

არავითარი ტაშ-ფანდური, არავითარი ზარ-ზეიმი, ეს იყო ჩემი პირობა. ერთადერთი, რისი ატანა და გაძლება შემეძლო, საღამო-დიალოგი იქნებოდა. ისედაც კარგა ხანია მეწადა, რომ პირისპირ მელაპარაკა ჩემს ნაცნობ-მეგობრებთან, თანამოქალაქეებთან.

კარგი საღამო გამოგვივიდა. ხალხი საკმაოდ მოგროვდა. ვღელავდი და მარკ ტვენის ხუმრობა გავიხსენე, როცა დამსწრე საზოგადოებას ამცნო, ესა და ეს გენიოსი მოკვდა და მეც ვერა

ვარ რაღაც კარგადო...

დრო იყო ისეთი, თითქოს ყველას ერთმანეთი გვიყვარდა. დაპირისპირება მხოლოდ იწყებოდა. ოპოზიციური პარტიები ახლაღა ყალიბდებოდა, მათი სახელწოდებები ერთმანეთში გვერეოდა. მათი პროგრამები წესიერად არავინ იცოდა. ყველანი კომუნისტურ მმართველობას უპირისპირდებოდნენ. რადიკალური მოწოდებები მოდაში შემოდიოდა. მე კი ჩემი ბუნებით ზომიერი კაცი აღმოვჩნდი და თავს იმ ორჩხომელაზე ვგრძნობდი, სრული შტილის დროს ზღვაზე რომ ტივტივებს, მაგრამ ბარომეტრის ისარი უკვე უჩვენებს მოსალოდნელ ქარიშხალს...

63

— თქვენ მაინც უთხარით, რა უნდათ ამათ ნეტავი? – ფორიაქობს რაიკომის მდივანი ქალი, რომელსაც თავისი პარტიული კარიერა პირნათლად და ლამაზად გაუვლია, ზოგადად კეთილშობილი ადამიანია, მაგრამ ჯერაც არ ესმის, რომ სისტემას, რომელმაც ის გამოზარდა, ფუძე ეცლება და ლამისაა თავზე დაენგრეს.

თამამად ფრიალებს სამფეროვანი დროშები. ქუჩებში წამდაუწუმ მიმოდიან დემონსტრანტები. პროვინციული მასშტაბის უფსკრული თანდათან ღრმავდება.

ჩემს საღამოზე, თეატრში, დაჟინებით მეკითხებოდნენ, რა მოელის კომუნისტურ პარტიას დამოუკიდებელ საქართველოშიო... დარბაზში რაიკომის მდივნებიც ისხდნენ, ჩემთვის პატივსაცემი ადამიანები. დარწმუნებული ვიყავი, ამ კონკრეტულ პიროვნებებს გლობალურ თამაშში არანაირი როლი არ ეკუთვნოდათ. ისტორია ადამიანთა ბედ-იღბალზე ასფალტის სატკეპნი მანქანით მიგორავდა. ამიტომაც გულწრფელად ვპასუხობდი – „დამოუკიდებელი საქართველო დემოკრატიული იქნება, დემოკრატიულში კი კომუნისტურიც ერთ-ერთ პარტიად დარჩება სხვა მრავალთა შორის!“ ვფიქრობდი, რომ ქვეყნის მომავალი ურთიერთთანხმობაშია, რომ კომუნისტებიც და რადიკალებიც თანაბრად ოცნებობენ დამოუკიდებლობაზე.

რაიკომის შენობის წინ, ტროტუარზე, ოპოზიციონერთა მჯდომარე აქცია ეწყობოდა და იგი მხიარულ კინკლაობას უფრო ჰგავდა. ლამაზ ქალბატონს თავგზა აბნეოდა. ამიტომაც შემომჩივლა, მე კი მხრები ავიჩეჩე და ღიმილით ვუპასუხე – „მე ამათ მხარესა ვარ!“

რომელი იყო „ამათი მხარე“?

თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში სახალხო ფრონტის დამფუძნებელ ყრილობას დავესწარი. დარბაზს რევოლუციური აღტკინება დაუფლებოდა. პოპულიზმი ბატონობდა... თვალნათლივ ვხედავდი, ზვიად გამსახურდიას როგორ გაჰყავდა ნოდარ ნათაძე... დიდი თამაში თამაშდებოდა... ჩვენ კი მთვრალები, ეგზალტირებულნი, საკუთარი ვაჟკაცობით კმაყოფილნი გზას რადიკალებს ვუთმობდით... მაშინ პირველად ვნახე მერაბ მამარდაშვილი. კედელთან იდგა, სახეზე მარტოობის სევდა აჩნდა.

გონიერება მუდამ მარტო რჩება!

დედაქალაქში ხან ერთ კრებაზე ამოვყოფდი თავს, ხან მეორეზე... ხმაურიანი, დამღლელი თავყრილობები... საღ, ნათელ აზრს მუდამ ჭარბობდა ამბიციურობა, რომანტიკული აღმაფრენა, რეალობას მოწყვეტილი პროჟექტები... დაიკარგა ილიასებური სიდარბაისლე.

და მაინც, ჯერ კიდევ გვიყვარდა ერთმანეთი, დასაღუპავად ვერავის ვიმეტებდით, რადგან ერთი მტერი გვყავდა – იმპერია.

იქ, ჩვენს პატარა ქალაქში, სახალხო ფრონტის მოზრდილ ოთახში იკრიბებოდნენ პირველ პარტიათა პროვინციული განშტოების წევრები... ხანდახან მეც მივდიოდი და ვუსმენდი, მიჭირდა გარკვევა, ვინ რომელ პარტიას წარმოადგენდა და რომელი პარტია რას მთავაზობდა... ერთი კი იყო, ყველანი ერთმანეთს მეგობრებად მიიჩნევდნენ, ცენტრს უნდა ვუჩვენოთ ერთიანობის მაგალითიო, ხშირად იტყოდნენ...

ეჰ, ჯერაც მოგვდგამდა ტრადიციული ქართული კეთილგანწყობა, მაგრამ ახლოვდებოდა ჟამი, როცა დაგვავიწყდა ქრისტეს მცნებანი, გამორჩეულად კი – „გიყვარდეს მტერი შენი!“

64

პირველი მრავალპარტიული არჩევნები... ნაცნობი ახალგაზრდა მეამბოხენი მეუბნებიან, ენგურისპირა სოფელ შ-ში კრებაა, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ირჩევენ, რაიკომი ცდილობს თავისი კაცი შეაგდოს, სოფელს კი თავისი უნდა, წამოდით, ვნახოთ, რა ხდებაო.

ჩავსხედით მანქანაში და გავემგზავრეთ.

დარბაზი ხალხით გაჭედილი დაგვხვდა. პატარა სცენაზე, მაგიდას რაიონის ერთ-ერთი თავკაცი უზის. ლამაზი გარეგნობის ჭაღარა მამაკაცია. რაც თავი მახსოვს, მუდამ მაღალ თანამდებობაზეა. მძიმე მისია აკისრია, სოფელი უნდა დაარწმუნოს, რომ რაიკომის კანდიდატი სჯობს სოფლისას... ჩვენ რომ გამოვჩნდით, ნირი ეცვალა... წინა რიგში ვჯდებით...

დაძაბულობა იგრძნობა. ეტყობა, რაიკომმა ოქროს ზოდები რომ დააწყოს, მისი უკვე არავის სჯერა. ოღონდ სიმართლის მთქმელი ნაკლებად ჩანს... თუმცა აგერ ხომ ვარ, არამკითხე მოამბე... სიცოცხლეში ერთხელ მეც შემიძლია ფანტაზიის სფეროდან ძირს ჩამოვიდე და ხალხის გულისთქმის გამომხატველი გავხდე... ავდივარ ტრიბუნაზე და რაიკომის არგუმენტებს წუთში ძირს ვანარცხებ... საკუთარი სინდისის წინაშე თავის მართლება იოლია, ბოლოს და ბოლოს სოფელს ასე უნდა და ვის რა უფლება აქვს თავს სხვა გადაწყვეტილება მოახვიოს... ავირჩიეთ, ვინც გვინდოდა!

ეს პატარა ამბავი მინიატურაში მთელი ქვეყნის პორტრეტსა ჰგავს. ჩვენ კარგა ხანს ვერ ვისწავლით ავისა და კარგის გარჩევას. მოგვიანებით გავიცანი ახალგაზრდა სპეციალისტი, ვისაც რაიკომი უჭერდა მხარს. სოფლისათვის და საქმისათვის ის ალბათ სჯობნიდა თავის მეტოქეს. საყვედურიც არ დასცდენია, თუმცა მის კარიერას ხელი შევუშალე.

ყოველივე ამან ჩემთვის გამოიღო შედეგი. მეორე დღესვე ამომაკითხეს სოფლის წარმომადგენლებმა, კრება გვქონდა და ჩვენს კანდიდატად დაგასახელეთო. ცხადია, დღესაც მადლო-

ბელი ვარ ამ ყურადღებისა, მაგრამ ეს კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ ჭეშმარიტი პოლიტიკოსების დეფიციტს შემთხვევითი ადამიანები შეავსებენ ხოლმე. რომ ვთქვა, შევიცხადე, ძმებო, დამეხსენით, მე რა პოლიტიკოსი ვარ-მეთქი, არავინ დამიჯერებს. პატივმოყვარული ჭია ყოველ ჩვენთაგანში ზის და ის მაინც გავიფიქრე, სხვა რომ არ იყოს, წერა-კითხვა მაინც მეხერხება, ახალ კანონებში კირკიტს მეც კი შევძლებ და ერთ-ორ სიტყვას შევაწევ-მეთქი... ცოტა უფრო ადრე, საკავშირო ყრილობის დეპუტატობის კანდიდატებს რომ ვასახელებდით, ჩემს თბილისურ უბანში კრებას დავესწარი. კანდიდატებად სხვადასხვა რანგის ყოფილი დეპუტატები გამოგვეცხადნენ. გამოვედი სიტყვით და ამ მარად დეპუტატებს პირში მოვახსენე, აქამდე მთელი ცხოვრება ხელის აწევის მეტი არაფერი გაგიკეთებიათ და ახლა რა სინდისით გინდათ მოსკოვში წასვლა-მეთქი. დარბაზის უმრავლესობამ ტაში დასცხო, თუმცა რაიკომის წარმომადგენლები და რამდენიმე მათი კუდი ბოღმით გასივდნენ... ეს რა შეღავათია, თორემ მეჩვენებოდა, რომ ამათზე უკეთესი დეპუტატი მაინც ვიქნებოდი...

ასე იყო თუ ისე, ჩავერთე საარჩევნო მარათონში. სხვებთან ერთად დავდიოდი სოფლის კლუბებში. ამომრჩევლების განწყობილებებით თუ ვიმსჯელებდი, წარმატების იმედი უნდა მქონოდა. ტრიბუნას გავუთამამდი და რაგინდარა კითხვა არ მაკრთობდა. ერთგან ჩემს მეტოქეს შეეკითხნენ, დღეს რომ საქართველოში პრეზიდენტი გვყავდეს ასარჩევი, თქვენ ვის დაგვისახელებდითო. ეს კაცი მეურნეობის კარგი დირექტორი იყო, მაგრამ იმ დროის პოლიტიკურ ლიდერებს მარტო გაზეთებით იცნობდა. ავდექი და ჩამოვთვალე შესაძლო კანდიდატები, სათითაოდ დავახასიათე და დავასკვენი, პრეზიდენტობის ღირსი კანდიდატი დღეს საქართველოში არცა გვყავს, მაგრამ არის კაცი, რომელიც თანდათან ყალიბდება და დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტი ის გახდება-მეთქი. ესაა ზვიად გამსახურდია-მეთქი. ბოლო რიგებიდან წამოცვივდნენ ახალგაზრდები, ტაში დასცხეს... დიახ, ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, დიდი კონსტანტინეს ვაჟიშვილი მარმარილოს კიბეს უნდა შესდგომოდა.

სხვათა შორის, საქართველოს ჯერაც არ ჰყავდა პრეზიდენტი, როცა დავწერე და ცოტა მოგვიანებით გამოვაქვეყნე პოლიტიკურ-ფანტასტიკური ნოველა – „ბატონი პრეზიდენტი ჩამობრძანდა“, სადაც აღვწერე რუსეთის პრეზიდენტის მომავალი ვიზიტი საქართველოში... უკვე ვიცოდი, რომ დადგებოდა ისეთი დღეც, მაგრამ ჯერ კიდევ რომანტიკულ ბურუსში ვიყავით გახვეული და ჩვენი ეს პოლიტიკური შერკინებანი უფრო თამაშსა და გართობას ჰგავდა, რომელიც აუცილებლად მოგვიტანდა მომხიბლველ სათამაშოს – დამოუკიდებლობას.

ის არჩევნები ჩაიშალა... გარკვეულ ძალებს ყველაფერი ბოლომდე არ ჰქონდათ გათვლილი და უმჯობესად ჩათვალეს მისი გაუქმება... შუა გზაზე შეწყდა ჩვენი ბატალიები, კანდიდატებს ფუჭად შეგვრჩა ენამზეობა.

65

საბჭოთა ყოფიერებამ ისეთ სტანდარტულ ერთფეროვნებას მიგვაჩვია, სხვა სივრცეში გადაადგილება თავისთავად ნიშნავდა სამყაროს სხვა განზომილებასთან ზიარებას. ამიტომ, როცა ბნელი ღამიდან კაიროს აეროპორტის მოციმციმე გირლიანდები გამოჩნდა, ყველანი სარკმელს მივაჩერდით, მოგვეჩვენა, რომ აქაური ნათურებიც კი სხვანაირად, არასაბჭოურად ანათებენ.

დღეს ყველა გზა ხსნილია. დოლარი თქვი, თორემ დედამიწის ნებისმიერ ქვეყანაში აღმოჩნდები. მაშინ ჯერ კიდევ ყოველი ასეთი გაფრენა სასწაულთან შეხვედრას უდრიდა.

მაისის ზომიერ სიცხეს უდაბნოდან საღამოობით მოღწეული ნიავი არბილებს. უზარმაზარი, ხმაურიანი ქალაქი თავისი განსხვავებული რიტმით ცხოვრობს. ევროპული უბნები პარიზისას ჰგავს, აღმოსავლური კი თვალსა სტაცებს საყოველთაო ბაზრის სიჭრელით... საოცარი კონტრასტები... ნუვორიშების სასახლეები და კადილაკები, მშიერი მათხოვრების ლაშქარი... ულტრამოდერნისტული კვარტალები და მტვრიანი, ვიწრო ქუჩები... ღიმილიანი პოლიციელები, სახიერი ბიჭუნები და ნეფერ-

ტიტის პროფილიანი ქალები, რომელთაც პირზე სპილოსძვლისფერი გადაჰკრავთ... კოპტების პატარა, ქრისტიანული ეკლესია და უზარმაზარი, მდიდრული მეჩეთები... ქალაქის შუაგულში გაწოლილი ნილოსი, ვრცელი და მდორე (ერთი ჩვენი კოლეგა-პროზაიკოსი წამდაუწუმ კითხულობდა: „ბოლოს და ბოლოს გვანახებენ ნილოსს?“ ამ დროს ხიდზე გადავდიოდით და გაღმა ნაპირზე სასტუმრო „შერატონის“ ნეონის წარწერა ციმციმებდა)... ეროვნული მუზეუმის გამაოგნებელი სიმდიდრე და სიუხვე...

შებინდებისას გარეუბანში გავდივართ. ზედ ქალაქის კარიბჭესთან იწყება გიზის ველი. ლამაზი პარკის ბოლოს, სათვალთვალო მოედანზე ვსხდებით. ჩვენს წინ სფინქსია, მის მიღმა წამომართული სამი პირამიდა არარეალური მეჩვენება... ხეფრენის პირამიდას თავზე მთვარე აზის. ჟღერს ვერდის უკვდავი „აიდა“. ფარაონის ხმა ფრანგულ ენაზე წარმოთქვამს მონოლოგს. ჩემს გვერდით ბრაზილიელი ქალბატონი ზის. ჩემი მარტივი ესპანურით ვახერხებ იმის პორტუგალიურის დაძლევას. ზღაპრის საღამოა და მინდა ქალბატონი გავაკვირვო. მან არ იცის, სად არის „ხეორხია“, „გეორგია“, „ჟორჟია“, „ჯორჯია“... აჰ, ჯორჯია ამერიკაშია!.. მე შურს ვიძიებ იმით, რომ მეტი ბრაზილიელი მწერალი ვიცი, ვიდრე იმას გაუგონია... პირამიდის კუნჭებს მთვარე შორდება. ერთად იკვრება სივრცე და მარადისობა, ადამიანთა ერთობა – აღმოსავლეთი და დასავლეთი...

მეორე დღეს, თაკარა სიცხეში პირამიდებთან დავბორიალობთ. ხეოფსის პირამიდაში გვირაბი შედის. ვიწრო, ციცაბო ტალანია. ძირს საფეხურიანი ფიცრები დაულაგებიათ. ზევიდან დაშვებულები მხრებსა მკრავენ. დიდხანს, დიდხანს ავდივარ (ასე მეჩვენება). ბოლოს სენაკში აღმოვჩნდი. კედელში დაბალი გასაძრომია ვრცელ, ვაგონის ფორმის მარალჭერიან დარბაზში. შუაში გაძარცული სარკოფაგია, მეტი არაფერი. ვგრძნობ, რომ მილიარდტონიანმა ქვის აკლდამამ გადამყლაპა. აქედან მალე უნდა გავაღწიო. გული ძალუმად მიცემს, ჰაერი არ მყოფნის... სწრაფად ვეშვები. ქვის სტომაქიდან მზეზე რომ გავედი, თვალთ დამიბნელდა, ოფლმა დამასხა და ნამთვრალევივით შევტორტმანდი... ლამაზი, შავთვალწარბა ეგვიპტელი ბიჭუნები შემომეხვივნენ – „მისტერ! მისტერ!“ ეშმაკის ფეხები. მათ რომ დანებდე, წუთში გაგფცქვნიან! დაბნეული უაზროდ ვუღიმი, ღონე არ მყოფნის დავუცაცხანო... ფხიზელი პოლიციელები იქვე დგანან, ბიჭუნებს ხელჯოხებით ემუქრებიან და ისინი თავს მანებებენ... მარადისობა და ტრივიალური რეალობა!

66

ქართველი რისი ქართველია, თუ იმაზე მძიმე ტვირთი არ აიკიდა, ვიდრე აწევა შეუძლია. ლტოლვა ხელისუფლებისაკენ ყოველ ჩვენთაგანშია და კუმ ფეხი გამოყოს პრინციპი საყოველთაო სნებაა... პირველად პარლამენტში ასარჩევ კანდიდატთა სია რომ ჩავიკითხე, უხერხულობა ვიგრძენი. იმდენი ნაცნობი გვარი შემხვდა, სხვადასხვა პროფესიის არცთუ ურიგო სპეციალისტებისა, რომელთაც პოლიტიკისა იმაზე მეტი არ ესმოდათ, რამდენიც ჩემს ნაცნობ „სუნელის“ გამყიდველ ქალს, ნიშნის მოგებით რომ მიმართა სკოლის დირექტორს: „რა გჭირთ ამ განათლებულებს, პოლიტიკისა ვერაფერი გაგიგიათ! აი, მე აჯიკას ვნაყავ, პოლიტიკას კი უკვე მივუხვდიო!“ ახლა მეც რომ დიდი პოლიტიკოსი ვერ აღმოვჩნდი, ამაზე უკვე ვთქვი. თანაც შეწყვეტილი არჩევნების შემდეგ მეუხერხულებოდა ხელახლა ამ ჭიდილში ჩართვა. ამით მხოლოდ იმას დავამტკიცებდი, რომ ბევრისდა დარად, გულის სიღრმეში მეც მხრავდა ხელისუფლების ჭია. გუნებაში დავცინოდი სულში ჩაბუდებულ ამ ამბიციურობას, ამიტომ არჩევნებში მონაწილეობის სურვილი არც გამიცხადებია. კანდიდატთა დასახელების დროის ლიმიტი იწურებოდა, როცა მეგობრებმა შემომთავაზეს, ქვედა ზონის სოფლებში წამოგაყენებთო. იგულისხმებოდა, რომ ლიბერალები დამასახელებდნენ, ისე კი დამოუკიდებელი ვიქნებოდი, რადგან არც ერთ პარტიაში არ ვაპირებდი შესვლას... დავთანხმდი! კანდიდატთა შორის ამჯერად დირექტორთა და თავმჯდომარეთა წილი შემცირდა, ძირითადად პარტიათა წარმომადგენლები შეიყარნენ, ახლადგამოჩეკილი პოლიტიკოსები, რომელ-

თაც გარდა მიტინგური გამოცდილებისა, სხვანაირი ჯერაც არ შესძენოდათ. თუმცა მე ეს მიტინგური გამოცდილებაც არ გამაჩნდა. პროგრამები თითქმის არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, ამიტომ თითქოს საკამათოც არაფერი გვქონდა. ერთმანეთს კორექტულად ვექცეოდით. ყველანი ოპოზიციონერები ვიყავით და თავს კომუნისტური პარტიის კანდიდატს თუ ვესხმოდით...

ვინათხოვრე მანქანა და სოფლიდან სოფელში დავდიოდი, წინასწარ დანიშნულ თავყრილობებზე ვცხადდებოდი. ჩამოვმწკრივდებოდით სცენაზე, ამომრჩევლებს გადმოვუფენდით ოდეკოლონით დაწკრიალებულ საკუთარ ბიოგრაფიებს, ლამაზ ფერებში გავაწყობდით ქვეყნის მომავალს, რაკი ამ მომავლის საათივით აწყობა არცთუ ძნელი გვეჩვენებოდა. უსახსრო და მცირეძალოვან პარტიებს თავიანთი ბედი მთლიანად კანდიდატთა მოხერხებულობისათვის მიენდოთ. მხოლოდ „მრგვალები“ აქტიურობდნენ გამორჩეულად. სოფლებს კარდაკარ ჩამოჰყვებოდნენ და მიხრწნილ დედაბრებს ხელისგულზე „კვარკვალიეფიშ“ (მრგვალების) ნომერს აწერდნენ.

ჩვენი გამოსვლები პიროვნებათა შეჯიბრებად აღიქმებოდა, რადგან მსმენელთათვის მისაწვდომი პროგრამული პოსტულატები ერთიმეორისაგან არ განსხვავდებოდა. ქვეტექსტების ამოკითხვა კი თითო-ოროლას თუ შეეძლო. ყველაზე ხელგაშლილ დაპირებებს „მრგვალები“ იძლეოდნენ, ხალხს არწმუნებდნენ, ყველაფერი თქვენია, რასაც მოიწევთ, შინ წაიღეთ, სახელმწიფოს ნურაფერს უტოვებთო. ერთგან გლეხი წამოდგა და შეეკითხა, ასე რომ გვეუბნებით, გზას, ტელეფონს და შუქს ვინღა გაგვიყვანსო... მიხვდნენ, რომ აჭარბებდნენ და სიტყვა ცოტათი მოზომეს... მარათონი სანახევროდ გავლილი გვქონდა და თითქოს გამოჩნდა, ფავორიტი ვინც იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში მეჩვენებოდა, რომ ჩემი და „მრგვალების“ ბედაურები გვერდიგვერდ მიქროდნენ, ვერც ერთი ვერ გაასწრებდა ძალიან შორს და საჭირო გახდებოდა არჩევნების მეორე ტურის ჩატარება. ქედმაღლობა კი არ მაფიქრებინებდა ასე, შეხვედრების საერთო ატმოსფერო მაიმედებდა. ჩემი მეტოქე „მრგვალებიდან“ ზაურ ქობალია გახლდათ. წიგნიერ კაცად მიმაჩნდა. ოთხმოც წელს

ჩემს პირველ წიგნზე საკმაოდ პროფესიული მოხსენება დაწერა და მადლიერებით შევახსენე ეს ამბავი. მინდოდა შენს შემოქმედებაზე მეწერა, მერე კი პოლიტიკამ გამიტაცაო, — მითხრა. მეც დაგიღუპივარ და პოლიტიკაც-მეთქი, გავეხუმრე. ახლა რაღა მეთქმის! ჩვენი არსებობის ძნელბედობამ, ისტორიის ლოგიკამ თუ ალოგიკურობამ, არაპოლიტიკოსთა პოლიტიკოსობამ აქეთიქით მიგვყარ-მოგვყარა და ცხოვრება გაგვიმრუდა, ისიც საკითხავია, ჩემთვის რომ „მრგვალებს“ შემოეთავაზებინათ კანდიდატობა, ცხოვრების გზა საით გადაიხრებოდა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ სხვის ბოსტანში კენჭების სროლას, საკუთარ ნაკლოვანებათა ანალიზს ვამჯობინებ.

ურთიერთკორექტულობამ ბოლომდე გასტანა. მხოლოდ ერთ კანდიდატს უმტყუნა ნერვებმა. ქალაქის ცენტრში გამართულ ბოლო მიტინგს არ დავსწრებივარ და ამით ისარგებლა. ზღვის ლომისმაგვარ ულვაშებზე ხელი ჩამოისვა და სამჯერ გაიმეორა – ახალი ამბავი გავიგე, თურმე კომუნისტებს თავისი ფარული კანდიდატი ჰყავთო... ოღონდ ეს არ ეხება ამას და ამასო, ჩემს გარდა, ყველას გვარი ჩამოთვალა. ანეკდოტივით გამოუვიდა, გვარს არ დავასახელებო, კოლმეურნე რომ თავმჯდომარეზე ამბობდა... მოგვიანებით, როცა ერთმანეთს შევხვდით, შეეცადა დავერწმუნებინე, რომ მე არ ვყავდი მხედველობაში, პასუხად „პოლიტიკური პროვოკატორი და ნაძირალა“ ვუწოდე. რა თქმა უნდა, ასე არ უნდა გავღიზიანებულიყავი, ალბათ, ამაში გამჟღავნდა ჩემი ფარული წყენა, არჩევნების შედეგის გამო... ისიც სათქმელია, რომ კომუნისტებს ჩემისთანა ზომიერი კაცი იქნებ უფრო აწყობდათ, ვიდრე რადიკალები, მაგრამ ჩემთვის ამაზე არავის არაფერი უთქვამს და რამენაირ გარიგებაზე ლაპარაკი მხოლოდ პროვოკატორს შეეძლო...

შედეგი „მრგვალებისთვისაც“ მოულოდნელი აღმოჩნდა... ზვიად გამსახურდიას მატარებელზე ვინც დროულად მოკალათდა, ბოლო სადგურამდე მიგრიალდა, ჩვენი მცდელობა კი ჩაიფარცხა... საქართველოს მესია ენატრებოდა, ჩვენ კი, დანარჩენები, ჩვეულებრივი მოკვდავნი ვიყავით.

67

ხშირად სასურველს სინამდვილედ აღვიქვამთ. უკვე მრავალი წიგნის ავტორი ვიყავი, ეს წიგნები აგერ, ამ მაღაზიაში იყიდებოდა, თანამოქალაქენი ღიმილითა და პატივისცემით მხვდებოდნენ. სცენაზე იშვიათად გამოვჩნდებოდი, მაგრამ თუ ორიოდე სიტყვას გადავაბამდი, სულგრძელად ტაშს მიკრავდნენ. ბუნებრივია, მეგონა, რომ მიცნობდნენ. ის კი ვერ გავთვალე, რომ თუ გინდა, მართლა გიცნობდნენ, ტელედიქტორი მაინც უნდა იყო, ანდა რაიმე სკანდალურ ამბავში გაეხვიო, ან კიდევ მზერით მაგიდაზე კონსერვის ქილა გადააადგილო... წიგნს ათი კაცი წაიკითხავს, თუნდაც ასი, უკეთეს შემთხვევაში – ათასი. ჭეშმარიტი, დაინტერესებული მკითხველი, ალბათ, თითზე ჩამოითვლება. ვინ ჩაუღრმავდება ფარულ ქვეტექსტებს, ყურს ვინ მიუგდებს ქნარზე სიმის გატოკებას, ვინ შეეპასუხება სულის გულწრფელ შეთრთოლებას?

კენჭისყრის დღეს მანქანიდან გადმოვიდა წარმოსადეგი, ინტელიგენტური გარეგნობის მამაკაცი, სკოლის დირექტორი, ხელი ჩამოგვართვა და კმაყოფილებით გვამცნო, კენჭი უკვე ჩავაგდეო. გვერდით ახლობელი მედგა და დაინტერესდა, ხმა ვის მიეციო. სიაში ვიღაც მწერალი ეწერა, ვიფიქრე, წიგნი მაინც ექნება წაკითხული და იმას მივეციო... ეს მწერალი მე გახლდით, ჩემი გვარი სკოლის დირექტორს აქამდე არც სმენოდა. აქედან იოლი იყო მკითხველ-ამომრჩეველთა რიცხვის გათვლა. მივხვდი, რომ „წინასწარმეტყველს პატივს არავინ მიაგებს საკუთარ ქალაქში“ და ხმათა რაოდენობა ღირსეული დამარცხებისთვისაც აღარ კმარა.

ამაზე გლოვა-ტირილი არ დამიწყია. გულდასაწყვეტი მხოლოდ ის მქონდა, რომ პირადად ვერ ჩავერთვებოდი იმ საზეიმო აღლუმებსა და სადღესასწაულო ორომტრიალში, რაც ახალი, დამოუკიდებელი რესპუბლიკის დაბადებას უნდა მოჰყოლოდა. ოღონდაც, ამას ხომ ტელეეკრანიდანაც მშვენივრად ვნახავდი და ამიტომ ჩემი გულწრფელი სიხარული გამოვხატე წერილში

– „დავმარცხდი, მაგრამ გავიმარჯვე!“ დიახ, საარჩევნო მარათონში დავმარცხდი, მაგრამ ამავე დროს გავიმარჯვე, რადგან გაიმარჯვა სამშობლოს განთავისუფლების საქმემ. წერილში იმასაც ვამტკიცებდი, ისტორიული სამართლიანობაა, რომ დიდი კონსტანტინეს შვილი ხდება დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირველი მეთაური-მეთქი. ერთმა ნომენკლატურულმა ლიტერატორმა თვალები მოჭუტა და გამეანგლა, ეს წერილი უკვე მაგიდაზე ექნება იმ კაცსო. არ მესიამოვნა! არასოდეს ჩავწერილვარ იმათ რიგში, სასწრაფოდ რომ გაქანდებიან პირველი კაცის გულის მოსაგებად და საამებლად. ამ წერილს ჭეშმარიტი სიხარული მაწერინებდა და რამენაირ გამორჩენაზე ფიქრიც კი შეურაცხმყოფელი იქნებოდა. ეს ცეკას დროს იყო, — ცივად მივუგე, —პირველ კაცს რომ წინ ასეთ წერილებს უდებდნენ. ამ არეულ დროში კი არავინ შეეცდება შენი სიტყვა სხვათაგან გამოარჩიოს, მაამებელთა რიგი ისედაც საკმაოდ გრძელია-მეთქი...

ასე იყო თუ ისე, მივუჯექი ტელევიზორს! ყოველი სასიკეთო სიახლე, ბუნებრივია, მახარებდა, წინააღმდეგობანი მანერვიულებდა. ოპტიმისტი ვიყავი და, მეგონა, რომ საქართველოს ყველა შვილს საკუთარი ინტერესები დაავიწყდებოდა სამშობლოს სასიკეთოდ. ჩემს ილუზიებს ფრთები მალე შეეკვეცა, თუმცა ბოლომდე მაინც დიდხანს ვერ დავთმე. მსურდა, ყოველი ჩვენი ნაბიჯი გონივრული ყოფილიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, სულ მალე მატარებელი უგუნურების უფსკრულისაკენ დაგვიგორდა...

68

ტელეეკრანზე მოწოდება რომ გამოჩნდა, არიქა, ყველანი მთავრობის სასახლისაკენ გამოეშურეთ, ოპოზიცია თავს გვესხმისო, მოთმინების ფიალა ამევსო. სწრაფად ჩავიცვი და კარი გავიჯახუნე. მეუღლემ მომაძახა: სად მიდიხარ, ვის სჭირდები, დაგახლიან ტყვიას და დაგვტოვებ ობლადო... დამახალონ-მეთქი, ავად შევიღრინე და კიბეზე დავეშვი.

სექტემბრის შემდეგ ქალაქში დაძაბულობა თანდათან მატ-

ულობდა. ჭიდილი მთავრობასა და ოპოზიციას შორის არ ნელ-
დებოდა. ეს განსაკუთრებით საგრძნობი გახდა მოსკოვის პუტ-
ჩის შემდეგ. მაშინ ზუგდიდში გახლდით და მეც კი მივხვდი, რომ
პუტჩი უკან, საბჭოეთისაკენ შებრუნებას ნიშნავდა. აქამდე
მამაცურ დეკლარაციებს ჩვეული მთავრობა დაფრთხა, მაშინ
როცა ახლა იყო საჭირო ვაჟკაცობა და წინდახედულება. ჩემი
მოწონება-არმოწონებით არაფერი შეიცვლებოდა, მაგრამ ორად
გახლეჩილი ქვეყნის ბზარი ჩემს გულზეც გადიოდა. უკვე აღარ
მომწონდა ეროვნული მთავრობის საქმეები, მაგრამ ბევრ ოპოზი-
ციონერსაც ვიცნობდი და არ ვენდობოდი. წერილიც კი გამოვა-
ქვეყნე – „მწერლის ადგილი“, სადაც ვამბობდი, რომ არ შეიძლება
სახალხოდ არჩეული პრეზიდენტის ზარბაზნებით ჩამოგდება,
რადგან ჩვენ გადავიქცევით „ბანანის“ რესპუბლიკად, სადაც
ყველა სერჟანტს მოუნდება პრეზიდენტობა-მეთქი. იქვე იმასაც
ვამბობდი, მთავრობამ ხალხს უნდა დაუმტკიცოს, რომ
დემოკრატიისათვის იღვწის და მის გზას ადგას-მეთქი. სამწუ-
ხაროდ, უკვე ქვეყნდებოდა წერილები, დემოკრატია ჩვენთვის
ნაადრევიაო. ასეთი მსჯელობა მაშინებდა, რადგან ეს ჰგავდა
მზადებას დიქტატურისათვის. უამრავი დიდი და მცირე მოვლენა
და ფაქტი მაშორებდა მთავრობასაც და ოპოზიციასაც. ალბათ,
იმათ რიგში ვიყავი, ვისაც საჭიროდ მიაჩნდა მესამე გზის მო-
ძიება, ვინც ჩატეხილი ხიდის აღდგენაზე ოცნებობდა, მაგრამ ეს
ერთგვარი განდგომილის პოზიციას დაემსგავსა, რომელიც
თანაბრად ისჯება ერთი და მეორე მხრიდანაც. ორად გახლე-
ჩილი, სიძულვილით დაავადებული საზოგადოება მოითხოვს,
რომ მაინცდამაინც მის მხარეს დადგე და რაკი ეს არჩევანი ვერ
გააკეთე, ორივე მხრიდან გესმის ყიჟინა – „მოღალატე!“

იმ დღეს, როცა სასახლის წინ ხალხს მოუხმეს, გულანთე-
ბული მივეშურებოდი, რათა ტყვიას შევგებებოდი. ეს მართლაც
გამოსავალი იყო კაცისათვის, ვინც არჩევანი ვერ გააკეთა. ვერ
განუდგა ეროვნულ მთავრობას, მაგრამ ამავე დროს ვერ შეე-
ლია დემოკრატიის იდეალებს, რომლის დროშასაც ოპოზიცია
აფრიალებდა.

მეტროში რომ ჩავედი, რაღაცნაირი უხერხულობა ვიგრძე-

ნი. თითქოს ვიღაცამ გამათამაშა. არაფერი მეტყველებდა იმას,
რომ ქალაქში რაიმე განსაკუთრებული ხდებოდა. მგზავრები
ბაზრის მაზანდაზე მსჯელობდნენ არხეინად. მეტრო „თავისუ-
ფლების მოედნის“ ესკალატორზე უამრავი ხალხი უშფოთვე-
ლად ადი-ჩადიოდა.

რუსთაველზე გავედი. ბოლო დღეები სასახლის წინა
მოედანი ორი მხრიდან გადაკეტილი იყო. არავის გავუჩერე-
ბივარ, ისე გავძვერი ავტობუსებს შორის. არსაიდან ისმოდა
სროლის ხმა და ბრძოლის ყიჟინი. სახელმწიფოს ერთი მაღალი
რანგის მოხელე ვიცანი, ფაციფუცით დარბოდა, არიქა, ეს
მხარე გაამაგრეთ, აქედან შემოგვიტევენო. ერთგან ბრბო შეყ-
რილიყო და ბობოქრობდა. ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. თურმე
ეროვნული დემოკრატები ასფალტზე ისხდნენ და ერთხმად
გაიძახოდნენ – „გრცხვენოდეთ! გრცხვენოდეთ!“

მართლაც შემრცხვა! ნორვეგიელი ტელეჟურნალისტები
ცდილობდნენ გადაღებისათვის მოხერხებული ადგილი შეერ-
ჩიათ, ვიღაც ბიძები კი ერთმანეთს ქართულად გასძახოდნენ –
„ე, ბიჭო, არ მიუშვა, ხელი შეუშალე!“ ჟურნალისტ გოგონას ფო-
ტოაპარატიდან ფირი ამოუღეს და გაუფუჭეს. მავანი მანქანის
ძარაზე აძვრა ფოტოაპარატით ხელში. უმალ გაისმა – „ჩამო-
აგდე! ჩამოაგდე!“ მეტად აქტიურ ძიას ხელი წავატანე, რატომ
უკრძალავთ, გადაიღონ, ეს ხომ ისტორიაა-მეთქი. მტრები
გამოიყენებენ ჩვენს წინააღმდეგო... მივხვდი, აქ არ იყო ჩემი
ადგილი... გავეცალე! საჯარო ბიბლიოთეკის მხრიდან გზა ხსნი-
ლი იყო და იქითკენ გავეშურე, საიდანაც მოედანზე თავმოყ-
რილნი შეტევას ელოდნენ.

პროსპექტზე კანტი-კუნტი გამვლელი ჩანდა.

რესპუბლიკის მოედანზე დიდი მიტინგი ტარდებოდა. მეც
იმათ მივაშურე. გამომსვლელები მთავრობას თათხავდნენ, სი-
მართლის გარკვევას და დიალოგს მოითხოვდნენ, მაგრამ ყოვე-
ლივე ეს საკმაოდ სახიფათო წინადადებით დაგვირგვინდა,
სიგუამ, წავიდეთ და იმათ მიტინგს შევუერთდეთო. რითი დამ-
თავრდა ეს „შეერთება“, ტელეეკრანებითაც ცნობილია!

ავტომატებით შეიარაღებული პატარა ბიჭები იმ დღეს

ვნახე პირველად. „რად გინდა, შვილო, ეს იარაღი?“ – შევეკითხე. „შესაშინებლად, თორემ, აბა, ქართველს ხომ არ ვესვრი?“ – მიპასუხა.

ნეტავი ცოცხალი თუა?

69

მეტროდან თავისუფლების მოედანზე ამოვედი, შევყოვნდი. ჭახანი გაისმა. ტყვია მუზეუმის კედელს მოხვდა, თეთრი ანახეთქი დაატყო. ამას მოჰყვა ავტომატის მოკლე ჯერი და, უცებ, უზარმაზარი დოლის ხმა – „ბუმ!“ ეს ქვემეხიდან ესროდნენ მთავრობის სასახლეს, ფასადის სვეტზე ჭურვი აფეთქდა... თავი სიზმარში მეგონა, იმდენად არარეალურად მეჩვენებოდა დედაქალაქის ცენტრში, რუსთაველის პროსპექტზე ზარბაზნების გრიალი. „ნამდვილად დამოუკიდებელნი ვართ! – გავიფიქრე. – ერთმანეთი მთლად რომ ამოვხოცოთ, არავინ ჩვენს საქმეში არ ჩაერევა!“

პუშკინის სკვერი გადავჭერი. შეიარაღებული ახალგაზრდები დგანან. ვინ არიან? ვის ემორჩილებიან? რომ ჰკითხო, ყოველი მათგანი საქართველოსათვის იბრძვის, სამშობლოსათვის თავი გადაუდვია. გულწრფელია მათი აღმაფრენა! მაგრამ ბელადების? სამშობლოსათვის თუ ხელისუფლებისათვის? ერთი უუნარო ხელისუფლების საჭეს ჩაფრენილა, მეორე ასევე უუნარო ხელიდან მის წაგლეჯას ცდილობს. ძალაუფლებისათვის ამ სამარცხვინო ჭიდილს ლამაზი ფრაზებით ამკობენ, თვალში ნაცარს გვაყრიან. მიტინგური ფანატიზმი სისხლისღვრაში გადაიზარდა და როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, გულწრფელნი და გულანთებულნი, ვინაც, ერთი მხრივ, სამშობლო და პრეზიდენტი გააიგივა, მეორე მხრივ კი სამშობლო და ოპოზიცია, შეეწირნენ ძმათამკვლელ ომს, ხოლო დემაგოგნი და პოლიტიკური მედროვენი, რომელთაც მხოლოდ წასისინება შეძლეს, თავდადება კი ვერა, ისევ მოგებულნი დარჩნენ... დიახ, გულწრფელნი კვლავაც მასალა აღმოჩნდა საყოველთაო ხანძარში, ფარისევლებმა კი მაღალი სავარძლები

მოძმეთა გვამებზე დაიდგეს.

კომუნარების ბაღს ქვემოდან შემოვუარე. აქედან უფრო მკაფიოდ ისმოდა ტყვიის ჭახანი. სასახლის თავზე კვამლი და მტვერი იბოლქვებოდა. ნადგურდებოდა თაობების ნაღვაწ-ნაშრომი. ნგრევის ექსტაზში შესულთ არაფრად უღირდათ დედაქალაქის იავარქმნა. გზა-გზა ცნობისმოყვარე მოქალაქენი მხვდებოდნენ, ერთმანეთს ჭორებს უზიარებდნენ, დამხმარე ძალა მოდისო; ოღონდ ერთნი იძახდნენ, პრეზიდენტის დასახმარებლადო, მეორენი – ოპოზიციისაო.

გამომცემლობა „მერანის“ წინ რუსთაველი გადაკეტილი იყო. დიდძალი ხალხი შეიკრიბა. აქედან ჩანდა დაცარიელებული პროსპექტი, მხრჩოლავი შენობები. ჯავშნოსანიდან კაკანებდა ტყვიამფრქვევი, ქვემეხი კი ბეჯითად და მონოტონურად ურახუნებდა სასახლეს... ვიდექით და გავყურებდით ამ სანახაობას, თითქოს სიკვდილი მხოლოდ თამაშია და, რასაც ვხედავთ, დიად სცენაზე გათამაშებული ტრაგიკული ფარსია,— ტრაგიკული, რაკი ახალგაზრდული სიცოცხლე ეწირება, ფარსი, რაკი უგუნურს უგუნური ებრძვის და შედეგიც უგუნურების დასტური აღმოჩნდება.

„ხალხო, იქნებ რამე გველონა? დავეწყოთ და შუაში ჩავდგეთ, ოცი ათასი რომ დადგება, ყველას ხომ არ ამოგვხოცავენ?!“

არავინ წავიდა! თავდადება ვისაც შეეძლო, იარაღი აიღეს და ერთმანეთს მუსრს ავლებენ. დანარჩენმა საქართველომ მაყურებლის როლი არჩია.

ყოველდღე ხომ არ იბადებიან გია აბესაძეები!

70

ზუგდიდამდე ავტობუსით ვიარე. ისეთი შთაბეჭდილება შემრჩა, დედაქალაქის ამბები პროვინციას ყურმოკვრით თუ გაუგიაო. ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა და ზარბაზნის ბათქი აქამდე თითქოს არც აღწევდა.

სხვა ვითარება დამხვდა ჩემს ქალაქში. ნერვული მოლოდ-

ინი იგრძნობოდა ჰაერში. მოქალაქენი მთავარ მოედანზე იკრიბებოდნენ ცინცხალი ამბების მოსასმენად. უამრავი ჭორი დასარსალებდა, ზოგი რეალური ამბების ანარეკლი, ზოგიც ცით ჩამოსული ფანტასტიკით შეფერილი.

ეს თავყრილობანი მიტინგებში გადაიზარდა. მძაფრი პროტესტის გრძნობა რეალურ გამოსავალს პოულობდა. მოთავეებმა თავდაპირველად განდისტური დაუმორჩილებლობა გამოაცხადეს, ალბათ ასეც ფიქრობდა ვალტერ შურღაია, ოღონდ იარაღიანი ხალხის გამოჩენისთანავე ხელიდან სადავეები გაუსხლტა. თუ იარაღი ავიღეთ, განდისტური იდეებისაგან, ცხადია, არაფერი დარჩება. ავტომატიანი ადამიანი უფრო თავდაჯერებული ხდება, ძალასა გრძნობს და რეალობის ჭვრეტის უნარი უქვეითდება. ავტომატიან ბიჭებს ძარღვებში სისხლი უდუღდათ, ეგონათ, რომ ქვეყნის ბედს თავის ნებაზე შეატრიალებდნენ. იმას კი ვერ ხედავდნენ, რომ უკვე დაგვიანებული იყო, რადგან, სადაც სარდალი ბრძოლის ასპარეზს დატოვებს, იქ ომი წაგებულია... ავტომატს სულ მალე სხვა, უფრო სახიფათო რამ მოჰყვა. ვიღაცა ჭკვიანმა მოიაზრა, სატვირთო „კრაზებზე“ ფოლადის ფურცლები დაადუღა და „ჯავშნოსნებად“ გადააქცია. ოღონდ ეს მძიმე და უხეირო გამონაგონი თვით ეკიპაჟისათვის წარმოადგენდა საფრთხეს. მანევრირების უნარი აკლდა, ტყვიამფრქვევით კი ისე იოლად დაიცხრილებოდა, შიგ მსხდომნი ხაფანგშივე ჩარჩებოდნენ.

ჩემთვის ნათელზე ნათელი გახდა, რომ დიდი მსხვერპლი მოგველოდა, საქართველოს ერთიანობაც დაირღვეოდა, სარგებელი კი აქედან არაფერი გამოდნებოდა. ნათესავი შემხვდა, ჩემი დისშვილი ბუნკერში იბრძოდაო, მახარა. ამაზე თავშეკავებით ვუთხარი: „მან ფიცი დადო და ამიტომაც იხდიდა თავის კაცურ ვალს, მაგრამ ახლა პრეზიდენტი წასულია. ვინც სამხედრო გადატრიალება მოახდინა, თვითონაც სასიკვდილო რისკზე წავიდა. ამიტომ თუ იარაღს ავიღებთ, აქეთკენ დიდი სამხედრო ძალა წამოვა და სისხლისღვრა გაგრძელდება. ეს მსხვერპლი არავისთვის არ იქნება სასარგებლო!“ ვინ დამიჯერებდა! ყველანი ცაში დაფრინავდნენ! არადა, რაოდენ გულსატკენია,

მაგრამ ჩემი ნათქვამი ახდა კიდეც. პირველი მსხვერპლი სწორედ ის ბიჭი აღმოჩნდა, ვისი სიცოცხლის გადარჩენასაც იმ მოზომილი სიტყვებით ვცდილობდი.

დავდიოდი ამ მიტინგებზე, ვისმენდი მარტივ და უკომპრომისო ლოზუნგებს, რომელთაც ასე იოლად ძალუძთ მასის აღტყინება. ეს მიტინგები ჰგავდა უამრავ სხვა მიტინგს, რაც კი აქამდე მენახა. მათი შედეგი საზოგადოების დახლეჩა, ქსენოფობია, ურთიერთსიძულვილის გაღვივება უფრო აღმოჩნდა, ვიდრე საქართველოს ერთიანობისათვის და ძლიერებისათვის ბრძოლა. აქ ვერ მოიძებნებოდა ადგილი გონიერებისათვის, ვხედავდი, რომ გონიერება ელემენტარულ ლაჩრობად აღიქმებოდა. თანაც ჯერ კიდევ ბოლომდე არ მქონდა გათვითცნობიერებული, სიძულვილის როგორ უფსკრულში ჩავცვივდით უკვე. იმ დღეებში ვის ჰქონდა წინასწარმეტყველური უნარი, ვინ მიხვდებოდა, რომ ხვალ უარესი მოგველოდა. ამიტომ ერთადერთი გამოსავალი ისღა ვიპოვე, იქაურობას გავეცალე. ერთმა ჩემმა კოლეგამ შემომთავაზა, წამოდი, გაზეთი გამოვუშვათო. მივხვდი, იმ გაზეთში წვეთი შხამი მეც უნდა ჩამეწვეთებინა და აღარ ვინდომე, გამვლელ ავტობუსს შევახტი და თბილისისკენ გამოვეშურე.

71

მთელი გზა იმას ვფიქრობდი, რა უნდა მეღონა. ნამგზავრი და დაღლილი, გვიანი ღამით მაგიდას მივუჯექი და თაბახის ერთ გვერდზე ჩამოვწერე ჩემი შიშისა და გულისტკივილის ამბავი. მეგონა, რომ მქონდა ამისი ზნეობრივი უფლება და ამიტომაც მივმართავდი ჩემს თანაქალაქელებს. პოლიტიკური კონიუნქტურა მე არ მაწუხებდა, გულწრფელად ვფიქრობდი, რომ ერთი კაცი მაინც მომისმენდა... ვაფრთხილებდი, რომ წამქეზებელნი ცოცხალნი დარჩებიან, გულანთებული ახალგაზრდები კი მიწაში ჩავლენ... ვეუბნებოდი, რომ მთავრობები იცვლებიან, საქართველო კი რჩება და ცალკეულ პიროვნებებს ქვეყნის მომავალი არ უნდა გადავაყოლოთ.

დილითვე წავედი ტელევიზიაში, იქ ბადრი ცირამუა მოვ-

ძებნე და ვთხოვე, ეს ტექსტი გადამაცემინე-მეთქი. იმასაც ნებართვა არავისთვის უკითხავს, პირდაპირ სტუდიაში ჩამიყვანა და ათ წუთში ჩამწერა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მოგვიანებით ისეთი ადამიანიც შემხვდა, ვინც ამრეზით მკითხა, ვინ დაგავალაო. ჩემმა სინდისმა-მეთქი, მივუგე.

სამწუხაროდ, იმ დღეს ზუგდიდში ტელეგადაცემები არ ყოფილა. მხოლოდ თითო-ოროლამ, ვისაც ტელეანტენა ბათუმის ანძაზე ჰქონდა გათვლილი, მომისმინა და სიტყვის მაგიერ, ჩემი თანაქალაქელების სმენას ჭორით შეზავებული პერიფრაზირება მისწვდა. ზოგიერთი მომიტინგისათვის წუთში საფრთხობელად გადავიქეცი, „საზიზღარი ოპოზიციონერის“ და „მოღალატის“ საპატიო ეპოლეტები მხრებზე დამაკრეს. ამბავი ჩამომივიდა, შენი წიგნები დაწვესო, სახლი არა გაქვს, თორემ იმასაც დაგიწვავდნენო. ტყუილია ეს თუ მართალი, ამისი შემოწმება არც შემიძლია და არცა მსურს. ისღა გამიკვირდა, ჩემი მოზომილი, დელიკატური გამოსვლის პასუხი ეგოდენ მძაფრი რომ აღმოჩნდა.

72

ძმაო და მეგობარო სანჩო! ბარატარიიდან მე ვერავინ გამაძევებდა. დღესაც არსებობს ჩემი კალმის წვერის ოდენა საგუბერნატორო, რომელსაც ვერავინ გამიუქმებს. ოღონდაც გაქრა ვარდ-ყვავილოვანი ბაღნარი, ციური სილურჯე და ჰაერის სიკამკამე, მეგობრობის სიმტკიცე, ურთიერთსიყვარულის ხიბლი... პატივისცემა და მოკითხვა, უშურველობა და თანადგომა... ატალახებულმა ნიაღვარმა გადმოლახა ჯებირი, ნგრევა და პარტახი გამოიწვია, დააჭკნო უმანკოება, მასხრად აიგდო სიქველე და თავდადება, ლექი დატოვა ადამიანთა სულებში. ეშმა უფრო ძლერი ყოფილა, ვიდრე გვეგონა და მისი ჩლიქების ნაკვალევი დაეტყო ჩვენს გზა-შარებს.

შინ გამოვიკეტე... უიმედო, უსახსრო, უფუნქციო...

სამაჩაბლო...

საღამოს ედვარდმა დამირეკა, ქირიამ. ნასვამი ჩანდა. დილით ცხინვალში მივდივარ და უნდა გამოგემშვიდობოო. ანგლობდა, დიდი ამბავი, ერთი ქირია თუ შეეწირა ამ ომსო... სიტყვა ბანზე ავუგდე, რა დროს სიკვდილზე ლაპარაკია, ცხოვრება ახლა იწყება-მეთქი... ორი დღეც არ გასულა, რადიოში მომესმა, მანქანა ნაღმზე აფეთქდა და ედვარდ ქირია მდინარეში იპოვესო...

აფხაზეთი... გაგრის ტრაგედია...

იქ მავრა დარჩა... უამრავი სხვა ნაცნობ-მეგობარი ჩემი...

ყოველი დღე ჭაღარას მიმრავლებს, წნევა მიხტის, ღამღამობით საკუთარი გულისცემა აღარ მაძინებს... უღონობა მახრჩობს...

რამდენი თვეა ზუგდიდში არ ჩავსულვარ, თუმცა იქაური ამბებით ვარსებობ... შეტაკებები, ძარცვა-გლეჯა, ხანძარი, სისხლი... ვიცი, ყველაფერი ვიცი, ოღონდ წამალი არაფერი მაქვს...

სახელმწიფოს პირველ კაცთან შევდივართ. ჩვენი პროტესტი უნდა გამოვხატოთ. თბილისში მცხოვრები მეგრელები ვიკრიბებით, ვეძებთ ურთიერთთანხმობის გზებს. თანხმობა კი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა შეგიძლია წყენა დაივიწყო, მიუტევო, სამშობლოს ინტერესები საკუთარზე მაღლა დააყენო.

ბევრია კი ისეთი, ვინც ხმას ამოიღებს, როცა ეს საჭიროა, მაგრამ გაჩუმდება, თუ ეს ქვეყნის უზენაეს ინტერესებს სჭირდება.

გაზაფხულდა...

ჩამოვედი... მთელი საქართველო ხომ დახლეჩილია, მაგრამ აქ ეს უფრო მძაფრად იგრძნობა. თვით ჰაერი იმუხტება ნერვული დაძაბულობით. ყველა და ყველაფერი პოლიტიზირებულია, ყველამ ყველაფერი იცის!.. ზოგი ჩემი ახლობელი, ვისაც პატარაობისას ზღაპრებს ვუყვებოდი და აღფრთოვანებით მომჩერებოდნენ, ახლა სიტყვასაც არ მაცლიან, მიტინგებზე აღამათენებენ და ქვეყნის საქმეებს აგვარებენ.

ზურგსუკან მომესმის ხმადაბალი, ბოღმიანი ჩურჩული – „საზიზღარი ოპოზიციონერი!“

ბიბლიოთეკის კიბესთან ჩამიარა ახალგაზრდა ქალბატონმა, ვის ოჯახში ადრე პური მიჭამია, მუდამ პატივისცემით ვეპყრობოდი, შემდგომ კი, მიტინგურ სტიქიაში ჩართულმა ჩემგან მტრის ხატი გამოძერწა და შეუპოვრობითა და აღტკინებით ცდილობდა მე თუ არა, ჩემი სახელი მაინც ჩაემარხა სამარეში.

ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოვასწარი, მანდილოსნები დამახვია. რაღაცას მიმტკიცებენ, რაღაცაზე მეჩხუბებიან, თუმცა ვხვდები, თვითონაც ვერ გარკვეულან, ვინ ვარ და რაში უნდა დამანაშაულონ. ამათ ჩემი წიგნები არ წაუკითხავთ, არც ის ტელეგამოსვლა მოუსმენიათ. არ იციან, რაში გამოიხატება ჩემი „ოპოზიციონერობა“... ვინც ესენი მომისისინა, უყურებს და ხარობს.

პირმშვენიერი, ტანკენარი ქალიშვილი კიბის თავზე დგას, თვალებს აბრიალებს, პირიდან ცოფსა ყრის: „შე სუკის აგენტო, შენ ამ ქალაქში არ უნდა დაიმარხო!“ (ეჰ, ლამაზო გოგონავ, სიყვარულისათვის დაბადებულო!)

ერთი ქალბატონი მიმტკიცებს, გიცნობ, შენი გვარი გაზეთში შემხვედრიაო, ოღონდ არ ახსოვს, იმ გაზეთში რა ამოიკითხა (იქნებ მთლად ჩემს მოგვარე სპორტულ კომენტატორში ავერიე).

ახმახი ყმაწვილი ზევიდან დამყურებს, სიმაღლით გულისკოვზამდე ძლივსა ვწვდები. ნუ უსმენთ მაგასო, ქალებს ურჩევს, ვიცი რა ჩიტიცაა, ესა და ესაო (ერთი ჩემი კოლეგის გვარს ასახელებს).

ციცქნა ქალბატონი, ასაკით რომ დედად მერგება, თვალაცრემლებული შემომყურებს და ხელზე მეფერება: „შვილო, მე შენ არჩევნებში ხმა მოგეცი, შენ კი თურმე მოღალატე ყოფილხარ?!“

ასე და ამგვარად, უკვე „მოღალატე“ გავხდი!

მივუბრუნდი ქალბატონს, ვინაც ამ გულუბრყვილოებს თავის ჭკუაზე ატრიალებდა:

„გოლგოთის გზაზე იესოს ტალახს ესროდნენ, მაგრამ ის მაინც იესოდ დარჩა!“

წამით შეცბა, „შენა ხარ იესო?“ – შემეკითხა.

ცხადია, მე იესო არ გახლდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ოჯახის ქალბატონმა და ბავშვების დედამ მხრებზე ეშმას შავი საქმე წამოიკიდა.

ამაზე ლაპარაკს არ გავაგრძელებ, მოკლედ მოვჭრი: ჩემს გულში ნატამალიც არ დამრჩა წყენისა. მიმიტევებია ყველასათვის, ვინც ჩემი სახელის დაკნინებით მოინდომა საკუთარი პრიმიტიულ-პროვინციული პოლიტიკური თამაში ეთამაშა. ჟამი იყო საყოველთაო სიძულვილისა და ბევრმა ვერ გაუძლო ამ საშინელ გამოცდას. სიძულვილისა და დაუნდობლობის საძირკველზე ვერ აშენდება მომავლის საქართველო. ჭეშმარიტი პატრიოტიზმი სიკეთის ქმნადობით თუ განიზომება.

73

93-ის ბოროტი წელი, სურათი ჩვენი დაცემისა და გაპარტახებისა...

იმედების გაცამტვერება, სამარცხვინო ფიასკო აფხაზეთში, გმირული მსხვერპლგაღება და ლაჩრული ზნედაცემულობა...

ტკივილი, უსაშველო და მოურჩენელი...

საყოველთაო უბედურებას ზედ გადაეწნა ჩვენი ოჯახური ტრაგედია – დისშვილის ელისოს დაღუპვა!

ელისო – ლამაზი, სიცოცხლით სავსე, შეყვარებული, ხატულა გოგო, რამაზის მიმყოლი დაიკო... იმ დღეს სარკეში გაკრთა ძმის ლანდი, თითქოს აფრთხილებდა, მაგრამ ცოცხალნი ვეღარ იგებენ წასულთა ნიშანს... ექვსი წელი გავიდა იმ მწარე ტრაგედიის შემდეგ, თითქოს შეხორცდა ადრინდელი ჭრილობა, რამაზის დაღუპვამ რომ დატოვა, გაიხსნა სახლის კარები, შავს შეერია ღია ფერი... ქორწილისათვის სამზადისი მოგველოდა. მოსალოცად მოგვაწყდა ხალხი და სიხარულის მაცნეს ფეხდაფეხ უბედურების მაცნე შემოჰყვა. სულ ოცდაექვსი დღის ბედნიერი, სიყვარულის ფრთებზე აფრენილი, ბრმა შემთხვევამ აიტაცა, ღვთის ციურ სასახლეში გადაასახლა...

დილაუთენია ტელეფონმა დარეკა. ქალის ხმამ მიკითხა. მე ვარ-მეთქი. ბოლო დროს ტელეფონი ცუდად მუშაობდა, ახლა კი ხმა მკაფიოდ ისმოდა. „ერთი წუთით! თქვენთან საუბარი სურთ!“ გულმა რეჩხი მიყო, წინათგრძნობამ ამაწრიალა, თითქოს ადრევე ვიცოდი, რომ ეს კვირა უბედურებით დამთავრდებოდა. უცნობმა ახალგაზრდამ ყურმილში ჩამძახა: „ბატონო ჯემალ! უბედურება მოხდა! ელისო დაგვეღუპა ავარიაში, მეუღლის სახლში ასვენია, სურამში!“

თითქოს სისხლისაგან დავიცალე, თითქოს გული გამიჩერდა. რაღაც ამდაგვარს მოველოდი. ამ უბედურ მიწაზე ელისოს ბედნიერება შეუძლებელი იყო. სიყვარული, გათხოვება, თაფლობის თვე... სიხარულით ცაში ფრენა!.. არა, ეს არ შეიძლებო-

და! ამ სისასტიკითა და ღალატით გაჯერებულ წელს ერთი ადამიანიც არ უნდა ყოფილიყო ბედნიერი!

დღეები ბოროტ ზღაპარს დაემსგავსა. დარეტიანებული მივემგზავრებოდი სურამში. მერე ყველანი ერთად ელისოს მივასვენებდით ენგურისპირა სოფელში, სადაც ელისოს ახალგაზრდა, მაგრამ უბედურებით მოტეხილი დედ-მამა გველოდებოდა.

გლოვის ორმოცი დღე გავატარე ენგურის ნაპირზე. გაღმა აფხაზეთი ნადგურდებოდა, გამოღმა ჩვენ ვედექით ერთმანეთს ჯიბრში და მხოლოდ მიცვალებულის კუბოსთან ვიყავით ყველანი ერთად.

უფლის სასჯელია ეს თუ ჯილდო? ამას ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ, ვერასოდეს ავწონით ბედის სამართალს!

ჩემი ქალაქი მოჟამულსა ჰგავდა. ჩემთვის ყოველივე გაუცხოებულიყო... ვერ ვცნობდი, რადგან არ მესმოდა მისი სიმის ჟღერადობა... მარტოობა მტანჯავდა, თითქოს ჩემი არავის გაეგებოდა და მეც ვერავის შევასმენდი რამეს... მზე არ მზეობდა და ფერი არ ფერობდა... ტრაგიკულ განცდას ამძაფრებდა პოლიტიკური თეატრის სცენაზე გათამაშებული ფარსი, სადაც პირზე იკეთებდნენ ფანტასტიკურ ნიღბებს და რიგდებოდა სავსებით რეალური მატერიალური ღირებულებანი... სატირული ბუფონადა, ალბათ ღიმილის მომგვრელი, სისხლსა და ქვეყნის გახლეჩას რომ არ ყოფილიყო დამყნობილი.

თბილისისკენ მობრუნებულებმა ცხენისწყალი ფეხით გადმოვიარეთ. მძიმე ტვირთი მომქონდა და ძლივს მოვჩოჩავდი. ხიდზე შევისვენე. წინაც და უკანაც საბრძოლო პოზიციები იყო, იქაც ქართველები იდგნენ და იქაც... ნეიტრალურ ხაზზე ვიდექი და უცებ მტკივნეულად ვიგრძენი, რომ უსამშობლოდ დავრჩი. ზუგდიდში თბილისელი ვიყავი, თბილისში – ზუგდიდელი... სიცოცხლე არ ღირდა ორად გახლეჩილ საქართველოში!

გზა გაიხსნა თუ არა, ჩემი უფროსი გამზრდელი დაიკო ლამარა ჩამოიყვანეს. ჩვენ მას შინაურულად ბიციკო შევარქვით. ვინც იცნობდა, გამზრდელ დედას ულოცავდა, რადგან ქვეყნად იმისთვის გაჩნდა, სხვათა ტკივილებიც თვითონ ეტვირთა. უამრავი, პატარ-პატარა ავადმყოფობა გაუმრავლდა, ალბათ ვერც ერთი ვერ მოკლავდა, მაგრამ ყოველივეს დაერთო ერთი, რასაც ვერა ექიმი ვერ განკურნავს, — სევდა... თვითონ სიკეთის განსახიერება გახლდათ და ბოროტების ზეიმმა სიცოცხლეზე გული აუყარა, მარადიულ სამყაროს მინებდა.

საწოლზე ჩამოვუჯექი. აუცილებლად მოვკვდებიო, ქოშინით მითხრა... არ დავუჯერე, ავად ვინ არ ყოფილა, გიწამლებთ და მოგარჩენთ-მეთქი. თურმე ვერავინ მოგარჩენს, თუ სიცოცხლის წადილი გაგიქრა. საშიშროებას თვითონ კარგად ხედავდა, შორეული მაცნე უკვე გზას ადგა, მაგრამ მე სმენა დამჩლუნგებოდა და ზარის რეკვა ვეღარ გავიგონე.

გულშეჭირვებული ვიყავი და ალბათ იმიტომ!

ამ საყოველთაო გაჭირვებაში ჩემი წილი ტვირთი ზურგზე მეკიდა, გადავიღალე და ზიდვა გამიჭირდა... ჯერაც ხომ ელისოს ტკივილი არ გამნელებოდა... მოულოდნელად, კაბალური ვალი ამეკიდა და ბორკილები გამიმზადა... თუ რამ აქამდე მქონდა თავზესაყრელი, ხვალინდელი დღის იმედიღა იყო, მაგრამ ესეც დეფიციტური რამ გახდა და ყველაზე მძიმე ტვირთი სწორედ უიმედობა აღმოჩნდა... მუდამ ვგრძნობდი მეგობრების იდაყვს, ახლა კი გავთითოკაცდით და საკუთარი ნაჭუჭიდან სხვებს ისე ვუყურებდით, თითქოს მთელი დანარჩენი სამყარო მტრად გადაგვკიდებოდეს... მავანს, ვის ბედზეც წლების მანძილზე მიზრუნია, თვალებში შევატყვე საყოველთაო სენი სიძულვილისა. ის არ იყო ერთადერთი, ვინაც გული მატკინა, მაგრამ ღალატი ჯოჯოხეთის ქვაბში იხარშება და მას გულის ამრევი სუნი უდის. თვალებში ჩავხედე და დამარცვლით ვუთხარი: „ერთმან თქვენგანმან მიმცეს მე!“ გადაირია, როგორ მკა-

დრე, ღალატისა რა შემატყვეო... თვეც არ გასულა, ეგონა, დრო დადგაო და ბეჭზე მახვილი მომიღერა...

ყველაფერი ვერ ითქმევა და ვერც ჩამოითვლება. ინდივიდის ეს უამრავი ტკივილები კრიალოსნის შავი მარცვლებივით ჩამოიკინძა სამშობლოს ტკივილით ისედაც გაჯერებულ გულზე...

და აი, ასეთ დროს, ცივი დეკემბრის დღეებში, როცა თბილისში ჭუჭყიანი თოვლი დნებოდა, შუქი და გაზი გამოთიშული იყო, მეტრო არ მუშაობდა, ჩემმა დაიკომ მინატრა, მე კი ვერ ვიგრძენი მისი სულის ეს უკანასკნელი ძახილი...

წინა დღეს ვინახულე. ჩემი ხელი აიღო და ლოყაზე მიიდო. მოფერებას არ ვიყავით ჩვეული, არადა ადამიანს თურმე მოფერებაც სჭირდება. რამდენიმე ცალი მსხალი მივუტანე და ისე დამიფასდა, თითქოს სასწაული პატივი მეცეს.

დილით კი სიცივითა და უსახსრობით შეწუხებულმა გზად გავუარე. ხელში დიდი ჩანთა მეჭირა, რაკი ჩემი უიმედოდ არეული საქმეების გამოსასწორებლად მიმეჩქარებოდა. ზურგით შებრუნებული დამხვდა, კედელს მისჩერებოდა. დისშვილმა მითხრა, წუხელ გიკითხა, ძალიან უნდოდა შენი ნახვა, მაგრამ ტელეფონი არ მუშაობდა და ვერ გაგაგებინეო. „მემდური დაია?“ – მოფერებით შევეკითხე. ხმა არ გამცა. ბავშვივით მებუტება-მეთქი და იმ დასაწვავ საქმეზე გავიქეცი. ის თურმე კვდებოდა, ჩემმა გულმა კი ეს ვერ გაიგო, რადგან ათასი წვრილმანი გასაჭირით ავსებულიყო და ადგილი აღარ დარჩა უმთავრესი გაჭირვებისათვის.

ერთ საათში რომ მოვბრუნდი, სახეზე თეთრი ზეწარი ეფარა...

სევდამ და გულგრილობამ, საყოველთაო გაუცხოებამ და სიძულვილმა მომიკლა დაია... რა წამლით უნდა მემკურნალა ასეთი დაავადებისათვის?.. ჩემი გულიც ხომ არ დასნეულდა გულგრილობის სენით, რადგან დროზე ვერ განვეწყვე სიკეთის იმ რეგისტრზე, მისი სულის სიმები რომ იყო აწყობილი?

დრო აღარ მრჩებოდა გლოვისა და სინანულისათვის. სიკვდილი გაგვიშინაურდა და ამას შევეგუეთ კიდეც. ჩემი და იქ გაემგზავრა, სადაც ადრე თუ გვიან მეც მომიწევდა გამგზავრება... ყოველივე უმაღლესის ნებით ხდებოდა! ისღა დაგვრჩენოდა, ბედს დავმორჩილებოდით. სიცოცხლისათვის ბრძოლა უძლურებამ და აპათიამ წაგვაგებინა, მაგრამ სხვა სამყაროში გამგზავრებასაც თავისი წესი და რიგი აქვს... სხვა დროს, სხვა ვითარებაში მთელი ქვეყანა ჩვენს გვერდით იქნებოდა, ხელს შეგვაშველებდა, მაგრამ დეკემბრის იმ თვეს დედაქალაქის მაჯისცემა თითქმის შეწყდა... იქ, დასავლეთში მთავრდებოდა ძმათამკვლელი ომი და ძარცვისა და უბენზინობის დღეებში რისკის გაწევა არავის უნდოდა...

სხვა გზა არ გვქონდა... ცოლისძმის „ზაპოროჟეცით“ წამოვედით... პატიება ვთხოვე ჩემს დაიას, უკეთესი ვერაფერი მოვახერხე-მეთქი... ჩავასვენეთ ამ მოცუცქნულ კოლოფში. საჭეს მე მივუჯექი, ჩემს უკან დის სიძე მიიჭუჭკა და დავადექით გზას, რომელიც უფრო გრძელი და ხიფათიანი მოგვეჩვენა, ვიდრე ოდესმე იყო... მთელ ტრასაზე ორიოდე მანქანა თუ შეგვხვდა... მოყინულ ასფალტზე საბურავი გვიცურდებოდა... ჩვენ ორნი წყნარად ვსაუბრობდით, — ქვეყანაზე, ძნელბედობაზე, სიდუხჭირეზე, სანთლის მბჟუტავი ალივით შემორჩენილ იმედებზე... ჩემი და კი იქვე ჩემს გვერდით იწვა მდუმარედ, ხანდახან მარჯვენა იდაყვით ვეხებოდი კიდეც, ჩემი პალტო უდიერად ეფარა (ჩემი სიძის რადიონის ფინური პალტო, ერთ ყინვიან ზამთარში ბიციკომ რომ კარადიდან გამოიღო, ჩამაცვა და ატარეო, მითხრა). იწვა და გვისმენდა...

სენაკთან ხიდი აფეთქებული დაგვხვდა. მენჯის გზით მოვუარეთ. ტალახიანი ორღობეებით ვიარეთ. პატარა, დაძველებული მანქანა ტლაპოში ყოჩაღად მიბობღავდა, ღმუოდა, ჯაყჯაყებდა... უკეთესი პატივი ვეღარ მივაგე ჩემს დაიას, მაგრამ, ვიცოდი, მისი სული შორეული ლაჟვარდიდან დამყურებდა და მლოცავდა...

75

კუნაპეტი ღამეა, ისე ბნელა, საკუთარ ჭიშკარს ვერ მიაგნებ. უკვე დიდი ხანია ქალაქში ელექტროდენი გამოთიშულია. ვწევარ ცივ ლოგინში, ღამეს ვუსმენ. მეზობელ ოთახში ჩემი და

ასვენია. თავთით ანთებულ სანთელს ჩუმი ტკაცუნი გააქვს. ჩემი მოხუცებული დედა ხმაგაბზარული მოთქვამს... ბაღჩაში რადიონის სული დაფარფატებს... იქნებ ჩემი ძმებიც აქ არიან... შოთიკო, მუნტულია... ჩემი რამაზი და ჩემი ელისო... ფანჯრიდან ვარსკვლავი იყურება, მაგრამ მისი შორეული გამონათება ოდნავადაც ვერ არღვევს სიბნელეს... უცებ ავტომატის კაკანი მოისმის... ვინ ისვრის?.. რატომ?.. ომი უკვე დამთავრებულია... მაინც ისვრიან... ჯავშნოსანი მანქანა გაივლის გრუხუნით... სად მიდიან?.. რა არ ასვენებთ?.. ომი ხომ დამთავრდა...

ავტომატით ვარსკვლავებს ესვრიან...

არ მეძინება. გულს ისეთი ბაგაბუგი გააქვს, საკუთარი გულისცემა აღარ მაძინებს. გვერდს ვინაცვლებ, მაგრამ ეს ამაოა. როგორაც არ უნდა დავწვე, გული მაინც არ მომასვენებს...

კვლავ ავტომატის ჯერი... იქნებ ვინმეს ძარცვავენ?.. იქნებ ერთობიან და ვარსკვლავებს მიზანში ესვრიან...

დავიღალე... სიცოცხლე აღარ მინდა...

76

უავდრობა დაგვებედა. დისწული და მისი ქმარ-შვილიც მომყავს. ვცდილობ, ფრთხილად ვიარო. გზები დანგრეულია, მანქანა ორმოებს უნდა ავარიდო, მაგრამ ყოველთვის ვერ გამომდის. შუშა დანისლულია და თვალსაწიერი მივიწროვდება... ჭინჭყლი, მოჟამული ამინდია. გული სევდითა და ტკივილითა მაქვს სავსე, მაგრამ ვცდილობ ხალისიანი გამოვჩნდე... გზად ხობში ნაცნობს უნდა შევუაროთ. ჭიშკართან მცირე დაღმართია. მანქანა მივაყენე... მასპინძელმა მითხრა, გარეთ ნუ გაჩერებ, ეზოში შემოიყვანეო. მუხრუჭიდან ფეხი ავიღე. მანქანა დაქანდა და ფარი ჭიშკრის ბოძს მიეჭყლიტა... ჩამემსხვრა...

ხმა ვერ გავიღე... ვისაუზმეთ და კვლავ გზას დავადექით...

ჭიშურასთან, ბროლიქედში ცხოვრობენ ჩემი მეუღლის მშობლები და იმათ შევუარეთ. ჯერ კიდევ ზუგდიდში, ნათესავებმა, ემანდ თბილისში შიმშილით არ დაიხოცოთო და ბლომად

დაგვტვირთეს, თუმცა არც თვითონ ჰქონდათ თავზე საყრელი სარჩო... ხობშიც წაგვიმატეს რამე-რუმე... აქაც ტვირთს ტვირთი წაემატა... რაღაცნაირად დაბნეული ვიყავი, ბენზინის „კანისტრა“ აკუმულატორზე შემოვდგი... ტრასამდე მცირე აღმართია. შევუყევი თუ არა, კაპოტიდან ბოლი ავარდა. უმალ გავაჩერე, კაპოტი ავხადე. ბოლი ამოდის, ცეცხლი არა ჩანს. ვერაფრით მივხვდი, ეს ბოლი საიდან გაჩნდა, რას უნდა წაჰკიდებოდა, „ზაპოროჟეცს“ წინ ხომ ძრავა არა აქვს... მერე, გვიან მოვიაზრე, რომ რკინის ჭურჭელმა მოკლე ჩართვა გამოიწვია და ელექტროგაყვანილობა დაანახშირა... ვიჯახირე, ძრავა ავამუშავე და გზა განვაგრძეთ.

ავაღწიეთ რიკოთზე. გვირაბში ცხვირი შევრგეთ და განათება ჩავრთე.

სადღაა?

დღის სინათლიდან სიბნელეში რომ ჩავეყურყუმელავე, სიჩქარე დავაგდე. ვერაფერს ვხედავ, თითქმის გავაჩერე და ბიძგი ვიგრძენი... თურმე ცხვირით მარცხენა კედლის ბორდიურს მივენარცხეთ...

ტირილი მომინდა, მაგრამ რას მიშველიდა... კიდევ კარგი, შორს არა ვართ შესული.. ვცდილობთ, ჯიკავ-ჯიკავით უკან გამოვაგოროთ... გამვლელი მანქანები ხანდახან ფარს მოგვაბრიალებენ. გვეშინია, არ დაგვეჯახონ, ჩვენ ხომ საპირისპირო მხარე გვიკავია...

გადავრჩით, დღენათელზე გავაღწიეთ...

ფერდობზე დავაგორე და ისე ავამუშავე... ვდგავარ, პედალს ვაჭერ, რათა არ ჩამიქრეს... ბენზინიც წკიპზეა და მენანება...

„ჟიგული “ გავაჩერეთ... ვთხოვეთ, ნელა ევლო, რათა მისი შუქის წყალობით გაგვევლო ბნელი გვირაბი...

გადავლახეთ...

თბილისამდე სულ იმის კანკალში ვარ, ბენზინი გაგვითავდება და გზაში დავრჩებით-მეთქი. ფულიც არა გვაქვს, რაღაც კაპიკები შემოგვრჩა და სამი ლიტრი ბენზინი დავიმატეთ... ალბათ არ გვეყოფა!

თბილისში საღამოს ჩამოვაღწიეთ. მგზავრები თავის სახ-

ლში, ნუცუბიძის პლატოზე ავარბენინე, თვითონ კი შინისაკენ გამოვეშურე... რამდენი კილომეტრია ვაზისუბნამდე?.. მეყოფა?.. არ მეყოფა!

ქუჩები ჩაბნელებულია... წამდაუწუმ ორმოში ვვარდები... ღმერთო, ეს მანქანა როგორმე პატრონთან მიმაყვანინე...

გამსახურდიას გამზირი განათებულია, მაგრამ მე ვარ ჩაბნელებული და მეშინია, ვინმე აქეთ არ დამეჯახოს... ეს მანქანებიც როგორ მომრავლებულან!

გმირთა მოედანი... სანაპირო... ბარათაშვილის ხიდი... როგორც იქნა ავლაბრამდე მივაღწიე... ჩემი ცოლისძმა აქ ცხოვრობს... ნაწვალებ-ნაჯახირევი „ზაპოროჟეცი“ მისი სახლის კარს მივაყენე და ბენზინის ბოლო წვეთიც ამოიწურა...

ძლივს გადმოვედი...

ამაზე განაცხადა სამი წლის ბატონმა დემეტრე ქირიამ: „ ჯემალ ბიძია ცუდი შოფერია!“

დიახ, მეგონა ჩემი ცხოვრების საჭე მტკიცედ მეპყრა ხელთ, მაგრამ უამინდობამ და ქარიშხლებმა გამომტაცეს... ვინ იცის რომელი გზა საითკენ წამიყვანს?...

77

მარტის თვეში მხარზე გავიდე თოხი და ბარი. გადავედი ხევგაღმა, ტრიალ მინდორზე მოვიზომე მიწა და შევუდექი იმ საქმეს, რითაც ჩემმა გვარ-ჯილაგმა უძველესი დროიდან დღემდე ამოაღწია... მეუღლისა და შვილების სულშიც გაიღვიძა მიწის ყივილმა... ჩემს ინტელიგენტურ, ნასათუთევ ხელისგულებზე კოჟრი დამაჩნდა. სამაგიეროდ იმ უკანონო და უსაბუთო მამულში ლამაზად ჩამომწკრივდა სიმინდი და ლობიო, ხახვი და ნიორი, კარტოფილი და პომიდორი... ღმერთო, ყველას მიაგე თავისი შრომის წილ!

5 . 94

გამომცემლობა
„სარი“